

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოება**

აფხაზეთის ორგანიზაცია

*ექვთიმე თაყაიშვილის
სახელობის საქართველოს საისტორიო
საზოგადოების 100 წლისთავს*

საისტორიო კიებანი

X-XI

წელიწდეული

„საისტორიო ძიებანის“ X-XI ტომი (2007-2008) ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების 100 წლისთავს. მასში დაბეჭდილია სტატიები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, პოლიტოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე და ა.შ.

კრებული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

მთავარი რედაქტორი

ზურაბ პაპასქირი

სარედაქციო კოლეგია: თენგიზ ანთელავა, ჯამბულ ანჩაბაძე, ჯონი აფაქიძე, ლია ახალაძე, მალხაზ ბარამიძე, მეუფე დანიელი (ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი), ბორის კვარაცხელია, ავთანდილ კილასონია, თეიმურაზ პაპასქირი, ოთარ ჟორდანიანი, დავით ჩიტაია, ბეჟან ხორავა, ვახტანგ ჯაფარიძე, დაზმირ ჯოჯუა

**ВСЕГРУЗИНСКОЕ ИСТОРИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
им. ЭКВИМЭ ТАКАИШВИЛИ
АБХАЗСКАЯ ОРГАНИЗАЦИЯ**

*Посвящается 100-летию
Всегрузинского Исторического Общества
им. Эквимэ Такашвили*

Исторические разыскания

Ежегодник

X-XI

Тбилиси – 2008

ISSN 1512-2085

X-XI том ежегодника *«Исторические разыскания»* посвящён 100-летию Всегрузинского Исторического Общества им. Эквтимэ Такаишвили. В нём опубликованы статьи по актуальным проблемам истории Грузии, всеобщей истории, археологии, этнологии, политологии и т.д.

Ежегодник рассчитан на специалистов и широкий круг читателей.

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР:

З. В. ПАПАСКИРИ

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Т.-Е. М. Антелава, Дж. М. Анчабадзе, Дж. Б. Апакидзе, Л. В. Ахаладзе, М. В. Барамидзе, Владыка Даниил (Митрополит Цхум-Абхазский), В. М. Джапаридзе, Д. Ю. Джоджуа, О. К. Жордания, Б. Е. Кварацхелия, А. М. Киласония, Т. З. Папаскири, Б. К. Хорава, Д. Ш. Читаия

Адрес редакции:

Г. Тбилиси, 0186, ул. Джикия 9

Тел.: 54-14-12

e-mail: saistoriodziebani@gmail.com

web-site: <http://saistoriodziebani.googlepages.com>

© Абхазская организация Всегрузинского Исторического Общества им. Эквтимэ Такаишвили

**GEORGIAN HISTORICAL SOCIETY
BY EKVTIME TAKAISHVILI
ABKHAZIAN ORGANIZATION**

*To the 100 Year anniversary
of All-Georgian Historical Society
by Ekvtime Takaishvili*

HISTORICAL RESEARCHES

Annual

X-XI

Tbilisi – 2008

ISSN 1512-2085

Volume X-XI of *“Historical Researches”*, the annual of the Abkhazian Organization of All-Georgian Historical Society by Ekvtime Takaishvili is dedicated to the 100 year anniversary of the All-Georgian Historical Society by Ekvtime Takaishvili. The papers on the significant issues in history of Georgia, world history, archaeology, ethnology, political sciences, etc. are published in this edition.

The annual is intended for the specialists and general readers.

EDITOR-IN-CHIEF: ZURAB PAPASKIRI

EDITORIAL BOARD: Jambul Anchabadze, Lia Akhaladze, Tengiz (Estate) Antelava, John Apakidze, Malkhaz Baramidze, David Chitaia, Metropolitan of Tskhum-Abkhazia Daniel, Vakhtang Djaparidze, Dazmir Djodjua, Otar Jordania, Bejan Khorava, Boris Kvaratskhelia, Avtandil Kilasonia, Teimuraz Papaskiri

Address:

9 Jikia str.,

Tbilisi, 0186, Georgia

Tel.: **54-14-12**

e-mail: **saistoriodziebani@gmail.com**

web-site: **<http://saistoriodziebani.googlepages.com>**

© Abkhazian Organization of All-Georgian Historical Society by Ekvtime Takaishvili

შინაარსი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება – 100

როინ მეტრეველი. სააკადემიო საქმიანობის სათავე	13
საქართველოს ისტორია	
კახაბერ ფიფია. პართია-იბერიის ბრძოლა სომხეთისათვის II. 30-50-იანი წლების დამდეგს	29
ნათია ფიფია. მთიელთა <i>receptio</i> დასავლეთ საქართველოში (ინგლისურ ენაზე)	40
ლია ახალაძე. კონსტანტინე III „აფხაზთა“ მეფე	48
ზურაბ პაპასქირი. თანამედროვე აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სოციალურ-კულტურული იერ-სახე XVI-XVII საუკუნეებში (რუსულ ენაზე)	61
ჯაბა სამუშია. ციხე-სიმაგრეების ალების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში	87
ლერი თავაძე. საქართველოსა და ერზინკის საამიროს ურთიერთობა ბაგრატ V დიდის ხანაში	101
აკაკი ჩიქობავა. ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომი და სოხუმის საკითხი	119
გივი როგავა. „ძველი“ ანუ „ისტორიულ“ აფხაზთა (XVII საუკუნემდე) ეთნიკური ქართველობის მამტიკიცებელ არგუმენტთა ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ	128
კახა კვამილავა. სამურზაყანო ლევან შარვაშიძეს მმართველობის პერიოდში. 1757-1789	142
აეთანდლე კილასონია. ოსმალეთი – ადამიანთ ვაჭრობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში	176
აპოლონ თაბუაშვილი. სამართალწარმოება XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში	188
ზაზა წურწუშია. ოსმალეთის პოლიტიკური გაბატონება აფხაზეთში XVIII საუკუნეში	200
გურამ კუტალაძე, გიორგი ჟუჟუნაშვილი. ერთი ძველი, ახლადრეანიმიზებული იდეის გამო	222
ჯამბულ ანჩაბაძე. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა აგრარულ სფეროში	241
თეა კუბლაშვილი. აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის 1918-1921 წლებში	255
მერაბ კალანდაძე. საქართველოზე კენის სულის აღზევებამ გადაისრიალა	276
გიორგი გაფრინდაშვილი. დასავლეთი – ქართული სახელმწიფოს ისტორიული არჩევანი	284

მსოფლიო ისტორია

მიხეილ ქართველიშვილი. ცივილიზაციის შესწავლის საკითხები ფერნან ბროდელის „ <i>ცივილიზაციათა გრამატიკის</i> “ მიხედვით	295
ესტატე (თენგიზ) ანთელავა. უზუნ-ჰაჯი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლის საკითხი დენიკინის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ	301
ფატი შეყლაშვილი. გერმანიის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში 1919-1933 წლებში	328
თეიმურაზ პაპასქერი. რუსულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე ერთი დისკუსიის გამო	337
არკადი მაძუა. კონსერვატიულ-ლიბერალური კონცეფცია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში	375
ნანი გელოვანი. ისლამური ფაქტორი საუდის არაბეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებში	390

არქეოლოგია, ეთნოლოგია

მარინე ფუთურიძე. ტორევეტიკის ფორმირებისა და განვითარების ზოგიერთი პრობლემური საკითხი თრიალეთურ კულტურაში	403
ვახტანგ ჯაფარიძე. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთი) ზოგიერთი არქეოლოგიური პრობლემის შესახებ (რუსულ ენაზე)	417
თემურ თოდუა. ლაზიკა-ეგრისი და ბიზანტია იუსტინიანეს ეპოქაში არქეოლოგიური მასალების მიხედვით	434
ზვიად კვიციანი. ირან-ბიზანტიის ომები და სვანეთის საკითხი. <i>წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების შუქზე</i>	449
დავით ჭითანავა. ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი „ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისათვის	462

პოლიტოლოგია, სოციოლოგია

დაზმირ ჯოჯუა. „ატომური დიპლომატია“ და ბირთვული ფაქტორი XX საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკაში	473
ალექსანდრე წურწუშია. რუსეთის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები	495

კრიტიკა, ბიბლიოგრაფია

თეიმურაზ პაპასქერი. მეტად საჭირო წიგნი მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიაზე	505
---	-----

კვალი ნათელი

მერი გაბელავა. არჩილ ათანელიშვილი – ისტორიკოსი, პედაგოგი, მთარგმნელი	515
ავტორები	522

С о д е р ж а н и е

Всегрузинскому Историческому Обществу им. Эквтимэ Такаишвили – 100 лет

Роин Метревели. У истоков академической деятельности 13

История Грузии

Кахабер Пипия. Парфяно-иберийская борьба за Армению в 30-50-х годах I века	29
Натия Пипия. <i>Rescriptio</i> горских племён в Западной Грузии (на англ. яз.)	40
Лиа Ахаладзе. Константин III царь «абхазов»	48
Зураб Папаскири. Этнодемографический, политико-государственный и социально-культурный облик современной Абхазии в XVI-XVIIвв.	61
Джаба Самушия. Искусство взятия крепостей в Грузии в XI-XIIIвв.	87
Лери Тавадзе. Взаимоотношения Грузии и Эрзинкского Эмирата в эпоху Баграта V-го Великого	101
Акакий Чикобава. Ирано-турецкая война 1578-1590гг. и сухумский вопрос	119
Гиви Рогава. Ещё раз о принадлежности «древних», или «истинных» (до XVIIв.) абхазов к этническим грузинам	119
Каха Квашилава. Самурзакано в период правления Левана Шарвашидзе (1757-1789)	142
Автандил Киласония. Османская Турция – вдохновитель и организатор торговли людьми в Грузии в XVI-XVII веках	142
Аполлон Табуашвили. Судопроизводство в Картл-Кახетинском царстве во II половине XVIII века	142
Заза Цурцумия. Установление османского господства в Абхазии в XVIII веке	200
Гурам Куталадзе, Георгий Жужунашвили. Об одной старой, но вновь реанимированной идее	222
Джамбул Анчабадзе. Политика правительства Грузинской Демократической Республики в аграрной сфере	241
Теа Кублашвили. О статусе Абхазии в 1918-1921 годах	255
Мераб Каландадзе. Над Грузией прошёл дух Каина	276
Гиорги Гаприндашвили. Запад – исторический выбор грузинского государства	284

Всемирная история

Михаил Картвелишвили. Вопросы изучения цивилизации по «Грамматике цивилизаций» Фернана Броделя	295
Евстафий (Тенгиз) Антелава. Узун-Хаджи и борьба горцев Северного Кавказа против оккупационного режима Деникина	301

Пати Шеклашвили. Планы Германии в отношении Юго-Восточной Европы в годы Веймарской Республики.....	328
Теймураз Папаскири. Об одной дискуссии в русской историографии	328
Аркадий Дзадзуа. Консервативно-либеральная концепция во внешней политике США	375
Нани Геловани. Исламский фактор в отношениях между Саудовской Аравией и США	390

Археология, этнография

Марина Путуридзе. О некоторых проблемных вопросах формирования и развития торевтики Триалетской культуры.....	403
Вахтанг Джапаридзе. О некоторых проблемах археологии Северо-Западной Колхиды (<i>Абхазия</i>)	417
Темур Тодуа. Юстиниан и Эгриси. <i>По материалам археологии</i>	434
Звиад Квициани. Ирано-византийские войны и вопрос о Сванети. <i>По письменным источникам и археологическим материалам</i>	417
Давид Читанава. Для первичного значения высшего божества грузинского пантеона – <i>«Гмерти»</i> (Бог)	462

Политология, социология

Дазмир Джоджуа. «Атомная дипломатия» и ядерный фактор в международной политике XX века.....	473
Александр Цурцумия. Внешнеполитические приоритеты России	495

Критика, библиография

Теймураз Папаскири. Нужная книга о дипломатии Второй мировой войны	505
---	-----

След неизгладимый

Мери Габедава. Арчил Атанелишвили – историк, педагог, переводчик	515
Авторы	522

C o n t e n t s

To the 100 year Anniversary of All-Georgian Historical Society By Ekvtime Takaishvili

H i s t o r y o f G e o r g i a

Roin Metreveli. At the Origins of the Academic Activity	13
Kakhaber Pipia. Parthian-Iberian Fight over Armenia in 30-50's A.D.	29
Natia Phiphia. <i>Receptio</i> of the Highlanders in the Western Georgia	40
Lia Akhaladze. The King of Abkhazs Konstantine III	48
Zurab Papaskiri. The Ethno-Demographic, State-Political, and Socio-Cultural Character of the Present-Day Abkhazia in 16-17 th Centuries (in Russian)	61
Jaba Samushia. The Art of Capturing Fortresses in the 11-12 th Century Georgia	87
Leri Tavadze. Georgia and Its Relationship with the Emirate of Erzincan during the Age of Bagrat V the Great.....	101
Akaki Chikobava. Ottoman-Persian War of 1578-1590 and the Issue of Sokhumi	119
Givi Rogava. Once Again on the Belonging of the “Ancient” or “True” (Before the 17 th Century) Abkhazs to the Ethnic Georgians	128
Kakha Kvashilava. Samurzakano during the Rule of Levan Sharvashidze (1757-1789).....	142
Avtandil Kilasonia. Ottoman Turkey – Inspirer and Organizer of the Trade in People in Georgia in 16-17 th Centuries	176
Apollon Tabuashvili. The Legal Procedure in the Kartli-Kakheti Kingdom in the Second Half of the 18 th Century	188
Zaza Tsurtsunia. The Establishment of the Ottoman Rule in Abkhazia in the 18 th Century	200
Guram Kutaladze, Giorgi Zhuzhunashvili. On One Old, but Revived Idea	222
Djambul Anchabadze. Agrarian Policy of the Government of Georgian Democratic Republic	241
Téa Kublashvili. On the Status of Abkhazia in 1918-1921	255
Merab Kalandadze. The Soul of Cain Slipped over Georgia	276
Giorgi Gaprindashvili. West – the Historical Choice of Georgian State	284

W o r l d H i s t o r y

Mikheil Kartvelichvili. The Issues of Studying the Civilization according Fernand Braudel’s “The Grammar of Civilizations”	295
--	-----

Estate (Tengiz) Antelava. Usun-Hadji and the Fight of the North Caucasian Highlanders Against Denikin’s Occupation Regime	301
Pati Scheklaschwili. The German Plans Regarding the South-Eastern Europe during the Years of Weimar Republic	328
Teimuraz Papaskiri. About One Debate in the Russian Historiography	337
Arkadi Dzadzua. Conservative-Liberal Concept in the US Foreign Policy	375
Nana Gelovani. Islamic Factor in the Relations of Saudi Arabia and the USA	390

A r c h a e o l o g y , E t h n o l o g y

Marina Puturidze. Some Problematic Issues of Formation and Development of Toreutic of the Trialeti Culture	403
Vakhtang Djaparidze. On Some Archaeological Problems Of North-Western Colchis. <i>Abkhazia</i> (in Russian)	417
Temur Todua. Justinian and Egrisi. <i>According to the Archaeological Data</i> ..	434
Zviad Kvitsiani. Iran-Byzantine Wars and the Issue of Svaneti. <i>In the Light of Written Sources and Archaeological Data</i>	449
David Chitanava. To the Initial Meaning of the Supreme Divine Being of Georgian Pantheon – “Ghmerti” (God)	462

P o l i t i c a l S c i e n c e s , S o c i o l o g y

Dazmir Djodjua. “Nuclear Diplomacy” and the Nuclear Factor in the International Policy in the 20 th Century	473
Alexandre Tsurtsumia. Foreign Policy Priorities of Russia	495

C r i t i c i s m , B i b l i o g r a p h y

Teimuraz Papaskiri. A Significant Collection on the World War II Diplomacy	505
---	-----

B l e s s e d M e m o r y

Mary Gabedava. Archil Athanelishvili – Historian, Pedagog, Translator	505
Authors	522

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოება – 100**

როინ მებრეშვილი

სააკადემიო საქმიანობის სათავე

სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისადმი ღტოლვა ქართველ ხალხში უძველესი დროიდან იყო. ამაზე ნათლად მეტყველებს ის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა (კოლხეთის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, მონასტრებთან არსებული სკოლები და სხვ.). ქვეყნისა და საზოგადოების წინსვლასთან ერთად მეცნიერებისაკენ სწრაფვა თანდათან იზრდებოდა. ეს ამკარად გამოჩნდა XIXს. მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ასი წელი შესრულდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებიდან, საზოგადოებისა, რომელმაც XXს. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ეს საზოგადოება მოწოდებული იყო საქართველოს ისტორიის კვლევის, მისი ხალხის ყოფაცხოვრებისა და ტრადიციების შესწავლის, ხელოვნების ძეგლების გამომზეურების, აზომვის, ავეგმვის, ეკლესიათა ფრესკების გადმოღების, ნუმისმატიკური მასალის შეგროვება-შესწავლის, სამუზეუმო და საგამომცემლო საქმის ფართოდ გაშლისთვის.

თავის დროზე ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელიც 1879 წელს შეიქმნა და დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

ისეთი ძველი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, როგორც საქართველო იყო, ცხადია, სათანადო მეცნიერული შესწავლა სჭირდებოდა. მრავალი ხუროთმოძღვრებისა და სხვა სახის კულტურის ძეგლი გადამრჩენელს, ხოლო ხალხური შემოქმედება შემკრებ-შემსწავლელს ელოდა; სიძველეთა უნიკალურ ნიმუშებს გამოძიებურება და მსოფლიო თვალსაწიერზე გატანა სჭირდებოდა. ყველა ამ მიზნის განხორციელებას ისახავდა მიზნად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც 1907 წელს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა.

საზოგადოებამ დაარსების უმაღლესი შემოიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია და ერის ისტორიის, მისი მატერიალური კულტურის შესწავლისა და დაცვა-შენახვის სამსახურში ჩააყენა. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და კიდევ მრავალი მოღვაწე ამიერიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფრთებქვეშ იწყებს მოღვაწეობას.

საზოგადოების დამფუძნებელი კრება ასი წლის წინ, 1907წ. 20 სექტემბერს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში. არჩეული იქნა საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად დავით კარიჭაშვილი, ხაზინადრად ალექსანდრე სარაჯიშვილი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველად ილია ფერაძე, მდივად – სერგი გორგაძე; წევრები: ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე, წევრობის კანდიდატები: კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მდივანი, კორნელი კეკელიძე; სარევიზიო კომისია: ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი.

კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელშიც მიზნები და ამოცანები იყო დასახული. პირველ პარაგრაფშივე ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მიზნად ისახავდა შეესწავლა, შეეგროვებინა

და შეენახა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა. საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელიც თავს მოუყრიდა და დაიცავდა ნივთიერ მასალასა და ხელნაწერებს, კავკასიათმცოდნეობაში დაბეჭდილ წიგნებს. განზრახული იყო ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნახატების, ნოტების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვ.

საზოგადოებას უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, დახმარებოდა მეცნიერებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესწავლაში. საზოგადოების მიზანი იყო არ გაეშვა თავისი თვალსაწიერიდან წარსულის ნაშთები. საჭირო შემთხვევაში მთელი პრინციპულობით დაესვა საკითხი არქეოლოგიური საზოგადოებებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა წინაშე კავკასიის სიძველეთა დაცვის შესახებ. თვითონ კი მოწოდებული იყო საჭირო შემთხვევაში შეძლებისდაგვარად დაეცვა, განეახლებინა და აღედგინა ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები. დროდადრო უნდა გამართულიყო ეთნოგრაფიული და სიძველეთა კოლექციების გამოფენები, ჩატარებულიყო საეთნოგრაფიო და სამუსიკო საღამოები.

ექვთიმე თაყაიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში შემოიკრიბა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ ისტორიის მკვლევარები და ცალკეული შეძლებული არისტოკრატები, სასულიერო თუ სამხედრო პირები.

საზოგადოების წევრები სხვადასხვა სახისა იყვნენ:

- ა) მზრუნავნი;
- ბ) საპატიონი;
- გ) ნამდვილნი;
- დ) კორესპონდენტნი;
- ე) დამხმარენი.

მზრუნავნი, წესდების შესაბამისად, ის პირნი იყვნენ, ვინც საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლიურად გადაიხდიდა არ-

ანაკლებ 600 მანეთს, ან ერთდროულად შეიტანდნენ 6000 მანეთს; საპატიო წევრად იმ პირებს ირჩევდნენ, ვინც თავისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევით, ან სხვა განსაკუთრებული სამსახურით გამოიჩინდა თავს (საპატიო წევრის წოდება შეიძლებოდა მზრუნველსაც მიჰკუთვნებოდა). ნამდვილი წევრები კავკასიის ისტორიის კვლევა-ძიებას ეწეოდნენ, ან სხვა სამსახურს უწევდნენ საზოგადოებას. ისინი ყოველწლიურად იხდიდნენ 3-3 მანეთს (ან ერთდროულად 50 მანეთს). კორესპონდენტები უმთავრესად დედაქალაქის გარეთ ცხოვრობდნენ და აწოდებდნენ სხვადასხვა მასალებს. დამხმარე წევრი წელიწადში 1 მანეთს იხდიდა (ან ერთდროულად 30 მანეთს).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას განაგებდა საზოგადოების კრება და საბჭო. საზოგადოების კრება იყო ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი და წლიური. ჩვეულებრივ კრებას იწვევდა თავმჯდომარე საჭიროებისამებრ (არანაკლებ ერთი კრებისა თვეში). კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ საინფორმაციო მასალა იბეჭდებოდა გაზეთებში. ჩვეულებრივ კრებას ყველა მსურველი ესწრებოდა. არაჩვეულებრივი (დახურული) კრების მოწვევის ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. იგი საჭირო შემთხვევაში ინიშნებოდა თავმჯდომარის მიერ, ან საზოგადოების ხუთი წევრის მოთხოვნით. მას ესწრებოდნენ მზრუნავნი, საპატიონი და ნამდვილი წევრები. კრებაზე ხდებოდა საზოგადოების კერძო საქმეების განხილვა და მზრუნავის, საპატიო და ნამდვილი წევრების არჩევა. წლიური კრება წელიწადში ერთხელ იმართებოდა საჯაროდ და ისმენდა საზოგადოების საქმიანობის წლიურ ანგარიშს. საზოგადოების წლიური კრება საბჭოს ირჩევდა 3 წლის ვადით.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის შექმნას დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაელო მისთვის. 1907წ. 20 სექტემბერს, ე. ი. დაფუძნების პერიოდში, საზოგადოება 38 წევრს ითვლიდა, სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, 1907წ. 8 ნოემბერს,

მეორე არაჩვეულებრივმა კრებამ ამ რიცხვის მკვეთრად გაზრდა დაადასტურა – საზოგადოება 207 კაცით გაიზარდა. ახალ წევრთა შორის იყვნენ მეცნიერები: ნიკო მარი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე თარხნიშვილი და სხვ. მწერლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია ერისთავ-ზომტარია; ხელოვნების მუშაკები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი; სასულიერო პირები: ეპისკოპოსები ალექსანდრე, ლეონიდი, კირიონი, გიორგი, პეტრე და დავითი; არქიმანდრიტები: პიროს ოქროპირიძე და ღოსითეოზ ბერძენიშვილი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ორგანიზებულად სწრაფად განმტკიცდა. საზოგადოებაში თავი მოიყარა თითქმის მთელმა ქართულმა მოწინავე ინტელიგენციამ. ფართო ხასიათის მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებას. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება, როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“.

სხვა საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების კრებებს, სადაც იმ დროს გამოჩენილი ქართველი მეცნიერები დამსწრე საზოგადოებას აცნობდნენ თავიანთი გამოკვლევების შედეგებს. იმართებოდა ცალკეული პრობლემების შესახებ მოხსენებების განხილვა. ამგვარი განხილვები პრინციპულ ხასიათს ატარებდა, გზას უკაფავდა სწორ მეცნიერულ აზრს.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა სახის ექსპედიციების (როგორც თვითონ უწოდებდნენ, ექსკურსიების) მოწყობას. მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს მდიდარი წარსულის და მეტად საინტერესო აწყობის შესწავლა კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა. საზოგადოება თავისი დაარსების უმაღლესი შეუღლა ამ საქმიანობას და მის წევრებს საშუალება მისცა მრავლად მოეწყოთ ექსპედიცია-ექსკურსიები, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური

და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა (გეგმების, სურათების გამოცემა), ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება. ყველა ამ საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

საზოგადოებამ იმთავითვე დაისახა მიზნად ქართული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც თავი მოეყრებოდა „ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწინდელის საქართველოს და ახლანდელი ქართველი ტომების, ისე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ“.

ექვთიმე თაყაიშვილს საშურ საქმედ მიაჩნდა ეროვნული მუზეუმის დაარსება. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ სახელმძღვანელო იერარქიაში იმთავითვე იყო ადგილი მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველისა. სამუზეუმოდ ჯერ ერთი ოთახი მიიღეს სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე, უფრო გვიან ამ შენობის მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე დაიკავეს. საზოგადოებამ დიდი მუშაობა გაშალა სამუზეუმოდ ექსპონატებისა და სხვადასხვა (ხელნაწერი, ნაბეჭდი) წიგნების მოსაპოვებლად. 1909წ. 1 იანვრისთვის წიგნოსაცავში 44 ხელნაწერი და 95 ნაბეჭდი წიგნი იყო.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები კარგად გრძნობდნენ მუზეუმ-წიგნოსაცავის პერსპექტივას ჩვენში და იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ საჭირო იყო საგანგებო შენობის აგება. ამ საქმეს, რასაკვირველია, დიდი ფულადი სახსრები სჭირდებოდა და საჭირო იყო საქმიანობის გაშლა თანხების მოსაზიდად.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, დიდი მწერლის სახელის უკვდავსაყოფად დასახულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ფარგლებში ილიას ფონდის დაარსება. რისთვის უნდა გამოყენებულიყო ეს ფონდი? ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით „...ახლავე უნდა გვქონდეს გარკვეული – რა უფრო გვჭირდება ამჟამად, რას უნდა მოხმარდეს ყვე-

ლაზე ადრე, ყველაზე უპირატესად ეს ფონდი, რის დაარსება უფრო შესაფერია ილია ჭავჭავაძის სახსოვრად? ჩვენის აზრით, ამჟამად ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული მუზეუმის აშენება“.

ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ მუზეუმში უნდა შეკრებილიყო მთელი ის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები, რომლებიც მანამდე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ინახებოდა. მუზეუმში უნდა შექმნილიყო ილიას დარბაზი, სადაც გამოფენილი იქნებოდა მისი ბიუსტი, სურათები, ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ თვითვე უნდა შესდგომოდნენ მუზეუმის აშენებას, რასაც უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ბაქრაძისა და რაფიელ ერისთავის ფონდებში არსებული თანხები (ილია ჭავჭავაძის ფონდთან ერთად).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მთლიანად უჭერდა მხარს თავისი თავმჯდომარის მცდელობას მუზეუმის დაარსებისათვის. ეს საერთო საქმე იყო, ყველა ქართველის, ყველა ეროვნული და კულტურული საზოგადოების დიდი საქმე, და 1909 წლის მიწურულს შეიქმნა სამუზეუმო კომისია, რომლის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი აირჩიეს.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას, გარდა მატერიალური სახსრებისა, მთავრობის ნებართვაც სჭირდებოდა, რაც არც ისე ადვილი იყო. საზოგადოებამ, დიდი მცდელობის შემდეგ, ბიბლიოთეკის დაარსების ოფიციალური ნებართვა მხოლოდ 1911წ. 5 დეკემბერს მიიღო, მუზეუმისა კი 1912წ. 24 იანვარს. ვიდრე მუზეუმისა და წიგნთსაცავის დაარსების საკითხი წყდებოდა, სამუზეუმო ექსპონატები თანდათან გროვდებოდა. ეს შემოწირულობებით ხდებოდა. 1917 წლისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰქონდა 9875 წიგნი, 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. ბევრი ხელნაწერი ეტრატზე იყო შესრულებული და სურათებით შემკული. უძველესი ხელნაწერები მეთათე საუკუნეს განეკუთვნებოდა. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი XII საუკუნისა იყო, უახლესი XIXს. დასაწყისისა. საგრძნობლად გაიზარდა სამუზეუმო ნივთების რაოდენ-

ობაც. 1917 წლისათვის საზოგადოებას ჰქონდა 2432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები (ისტორიულ პირთა პორტრეტები და სხვ.).

1912 წლიდან საზოგადოება შეუდგა ეკლესია-მონასტრების კვლებიდან ფრესკების გადმოღების ორგანიზებას. 1917 წლისათვის 73 ძველი ფრესკის პირი (ფაქსიმილე) მოეპოვებოდა საზოგადოებას და მუზეუმის ცალკე განყოფილებას შეადგენდა. აქ იყო: ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ნაბახტვეის, ჯელეთის, ნაყურალეშის, ვანის, გარეჯის, ბერთუბნის, ხახულის, ოშკის, იშხანის, ტაბაკინის, ნეკრესისა და საბუის ტაძართა ფრესკები.

შეგროვდა მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური კოლექცია. ქართული მონეტების კოლექცია შედგა: იაკობ სერგის ძე მედვედვისაგან შესყიდული მონეტების, ექვთიმე თაყაიშვილის კოლექციისა და კირიონ II-ის კოლექციისაგან, და ამგვარად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც სათანადოდ დამუშავდა და განლაგდა. კოლექციის მოწესრიგებას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ნუმიზმატმა ეგვანი ალექსანდრეს ძე პახომოვმა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები. ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ ქუთაისში, გურჯაანში, ბათუმში, ახალციხეში თავისი ჯგუფები შექმნა. თავის მხრივ, საზოგადოებამ გამოყო აგენტები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, იზიდავდნენ და კრებდნენ საწევრო გადასახადს, აგროვებდნენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს. ასეთი აგენტები საზოგადოებას უკვე 1908 წლიდან ჰყავდა: ქუთაისში – იოსებ ოცხელი, ბათუმში – ილია ფერაძე, ართვინში – ნიკოლოზ ერისთავ-შარვაშიძე (ექიმი), კაკავში – იოსებ ლორთქიფანიძე, 1909 წლიდან მოსკოვში – ალექსანდრე ჯავახიშვილი, ბაქოში – ივანე ელიაშვილი, უფრო გვიან სიღნაღში – ალექსანდრე ჯორჯაძე, ჭიათურაში – გრიგოლ რუხაძე (ექიმი), მცხეთაში – სამსონ ლეჟავა (მღვდელი და ექიმი), წალენჯიხაში – სამსონ თვალთვაძე, საგარეჯოში – ნიკოლოზ ბაზერაშვილი,

ბორჯომში – პავლე ნიკიტინ-ვინოგრადოვი და მხატვარი გიორგი ხმალაძე, ერევანში – იაკობ ფხაკაძე და სხვ.

ერთი წელიც არ გასულიყო საზოგადოების შექმნიდან, რომ დავით კარიჭაშვილის წინადადებით დაარსდა ლინგვისტური განყოფილება. დაიწყო ენათმეცნიერების საკითხების ინტენსიური კვლევა. მართალია, ლინგვისტური განყოფილება გარკვეული დროის შემდეგ გაუქმდა, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა მომავალშიც წარმატებით გაგრძელდა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა ლექსოლოგიის საკითხებსაც.

1917 წლიდან 1921 წლამდე, მიუხედავად მძიმე პირობებისა, საზოგადოების მესვეურები, პირადად ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანამოაზრეები გულგაუტეხლად აგრძელებდნენ მუშაობას, იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები, იმართებოდა ექსკურსიები და ა.შ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეწყო საზოგადოების საქმიანობისათვის. ეს დახმარება უფრო ქმედითი გახდა მას შემდეგ, რაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ასე, მაგალითად, მთავრობამ 1918წ. მეორე ნახევარში საზოგადოებას 20050 მანეთი გამოუყო მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. 1919წ. მიწურულს საზოგადოებას კიდევ 120160 მანეთი გამოუყვეს. მოგვიანებით (1920წ.), საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამუხეუმო საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძვირფასი ნივთების შესაძენად ხელისუფლებამ განათლების სამინისტროს გამოუყო სამუხეუმო თანხა 1000000 მანეთის ოდენობით.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობის უპირობო აღიარება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1918წ. 9 აგვისტოს დადგენილება, რომლის თანახმადაც გაუქმდა კავკასიის საარქეოგრა-

ფიო კომისია და ყველა მისი აქტი და საბუთი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა. მთავრობის დადგენილებითვე (1918წ. 11 ნოემბერი) საზოგადოების განკარგულებაში გადავიდა ყოფილი თავად-აზნაურთა თბილისის სადეპუტატო საკრებულოს არქივიც, ხოლო ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა ქუთაისის საკრებულოს არქივი.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში საზოგადოებას რეალური მატერიალური დახმარება გაუწიეს დავით სარაჯიშვილმა, ნიკოლოზ ლოლობერიძემ, პავლე თუმანიშვილმა, აკაკი ხოშტარიამ და სხვებმა. ცნობილმა მრეწველმა და ქველმოქმედმა დავით სარაჯიშვილმა, რომლის ღვაწლი კონიაკისა და ლიქიორის წარმოების საქმეში (პირველად რუსეთის იმპერიაში) საყოველთაოდ აღიარებულია, დიდი ამაგი დასდო საზოგადოებას – დატოვა ანდერძი, რომ გაყიდულიყო მისი ექვსი მამული და აქედან შემოსული თანხის ნახევარი სტიპენდიების ფონდად გადადებულიყო, ნახევარი კი მუზეუმის აშენებას მოხმარებოდა. ნიკოლოზ ლოლობერიძემაც თავისი შემოსავალი დამუშავებული და საზღვარგარეთ გატანილი მარგანეციდან წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს უანდერძა. პავლე თუმანიშვილმა საზოგადოებას შესწირა ერთი დესეტინა მიწა ვაკეში სათავადაზნაურო გიმნაზიის მახლობლად. აკაკი ხოშტარიამ საზოგადოებას გადასცა საწევრო 6000 მანეთი და 2000 მანეთი შესწირა (იგი მზრუნველ წევრად აირჩიეს). სხვა შეძლებული ქართველებიც არ იშურებდნენ საშუალებებს და საზოგადოების სასარგებლოდ საკმაო თანხა იყრიდა თავს.

1921წ. 25 თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება კვლავ წარმატებით აგრძელებდა საქმიანობას.

მენშევიკური მთავრობის განკარგულებით მთელი სამუზეუმო ქონების საფრანგეთში წაღება გადაწყდა. სამუზეუმო ძვირფასეულობის მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების მიერ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე

სჭირდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ თუ არა დიდი ყურადღე-
ბა, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური
კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოს-
თვის. 1921წ. 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა მეუღლესთან ნი-
ნო პალტარაცკაიასთან ერთად დატოვა საქართველო და კარგა
ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა.

1922 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადო-
ებას სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. ამიერიდან ახალი ძა-
ლით დაიწყო საზოგადოების საქმიანობა, გაიზარდა მისი ავტო-
რიტეტი, საზოგადოებას დღითიდღე ახალი, მძლავრი მეცნიერუ-
ლი ძალები ემატებოდა. განსაკუთრებულად მკვეთრად გამოჩნდა
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი მაშინ,
როცა ანტირელიგიური პროპაგანდის პირობებში საქართველოს
ზოგიერთ რაიონში მატერიალური კულტურის ძეგლების განად-
გურება დაიწყო. იღუპებოდა ხელოვნების უძველესი ნიმუშები,
რომლებიც ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა.

არაერთი შემამფოთებელი ცნობა მიიღო საქართველოს
მთავრობამ, როგორც ცალკეული პირების, ისე ოფიციალური და-
წესებულებებისაგან, სხვადასხვა ისტორიულ ძეგლთა იავარყოფის
შესახებ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ საგანგებო
დადგენილება მიიღო საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის
შესახებ. ისტორიული ძეგლების გადარჩენის საქმეში ფართოდ ჩა-
ებნენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოე-
ბის წევრები (აკაკი შანიძე, შალვა ამირანაშვილი, ვუკოლ ბერიძე
და სხვ.) და მათ დიდი სასარგებლო მუშაობაც ჩაატარეს.

1924წ. თებერვალში შეიქმნა საზოგადოების არქეოლოგიუ-
რი სექცია, რომლის მიზანი იყო ზედამხედველობის გარეშე და-
ტოვებული აღუნუსხავი სიძველენი მოეყვანა წესრიგში. დაისვა
საკითხი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსაგდურისათვის არხის
გაყვანისას აღმოჩენილი უძველესი საფლავის შესწავლის შესა-
ხებ. გათხრების საკითხი მიენდო გიორგი ჩუბინაშვილს, გიორგი
ბოჭორიძესა და შალვა ამირანაშვილს. საარქეოლოგიო სექციის
თვალსაწიერში მოექცა ჩვენში არსებული თითქმის ყველა მნიშ-
ვნელოვანი ძეგლი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაფუძნების უმაღლეს დარსდა გამოცემათა ორი სერია: „*ძველი საქართველო*“ და „*საქართველოს სიძველენი*“. პირველ მათგანში იბეჭდებოდა რეფერატები, გამოკვლევები, სხვადასხვა საისტორიო, სალიტერატურო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალები. მეორეში: სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა ძეგლები. ძირითადი გამოცემების გარდა, საზოგადოებამ ცალკე წიგნებად გამოსცა: 1909 წელს „*პალეოგრაფიული ალბომის*“ პირველი რვეული (ბაგრატ IV-ის გუჯარი, დავით IV-ის სიგელი), 1920 წელს მეორე რვეული. 1918 წელს „*ხალხური სიტყვიერების*“ მეორე წიგნი, 1916 წელს „*ძველი ქართული მწერლობის*“ პირველი ტომი, რომელშიც შევიდა შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. საზოგადოებამ გამოსცა აკაკი წერეთლის ცალკეული თხზულებანი. უსახსრობის გამო „*ძველი საქართველოს*“ გამოცემა ერთხანს შეჩერდა. მის ნაცვლად 1926 წელს გამოვიდა „*მიძომხილველი*“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ავტორიტეტი, მისი საქმიანობის მიზანსწრაფული მიმართულება თუ ღრმა ეროვნული და მეცნიერული შინაარსი დიდად განაპირობეს გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც საზოგადოების დაარსებიდან მოკიდებული დღენიდან მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ. საზოგადოებას ოთხი საპატიო წევრი ჰყავდა: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი და ნიკო მარი. სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით თავდადებით იღვწოდა ვაჟა-ფშაველა. მას განსაკუთრებით ხალხური ადათ-ჩვევების აღწერა და კვლევა იტაცებდა. იგი კრებდა და სწავლობდა ხალხურ პოეზიას. არ არის შემთხვევითი, რომ ვაჟამ თავისი ნაშრომი „*ფშაველი და მისი წუთისოფელი*“ (ეთნოგრაფიული მოთხრობა) დაბეჭდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „*ძველი საქართველო*“.

ხაზგასმულად უნდა ითქვას, რომ განუზომელია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ

დიდი, არსებითი ღვაწლი დასდეს პეტერბურგში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის დაარსებას. სწორედ ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამდგომნი არიან ამ საქმის პრაქტიკულად დამგვირგვინებლები. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა იყო უპირველესად სწორედ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახით, რომელიც თავისი შინაარსითა და ოფიციალური აღიარებით „ერთადერთი აკადემიური დაწესებულება იყო, ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც“. ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის იყვნენ საზოგადოების წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე და სხვები.

ჩვენში XX ს. ოციანი წლების მეორე ნახევარში ახალი ამოცანები დაისახა მეცნიერების წინაშეც. ის ფუნქციები, რომლებსაც წლების მანძილზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ასრულებდა, სხვადასხვა დაწესებულებებზე განაწილდა. ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა. თბილისის უნივერსიტეტის კათედრები და სხვადასხვა საზოგადოებები (ენათმეცნიერების, გეოგრაფიული და სხვა) თვითონ აწარმოებდნენ ცალკეული, მათთვის საინტერესო პრობლემების კვლევას. მართალია, კვლავ ტარდებოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებები, რომლებზეც სხვადასხვა მოხსენებებს ისმენდნენ და სხვა ხასიათის სამუშაოებიც მიმდინარეობდა, მაგრამ არა ძველებური ინტენსივობით, იკლო თვით საზოგადოების წევრთა რიცხვმაც. საზოგადოების საქმიანობის 1932 წლის შემდგომი პერიოდის საბუთები არ არსებობს. როგორც ჩანს, ამ დროიდან (1931-32 წწ.) საზოგადოებამ პრაქტიკულად საქმიანობა შეწყვიტა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი არსებობის მთელ მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში, განუზომელია საზოგადოების როლი ისტორიული ძეგლების დაცვაში. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ სხვადასხვა სახის ისტორიული

ნივთი თუ ხუროთმოძღვრების არაერთი ძეგლი გადარჩა განადგურებას: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შემოიკრიბა იმდროინდელი მთელი მოწინავე სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენცია, რომლისთვისაც თვითონ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. თავისი მეცნიერული მოხსენებებით, საექსპედიციო საქმიანობით, მუზეუმისა და წიგნთსაცავის გამართვით, საგამომცემლო მოღვაწეობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების 100 წლისთავზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას მემკვიდრეები ჰყავს არაერთი სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით. არსებობს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი. ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ერთეულისათვის სანიმუშო მაგალითია მისი წინაპრის, წინამორბედი ორგანიზაციის – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მისი წევრების შემართებული საქმიანობა ქვეყნის ისტორიული წარსულის გამოწვლილვით შესწავლისათვის.

РОИН МЕТРЕВЕЛИ

У ИСТОКОВ АКАДЕМИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Статья посвящена 100-летию основания Грузинского общества истории и этнографии. В ней вкратце освещена многогранная плодотворная деятельность, основанной 20-го сентября 1907г. по инициативе выдающегося грузинского учёного и национального деятеля Эквтимэ Такайшвили общественной организации в сфере изучения истории Грузии, быта грузин, памятников искусства и т.д. Отмечено, что Грузинское общество истории и этнографии оставило неизгладимый след в истории грузинской науки и культуры. Оно по существу было первым и единственным в Грузии учреждением типа академии. Неизмерима роль Общества в деле охраны древностей. Благодаря его усилиям ряд памятников материальной культуры были спасены от гибели. Грузинское общество истории и этнографии сплотило вокруг себя всю передовую научную и творческую интеллигенцию, превратившись в важный центр духовной жизни народа.

ROIN METREVELI

AT THE ORIGINS OF THE ACADEMIC ACTIVITY

The paper is dedicated to the 100-year anniversary of the foundation of Georgian Historical and Ethnographical Society. It briefly describes the multifaceted fruitful activity of the public organization, which was founded on September 20, 1907 on the initiative of famous Georgian scholar and national figure Eqvtime Takai-shvili. It is mentioned that the Georgian Historical and Ethnographical Society, which was studying history of Georgia, the art monuments, the way of life of Georgians, etc., left a great imprint in the history of Georgian science and culture. It was the the first and the only academy-type institution in Georgia. Its contribution to the preservation of the antiquities is immeasurable. The members of the Society saved a lot of monuments of material culture. The Georgian Historical and Ethnographical Society gathered the best part of Georgian intelligentsia and became a significant centre of the spiritual life in Georgia.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

კახაბერ ფიფია

**პართია-იზმრის ბრძოლა სომხეთისათვის II.
30-50-იანი წლების დამდევს**

ძვ.წ. II ს. 60-იან წლებში იბერიის სამეფო, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა, რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ იბერია „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადდა, რაც ფაქტობრივ ვასალობას ნიშნავდა, რომაელთა ამიერკავკასიაში შემოსვლა მისთვის ობიექტურად სასარგებლოც კი აღმოჩნდა.¹ პომპეუსის ლაშქრობის შედეგად მითრიდატული პონტოს ძლიერი მონარქია დაემხო, ხოლო ტიგრან II-ის „დიდი არმენია“ დაიშალა² და მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. ძვ.წ. II ს. 50-იანი წლების ბოლოდან კი, პართია-რომის დაპირისპირების დაწყებისა და წინა აზიაში „პოლიტიკური დუალიზმის“ სისტემის³ ჩამოყალიბების შემდეგ, არმენია გახდა „ბუფერული“ სამეფო, რომსა და პართიას შორის გაუთავებელი და სისხლისმღვრელი ომების ძირითადი ასპარეზი.⁴

¹ **ბ. ლომოური.** საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან. – *ქართული დიპლომატია*, I. თბ., 1994, გვ. 52; **Н. Ю. Ломоурн.** Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 115.

² **App. Mithr.**, 114-118; **კ. ფიფია.** რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. პოლიტიკური ურთიერთობები. თბ., 2005, გვ. 30.

³ ამის შესახებ დაწვრი. იხ. **კ. ფიფია.** პართია-რომის ურთიერთობა ძვ. წ. I ს. შუახანებში და „პოლიტიკური დუალიზმის“ სისტემის შექმნა წინა აზიაში. – *კავკასიის მაცნე*, XII. თბ., 2005, გვ. 67-70.

⁴ **Я. А. Манандян.** Тигран второй и Рим. Ереван, 1943, გვ. 202-215; *История армянского народа*, ч. I. Под редакцией **Б. Н. Аракеяна** и **А. Р. Иоаннисяна.** Ереван, 1951, გვ. 50-55.

მძლავრი მეზობლების დაცვამ იბერიას ახალი პერსპექტივები დაუსახა და მის გაძლიერებას შეუწყო ხელი. სწორედ აზიაში შექმნილი ახალი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში იწყება იბერიის სამეფოს აღმავლობა და იგი თანდათანობით მახლობელ აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდება.¹ იბერიის მზარდი ამბიციები და პოლიტიკური გავლენის გაძლიერება განპირობებული იყო იმ ფაქტორითაც, რომ იგი აკონტროლებდა დარიალის გადმოსასვლელს, რომლის მეშვეობითაც საჭიროების შემთხვევაში შეედლო იმიერკავკასიელ მომთაბარეთა გადმოყვანა და მათი სამხედრო ძალის საკუთარი სურვილისამებრ გამოყენება.²

იბერიის მმართველი წრეები, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოყენებინათ რეგიონში შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისა და თავისი სამეფოს საზღვრების გაფართოებისათვის. ამ მხრივ ისინი იმდენად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ, რომ ახ.წ. II ს. 30-იანი წლებიდან იბრძვიან არა მარტო სომხეთის მიერ ძვ.წ. II ს. დასაწყისში მიტაცებული სამხრეთის ცალკეული ოლქების³

¹ **ბ. ლომოური.** საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან, გვ. 52; **კ. ფიფია.** ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 8-9.

² **ს. ჯანაშია.** ადრეული ფეოდალიზმი. – *შრომები*, II, თბ., 1952, გვ. 181-182; **მ. ინაძე.** კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. – *ქართული დიპლომატია*, 3, თბ., 1996, გვ. 49-54; **კ. ფიფია.** რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 29-30; **Н. Ю. Ломоури.** Грyзинo-римские взаимоотношения, გვ. 105-106.

³ ამ ტერიტორიების შესახებ იხ. **ს. ჯანაშია.** იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, – *შრომები*, II, თბ., 1952, გვ. 257-259; **ბ. ლომოური.** იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური საზღვრების ისტორიისათვის. – *მ. გორკის სახ. სოხუმის პედაგოგიკის შრომები*, VII, 1955, გვ. 3-4; **ბ. ლომოური.** რომისა და იმიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში. – *თსუ შრომები*, ტ. 77, თბ., 1959, გვ. 128; **გ. მელიქიშვილი.** ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. I, თბ., 1970, გვ. 466-467.

დასაბრუნებლად, არამედ საერთოდ მთელი სომხეთის შემოსაერთებლად. გარდა ამისა, იბერიის მეფეები რომისაგან საკმაოდ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდნენ და მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ „რომაელი ხალხის მეგობრობა-მოკავშირეობას“.¹

ის. 30-იან წლებში რომის საგარეო პოლიტიკის წინაშე კვლავ მწვავედ დადგა სომხეთის საკითხი. 34წ. გარდაიცვალა რომაელთა მიერ სომხეთის ტახტზე დასმული ზენონ-არტაშესი, რითაც ისარგებლა პართიის მეფე არტაბან III-მ (13-38წწ.) და სომხეთში თავისი ვაჟი არშაკი გაამეფა.² საპასუხოდ იმპერატორმა ტიბერიუსმა (14-37წწ.) პართიაში გასამეფებლად გაგზავნა არშაკიდთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 37-2წწ.) შეილიშვილი, რომში მცხოვრები, ტირიდატე,³ ხოლო სირიის ახალდანიშნულ ლეგატს, ლუციუს ვიტელიუსს, არტაბანის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზება დაავალა.⁴ პარალელურად ტიბერიუსმა არშაკიდთა საწინააღმდეგო დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა ამიერკავკასიაშიც. მისი გეგმით, არტაბანს პრობლემები უნდა შექმნოდა როგორც საკუთრივ პართიაში, ასევე სომხეთშიც და ეს უკანასკნელი, საბოლოოდ უნდა გათავისუფლებულიყო პართიის გავლენისაგან. მაგრამ სომხეთში სამხედრო მოქმედებების დასაწყებად იმპერატორს საკმარისი ძალები არ ჰყავდა. ამიტომ სომხეთის პრობლემის გადასაწყვეტად იგი ახალ ტაქტიკას ირჩევს და არმენიიდან პართელთა გასამეფებლად მეზობელი იბერიის ძალებს ეყრდნობა.

ტიბერიუსმა სომხეთში გამეფებულ არშაკის წინააღმდეგ წააქეზა იბერიის სამეფო სახლი და მის ერთ-ერთ წარმომადგენელს

¹ **ბ. ლომოური.** საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან, გვ. 52; **კ. ფიფია.**, ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო, გვ. 9; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения, გვ. 112.

² **Tac. Ann.**, VI, 31; **Sueton.** Tiberius, 41; **Jos. Flav.** Antiq. Jud., XVIII, 4,4.

³ **Tac. Ann.**, VI, 32, 37; **Cass. Dio**, LVIII, 26, 2.

⁴ **Tac. Ann.**, VI, 32, 36; **Jos. Flav.** Antiq. Jud., XVIII, 4,4.

– ფარსმან მეფის ძმას, მითრიდატეს, სომხეთის ტახტი შესთავაზა.¹ როგორც მ. ინაძე აღნიშნავს, „რომი ყოველ ღონეს მიმართავს, რათა გამოიყენოს იბერია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის. ამის მისაღწევად იგი მოხერხებულად იყენებს გაძლიერებული იბერიის მისწრაფებებს, მიმართულს თავის სამხრეთ მეზობელ არმენიაზე გავლენის გავრცელებისა და ტერიტორიული გაფართოებისაკენ“.² თავის მხრივ, იბერიის მმართველი წრეები, რათქმა უნდა, ასეთ ხელსაყრელ წინადადებაზე უარს არ იტყობდნენ და ენერგიულადაც ამოქმედდნენ. ფარსმანმა და მითრიდატემ არშაკი მისსავე მსახურებს მოაწამკლინეს და დიდძალი ლაშქრით სომხეთში შეიჭრნენ.

იბერებმა სწრაფად აიღეს არტაშატი და სომხეთის ტახტზე მითრიდატე აიყვანეს. საპასუხოდ არტაბანმა სომხეთში თავისი მეორე შვილის, თოროდის სარდლობით მრავალრიცხოვანი ჯარი გაგზავნა. ამასთან, მან იმიერკავკასიელი ნომადების დაქირავებაც სცადა.³ თუმცა, ტაციტუსის ცნობით, „ფარსმანმა დაიხმარა ალბანები, მოუწოდა სარმატებს, რომელთა სკვპტუნები, იღებენ რა საჩუქრებს ორივე მხრიდან, მამაკაპური ჩვეულების თანახმად, ორივე მხარეს ემხრობიან. მაგრამ ადგილების მფლობელმა იბერებმა კასპიის გზით⁴ სწრაფად გადმოუშვეს არმენიელების მოწინააღმდეგე სარმატები; ხოლო მათ, ვინც პართეთთან

¹ Tac. Ann., VI, 32. Sdr. Cass. Dio. LVIII, 26, 3-4.

² მ. ინაძე. იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში. – *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. I. თბ., 1955, გვ. 314.

³ Tac. Ann., VI, 33.

⁴ იგულისხმება დარიალის გასასვლელი (იხ. გ. გოზალიშვილი. კასპიის კარი. – *ენიკის მოამბე*, V-VI. თბ., 1940, გვ. 469-477; *ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ*. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ თბ., 1973, გვ. 131, შენ. 23; В. И. Модестов. Сочинения Корнелия Тацита, т. II. М., 1887, გვ. 280, შენ. 180; Корнелий Тацит. Сочинения в двух томах, т. I. Анналы, Л., 1970, გვ. 420, შენ. 48.

მიდიოდნენ, ადვილად აჩერებდნენ“.¹ გადამწყვეტ ბრძოლაში იბერებმა სასტიკად დაამარცხეს პართელები, ფარსმან მეფემ კი ორთაბრძოლაში მძიმედ დაჭრა პართელთა სარდალი ოროდი.² როგორც ტაციტუსის ცნობიდან ირკვევა, პართელთა დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა ბრძოლებში განთქმულმა სარმატთა კავალერიამ.³

არტაბანი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა სომხეთის დაკარგვას და იგი მთელი თავისი ძალებით პირადად დაიძრა არმენიიდან იბერების გასაძევებლად, თუმცა უშედეგოდ. ადგილმდებარეობის ცოლნის წყალობით იბერები უკეთ იბრძოდნენ.⁴ ამასთან არტაბანის მიერ პართიის დატოვება და მისი სომხეთში დაყოვნება რომაელთა გეგმებშიც შედიოდა.⁵ რომაულმა ლეგიონებმა ვიტელიუსის სარდლობით ევფრატი გადალახეს, ხოლო პართიაში იფეთქა კარგად მომზადებულმა აჯანყებამ. არტაბანის მმართველობით უკმაყოფილო სატრაპებმა სამეფო კარზე გატრიალება მოაწყვეს. არტაბანი იძულებული გახდა პართიის აღმოსავლეთ რაიონებში გაქცეულიყო, თუმცა მან მალევე შეძლო ძალაუფლების დაბრუნება, რის შემდეგაც 36წ. რომსა და პართიას შორის დაიღო ზავი. ზავის თანახმად, პართელებმა სომხეთის მეფედ მითრიდატე იბერი აღიარეს.⁶

მომდევნო იმპერატორის გაიუს კალიგულას (37-41წწ.) მმართველობის დროს, მითრიდატე რომში გამოიძახეს და რაღაც მიზეზის გამო დააპატიმრეს.⁷ უმეფოდ დარჩენილი არმენია კვლავ

¹ Tac. Ann., VI, 33.

² Tac. Ann., VI, 34-35.

³ Tac. Ann., VI, 35.

⁴ Tac. Ann., VI, 36.

⁵ Cass. Dio. LVIII, 26, 3.

⁶ ამ მოვლენების შესახებ დაწვრ. იხ. **Т. Моммзен.** История Рима, V. М., 1949, გვ. 342-343; **А. Г. Бокшанин.** Парфия и Рим, ч. II. М., 1966, გვ. 176-179; **N. C. Debevoise.** A. Political History of Parthia. Chicago-Illinois, 1938, გვ. 155-157.

⁷ Tac. Ann., XI, 8; Cass. Dio. LX, 8, 1; Senecae. Dial, IX, XI, 12; ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გახდა

პართელებმა დაიპყრეს.¹ თუმცა, მოგვიანებით იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54წწ.) მითრიდატე ტყვეობიდან გაათავისუფლა და ამ უკანასკნელმა 47წ. რომაელებისა და იბერთა ჯარების დახმარებით კვლავ დაიბრუნა არმენიის ტახტი.²

ამრიგად, ის. 30-იანი წლებიდან რეგიონში იბერიის სახით გამოჩნდა ახალი გეოპოლიტიკური ძალა, რომელიც აქტიურად ჩაება პართიის წინააღმდეგ სომხეთისათვის ბრძოლაში. იბერიას, როგორც 35 წლის მოვლენებმა აჩვენა, ჩრდილოკავკასიელი ნომადების მრისხანე ურდოებთან კავშირში, შეეძლო თვით ძლევამოსილი პართიის სამეფოს დამარცხებაც. თუმცა თუ არმენიისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე იბერია რომის ერთგული მოკავშირის საფარველქვეშ ცდილობს საკუთარი პოლიტიკური მისწრაფებების განხორციელებას,³ ის. 50-იანი წლებიდან ის ამკარად არ ერიდება თავისი მიზნების დემონსტრირებას და თავად რომისათვის მიუღებელ პოლიტიკასაც ატარებს.

51წ. იბერიის მეფე ფარსმანი დაუფარავად იწყებს ბრძოლას სომხეთის მეფის, მითრიდატეს წინააღმდეგ. ტაციტუსი პირდაპირ მიუთითებს, რომ ფარსმანს სურდა ხელში ჩაეგდო არმენიის სამეფო.⁴ ბრძოლა არმენიის ტახტისათვის იბერიის სამეფო სახლის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა და საშინელი ტრაგედიით დასრულდა.

ტაციტუსის ცნობით, ფარსმანმა გადაწყვიტა არმენიაში თავისი ვაჟი, რადამისტი გაემეფებინა. რადამისტი მითრიდატესთან

მითრიდატეს რომში გაწვევის მიზეზი. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში კალიგულას მიერ მითრიდატეს დატყვევებას სხვადასხვანაირად ხსნიან. – იხ. **ბ. ლომოური**. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1966, გვ. 119-123; **Н. Ю. Ломоури**. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 161-167. იქვე პრობლემის გარშემო არსებული ლიტერატურა.

¹ **Т. Моммзен**. История Рима, V, გვ. 344, შენ. 1.

² **Tac. Ann.**, XI, 8-9; **Cass. Dio**. LX, 8, 1.

³ იხ. **Г. А. Меликишвили**. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 341; **Н. Ю. Ломоури**. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 155-165.

⁴ **Tac. Ann.**, XII, 47.

სომხეთში გამოცხადდა იმ საბაბით, თითქოს მას მამასთან უთანხმოება მოუვიდა. მითრიდატემ დიდი სიხარულით მიიღო ძმისწული, ამ უკანასკნელმა კი, სამეფო კარის ინტრიგების წყალობით, ნიადაგი მოამზადა სახელმწიფო გადატრიალებისათვის, კვლავ იბერიაში დაბრუნდა და ფარსმანს განუცხადა, რომ „რაც მზაკვრობით შეიძლებოდა გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი კი იარაღით უნდა აღსრულდესო“.¹ ფარსმანსაც ომის საბაბის გამონახვა არ გასჭირვებია, მითრიდატეს რომაელთა ინტერესების დალატში დასდო ბრალი და სომხეთისაკენ რადამისტის სარდლობით ძლიერი არმია დაძრა. ომისათვის მოუშზადებელმა მითრიდატემ თავი რომაული გარნიზონით გამაგრებულ ციხესიმაგრე გორნეას (თანამ. გარნისი – კ.ფ.) შეაფარა. რადამისტმა, რაკი პირდაპირი იერიშით ვერ შეძლო ციხის აღება, მოისყიდა რომაული გარნიზონის მეთაური, დალატის გზით მითრიდატე ხელში ჩაიგდო და ფარსმანის საიდუმლო განკარგულებით, მოაკვლევინა. მითრიდატესთან ერთად მისი ცოლ-შვილიც დახოცეს.²

თუმცა რადამისტის მეფობა სომხეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. მისმა მკაცრმა მმართველობამ მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რითაც ისარგებლა პართიის ახალმა მეფემ ვოლოგეზ (ვალარშ) I-მა (52-80წწ.), არმენიაში შეიჭრა და იქ მეფედ თავისი ძმა ტირიდატე დანიშნა. პართელთა გამოჩენისთანავე იბერებმა სომხეთი უბრძოლველად დატოვეს.³ მაგრამ, მკაცრი ზამთრისა და სურსათის ნაკლებობის გამო, პართელები იძულებული გახდნენ სომხეთი დაეტოვებინათ. დაცარიელებული არმენია კვლავ რადამისტმა დაიპყრო, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი აჯანყება მოჰყვა და 53წ. იგი ხელმეორედ გააძევეს სომხეთიდან⁴. როგორც ჩანს, რადამისტმა და იბერებმა ამის შემდეგაც არაერთხელ სცადეს სომხეთის დამორჩილება, მაგრამ პართელთა ზეწოლის შემდეგ, ყოველთვის

¹ Tac. Ann., XII, 44-45.

² Tac. Ann., XII, 45-47.

³ Tac. Ann., XII, 50.

⁴ Tac. Ann., XII, 50.

უბრძოლველად ტოვებდნენ მას.¹ მოგვიანებით კი, 57წ. რადამისტი ფარსმან მეფის ბრძანებით მოკლეს.²

II ს. 30-50-იანი წლების მოვლენები დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას და არაერთხელ ყოფილა განხილვა-ანალიზის საგანი. თუმცა, მისი შემდგომი შესწავლა არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ ერთ საკითხზე, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში რატომღაც სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, 35წ. იბერებმა, რომაელების დაუხმარებლად, შეძლეს პართელების სომხეთიდან გაძევება. ამის შემდეგ დაწყებულ ფართომასშტაბიან ომშიც პართელთა ძირითად მეტოქეებად კვლავ იბერები გამოდიან. საყურადღებოა, რომ ტაციტუსი, ამ ომის პერიპეტეების გადმოცემისას, საბაბსაც კი ვერ პოულობს, თუნდაც გაკვირით მაინც აღნიშნოს საომარ მოქმედებებში რომაელთა მიერ იბერებისათვის გაწეული რაიმე დახმარების შესახებ,³ მაშინ როცა ვრცლად აღწერს სარმატთა რაზმების აქტიურ როლსა და დიდ დამსახურებას პართელთა დამარცხებაში.⁴ მაგრამ თუ II ს. 30-იან წლებში იბერია სომხეთისათვის ბრძოლებში საკმაოდ თავდაჯერებულად გამოდის და სარმატებთან კავშირში მას არ უჭირს პართელთა დამარცხება, 51-53 წლებში სიტუაცია იცვლება.

ამ პერიოდში სომხეთისთვის მიმდინარე ბრძოლებში წყაროები სარმატებს უკვე აღარ ახსენებენ, იბერები კი ვერ ახერხებენ პართელებისათვის რეალური წინააღმდეგობის გაწევას. ფაქტია, რომ რადამისტი, რომელიც საკმაოდ ძლიერი სამხედრო მოღვაწე

¹ Tac. Ann., XIII, 6.

² Tac. Ann., XIII, 37. II ს. 50-იან წლებში იბერიისა და სომხეთის სამეფო კარზე მომხდარი მოვლენების შესახებ დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I. – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბ., 1979, გვ. 209-211; Т. Моммзен. История Рима, V, გვ. 346, 350; Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 341-343.

³ В. Д. Дондуа. Некоторые замечания на коллективный труд – История армянского народа. – *მიმომხილველი*, III, თბ., 1953, გვ. 311.

⁴ Tac. Ann., VI, 35.

ჩანს და დიდი სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი,¹ პართელებთან ბრძოლას თავს არიდებს. ფაქტობრივად, მან პართელების სომხეთში შესვლისთანავე ყოველთვის ისე დატოვა ქვეყანა, რომ მათთან ერთი ბრძოლაც კი არ გაუმართავს. ტაციტუსი პირდაპირ წერს, რომ რადამისტი „ხშირად იპყრობდა იქ (სომხეთში – კ.ფ.) სამეფო ხელისუფლებას და მერე გარბოდა“.² როგორც ჩანს, ამ პერიოდში იბერია იმდენად ძლიერად ვერ გრძნობდა თავს, როგორც 35წ. და იგი თავს იკავებდა პართელთა წინააღმდეგ პირდაპირი საომარი მოქმედებების დაწყებაზე, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მას ზურგს უკვე აღარ უმაგრებდა ძლიერი სამხედრო ძალა ჩრდილოკავკასიელი სარმატების სახით.

ის. 40-50-იანი წლების მიჯნაზე, სარმატულ ტომებს შორის დაპირისპირების შედეგად, ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტიკური სიტუაცია იბერიის საზიანოდ შეიცვალა. იმიერკავკასიაში განსახლებული სარმატული ტომები ორ ძირითად დაჯგუფებად, სირაკებისა და აორსების პოლიტიკურ გაერთიანებად იყოფოდა. სირაკებს ეჭირათ იმიერკავკასიის ტერიტორია აზოვის ზღვიდან თერგ-სუნჯის რაიონამდე, ხოლო მათი აღმოსავლეთით, მდ. სულაკამდე, დასახლებული იყვნენ აორსები.³ სირაკები და აორსები ისტორიულად ერთმანეთის მტრები იყვნენ და მათ შორის ურთიერთობა მუდმივად დაძაბული იყო.⁴

ის. 50-იან წლებამდე, იმიერკავკასიაში დარიალის ხეობის მისადგომები სირაკთა ხელში იყო. ისინი ტრადიციულად იბერიის მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. სწორედ სირაკები ეხმარებოდნენ 35წ. ფარსმანს პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო

¹ Tac. Ann., XII, 44.

² Tac. Ann., XIII, 6.

³ ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I. თბ. 1969, გვ. 24.

⁴ В. Б. Виноградов. Сарматы Северо-Восточного Кавказа. – Чечено-ингушский научно-исследовательский институт при совете министров ЧИАССР, Труды, т. VI. Грозный, 1963, гв. 161-164; *История Северо-Осетинской АССР*, т. I. Орджоникидзе, 1987, гв. 47-51.

სარმატთა მეორე ნაწილი, რომელიც, ტაციტუსის ცნობით, პართელების დასახმარებლად მიდიოდა, აორსები იყვნენ. თუმცა მათ ვერ მოახერხეს ამიერკავკასიაში შემოსვლა, რამდენადაც დერბენტის გზა ზაფხულობით გაუვალი იყო, ხოლო კავკასიის სხვა გასასვლელებს იბერები და სირაკები აკონტროლებდნენ.¹

სირაკებისა და აორსების ხანგრძლივი მტრობა, 49წ. გამანადგურებელ ომში გადაიზარდა. სირაკებმა მხარი დაუჭირეს რომაელთა მიერ გამძევებულ ბოსფორის მეფე მითრიდატე VII-ს. მათ წინააღმდეგ კი, რომაულ ლეგიონებთან ერთად, გამოვიდნენ აორსთა ცხენოსანი ურდოები. აორსთა კონფედერაციისა და რომაელთა ძალებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს სირაკების ტომთა კავშირს,² რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა დაკარგა ჰეგემონობა თერგი-სუნჯის რაიონში. დარიალის გადმოსასვლელის მიმდებარე ტერიტორია კი დაიკავა სარმატთა ახალმა ჯგუფმა – ალანებმა.³ ალანები სირაკების მოსისხლე მტრები იყვნენ და, ამდენად, პირველ ხანებში, მტრულად იყვნენ განწყობილი სირაკთა ამიერკავკასიელი მოკავშირეების, იბერების მიმართაც.⁴

ამრიგად, II ს. 40-50-იან წლების მიჯნაზე, იბერიამ დაკარგა ძლიერი მოკავშირე და, ჩვენი აზრით, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მან ვერ მოახერხა სომხეთის შენარჩუნება.

¹ **В. Б. Виноградов.** Сарматы Северо-Восточного Кавказа, გვ. 161; *История Северо-Осетинской АССР*, გვ. 59-60.

² **Тас.** Ann., XII, 15-17; **В. Ф. Гайдукевич.** Боспорское царство. М.-Л., 1949, გვ. 327-328; **В. Б. Виноградов.** Сарматы Северо-Восточного Кавказа, გვ. 161; *История Северо-Осетинской АССР*, გვ. 51.

³ **В. Б. Виноградов.** Сарматы Северо-Восточного Кавказа, გვ. 164.

⁴ **В. Б. Виноградов.** Сарматы Северо-Восточного Кавказа, გვ. 164.

КАХАБЕР ПИПИЯ

ПАРФЯНО-ИБЕРИЙСКАЯ БОРЬБА ЗА АРМЕНИЮ В 30-50-Х ГОДАХ I ВЕКА

По сведениям Тацита в 35г. н.э. царь Иберии Фарсман при помощи сарматов изгнал парфян из Армении и воцарил там своего брата Митридата. В начавшейся после этого войне иберы и отряды сарматских наемников разгромили большую армию парфян. В 51г. борьба за Армению ещё более усилилась. Царь Иберии Фарсман перешёл к открытой борьбе со своим братом – царём Армении Митридатом. Изгнав Митридата, Фарсман воцарил в Армении своего сына Радамиста, но Радамисту недолго пришлось править, и с появлением парфян он без боя оставил Армению. Таким образом, в начале 50-х годов Ив. н.э. Иберия не чувствовала себя столь сильной, как в 30-е годы, поэтому она избегала открытых столкновений с Парфией. В статье выдвинуто предположение, согласно которому причиной этого было то, что иберов в это время не поддерживали отряды кочевников Северного Кавказа. Интересно в этом аспекте и то, что о событиях в Армении начала 50-х годов Ив. в источниках не упоминаются сарматы. До 50-х годов Ив. проходы Дарьяльского ущелья были в руках племени сираков. Сираки традиционно были союзниками Иберии. Именно они помогали в 35г. Фарсману в борьбе против Парфии. Однако на рубеже 40-50-х годов Ив. между сарматскими племенами усилилась междоусобица. В 49г. конфедерация Аорсов разгромила союз племени сираков, в результате чего близлежащие территории Дарьяльского прохода были заняты новой группой сарматов – аланами. Таким образом, в начале 50-х годов Ив. Иберия потеряла одного из своих могущественных союзников. Это и стало причиной того, что Иберия не смогла сохранить за собой Армению.

KAKHABER PIPIA

PARTHIAN-IBERIAN FIGHT OVER ARMENIA IN 30-50'S A.D.

According to Tacitus, Pharasmanes, King of Iberia, with the help from Sarmatians, drove out the Parthians from Armenia in 35 A.D. and enthroned his brother Mithridates there. In the following war the Ibers and the Sarmatians defeated a big Parthian army. In 51 A.D. the fight over Armenia continued with the new strength. Pharasmanes, King of Iberia, started an open strife against his brother Mithridates, King of Armenia. After ousting Mithridates, Pharasmanes enthroned his son Rhadamistus in Armenia, but the latter was ruling for a short time and after the appearance of Parthians, left the country without fighting. Thereby, Iberia was feeling itself less stronger in 50's A.D. than in 30's A.D. and it was trying to avoid an open conflict with Parthia. The cause of it was the discontinuation of the help from the North Caucasian nomad tribes. The Sarmatians are no longer mentioned regarding the events in Armenia in 50's A.D. Before those times the Daryal Pass was controlled by the Siraces, who was an ally of Iberia. They were helping Pharasmanes in his battle against Parthia in 35 A.D. But at the edge of 40's and 50's A.D. the struggle between the Sarmatian tribes intensified. In 49 A.D. the Aorsi confederation defeated the Siraces, and as a result the Darial Pass was taken by the new group of the Sarmatians – the Alans. Iberia had lost one of its powerful allies, and because of this she was unable to retain Armenia.

NATIA PHIPHIA

RECEPTIO OF THE HIGHLANDERS IN THE WESTERN GEORGIA

There are many opinions about ethnical changes on the verge of eras in the Western Georgia. These hypotheses concern the aspects of identification and location of new ethnical elements (Apsiloi, Abazgi and Sanigi). In our opinion, facts which took place in 1st – 2nd cc. in Western Georgia cannot be discussed as just replacement one ethnical group by another, so as one of them made another to change their location.

In 1st – 2nd cc. was realized *receptio* of highlanders to fulfil upper classes and feudalize the country. What is *receptio* system?

In 4th c. Romans began process of *receptio* of foreigners (immigrants, person without roman citizenship) to recruit new masses for roman army. At first just defeated barbarians were recruited in roman army. They covenanted with the state. Later Visigoths with their leader Alavivus moved to the south of the river Danube and with roman consent settled there. After that every foreigner despite his origin was able to serve in the roman army. Besides, barbarians were able to become officers after that period. Before this time, Romans tried not to appoint barbarians on high positions but several public figures are known for us with barbarian origin: Stilikho, Alarikh, Fravita and Gaina.¹

Romans were settling barbarians on free lands to defend their borders, these new-settlers were getting definite wages and “gifts” for this.

It seems, changing the place of settlement of population was a usual thing for Romans. Arrian’s information indicates this:

¹ **Thomas S. Burns.** Barbarians within the Gates of Rome. Indiana University Press, 1994, p. 181.

“Sani are good warriors and the bitterest enemies of Trapezuntians. These tribe lives in fortified places. They do not have a king. They are tributaries of the Romans since olden days, but live like robbers and do not pay taxes systematically. Though, if it is god’s will, this tribe will pay taxes honestly or we will exile them from country”.¹ This information indicates that Romans used to make undesirable population to change their place of habitation. It seems, that Romans supported Apsiloi, Abazgi, Sanigs and Lazi to move to Colchis. Romans used to receive surplus population not only on their territory, but also in subjected regions.

In M. Inadze’s opinion, strengthening of Apsiloi and Abazgi was determined because of Rome’s try to make a danger at back to Sanigs and Lazi kingdom, which were growing politically.² In addition, we may say, that Romans supported or even provoked migration of Lazi. Result of the migration of highlanders was unexpected – country was feudalized.

Economical crisis, which began in Colchis from 2nd c. B.C., and political cataclysms caused extreme fall into decay of urban life. Economic depression began – this is illustrated by recession of foreign money, also absolute absence of contacts with foreigners in Georgian ethno culture, so this is agrarian self-sufficient society. There is a little reviving in the times of Mithridatic Wars, but the money brought from him was used just for extracting of raw materials, which was necessary for wars. It was just temporary revive. Western Georgia stops its numismatic activity in the middle of 1st century.³

After the great migration of highlanders there is a revival of economy. Feudalism was begun in Lazika. Broadening the social base of upper classes, which is necessary for genesis of feudalism is possible by two ways. One of them is to fulfil upper classes

¹ **Fl. Arr.** PPE, 10, 11; **Flavius Arrian.** Voyage around the Black Sea. Georgian translation, research, comments and map by *N. Kechakmadze*. Tbilisi, 1961, p. 42 (in Georgian).

² **M. Inadze.** Problems of Ethnopolitical History of Old Abkhazia. – *Matsne*, №2, 1992, p. 53 (in Georgian).

³ **T. Dundua.** Georgian Ethnocultural Evolution and the West according to Numismatic Material. Tbilisi, 1997, p. 44-51 (in Georgian).

from the clan of warrior-farmers (dukedom at borders). Quantity of Proto-feudal aristocracy in per cents (1-1,5 %) is not enough to feudalize the country, so this indicator must be increased to 2-3%. Farmer-peasant cannot be transferred to the upper classes as higher-class manager. Just from members of warrior-farmers clan can be raised a good manager. Members of this clan have their farms as collective property, so they receive information about managing far more, than just farmers. Clan of warriors-farmers is Strabo's "third class" in Iberia, which made possible to feudalize this country.

In Western Georgia it was not able to feudalize the country in this way. Economical depression is indicator that society is trying to reorganize socially. This crisis continued too much time. Revival of social and economic life was able after multiplying of population in plain: Western Georgia had this base in North-Western, as well as in South part. Therefore, *receptio* of these highlanders was the only possible way. Part of this migrated Lazi mixed with old aristocracy, part of them became farmers.

In the region of Sebastopolis-Dioskuria and to the South-East of it was another *receptio*. Unlike the first one, in this region migrated tribes, which spoke different language (probably Abkhazian-Adigeian), but as they have not left any different, their own style in archaeology it means, that they were assimilated very quickly. Population on the territory of Apsilia and Abazgia probably was mixed: Colchi, which lived here earlier, and Abkhazian-Adigeinian tribes, which strengthened aristocracy. Aristocracy in Apsilia and Abazgia (mostly in Apsilia) was more Abkhazian and the region was named after them.

These highlanders did not alter the whole Megrelian-Chani population. The latter continued to inhabit this territory with the migrated tribes. It is interesting, that Flavius Arrian (2nd c.) mentions "Old Lazika" (Nikopsia today). Perhaps, territory from the kingdom of Lazika to this point was perceived as united economical space in nearest past, because it is mentioned as "Old Lazika" and understood not as contemporary situation.

It seems social and economical influence of Lazi was spread to this point. Perhaps, the area of their influence shortened later

and this is reflected in the fact, that this point is mentioned as “Old”. M. Inadze thinks, Georgian historical tradition appoints that Megrelian-Zani (Lazi) tribes’ political influence in 2nd c. was very spread and may had reached extreme western part of Caucasus.¹ “Old Lazika” reflects past economical influence. In our opinion, influence of Lazi was not stopped after the *receptio* of Apsiloi and Abazgi.

D. Muskhelishvili thinks, that information of Ptolemy reflect the fact of incorporation of north-west territory where lived Apsiloi, Abazgi and partially Sanigs earlier (including Dioskuria) by Lazika. It had to happen in the middle of 2nd century. Lazi of Ptolemy has political meaning. This denomination is spread on other tribes under political hegemony of Lazi.²

In our opinion information of Ptolemy reflects economical (perhaps political too) influence of Lazi on Apsiloi and Abazgi. Ptolemy is junior contemporary of Arrian, It seems impossible to him does not know the name of these tribe, he just spread the name of “Lazi” on others. It should be mentioned that Anonym of 5th c does not know any other ethnos except Sanigs, which according to his information, were included in the kingdom of Kolkhети (Lazika).

This information reflects that this whole region was perceived as united economical region, which was developing under the hegemony of Lazi. S. Janashia thinks, power of princes mentioned by Arrian is originated after earlier feudal differentiation. They are old leaders of tribes transformed into princes, which on definite level of development of society became usurpers of their rights of delegates and being servicemen of community transformed into lords: this feudal system, was very primitive yet and after long period developed in this country.³

Devastation of Pitius by Heniokhi means, that cities are fall

¹ **M. Inadze.** Problems of Ethnopolitical History of Old Abkhazia, p. 47 (in Georgian).

² **D. Muskhelishvili.** Main Problems of Historical Geography of Georgia. I. Tbilisi, 1977, p. 85-86 (in Georgian).

³ **S. Janashia.** Historical Geography of the Black Sea Shore. *Works*, vol. VI. Tbilisi, 1988, p. 212 (in Georgian).

into decay and feudalism is beginning. The illusion about incorporation into Greek economic system does not exist anymore, population left the cities and became farmers. *Receptio* of highlanders was necessary for little by little establishing feudal relationships.

Migration of highlanders – Apsiloi and Abazgi, – on the verge of eras in the Western Georgia supported social and economical changes. The process of social reorganization ended with the genesis of feudalism on the territory of Lazika. Most part of Apsiloi and Abazgi fulfilled the aristocracy, but they little by little began to speak on the language of productive population, i.e. on the language of Megrelians-Chani. Exactly as Franks with Germanic origin began to speak on Romanian language. Migrated highlander tribes – Apsiloi and Abazgi ethnically belonged to Abkhazian-Adigeian tribes, but after some time Megrelian-Chani became their social language. In later medieval period before the second migration Abkhazians on this territory population was speaking just on Megrelian language.

ნათია ზიზია

მთიელთა *RECEPTIO* დასავლეთ საქართველოში

სტატიაში განხილულია ახ.წ. I-II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში (თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე) მიმდინარე ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებები. აღნიშნულია, რომ ეს პროცესი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ ერთი ეთნიკური ელემენტის (აბაზგ-აფშილების) მიერ მეორის – ლაზ-მეგრელების – საცხოვრისზე გადასვლა ამ უკანასკნელის ტერიტორიიდან განდევნის და შევიწროების გზით. დასავლეთ საქართველოში I-II საუკუნეებში განხორციელდა მთიელთა *receptio*, რათა მომხდარიყო ქვეყნის ფეოდალიზაციისთვის აუცილებელი არისტოკრატიული ფენების შევსება. წელთაღრიცხვების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში აფშილთა, ასევე აბაზგთა მთიელი ტომის ჩამოსახლებამ ხელი შეუწყო სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, მოსახლეობის სოციალური რეორგანიზაციის პროცესი დასრულდა იმით, რომ ლაზიკის ტერიტორიაზე განხორციელდა ფეოდალიზმის გენეზისი. აფშილების და აბაზგების ძირითადი მასისგან დაკომპლექტდა არისტოკრატია, რომელიც შემდგომ მწარმოებელი მოსახლეობის, ანუ მეგრულ-ჭანების ენაზე ალაპარაკდა. ზუსტად იმგვარად, როგორც გერმანიკული წარმოშობის ფრანკები ალაპარაკდნენ რომანულ ენაზე. ჩამოსახლებული მთიელი ტომები აფშილ-აბაზგები ეკუთვნოდნენ აფხაზურ-ადიღური მოდემის ტომებს, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი სოციალური ენა გახდა მეგრულ-ჭანური. გვიანშუასაუკუნეებში აფხაზთა შემდგომი მიგრაციის წინ აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა მხოლოდ მეგრულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა.

НАТИЯ ПИПИЯ

***РЕСЕРТИО* ГОРСКИХ ПЛЕМЁН В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ**

В статье рассмотрены вопросы расселения горских племён: абсиров, абазгов, санигов в Западной Грузии (на территории современной Абхазии) в I-Пвв. н.э. Отмечено, что этнические изменения произошедшие в это время нельзя представлять только как переселение одного этноса (абазг-апсиров) на место обитания другого этноса (лаз-мегрелов) и их выдворение оттуда. В западной Грузии в I- Пвв. н.э. имело место своего рода ресертio горских племён, в результате чего произошло необходимое для начавшегося процесса феодализации восполнение аристократических слоёв. Абазги и апсилы в пределах своего нового расселения (на территории современной Абхазии) как раз и составили господствующий слой, однако, постепенно они перешли на язык коренного производительного населения и заговорили на языке мегрело-чанов, точно также как франки германского происхождения заговорили на романском.

ლია ახალაძე

კონსტანტინე III „აფხაზთა“ მეფე

„აფხაზთა“ მეფეებს შორის პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მებრძოლი ბუნების ხელისუფალი იყო კონსტანტინე III (893-922წწ.), რომელსაც „მატიანე ქართლისაის“ ავტორი მეტად მიზანსწრაფულ და დიდი პოლიტიკური ამბიციების მქონე მეფედ გვიხატავს. მისი მოღვაწეობის დროს „აფხაზთა“ სამეფოს ინტერესები კიდევ უფრო გაიზარდა: ბრძოლა ქართლისო შემომტკიცებისა და კახეთის შემოერთებისათვის, ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გაქრისტიანება, დარიალის კარის დაუფლება და კავკასიაში გადაძვარი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზის გაკონტროლება. ყველა პრობლემა დაკავშირებული იყო კონკრეტულ ისტორიულ ამოცანასთან, რომელიც მომავალში უზრუნველყოფდა „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური საზღვრების გაზრდა-გაფართოებას, ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან „აფხაზთა“ სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას და დარიალის კარის, როგორც განსაკუთრებული სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობის გადასასვლელის „აფხაზთა“ სამეფოს მიერ გაკონტროლებას.

თავის წინამორბედებთან შედარებით კონსტანტინე III უფრო აქტიურ პოლიტიკას ატარებდა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ. იგი კარგად იცნობდა ქართლს და, როგორც ჩანს, ბაგრატ I-ის მეფობის დროს გარკვეული პერიოდი ამ რეგიონს ერისთავის (გამგებლის) ტიტულით განაგებდა. ამის შესახებ ცნობა დაცულია მეფუდასხეობის ცნობილ წარწერაში, რომელიც ბერი და გიორგი ხევისუფლებს ეკუთვნის; „...ესე ხელი ჩუენ ბერძან და გიორგი დავწერეთ, ოდეს კონსტანტი ქართლი-

სა გამგებელი იყო“.¹ წარწერა, კონსტანტინე III-ის მეფობის მიხედვით, დათარიღებულია Xს. 20-იანი წლებით,² რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი, რადგან კონსტანტინე წარწერაში „გამგებლის“ ტიტულით არის წარმოდგენილი, ხოლო „აფხაზთა“ მეფეები წერილობით წყაროებში, ჩვეულებრივ, „მეფის“ ტიტულით არიან დასახელებულნი. თვით კონსტანტინე მეფეც სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებში მეფის ტიტულით გვხვდება, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მეჯუდასხეობის წარწერის შესრულების დროს იგი ჯერ კიდევ არ ატარებდა „მეფის“ ტიტულს და ქართლში გამგებლად (ერისთავად) იჯდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, წარწერის დათარიღება უნდა გასწორდეს IXს. 80-იანი წლების მიწურულითა და 90-იანი წლების დასაწყისით.

მართალია, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ „აფხაზთა“ სამეფომ შიდა ქართლი დროებით დაკარგა, მაგრამ კონსტანტინე III-მ ქართლისათვის ბრძოლა მალევე განაახლა. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით ამ დროს შიდა ქართლს ადგილობრივ ფეოდალთა წარჩინებული ფენა ფლობდა: „და იპყრობდეს ქართლს აზნაურნი. მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერკალი“.³ იოანე დრასხანაკერტცის ცნობით, კონსტანტინე III-სა და სომეხთა მეფეს შორის დაწყებულ კონფლიქტში თავიდანვე ჩაერია ადარნასე „ქართუელთა“ მეფე, რომელმაც „სასწრაფოდ მისწერა ეგრისის მეფეს თავის სიძეს, რომ გაეფანტა, დაეშალა და ამოეგდო გულიდან ეს ფუჭი, უსამართლო და ამო გადაწყვეტილება და არ გაეწია წინააღმდეგობა მასზე უფრო დიდისათვის“.⁴

¹ *ქართული წარწერების კორპუსი*, I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.) შეადგინა და გამოისაცემად მოამზადა **ნ. შოშიაშვილმა**. თბ., 1980, გვ. 144.

² *ქართული წარწერების კორპუსი*, I., გვ. 144.

³ *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება* ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1955, გვ. 262.

⁴ **იოანე დრასხანაკერტელი**. სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და საძიებლებით გამოსცა **მ. ცაგარეიშვილმა**. თბ., 1965, გვ. 109.

როგორც ჩანს, კონსტანტინემ არ გაითვალისწინა ადარნასეს რჩევა და ბრძოლა განაგრძო, „მაშინ სუმბატ მეფემ დიდი ჯარით შეუტია და თან წაიყვანა ქართველთა მეფე [ადარნასე]. ისინი ერთად წავიდნენ კონსტანტინეზე თავდასასხმელად“.¹ სუმბატმა ქართლი და უფლისციხე დაიკავა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მეომარი მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წავიდნენ. კონსტანტინემ გააგზავნა ელჩობა სომეხთა მეფესთან, რის პასუხადაც სუმბატმა ადარნასე „ქართუელთა“ მეფე და სომეხ წარჩინებულთა დელეგაცია გამოაგზავნა.² მოლაპარაკების დროს ადარნასე მეფის უშუალო მონაწილეობით კონსტანტინე შეიპყრეს და სუმბატ ბაგრატუნს მიჰგვარეს, რომელმაც დაპატიმრებული კონსტანტინე მეფე ანისის ციხეში ჩასვა და იქ ოთხი თვე ჰყავდა საპყრობილეში.³ ბუნებრივია, ამ დროს სუმბატ ბაგრატუნი ქართლს დაუფლავა. სომეხი მემკვიდრის ცნობით, „სუმბატ მეფემ მრავალი სიმაგრე დაიპყრო გურიის (?) ქვეყანაში და იმ მხარეებში თავისი გამგებელნი დააყენა“.⁴

მალე სომეხთა და აფხაზთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც სუმბატმა კონსტანტინეს ქართლი დაუბრუნა და ეს ურთიერთობები დინასტიური ქორწილითაც კი განმტკიცდა.⁵ სომეხ-აფხაზთა შერიგება გამოიწვია იმან, რომ ეგრისში კონსტანტინეს ნაცვალის დასმას აპირებდნენ. მ. ლორთქიფანიძისა და ზ. პაპასქირის აზრით, არაა გამორიცხული, რომ ქუთაისში ახალი ხელისუფლების მოსვლას მხარს უჭერდა ადარნასე, რომლისთვისაც კონსტანტინე რატომღაც მიუღებელი იყო და სუმბატმა ქუთაისის ტახტზე სასწრაფოდ და-

¹ იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, გვ. 109-110.

² მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. და X ს-ის I ნახევარი). ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები ტ. I. თბ. 1998. გვ. 194.

³ იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, გვ. 110-111; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში.... გვ. 194; 3. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (V-XVII вв), Сухуми, 1959, გვ. 121.

⁴ იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, გვ. 110.

⁵ მატიანე ქართლისა, გვ. 262.

აბრუნა კონსტანტინე, რითაც ჩაფუშა ადარნასეს გეგმები.¹ როგორც ჩანს, სუმბატისათვის ადარნასე „ქართულთა“ მეფის გაძლიერება უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე კონსტანტინე III-ის მიერ ქართლის ფლობა.

ამრიგად, სუმბატ სომეხთა მეფისა და ადარნასე „ქართულთა“ მეფის წინააღმდეგობათა ფონზე 904 წელს კონსტანტინე III-მ შეძლო აღედგინა თავისი ძალაუფლება შიდა ქართლსა და უფლისციხეში, სადაც კვლავ თავისი ერისთავი დასვა. 907წ. ადარნასე მეფე კვლავ გამოვიდა სუმბატ ბაგრატუნის წინააღმდეგ, ამჯერად, იგი მხარში ამოუღვა არმენია-აზერბაიჯანის ამირა იუსუბ იბნ აბუ საჯის. არაბებმა ამიერკავკასია დალაშქრეს. მაგრამ მათი მთავარი მიზანი სომეხთა მეფის სუმბატ ბაგრატუნის დამორჩილება იყო. სუმბატმა მტერს ვერ გაუწია წინააღმდეგობა და თავი მოკავშირე „აფხაზთა“ მეფის კონსტანტინე III-ის სამფლობელოს შეაფარა. იუსუბმა დალაშქრა ქართლი, რომელიც ამ დროს „აფხაზთა“ სამეფოს ნაწილი იყო. ვერც კონსტანტინე III-მ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა მტერზე. *„მატიანე ქართლისაის“* უცნობი ავტორის ცნობით: *„შემოვიდა ქართლად (აბუსჯისძე), მოაოხრა ქართლი...“* და რათა არ გამაგრებულიყო ქართლში *„მოარღუენეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ“*.² მართალია, დასავლეთ საქართველო გადაურჩა ამ შემოსევებს, მაგრამ აფხაზთა მეფემ, როგორც ჩანს, ახლად გამაგრებული უფლისციხის კედლები დაანგრია, რადგან იქ არაბები არ გამაგრებულიყვნენ. აბულ-კასიმის წასვლის შემდეგ კონსტანტინე III-ის პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო აქტიური გახდა.

მალე კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ აფხაზთა მეფე კონსტანტინე III ჰერეთში სალაშქროდ მიიწვია. კვირიკე კახთა მეფემ და კონსტანტინე III-მ ჰერეთი დალაშქრეს, რომლის შემდეგ აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა ორი სიმაგრე ჰერეთში: არიში და გავაზი. აღნიშნულ ისტორიულ მოვლენ-

¹ მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში, გვ. 194.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 263.

ნებს ეხმაურება ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც, ძირითადად, მოგვითხრობენ კონსტანტინე მეფის მიერ წარმოებული საეკლესიო მშენებლობის შესახებ, მაგრამ გვერდს ვერ უვლიან ამ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს. წყაროებიდან ჩანს, რომ კონსტანტინე III-ის ინიციატივით აიგო ერედვისა და სამწვერისის ტაძრები, რასაც აქ დაცული საამშენებლო წარწერები მიუთითებენ.

ერედვის წარწერა გვაუწყებს: „*[სახ]ელითა ღ(მრთისა)ითა მ[აძისა ძისა და] სუ[ლისა წმიდისაითა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმშობლისა თა] შეწვენითა წ(მი)დ(ი)სა გი[ორგი]სითა, კელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვლამყარ[ე]ხულისა წმიდ[ი]სა კ[ოსტან-ტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს [შ]იგ-ან, ჰერთა მეფ[ე]ი ვა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიღობით იქცა, ცის-კრად ალავერდს ილოცა, [მ]წუხ(რ) ბრედას გადაჰკთა, მეორედ კ(უ)ლა ავიდა ვეჯინ/ისა ციხე დაღეწა; ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა ივენესა, მთავა/რე[ბი]სკო[სო]ქასა სანატრელისა ყ(უარყუარ)ესა, ჯ(უა)რითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ/ელისა – სანატრ[ე]ლისა სტეფანე ებისკოსისაითა, ძალითა, შეწვენითა მოყუას/თაითა, მე თ(ეველორ)ე თაფლა სძემან დაგდე საძირკველი – წელნი იყ(უ)ნეს ხვი, ქორონიკ[ონ]სა რკვქ¹.*“

წარწერის შინაარსში იკითხება ეკლესიის მშენებლობის დასაწყისი – ხვი – 906 წელი, თუმცა წარწერაში დასახელებული ისტორიული მოვლენები ოდნავ გვიან მოხდა. აღნიშნული მოვლენები ზუსტ ასახვას პოულობენ სხვა ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, „მატიანე ქართლისაის“ ავტორი წერს, რომ აბულ-კასიმის მეორედ ლაშქრობის შემდეგ „უხბო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა, ჩავიდა ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჯინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ კერძო და კვირიკე ქვემოთ. და ვითარ მისწუდეს წაღებად, მაშინ აღარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი და კვირიკეს ორჭო-

¹ ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 171. ლ. ახალაძე, ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები. – „აფხაზეთი“, საინფორმაციო ანალიტიკური ჟურნალი, I. თბ., 2004, გვ. 56-57.

ბი. ვითარ დაიზავნეს და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, ილოცა ალავერდს წმ. გიორგის წინაშე შემოსა ხატი მისი ოქროთა“¹ როგორც ვხედავთ, ორივე წყარო, წარწერა და მატთანე ერთი და იმავე მონაცემებს გვაწვდის კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის მიერ ჰერეთს ლაშქრობის შესახებ. აღნიშნული ლაშქრობა მატთანის მიხედვით, საქართველოში აბულ კასიმის მეორედ ლაშქრობის, ე. ი. 914 წლის შემდეგ მოხდა. მამასადაძე, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობა კონსტანტინე მეფის ინიციატივით, ხუროთმოძღვარ თევდორე თაფლაისძეს 906 წელს დაუწყია და 914 წლის შემდეგ დასრულებულა.

საყურადღებოა, კოსტანტინე მეფისა და კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსის ჰერეთში ერთობლივი ლაშქრობის ისტორიის ცალკეული დეტალები, რომელშიც მემატთანე საზგასმით აღნიშნავს კონსტანტინე მეფის დამოკიდებულებას აღმოსავლურ ქართული სიწმინდეების მიმართ. „აფხაზთა“ მეფეს ამ დროს მყარად „უჭირავს შიდა ქართლი, რომელსაც მის მიერ დასმული ერისთავი უფლისციხიდან განაგებდა, მაგრამ ჰერეთს ლაშქრობის შემდეგ კონსტანტინემ მიიღო „არიში და გავაზნი“ – ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიერიდან, პრაქტიკულად ქართლი მთლიანად (გარდა თბილისის საამიროსი, რომლის ტერიტორია თანდათან მცირედებოდა) „აფხაზთა“ მეფეს დაემორჩილა, რაც „აფხაზთა“ მეფეთა მიერ IX ს. 60-იან წლებში საფუძველჩაყრილი პოლიტიკის – ქართული მიწების გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი იყო.

კონსტანტინე III-ის საეკლესიო საამშენებლო საქმიანობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წყაროა სამწვევრისის წარწერა, რომელიც წარმოადგენს მამასახლის დომინოსისა და გიორგი თუალო სძის წარწერას კონსტანტინე მეფის მოხსენიებით. „წ ზ(ედ)ა წელსა კ-ს კოსტანტინე მეფისა მე, დომინოს, სამწვევრისა ჯუარისა მამასახლისმან და გი/ორგი თუალო სძემან მოვიღეთ რუვი ესე ჯუარად/ და არავი[ნ] არს სხუად მო[მ]ხუმა-რე და [უფალი] რუვისა ამის, გარნა/ პატოსანი ჯუარი და გი-ორგი, ვინე სე აღმოიკითხოს მე, დომინოს, მონაი ჯუარისაი,

¹ მატთანე ქართლისა, გვ. 264.

ლოცვასა მომიჯსენეთ და თუალო სქეცა/ გ(იორ)გი ქ(რის-ტე)მ(ა)ნ შე(ი)წყ(ალე)ნ. ამენ. იყავნ¹.

წარწერა დათარიღებულია კონსტანტინე მეფის ზეობის მე-20, ე. ი. 912 წლით. თუ გავითვალისწინებთ, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერისა და „მატიანე ქართლისაო“-ს ზემოთ მოყვანილ მონაცემებს, სწორედ ამ პერიოდში ფლობდა „აფხაზთა“ მეფე კონსტანტინე III ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს. ერედვისა და სამწევრისის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე „აფხაზთა“ მეფის დასახელება არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ ადგილობრივი საერო და საეკლესიო ფენის წარმომადგენლებისთვის სავალდებულო იყო მეფის ზეობის წლებით დაეთარიღებინათ დიდი მშენებლობები. რასაკვირველია, ეს ვერ მოხდებოდა „დამპყრობელი“ მეფის მიერ, როგორც ამას წარმოგვიდგენს ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსი და უკანასკნელ ხანს სოხუმში გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს აფხაზი ავტორები – ო. ბლაჟბა და სტ. ლაკობა. ისინი იცნობენ სამწევრისისა და ერედვის წარწერებს, თუმცა მათ შორის ერთ-ერთის ლოკალიზაციას კახეთში ახდენენ.² ავტორების აზრით, კონსტანტინე III-მ ქართლი დაიპყრო და ხაზს უსვამენ, რომ ბრძოლა ქართლისათვის მიმდინარეობდა აფხაზთა და სომეხთა სამეფოებს შორის. არსად, ამ სახელმძღვანელოს არცერთ გვერდზე არ არის ნახსენები ტაო-კლარჯეთის სამთავრო (ქართველთა საკურაპალატო), ან კახეთის სამეფო, მაშინ როდესაც ადარნასე „ქართუელთა მეფე“ ამიერკავკასიის პოლიტიკურ არენაზე საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რასაც მოწმობს მისი აქტიური ჩარევა სომხური სამეფო-სამთავროების საშინაო საქმეებში. სტ. ლაკობასა და ო. ბლაჟბას წიგნის მიხედვით, მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ თანამედროვე საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი მაშინ სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო და ბრძოლა მიმდინარეობდა აფხაზურ და სომხურ სამეფოებს

¹ *ქართული წარწერების კორპუსი*, I., გვ. 222; **ლ. ახალაძე**, ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 57.

² **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии. *С древнейших времен до наших дней*. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум, 2006, გვ. 133.

შორის.¹ აფხაზი ავტორები იგნორირებას უკეთებენ იმ ფაქტსაც, რომ აფხაზთა მეფეთა საქმიანობის ამსახველი ეპიგრაფიკული ძეგლები და მათი დაკვეთით შესრულებული წარწერები ქართულ ენაზეა დაცული და არსად არ ახსენებენ რატომ წერდნენ ისინი თავიანთი საქმიანობის შესახებ ქართულად და არა ბერძნულად? მაშინ, როცა ბიზანტიელი მოხელის მიერ მიერ კონსტანტინე II-ისადმი გამოგზავნილი ბულის ბერძნულენოვან წარწერაზე საგანგებოდ ჩერდებიან და ეს ერთადერთი წარწერა აღმოჩნდა „არგუმენტი“ იმის „დასაბუთებისა“, რომ „აფხაზთა“ მეფეები ბერძნულად აწარმოებდნენ სამეფო კანცელარიის საქმიანობას.

კონსტანტინე III-ის გეგმებში ალანთა კარის მიმდებარე ქვეყნების დაემორჩილებინაც შედიოდა, რითაც სურდა ქართლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადაძვავალი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზა გაკონტროლება. სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობით: „ეგრისის მეფე კონსტანტინემ ... შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთის ხეობით, რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა თავის ხელქვეით დაემორჩილებინა“² აფხაზთა მეფის ამ განზრახვას, დრასხანაკერტელის ცნობით, წინ აღუდგა სომეხთა მეფე სუმბატ ბაგრატიონი. მართალია, კონსტანტინე III ამ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ვერც სუმბატმა ვერ შეძლო ალანთა კარის მიმდებარე ტერიტორიის დაკავება, თუმცა ქართლს ოთხი თვის მანძილზე ფლობდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო სუმბატ სომეხთა მეფის მიერ ატენის სიონის ფრესკული მონასტრის განახლება. ცნობილი ფაქტია, რომ სუმბატი გამოსახულების განმარტებითი ქარ-

¹ აღნიშნულ სასკოლო სახელმძღვანელოში სომხური თემა საერთოდ ძალზე ფართო და მრავალფეროვანია, მაგალითად, კლისურის ციხე სომხებს აუგიათ, კერძოდ, ვინმე თომა სომეხს, ასევე აფხაზეთის მთებში ციბილიუმის კომენდატი VIII საუკუნეში სომეხი ყოფილა, 550წ. პეტრას დამცველთა რიგებში იოანე სომეხიც იყო და ა.შ. ქართლი ან სომხების ხელშია, ან აფხაზების, არსებობდა თუ არა ქართული სამეფო-სამთავროები, არ ჩანს.

² **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და საძიებლებით გამოსცა **ცაგარეიშვილია.** თბ., 1965, გვ. 109.

თული წარწერითურთ იქვე არის გამოსახული.¹ ატენის სიონში სუმბატის ფრესკული გამოსახულების გვერდით ჩანს მამაკაცი დიდებული საშოსით, რომელსაც ახლავს დაზიანებული გამოსახულების განმარტებითი წარწერა: „*მამაი გიორგი მეფისაი, შემომწირველი ჯუარმეწაძულისაი*“: აღნიშნული ფრესკა და წარწერა თავის დროზე შ. ამირანაშვილის მიერ მიჩნეული იქნა კონსტანტინე მესამედ, რადგან სუმბატის, მისი ძის, უფლისწულ აშოტისა და კონსტანტინე მესამის ფრესკული გამოსახულებები ერთი და იმავე ეპოქის მხატვრობის ფენად მიიჩნია.²

მომდევნო პერიოდში კონსტანტინე III-ის ფრესკულ გამოსახულებასთან შესრულებული წარწერის „*მამაი გიორგი მეფისაი, შემომწირველი ჯუარმეწაძულისაი*“; საფუძველზე გიორგი მეფე მიჩნეული იქნა გიორგი II საქართველოს მეფედ (1072-1089), ხოლო ფრესკაზე გამოსახული მეფე – ბაგრატ IV-დ (1027-1072). ჩვენი აზრით, ეს არასწორი უნდა იყოს, რადგან მხატვრობის ეს ფენა (სუმბატის, მისი ძისა და კონსტანტინეს ფრესკები) შ. ამირანაშვილის მიერ დათარიღებული იქნა ერთი და იმავე პერიოდით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ატენის ფრესკულ წარწერის შინაარსი „*მამაი გიორგი მეფისაი*“: ანუ გიორგი მეფის მამა. მსგავს ფორმულირებას ქართულ წარწერებში ვერსად ნახავთ, როგორც ჩანს, ამ დროს გიორგი მეფის მამა ცოცხალი უნდა იყოს და ატენის ფრესკული მონათულობის განახლებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ რატომ არ არის გამოსახული თავად გიორგი მეფე?

ჩვენი აზრით, სწორი იყო შ. ამირანაშვილისეული დასკვნა, რომ ფრესკაზე გამოსახულია კონსტანტინე III. ამ დროს ქართლში გამგებლად ზის კონსტანტინე III-ის უფროსი ვაჟი უფლისწული გიორგი, რომელიც მამის დავალებითა და ფინანსური მხარდაჭერით ხელმძღვანელობდა ატენის განახლებას, შესაბამისად ატენის ფრესკებში მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. როგორც

¹ *ქართული წარწერების კორპუსი*. ფრესკული წარწერები, I. ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს **გ. აბრამიშვილმა** და **ზ. ალექსიძემ**. თბ., 1989, გვ. 161.

² **Ш. Я. Амираншвили**. История грузинской монументальной живописи. т. I. Тб, 1957, ტაბულა 82.

ჩანს, ამ პერიოდში კონსტანტინე III გარდაიცვალა და გიორგი II (922-957) გამეფდა, შესაბამისად, წარწერის ოსტატმა ფრესკულ წარწერაში გიორგი მეფის მოხსენიება უფრო მართებულად მიიჩნია. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ფრესკაზე გამოსახული მეფის წარწერაში მოუხსენიებლობა. ამრიგად, კონსტანტინე III, როგორც ვხედავთ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც სამწვერისისა და ერედვის, ასევე ატენის სიონის განახლებაშიც.

ალანთა კარის ხელში ჩაგდების გარდა, კონსტანტინე III-ს უფრო შორს მიმავალი მიზნებიც ჰქონდა, რადგან „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ალანთა გაქრისტიანების საკითხს. ბიზანტიის იმპერია აქტიურად ცდილობდა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას, მაგრამ ეს პრობლემა IX-X საუკუნეებამდე კვლავ გადაუჭრელი იყო. მართალია, ოსები ქრისტიანობას აღრიდნენ იცნობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აქ ფეხს ვერ იკიდებდა.

IX საუკუნიდან ოსების გაქრისტიანება შედარებით წარმატებით წარიმართა.¹ ბიზანტიის იმპერიისა და გაძლიერებული „აფხაზთა“ სამეფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთზე გავლენის მოპოვებას. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ბიზანტიის იმპერია და „ეგრის-აფხაზეთი ერთნაირად ცდილობდნენ ოსთა დამორჩილებას და ამ მიზნით, ორივე ქვეყანა იყენებდა იდეოლოგიურ საშუალებას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და ცდილობდა ქრისტიანობის შეტანასა და გავრცელებას ალანებში.² ჩვენი აზრით, „აფხაზთა“ სამეფოს ალანების და საერთოდ, ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების მიმართ სხვა მიზნები და მისწრაფებები ამოძრავებდა. კერძოდ, ეს უნდა ყოფილიყო „აფხაზთა“ სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოების საკითხი. კონსტანტინე III, სწორედ ამ მიმართულებით წარმართავდა თავის ღონისძიებებს, კერძოდ, მისი მხარდაჭერით ალანთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად გაიგზავნა არქიეპისკოპოსი. ეს, რა თქმა უნდა ბიზანტიის ინტერესებშიც შედიოდა, ამიტომ კონსტანტინე მეფის

¹ გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე. სტალინირი, 1958, გვ. 108-115.

² მ. ლორთქიფანიძე, ახალი ქართული სამთავროების წარმოქმნა. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ., 1973, გვ. 443.

ამ ღონისძიებას, როგორც ჩანს, ბიზანტიის მმართველი წრეები და ბერძენი პატრიარქიც იწონებდა.

ამ ისტორიულ მოვლენებზე მოგვითხრობს ბიზანტიის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის (914-925) წერილები გიორგი II „აფხაზთა“ მეფისადმი, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ალანებში ქრისტიანობის შეტანის საქმე კონსტანტინე III-ის დროს დაწყებულია. ცნობილია ნიკოლოზ მისტიკოსის სამი წერილი გიორგი II აფხაზთა მეფისადმი. უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება რომ ნიკოლოზ მისტიკოსის №51 წერილი კონსტანტინე III-ადმია მიწერილი.¹ კერძოდ, ნიკოლოზ მისტიკოსის ამ წერილში აღნიშნავს: „*შენ ღვთის ცნების მიხედვით დიდი ამაგი დასდე და განანათლე ალანიის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა*“² ეს წერილი კონსტანტინე მეფისადმი მიწერილი უნდა იყოს, რადგან აქ ალანთა მთავრის გაქრისტიანების საკითხზეა საუბარი, ხოლო გიორგი II-სადმი მიწერილ წერილში კი ნიკოლოზ მისტიკოსი თხოვს მას გააგრძელოს მამის საქმიანობა, რომელმაც „*ალანთა მმართველის გაქრისტიანება შეძლო*“. ჩვენი აზრით, აქ აშკარად ჩანს, რომ ნიკოლოზ მისტიკოსი მამა-შვილს სხვადასხვა დროს უგზავნის წერილებს და ეს მოსაზრება გასაზიარებელია.

„აფხაზთა“ სამეფოს ინტერესები ალანებისადმი, ჯერ კიდევ მაშინ გამოიკვეთა, როცა კონსტანტინე მეფემ ალანთა კარის შემოერთება გადაწყვიტა, მაგრამ მისი დამორჩილება ვერ შეძლო. როგორც ჩანს ეს ბრძოლა იმ დიდი პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც ითვალისწინებდა ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების მხრიდან „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრების უსაფრთხოებას და შესაბამისად, იქ ქრისტიანობის ქადაგებას, რაც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დასაყრდენი იქნებოდა „აფხაზთა“ სამეფოს მომავალი პო-

¹ **Е. К. Аджинджал.** Из истории христианства Абхазии. Сухум, 2000, გვ. 89, 91. შდრ. **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 112-113.

² **ნიკოლოზ მისტიკოსი.** – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა.** ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 213-214.

ლიტიკური გაფართოებისათვის.

როგორც ვხედავთ, წერილობითი წყაროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ აფხაზთა მეფის კონსტანტინე III-ის, ენერგიული და ამბიციური სახელმწიფო მოღვაწის სახე: ქვეყნის გაერთიანებისათვის დაუნდობელი მებრძოლი, მაგრამ სათნოებით აღსავსე, „ოქროთი ხატის მმოსავი“, „ალავერდს მლოცველი წმ. გიორგის წინაშე“ და „შემომწირველი ჯუარმეწამული-საჲ“. სწორედ კონსტანტინე III-ისა და მისი მემკვიდრეების თავდაუზოგავმა ზრუნვამ, მიმართულმა თავიანთი სახელმწიფოს შემდგომი ტერიტორიული განვრცობისა და გაძლიერება-განმტკიცებისაკენ, შექმნა მყარი საფუძველი ქუთაისის ტახტის ეგიდით ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისათვის X-XI საუკუნეების მიჯნაზე.¹

¹ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004, გვ. 55.

ЛИА АХАЛАДЗЕ

КОНСТАНТИН III ЦАРЬ «АБХАЗОВ»

В статье рассмотрена государственная и политическая деятельность царя «абхазов» (Западной Грузии) Константина III-го (893-922гг.). На основании оригинального осмысления данных некоторых грузинских и иноязычных письменных источников, а также соответствующей специальной научной литературы, представлена многогранная деятельность этого незаурядного западногрузинского царя, основные векторы его внутренней и внешней политики; показана роль и место Царства «абхазов» и его лидера на международной арене, в частности, в деле распространения христианства в Алании-Овсети. Уделено внимание строительной деятельности Константина III-го в пределах своего царства. В этой связи отмечено его активное участие в восстановлении Самцеврисского, Ередвского и Атенского храмов.

LIA AKHALADZE

THE KING OF ABKHAZS KONSTANTINE III

The paper deals with the internal and external policies of the “Abkhaz” Kingdom under the reign of the “Abkhaz” king – Konstantine III (893-922). On the basis of the new interpretation of Georgian and foreign narrative and epigraphic sources, the multifaceted activities of Konstantine III, the main vectors of his internal and foreign policy, the place and significance of the “Abkhaz” kingdom are shown. The role of Konstantine III in converting the North Caucasus people to Christianity is especially stressed. The attention is paid also to the active construction works inside the country, namely the participation of Konstantine III in the restoration of Samtsevisi, Eredvi and Ateni churches.

ЗУРАБ ПАПАСКИРИ

ЭТНОДЕМОГРАФИЧЕСКИЙ, ПОЛИТИКО- ГОСУДАРСТВЕННЫЙ И СОЦИАЛЬНО-КУЛЬТУРНЫЙ ОБЛИК СОВРЕМЕННОЙ АБХАЗИИ В XVI-XVIIIВВ.

Этнодемографические изменения. XVI-XVIIIвв. наиболее сложный период в истории нынешней Абхазии. Сложность данной эпохи заключается в том, что в это время, Абхазия из высокоразвитого феодального региона, где процветала христианская культура и книжность начала резко отставать от остальных областей Грузии и, за короткий срок, превратилась в отсталую страну с примитивным патриархальным хозяйством и реанимированными языческими верованиями. Письменные источники, как грузинские, так и иноязычные, чётко зафиксировали изменения, произошедшие в общественной и культурной жизни Абхазии. Особенно наглядно об этом свидетельствует *«Мунебаи сарджуло» («Каноническая заповедь»)* составленная в 1470-1474гг в связи с избранием Иовакима «абхазским» т.е. западногрузинским католикосом.

В этом документе прямо указывается что «абхазы вовсе отошли от христианства и отступили от заповедей Христа».¹ По словам католического миссионера Арканджело Ламберти – жившего долгое время в Западной Грузии (XVIIв.) – абхазы также как аланы, черкесы, джики и карачаевцы только на словах являются христианами, а на самом деле, и по вере и по поступкам они далеко не христиане.² Другой миссионер – Джо-

¹ *Памятники грузинского права.* Т. III. Церковные законодательные памятники (XI-XIX веков). Тексты издал, примечаниями и указателями снабдил **И. С. Дolidze.** Тб., 1966, с. 222 (на груз. яз.); **Д. Л. Мухелишвили.** Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия,* Тб., 1999, с. 134.

² **Арканджело Ламберти.** Описание Мегрелии. Перевод с итальянского **А.**

ванни да Лука, также отмечает, что абхазы хотя и христиане, но не соблюдают христианские обряды. Он же подчёркивает, что абхазы живут в горах до Черкесии, и что в их стране нет городов и их образ жизни такой же, как у черкесов.¹ В XVIIIв. Гюльденштедт также заметил, что по образу жизни абхазы более других похожи на черкесов, и что они в основном занимаются скотоводством.² О близости абхазов с северокавказским горским населением: (аланы, джики и т.д.) пишут также Арканджело Ламберти³ и Вахушти Багратиони.⁴

На основании этих и других материалов, в историографии совершенно обоснованно, стали связывать изменения в социально-экономической и культурной жизни Абхазии с определёнными демографическими изменениями, которые произошли в крае в позднем средневековье, в частности с новым наплывом горских племён. Просачивание горцев на равнину, как известно, имело место и раньше. Более того, возможно, что этот процесс никогда и не прекращался, однако, в условиях сильной государственной власти и государственного правопорядка грузинское феодальное общество безболезненно справлялось с натиском первобытности. Горцы постепенно вживались в общегосударственную социально-экономическую систему и становились органической частью грузинского феодального общества. Но кардинально менялась ситуация, когда центральная власть была не в состоянии обеспечить государствен-

Чкония. Второе издание. Предисловие редакция и примечания *Л. Асатиани.* Тб., 1938, с. 116; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и Абхазии в XV-XVIII вв. Тб., 1996, с. 83 (на груз. яз.).

¹ *Сведения доминиканского миссионера Джованни да Лука об Абхазии и Мегрелии.* – В кн.: **И. М. Табагуа.** Грузия в архивах и книгохранилищах Европы. III. Тб., 1987, с. 170 (на груз. яз.); **Г. Рогава.** Религия и церковь в Абхазии. Тб. 1997, с. 21 (на груз. яз.).

² *Путешествие Гюльденштедта по Грузии,* т. II. Немецкий текст с грузинским переводом издал и исследовал **Г. Гелашвили.** Тб., 1964, с. 51; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и Абхазии..., с. 85.

³ **Арканджело Ламберти.** Описание Мегрелии..., с. 8.

⁴ **Вахушти.** История Грузии. – *Картлис цховреба.* Грузинский текст подготовил по всем основным рукописям проф. **С. Г. Каухчишвили,** т. IV. Тб., 1973, с. 787.

ный правопорядок на всей территории страны. В таких случаях, из под контроля выходили, в первую очередь, горные районы, где сразу же оживали первобытные устои. Первые симптомы засилья горцев наблюдаются уже в XIIIв, когда в Восточной Грузии появилась т.н. «овсская угроза». Однако, в I трети XIVв. Гиоргию V Блистательному удалось положить конец натиску овссов (осетин) и восстановить государственный порядок в Шида Картли.

В Западной Грузии – активизация горских племён наблюдается с конца XIVв. Главную угрозу в этом плане представляли племена джиков-адыгов, которые начали наступать на Абхазское эриставство. Владетели Одиши-Мегрелии, которые в то время контролировали территорию современной Абхазии, были вынуждены наносить превентивные удары джикам и тем самым предотвратить их наступление в глубь Абхазии. Однако эриставы Абхазии Шарвашидзе в своей борьбе против одишских владетелей всё больше стали опираться на джиков и явно поощряли заселение территории Абхазского эриставства родственными джико-абхазскими племенами. Эти «новые абхазы» по своему социально-культурному облику резко отличались от живших здесь до этого абхазов и создававших общегрузинскую христианскую цивилизацию.

Обращая внимание на этот резкий разрыв в общественной и культурной жизни абхазов в позднем средневековье, известный грузинский учёный П. И. Ингороква ещё в начале 50-х годов XXв. впервые высказал мысль о том, что абхазы («абазги», «апсилы») раннего средневековья, сыгравшие ведущую роль в создании Царства «абхазов» ставшим в последствии, гегемоном общегрузинского государства, не могут быть предками апсуа-абхазов XVI-XVIIIвв. По его мнению «абазги»- апсилы)-«абхазы» были картвельскими племенами, а абхазы позднего средневековья представители адыго-абхазского этнического мира, которые переселились в Абхазию с Северного Кавказа в XVI-XVIIIвв.¹ Данная точка зрения П. И. Ингороква

¹ **П. И. Ингороква.** Георгий Мерчуле – грузинский писатель X века. Тб., 1954, с. 118-189 (на груз. яз.).

не получила поддержку со стороны грузинских учёных. Позиция официальной грузинской историографии была озвучена академиком Н. А. Бердзенишвили, который этому вопросу посвятил специальную статью.¹

Отношение Н. А. Бердзенишвили к этническим проблемам Абхазии наиболее чётко изложено в его наблюдениях и обобщениях опубликованных в VIII томе *«Вопросов истории Грузии»*, в вышедшем после смерти учёного.² Следует отметить, что в последнее время, некоторые грузинские исследователи не совсем верно трактуют высказывания акад. Н. А. Бердзенишвили и нередко объявляют его, чуть ли ни сподвижником и единомышленником П. И. Ингороква (в этом особенно преуспел Г. Г. Гасвиани³). Однако со всей категоричностью можно утверждать, что Н. А. Бердзенишвили, практически, нигде и никогда не говорил о принадлежности абхазов раннего средневековья к картвельскому этническому миру.

В этом плане единственным исключением можно считать лишь фрагмент из статьи *«Маленькое замечание по большому вопросу»*, публикация которой,⁴ как известно, стала чуть ли не главным поводом антигрузинского мятежа абхазов 1967 года.⁵ В ней вроде бы допускалась возможность картвельского (этнического) происхождения абхазов раннего средневековья. По мнению учёного при определении этнической принадлежности того или иного народа не следует придавать решающее значение языковому фактору. В это связи, он в пример при-

¹ **Н. А. Бердзенишвили.** О книге Павле Ингороква «Гиоргии Мерчуле». – Журн.: *«Мнатоби»*. 1956, №12, с. 125-131 (на груз. яз.). с. 125-131.

² **Н. А. Бердзенишвили.** Вопросы истории Грузии. Тб., 1990, с. 538-621 (на груз. яз.).

³ **Г. Г. Гасвиани.** Грузинские учёные о точке зрения Павле Ингороква об Абхазии и абхазах. Тб., 2003, с. 53-80 (на груз. яз.).

⁴ **Н. А. Бердзенишвили.** Маленькое замечание по большому вопросу. – В кн.: *Н. А. Бердзенишвили.* Вопросы истории Грузии, т. III. Тб., 1966.

⁵ Об этом см. **З. В. Папаскири.** Сепаратистские выступления в Абхазии в 50-60-х годах XXв. – *Исторические разыскания.* Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такайшвили. VII. Тб., 2004, с. 10-25. Интернет-версию см.: saistoriodziebani.googlepages.com.

водил современных азербайджанцев. «По языку теперешние азербайджанцы, – пишет Н. А. Бердзенишвили, – чистые турки, но разве они являются турками по происхождению? Кто может отрицать, что по своему происхождению они, хотя бы наполовину не кавказские «албанцы»?¹

Говоря же об абхазах, учёный обращает внимание на то, что этническая пестрота на территории Абхазии характерная для античного периода уже в «феодальный период истории Грузии» не наблюдается и, что в это время территория нынешней Абхазии состояла из независимых друг от друга эриставств. «Среди них **только одно называлось Абхазским**» (курсив Н. А. Бердзенишвили). Оно охватывало территорию «от современного Нового Афона (Анакопия) до Капоети-реки (Бзыби), или до теснин Гагры». Тут же акад. Н. А. Бердзенишвили подчёркивает, что «**для создания административной единицы феодальной эпохи исходным принципом был племенной фактор**».²

Из этих рассуждений, вытекает вывод, что Н. А. Бердзенишвили явно признавал этно-племенную индивидуальность населяющих Абхазское эриставство абхазских племён, хотя он не считал их более отдалёнными от лаз-иберов племенами, чем сваны, месхи, эри. В связи с этим, учёный обращает внимание и на древнегрузинскую традицию («*Карлис цховреба*»), согласно которой «Абхазское эриставство» территориально было частью страны-удела Эгроса. «Это предание, – пишет Н. А. Бердзенишвили, – весьма достоверное свидетельство, как **этнического родства** племён Грузии, так и их культурно-исторического сотрудничества».³

Таким образом, акад. Н. А. Бердзенишвили в рассматриваемой статье, правда несколько гипотетический, но всё же допускал возможность этнического родства т.н. «древних абхазов» с картвельскими племенами (в других работах учёно-

¹ Н. А. Бердзенишвили. Маленькое замечание по большому..., с. 278.

² Н. А. Бердзенишвили. Маленькое замечание по большому..., с. 278.

³ Н. А. Бердзенишвили. Маленькое замечание по большому..., с. 278-279, курсив наш – З.П.

го это не встречается). Несмотря на это, со всей категоричностью можно утверждать, что целью грузинского учёного было вовсе не установление этнического происхождения абхазов, а показ бесспорного факта, что «Абхазия культурно-исторически органическая часть Грузии и, что абхаз в культурно-исторически (а не этнически – З.П.) был грузином..., также как карт, эретинец, кахетинец, месх, клардж, шавш, эгри, сван, зан и т.д.».

То, что здесь совершенно не подразумевается этническая сторона не вооружённым глазом видно во второй части статьи, где автор даёт оценку деятельности владетельного князя Келеш Ахмед бея Шарвашидзе. В ней, акад. Н. А. Бердзенишвили современных абхазов однозначно считает братским грузинам народом. «Келеш-бей и ему подобные, – пишет учёный, – это отрицание тысячелетней истории Абхазии, отрицание тысячелетнего культурно-исторического сотрудничества братьями, отторжение от грузин, предательство Грузии (да и самой Абхазии). И как может сегодня советский абхазский гражданин (т.е. нынешний абхаз – З.П.), отречься от собственного прошлого, от собственной славной истории и признать героем того, кто отрицал эту историю? Героем был Леон I, объединитель Лихтимерети, героями были те Гиоргии-Константины, которые делали всё для объединения Грузии-Кавказа. Героями были строители Мокви, Бедии, Лыхны и Анакопии, строители единой Грузии... Героем был тот абхазский юноша (сын владетеля), который в Хресильской битве вместе с царём Соломоном сражался против осмалов¹... Мокви, Анакопия, Бедия, Лыхны, Бичвинта... памятники созданные в теснейшем сотрудничестве с грузинскими братьями и свидетельства этого исторического сотрудничества».²

¹ Имеется в виду Хресильское сражение в 1757г., когда Хутуния Шарвашидзе – сын самурзаканского владетеля проявив исключительный героизм (ворвался в лагерь неприятеля и лично заколол 16 турков), пал смертью храбрых.

² Н. А. Бердзенишвили. Маленькое замечание по большому ..., с. 285-286, курсив наш – З.П.

Как видим, приведённая цитата из «крамольной» статьи акад. **Н. А. Бердзенишвили** не оставляет никакого сомнения у объективного читателя, в том, что он **однозначно признавал идентичность современных абхазов с теми абхазами, которые на рубеже VIII-IX вв. вместе со своими грузинскими братьями создавали единое западногрузинское государство – «Царство абхазов» с общим грузинским государственным языком и общей грузинской христианской цивилизацией.** Этот же вывод вытекает из заключения акад. Н. А. Бердзенишвили о том, что переселившиеся из Северного Кавказа в позднем средневековье джико-абхазы и встретившие их (в пределах Абхазского эриставства – **З.П.**) абхазы разговаривали на одном и том же языке.¹

Вместе с тем, он совершенно однозначно высказывался о том, что абхазы раннего средневековья «культурно-исторически», подчёркиваем **«культурно-исторически»** а не этнически **являлись такими же грузинами как картлийцы, кахетинцы, мегрелы, сваны и т.д.** Изменения в социально-культурном облике Абхазии в позднем средневековье Н. А. Бердзенишвили связывал с новым притоком горцев, которые подрывали устой развитого грузинского феодального общества и грузинской христианской культуры, носителями которых были встретившие их здесь абхазы – они же грузины в «культурно-историческом» плане.

Мы целиком и полностью придерживаемся взгляда акад. Н. А. Бердзенишвили по рассматриваемому вопросу и также считаем совершенно необязательным искать причины резкой смены социально-культурного облика Абхазии в том, что место прежних абхазов – этнических грузин заняли апсуа-абхазы, представители адыго-абхазского этнического мира как это полагал П. И. Ингороква. Однако это вовсе не означает то, что мы отрицаем этническое обновление Абхазии в позднем средневековий. Наоборот, изменения в социально-культурной жизни Абхазии в указанное время, мы также связываем с определённой демографической экспансией северокавказских джи-

¹ **Н. А. Бердзенишвили.** Вопросы истории Грузии. Тб., 1990, с. 516.

ко-абхазских племён. Мы просто не исключаем возможность этнического родства джико-абхазов с абхазами, жившими в пределах Абхазского эриставства до этого. В связи с этим, нам кажется немаловажным, что средневековая грузинская историческая традиция почему-то не зафиксировала этническое различие между абхазами раннего периода и апсуа-абхазами позднего средневековья. Упомянутая нами «Каноническая заповедь», как уже было показано, говорит не о том, что абхазо-грузин изгнали из Абхазии апсуа-абхазы и заняли их место, а о том, что эти же абхазы (т.е. те которые жили там с самого начала) «отошли от христианства».

В связи с этим особо хотим обратить внимание на одно, на наш взгляд весьма важное сообщение царевича Вахушти, в котором говорится о том, как захватывали абхазы Одиши (начало 80-х годов XVIIв.) «до Эгриси-реки и **обосновывались там**» („დაეშენებოდნენ“).¹ Т.е. в этом случае, грузинская историческая традиция чётко фиксирует как абхазы, завоевавшие территорию Одиши-Мегрелии, начинают осваивать её. Ничего подобного не было замечено грузинской исторической традицией по отношению Абхазского эриставства. Это явно означает, что в пределах Абхазского эриставства не было какого-либо (во всяком случае, серьёзного) противостояния между местным абхазским населением и пришедшими джико-абхазами, что нельзя говорить о Цхуми-Сухуми и территориях южнее от него, которые, как отмечают современники, как раз и подверглись опустошительным погромам абхазов. Всё это, а также тот факт, что представители рода Шарвашидзе, исторически всегда входившие в политическую элиту Грузии, возглавляли экспансию абхазов в юго-восточном направлении, свидетельствует об этническом родстве абхазов Абхазского эриставства и джико-абхазов проникших сюда в позднем средневековье.

О том, что в этот период действительно происходит проникновение новой волны горцев – джиков-абхазов с Северного Кавказа на территорию современной Абхазии явно свидетельствуют предания, записанные в своё время известным адыгс-

¹ Вахушти. История Грузии..., с. 845, курсив наш – З.П.

ким просветителем XIXв. Ш. Ногмовым. По одному из этих преданий предводитель адыгов Инал (начало XVв.), собрав своих соплеменников из окрестностей Анапы, переселился сперва в Кабарду, а затем оттуда ушёл в Абхазию вместе с абазинскими князьями Аше и Шаше. «После покорения Абхазии – рассказывает Ш. Ногмов, – находясь на Дзибе (что, по мнению специалистов, означает реку Бзыби) для заключения мира с абхазскими племенами, он по окончании всех дел скончался (в 1427г.) смертью праведника. Тело его похоронено в упомянутой земле, и могила его, известная до сих пор, носит название – «Инал-куба» что переводится с абхазского как «Иналова могила». По преданию могила Инала – Инал-куба находится на высокой горе у села Псху.¹ Могилу Инала, впоследствии абхазы и абазины чтили, как святыню и она стала местом их паломничества, где «происходили многолюдные общественные моления».²

В историографии, почти не вызывает сомнения, что под абазинскими князьями Аше и Шаше следует подразумевать абхазских князей Ачба и Чачба.³ В этом предании исследователи видят отголоски реальных событий, а именно, «крупномасштабное переселение племён абазин, в частности, горных абазин-ашхарцев из Северного Кавказа на Черноморское побережье Абхазии».⁴ Не кто иной, как крупнейший абхазский учёный-этнограф Ш. Инал-ипа однозначно признавал, что в исторических преданиях «часто рассказывается о том, как приходили в Абхазию один за другим целые роды или отдельные лица откуда-то с Севера из-за гор».⁵ В этнографической литературе зафиксировано также, что по преданию род Ачба

¹ Ш. Б. Ногмов. История адыгейского народа. *По Кабардинским преданиям*. Нальчик, 1982, с. 76-78; Д. Л. Мухелишвили. Исторический..., с. 133.

² Д. Л. Мухелишвили. Исторический статус..., с. 133.

³ Л. И. Лавров. Проблемы этногенеза кавказских горцев. – В кн.: *„Историко-этнографические очерки Кавказа“*, Л., 1978, с. 46; Д. Л. Мухелишвили. Исторический статус..., с. 133.

⁴ Д. Л. Мухелишвили. Исторический статус..., с. 133.

⁵ Ш. Д. Инал-ипа. Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971, с. 141; Д. Л. Мухелишвили. Исторический статус..., с. 133

(Анчабадзе) действительно попал Абхазию как раз через окрестностей Псху. Через Псху предполагают также появление в Абхазию и других переселенцев из Северного Кавказа – родов: Ашуба, Адлейба, Инапшба и др.¹

В первой половине XVв. несмотря на отдельные осложнения, центральной власти грузинского государства всё же удавалось сдерживать натиск джиков-абхазов и сохранить контроль над Абхазским эриставством. Однако, утверждение османского владычества в северном и северо-восточном побережье Чёрного моря во II половине XVв. ещё больше накалили обстановку у северо-западных рубежей единого грузинского государства окончательный распад которого к этому времени к тому же стал неминуемым. Именно при подстрекательстве турков-османов, энергично приступившим к идеологическому «освоению» Северо-Западного Кавказа, джики-абхазы усилили экспансию в сторону пределов Одиши-Мегрелии. Первый выпад в этом направлении авогазы (они же абхазы), как известно, осуществили ещё в 1455г., когда они подвергли грабительскому погрому Цхуми-Себастополис. Тогда последний царь объединенной Грузии Гиорги VIII, молниеносно отреагировав на эту вылазку, сумел прогнать нападавших и вернуть сбежавшее население обратно.²

Политические процессы в Западной Грузии XVI-XVII вв. и современная Абхазия. После распада единого грузинского государства (конец XVв.), на первых порах, владетели Мегрелии-Одиши по-прежнему контролировали большую часть территории современной Абхазии и временами пытались нанести решающий удар джико-абхазам. Так 1533г. владетельный князь Мегрелии Мамия III Дадияни, пожаловавший в период своего правления (1512-1533гг.) Бичвинтской Богоматери несколько селений с дворянами и крестьянами, в том числе селе-

¹ Д. Л. Мухелишвили. Исторический статус..., с. 133. Там же соответствующая литература.

² Э. М. Мамиствалишвили. Из истории Одиши. – *Труды ТГУ*. Т.310. Тб., 1992, с. 55 (на груз. яз.). З. В. Папаскири. Территория Абхазии в XI-XVвв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, с. 191.

ния расположенные непосредственно в окрестностях самой Бичвинты-Пицунда: Аитарне, Аруха и Рабица, в месте с Мамией I Гуриели, при поддержке имеретинского царя Баграта III-го (1510-1565), снарядил морскую экспедицию и высадился в Джикети. Двухдневный бой завершился поражением Дадиани и Гуриели. В этой битве был убит Мамия Дадиани и пленён Мамия Гуриели, которого впоследствии выкупил «абхазский» католикос Малакия I (Абашидзе). По материалам грузинской летописи, повествующей об этих событиях, в этом бою роковую роль сыграл некий Цандия Иналдипа (Инал-ипа) – по всей вероятности руководитель абхазской дружины, который предал одишцев и гурийцев.¹

Однако, Одишское княжество, несмотря на это поражение, всё же сохраняло своё влияние на значительную часть территории современной Абхазии. Во всяком случае, по почти документальному указанию одного турецкого резидента (30-ые годы XVIв.) «От Гурии до Сухуми (расположена) Дадианская земля. Сухуми в древности был портом. Здесь к морю спускается ветвь Эльбрусской горы. За ней лежат абхазские земли».² Под «ветвью Эльбрусской горы» по мнению специалистов турецкий источник «подразумевает боковую ветвь Главного Кавказского хребта, которая доходит почти до морского берега на правом берегу р. Псирцха».³

В XVIв. абхазы по-прежнему не стояли в стороне от политических процессов, протекавших в Западной Грузии. Так 1573г. они вместе с джиками и черкесами приняли участие в междоусобице вспыхнувшей в это время в Одиши. они поддержали Гиоргия Дадиани изгнанного из Мегрелии его же

¹ *Картлис цховреба*. Грузинский текст подготовил по всем основным рукописям **С. Г. Каухчишвили**. Т. II. Тбилиси, 1959, с. 497; **Б. К. Хорава**. Взаимоотношения Одиши и., с. 61-62.

² *Турецкие источники по истории Самцхе-Саатабаго I половины XVIв.* Турецкие документы с грузинским переводом, исследованием и примечаниями издала **Ц. Абуладзе**. Тб., 1983, с. 57; **Б. К. Хорава**. Взаимоотношения Одиши и., с. 60.

³ **Т. Берадзе**. Этнополитические процессы на территории современной Абхазии в XI-XVвв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, Тб., 1999, с. 206.

братом Мамией и нашедшего убежище в Абхазии. Этот факт, зафиксированный как в летописи «*Картлис цховреба*»,¹ так и в сочинении царевича Вахушти,² явно свидетельствует о том, что, при необходимости, не только абхазские князья Шарвашидзе, но и представители рода Дадиани охотно привлекали джиков и черкесов.

В 1578г. после начала новой войны между Ираном и Турцией, в Сухуми высадился турецкий десант и официально было объявлено об утверждении османского владычества и создании здесь Сухумского бейлербейства.³ Однако, уже в 1580г. турецкие власти сочли нужным упразднить Сухумское бейлербейство и вскоре вовсе покинули Сухуми. По мнению некоторых исследователей именно в это время мегрельский владетельский дом потерял контроль над Сухуми, и он явно при поддержке Сухумского бейлербея – Хаидар-паши (черкеса по происхождению) перешёл к абхазам.⁴ Более того, Т. Берадзе, вообще считает, что в 1578-1580гг. «владельцы Абхазии полностью освободились от сюзеренитета... Одиши».⁵

В историографии долгое время превалировало мнение (И. Г. Антелава, З. В. Анчабадзе),⁶ согласно которого окончательное формирование Абхазского независимого от Одиши княжества произошло, где-то в начале 10-х годов XVIIв. Однако, в последнее время, этот вывод пересматривается. По мнению некоторых исследователей (А. Тугуши, Д. Л. Мухелишвили) в период правления грозного одишского владетеля Левана II-го Дадиани большая часть территории современной Абхазии, по-прежнему находилась в пределах Одиши-Мегрелии.⁷ Одной

¹ *Картлис цховреба*..., т. II, с. 361-362.

² **Вахушти**. История Грузии..., с. 816-817.

³ **Т. Берадзе**. Этнополитические процессы на территории..., с. 206.

⁴ **Т. Берадзе**. Этнополитические процессы на территории..., с. 206.

⁵ **Т. Берадзе**. Этнополитические процессы на территории..., с. 206.

⁶ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1951, с. 25; **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, с. 262, 289.

⁷ **А. Тугуши**. К вопросу образования Абхазского княжества. – Газ. «*Сакартвело*», 1993, №19, 12-18 июня, с. 6 (на груз. яз.); **Д. Л. Мухелишвили**.

из резиденции мегрельского владетеля была Меркула (в совр. в Очамчирском р-не). Именно там, в феврале 1615г. Леван II Дадзиани подписал мирный договор с Османской империей.¹ Позднее, неподалёку от Меркула в Киачи была похоронена жена Левана Дадзиани – Нестан-Дареджан умершая в 1639г. а её поминки были устроены во дворце Квитоули (также в нынешнем Очамчирском р-не). Некоторые жители этого села были обложены «оброком... для устройства поминок».²

В источниках фигурирует ещё один дворец Дадзиани на территории современной Абхазии (у р. Галидзга), который по просьбе «абхазского» католика Малакии II Гуриели был пожалован Бичвинтской Богоматери.³ Граница между Абхазией и Мегрелией 1630г. по документальному свидетельству итальянского миссионера Джованни да Лука всё ещё проходила в окрестностях древнего Цхуми-Скисорнума по реке Абси, под которой специалисты подразумевают современную Беслетку.⁴

На первых порах своего правления Леван II Дадзиани сохранял довольно дружественные отношения с домом Шарвашидзе, что было подкреплено династическим браком. Первой женой Левана II Дадзиани была дочь абхазского мтавара Сетемана Шарвашидзе (следует отметить, что именно Сетеман Шарвашидзе первым упоминается в статусе мтавара).⁵ Леван Дадзиани охотно использовал военную силу джиков и абхазов

Исторический статус.., с. 133; **Н. В. Джикия.** К вопросу о возникновении Абхазского княжества. – *Исторические Разыскания.* Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такайшвили, IV, Тб., 2001, с. 120-141 (на груз. яз.). (Электронную версию см.: <http://saistoriodziebani.googlepages.com>).

¹ **И. М. Табагуа.** Грузия в архивах и книгохранилищах Европы, т. II, Тб., 1986, с. 46; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и.., с. 72.

² *Исторические документы Имеретинского царства и Гурийского и Одишского княжеств (1466-1770).* кн. I. Тб., 1958. Текст издал, предисловием и указателями снабдил **Ш. В. Бурджанадзе.** с. 151-152 (на груз. яз.); **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и.., с. 149-150.

³ **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и.., с. 149.

⁴ **И. М. Табагуа.** Грузия в архивах и книгохранилищах Европы, т. III, с. 157; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и.., с. 94.

⁵ **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и.., с. 79.

против имеретинского царя Гиоргия III-го. Однако после того как владетель Одиши нанёс решающий удар имеретинскому царю, он развелся с первой женой и организовал поход в Абхазию. В 30-х годах XVIIв. имел место второй поход Левана Дадиани в Абхазию, во время которого он достиг реки Капое-тисцкали (т.е. Бзыби) где разбил отряды джиков и абхазов под командованием (представителей рода) Маршания.¹

В историографии совершенно обоснованно указывается, что эти военные экспедиции вглубь Абхазии были ответной мерой мегрельского владетеля на агрессивные вылазки джиков-абхазов.² Однако, эти походы, по-видимому, не обеспечили безопасность рубежей Одишского княжества и Леван II Дадиани был вынужден приступить к воздвижению фортификационных сооружений вдоль реки Келасури, т.е. т.н. «Келасурской стены». Несмотря на отдельные попытки некоторых абхазских исследователей (напр. М. М. Гунба³), в науке общепризнано, что Келасурская стена или, по словам Арканджело Ламберти «Стена длиною в шестьдесят тысяч шагов для приостановления абхазских набегов»⁴ была построена именно при Леване II Дадиани. Это подтверждают как грузинские (царевич Вахушти,⁵ Нико Дадиани⁶) так и иноязычные (Арканджело Ламберти⁷, Жан Шарден⁸) письменные источники. Следует отметить, что не кто иной, как рупор абхазских сепаратистов

¹ **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и..., с. 77.

² **К. Г. Григолия.** Надпись на иконе Илорского святого Гиоргия. – *Известия ГАИМК*, XIII, Тб., 1942, с. 157 (на груз. яз.); **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши и..., с. 76.

³ **М. М. Гунба.** Келасурская стена. – *Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа*. Тб., 1977, т. VI, с. 137-151.

⁴ **Арканджело Ламберти.** Описание Мегрелии..., с. 192.

⁵ **Вахушти.** История Грузии..., с. 782.

⁶ **Н. Дадиани.** Жизнь грузин. Текст издал, предисловием, исследованием, комментариями, указателями и словарём снабдил **Ш. В. Бурджанадзе**. Тб., 1962, с. 151 (на груз. яз.).

⁷ **Арканджело Ламберти.** Описание Мегрелии..., с. 192.

⁸ *Путешествие Жана Шардена в Персию и другие страны (сведения о Грузии)*. Перевод с французского, исследование и комментарии **М. А. Мгаблшвили**. Тб., 1975, с. 107.

Ю. Н. Воронов, был вынужден признать сооружение Келасурской стены в XVIIв. мегрельским владетелем.¹

Однако, к середине XVIIв. абхазам всё же удалось прорваться через Келасурскую преграду и перенести границу с Одиши к берегам р. Кодори, хотя некоторые территории на правом берегу р. Кодори, в частности окрестности Драндского монастыря, с. Пшапи и другие по-прежнему считались владениями Одиши-Мегрелии.

Во II пол. XVIIв. после смерти Левана II Дадиани Одишское княжество охватила длительная междоусобица, чем не преминули воспользоваться представители дома Шарвашидзе. Следует отметить, что Абхазское княжество с самого начала не представляло собой строго централизованный государственный организм. Ещё упомянутый нами итальянский миссионер Джованни да Лука, посетивший Абхазию в 1630г. писал, что в то время у абхазов было два князя: Карабей и Путо.² Предполагают, что Карабей был владетелем Бзыбской Абхазии, а Путо сидел в Сухуми.³ По данным же Христофоро де Кастели, побывавшего в этих краях в середине XVIIв. в Абхазии было три князя, среди которых старшим считался Беслако Шарашиа (мегрельская форма Шарвашидзе). Его резиденция находилась в окрестностях Бичвинты (Пицунда).⁴ Абхазы принимали активное участие в противоборстве между Вамеком III-м Дадиани (1657-1661гг.) и Липаритом Дадиани. В этом противостоянии Вамека поддерживал имеретинский царь Александр III. Абхазы как раз выступали на стороне имеретинского царя и Вамека и обеспечили им победу.

Об этом свидетельствует приписка к Бичвинтскому еван-

¹ Ю. Н. Воронов. Келасурская стена, – *Советская археология*, №2, 1973, с. 106-109.

² И. М. Табагуа. Грузия в архивах и книгохранилищах Европы..., т. III, с. 56-158; Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 78.

³ З. В. Анчабадзе. Из истории..., с. 239; Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 78.

⁴ *Альбом зарисовок и реляции Христофоро де Кастели*. Текст Расшифровал, перевёл, с исследованием и комментариями снабдил Б. Гиоргадзе. Тб., 1976, с. 192, 194; Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 78-79.

гелию, в которой от имени Соломона Шарвашидзе и его сына Арзакана сообщается, что они помогли царю и Дадиани против Липарита. Дадиани и Гуриели в честь этого события отчеканили евангелие в здравью и величию самого Соломона и его сына Арзакана.¹ Полагают что Соломон Шарвашидзе был братом Беслако и Сетемана Шарвашидзе.² Он вместе со своим сыном упоминается так же в грузинской надписи на серебрянном предмете, пожалованном Соломоном Шарвашидзе Лыхненскому храму: „ქ. ეპა, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთ უწმინდესო, ადამიანთა მხსნელო, ლიხინისა ღვთის მშობელო. შემოგწირეთ ფეშხუმი ესე ვერცხლისა ჩვენ შარვაშიძემან სოლომონ ამ სოფელს სადღეგრებელოდ, გასამარჯვებლად და ცოდვილის სულის ჩემის სახსრად და საოხად, ძისა ჩემისა არზაყანისა აღსაზრდელად. ამინ“.³ Исследователи (З. В. Анчабадзе, Б. К. Хорава) обратив внимание на весьма сдержанное и уважительное упоминание царя в приписке Соломона Шарвашидзе совершенно обоснованно отмечают, что в это время, абхазские владельцы явно считали имеретинского царя своим сюзереном.⁴

По данным грузинского поэта XVIIв. Пешанги Хитаршвили, видно, что Соломон Шарвашидзе так же снисходительно относился к Картлийскому царю Вахтангу V (Шах-Навазу). Он воздержался от противостояния с ним только по той причине что в его глазах Вахтанг V был царём не просто Картли, а всея Грузии,⁵ а себя считал его вассалом. Потому он видимо вместе с другими представителями рода Шарвашидзе явился к прибывшему в Зугдиди царю Вахтангу и признал его верховенство.⁶ Картлийский же царь, который, в это время явно был общегрузинским лидером, решил не отнимать абхазов у Дадиа-

¹ Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 100.

² Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 79.

³ Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 100.

⁴ З. В. Анчабадзе. Из истории..., с. 289; Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 100.

⁵ Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 103.

⁶ Пешанги. Шахнавазиани. Под редакцией Г. Леонидзе и С. Иорданишвили. Тб., 1935, с. 83; Вахушти. История Грузии..., с. 836.

ნი и приказал абхазам подчиниться владельцу Одиши.¹

Однако в Абхазии ни все и не всегда проявляли лояльность мегрельскому владельцу. Так Павел Алепский посетивший Грузию в 1667г., пишет, что Абхазия или как он называет «Апхазана суть два государства; одно государство в подданстве у Дадьяна мегрельского и суть христиане именем, но не крещены. Поклоняются святым иконам и почитают церкви. А того ради некрещены, что нет у них владыки, ни священников. Другое государство есть нечестивый и близ их живут олланы, авазги, зикхи, черкесы, леки, соаны; и есть великие недруги Мегрелию и восхищают и пленят их».² По словам итальянского миссионера Мари Дзампи (70-ые годы XVIIв.) «Мегрелия ... постоянно находится под угрозой нападения абхазов».³ Особенно участились абхазские набеги в 60-х годах XVII в. В некоторых грузинских источниках сохранились сведения о разграблении абхазами Цаишской и Цаленджихской церквей.⁴

Считается, что во главе абхазского натиска в 60-70-х годах XVIIв. стоял Соустан (Баграт) Шарвашидзе,⁵ который упоминается в одной приписке Бичвинского евангелия: „ქ. ... შენ ცათა სწორო ბიჭუტისა ღმთისმშობელო, ჩუენ შარვაშიძემან საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი – ერთი გოგო ... სავარების აღსაზრდელო... შენ დიდად შუენიერო და ცათა აღმატებულო, შენ ბიჭვიტის მღთის მშობელო, ჩუენ შენმან მონდობილმან და მოსავმან შარვაშიძემა საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შემოსაწირავი გაიჩქინდი ზუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯუებლად და ძისა ჩუენისა სავარებისა აღსაზრდელად და მას საუკუნოს ჩუენის ცოდვილის სუ-

¹ **Пешанги.** Шахнавазиани..., с. 83; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 104.

² **Н. Ш. Асатиани.** Материалы к истории Грузии XVII века. «*Описание Грузии*», составленное **Павлом Алепским**, Тб., 1973, с. 75; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения..., с.104.

³ **М. Тамарашвили.** История католичества..., с. 204-205; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 110-111.

⁴ **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 110.

⁵ **И. Г. Антелава.** Очерки..., с. 38; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 111.

ლის საცხოვრებლად და საოხად, ოღეს მოვიდეთ სუფევითა შენითა“.¹ Сын Соустана Саварех или Сорех Шарвашидзе пошёл ещё дальше. Он воспользовался вспыхнувшей после смерти Левана III Дадияни (1681г.) междоусобицей в Одиши и предъявил свои претензии на владетельский престол Мегрелии. Он вступил в Одиши и даже объявил себя владетелем. Предполагают, что у него были определённые легитимные права на престол Дадияни так как, возможно, его мать была представительницей этого рода.² Однако, Сореху Шарвашидзе удалось распространить свою власть лишь на северо-западную часть р. Ингури, одишским же князем официально был провозглашён Леван IV Дадияни (1683-1691).

В 80-х годах XVIIв. в политических процессах в Западной Грузии участвуют и другие представители дома Шарвашидзе. Т. н. в 1689г. в Абхазии гостил сын картлийского царя Вахтанга V – Арчил, который в то время очередной раз пытался завладеть имеретинским престолом. По словам царевича Вахушти его с большим почётом, как подобает царю, принял в Зупу (т.е. в Лыхны) Шарвашидзе».³ Считают, что это был Зегнак Шарвашидзе, который, на время, сумел распространить свою власть и на владения Сореха Шарвашидзе. Однако после смерти Зегнака Шарвашидзе Абхазское княжество окончательно распалось на три владения. Северную часть – территорию между рек Бзыби и Кодори получил старший сын Зегнака Шарвашидзе – Ростом; район между рек Кодори и Галидзга, или Абжуа (по абхазский средняя страна) перешёл к среднему сыну Джикешии; а территорию между рек Галидзга и Ингури унаследовал младший сын – Квапу, после смерти, которого этот регион перешёл к его сыну Мурзакану, от него и пошло название этого края – Самурзакано.⁴

¹ **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с.111-112.

² **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с.114.

³ **Вахушти.** История Грузии..., с. 851; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 115.

⁴ **И. Г. Антелава.** Политическая жизнь Абхазии в XVI-XVIIIвв. – *Очерки истории Абхазской АССР*, т. I, Сухуми, 1960, с. 122; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения..., с. 116.

Таким образом, к началу XVIIIв. абхазы значительно продвинулись в юго-восточном направлении и прочно обосновались на территориях принадлежащих до этого мегрельским владетельным князьям. Границей между двумя княжествами отныне стала река Ингури. Так оформилась Абхазия в современных её границах.

Этно-социальная и культурно-политическая обстановка современной Абхазии на рубеже XVII-XVIIIвв. После того, как абхазцы вышли к берегам реки Ингури, они приступили к освоению территорий южнее реки Галидзга. По одному преданию, явно отображающему исторические реалии, Квапу Шарвашидзе, которому как уже указывалось, достался удел между рек Галидзга-Ингури, переселил из Бзыбской Абхазии несколько дворянско-княжеских родов, в том числе: Анчабадзе, Емухвари, Инал-ипа-Иналишвили, Маргания, Званбаия, Лакирбая, Акиртава и др.¹ Сам Квапу положил начало ветви самурзаканских Шарвашидзе. Его родовыми именами были объявлены сёла: Бедиа, Пахулани (в Цаленджихском р-не), Борбало (совр. Коки в Зугдидском р-не).² В Самурзакано, наряду с вышеуказанными дворянскими фамилиями, было переселено немало абхазских крестьянских семей.³

Всё это несколько изменило этнодемографическую картину региона, однако, подавляющее большинство населения междуречья Галидзга-Ингури, по-прежнему составляли картвелы (мегрелы). Что же касается других областей современной Абхазии, особенно региона между Цхуми-Сухуми и р. Галидзга, то к этому времени, коренное грузинское (в основном мегрельское) населения этого края, отчасти, было вынуждено покинуть родные места и переселиться в центральные районы Одиши-Мегрелии. Многие были взяты в плен и проданы в рабство, других переселили в Бзыбскую Абхазию, где они растворились среди абхазов. Не должно вызывать никакого сомнения то, что большая часть современных абхазов живущих

¹ Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 116-117.

² Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 117.

³ Б. К. Хорава. Взаимоотношения Одиши..., с. 117.

в Гудаутском р-не и носящих грузинские (мегрельские) фамилии, как раз, и являются потомками тех грузин-мегрелов, которые силой были угнаны в Бзыбскую Абхазию.¹

О насильственном изменении этнодемографической картины современной Абхазии в XVIIв. наглядно свидетельствует жалованная грамота «абхазского» католикоса Григола Лордкипанидзе к Бичвинтской Богоматери (1712г.), в которой документально подтверждается, что из 60-и дымов принадлежащих Бичвинтской кафедре в XVIв. в селе Нажаневи-Нажанеули (по мнению исследователей окрестности современного села Отобая – Гальского р-на)² к 1706 г. оставалось всего лишь 7 дымов, остальные же были «выселены абхазами» („აფხაზის აგრჯობა“). Эти оставшиеся крестьяне были вызволены названным «абхазским» католикосом «из той стороны Ингури за большой выкуп и поселены в районах центральной Мегрелии (в Хоби, Хибула)³.

Следует особо отметить, что тот же «абхазский» католикос Григол Лордкипанидзе и в другой своей грамоте (от 1706г.) также однозначно говорит о том, что во времена «абхазского» католикоса Давида Непсадзе (1673-1696гг.), крестьяне села Нажаневи были «выдворены абхазами» („აფხაზისაგან აგრძობილი“).⁴ Этому процессу не препятствовал Квапу Шарвашидзе, которому по данным той же грамоты, католикосом

¹ Это, конечно, отнюдь не исключает проживание картвельских племён, наряду с абхазами, в районе Гудауты-бичвинты и до этого. То же самое можно сказать и об абхазах, с грузинскими фамилиями живших и в Очамчирском р-не, хотя, среди них немало и тех, которые «позабыли» о своих грузинских (мегрельских) корнях в недалёком прошлом, под давлением националистически настроенной абхазской коммунистической номенклатуры создавшей в автономной республике в 20-х – начале 30-х годов XXв. (отчасти и в 50-х – 80-х годах) ярко выраженную проабхазскую конъюнктуру.

² **В. Зухбая, Х. Зантарая.** Гали. Природа района, исторический очерк, народное хозяйство. Сухуми, 1988, с. 67 (на груз. яз.).

³ *Памятники грузинского права...*, т. III, с. 670; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 118.

⁴ *Памятники грузинского права...*, т. III, с. 647-648; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 118.

Давидом было поручено обеспечение безопасности этих крестьян. Более того, этот владелец сам был замешан в продаже крестьян села Нажаневи. На это прямо указывает католикос Григол Лордкипанидзе: «Квап Шарвашидзе продал» („ყვაპ შარვაშიძეს... დაყიდა“).¹ Интересно, что сам Квапу Шарвашидзе в клятвенной книге католикосу Григолу Лордкипанидзе, видимо стремясь скрыть свою причастность к продаже крестьян, обезлюдение данного села связывает с «всеобщим бедствием» („ჟამთა ვითარებითა ქუეყანა ამოწყდა“).² Однако, в другой своей клятвенной книге тот же Квапу Шарвашидзе обещает католикосу Давиду, что **впредь** без его «**ведома и разрешения**» не будет «продавать нажанеульских и хоирских жителей»³ из чего явно следует, что Квапу Шарвашидзе ранее занимался продажей крестьян названных селений. В свое время «абхазскому» католикосу Давиду пришлось выволить от Сореха Шарвашидзе некоего Бибию Болквадзе со своей семьёй, «угнанного абхазом» („აფხაზს... წაეყვანა“).⁴ Эти факты явно свидетельствуют о том, что абхазские владельцы – представители рода Шарвашидзе не были в стороне от того беспредела, который царил на территории современной Абхазии в указанное время, в результате чего, фактически произошла настоящая этническая чистка в крае.

Вместе с тем, нельзя утверждать, что всё это происходило на почве этнополитического антагонизма и уж совершенно нелепо видеть в этом осознанную «национально-освободительную» борьбу абхазского народа против «грузинских (мегрельских) колонизаторов», как это пытаются представить, сегодня, некоторые, поистине обезумевшие, идеологи абхазского сепаратизма.

¹ *Памятники грузинского права...*, т. III, с. 647-648; **Б. К. Хорава**. Взаимоотношения..., с. 118.

² **С. Н. Какабадзе**. Церковные документы Западной Грузии, кн. I, Тифлис, 1921, с. 88 (на груз. яз.); **Б. К. Хорава**. Взаимоотношения Одиши..., с. 117, курсив наш – **З.П.**

³ *Древности Грузии*. Под ред. **Э. С. Такашвили**, т. I. Тифлис, 1899, с. 36 (на груз. яз.); **Б. К. Хорава**. Взаимоотношения..., с. 119, курсив наш – **З.П.**

⁴ *Памятники грузинского права...*, т. III, с. 677; **Б. К. Хорава**. Взаимоотношения..., с. 118.

ратизма.¹ Вопреки их голословным утверждениям, представители абхазского владетельского дома Шарвашидзе, возглавляющие натиск джико-абхазов в юго-восточном направлении, по-прежнему считали себя неразрывной частью общегрузинской социально-политической системы. Именно так воспринимало их тогдашнее грузинское общественно-политическое сознание.

Ярким подтверждением этого являются те факты взаимоотношений между абхазскими владетелями и отдельными представителями грузинского царского дома Багратионов в XVIIIв., о которых частично говорилось выше (наиболее чётко эта ситуация отражена в поэме известного грузинского поэта XVIIIв. Пешанги Хитаришвили – «*Шахнавазиани*», фактически являющейся своего рода исторической хроникой 50-х – 70-х годов XVII столетия). Абхазские владетели, несмотря на то, что они несколько отошли от истинно христианского образа жизни, по-прежнему относились к «абхазским» (западно-грузинским) католикам как к своим духовным отцам и считали своим долгом, верно служить святому престолу, кстати, находившегося в это время не в Абхазии – в Бичвинте-Пицунде, а вдали от неё в Гелати (близ г. Кутаиси).

Об этом наглядно свидетельствует упомянутая нами выше клятвенная книга Квапу Шарвашидзе, которая гласит: «мы владетель Квапу Шарвашидзе и брат мой Кереким (Керкем) написали и поднесли сию твёрдую, неизменную и во все дни жизни нашей надлежащую исполнению клятвенную книгу Вам северному абхазскому католику Давиду...»² и т.д.. Сохранились и другие клятвенные книги, в том числе также упомянутая нами клятвенная книга того же Квапу Шарвашидзе и его сына Автандила адресованная к «абхазскому» католику Григолу Лордкипанидзе.

Абхазия, несмотря на произошедший резкий возврат к первобытности, что вызвал спад общего культурного уровня,

¹ Ю. Н. Воронов. Абхазы – кто они, с. 24; Ю. Н. Воронов, Р. Н. Кация. Абхазское княжество и султанская Турция. – *История Абхазии*. Учебное пособие, гл. ред. С. Лакоба, Сухуми, 1991, с. 120-125

² *Древности Грузии...*, с. 36; Б. К. Хорава. Взаимоотношения ..., с. 119.

и в это время, по-прежнему оставалась в ареале грузинской письменной культуры и книжности. Подтверждением этого являются те грамоты и клятвенные книги, написанные на грузинском языке, которые исходили от владельцев Абхазии и о которых частично говорилось выше. Со всей категоричностью можно утверждать, что языком государственного делопроизводства в Абхазии и в этот период был исключительно грузинский. Даже во II пол. XVIIIв., когда Османская империя усилила свое давление на Абхазию и заставила представителей абхазского владетельского дома Шарвашидзе принять ислам, Абхазия не была полностью вытеснена из общегрузинского культурно-языкового пространства. Неслучайно, что большинство представителей дома Шарвашидзе, среди них даже те, которые были вынуждены принять ислам, носили грузинские имена (Ростом, Манучар, Зураб и др.).

Всё сказанное, однозначно убеждает нас в том, что экспансия джико-абхазов в юго-восточном направлении организованная абхазским владетельским домом Шарвашидзе и их закрепление на территориях принадлежащих ранее владельцам Одиши-Мегрелии, несмотря на определённые особенности, в целом, не выходили из рамок феодальной междоусобицы. Представители рода Шарвашидзе, расширяя пределы своих владений за счёт мегрельских территорий, отнюдь не стремились к созданию некоего апсуа-абхазского национально-государственного организма, не имеющего нечего общего с обще-грузинской государственной и политической системой, а всемерно пытались, так же как и мегрельские Дадияни и гурийские Гуриели, выдвинуться на ведущие позиции именно внутри общегрузинского государственно-политического пространства. Т.е. Абхазский владетельский дом Шарвашидзе не представлял себя вне грузинского государственного и культурно-политического мира и при первом же удобном случае не преминул бы воспользоваться возможностью сесть как на Одишский владетельский, так и имеретинский царский престол, о чём, кстати, свидетельствует приведённый нами факт провозглашения себя Сорехом Шарвашидзе Одишским владетелем.

Итак, к началу XVIIIв., Абхазия оформилась в современных её границах. Однако, по-видимому, владетельский дом Шарвашидзе не думал останавливаться на достигнутом и пытался продвинуться ещё дальше. Во всяком случае, Квапу Шарвашидзе сумел закрепиться и на левом берегу реки Ингури, где ему удалось занять весьма важный в стратегическом отношении пункт – Рухи¹. Известно, что Квапу Шарвашидзе скончался именно в Рухи в 1704г. и что в связи его с кончиной из Гелати специально прибыл «абхазский» католикос Григол Лордкипанидзе, взявший у семьи покойного предназначенный в таких случаях для церкви единовременный налог.²

¹ **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 121.

² *Памятники грузинского права...*, т. III, с. 670; **Б. К. Хорава.** Взаимоотношения Одиши..., с. 122.

ზურაბ კაკასქირი

თანამედროვე აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სოციალურ-კულტურული იმრ-სახმ XVI-XVII საუკუნეებში

ნაშრომში სათანადო პირველწყაროების მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური პროცესები XVI-XVII საუკუნეებში. აღნიშნულია, რომ მიუხედავად რეგიონში მომხდარი სერიოზული ეთნოდემოგრაფიული ცვლილებებისა, რაც დაკავშირებული იყო მთიელ ჯიქ-აფხაზეთა ახალი ტალღის ჩამოწოლასთან, რომელმაც გამოიწვია მხარის ერთგვარი „გაბარბაროსება“, აფხაზეთი, ზოგადად, ამ პერიოდშიც რჩებოდა საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმის ნაწილად. აფხაზეთში კვლავ ცოცხლობდა ქართულ სამყაროსთან ისტორიული და კულტურული ერთობის იდეა. ქართული სალიტერატურო ენა განაგრძობდა სახელმწიფო ენის ფუნქციის შესრულებას. ის იყო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა, ხოლო აფხაზეთის მთავრები კვლავინდებურად თვლიდნენ „აფხაზეთის“ კათალიკოსებს თავიანთ სულიერ მამებად. აფხაზ მთავარ შარვაშიძეთა სახლის (როგორც სამურზაყანოს შტოს, ისე ლიხნელ შარვაშიძეთა) წარმომადგენლები არც ამ პერიოდში ყოფილან გამოთიშულნი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან და ზოგადქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის მატარებლები იყვნენ.

ZURAB PAPASKIRI

THE ETHNO-DEMOGRAPHIC, STATE-POLITICAL, AND SOCIO-CULTURAL CHARACTER OF THE PRESENT-DAY ABKHAZIA IN 16-17th CENTURIES

The paper, on the basis of the primary sources, deals with the ethno-demographical, political and socio-cultural processes at the territory of the present-day Abkhazia in 16-17th centuries. It is mentioned that Abkhazia, despite the descent of the new wave of highlander Djiko-Abkhazs, which caused the “barbarization” of the region, still remained as a part of all-Georgian cultural and political entity. The idea of historical and cultural unity still lived among the Abkhazs. The Georgian language continued to be a state language and it remained as a language of record proceeding and divine service. The Princes of Abkhazia recognized the “Abkhaz” Catholicoses to be their spiritual fathers. The members of the Abkhaz ruling house of Sharvashidze (both Likhni and Samurzayano lineages) were the participants of the political processes in the Western Georgia and carried the all-Georgian political and state mentality.

ჯაბა სამუშია

ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში

ცივილიზირებული ერები ციხე-სიმაგრეთა დაცვისა თუ გარემოცვის საკითხებს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მომავალ სარდლებს წინასწარ ასწავლიდნენ, თუ რა უნდა მოემოქმედათ ალყის დროს. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება უკვალოდ არ იკარგებოდა, ხდებოდა მისი ჩაწერა და მას სამხედრო-თეორიული ლიტერატურის სახეს აძლევდნენ. ძველმა ბერძნებმა სამხედრო საქმის იმ მიმართულებას, რომელიც ქალაქების ალყის ხელოვნებას სწავლობდა – პოლიოკრეტიკა უწოდეს. ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ სამყაროში არაერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა ამ მიმართულებით.

მაგალითად ცნობილი ბერძენი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის ენეი ტაქტიკოსის ნაწარმოებში „*ალყის გადატანის შესახებ*“, მოთხრობილია მტრისაგან გარემოცულ ქალაქში თუ რა სახის სამხედრო ღონისძიებებია ჩასატარებელი.¹ რაც შეეხება ბერძენი არქიტექტორისა და სამხედრო თეორეტიკოსის აპოლოლორის ტრაქტატს – „*პოლიოკრეტიკა*“, მასში განხილულია ციხის გარემოცვისას როგორ უნდა ემოქმედა ლაშქარს, რა სახის სააღწო მანქანები აეგო, კიბის მეშვეობით როგორ დაეძლია გალავანი და სხვა.² ეს იყო პრაქტიკული რჩევები სარდლებისადმი.

ზოგიერთი სამხედრო ტრაქტატი თავისი ეპოქის შედეგია. ასეთი სახის ლიტერატურა იქმნებოდა შუა საუკუნეებში ბიზანტიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ჩვენამდე მოღწეულია რამ-

¹ **Эней Тактик.** О перенесении осады. – წგნ.: *Военное Искусство Античности.* М., 2003, გვ. 38-106.

² **Аполлодор.** Полиокретика. – წგნ.: *Военное Искусство Античности.* М., 2003, გვ. 9-37.

დენიმე ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი, რომელშიც საგანგებო ადგილი ეთმობა ციხის დამცველთა გამოტყუებისა თუ შტურმის საკითხებს.¹ სალადინის დროინდელ არაბულ ტრაქტატში (შეიქმნა დაახ. 1187 წლის ახლო ხანებში), რომელის ავტორია ატ-ტარსუსი, აღწერილია სამხედრო მანქანების – კატაპულტების, ტარანების შექმნისა და გამოყენების ტექნოლოგია, ასევე სააღწეო კოშკების აგების წესები.² ძნელია სათქმელია, ასეთი სახის თეორიული ლიტერატურა იქმნებოდა თუ არა ძველ საქართველოში, სამწუხაროდ, ამის არავითარი კვალი არ არსებობს, მაგრამ იმდენად დიდი იყო კულტურული ინტეგრაცია ბიზანტიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან, რომ ნათარგმნი სამხედრო ტრაქტატების არსებობა დასაშვებია, უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოში დენის ენაზე გადაწერილი ამ სახის ლიტერატურის ყოფნა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სამხედრო ისტორიკოსთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ თუ ციხის აღების რამდენი ხერხი არსებობდა. ამ კამათის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი მკვლევარი მიჯნავს ერთი და იგივე ხერხის სხვადასხვა ფორმებს. პროფ. დანკან ბ. კემპბელი ნაშრომში „*ალყის ხელოვნება*“ გამოყოფს ციხე-სიმაგრის აღების 5 ხერხს. თავდასხმელები შეიძლება მოხვედრილიყვნენ ქალაქში გალაუნის გადალახვის შედეგად, ასევე გალაუნის განგრევის ანდა მის ქვეშ გვირაბის გაყვანის საშუალებით. მაგრამ თუ ეს ვერ ხერხდებოდა მაშინ ქალაქისათვის ალყა უნდა შემოერტყათ ისე, რომ ყოველგვარი გზა გარე სამყაროსთან შეწყვეტილიყო. იყო კიდევ ერთი მესამე საშუალება ღალატით ანდა სამხედრო ეშმაკობით ციხის აღება.³ კ. ნოსოვი, ასევე საკმაოდ საინტერესო მონოგრაფიის ავტორი, ძირითადად ციხე-სიმაგრეების დაკავების ორ ხერხს გამოყოფს: ეს არის შტურმი და

¹ *Две Византийских Военных Трактата конца X века*. Издание подготовил **В. В. Кучма**. СПб, 2002, გვ. 380-383; იხ. ასევე **В. В. Кучма**. Военная Организация Византийской Империи. СПб, 2001.

² **Carole Hillenbrand**. The Crusades: Islamic Perspectives. London, 1999, გვ. 435-436.

³ **Дункан Б. Кэмпбелл**. Искусство осады. *Знаменитые штурмы и осады античности*. М., 2008, გვ. 11.

პასიური ბლოკადა.¹ ს. მარგიშვილმა, შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ხელოვნებისა და სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა, ცალკე ქვეთავი დაუთმო სიმაგრის ალების ტაქტიკას. იგი ძირითადად ციხის ალების სამ ხერხს გამოყოფს. მისი წყარო ამ შემთხვევაში „ვეფხვისტყაოსანია“. ქაჯეთის ციხის ალების ეპიზოდში მოთხრობილია ტარიელის, ფრიდონისა და ავთანდილის თათბირი, რომელზედაც თითოეული მათგანი ციხის ალების საკუთარ გეგმას სთავაზობს მეგობრებს. ფრიდონი საბელით აპირებდა ციხეში შეღწევას და კარის შიგნიდან გაღებას, ავთანდილს ვაჭრის ფორმით სურდა ქაჯეთის ციხეში შესვლა და ციხის კარის ფარულად გაღება. ტარიელი კი მოულოდნელი შტურმით აპირებდა ციხე-ქალაქის აღებას. ს. მარგიშვილიც ამ სამ ხერხზე საუბრობს ვრცლად.² ამ ნაშრომების გარდა ციხე-სიმაგრის ალების თაობაზე შექმნილია ათეულობით მონოგრაფია, რომელთა განხილვა ცალ-ცალკე შორს წაგვიყვანს.³

ციხე-სიმაგრის ალების ხუთი ხერხი უნდა გამოვყოთ.

1) შტურმი – ციხე-ქალაქის შეტევით აღება, რომლის დროსაც შეიძლება მომხდარიყო კედლის დანგრევა და ამ გზით ქალაქში შეღწევა, გამაგრებულ ადგილამდე ფარულად მისვლა და შემდეგ მოულოდნელად შტურმით ქალაქში შევარდნა, საგანგებო კომპეტითა და კიბეების მეშვეობით ქალაქის გალავანზე გადასვლა და სხვა. 2) ბლოკადა – გამაგრებული ადგილის გარე სამყაროსაგან მოწყვეტა, როდესაც ციხე-ქალაქი რჩებოდა მხოლოდ იმ რესურსის ამარა რაც ალყამდე იყო ქალაქში. 3) სამხედრო ემშაკობა – ქალაქის აღება რაიმე ხერხით, როდესაც მინიმუმამდე და-

¹ **К. Носов.** Осадная техника античности и средневековья. СПб, 2003, გვ. 253-254;

² **ს. მარგიშვილი.** შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. ნაწ. I. თბ., 2008, გვ. 208-216.

³ იხ. ძირითადი ნაშრომები: **Jim Bradbury.** The Medieval Siege. London 1996; **Cristopher Gravett.** Medieval Siege Warfare. London 1999. **Philip Warner.** Sieges of the Middle Ages. London, 1968 (ბოლო გამოცემა განხორციელდა 2004 წელს).

სული დანაკარგები. შესაძლებელია ამ დროს შტურმიც განხორციელდეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ციხის აღებაში მას გადამწყვეტი როლი არ ეკუთვნის. ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ „ვეფხისტყაოსნიდან“ ერთი მონაკვეთი, სადაც ავთანდილი თანამებრძოლებს სთავაზობს გეგმას, რომლის მიხედვით ძირითადი ძალები საგულდაგულოდ უნდა დამალულიყვნენ, თავად კი ვაჭრის ტანსაცმელში გადაცმული ქალაქში შევიდოდა. სამხედრო აღჭურვილობა – მუზარადი, ჯაჭვი, ხმალი სავაჭრო ნივთებში დამალული, ჯორზე აკიდებული უნდა შეეტანა. შემდეგ ფარულად აბჯარს ჩაიცვამდა და შეეცდებოდა ქალაქის კარის გაღებას, საიდანაც ქალაქში შემოვარდებოდნენ ტარიელი და ფრიდონი.¹ მთელი ეს სამხედრო ოპერაცია ავთანდილის მოხერხებულობაზე, სამხედრო ხრიკზეა აგებული. ამიტომაც ვთვლით, რომ ეს არის სამხედრო ემშაკობით ციხის დაკავება ერთი კონკრეტული მაგალითი.

4) მუქარა – ციხის აღების ამ ხერხს თითქმის არ ექცევა ყურადღება. შესაძლებელია იმიტომ, რომ ამ მეთოდით გამაგრებული ადგილების დაკავების ერთეული შემთხვევებია. მიუხედავად ამისა, ეს ხერხი მაინც იმსახურებს ყურადღებას. ძირითადად ამ შემთხვევაში მოვლენები ასე ვითარდება: ციხეზე ალყის შემომრტყმელს ტყვედ ჰყავდა ციხის პატრონი, რომელსაც სიკვდილი უწერია, თუ მისი მეციხოვნეები არ დათმობენ ციხე-ქალაქს.

5) ალპინისტების გამოყენებით ანდა გალავნის ქვეშ გვირაბის გაყვანით ციხეში ფარულად შეღწევა – შეიძლებოდა სამხედრო ემშაკობის კატეგორიაში გაგვეყვანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია მაინც სხვა ნიშნებით ხასიათდება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. საქართველოს ისტორიაში ციხე-სიმაგრეების გარემოცვის აღწერის ხუთივე ამ ხერხის დამადასტურებელი არა ერთი ფაქტი მოგვეპოვება. თუმცა, ამგვარი დიფერენციაცია არ ნიშნავს იმას, რომ გამოკვეთილად ამ ხუთ სამხედრო ტაქტიკურ სქემასთან გვაქვს საქმე. ნშირად გარემოცვისას შერეულ ფორმასაც იყენებდნენ, როლესაც

¹ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1951, გვ. 290-291 (სტ. 1398-13400).

ხანგრძლივი ალყის პარალელურად მიმდინარეობდა სიმაგრეზე პერმანენტული იერიშები, ანდა ქვის სასროლი მანქანებით მისი დაბომბვა, რაც მოსახლეობის ნებისყოფის გატეხვასა და არსებული რესურსების განადგურებას ისახავდა მიზნად. აქვე განვმარტავთ, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით იმ მკვლევრებს, რომლებიც, მაგალითად, კელის შეღწევას ციხის აღების ცალკე ხერხად გამოყოფენ. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას იმითომ ვაქცევთ, რომ ჩვენს საკვლევ პერიოდში ასეთი ხერხით ციხის დაკავების მაგალითები ბევრია და საჭიროა დაზუსტდეს, კონკრეტულად რომელ სახეობაში უნდა მოვაქციოთ ამ ფორმით განხორციელებული სააღყო ოპერაცია. მიგვაჩნია, რომ ეს არის შტურმის შემადგენელი ნაწილი. იყო შემთხვევები, როდესაც გალაჟის დანგრევისთანავე ციხეში გარემოცულნი კაპიტულაციას აცხადებდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ციხეში მყოფთა მხრიდან შტურმის თავიდან აცილების პრევენცია იყო. სხვაგვარად ქალაქის კედელს იმითომ ანგრევდნენ, რომ თავდამსხმელები შტურმით შესულიყვნენ ციხე-ქალაქში.

ციხე-ქალაქის იერიშით ალება ყოველთვის უკიდურესი ზომა იყო. იგი დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვდა. ამასთანავე, საჭირო იყო შესაბამისი ტექნიკის ქონაც – კედლის საზღრევი მანქანები – ფილაკავანები, ტარანები და სხვა. იგებოდა საგანგებო კომპიურები, რომლიდანაც მემომრებს შეეძლოთ გალაჟანზე გადასვლა. თუ ამის საშუალებას არ იძლეოდა გარემო-პირობები, მაშინ მემომრები აღჭურვილნი იყვნენ მოგრძო კიბეებით, რომელიც ქონგურებადღე წვდებოდა. ციხე-ქალაქზე შტურმი წარმოებდა როგორც რამდენიმე მიმართულებით, ასევე გალაჟის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე. ქართულ წყაროებში იერიშით ციხის აღების მრავალი ფაქტია მოხმობილი. ყოველი მათგანის აქ განხილვას არ შევუდგებით, დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს.

1122წ. დავით აღმაშენებელმა ქალაქი თბილისი სწორედ იერიშით აიღო. ამ შტურმის დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმცა მთლიანი სურათის აღდგენა ხერხდება. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს: „აღყა შემოარტყეს თბილისს, ისინი (ქართველები) ებრძოდნენ მათ, ვინც იყო მასში (ქალაქში); ძლიერ შეავიწროვეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა

საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალყა გაგრძელდა ჰიჯრის 515 წლამდე (1121/1122), როცა მათ ძალით აიღეს იგი (თბილისი).¹ არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი კი დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებას ასე აღწერს: „როდესაც განადგურდა ნაჯმ აღ-დინი და უკან გაბრუნდა იმათთან ერთად, ვინც გადარჩა, გაემართა მეფე აბნაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა. სამი დღის შემდეგ დაეზავა მის მცხოვრებლებს და მოაღბო მათი გულები“.² იერიშით აიღეს ქართველებმა ქალაქი ანისი 1161 წელს. სომეხი მემატიანე მათეოს ურჰაეცის ცნობით, საქართველოს მეფე გიორგი III ქალაქს მიადგა ორშაბათს და ერთი დღის ბრძოლის შემდეგ აიღო კიდეც. გიორგიმ ანისში თავისი გარნიზონი ჩააყენა.³

ასევე იერიშით აიღო გიორგი III ქალაქი დვინი. მათეოს ურჰაეცი ამ მოვლენასაც ვრცლად აღგვიწერს: „ამავე (1162-1163) წელს სახელოვანი ქალაქი დვინი აღებულ იქნა ქართველთა მეფის გიორგის მიერ. იგი. უცხო თესლთა უკუქცეულ ლაშქარს, რომელიც ქალაქიდან მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო, კვალდაკვალ მიჰყვა, ლტოლვილნი დახოცა, ხოლო გადარჩენილებს, რომლებიც ქალაქისაკენ გაბრუნდნენ, უკან გაჰყვა და ჯარითურთ, ქალაქის კარის გავლით ქალაქში შეიჭრა“.⁴

¹ *Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль Ибн ал-Асира*. Перевод П. Жузе. Баку, 1940, გვ. 123; იხ. აგრეთვე: **ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი**. დიდგორის ბრძოლა. თბ., 1973, გვ. 104-105.

² *Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики*. Перевод с арабского **А. Дж. Мамедова**. – *Труды Института истории АН Азербайджанской ССР*, Т. XII. Баку, 1957, გვ. 222-223; **ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი**. დიდგორის ბრძოლა, გვ. 101.

³ *Chronique de Matthieu d'Edesse (962-1136), avec la continuation de Grégoire le Prêtre jusqu'en 1162*. – *Recueil des Historiens des Croisades. – Documents arméniens*, Paris, 1869. 1er tome, CCLXXX, იხ. ინტერნეტ გამოცემა: **http://www.mediterranee-antique.info/Moyen_Age/M_Edesse/ME_0.htm**. ანისის გარშემო დატრიალებული მოვლენების შესახებ დაწერილ. იხ.: **ჯ. სტეფნაძე**. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე. თბ., 1999, გვ. 51-53.

⁴ *Chronique de Matthieu d'Edesse (962-1136)*...

როგორც ვხედავთ, ღვინელებს ქართველთათვის ბრძოლა ქალაქის გარეთ გაუმართავთ, მაგრამ დამარცხებულან. ამის შემდეგ, გარნიზონმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. მათ ვერ მოასწორეს ქალაქის კარის ჩაკეტვა. დამარცხებული ღვინელები და ქართველები ერთურთში ისე იყვნენ არეულნი, რომ მეციხოვნეებმა უნებლიედ უკუქცეულ ჯარის ნაშთებთან ერთად გიორგი III-ის რაზმებიც შეუშვეს ქალაქში.

ციხის იერიშით აღებამდის ხშირად მიმართავდნენ ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოს, რომელიც მოწინააღმდეგის თავდაცვითუნარიანობის შერყევას ისახავდა მიზნად. ძირითადი ობიექტი იყო ქალაქის გალავანი, რომლის დაზიანება იყო უმთავრესი საზრუნავი ციხე-ქალაქს შემომდგარი ჯარისთვის. გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდი და ტექნიკური საშუალება. ყველაზე აპრობირებული იყო სამი ხერხი:

1. ქვის სასროლი მანქანებით, ანუ ფილაკავანებით გალავნის დაზიანება ან დანგრევა;
2. ზღუდის გახვრეტა;
3. ქალაქის კედლის ქვეშ გვირაბის გაყვანა, რომლის დროს ფუნდამენტი ირღვეოდა, რასაც მოჰყვებოდა გალავნის გადმონგრევა.

ერთ-ერთი ამ ხერხის გამოყენებით 1210წ. აიღეს ქართველებმა ქალაქი ზანგანი. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქალაქის გარემოცვის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სარდლობის გადაწყვეტილებით გალავნის სხვადასხვა მონაკვეთზე ქართველმა მეომრებმა „იწყეს თხრად ზღუდეთა“. პირველად მარჯვენა მხარეს მდგარმა მესხებმა მოახერხეს კედლის გახვრეტა და ქალაქში შეცვივდნენ.¹

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ციხე-სიმაგრის აღების ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ხანგრძლივი ალყა, გარე სამყაროსგან იზოლაციის გზით გარემოცულთა წიანაღმდეგობის გატეხვა. ალყის ამ ფორმას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარ-

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 106.

ყოფითი მხარე. ხანგრძლივი ალყა ადამიანური რესურსების ნაკლებ დანაკარგს ითხოვდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, გარემოცვის დროში გაწელების შემთხვევაში, იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ერთიანი საქართველოს დროს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის დონე მაღალი იყო, ხანგრძლივი დროით ციხე-სიმაგრეთა ალყის წარმოება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.

ქართული წყაროების მონაცემებით, ხანგრძლივი ალყა შეიძლება გაგრძელებულიყო 5-6 წელიც კი. თამარ მეფის დროს, ივანე ახალციხელმა 1202 წლის ახლო ხანებში ალყა შემოართვა კარის (ყარსის) ციხე-ქალაქს. ალყა 5 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. თამარის ისტორიკოსი ერთგან მიუთითებს, რომ სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი „მრავლით ჟამითგან ჰპროდეს“ კარის ციხე-ქალაქს.¹ არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი ამ გარემოცვასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას იძლევა: ქართველებს „დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ ალყა შემორტყმული... ავიწროვებდნენ ვინც მასში იყო და იღებდნენ ამ ვილაიეთის შემოსავალს მრავალი წელი“.² როგორც ვხედავთ, ალყის მსვლელობისას ქართველები ადგილობრივი შემოსავლით სარგებლობდნენ და ამიტომაც ეს გარემოცვა დიდ ტვირთად არ დააწვებოდა ქვეყნის ბიუჯეტს. 1206-1207 წლების მიჯნაზე (დეკემბერი-იანვარი) კარის მცხოვრებლებმა ციხე უშუალოდ თამარ მეფეს ჩააბარეს და მას მიართვეს ქალაქის კლიტენი. შედარებით ნაკლები დროის მანძილზე მიმდინარეობდა თბილისის ალყა ბაგრატ IV-ის მეფობისას. იგი 1038-1040 წლებში წარმოებდა.

ხანგრძლივი ალყა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ძირითადად იკეტებოდა ქალაქში შესასვლელი მთავარი მაგისტრალები და ამ გზით ციხე-ქალაქი სრულ ეკონომიკურ ბლოკადაში ექცეოდა. ამ შემთხვევაში ქალაქის გარშემო არსებული მთელი

¹ **ბასილი ეზოსმოდვარი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. *ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 143.

² *Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль...*, გვ. 119; **ბ. სილაგაძე.** XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. – *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბ., 1966, გვ. 117.

პერიმეტრი არ იყო დაცული და ქალაქში შესვლისა თუ გამოსვლის ერთეული შემთხვევები შეიძლება მომხდარიყო. ბაგრატ IV-ის დროს თბილისის გარემოცვისას ქალაქში ჩამოვარდნილმა საშინელმა შიმშილმა და ეკონომიკურმა სიძნელებმა აიძულა ამირა ჯაფარი ქალაქიდან გაპარულიყო. „*მატიანე ქართლისაჲს*“ მინიშნებით ამირას თანმხლებ პირებს საგანგებოდ ტივები მოუძნალებიათ, რომ მტკვრის გაყოლებით ქალაქი დაეტოვებინათ.¹ როგორც ჩანს, თბილისის გარემოცვისას მტკვრის მონაკვეთი არ იყო საგულდაგულოდ დაცული, რითაც თბილისიდან გაპარვის მსურველებს სურდათ ესარგებლათ.

ციხე-ქალაქის გარემოცვისას ყველაზე უფრო ხშირი იყო, როდესაც საქართველოს ლაშქარი მთლიანად კეტავდა ქალაქის გარშემო ტერიტორიას. კონტროლი წესდებოდა არა მარტო გზებზე, არამედ ყველა ბილიკზე და გალავანთან მისასვლელზე. როგორც აღინიშნა, ხანგრძლივი ალყის დროს მიღებული იყო ციხე-სიმაგრეზე პატარ-პატარა იერიშების მიტანა, ხოლო იქ სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, ხშირად მიმართავდნენ ქვის სასროლი მანქანებით ციხის გალავნის დაზიანების მეთოდს. იმ შემთხვევაში თუ დამცავ კედელს შეანგრევდნენ, უკვე ადვილი იყო იერიშით ქალაქში შეღწევა. XI-XIII საუკუნეებში ამისი დამადასტურებელი არაერთი ფაქტი გვაქვს.

1011-1012 წლებში ბაგრატ III-მ განძის საამიროში ილაშქრა და ციხე-ქალაქი შამქორს მიაღება. მის აულებლად განძამდე ჩასვლა შეუძლებელი იყო. მართალია, ქალაქი შამქორი სწორ რელიეფზე მდებარეობს, მაგრამ მას საკმაოდ ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული პოზიცია უკავია. ციხე-ქალაქის ერთ ნაწილს გალავანთან ერთად მდინარე შამქორის წყალი იცავს. ამდენად, ქალაქის მთლიანი გარემოცვა საკმაოდ რთული იყო. ბაგრატ III-მ მიიღო საკმაოდ ჭკვიანური გადაწყვეტილება. გარემოცვა რა სამი მხრიდან ქალაქი, მან ქვის სასროლი მანქანები, ანუ ფელაკავანები მიუყენა ქალაქს და დაიწყო გალავნის და-

¹ *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. *ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 297.

გრევა. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ამ მოვლენის შესახებ წერს „მცირეთა დღეთა დაღეწნეს ზღუდენი შამქორისანი“.¹

1044წ. საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ ალყა შემოარტყა ანაკოფიის ციხეს. ალყამ დიდხანს გასტანა. ამასობაში ბაგრატ IV-ს თბილისის წარმომადგენელნი „თბილელნი ბერნი“ ეწვივნენ. მეფე იძულებული გახდა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულიყო. ანაკოფიასთან კი მან აფხაზეთის ლაშქარი დატოვა ქვაბულელ ჭაჭას ძე ოთალოს სარდლობით. მართალია, ქართულ წყაროებში მითითებული არ არის, თუ რა ფორმით წარიმართა ანაკოფიის ალყა, მაგრამ სხვა მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ ლაშქარს პერმანენტული იერიშები და ქვის სასროლი მანქანებიც გამოუყენებიათ. ამას ადასტურებს ანაკოფიის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერები, რომელშიც მოთხრობილია, რომ 1046წ. დასაწყისში ბიზანტიელებს საგანგებო სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ ციხის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ხანგრძლივი ალყისას დანგრეული შენობა-ნაგებობების აღდგენის მიზნით.²

1045წ. გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი. მოსახლეობის წარმომადგენლებმა, რომელსაც მემატინე „ტფილელ ბერებს“ უწოდებს, გადაწყვიტეს ქალაქი ბაგრატ IV-ისათვის გადაეცათ. საქართველოს მეფემ თბილისი აიღო. მას წინააღმდეგობა მხოლოდ ისინი ციხემ გაუწია. ბაგრატი იძულებული გახდა ისანი გარემოეცვა და ფილაკავანებით გალაენის შემუსვრა დაეწყო.³ საბოლოოდ, ბიზანტიელთა აგრესიის გამო ბაგრატ IV-მ თბილისის შენარჩუნება ვერ შეძლო.

შუა საუკუნეებში არც ისე იშვიათად მიმართავდნენ სამხედრო ემშაკობით ქალაქის აღებას. ზოგიერთი მკვლევარი ამ წესით ქალაქის დაუფლებას არ მიიჩნევს ცალკე აღნიშვნის ღირსად,

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 280.

² ჩატარებული სააღმშენებლო სამუშაოები ასახულია ანაკოფიაში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერაში, რომელშიც იხსენიება კასის მხედართმთავარი თეოდორე ბალანტი. იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951, გვ. 27.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 299-300.

მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ წყაროთა მონაცემებს, დავინახავთ, რომ ასეთ შემთხვევებში მთავარი აქცენტი კეთდებოდა არა ხანგრძლივ ალყაზე ანდა იერიშზე, არამედ ციხე-სიმაგრის ალებისას გამოიყენებოდა სხვა ტაქტიკური ჩანაფიქრი.

1110წ. საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელმა აიღო სამშვილდის ციხე. დავითის ისტორიკოსი ამ მოვლენას საკმაოდ ლაკონურად აფიქსირებს – „*მოიპარეს სამშვილდეო*“. მოვლენები ასე განვითარებულა: თურქ-სელჩუკთა ყურადღების მოღუნების მიზნით დავით აღმაშენებელი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ დროს გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, კლდეკარის ერისთავი თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი ფარულად მივიდნენ სამშვილდის ციხესთან და აიღეს იგი. მემატიანეს ფრაზიდან კარგად ჩანს, რომ ქართველებს სამხედრო ემმაკობის წყალობით აუღიათ ციხე, ანუ „*მოუპარიათ*.“ სამშვილდე ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, სამხედრო თვალსაზრისით იგი ითვლებოდა აუღებელ ციხედ. დღესაც სამშვილდის ნანგრევებს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. სამი მხრიდან ქალაქი დაცული იყო დიდი გალავნით და საშინელი ხევებით. მისასვლელი ჰქონდა მხოლოდ ერთი მხრიდან, სადაც რამდენიმე ზღუდე იცავდა მას. ამ ციხეს მართლაც თუ „*მოიპარავდი*“, სხვაგვარად მისი აღება საკმაოდ ძნელი იყო.

თამარის მეფობის დასასრულს „*არდაველის სულტანმა*“ სამხედრო ემმაკობის გამოყენებით აიღო ანისის ციხე-ქალაქი. „*ისტორიანი და აზმანი შარავნდედთანის*“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ანისის დაცემის ჟამს დიდმარხვის დღეები ყოფილა და ზაქარია მხარგრძელი, რომელიც ფლობდა ანისს, გეგუთში იყო მეფე თამართან. ამით უსარგებლია „*არდაველის სულტანს*“ და ანისამდე ფარულად მისულა. გზაზე „*არავის ავნო*“, – დასძენს ისტორიკოსი. დიდი შაბათის მწუხრი გასულიყო და აღდგომა თენდებოდა. მეციხოვნეებმა ქალაქის კარი გააღეს, გალავნის მახლობლად ჩასაფრებულმა მტერმა დრო იხელთა და ანისში შეიჭრა. ქართველი მემატიანის თქმით მუსლიმთა ჯარებმა საშინელი ხოცვა-ჟლეტა გამართეს ქალაქში და დიდი ალაფით სასწრაფოდ

გაბრუნდნენ უკან.¹

ამ ვერაგულ თავდასხმას ლაშქრობითვე უპასუხა ქართულმა მხარემ. ერთი წლის შემდეგ ზაქარია მხარგრძელის სარდლობით ქართველებმა ქალაქ არღავზე (არდაბილზე) გაილაშქრეს, რომლის აღებისას ზუსტად იგივე ხერხი გამოიყენეს, რომლითაც ცოტა ხნის წინ ქალაქი ანისი დაეცა. ახლოვდებოდა მუსლიმთა დღესასწაული აიდი. გამთენიისას, როდესაც ქალაქის მეჩეთებში საყოველთაო ლოცვა სრულდებოდა, ქართველებმა ქალაქ არღაველზე იერიში მიიტანეს და როგორც მემათიანე ამბობს: „*უომრად ხელთ იგდეს ქალაქი*“²

ციხე-სიმაგრის აღების ერთეული შემთხვევებია, როდესაც ციხეს შემომდგარი სამხედრო ნაწილები ქალაქის იღებენ არა შტურმით, ან ხანგრძლივი ალყით, არამედ ულტიმატუმის წაყენებით. ამ ულტიმატუმის ობიექტი კი ყოველთვის არის ტყვედ ჩავარდნილი ამ ციხე-ქალაქის პატრონი. დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს: 1046წ. არყისციხესთან განცდილი მარცხის შემდეგ, ლიპარიტ ბაღვაშს ტყვედ ჩაუვარდა სულა კალმახის ერისთავი და გრიგოლ აბუსერის ძე, არტანუჯის ერისთავი. ლიპარიტი კალმახის და არტანუჯის ალებას მათი მფლობელების „მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუშითა“ შეეცადა.³ 1055 წლისათვის იგივე ბედი ეწია თავად ლიპარიტ ბაღვაშსაც, როდესაც იგი და მისი ვაჟი ივანე, ბაგრატ IV-მ კლდეკარის ციხესთან ძელზე გასვა. ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი ანამორი იძულებული გახდა კლდეკარი საქართველოს მეფისათვის გადაეცა.⁴ მოგვიანებით, ბაგრატ IV-მ ეს მეთოდი გამოიყენა სამშვილდის ციხის აღებისასაც, როდესაც ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე გაასმევინა ძელზე. სამი დღის შემდეგ სამშვილდის გარნიზონი დანებდა და ქალაქი ბაგრატს ჩააბარეს.⁵

ამრიგად, XI-XII საუკუნეების საქართველოში ციხე-ქალა-

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 100-101.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 102.

³ მატიანე ქართლისა, გვ. 302.

⁴ მატიანე ქართლისა, გვ. 305.

⁵ მატიანე ქართლისა, გვ. 307.

ქების ასაღებად სხადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ქართველებისთვის ცნობილი იყო ყველა ის საშუალება, რასაც ამ კუთხით იყენებდა ცივილიზებული მსოფლიო. ეს მიუთითებს საქართველოში სამხედრო ხელოვნების მაღალ დონეზე.

ДЖАБА САМУШИЯ

ИСКУСТВО ВЗЯТИЯ КРЕПОСТЕЙ В ГРУЗИИ В XI-XIIВВ.

Среди военных историков до сих пор нет единства по вопросу – сколько способов взятия крепостей было вообще. Суть проблемы заключается в том, что исследователи порой различают формы одного и того же способа взятия крепостей. В представленной статье, на основании всестороннего критического анализа данных некоторых грузинских и иноязычных письменных источников, а также существующего по проблеме историографического наследия, рассмотрены применяемые в Грузии способы и формы взятия крепостей. Всего выделено 5 способов:

1. Штурм;
2. Блокада;
3. Овладение крепости путём военной хитрости;
4. Путём ультиматума;
5. Проникновение в крепость при помощи альпинистов, или через тоннель.

JABA SAMUSHIA

THE ART OF CAPTURING FORTRESSES IN THE 11-12th CENTURY GEORGIA

There is no unity among the military historians regarding the exact number of the ways of capturing the fortresses. The problem is that sometimes the researchers differentiate the forms of the same method of seizing the fortresses. The paper, on the basis of all-around critical analysis of the Georgian and foreign sources, and the historiographical heritage, deals with the methods and forms of capturing the fortresses in Georgia. There are singled out five methods:

1. Assault;
2. Blockade;
3. Capturing the fortress using the military guile;
4. Using ultimatum to surrender;
5. Penetrating the fortress with the help of rock climbers or using the tunnels.

ლერი თაყაიშვილი

საქართველოსა და ერზინკის საამიროს ურთიერთობა ბაგრატ V დიდის ხანაში

მიუხედავად გიორგი V ბრწყინვალის (1314-1346) მიერ გატარებული რეფორმებისა თუ ქვეყნის ხელახალი რეორგანიზაციისა, საქართველოს საერთაშორისო წარმატებები საკმაოდ მკრთალად გამოიყურებოდა. საქართველო უკვე ვეღარ ახერხებდა იმ მასშტაბის სამხედრო კამპანიების წარმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში.

ამ მხრივ გამორჩეულია ბაგრატ V დიდის მმართველობის პერიოდი. სომხური ჰიშტარაკანების მიხედვით ბაგრატის დროს საქართველოში „დიდ მშვიდობიანობას“ ჰქონია ადგილი.¹ აღსანიშნავია, რომ მშვიდობა არ გაგრძელებულა დიდი ხნის განმავლობაში. სტაბილურობა თემურ-ლენგის შემოსევებმა დაარღვივა.² ამდენად, ბაგრატის მეფობა პირობითად ორ პერიოდად შეიძლება დაყვით:

1. თემურის შემოსევამდელი პერიოდი 1360-1386წწ.
2. ჩალათაელთა მბრძანებლის, თემურ-ლენგის ლაშქრობების პერიოდი 1386-1395წწ.

მეორე პერიოდის შესახებ, ინფორმაცია მრავლად მოიპოვება, როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვან წყაროებში, სა-

¹ *სომხური ანდერძ-მინაწერები (ჰიშტარაკანები) საქართველოს შესახებ XIV-XV სს.* ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო *ალექსანდრე აბდალაძემ*. თბ., 1978, გვ. 26.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. რედ. *ზ. ანჩაბაძე*. *გ. გუჩუა*. თბ., 1979, გვ. 670-712. ასევე იხილეთ: *კ. ტაბატაძე*. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 1974; *დ. კაციტაძე*. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 1975.

მაგიეროდ იშვიათია ცნობები იმის შესახებ, თუ რა პროცესებს ჰქონდა ადგილი ბაგრატის მმართველობის პირველ ეტაპზე. წყაროთა სიმცირის გამო, ძნელია ნათლად აღადგინო ამ პერიოდის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ვრცელი სურათი.

წყაროთა მართლაც რომ მნიშვნელოვანი დეფიციტის გამო, ნებისმიერ ინფორმაციას, არამართო 1360-1386წწ. არამედ საერთოდ XIV-XV საუკუნეების საქართველოს შესახებ, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი ვახუშტი ბაგრატიონს უკავია. ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1756) ფუნდამენტურ ნაშრომში საქართველოს წარსულის შესახებ – „*აღწერა სამეფოსა საქართველოსაში*“ მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცული, საქართველოს XIV-XV საუკუნეების ისტორიის შესახებ. ვახუშტი, ისედაც დიდ ინტერესს იჩენდა, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის მიმართ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გიორგი V ბრწყინვალისა და მისი მემკვიდრეების ისტორია, ვიდრე საქართველოს გაყოფამდე არ იყო „*ქართლის ცხოვრებაში*“ შესული „*უწყებულ იყავ რამეთუ ბრწყინვალეს მეფის გიორგის ცხოვრება და მას ქუითთა მეფეთა არღარა მოიპოვების*“¹ ვახუშტი ბატონიშვილმა თავად განიზრახა ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება და XIV-XV საუკუნეების არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ამოატივტივა. ვახუშტის ნაწარმოების ეს ადგილები უხვია ქრონოლოგიური თუ ფაქტოლოგიური მასალებით, ასევე მათი ანალიზით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მრავალი თარიღი, რომლებიც ვახუშტის მოტანილი აქვს მის საისტორიო ნარატივში, ამოკრეფილია იმ სიგელ-გუჯრებიდან, რომელთა მონაცემები ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს არ ემთხვევა. ცთომილება, როგორც წესი ერთი ან ორი წელია (ზოგჯერ მეტი), თუმცა უმეტეს შემთხვევებში ვახუშტის ქრონოლოგია XIV-XV საუკუნეების მოვლენებისა ზუსტია.

¹ **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 291.

ახლა რაც შეეხება ფაქტოლოგიასა და მის ვახუშტისეულ ინტერპრეტაციას. ამ შემთხვევაში, პრობლემა ისევ მისი სანდოობა-უნდობლობა გახლავთ. ბევრი მკვლევარი მათ ეჭვის თვალთ უყურებს, ბევრიც უკრიტიკოდ იზიარებს. ვახუშტის ნაწარმოების კითხვისას ნათლად ჩანს ერთი რამ – ავტორმა კარგად იცის ფაქტოლოგია. უმეტესწილად ეს არის საქართველოსა და მუსლიმურ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე კონფლიქტები, ასევე შიდაპოლიტიკური ბატალიები. თუ ეს უკანასკნელი ვახუშტის ძირითადად ქართულ მასალაზე დაყრდნობით მეტნაკლებად სწორად აქვს გაანალიზებული, პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მცირე უზუსტობებს. ის რომ ვახუშტი ფაქტებს სწორად გადმოგვცემს ამას ჩვენ ქვემოთ არაერთხელ დავინახავთ, მაგრამ ტენდენცია ყოველი ქართულ-თურქული (ან მუსლიმური) შეტაკება წარმოაჩინოს საქართველოსა და ოსმალეთის პოლიტიკურ კონფრონტაციად, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტიმ კარგად იცოდა ოსმალეთის ისტორია. ხშირად ის საქართველოს ისტორიის თხრობისას ოსმალეთის სულთნების ტახტზე ასვლასაც აღწერს და ერთგან მათი მეტნაკლებად სრული ქრონოლოგიაც აქვს მოცემული.¹

ამდენად, ოსმალეთის საქართველოში ლაშქრობების, შესახებ ინფორმაცია ავტორს ხშირ შემთხვევაში საქართველოსა და ანატოლიის თურქულ საამიროებთან ბრძოლებში შეიძლებოდა აღრეოდა. ვახუშტის მათიანეში არსებობს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება საქართველოსა და თურქული ქვეყნების კონფრონტაციას, სადაც კონკრეტული თურქული სახელმწიფოს დასახელებისაგან ვახუშტი თავს იკავებს. ერთ-ერთი ასეთი ინფორმაცია მოდის ბაგრატ V-ის (1360-1395) მეფობაზე. ვინაიდან, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს პერიოდი ნაკლებად არის შესწავლილი, საჭიროდ ვთვლით საკითხს ნათელი მოვფინოთ.

1360წ. დავით IX (1346-1360) გარდაცვალების შემდეგ მისი უფროსი ძე ბაგრატ V გამეფდა. ბაგრატს ვახუშტი დიდის ეპითეტით ამკობს და შემდეგნაირად ახასიათებს: „*ყო (ბაგრატი – ლ.თ.) მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერ, შუენიერები-*

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა., გვ. 864-865.

თა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, სამ-
ღვდელოთა პატივისცემელი, მშვიდი, მოწყალე, შემართებელი
ძლიერი. არამედ ამის მეფობისა მეორე წელს (1361 – ლ.თ.)
დაბნელდა მზე და უკუ-დგნენ სუანნი, გარდმოვიდნენ, მოსტყუ-
ევნნეს ქუთათისი და მოწუეს“.¹

ქუთათისის სვანთა მიერ გაძარცვა და გადაწვა 1361წ. –
ბაგრატის მეფობის მეორე წლით თარიღდება და მზის დაბნელე-
ბას მოსდევს, რომელიც, მართლაც, 1361წ. მოხდა. ვახუშტის
გარდა ეს მოვლენა თანადროული ბიზანტიელი ქრონიკტის მი-
ქელ პანარეტოსის მიერაც დასტურდება. მზის დაბნელება პანა-
რეტოსის მიხედვით 1361წ. 5 მაისს, ოთხშაბათ დღეს 5 საათზე
დაფიქსირდა. ამდენად, სვანების აჯანყება 5 მაისის შემდგომი ხა-
ნით არის განსასაზღვრი.²

მიზეზი სვანების უკუდგომისა და ქუთათისის გაძარცვისა
სოციალური იყო. ამასთან, სვანეთის ერისთავის ვარდანისძის მი-
ერ მხარდაჭერილი. ეს უკანასკნელი, სვანების დამარცხებისა და
დამორჩილების შემდეგ, ერისთაობიდან გადააყენეს და დააპატიმ-
რეს. საერთოდ სვანეთში კლიმატური პირობების გაუარესება³
შიშშილისა და ცენტრიდან რეგიონის მოწყვეტის საფრთხეს ქმნი-
და, ამდენად, ხელისუფლების მხრიდან სოციალური პრობლემე-
ბის უგულვებელყოფა მსგავსი სავალალო შედეგებით სრულდებო-
და ხოლმე.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 261.

² მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. გეორგია. ბიზანტიე-
ლი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართუ-
ლი თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩი-
შვილმა. ტ. VII. თბ., 1967, გვ. 194; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა
სამეფოსა საქართველოსა, გვ. 261.

³ გ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. თბ., 1986, გვ. 134,
138. ამ ძეგლებში კლიმატური პირობების გაუარესების შედეგად გა-
ჩენილ პრობლემებზეა საუბარი, რომელიც, მართალია, არ ეხება
უშუალოდ 1361წ. აჯანყებას, მაგრამ მათ შორის კავშირი აქ აშკა-
რაა. სვანეთში მსგავსი კლიმატური პირობების გაუარესებას ხში-
რად „მრავლისა უწესურისა საქმისა“ შემოსვლა მოჰყვებოდა შედე-
გად. ერთ-ერთი ასეთი „უწესური“ საქმე გახლდათ კიდევ 1361წ. ქუ-
თათისის მორბევა და ძარცვა.

ბაგრატს არ შეეძლო სვანეთის მოსახლეობის ამ გამოხტომის უპასუხოდ დატოვება და სრულიად საქართველოს ჯარით სვანეთის დასამორჩილებლად გაემართა. მეფის ბრძანებით არმია სამ ნაწილად გაიყო. კახეთის და ჰერეთის ჯარები რაჭველთა წინამძღოლობით რაჭიდან გაგზავნეს სვანეთის მიმართულებით. სამეგრელოდან, გურიიდან, აფხაზეთიდან და სომხეთიდან გამოსული ლაშქარი ოდიშიდან შეუსიეს ზემო სვანეთს, თავად მეფე ლენხუმელების წინგადლოლით ძირითადად ქართლ-იმერეთის მოლაშქრეებთან და მესხებისგან შედგარი სამხედრო ნაწილებით ლენხუმიდამ შეესია ქვემო სვანეთს.

სვანეთის გადმოსასვლელელები ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთის მიმართულებით, როგორც წესი, მხოლოდ შუა ზაფხულშია გახსნილი, ასე არის დღეს და ასე იყო ადრეც. ამდენად, სამხედრო ოპერაცია ზაფხულის ცხელი თვეებისათვის უნდა ყოფილიყო მომზადებული და შუა ზაფხულში განხორციელებული. ვახუშტის ცნობით: „ურჩნი და შემცოდენი თვისნი მოსწყვიდნა, მოსტყუვენა, და დაიმორჩილა ნებასა შინა თვისსა, აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი და უმეტეს პირველსა მორჩილ ჰყვნა“.¹

ისტორიკოსის ცნობით, სვანეთის ერისთავი ვარდანისძე ახალი ერისთავით შეცვალეს, რომელიც მეფის მომხრე გელოვანთა გვარის წარმომადგენელი იყო. გამარჯვებული მეფე ბაგრატი ქუთაისს წამოსულა და იქ დაბანაკებულა.² ქუთაისში ჩამოსულ მეფეს ინფორმაცია მოუვიდა თურქთა მიერ სამცხის დარბევაზე: „ამავ ჟამთა მოერთუა ამბავი, რამეთუ თურქთა მოარბივეს სამცხე“.³ ვახუშტი ბაგრატიონი ამ შემთხვევაში არ აკონკრეტებს, თუ საიდან მოვიდნენ მარბიელი რაზმები, ის აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ისინი იყვნენ თურქები. მისივე ცნობით, მეფე ბაგრატი მათ მდინარე „რახსს იქით“ დასწევია და იქვე დაუმარცხებია.⁴ ამდენად, თურქები სამცხის სამხრეთ სანაპირო ტერიტორიის რბევით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული. თუ ვინ იყვნენ ეს თურქე-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 261.

² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 261.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 261

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 262.

ბი და რა მიზანი ამოდრავებდათ მათ, ამ ფაქტზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება თითქმის არავის არ გაუმახვილებია.¹ არსებობს მეორე წყარო ამ შემოსევის შესახებ არსებული ცნობების შესავსებად – ეს არის „ტარიხი ალ-ტაკვიმი“;² რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ახი აინა-ბეგის შემოსევის შესახებ არზან არ-რუმსა და ლაზეთში.

სამხედრო ოპერაცია ახი აინა-ბეგს 1361წ. 6 აგვისტოს დაუწვია,³ ანუ მაშინ, როდესაც ის-ის იყო დამთავრდა ბაგრატ V დიდის

¹ თურქების ამ შემოსევას შეეხო მ. მახარაძე, რომელმაც იგი თეთრბატკნიანთა მბრძანებელის ქუთლუ ბეგის საქართველოში შემოსევას დაუკავშირა. ცნობა ლაშქრობის შესახებ, რომელიც ავტორმა გამოიყენა, დაცულია აბუ ბაქრ თიჰრანის „დიარბაქრის ისტორიაში“: ეს ლაშქრობა ქუთლუ ბეგის მოღვაწეობიდან გამომდინარე 1360-1389წწ. შორის არის განსასაზღვრი. მკვლევარი წერს, რომ ვახუშტის თურქების შემოსევის თარიღი მითითებული არა აქვს, ხოლო ზუსტი დრო ამ ლაშქრობისა, მისი აზრით არის 1364წ. ეს მაშინ როდესაც ვახუშტი ბრძოლის თარიღად ბაგრატის გამეფების მეორე წელს ანუ 1361 წელს ასახელებს (**ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 261-262). აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს არა აქვს გამოყენებული უახლესი მასალა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული. ამასთან, აბუ ბაქრის ცნობაში საუბარია თურქების მიერ ახალციხის დარბევაზე, რაც გამოსმაურებას არ პოულობს ვახუშტის თხზულებაში. ინფორმაცია, რომელიც აბუ ბაქრ თიჰრანის ცნობაშია დაცული, სხვა პოლიტიკური რეალობის ამსახველია. ამდენად, ავტორისეული იდენტიფიკაცია ვახუშტისთან დაცული თურქების შემოსევისა და აბუ ბაქრ თიჰრანის ცნობაში დაცული ქუთლუს ლაშქრობის იგივეობის შესახებ, არ მიგვაჩნია მართებულად. იხ. – **მ. მახარაძე**. შემოესია თუ არა თეთრბატკნიანთა მბრძანებელი ქუთლუ საქართველოს. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. XI. თბ., 2006, გვ. 149-154.

² ეს წყარო – „ტარიხი ალ-ტაკვიმი“ თავის დროზე ო. თურანმა გამოაქვეყნა ანკარაში. ის როგორც საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო გამოყენებული აქვს რ. შუკუროვსაც. იხილეთ: **O. Turan**. *Istambulun fethinden once yazilimis tarihi takvimter*. Ankara, 1954; **P. M. Шукуров**. *Великие Комнены и Восток (1204-1461)*. СПб., 2001, გვ. 211.

³ **O. Turan**. *Istambulun fethinden once yazilimis tarihi takvimter*, გვ. 80. აქ დაცულ ინფორმაციას ჩვენ რ. შუკუროვის ნაშრომზე დაყრდნობით ვიმოწმებთ, სადაც ჩვენთვის საინტერესო ნაწილი მკვლევარს თარგმნილი აქვს თურქულიდან. ვინაიდან, ჩვენ არ მიგვიწვდება ხელი უშუალოდ აღნიშნულ წყაროზე, გვიჭირს მისი სრულად განხილვა.

სამხედრო ოპერაცია სვანეთში. ბაგრატს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საომარი კამპანია ზაფხულში უნდა დაეწყო და ზაფხულშივე უნდა დაემთავრებინა იმისთვის, რომ პრობლემები აღარ შექმნოდა უკან დაბრუნებისას – განსაკუთრებით ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთის მიმართულებით მოძრაობისას დიდთოვლობის გამო.

ახი აინა-ბეგის ამ სამხედრო ოპერაციას რ. შუკუროვი ტრაპიზონის, ანდაც არაკელის ნახევრად-დამოუკიდებელი (ან დამოუკიდებელი) სამთავროს წინააღმდეგ მიმართულად თვლის, ეთანხმება რა ამით ბრაიერსა და ვინფილდს.¹ ტრაპიზონის იმპერიაში 1361წ. ივლისში მართლაც მოხდა თურქთა თავდასხმა, რომელმაც შეიწირა ბაიბურთის ამირა და ახი აინა-ბეგის მოწინააღმდეგე ხოჯა-ლაფიტი. პანარეტოსის ცნობით, „23 ივლისს, პარასკევს, 14 ინდიქტიონს, 6869 წელს (1361) ბაიბურთის გამგებელმა ხოჯა-ლაფიტმა წამოიყვანა რჩეული მეომრები დაახლოებით 400 და გამოილაშქრა მაცუკაში, ლარახანეს და ხას-დენიხას წინააღმდეგ“.²

ამის შემდეგ მომხდარა ბრძოლა, სადაც იმავე პანარეტოსის ცნობით 200 მეტი თურქი დაუხოციათ და ბევრი ნადავლიც წაუღიათ. მათ შორის ცხენები და იარაღები. თავად ხოჯა-ლაფიფს თავი მოსჭერეს და ზარ-ზეიმით ჩამოატარეს ტრაპიზონის ქუჩებში.³ ამდენად, ტრაპიზონში მართლაც მოხდა თურქთა შემოსევა, ოღონდ მასში ახი აინა-ბეგი არ მონაწილეობდა. ეს უკანასკნელი, როგორც რ. შუკუროვი ვარაუდობს, ეუფლება ბაიბურთს – ხოჯა ლატიფის სამფლობელოს. ეს მოვლენა ახი აინა-ბეგის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობამდე (1361წ. 6 აგვისტო) და ხოჯა ლატიფის დაღუპვის შემდეგ (1361წ. 23 ივლისი) ანუ 1361 წლის 23 ივლისიდან – 6 აგვისტომდე უნდა მომხდარიყო, რასაც მოჰყვა მის მიერ („ტარიხი ტაკვიმის“ ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ) არზრუმისა და ლაზეთის ტერი-

მასში დაცული ცნობები შესაძლოა, შეიცავს დამატებით მასალებს საქართველოს შესახებ.

¹ **Р. М. Шукуров.** Великие Комнены и Восток, გვ. 211.

² **მიქელ პანარეტოსი.** ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 195.

³ **მიქელ პანარეტოსი.** ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 195-196.

ტორიაზე ლაშქრობა.

ლაშქრობა ტრაპიზონის წინააღმდეგ მიმართული არ ყოფილა. ამას ადასტურებს მიქელ პანარეტოსიც. ის საკმაოდ დაწვრილებით აღწერს იმპერიაში მიმდინარე მოვლენებს და არაფერს წერს 1361წ. აგვისტოს ახი აინა-ბეგი ლაშქრობაზე. ახი აინა-ბეგის ლაშქრობა ტრაპიზონის იმპერიის წინააღმდეგ მართლაც მოხდა, ოღონდ მას ადგილი 1361წ. ოქტომბერს ჰქონდა და არა აგვისტოში, ამასთან ის გოლაზის ციხე-სიმაგრის ასაღებად იყო გამიზნული და არა ლაზეთის დასარბევად, ანდაც არზან არ-რუმის მიმდებარე ტერიტორიების (საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი; ბასიანი, თორთომი, იმიერტაო, ასევე გურჯი-ბოლაზი იგივე საქართველოს ყელი და ა.შ.).

1361წ. ოქტომბერში ტრაპიზონის წინააღმდეგ განხორციელებული ლაშქრობა ერთბაშად მიქელ პანარეტოსთანაც და „ტარიხი ტაკვიში“ არის დაცული. ორივე წყარო ამ სამხედრო კამპანიის თარიღად ოქტომბერს დებს, იმ განსხვავებით, რომ პანარეტოსთან 1362 წელია მითითებული, ხოლო „ტარიხი ტაკვიში“ 1361 წელი.¹ უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება, რადგან 1362წ. ოქტომბრისათვის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახი აინა-ბეგი უკვე მოკლული იყო.²

¹ მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 196; O. Turan. Istanbulun fethinden once yazilimis tarihi takvimter, გვ. 80; P. M. Шукуров. Великие Комнены и Восток, გვ. 211.

² P. M. Шукуров. Великие Комнены и Восток, გვ. 211-212. საერთოდ ტრაპიზონის ქრონიკა, რომელიც მდიდარია ფაქტობრივი მასალით, იშვიათად, მაგრამ მაინც ურევს ახლო თარიღებს ერთმანეთში. ცთომილება, როგორც წესი, ერთი წელია. განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მიქელ პანარეტოსის გამგრძელებლის ინფორმაციის ანალიზისას, რომელმაც 1386-1390 წლების შემდეგი მოვლენები აღწუსა და, როგორც ჩანს, პანარეტოსის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი მის მიერვე უნდა იყოს რედაქტირებული. ამ უცნობი გამგრძელებლის ინფორმაცია საფრთხილოა, რადგან ის საკმაოდ დიდი უზუსტობით გამოირჩევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიქელ პანარეტოსი მის ქრონიკაში აღწერს ბაგრატ V დატყვევებისა და თბილისის დაცემის ფაქტს, მაგრამ არ ასახელებს ბაგრატის განთავისუფლებას, რაც 1387წ. გაზაფხულს მოხდა. ეს გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ მიქელ პანარეტოსის გარდაცვალება 1387წ. დასაწყისით განესაზღვროთ.

„ტარიხი ტაკვიძის“ მიხედვით, ახი აინა-ბეგი ტრაპიზონის იმპერიის წინააღმდეგ 1361წ. 15 ოქტომბერს გაემართა. პანარეტოსის მიხედვით მტერი ოქტომბერს შემოვიდა და ციხე-სიმაგრე გოლახას შემოარტყა ალყა, რომელიც იმავე ქრონისტის მიხედვით 16 დღეს გაგრძელებულა.¹ ამდენად, ალყა 1361წ. 15 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე გრძელდებოდა, მიუხედავად სააღმოსავლეთო მანქანების გამოყენებისა, ახი აინა-ბეგმა ვერაფერი გააწყო გოლახის ციხის წინააღმდეგ და, პანარეტოსის სიტყვით რომ ვთქვათ, სირცხვილნაჭამი და ხელცარიელი დაბრუნდა უკან.²

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1361წ. 6 აგვისტოს ახი აინა-ბეგმა ილაშქრა არა ტრაპიზონის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებიც შეესაბამება „ტარიხი ტაკვიძის“ წყაროს და, რაც შემთხვევებში, ავსებს კიდევ მას. მართალია, ამ შემთხვევაში ვახუშტის წყაროს მეორადი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ იგი სრულიად ეთანხმება „ტარიხი ტაკვიძის“ ცნობებს, როგორც ქრონოლოგიას, ასევე ბრძოლის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს (ვახუშტის მიხედვით, ბაგრატი მტერს მდინარე არაქსის სამხრეთით წამოეწია, ანუ არზრუმის სანახებში. რაც შეეხება ლაზეთს, ის ნაწილობრივ საქართველოს შემადგელობაში შედიოდა).

ამდენად, ახი აინა-ბეგის 1361წ. 6 აგვისტოს შემოსევა და იმავე თვეს მიმდინარე მოვლენები საქართველო-ერზინკის კონფლიქტს უნდა მიეწეროს. იქამდე, სანამ ამ კონფლიქტს ვრცლად შევეხებოდეთ აუცილებელია მეტი წარმოდგენა შევიქმნათ ბაგრატ V დიდის მეტოქეზე – ახი აინა-ბეგზე.

ახი აინა-ბეგი, როგორც მისი სახელიდან ჩანს, შუა საუკუნეებში ცნობილი მუსლიმური საძმოს – ფუტუჟას წარმომადგენელი და მეთაური, ანუ ახი გახლდათ.³

¹ **Р. М. Шукуров.** Великие Комнены и Восток, გვ. 211.

² **მიქელ პანარეტოსი.** ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 196.

³ **Р. М. Шукуров.** Великие Комнены и Восток, გვ. 209. ახი როგორც რ. შუკუროვი განმარტავს მომდინარეობს არაბული სიტყვიდან და ნიშნავს „ჩემი ძმას“, თუმცა ამ შემთხვევაში იხმარება, როგორც „ძმა“, ან „კეთილშობილი ძმაცა“.

ფუტუვას ორგანიზაციები, კ. კაენის თქმით, ორგანიზაციულობის თვალსაზრისით საფუძველს იღებს ბიზანტიური დიქციონარისა და ცირკის დაჯგუფებებიდან,¹ ს. ვრიონისის აზრით, ისინი საკმაოდ ახლოს არიან ბიზანტიურ ნეანიასის (ახალგაზრდობა) ჯგუფებთან. ნაწილი მკვლევრებისა მათ სასანიდთა ეპოქის გილდიებს უკავშირებს, მაგალითად, ქალაქ ქტესიფონის გილდიებს და ა.შ.² ფუტუვას ჯგუფები კონცეპტუალურად მართლაც ახლოს იყო ბიზანტიურ ნეანიასთან, რაც სემანტიკაშიც ავლენს მსგავსებას, კერძოდ არაბულად ფატა ნიშნავს ახალგაზრდა კაცს, ხოლო ფიტანი კი იხმარება იმავე კონტექსტში, ოღონდ მრავლობით რიცხვში.

ალტრუიზმი განდა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვის. ყველაფერი ეს საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სუფიზმთან, თუმცა ეს ახალგაზრდული ფუტუვას საძმოები ყოველთვის არ იზიარებდნენ ალტრუიზმის სუფისტურ ხედებს და თავადაც მიეცემოდნენ განცხრომას, რაც ხშირ შემთხვევაში გამოხატული იყო უზომო ჭამა-სმაში, ქურდობასა და სექსუალურ აღვირაზნნილობაში.³

ფუტუვას ჯგუფების გავრცელება, როგორც წესი მსხვილ ქალაქებში ხდებოდა. განსაკუთრებული პოპულარობა მათ ანატოლიაში მოიპოვეს. ისინი იქ სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

1. ღაზიები – გამორჩეულები ქრისტიანებთან და ყველა „ურ-წმუნოსთან“ ბრძოლაში;
2. სელჩუკთა სამეფო კარის წარმომადგენლობა. აქ მათ, როგორც წესი, ძლიერი პოზიციები გააჩნიათ;
3. ქალაქის მოსახლეობა, სადაც მათ ძირითადად ახიებად ან რუნუდებად მოიხსენიებდნენ.

ახიები განსაკუთრებით დაწინაურებული პირები ხდებიან XIII-XIV სს. ანატოლიაში. ისინი წარმოადგენდნენ მეთაურებს

¹ C. Cahen. Pre-Ottoman Turkey. London, 1968, გვ. 336-340.

² S. Vryonis, Jr. The Decline of Medieval Hellenism in Asia Minor and the Process of Islamization from Eleventh Century through the Fifteenth Century. Berkeley-Los Angeles-London, 1971, გვ. 397.

³ S. Vryonis, Jr. The Decline of Medieval Hellenism..., გვ. 397.

ქალაქში მოსახლე პირებისა, რომლებსაც რინდებს (ანუ რუნუ-დები) უწოდებდნენ.¹ ეს უკანასკნელები ძირითადად ხელოსანთა ფენიდან იყვნენ გამოსულნი. რუნუდები (რინდები) და ახიები შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა, რომელებიც მათ მიერვე დაარსებულ თავმესაფარსა თუ საავადმყოფოებში იარაღ-ასხმულები დადიოდნენ და ხშირ შემთხვევაში სამთავრობო ჯარშიც მსახურობდნენ, როგორც დაქირავებული მეომრები.

როგორც XIVს. მაროკოელი მოგზაური იბნ ბატუტა გადმოგვცემს, ეს ახალგაზრდა ხალხი, როგორც წესი, დანებით იყო შეიარაღებული, რაც პრინციპში დამახასიათებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო ქალაქელებისათვის და ისიც ხელოსანთა ფენიდან გამოსული რინდთა საძმობისათვის. იმავე იბნ ბატუტას გადმოცემით, „არის ერთ-ერთი ჩვეულებათაგანი იმ მიწაზე (ანატოლიაში – ლ.თ.) სადაც არ არის სულთანნი, იქ არის ახი, რომელიც მოქმედებს, როგორც (იმ მხარის) მმართველი“ (it is one of the customs in this land that in any part of it where there is no Sultan, it is the Akhi who acts as governor).²

როგორც ს. ვრიონისი შენიშნავს ახიები გამოჩენას მცირე აზიაში ფუტუვას ორგანიზაციების სუნიტური ზეგავლენის ქვეშ მოქცევა მოჰყვა. დევრიშები მნიშვნელოვნად განაპირობებდნენ ფუტუვების ალტრუისტულ განწყობას. სხვათაშორის მიუხედავად ფუტუვას ორგანიზაციების მუსლიმური აღმსარებლობისა და ისლამურ წიაღში წარმოშობისა ვრიონისის თქმით ამ ორგანიზაციებში, მაინც იყვნენ წარმოდგენილი სომეხი და ბერძენი მოსახლეობა. როგორც ვიცით ანატოლიაში მდებარე ქალაქების მნიშვნელოვან რიცხვს სომეხები და ბერძნები შეადგენდნენ, ამდენად ფუტუვაში მათი მონაწილეობა გასაკვირი არ არის. ქრისტიანების რაოდენობა, ფაქტია, შეზღუდული უნდა ყოფილიყო. დაზუსტებულია, რომ ქალაქების კონიისა და სივასის რინდებში (რუნუდები) გაწევრიანებული იყვნენ სომეხებიც.³

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნამდვილად

¹ S. Vryonis, Jr. The Decline of Medieval Hellenism..., გვ. 398.

² S. Vryonis, Jr. The Decline of Medieval Hellenism..., გვ. 399.

³ S. Vryonis, Jr. The Decline of Medieval Hellenism..., გვ. 401-402.

არ არის გამორიცხული, რომ ახი აინა-ბეგის ჯარში მართლაც ყოფილიყო სომხურ-ირანულ-თურქული მკვიდრი მოსახლეობა და არა მომთაბარე თურქმანები. მათ მიერ 1361წ. ოქტომბერში გოლანის ალყის დროს საალყო მანქანების გამოყენებაც, რ. შუკუროვის აზრით, დამახასიათებელი იყო მკვიდრი მოსახლეობისათვის და არა ნახევრად ველური თურქმანებისათვის, რაც ადასტურებს ამ თვალსაზრისს.¹

ამდენად, ახი აინა-ბეგი ანატოლიაში კარგად ცნობილი ახიების კატეგორიას მიეკუთვნებოდა და თავადვე მეთაურობდა ერზინკას ფუტუგვას ახალგაზრდულ სამძოს. ახი აინა-ბეგი, როგორც ტრაპიზონის ქრონიკიდან ვიგებთ 1348 წლამდე ეუფლება ქალაქ ერზინკას (ერზინჯანი) სწორედ ამ წელს აწყობს ის სხვა მუსლიმ ამირებთან ერთად პირველ წარმატებულ ლაშქრობას ტრაპიზონის იმპერიაში.

1361წ. 23 ივლისსა და 6 აგვისტოს შორის ახი აინა-ბეგი ეუფლება ქალაქ ბაიბურთსა და ხოჯა-ლატიფის მთელ სამფლობელოებს, მისივე ხელში უნდა გადასულიყო ქალაქი სპერიც. ეს უკანასკნელი, ახი აინა-ბეგის შემდგომ პერიოდში მოსული მმართველის მუტახარტანის სამფლობელოს წარმოადგენდა,² ამასთან ერზინკიდან ლაზეთსა და მის მიმდებარ ტერიტორიაზე მიმავალი გზა ბაიბურთსა და სპერზე იდო, ამდენად, ლაზეთისა და სამცხის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო კამპანია ჯარითა და სურსათით მნიშვნელოვანწილად სწორედ აქედანაც უნდა შევსებულიყო, ეს რომ არაფერი ვთქვათ ამ ტერიტორიის სამარშრუტო გზად გამოყენებაზე.

დაუბრუნდეთ საქართველოსა და ერზინკის 1361-1362 წლების კონფლიქტს. ამ შეიარაღებული კონფლიქტის ინიციატორი, როგორც აღინიშნა, ახი აინა-ბეგი იყო. მიზეზები, რომლებიც დღევანდელ ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ, სამია: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახი აინა-ბეგის შემოსევისა ბაგრატ მეფის სვანეთში ლაშქრობა გახლდათ. ამ მოვლენაზე ვახუშტი ბაგრატიონს სპეციალურად აქვს გამახვილებული ყურადღება: „ხოლო

¹ **Р. М. Шукуров.** Великие Комнены и Восток, გვ. 210-211.

² **Р. М. Шукуров.** Великие Комнены и Восток, გვ. 213-215.

თურქთა მათ ემცნოთ ტყუეთაგან მეფისა და სპათა შორის ყოფნა და ვილოდნენ უშიშრად“.¹ ვახუშტი სწორედ შენიშნავს, რომ არამართო მეფე, არამედ მისი ჯარიც (სპა) სვანეთში მომხდარი აჯანყების ჩასახშობად იყვნენ გაგზავნილი და, ამდენად, უკიდურეს სამხრეთ რეგიონში სამხედრო ოპერაციების გადატანა, ქართველებს გაუჭირდებოდათ. მეორე მიზეზი, ამ ლაშქრობისა ნადავლის მოპოვება იყო. საერთოდ, თურქების მიერ განხორციელებული სამხედრო კამპანიები ხშირ შემთხვევებში, მსგავს წამოწყებებზე იყო ორიენტირებული და შესაბამისად არც ეს უკანასკნელი იქნებოდა გამონაკლისი. მესამე მიზეზი კი, რის გამოც ლაზეთი და არზრუმის მიმდებარე ტერიტორიები შეირჩა, იყო ტრაპიზონისა და საქართველოს საერთო საზღვარი. როგორც წესი, ეს საზღვარი ერთობლივად კონტროლდებოდა და ამაზე პანარეტოსთან დაფიქსირებული ბაგრატ V დიდისა და ალექსი III კომნენოსის ხშირი შეხვედრებიც მეტყველებს.² ეს მიუთითებს საერთო სამხედრო კოორდინაციის არსებობაზე საქართველოსა და ტრაპიზონს შორის, ეს კი ამ ორი ქვეყნის მეზობლად მყოფ ერზინკის საამიროს ყველაზე ნაკლებად აძლევდა ხელს.

ერზინკის მმართველი საქართველოს ტერიტორიაზე 6 აგვისტოს შემოიჭრა და სამცხის ტერიტორიის მორბევა დაიწყო. ვახუშტის ცნობით, ამის „*მძენელი მეფე მსწრაფლ წავიდა იბრ (12 000) რჩეულითა მხედართთა, გარდავლო ფერსათი და სამ დღე მსვლელ მიეწია რახს იქით*“.³ ბაგრატს ამბავის მოსვლისთანავე შეუკრეფია 12 000 მეომარი და ვახუშტის თუ ვენდობით, სამ დღეში ქუთაისიდან მდინარე არაქსის სამხრეთით დასწევია მტერს. ჩანს, მეფის მიერ აღებული ტემპი საკმაოდ სწრაფი იყო. ბრძოლაში მეფეთ მეფის ბაგრატ V დიდის მეომრებმა ახი აინა-ბეგის ჯარი „*მოსწყვდნა ესრეთ, ვითარ მცირედნი გარდაიხუეწნენ*“: მეფე სამცხეში ტყვეებითა და ალაფით სავსე დაბრუნდა.⁴ მდინარე არაქსის სამხრეთ სანაპიროსთან მომხდარი ბრძოლა ერზინკის თურქების კრახით დასრულდა. ეს ბრძოლა აგვისტოს დასაწყის-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 262.

² მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 202, 208.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 262.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა... გვ. 262.

ში ან იმავე თვის შუა რიცხვებშია დასაღები.

ახი აინა-ბეგი ერზინკაში დაბრუნდა. საქართველოსთან მარცხმა მას ვერ შეუშალა ხელი იმავე – 1361წ. 15 ოქტომბერს ტრაპიზონის იმპერიის ციხე-სიმაგრე კუკოსის წინააღმდეგ წასულიყო. მის ამ ლაშქრობას პანარეტოსიც აღწერს. მართალია, პანარეტოსი ლაშქრობის თარიღად 1362წ. ოქტომბერს დებს, მაგრამ ინფორმაცია იდენტურია „ტარიხი ტაკვიმის“ ცნობისა და ამდენად, ერთწლიან ცთომილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება ზუსტ თარიღს ის „ტარიხი ტაკვიმში“ მითითებული – 1361წ. 15 ოქტომბერი (1362წ. ოქტომბრისათვის ახი აინა-ბეგი უკვე მოკლულ იყო, ამდენად ის ამ წელსა და თვეს ტრაპიზონში ვერ გაილაშქრებდა. აქედან გამომდინარე, უპირატესობა აღმოსავლურ წყაროს ენიჭება და არა პანარეტოსს).

პანარეტოსის მიხედვით, „ოქტომბერს, მეთხუთმეტე ინდიქტიონს, 6870 წელს ერზინკიდან მოვიდა ახი აინაკანი თითქმის 16 დღე ალყაშემორტყმული ჰყავდა გოლახის ციხე, დადგა მანქანები და სასტიკად იბრძოლა. მაგრამ ღვთის წყალობით ვერაფერი მოახერხა და წავიდა სირცხვილეული და ხელცარიელი“. ამდენად, ალყა 1361წ. 15 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე გაგრძელებულა, 31 ოქტომბერს კი ახი აინა-ბეგს უსარგებლო ალყა მოუხსნია და უკან გაბრუნებულა.¹

ტრაპიზონის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევის მიზეზი დიდად არ განსხვავდებოდა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აქციისგან, თუმცა ერთის დამატება მაინც შეიძლება – ტრაპიზონში მას ის სტრატეგიული ობიექტები (კუკოსი, გოლახა) ჰქონდა ამოღებული მიზანში, რომელთა აღების შემდეგ, კიდევ უფრო ადვილად გაიკვალავდა გზას ქალაქ ტრაპიზონისკენ, რაც, როგორც უკვე ღვაწინახეთ, არ განხორციელდა.

საბოლოოდ ახი აინა-ბეგი 1362წ. 2 ან 3 ივლისს აღესრულა. „ტარიხი ტაკვიმში“ ის შახიდად, ანუ რწმენისათვის თავდადებულად არის გამოცხადებული.² ის „ურწმუნობთან“ (ამ შემ-

¹ მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 196.

² P. M. Шукуров. Великие Комнены и Восток, გვ. 212; O. Turan. Istanbu-

თხვევაში იგულისხმება ქრისტიანები) ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში შახიდის ეპითეტით მას არ შეამკობდნენ. ახი აინა-ბეგი ტრაპიზონის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში რომ არ დაღუპულა, ეს კარგად ჩანს პანარეტოსის ქრონიკაში. მიქელ პანარეტოსი იმპერატორ ალექსი III კომნენოსის (1349-1390) თანამედროვე და თანამებრძოლი იყო. ის არაფერს მსგავსს არ აღწერს მის ქრონიკაში. ამდენად, უფრო სავარაუდოა, ეს ახირებული თურქი საქართველოსთან ბრძოლაში დაღუპულიყო. ერზინკას მხოლოდ ორი ქრისტიანული ქვეყანა ესაზღვრებოდა საქართველო და ტრაპიზონი, ამდენად, თუ რომელიმე „ურწმუნო“ ქვეყანასთან ბრძოლაში ეწერა ახი აინა-ბეგს სიკვდილი ეს ამ ორი სახელმწიფოდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო, ამ შემთხვევაში ჩვენ ობიექტური მიზეზების გამო გამოვრიცხეთ ტრაპიზონი, ამდენად გვრჩება მხოლოდ საქართველო. ასე რომ 1361წ. კონფლიქტი საქართველოსთან 1362წ. უნდა განახლებულიყო, რასაც ჩვენი ფრთხილი ვარაუდით ემსხვერპლა კიდევ ახი აინა-ბეგი. 1362წ. 2/3 ივლისის მოვლენების შესახებ, მხოლოდ მსგავსი არაპირდაპირი ინფორმაცია მოგვეპოვება და ამდენად, მეტი დეტალების დაზუსტება არ ხერხდება.

მიქელ პანარეტოსის, ო. თურანის მიერ გამოქვეყნებული „ტარიხი ტაკვიმისა“ და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობათა შეჯერებისა და განხილვის შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფიისათვის მრავალი უცნობი მოვლენის დაზუსტება თუ დათარიღება არის შესაძლებელი. ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული მოვლენები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. 1361 წელს საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიაში მოხდა მზის დაბნელება. მიქელ პანარეტოსის ქრონიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ არამართო დაადასტუროს ვახუშტის მიერ მოცემული თარიღი 1361წ. მზის დაბნელებისა, არამედ საათისა და წუთების ფარგლებში დააზუსტოს კიდევ „5 მაისს, ოთხშაბათს, მესამე ინდიქტიონის, 6869 წელს (1361) 5 საათზე მოხდა მზის დაბნელება ისეთი, როგორიც არ მომხდარა ჩვენს თაობაში, ასე რომ ზე-

ცაში ვარსკვლავები გამოჩნდა და საათნახევრი მეფობდა (სიბნელე)“.¹ აქედან გამოდინარე მზის დაბნელება 1361წ. 5 მაისს, ოთხშაბათ დღეს – 5 საათზე მომხდარა და 6:30 წუთამდე გაგრძელებულა. ეს მოვლენა ერთგვარი წინამორბედი იყო იმ პროცესებისა, რომელიც ამის შემდეგ განვითარდა.

2. სვანების აჯანყება, რომლებმაც აიღეს, გაპარცვეს და დაწვეს ქუთაისი, 1361 წლის 5 მაისის შემდეგ, იმავე თვეს უნდა მომხდარიყო.
3. სვანების აჯანყება ჩახშობილ იქნა 1361წ. ზაფხულში (ივნის-ივლისი) დაახლოებით 1361წ. 6 აგვისტომდე.
4. 1361წ. 13 ივნისის შემდეგ (მას მერე, რაც დაამარცხეს და მოკლეს ბაიბურთის ამირა ხოჯა-ლატიფი) ვიდრე 6 აგვისტომდე ახი აინა-ბეგი დაეუფლა ბაიბურთსა და სპერს, რის შემდეგაც მან საქართველოში გამოილაშქრა.
5. 1361წ. 6 აგვისტოს ახი აინა-ბეგი საქართველოს ტერიტორიაზე – ლაზეთსა და სამცხეში (იგულისხმება საერთოდ საათაბაგო და არა კონკრეტულად სამცხე) შემოიჭრა. კონფლიქტი აგვისტოს შუა რიცხვებამდე გაგრძელდა და ის ერზინკის მმართველის მარცხით დასრულდა.
6. 1361წ. 15 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე ახი აინა-ბეგი გოლახის ციხის აღებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ.
7. 1362წ. 2-3 ივლისს ახი აინა-ბეგი სავარაუდოდ საქართველოსთან ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, რის შემდეგაც ის შახიდად შერაცხეს (გარემოებანი სრულად ცნობილი არ არის).

¹ მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 194.

ЛЕРИ ТАВАДЗЕ

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ГРУЗИИ И ЭРЗИНКСКОГО ЭМИРАТА В ЭПОХУ БАГРАТА V-ГО ВЕЛИКОГО

Источниковедческая база истории Грузии XIV-го века весьма скудна. В этом плане, особо следует выделить первый период деятельности царя Баграта v-го Великого (1360-1395). Имеется в виду – предшествовавшая нашествиям Тимура эпоха (1360-1386гг.). В представленной статье, на основании всестороннего критического анализа данных грузинских и иноязычных письменных источников, а также существующей научной литературы, рассмотрены некоторые вопросы внутренней и внешней политики Грузии 60-х годах XIV-го столетия. В ней уточнена хронология отдельных событий. В частности:

1. Затмения солнца в Грузии – 5 мая 1361г.;
2. Антиправительственный мятеж сванов – май-август 1361г.;
3. Время нападения на Грузию эрзинкского (Эрзинджан) правителя Ахи Аины-Бека – 6 августа 1361г.;
4. Время гибели Ахи Аины-Бека – 2-3 июля 1362г.

LERI TAVADZE

GEORGIA AND ITS RELATIONSHIP WITH THE EMIRATE OF ERZINCAN DURING THE AGE OF BAGRAT V THE GREAT

XIV century Georgian history is very poor with historical materials. The first period of Bagrat V the Great's (1360-1395) reign from 1360 to 1386 prior to invasion of Emir Timur in Georgia is no exception. The paper, on the basis of critical analysis of the Georgian and foreign sources, and historiographical literature, deals with the certain aspects of Georgia's internal and foreign policy in 1360's. It defines the chronology of several events, namely:

1. The sun eclipse occurred in Georgia on May 5, 1361;
2. The rebellion of the Svans took place in May-August 1361;
3. The Ersincan ruler Akhi Aina-Bek attacked Georgia on August 6, 1361;
4. Akhi Aina-Bek's death occurred on July 2/3, 1362.

აკაკი ჩიქობავა

ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომი და სოხუმის საკითხი

ირან-ოსმალეთის პირველი ომი (1512-1555წწ.) 1555წ. წლის 29 მაისს ამასიის ზავით დასრულდა. დამპყრობლებმა ამიერკავკასია გაინაწილეს, მათ შორის, საქართველოც. თურქეთს „ერგო“ იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი), ირანს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილი (მტკვრის აუზი).¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადანაწილებული ტერიტორიები ჯერ კიდევ დასაპყრობი იყო და ამასიის ხელშეკრულება მხოლოდ იურიდიულ შეთანხმებას წარმოადგენდა.

ოსმალეთთან შედარებით ირანი იმჟამად შედარებით სუსტი სახელმწიფო იყო და 1555წ. ამასიის ზავის პირობათა დაცვას ცდილობდა, ოსმალეთი კი მთელი კავკასიის და კასპიის ზღვის სანაპიროთა დაპყრობისათვის იბრძოდა. 1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ირანში სალაშქროდ გამზადებული ჯარის სარდლად დაინიშნა მუსტაფა ლალა ფაშა, რომელიც სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის დაპყრობის შემდეგ შირვანში უნდა გაჭრილიყო, საიდანაც მას ჩრდილო კავკასიიდან მომავალი ლაშქარი შეუერთდებოდა.² ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომის დასაწყისში ოსმალეთი აქტიურად იყენებდა შავი ზღვის ნავსადგურებს ტრაპიზონსა და ბათუმს.³ ოსმალეთმა

¹ გ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს-ის I ნახევარში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 113.

² გ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის..., გვ. 126.

³ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971, გვ. 123.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაუპყრობელი ადგილების დამორჩილება სცადა. ამ მიზნით მან ფოთი და სოხუმი დაიკავა და აქედან შეტევის განვითარებას დაუკავშირა მთელი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ეს ცდები იმ დროს მარცხით დასრულდა¹. ოსმალთა მიერ სოხუმის დაკავებას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ალბათ ისინი ამ გზით იმედოვნებდნენ სამეგრელო ოდიშზე შეტევის განხორციელებას აფხაზთა მხარდაჭერით, ამიტომაც ოსმალებმა სოხუმში საბეგლარბეგო დააარსეს.

სოხუმის საბეგლარბეგოს დაარსების თარიღად თ. ბერაძე 1578 წელს ასახელებს,² მ. სვანიძე კი 1579 წელს,³ ის ასევე იმოწმებს ალის „*ნუსრეთ-ნამეს*“ სოხუმის საბეგლარბეგოს დაარსების შესახებ, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ უფრო ზუსტი და დაწვრილებითი ინფორმაცია მასში არ მოიპოვება.⁴ ჩვენ ვიზიარებთ თ. ბერაძის თარიღს საბეგლარბეგოს დაარსების შესახებ, რადგან ფ. დიუბუა დე მონპერე⁵ და პეისონელი⁶ სოხუმის ციხის აგებას თურქებს მიაწერენ და 1578 წლით ათარიღებენ, ამათგან ორივემ იმოგზაურა სოხუმში. სავარაუდოდ მათ რაღაც ინფორმაცია გააჩნდათ სოხუმში 1578წ. ოსმალების გამოჩენასთან დაკავშირებით. არსებობს ასევე სხვა ცნობები, რომელიც სოხუმში საბეგლარბეგოს დაარსებას 1578 წელზე მიუთითებს.

თურქი ისტორიკოსის მ. ქირზიოღლუს ნაშრომში „*Osmanlıların Kafkas elerini feti*“ ვკითხულობთ: „1578 წლის მაისში სტამბოლიდან გასული და გურჯისტანის სანაპიროებთან მოსული ხუთი საბრძოლო ხომალდით გზას გაუდგა ადრე ბათუმის სანჯაყბეგი ჩერქეზი ჰაიდარ ბეგი და ამ დროს პირველად შექმნილი სოხუმის (აბაზას) ეიალეთის ბეგლარბეგობა ებოძა და თავისი

¹ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის..., გვ. 38.

² Т. Н. Бердазе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989, გვ. 53.

³ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის..., გვ. 38.

⁴ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის..., გვ. 123.

⁵ Ф. Дюбуа Де Монперэ. Путешествие вокруг Кавказа. У черкесов и абхазов, в Колхиде, в Грузии, в Армении и в Крыму. Том I. Пер. с фр. Н. А. Данкевич-Пуциной. Под ред. А. В. Фадеева. Сухуми, 1937, გვ. 127.

⁶ А. В. Фадеев. Меч и золото на берегу Абхазии. Сухуми, 1933, გვ. 23.

მოვალეობის (შესრულებას) შეუდგა“.¹ ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობის სისწორეში. ერთ-ერთ თურქულ ჰუქმში, რომელიც თარიღდება 987 წლის საფარას თვით (15), ე.ი. 1579წ. 13 აპრილით, საუბარია ფოთის და ანაკლიის დანგრეული ციხეების აღდგენის აუცილებლობაზე.² 1578წ. სავარაუდოდ სოხუმში ციხე აგებული და საბეგლარბეგო დაარსებულია, ასე რომ არ ყოფილიყო ჩვენი აზრით ზემოთ ნახსენებ ჰუქმში ჰპოვებდა ასახვას, სულ მცირე ანაკლიასთან და ფოთთან, სოხუმის ციხის აგების აუცილებლობაზე მაინც მიუთითებდნენ.

ჰეიდარ ფაშა სოხუმში სავარაუდოდ თავისი ახლობლებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად ჩავიდა.³ როგორც ბ. ზორავა ფიქრობს, შემთხვევითი არ უნდა იყოს ბეგლარბეგად წარმოშობით ჩერქეზი ჰეიდარ ფაშას დანიშვნის ფაქტი.⁴ სავარაუდოდ ოსმალები ცდილობდნენ აფხაზთა მონათესავე ფაშას მეშვეობით მათი გულის მოგებას და ამ გზით ოდიშზე თავდასხმების განხორციელებას, რაც ადრე ჯიქების მეშვეობით ხდებოდა.⁵

1578წ. სექტემბერში ლალა მუსტაფა ფაშას მიერ სტამბოლში გაგზავნილი ორი თვის მანძილზე წარმოებული ლაშქრობის ამსახველ წერილში ვიგებთ, რომ, როცა ის (ლალა ფაშა – ა.ჩ.) კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მივიდა კასპიის სამხრეთ რაიონებში ახალი ოსმალური ეიალეთები შეუქმნია, ესენია: 1. შირვანის (დაპყრობის გზით), 2. თბილისის (ქართლის, დაპყრობის გზით), 3. გურჯისტანის (მორჩილებით) და მეთხე სოხუმის საბეგლარბეგო, რომელიც მამაცობით ცნობილ ჰეიდარ ფა-

¹ **M. Kirzioglu.** Osmanlilarin kaffas elerini feti (1451-1590). Ankara, 1976, გვ. 19, აღნიშნულ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო ადგილები გვითარგმნა ქ-ნმა მარინე ილურიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხსენებთ.

² **მ. ილურიძე.** მურად მესამის ზეობის დროინდელი ოთხი ოსმალური დოკუმენტი საქართველოს შესახებ. – *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, ტ. III, 2002, გვ. 224-225.

³ **M. Kirzioglu.** Osmanlilarin kaffas elerini..., გვ. 19.

⁴ **ბ. ზორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996, გვ. 70.

⁵ ჰეიდარ-ფაშას აფხაზობის შესახებ იხ. რ. აგრბას სტატია: Аджания и Высокая Порта. ელექტრ. ვერსია: <http://www.abkhaziya.org/server-articles/article-99ce0b0dcfc7d5f2eb7f84cac2377b2f.html>.

შას გადასცეს.¹

როგორც დაინახეთ, 1578წ. სექტემბრისათვის სოხუმში საბეგლარბეგო დაარსებულია, ზემოთ მოყვანილ ცნობაში მოცემულია ეიალეთების შექმნის პირობა, ზოგი დაპყრობით შეიქმნა ზოგი მორჩილების გზით, სოხუმზე კი არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ ოსმალები აქაც ძალით მოქმედებდნენ. თურქულ არქივებსა და საცავებში არ შემონახულა არცერთი „დეკტერი“ XVI ს. აფხაზეთის ან სოხუმის ვილაიეთის აღწერილობისა, ამიტომ თ. ბერაძე ფიქრობს, რომ ოსმალთა ძალაუფლება მხოლოდ სოხუმისა და მის შემოგარენზე ვრცელდებოდა.²

1578წ. დაარსებული სოხუმის საბეგლარბეგო უნდა შესაბამებოდეს ევროპულ რუკებზე აღნიშნულ პუნქტს „Eschisumuni“, რაც თურქულად „ძველ სოხუმს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება რუკებზე სავარაუდოდ სოხუმის საბეგლარბეგოს გაუქმების შემდეგ დააქვთ, რადგან ადრეულ რუკებზე სოხუმს „Sebastopoli“ ან „Savatopoli“-თ აღნიშნავენ. სოხუმის კონცხთან, მდინარე გუმისთას მარჯვენა ნაპირზე ტერიტორიას XX ს. 20-იან წლებში იქაურები „ძველ სოხუმს“ უწოდებდნენ, იქ იდგა ციხის ნანგრევები რაც სავარაუდოდ თურქების მიერ აგებული ციხე უნდა იყოს.³ სახელწოდება „სუხუმ“ სწორედ 1578 წლიდან უნდა ჩანაცვლებოდა „ცხუმს“. „სუხუმ“ – თურქიზებული ფორმა „ცხუმ“ სიტყვისა, რადგან თურქულში „ცხ“ კომპლექსი არ არსებობს.⁴ არაბულ და თურქულ წყაროებში „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად გვხვდება მისი არაბული „სუხუმუ“ და თურქული „სუხუმ“ ვარიანტები. თურქული ვარიანტისაგან არის მიღებული რუსული სუხუმ (Сухум), საიდანაც გვაქვს ახალი ქართული ფორმა სოხუმი.⁵

ჩვენი აზრით, ჰაიდარ ფაშას გარდა სოხუმს სხვა ბეგლარ-

¹ M. Kirzioglu. Osmanlilarin kafkas elerini..., გვ. 19.

² Т. Н. Берадзе. Этнополитические процессы на территории современной Абхазии в XV-XVIII вв. – კრებ.: „Разыскания по истории Абхазии/Грузия“. Тб., 1999, გვ. 207.

³ Т. Н. Берадзе. Мореплование и морская торговля..., გვ. 21.

⁴ თ. მიბჩუანი. კოლხური ქალაქი სოხუმი 2005 წლისათ. – გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, 15-21 სექტემბერი, 2000, გვ. 14.

⁵ თ. გვანცელაძე. ქართული სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი). – ჟურნ.: „არტანუჯი“, 2000, 10, გვ. 88.

ბეგიც უნდა ჰყოლოდა, თუმცა მისი სახელი ჩვენთვის უცნობია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს იტალიელი მოგზაურის ბუსარდოს ცნობა, აი რას წერს იგი: „დიდი უფლებებითა და ღირსებით აღჭურვილი სინან ფაშა 1580წ. 25 აპრილს თავისი ლაშქრით კონსტანტინოპოლიდან ანატოლიაში გადავიდა. მან მიაღწია საქართველოს საზღვრებს, ... მან (სინან ფაშამ – ა.ჩ.) ქართველი იბერიელების დამოუკიდებლობის ასალაგმავად **ბათუმსა და სოხუმში თავისი ბეგლარბეგები და დევთერდარები** (ხაზგასმა ჩვენია – ა.ჩ.) დააყენა“.¹ როგორც ჩანს, სინან ფაშამ, გადააყენა ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა და სოხუმში „თავისი ბეგლარბეგი“ დანიშნა.

1580წ. სექტემბრის დასაწყისში, აღმოსავლეთის ლაშქრობის ახალი სარდლისადმი, დიდგვზირ სინან ფაშასადმი სტამბოლიდან გაგზავნილ ჰუქუმში ვკითხულობთ: „წარსულში ბათუმის სანჯაყბეგი კეთილშობილი ემირ ულ-უმერა ჰაიდარი მუდამ ბედნიერი იყოს გამოსადეგი, მოამაგე და გამოცდილი მოხუცდა. წარსულში მას სოხუმის საბეგლარბეგო ეწყალობა. **იგი ხსენებული საბეგლარბეგოდან მოცილებულ** იქნა (ხაზგასმა ჩვენია – ა.ჩ.). ერთი ხანობა ბედნიერების კარში (ე.ი. სტამბოლში – ა.ჩ.) როცა მსახურობდა. ახლა იმ (თბილისის – ა.ჩ.) მხარეში თავდასხმის სურვილი არსებობს, ვბრძანებ, რომ, როცა მოაღწევს შესაფერისად მიჩნეულ სამსახურში იქნეს გამოყენებული, საბეგლარბეგო თუ იქნება მას ებოდოს“.²

ზემოთ ნახსენებ ჰუქუმში აღნიშნული „**მოცილებული**“ უნდა ნიშნავდეს ჰაიდარ ფაშას მოხსნის ფაქტს. სოხუმს მოცილებული ჰაიდარ ფაშა კვლავ ბათუმის ბეგლარბეგად ინიშნება, რადგან 1587 წლის ამბებთან დაკავშირებით გორის ციხის დაცვა ტრაპიზონის (ბათუმის) ბეგლარბეგს წარსულში სოხუმის ბეგლარბეგს (Eski sohum beyierbeysi) ჩერქეზ ჰაიდარ ფაშას დაევალა.³

სოხუმის საბეგლარბეგო 1580წ. უნდა გაუქმებულიყო. თ. ბერაძის აზრით, სწორედ ამ დროს უნდა დაეტოვებინათ ქალაქი

¹ ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. I, თბ., 1984, გვ. 113.

² M. Kirzioglu. Osmanlilarin kaffkas elerini..., გვ. 20.

³ M. Kirzioglu. Osmanlilarin kaffkas elerini..., გვ. 382.

თურქებს და ის აფხაზთა ხელში უნდა გადასულიყო. ამავე პერიოდთან გამოვიდნენ ისინი დადიანთა გავლენიდან.¹ ვფიქრობთ, ამ დასკვნისათვის უფრო მყარი არგუმენტებია საჭირო, რადგან აფხაზეთი ამის შემდგომაც ემორჩილებოდა ოდიშის სამთავროს გარკვეულ დრომდე, მაგრამ ეს ცალკე საკითხია და ამჯერად არ შევხებით.

მ. ქირზიოღლუს აზრით, სოხუმის საბეგლარბეგოს ადმინისტრაციული მმართველობა იმის გამო გაუქმდა, რომ შემოსავალი მცირე იყო, ამიტომ სოხუმი ძველებურად, როგორც ყმის (მონა) ოლქი, საკუთარ მდგომარეობაში იქნა დატოვებული². ის ასევე აღნიშნავს, რომ სოხუმის საბეგლარბეგო გაუქმდა, რადგანაც ადგილობრივები გადასახადს არ იხდიდნენ, ქურდობითა და ცოლ-შვილის გაყიდვით ირჩენდნენ თავს, რის გამოც სახელმწიფოს (ოსმალეთს – ა.ჩ.) სიძნელები შეექმნა. იქაური ქრისტიანები და ადგილობრივი ველური მოსახლეობა ძველებურ ყოფას დაუბრუნდა.³

ადგილობრივ ქრისტიანებში სოხუმის ქართული (მეგრული) მოსახლეობა, ხოლო „ველურებში“ აფხაზ-აფსუები უნდა იგულისხმებოდნენ. ძველებურ ყოფაში დაბრუნება კი უნდა გავიგოთ როგორც სოხუმზე დადიანთა გავლენის აღდგენა. 1580 წლისათვის სოხუმში, რომ ქართველები ცხოვრობდნენ მიგვითითებს ზემოთ ნახსენები ბუსარლოს ცნობა. ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას დაკვირვებით, ბათუმისა და სოხუმის „ქართველი იბერიელების“ ასალაგმავად წამოსულა სინან ფაშა 1580 წელს.⁴ ასე, რომ 1580 წლისათვის სოხუმში ქართველები ცხოვრობდნენ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სოხუმში XVI საუკუნის ბოლოს ძირითად მოსახლეობას ჯერ კიდევ ქართველები (მეგრელები) წარმოადგენდნენ. სავარაუდოდ ეს ქრისტიანები დრანდელ ეპისკოპოს ექვემდებარებოდნენ, რადგან ტერიტორია კოლორსა და ანკოფიას შორის მის საწყმოსო წარმოადგენ-

¹ Т. Н. Берадзе. Этнополитические процессы..., გვ. 207.

² М. Kirzioglu. Osmanlilarin kafkas elerini..., გვ. 382.

³ М. Kirzioglu. Osmanlilarin kafkas elerini..., გვ. 19.

⁴ Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997, გვ. 231-233; 606.

და.¹ მართალია, ამ პერიოდის (1578-1580) დრანდელი ეპისკოპოსის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, თუმცა ვიცით XVIს. 40-იანი წლების ეპისკოპოსი ფილიპე და ევდემონი – XVIIIს. I მეოთხედის მოღვაწე.²

სოხუმის საბეგლარბეგო, რომელიც 1578-1580 წლებში არსებობდა, 1579 წელს აგებული ფოთის თურქულ ციხესთან ერთად მთელი დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად უნდა გამოეყენებინათ ოსმალებს. მართალია, იმ პერიოდში ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ამან მაინც უარყოფითად იმოქმედა ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობაზე და ამ პერიოდიდან მათმა საერთო საზღვარმა სამხრეთ-დასავლეთით იწყო მოძრაობა. საბოლოოდ ეს პროცესი ოდიშის სამთავროს ტერიტორიის მიტაცებით დასრულდა და ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკური საზღვარმა მდინარე ენგურზე გადმოინაცვლა.

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 781.

² ბ. ხორავა. დრანდის საეპისკოპოსო. – კრებ.: „*მართმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები*“, ნაწ. I. თბ., 2005, გვ. 98. იხ. აგრეთვე: **ბ. Хоравა**. Драндское епископс-тво. – *ქურბ.*: „*Вопросы гуманитарных наук*“, №4, М., 2006.

АКАКИЙ ЧИКОБАВА

ИРАНО-ТУРЕЦКАЯ ВОЙНА 1578-1590ГГ. И СУХУМСКИЙ ВОПРОС

В 1578г. Оттоманская Порта объявила войну Ирану, нарушив тем самым амассийский договор 1555г., согласно которому Турецкая империя владела формальным контролем над Имеретинским царством, Мегрельским и Гурийским княжеством, и западной частью Самцхе-Саатабаго, в то время как Иран получил восточную часть Самцхе-Саатабаго, а также царства Картли и Кахети. Все эти территории нужно было завоевать. В 1578г. Оттоманское Бейлербейство было установлено в Сухуми, а также построены цитадели в Поты и Анаклия. Турки собирались использовать их в качестве плацдарма и сперва хотели завоевать Западную Грузию, а затем проникнуть в Ширван через Тбилиси. Первым Бейлербеем Сухуми был Хейдар-паша, черкес по происхождению. К 1580г. он был сменён на этом посту, однако в том же году Сухумское Бейлербейство было упразднено. Сухуми был возвращен прежний статус и он был передан местным жителям – грузинам-христианам (мегрелам).

AKAKI CHIKOBAVA

OTTOMAN-PERSIAN WAR OF 1578-1590 AND THE ISSUE OF SOKHUMI

In 1578 the Ottomans declared war on Iran, thus breaking the truce of 1555 concluded in Amaseia. According to it the Ottomans had been in the formal control of the kingdom of Imereti, Principalities of Megrelia and Guria, and the Western parts of Samtskhe-Saatabago, while the Iranians received the Eastern part of Samtskhe-Saatabago, and the kingdoms of Kartli and Kakheti. These territories had to be conquered. In 1578 the Ottoman Beylerbeyi had been installed in Sokhumi. The citadels were built in Poti and Anaklia. Using these strongholds as springboards, the Ottomans hoped first to conquer the Western Georgia and then to penetrate into Shirvan via Tbilisi. Circassian Haidar-Pasha was the first Beylerbeyi up to 1580. He was substituted by another person, and this very year saw the end of this administrative position. In 1580 Sokhumi was returned to old status and transferred to the natives – Christian Georgians (Megrelians).

ზივი რომაჰა

„ძველი“ ანუ „ისტორიულ“ აფხაზეთა (XVII საუკუნემდე) ეთნიკური ქართველობის მამტიციცხემ არგუმენტთა ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ

აფხაზეთა ეთნიკური ვინაობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჯერ-ჯერობით, ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი ვერ არის. მკვლევართა ერთი ნაწილი, დაწყებული პ. ინგოროყვათი და დამთავრებული ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსით, ერთმანეთისაგან ანსხვავებენ „ძველ“ და „ახალ“ აფხაზეტს და თვლიან, რომ „ძველი“ ანუ „ისტორიული აფხაზეტი“ (XVII საუკუნემდე) ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო XVII საუკუნიდან ხდება მათი ასიმილაცია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული აფსუების მიერ და მათში გათქეფა, „ახალი აფხაზეტის“ ჩამოყალიბება.

პირველი არგუმენტი, რომლითაც პ. ინგოროყვა და მისი კონცეფციის წარმომადგენლები ამტკიცებენ „ძველ“ ანუ „ისტორიულ“ აფხაზეთა ქართველობას, არის შემდეგი: „ძველი აფხაზეტი“ (XVII საუკუნემდე) იგივე ქართველები არიან და ისინი ერთ-ერთ ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ... აფხაზეტის წინაპრები მესხი ტომები იყვნენ, მაგრამ რომელ დიალექტზე ლაპარაკობდა აფხაზეთის მესხთა ეს ტომი, საკუთრივ ქართულზე, თუ ადგილობრივ მეგრულ დიალექტზე, გაურკვეველი რჩება“, ან კიდევ: „აფხაზეტი და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) – ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტომები: ქართვეტი, მეგრელები და სვანები“.¹

¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე – მწერალი X საუკუნისა. თბ., 1954. გვ. 116, 117, 129.

გ. გასვიანის მტკიცებით „აფხაზში“ ეთნიკურად ქართველი უნდა ვიგულისხმოდ და არა აფსუა. „ძველი აფხაზები ანუ ქართული ტომი, თუ ქართველი ტომების შენაჯგარი“. ან კიდევ: „აფხაზთა სამეფო“ მთელი თავისი შემადგენლობით იმთავითვე ქართული და ქართველური იყო – **ეთნიკურად** (ხაზგასმა ჩვენია – **გ.რ.**), სულიერად, ტერიტორიულად, ენობრივად. მისივე მტკიცებით ძველი აფხაზები მეტყველებდნენ შუა საუკუნეების მეგრულ ან სვანურ დიალექტზე.¹

ისმის კითხვა, თუ აფხაზები მესხები იყვნენ წარმოშობით, მაშინ რატომ უნდა ყოფილიყო მათი სამეტყველო ენა მეგრულის ან სვანურის დიალექტი? ეს ერთი და მეორეც – არავინ არაფერი იცის აღნიშნული დიალექტების შესახებ, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი. აი, ასეთი დაუდგენელი დებულება მიჩნეულია აფხაზთა ქართველობის მამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად, რაც სინამდვილეში ვარაუდს, ჰიპოთეზას წარმოადგენს და არა დასაბუთებულ, ჭეშმარიტ არგუმენტს.

ნამდვილად რა ვიცით ჩვენ აფხაზთა სამეტყველო ენის შესახებ? რასაკვირველია, რაიმე ლოკუმენტური მასალა, უტყუარი წყარო მასზე დღემდე უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჯერ კიდევ ექვთიმე ათონელი სვანებზე აფხაზებზე, მეგრელებზე... **XII ს.** წერდა: „*ამით ყოველთა ნათესავთა არა თუ ყოველთა თჳსი ენა აქუს, არამედ მრავალნი ერთითა ენითა ზრახვენ*“.² ე.ი. თითოეულ ამ ტომს საკუთარი ენა ჰქონდა და ამავე დროს ისინი საერთო (უნდა ვიგულისხმოდ – ქართული) ენასაც ფლობდნენ. ექვთიმე ათონელის ეს ცნობა ჩვენი აზრით უტყუარია, რადგან მას კარგად უნდა ცოდნოდა თავისი თანამედროვე აფხაზების ვინაობა. **XVIII ს.** დიდი ქართველი ისტორიკოსის – ვახუშტი ბაგრატიონის მტკიცებით, „აფხაზებს აქუსთ თვისი საკუთარი ენა“.³

¹ **გ. გასვიანი.** აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998. გვ. 49, 80-81, 120, 122. იხ. აგრეთვე: **ჯ. ლომაშვილი** – ტერმინ „აფხაზის“ ეტიმოლოგიისათვის. თბ., 2004, გვ. 62.

² **ქ. კეკელიძე.** ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. I. თბ., 1952, გვ. 179.

³ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქარ-*

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, რომელიც სამეგრელოში ცხოვრობდა 1633-1649 წლებში, კოდორს გაღმა მცხოვრებ აფხაზებს ჰქონდათ „თავიანთი განსხვავებული ენა“, ან კიდევ: „როგორც კი გადახვალ კოდორს ანუ კორაქსს, მის მეორე მხარეზე ლაპარაკობენ აფხაზურად“.¹ იმავეს ამტკიცებენ ლამბერტის თანამედროვე მისიონერები – ძამპი და ჟან-დე-ლუკა. ლუკა (1629წ.) აღნიშნავს, რომ „აფხაზებს აქვთ თავიანთი საკუთარი ენა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მათი მეზობელი ხალხების ენისაგან“.² ამავე აზრისაა XVIII ს. ნიდერლანდელი სახელმწიფო მოღვაწე ნ. ვიტსენიც.³

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ „ძველ“ აფხაზებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სამეტყველო ენა – მეზობელი ტომების, ხალხების სამეტყველო ენებისაგან განსხვავებული. რომელი იყო ეს ენა? რა უწოდოთ მას? რასაკვირველია – აფხაზური ენა, ე.ი. XVIII ს. დამდეგს, როცა ჯერ კიდევ ჩრდილოეთიდან აფხაზეთში აფსუები არ არიან ჩამოსულნი, „ძველი“ აფხაზები ლაპარაკობენ აფხაზურ ენაზე. როდის უნდა წარმოშობილიყო ეს ენა? რასაკვირველია, არა XVIII ს. დამდეგს, არამედ აფხაზების წარმოშობასთან ერთად, ე.ი. ის იყო აფხაზთა უძველესი მშობლიური ენა.

ისმის კითხვა, ხომ არ შეიცვალა XVII საუკუნეში აფსუების „ჩამოწოლასთან“ დაკავშირებით აფხაზური ენა სხვა რომელიმე ენით? ჩვენი აზრით, ეს გამორიცხებულია. ჯერ ერთი. ხალხის ერთი ენის შეცვლას მეორე ენით საუკუნეები სჭირდება და ეს არ მოხდებოდა აფხაზეთის პირობებშიც ერთბაშად, ან რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში. მეორე, ჩამოსულები იყვნენ დამხვდურ მოსახლეობასთან შედარებით უმცირესობა. უმცირესო-

თლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 786.

¹ **არქანჯელო ლამბერტი**. სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან **ა. ჭყონიასი**, მეორე გამოცემა, **ლ. ასათიანის** წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 119.

² **ი. ტაბაღუა**. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, წ. III, თბ., 1987, გვ. 169.

³ **Дж. Гамахрия, Б. Гогия**. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 276.

ბა კი ვერ მოახდენდა უმრავლესობის ასიმილირებას, მით უფრო, რომ ისინი არ ყოფილან დამპყრობლები (ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ აფხაზები ჩრდილოეთიდან ჩამოსულებს „სტუმრებს“ ანუ „ასას“-ს ეძახდნენ), ან კიდევ კულტურის მხრივ დამხვდურ მოსახლეობასთან შედარებით მაღალ დონეზე მყოფნი. და კიდევ, XVII-XVIII საუკუნეებში სამეგრელოში მოღვაწე მისიონერები და ვახუშტი ბატონიშვილი საერთოდ არ ახსენებენ აფსუებს, ისინი ხმარობენ მხოლოდ ტერმინ „აფხაზებს“. ჩვენი აზრით იმიტომ, რომ ჩამოსულები დამხვდურთა თანატომელები იყვნენ, რომლებსაც ენა საერთო ჰქონდათ, როგორც ამას აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს¹. და ბოლოს, აფსუებს რომ აფხაზთა ასიმილირება მოეხდინათ, ეს აღუნიშნავი არ დარჩებოდა ვახუშტის, რომელიც არც თუ დიდად იყო დაშორებული აფსუათა ჩამოწოლის პერიოდს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, აფხაზებს ჰქონდათ და აქვთ თავიანთი საკუთარი, მშობლიური აფხაზური ენა, რომელსაც იმდენი ხნის ისტორია აქვს, რამდენიც აფხაზ ხალხს. ამიტომაც, სწორი არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ აფხაზები მეტყველებდნენ შუა საუკუნეების მეგრულის დიალექტზე და ამდენად წარმოადგენდნენ ქართველურ ტომს. არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ აფხაზური ენა საერთოდ არ არსებობს დედამიწაზე და არსებობს მხოლოდ აფსუური, რომელიც ჩერქეზულ-ადიგურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.² აფხაზური ენის სპეციალისტების მტკიცებით (ქ. ლომთათიძე,³ თ. გვანცელაძე⁴ და სხვ.) აფხაზური და აბაზინური (აფსუური) ერთი ენის დიალექტებია, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთიმეორეს.

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 616.

² გ. გასვიანი. აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები, გვ. 47; ჯ. ლომაშვილი. ტერმინ „აფხაზის“... გვ. 60.

³ ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. თბ., 1976, გვ. 7.

⁴ თ. გვანცელაძე. კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, წიგნში – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 571-577.

მეორე არგუმენტი აფხაზების ქართველობის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას კონცეფციის წარმომადგენლების მიხედვით ისაა, რომ აფხაზეთში არ არსებობს არც ერთი მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელზედაც იყოს რაიმე წარწერა აფხაზურ ენაზე, ყველა წარწერა ქართულია. აქედან მათი დასკვნა: გარდა ქართველებისა, იქ სხვა ხალხი XVII საუკუნემდე არ არსებობდა.¹ აფხაზურ წარწერებიანი მატერიალური ძეგლები, ჩვენი აზრით, იმიტომ არ არსებობენ, რომ, ჯერ ერთი, აფხაზებს იმ დროს საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ. მეორე. ისინი კულტურულად ქართველები იყვნენ, ე.ი. მათთვის კულტურის ენა ქართული იყო და აფხაზური დამწერლობის შექმნის საჭიროება არც კი არსებობდა.

შემდეგი არგუმენტი, რომლითაც პ. ინგოროყვას მიმდევრები ცდილობენ „ძველ აფხაზთა“ ქართველობის დამტკიცებას, არის აფხაზეთის ტიპონომიკისა და ჰიდრონიმის მონაცემები. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პ. ინგოროყვამ და მისმა თანამოაზრეებმა ცხადად დაასაბუთეს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა უდიდესი უმრავლესობა ქართული ან ქართველური წარმოშობისაა და XVII საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობდა ადგილთა თუ მდინარეთა აფსუური სახელწოდებები, რაც, ვითომდა, იმაზე მეტყველებს, რომ იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ.

რა შეიძლება ითქვას ამ არგუმენტის შესახებ? ნამდვილად სწორია მტკიცება, რომ აფხაზეთში გეოგრაფიული პუნქტებისა და მდინარეების უმრავლესობის სახელწოდებები ქართულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ უარვყოთ იქ აფხაზების ყოფნა. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ისინი (აფსილები და აბაზგები) I-II საუკუნიდან მაინც ცხოვრობენ დღევანდელ ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში. მიუხედავად ამისა, ზღვისპირა ქალაქებსა და დაბებს ქართული წარმოშობის სახელები ჰქონდათ: ძველი ლაზიკა, გაგრა, ბიჭვინთა, გუდაუთა, ლიხნი, ცხუმი, ტყუბუნი, ოჩამჩირე. ეს იმით აიხსნება, რომ თავდაპირველი მოსახლეობა აქ იყო ქართული

¹ გ. გასვიანი. აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები, გვ. 111.

(მეგრული და სვანური).¹ უმრავლესობის მიერ დარქმეულ ტოპონიმებს ჩამოსული უმცირესობა – მთიელი აფხაზები ანუ აფსუები – სახელს ვერ შეუცვლიდნენ, მით უფრო ამ სახელებით იცნობდნენ ამ ადგილებს სხვა ხალხებიც, კერძოდ ბერძნები და რომაელები. აფხაზებს ძირითადად, როგორც მთიან ადგილებიდან ჩამოსულებს, მთის კალთების სოფლებში უნდა ეცხოვრათ. ბუნებრივია, რომ აფხაზები მათ საკუთარ სახელებს დაარქმევდნენ, მაგრამ ეს სახელწოდებანი ისტორიამ, სამწუხაროდ, ვერ შემოვინახა. დაუდგენელია, თუ როდის წარმოიშვა აფხაზური სოფლების დღევანდელი სახელწოდებები. თუ ვიტყვით, რომ ისინი წარმოიშვნენ XVII-XVIII საუკუნეებში, ამის დასაბუთება ძალიან გაჭირდება, ხოლო დაუსაბუთებელი განცხადება ჭეშმარიტებას ვერ მოგვცემს.

აფხაზები (აფსილები და აბაზგები) საქართველოში მოსულ ხალხად მიგვაჩნია შემდეგი გარემოებების გამო:

1. ისინი I-II საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომთა შორის არ მოიხსენებიან;
2. აფხაზები ზღვისპირა ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ, ვერ იტანდნენ ნოტიო ჰაერსა და ნესტიან ადგილებს;
3. აფხაზებს უძველესი დროიდან აფხაზეთში რომ ეცხოვრათ, მათ ბერძნების სახელწოდება „აბერზენ“ ქართველებისაგან არ უნდა აეღოთ;
4. აფხაზებს უკანასკნელ დრომდე არ ჰქონდათ (ამჟამადაც იშვიათად) ქალაქებსა და დაბებში თავიანთი სასაფლაოები;
5. აფხაზების სიმპათიები და ორიენტაცია მთიელი კავკასიელების მიმართ, მათი ისტორიული მანსოვრობის – საკუთარი მთიელობის – გამოვლენა უნდა იყოს;
6. აფხაზთა მთიდან ჩამოსულობის იდეა, წითელი ზოლივით გასდევს მათ ფოლკლორს.

რაც შეეხება ჰიდრონიმებს, აქ საკითხი უფრო რთულადაა. მდინარეთა სახელწოდებები: ფსოუ, მძიმთა, აბასკოი-ბზიფ-ბზინი, ხიფსთა, აფსთა, გუმიხთა ძნელი სათქმელია როდის დაერქვათ

¹ ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალ, ტიბარენი და იბერი. – *შრომები*, ტ. III. თბ., 1959, გვ. 11, 15.

ამ მდინარეებს. ეს სახელწოდებები რომ არაქართულია, საეჭვო არ უნდა იყოს, გარდა ბზიფისა, რომელსაც მის გვერდით მცხოვრები საძეები „ბზიფს“ უწოდებდნენ, რაც უბიხურ ენაზე ნიშნავს ცივ მდინარეს, ხოლო ქართველები მის სახელს ბზას უკავშირებენ.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში არსებული ტოპონიმები და ჰიდრონიმები ჯერ კიდევ არ იძლევიან ერთმნიშვნელოვან საფუძველს იმისათვის, რომ გავაკეთოთ კატეგორიული დასკვნა: XVII საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობდა არც ერთი აფხაზური (ავსუური) ტოპონიმი და ჰიდრონიმი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ XVI საუკუნის (1525) დოკუმენტში აღნიშნულია ბიჭვინთაში არსებული სამი ტოპონიმი, რომელიც უთუოდ აფხაზური წარმოშობის ჩანს: აითარნე, არუხა, რაბიწა. მათი ქართული წარმოშობის მამტიკიცებელი დებულებები, არაღამაჯერებელია. ეს ტოპონიმები, ალბათ, უფრო ადრეც, XV საუკუნისთვის მაინც არსებობდა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელი პერიოდის წყაროები აფხაზეთში არსებული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შესახებ საკმაოდ მწირია.

აფხაზური ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ახსნა მსგავსი ფონეტიკური უღერადლობის სიტყვებით, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: მდ. აფსთას სახელს ხსნიან ქართული სიტყვით „აფუსტა“, რომელიც სვანური ტოპონომია, მაშინ, როდესაც იგი აფხაზური წარმოშობისაა და ნიშნავს ღმერთ „აფის“ მდინარეს. „ბზიფს“ ხსნიან „ბზით“ მაშინ, როცა ის შეიძლება აიხსნას აგრეთვე „ბზიჩი“-თ, „ოჩაჩირეს“ – ტყიანი ჭაობით, აფხაზურად – ბზის ტყით და ა.შ. ამიტომაც ყველა ტოპონიმისა და ჰიდრონიმის ქართულად ახსნა არაღამაჯერებელია და ზერელობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ავსუების არააფხაზობის დასამტიკიცებლად იყენებენ ისეთ „არგუმენტებს“, როგორიცაა: აფსუებს, ამ ზღვისპირა მცხოვრებ ხალხს, თურმე, არა აქვს ზღვის სახელი და მას „ამორეს“ ან „აზღვას“ უწოდებენ. ეს დებულება ერთ-ერთმა აფხაზეთელმა ისტორიკოსმა ჩაწერა თავის წიგნში, ალბათ, აფხაზებზე ძალზე

განაწყენებულმა, მაგრამ ამ არასწორ დებულებას, სრულიად შეუმოწმებლად იმეორებენ სხვა ავტორებიც, რომლებიც აფხაზებზე წიგნებსა და სტატიებს წერენ. აფხაზებს აქვთ ზღვის აღმნიშვნელი საკუთარი ცნებები – „ამშინ“ და „აგა“ და ჰყავთ ზღვის და წყლის ღმერთი – აგანიჰვა.

ასევე ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ აფხაზებს (აფსუებს) არა აქვთ თევზეულობის სახელწოდება და ყველა თევზს ერთ სახელს – „აკალმახს“ უწოდებენ.¹ ეს აზრი სრული გაუგებრობაა, ნებით თუ უნებურად დაშვებული. ვინც ასეთ რამეს ამტკიცებს, ის უბრალოდ არ იცნობს სათანადო ლიტერატურას, რომელშიც დაფიქსირებულია თევზის 29 ჯიშის აფხაზური სახელწოდება². იგივე ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ვაზის ქვეყანაში მცხოვრებთ, არა აქვთ მათი სხვადასხვა ჯიშის სახელები.³ არც ეს მტკიცებაა სწორი. სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მაჭავარიანი) დაფიქსირებულია ვაზის 50-ზე მეტი ჯიშის აფხაზური სახელწოდება.⁴ რასაკვირველია, მათში არის ნასესხები ტერმინებიც, მაგრამ რომელ ხალხის ენაში არ არის ნასესხები სიტყვები, თანაც ასობით და ათასობით? განა ამის საფუძველზე შეიძლება მეცნიერმა ამტკიცოს, რომ თანამედროვე აფხაზები (აფსუები) ჩამორჩენილი და საკუთარი კულტურის არმქონე ხალხია, ეს ხომ ერის ამკარა დამცირება და შეურაცხყოფაა?

აფხაზთა ქართველობის მამტკიცებელი ზოგიერთი ისტორიკოსი ძალიან გულმოდგინედ ცდილობს სათანადო არგუმენტად გამოიყენოს ტერმინი „აფხაზი“. რადარანაირი ახსნა არ მოუძებნეს მას: ერთნი ამტკიცებენ, რომ იგი მეგრული წარმოშობისაა და ნიშნავს ამაღლებულ ადგილს: აფხა=ბეჭს; აფხაზეთი – ზურგით მაღალს. ასევე – აფხა+ჟი = აფხა+ზევით, ე.ი. ბეჭმაღალს.⁵ სხვების მტკიცებით – „აფხვაზარი“ სვანურად ნიშნავს ბაყაყთა ყიყინს

¹ გ. გასვიანი. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, გვ. 39.

² О. Дзидзария (Дзария). Морская лексика у абхазов. Сухуми, 1989, გვ. 20.

³ გ. გასვიანი. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, გვ. 39.

⁴ ნ. მაჭავარიანი. მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში. თბ., 2006, გვ. 297.

⁵ ა. შონია. კოლხები – ქართველების წინაპრები. თბ., 2007, გვ. 151.

და საფიქრებელია აფხაზთა სახელწოდება ამას უკავშირდებოდეს.¹ ზოგი კი ამტკიცებს, რომ „აფხაზებად იწოდებოდნენ დასავლეთ საქართველოს ქართველები, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მხარის სახელწოდებიდან გამომდინარე მათ მექანიკურად მიიღეს სახელი „აფხაზები“, რაც ყველა შეცდომისა და გაუგებრობის საფუძველი გახდა“.² ეს მტკიცება ნამდვილ არგუმენტად რომ არ გამოდგება იქიდანაც ჩანს, რომ ხალხის სახელწოდება და მისი საცხოვრისი ადგილის მიმართება უკუღმა არის გაგებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადგილებს ხშირად ჰქვია მათზე მაცხოვრებელი ხალხის სახელი, მაგალითად: სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, კახეთი, დვალეთი და ა.შ. და არა პირიქით. თვითონ ტერმინი „აფხაზეთი“ საიდან მომდინარეობს ამ ისტორიკოსს ახსნილი არა აქვს, არც იმათ, ვინც ამ მოსაზრებას უკრიტიკოდ იღებენ.

სხვები (ნ. მარი, პ. ინგოროყვა და მათი თანამოაზრენი) ტერმინ „აფხაზს“ უკავშირებენ „მესხს“ და იქიდან გამოყავთ „მასხ“, „ბასხ“, „აბასხ“. ნ. მარის მტკიცებით, აფხაზები მესხეთიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასახლებულ მესხებს ეწოდათ“.³ მაგრამ მან ასეთი თავდაპირველი მტკიცება შემდეგში უარყო და ივანე ჯავახიშვილიც კი გააკრიტიკა აფხაზების ქართველად მიჩნევის გამო. ჩვენი აზრით, თუნდაც სწორიც რომ იყოს მესხი → მასხ → ბასხ → აბასხ-იდან „აფხაზის“ წარმოშობა, ერთი რამ უეჭველია, „აბასხისათვის“ „ა“ – აფხაზური პრეფიქსია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ, როცა „ბასხისაგან“ „აბასხი“ მივიღეთ აფხაზები უკვე სახლობდნენ აფხაზეთში. სწორედ, მხოლოდ მათ შეეძლოთ აღნიშნული სიტყვის ასეთი სახით წარმოება.

ჩვენი აზრით, ტერმინი „აფხაზის“ სწორი ახსნა მოცემული აქვს აკად. ს. ჯანაშიას, რომელსაც მიაჩნია, რომ „აფხაზი“ (მეგრულად – „აფხაზა“) შეიძლება წარმოშობილიყო ტერმინი „აბაძახსაგან“, რომელიც, თავის მხრივ ნიშნავს „ქვემო აბაზინ-

¹ გ. გასვიანი. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, გვ. 3.
² თ. მიბჩუანი. აფხაზეთი სამეგრელოა. – გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.V.1994.
³ Н. Марр. История термина «Абхаз». – ИИАН, 117, 1912, с. 697.

ელს“ ანუ ბარში მცხოვრებ აბაზინელს.¹ აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ XIX საუკუნემდე „აფხაზური ტომების კრებითი სახელი „აბაზა“ ყველა აფხაზის საერთო სახელად იხმარებოდა“. მაგრამ ამ დებულებების გათვალისწინება ჩვენს ოპონენტებს არ უნდათ, რადგან არ აწყობთ.

ერთ-ერთი არგუმენტი იმის მტკიცებისათვის, რომ „ძველი“ აფხაზები ქართველები იყვნენ პ. ინგოროყვას მომხრეების აზრით ისიც არის, რომ „ბიჭვინთის იადგარსა“ და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც ბიჭვინთის საკათალიკოსოს ეხება, „აფსუური გვარჩამომავლობის მოღვაწეთა და რიგითი ადამიანთა ხსენებაც კი არსად არის, როდესაც ყველა მათგანში ქართველები უწყვეტად მოიხსენებიან“.² ეს გამოწვეულია იმით, რომ იმ დროისათვის აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქცია კოდორს იქითა ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა, ამიტომაც იქაური მოსახლეობა ამ დოკუმენტში ვერ დაფიქსირდებოდა, რადგან საქმე საეკლესიო გადასახადებს ეხებოდა, ვის რამდენი მართებდა და რა უნდა გადაეხადა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოდორს იქით აფხაზები არ ესახლნენ. მაშინ სწორედ კოდორს იქით იწყებოდა „აფხაზთა ქვეყანა“, რომელიც იმდროინდელ რუკაზეც არის დაფიქსირებული.³ ასე, რომ „ბიჭვინთის იადგარი“ სრულებითაც არ ადასტურებს აფხაზთა ქართველობას. „ძველი“ აფხაზები ქართველები რომ არ იყვნენ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თუ მეგრელთა შორის ქრისტიანობა I საუკუნიდან ვრცელდება, აფხაზებმა ის VI ს. შუახანებში მიიღეს ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მხრივ ძალდატანებით. მაგრამ ქრისტიანობას, აკად. ნ. ბერძენიშვილის მტკიცებით, აფხაზებში არასდროს არ ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული, რამდენადაც მათ არ იცოდნენ ღვთისმსახურების ენები (ბერძნული და ქართული), ხოლო აფხაზურ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურა არ არსებობდა.⁴

¹ ს. ჯანაშია. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. – *შრომები*, ტ. 3, თბ., 1959, გვ. 102.

² გ. გასვიანი. აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები, გვ. 111.

³ ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. II, თბ., 1986, რუკა.

⁴ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 593.

„ძველი“ აფხაზების ქართველობის მამტიკცებელ ერთ-ერთ არგუმენტად პ. ინგოროყვას თანამოაზრენი იმასაც აღნიშნავენ, რომ ერთ ცილა ტერიტორიაზე, მდ. კოდორიდან მდ. ბზიფამდე, ორი ერი ერთმანეთის გვერდით ვერ იცხოვრებდა და ე.წ. ორი-აბორიგენობის თეორია ანტიმეცნიერული და ანტიქართულია და მის ავტორობას მიაწერენ აკად. მ. ლორთქიფანიძეს, პროფ. ნ. ლომოურს, აკად. ე. ხოშტარია-ბროსეს, ხოლო მათ მიმდევრობას – პროფ. ზ. პაპასქირსა და გ. როგავას და სხვ.¹ თეორია შეხედულებათა გარკვეული, მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნის სისტემაა. ასეთი სისტემა ორიაბორიგენობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ უცნობია. მაგრამ არსებობს ორი პრინციპული მნიშვნელობის დებულება, რომელიც ეხება ქართველებისა და არაქართველი ტომების საქართველოში ერთდროულად და მხარდამხარ ცხოვრებას, რომელიც მიეკუთვნება აკად. ნ. ბერძენიშვილს. იგი წერს: „ქართველი ტომების ავტოქტონობის აღიარებით, უნდა დავუშვათ არაქართველთა ავტოქტონობაც, ბრძოლა ამ ტომთა შორის და ქართველი ტომების გამარჯვება (ასიმილაცია, განდევნა). „უცხო მოდგმის ტომების გვერდით ქართველური ტომებიც ცხოვრობდნენ“.²

და ბოლოს კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც ხშირად იყენებენ პ. ინგოროყვას მიმდევრები: ისინი ამბობენ, რომ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი „ძველი“ აფხაზებს ქართველებად მიიჩნევენ და მოაქვთ მათი შრომებიდან ციტატები დამახინჯებული ფორმით, რათა თავიანთი მოსაზრებები გაამართლონ.

კატეგორიულად შეიძლება იმის მტიკცება, რომ არც ერთი მათგანი „ძველი აფხაზებს“ ქართველებად არ მიიჩნევდა. მართალია, რომ ივ. ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში გამოთქვა მოსაზრება (1913წ.), რომ „კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნება: ლაზ-

¹ გ. გასვიანი. „მცნებაი სასჯულოი“ – ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობისა და აფხაზეთის მცნებაზე. – გაზ.: „დიოსკურია“, №30, მარტი, 2006.

² ნ. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. III. თბ., 1966, გვ. 298, 364.

მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“¹, მაგრამ უფრო გვიან, 1928 წელს, მან ეს დებულება ენათმეცნიერებაზე დაყრდნობით შეცვალა და თავისი თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა: „აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს, და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლა ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ“.² ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ გამოცემაში 1908წ. წერდა: „მთავარი ქართველი ტომები არიან: ქართველი, მეგრელი-ჭანები და სვანები“.³ იგივეს იმეორებს ს. ჯანაშია ქართველ ტომთა შესახებ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა 1943წ.⁴ ორივე აკადემიკოსის მტკიცებით აფხაზებს ჰქონდათ თავისი საკუთარი, აფხაზური ენა.

რაც შეეხება აკად. ნ. ბერძენიშვილს, ის არა ერთგან მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზებმა (იგულისხმება მასა), არ იცოდნენ ქართული ენა, რომ ისინი ინარჩუნებდნენ საკუთარ ენას, რომ აფხაზური ენა ვერ გახდა სახელმწიფოებრივი ენა, რომ დამხვედურ აფხაზებსა და მთიელ აფხაზებს ენა საერთო ჰქონდათ.⁵ ენა კი ეთნოსის უპირველესი ნიშანია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აფხაზები ეთნიკურად, გენეტიკურად არ არიან ქართველები, ისინი „ქართველებია“ მხოლოდ კულტურულ-ისტორიულად.⁶ ასეთებად ისინი მეტნაკლებად დარჩნენ XVII საუკუნემდე, მთიელი აფხაზების ანუ აფსუების ჩამოსვლამდე, რომლის შემდეგაც იწყება მათი თანდათანობითი გაუცხოება ქართველებისაგან, „ახალი აფხაზების“ ჩამოყალიბება, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს საკუთრივ აფ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I, მეორე გამოცემა, ტფ., 1913, გვ. 55.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I, მესამე გამოცემა. თბ., 1928, გვ. 104.

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I, ტფ., 1908, გვ. 63.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. უბეველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ., 1943, გვ. 5-6.

⁵ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 595, 597, 616.

⁶ ნ. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა., გვ. 279-280.

ხაზების, აფსუებისა და ქართველთა ეთნოსუბსტრატის საფუძველზე კონსოლიდირებულ ერთიანობას – ერს.

დღეს იმისი მტკიცება, რომ აფხაზების ერად აღიარება დიდი მკრეხელობაა, არამეცნიერული და ანტიქართულია, ჩვენი აზრით, თავის მხრივ არის დიდი შეცდომა და მტრის წისქვილზე წყლის დასხმა, რაც აშკარად ვნებს ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიულ თანაცხოვრებასა და მეგობრობას. ქართველებმა და აფხაზებმა უნდა დასძლიონ ურთიერთმტრობა და დაპირისპირება და როგორც სავსებით თანასწორუფლებიანმა ერებმა, ერთად უნდა შექმნან დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ერთიანი სახელმწიფო.

ГИВИ РОГАВА

ЕЩЁ РАЗ О ПРИНАДЛЕЖНОСТИ «ДРЕВНИХ», ИЛИ «ИСТИННЫХ» (ДО XVIII В.) АБХАЗОВ К ЭТНИЧЕСКИМ ГРУЗИНАМ

В статье на основании критического анализа данных соответствующих письменных источников, а также специальной научной литературы, освещены некоторые вопросы этно-культурной истории абхазов в позднем средневековье. В ней подвергнуто критике точка зрения тех исследователей, которые в последнее время, упорно и даже несколько агрессивно пытаются, во что бы то ни стало, доказать правильность тезиса П. И. Ингороква о принадлежности абхазов раннего средневековья к грузинскому этническому миру, и отстаивается положение о культурно-историческом (а не этническом) грузинстве т.н. «древних» абхазов.

GIVI ROGAVA

ONCE AGAIN ON THE BELONGING OF THE “ANCIENT” OR “TRUE” (BEFORE THE 17th CENTURY) ABKHAZS TO THE ETHNIC GEORGIANS

The paper, on the basis of critical analysis of the relevant sources and special literature, sheds light upon some issues of the ethnical and cultural history of the Abkhazs in the late Middle Ages. It criticizes the opinion of some researchers, who are trying persistently and sometimes rather aggressively to prove the correctness of P. Ingorokva's point on the belonging of the early Middle Ages' Abkhazs to the Georgian ethnical world. It is stated that the so-called “ancient” Abkhazs were Georgians culturally and historically, but not ethnically.

პანა კვაშილავა

სამურზაყანო ლევან შარვაშიძის მმართველობის ამერიოლში 1757-1789

XVIII ს. მიწურულს აფხაზეთის სამთავრომ წარმატებულად ისარგებლა შინააშლილობით და მეზობელ სამეფო-სამთავროებთან თუ ოსმალეთთან დაპირისპირებით ოდნე დასუსტებით და მიიტაცა კოლორი-ენგურის შუამდინარეთის, რომელის ნაწილზე, კერძოდ, ღალიძგა-ენგურის შორის არსებულ ტერიტორია შარვაშიძეთა სამთავრო სახლის უმცროსი შტოს (ყვაპუ შარვაშიძის) სამკვიდრო გახდა და მას მოგვიანებით, ყვაპუს შვილის, მურზაყანის სახელიდან გამოძინარე, სამურზაყანო ეწოდა, ვინაიდან, მას ეს მხარე „აღუყვავილებია“.¹

1702წ. ზამთარში, იმერეთის სამეფოს მხარდაჭერით, ოდიშარებმა დალაშქრეს ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთი: „რამეთუ მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოკრებდნენ ოდიშს კლკთა და ტყუეობითა“.² აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ გიორგი ლიპარტიან-ღალიძგა, როგორც ჩანს, „ეგრისის მდინარის“ (თანამ. მდ. ღალიძგა³) გაღმა ტერიტორიაზე უკვე პრეტენზია აღარ ჰქონია. ამის შემდეგ, ჩანს, სამურზაყანოზე დაწესდა აფხაზეთ-სამეგრელოს ერთგვარი „კონდომინიუმი“, რომელიც ამ უკანასკნელის მხრიდან ოდიშის მიმართ ყმადნაფიცობას გულისხმობდა. კერძოდ, გამარჯვებულმა მხა-

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. – გაზ. „კვალი“, №20, 11 მაისი, 1897, გვ. 394.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 862-863.

³ З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 7; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. 1. თბ., 1977, გვ. 112; ვ. ზუნბაია. ვახუშტი ბაგრატიონი და აფხაზეთი. თბ., 2000, გვ. 11-12.

რემ არ მოახდინა იქ ხელისუფლების ცვლილება და იმ კუთხის გამგებლობა ისევ შარვაშიძეთა სახლის უმცროსს შტოს დარჩა, რომელიც, როგორც ჩანს, ამის სანაცვლოდ, იძულებული გამხდარა დადიანის უზენაესობა ელიარებინა.

1757წ. ხრესილის ბრძოლაში იმერეთის ახალგაზრდა მეფის სოლომონ I-ის გვერდით იბრძოდა მისი ცოლისძმა კაცია (ოტია I დადიანის შვილი), რომელიც საბრძოლველად გამოცხადდა „სპითა ოდიშ-ლერხუმ-აფხაზთა“.¹ აფხაზთა რაზმს ხელმძღვანელობდა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე, რომელიც გმირულად დაიღუპა ბრძოლისას. როგორც ვხედავთ, სამურზაყანოს რაზმი ცალკე სუბიექტად არ მონაწილეობდა ომში და ხუტუნიაც კაციას ემორჩილებოდა. საეჭვოა, რომ ეს საგანგებოდ შექმნილი სამხედრო „ბლოკი“ ყოფილიყო. ის უფრო უნდა ასახავდეს იმ პერიოდის ოდიშ-სამურზაყანოს ურთიერთობათა ფორმას – ანუ, სამურზაყანოელი შარვაშიძე ემორჩილება დადიანს. როგორც ჩანს, ამგვარი ურთიერთობები მისაღები იყო როგორც შარვაშიძეთა, ისე დადიანის სახლისათვის: სამურზაყანოელი შარვაშიძეები არ მოწყვეტილან ძირითად ოჯახს, მაგრამ დადიანის მორჩილებაში იმყოფებოდნენ. ანუ სამურზაყანო ამ პერიოდში წარმოადგენდა გარკვეულ „ბუფერულ ზონას“, რომელზედაც, როგორც აღვნიშნეთ, ორივე სამთავრო სახლის (შარვაშიძე, დადიანი) „კონდომინიუმი“ ვრცელდებოდა.

ხუტუნიას ორი ვაჟიშვილი დარჩა: ლევანი (ლეონ) და სოლომონი.² მამის გარდაცვალების შემდეგ სამურზაყანოს სათავეში მისი უფროსი ძე ლევანი ჩაუდგა.³ მისი მოღვაწეობა ისტორიოგრაფიაში დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევია. წინამდებარე სტატია ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს.

ხუტუნიას მემკვიდრეებს გარკვეული უთანხმოება მოსვლიათ სახასო მამულების ფლობასთან დაკავშირებით. ამ კონფლიქტის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს თ. ჭიჭინაძის მიერ მოპო-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. პურჯანაძემ. თბ., 1962, გვ. 178.

² თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა, გვ. 394.

³ ის ამ კუთხის, რიგით, მეოთხე მმართველია ყვაპუს, მურზაყანის, ხუტუნიას შემდეგ.

კვებულ საბუთში მოცემული მინიშნება ხუტუნისა შემდგომ ძმების მიერ სახასო მამულების განაწილების თაობაზე. დოკუმენტის ავტორი არ ამბობს, რომ ამ გადაწილების საფუძველი იყო მათი მამის ანდერძი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ძმებს შორის მართლაც ჰქონდა ადგილი გარკვეულ უთანხმოებას, მაგრამ ეს ღვა მათ, საბოლოოდ, ყოველგვარი შემდგომი გართულების გარეშე გადაუჭრიათ: ლევანსა და მის მემკვიდრეების წილად დადგენილა სოფელი ბედია, სოლომონისა და მისი შთამომავლებისათვის კი – ბარბალო (კოკი). ფახულანი კი უშუალოდ არც ერთს არ ერგო, მაგრამ ძმებს შორის მოხდა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ფახულანი იქნებოდა სამურზაყანოს მმართველის საზაფხულო რეზიდენცია.¹ ვინაიდან იმ პერიოდში მმართველი ლევანი იყო, ამიტომ ფახულანსაც, როგორც საზაფხულო რეზიდენციას, შეთანხმებისამებრ, ის ფლობდა: „*სოფელი ფახულანი დაშენილა [და] გაუნაწილებიათ მფლობელობასა ქვეშე უზუცვის ძმისა ლეონისას ვითარცა სამურზაყანოსა მთავრობის [სამყოფელი] საზაფხულო*“.⁴

სოლომონს ექვსი ძე დარჩა, რომელთაგან თ. ჭიჭინაძისეულ საბუთში მხოლოდ სამია დასახელებული: მანუჩარი – „*უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოსა*“, ბეჟანი და სორეხი.⁵ დანარჩენი ორის ვინაობა სხვა ისტორიულ წყაროებშია შემორჩენილი: ესენია: ბათუ (ერისთო)⁶ და ლევანი.⁷ რაც შეეხება მეექვსეს, მისი ვინაობა უცნობია. ი. ჩიქოვანიც მის მიერ შექმნილ სოლომონ შარვაშიძის გენეალოგიურ ტაბულაში მხოლოდ 5 მემკვიდრეს ასახელებს.⁸

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა, გვ. 394.

² ჩვენი ჩამატებაა – კ.კ.

³ ჩვენი ჩამატებაა – კ.კ.

⁴ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა, გვ. 394.

⁵ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა, გვ. 394.

⁶ ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. VII. თბ., 1989, გვ. 100.

⁷ *Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Под редакциею председателя коммисии ст. сов. Ад. Берজে. Т. II. Тифлис, 1868, დოკ. №1047, 1048, 1049, გვ. 537.*

⁸ *Ю. Чиковани. Род Абхазских Князей Шервашидзе (Историко-генеалогическое исследование). Тб., 2007, გვ. 71, ტაბულა №15.*

ლევანი აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. სამურზაყანოს ახალი ხელისუფალი, მამამისის მსგავსად, დასავლეთ საქართველოს ანტიოსმალური ორიენტაციის ლიდერთა გვერდით იდგა და 1771წ. ოდიშარებთან ერთად, იბრძოდა ოსმალთაგან ფოთის გასათავისუფლებლად.¹ დასავლეთ საქართველოს ლიდერებმა ისარგებლეს საქართველოში გენერალ ა. სუხოტინის სარდლობის ქვეშ რუსთა სამხედრო კორპუსის ყოფნით და მათი დახმარებით ამ ციხესიმაგრეიდან თურქთა განდევნას შეეცადნენ. მაგრამ თუ ქართველებს ფოთი განთავისუფლება უნდოდათ, რუსებს კი, პირიქით, თავად უნდოდათ ამ ციხის დაჭერა.² ფოთის განთავისუფლების ოპერაცია მაშინ უშედეგოდ დამთავრდა.

საფიქრებელია, რომ აფხაზეთში XVIII ს. 30-იან წლებში მომხდარი მოვლენების შემდეგ, როცა ურჩ შარვაშიძეთა სახლის პირველი პირები (მანუჩარი, შერვანი და ზურაბი) თურქეთში წაიყვანეს,³ სამურზაყანოს მფლობელები ამ ვითარებით სარგებლობას ცდილობენ და დომენი კარის გავლენას, ერთგვარად, იშორებენ კიდევაც, რითაც ახერხებენ, თავისი სტატუსით და გავლენით, შარვაშიძეთა უფროს შტოს გაუთანაბრდნენ კიდევაც. ი. კვაშილაგა ვარაუდობს, რომ ამ დროს სამურზაყანოელმა შარვაშიძეებმა სრული ავტონომია მოიპოვეს,⁴ თუმცა სტატიიდან ვერ დგინდება რაში მდგო-

¹ **ბ. ხორაგა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.). თბ., 1996, გვ. 131; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004, გვ. 113.

² Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии. Т. I (с 1768 по 1774 год). Под редакцией **А. А. Цагарели.** СПб, 1891, гв. 469; **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი.** 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, – წგნ.: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* რვა ტომად. ტ. IV. თბ., 1974, გვ. 657.

³ *Утверждение Русского владычества на Кавказе.* Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта **Н. Н. Белявского.** Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто.** Т. 3, часть 2. Тифлис, 1904, გვ. 539-540; **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом. Т. I. Тифлис, 1907, გვ. 97-98.

⁴ **ი. კვაშილაგა.** სამურზაყანოს წარსულიდან (XVI-XVIII სს.). – *ეურნ.: „რიწა“*, №3-4, 2000, გვ. 25.

მარეობდა ამ „სრული ავტონომიის“ არსი. ლევანი უკვე აღარ სჯერდება მამისა და ბაბუის (მურზაყანის) მშვიდ პოლიტიკურ კურსს და ის გარკვეულ აქტიურ მოღვაწეობას ეწევა საკუთრივ აფხაზეთის სამთავროშიც, რომელიც ოსმალეთიდან დაბრუნებული ზურაბ შარვაშიძის მთავრობის პერიოდში შინაგანად დასუსტებული იყო.¹ სამურზაყანოს მფლობელი ცდილობს ისარგებლოს ამ ვითარებით და აფხაზეთის სამთავროში მისი გავლენა გაზარდოს. სავარაუდოდ, ამას ლევანი აღწევს კიდევაც, ვინაიდან წყაროები მას და აფხაზეთის მთავარს ზურაბს „ძმებად“ მოიხსენიებენ,² თუმცა, სინამდვილეში ეს ასე სულაც არ იყო. ლევანისათვის ზურაბი იყო დიდი ბაბუის ძმის შვილიშვილი.³

აფხაზეთში ლევანის პოლიტიკური გავლენის გაზრდისათვის ხელსაყრელი პირობაც მალე შეიქმნა. 1770წ. 20 აპრილს ასპინძაში ერეკლე II-ს სარდლობით ქართველთა მიერ ოსმალთა არმიის სასტიკი განადგურებით შეგულიანებული აფხაზეთის მთავარი ზურაბ შარვაშიძე 1771წ. ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყდა. ამ ბრძოლაში მან მხარდაჭერა ლევან სამურზაყანოელს სთხოვა, რომელიც თავისი ლაშქრით გამოემართა აფხაზეთში ოსმალთა ცენტრალური ფორპოსტისაკენ. ამბოხებულმა შარვაშიძეებმა ერთობლივად შესძლეს სოხუმ-კალეს აღება.⁴ ამ გამარჯვების შემდეგ, ლევანი დააშინა ზურაბის გაძლიერებამ, რომელიც, აფხაზეთის მთავრის მიერ სამურზაყანოზე გავლენის გაზრდას გამოიწვევდა. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ზუფუს სამთავრო კარი არ იყო კმაყოფილი სამურზაყანოზე ოდიშ-აფხაზეთის „კონდომინიუმით“, სადაც მაინც სამეგრელოს უპირატესობა იგრძნობოდა, ხოლო აფხაზეთის მთავრის გავლენა მინიმუმამდე იზღუდებოდა და დღის წესრიგიდან არ ხსნიდა ამ მხარეზე მი-

¹ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Второе, исправленное издание. Сухуми, 1951, გვ. 80; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 71-72.

² **ი. რაინგსი.** მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმანა, შესავალი და საძიებელი დაურთო **გ. გელაშვილმა.** თბ., 2002, გვ. 109.

³ **Ю. Чиковани.** Род Абхазских..., გვ. 10, ტაბ. №2.

⁴ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии..., გვ. 79; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. Историко-этнографические очерки. Второе переработанное, дополненное издание. Сухуми, 1965, გვ. 143.

სი სრული უფლებების განხორციელების შესაძლებლობის აღდგენას. როგორც წყაროებიდან ჩანს, 1767წ. ახლო ხანებში სამეგრელოზე აფხაზებს განუხორციელებიათ შეტევა. სავარაუდოდ, მათ სამურზაყანო დალაშქრეს. როგორც სოლომონ I-ის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლის მარიამ ჯაფარიძისადმი მიცემულ წყალობის წიგნშია (1767წ.) აღნიშნული, „დადიანს აფხაზისაგან საქმე გაუჭირდა“¹ კაცია II დადიანის თხოვნით, იმერეთის მეფე მას სამხედრო ძალით დაეხმარა და მათ ერთობლივად აფხაზეთიც დალაშქრეს.

ზურაბის მხრიდან სამურზაყანოზე სავარაუდო პოლიტიკური გავლენის გაზრდის პრევენციისათვის, ჩანს, რომ ლევანმა, მის მიერ გაწეული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, სოხუმის ციხე მოითხოვა. დ. ზაქარაია, ი. რაინგის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, რომელშიც ნათქვამია, რომ ლევანს დარჩა სოხუმი და რამდენიმე სოფელი,² ვარაუდობს სამურზაყანოს მფლობელის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.³ თუმცა, მალე ზურაბი ვერ შეეგუა შექმნილ ვითარებას, რომელიც აშკარად უარყოფითად მოქმედებდა მის, როგორც აფხაზეთის მთავრის, პოლიტიკურ იმიჯზე და ლევანისაგან ციხის დაბრუნება მოითხოვა. სამურზაყანოს მფლობელმაც გათვალა, რომ ხანგრძლივი პერიოდით ის, საკუთარი ძალებით, სოხუმის ციხის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა. საკუთარი პოზიციების გაყარებას ის უნდა ცდილიყო კავშირის დამყარებით იმ ხანებში საქართველოში მყოფ რუსულ არმიასთან, ოდიშთან, ან მიმხრობოდა თურქეთს, რომლისთვისაც სოხუმის ციხე სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი იყო. ს. ბრონევსკის შეფასებით, ის ოსმალთათვის დასავლეთ კავკასიის გასაღები იყო.⁴

¹ წყალობის წიგნი სოლომონ მეფისა მარიამ ჯაფარიძის ქალს (დოკ. №124). – ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურიის ოდიშის სამთავროებისა (1466-1770წწ.). წ. I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო **შ. ბურჯანაძემ**. თბ., 1958, გვ. 113-114.

² ი. რაინგის. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110.

³ დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIIIს. ბოლო მეოთხედში. *ქელეშ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.* – საისტორიო ძიებანი, წელიწადი. VI. თბ., 2003, გვ. 64-65; ელექტრონ. ვერსია იხ.: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2003>.

⁴ *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе. Собранные и пополненные С. Броневским.* Ч. I. М., 1823, გვ. 347.

პირველი ვარიანტი გამორიცხული იყო ლევანის უშედეგოდ გატარებული პრორუსული ორიენტაციის გამო. კერძოდ, ოდიშის გავლენის შესუსტებისა და შემდგომში გათავისუფლების მიზნით, მან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება სცადა. იმხანად, სოლომონ I აქტიურად თანამშრომლობდა იმერეთში შემოსულ რუსული არმიის სარდლობასთან და მათი სამხედრო ძალებით იმერეთის საშინაო და საგარეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას იმედოვნებდა, რაც ურჩ ფეოდალთა დამორჩილებას, ქვეყნის გაერთიანებასა და ოსმალთა განდევნას გულისხმობდა.¹ მეფის ამგვარი მეცადინეობა კაცია II დადიანს მხედველობიდან არ გამოჰპარვია და სიფრთხილით აკვირდებოდა იმერეთში მყოფ რუსებს.² ამასთან ერთად, თავადაც ცდილობდა რუსებთან დაახლოებას სოლომონ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით და საკუთარი პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სამეგრელოს მთავარმა მეფის შიშით, რუსეთის მფარველობის მიღებაზე დაიწყო ზრუნვა.³ იგი ცდილობდა სანკტ-პეტერბურგის დარწმუნებას იმაში, რომ სამეგრელოს სამთავრო, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების ფონზე, იმპერატორისათვის მნიშვნელოვანი პარტნიორი იქნებოდა, ვიდრე – იმერეთის სამეფო, ვინაიდან ოდიშს, იმერეთისაგან განსხვავებით, შავ ზღვაზე ჰქონდა გასასვლელი.⁴

სამურზაყანოს მფლობელმაც არ დაახანა მისთვის ამ ხელსაყრელი შესაძლებლობის გამოყენებას შეეცადა. ლევან შარვაშიძე, 1770წ. ა. სუხოტინის წინამორბედ გენერალ გრაფ გ. ტოტლებენს დაუკავშირდა და მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა სამურზაყანოსათვის რუსეთის პროტექტორატის მოპოვების თაობაზე.⁵ თუმცა

¹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1992, გვ. 127.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 161.

³ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 127, 128.

⁴ Грамоты и другие исторические документы..., т. I, გვ. 66-68, 300; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 127-128, 131.

⁵ *Новейший географический...*, გვ. 346; *Статистическое описание Закавказского края*. В двух частях. Составитель **Орест Евецкий**. СПб., 1835, გვ. 170; **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии..., გვ. 79; **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы..., გვ. 144; ს. ბრონევესკი შეცდომით აცხადებდა ლევანს

მოლაპარაკებები ჩაიშალა, რადგან, გ. ანჩაბადის ვარაუდით, აფხაზები მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ოსმალო ფაშაზე არა ნაკლებ ხარბ და მცირე ხალხების დამპყრობელთან.¹ როგორც ჩანს, ხარბ და უსინდისო გენერალთან ურთიერთობით უკმაყოფილო ლევანმა თავის რაზმელებს რუს ჰუსართა და კარაბინერთა ცხენების გატაცება უბრძანა, რაც განხორციელდა კიდევ,² «одним ударом превратив всю кавалерию Тотлебена в пехоту».³ ს. ბრონევსკი, ცდილობს რა დაიცვას რუსეთის იმპერიის ჩინოსანთა „პრესტიჟი“, მოლაპარაკებათა ჩაშლის მიზეზად სწორედ აფხაზთა მიერ ცხენების გატაცებას ასახელებს. რა თქმა უნდა, უდავოა, ეს ბანალური ფაქტი რომც არ მომხდარიყო, ლევან სამურზაყანოელი მაინც ვერ მიიღებდა რუსეთის პროტექტორატს, რადგან სანკტ-პეტერბურგის კარის ინტერესებში ჯერ ეს არ შედიოდა.⁴

სოხუმის ციხის დაჭერის საკითხში დადიანის მიმხრობა, ბუნებრივია, გამორიცხული იყო საკუთრივ ლევან შარვაშიძის მიზნებიდან – დადიანის გავლენის შემცირება – გამომდინარე. ამიტომ რჩებოდა ისევ თურქეთი, რომელსაც საამისოდ ძალა შესწევდა. თუკი ლევანი მათ დაუახლოვდებოდა, მაშინ, გარკვეულ წილად, მოახერხებდა აფხაზეთში თავისი პოზიციის განმტკიცებას. ჩანს, მას ზურაბის მიერ ბათუმიდან ჩამოყვანილი და აფხაზეთის მთავრის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული უფროსი ძმის მანუჩარის შვილი ენერგიული ქელაიშ-აჰმედ-ბეგის (ქელემ-ბეის)⁵ პიროვნებაც აფიქრებდა,

აფხაზეთის შემდგომი მთავრის ქელემ-ბეის მამად. ამაზე ყურადღება ირ. ანთელავამ გაამახვილა და აღნიშნა, რომ ქელემ-ბეის მამა მანუჩარი იყო (**И. Г. Антелава. Очерки по истории...**, გვ. 79).

¹ **Г. Анчабадзе.** Абхазская хроника XIX века. *Из истории утверждения русско-го владычества в Абхазии*, – წგნ.: **გ. ანჩაბადე.** ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები (სტატიები, მიმართვები, ინტერვიუები). თბ., 2006, გვ. 12.

² *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 346.

³ **Г. Анчабадзе.** Абхазская хроника XIX века..., გვ. 12.

⁴ **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი.** 1768-1774 წლების..., გვ. 656.

⁵ მემკვიდრეობა მას ისედაც ეკუთვნოდა ორი მიზეზის გამო: ვინაიდან ზურაბს საკუთარი შვილები არ ჰყავდა (**ირ. ანთელავა, გ. ძიძარია.** მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. – წგნ.: *საისტორიო მოამბე*, ტ. 7. თბ., 1953, გვ. 243, 292; **დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 75) და ქელემ-ბეი, მანუჩარის

რომელსაც, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმანს, კარგი ურთიერთობები ჰქონდა „ბრწყინვალე პორტასთან“.¹ თან წყაროებში არ ჩანს, რომ ზურაბის ძმისშვილი 1771წ. ბიძის გვერდით იბრძოდა. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ერთადერთ გამოსავალად ლევანს თურქებთან მორიგება რჩებოდა, რაც მოახერხა კიდევაც. მან სოხუმის ციხე ისევ მტერს ჩააბარა, ოღონდ გარკვეული სასყიდლის ფასად (20 თურქული ქესა).²

მკვლევართა ნაწილი, ზოგიერთი წყაროს მონაცემებზე დაყრდნობით³ სოხუმის ციხის თურქებისადმი გადაცემას გაყიდვად აფასებს.⁴ ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს დ. ზაქარაია, რომელიც, ი. რაინგსზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მხოლოდ ამ ციხის დროებით გადაცემას ოსმალებისთვის.⁵ ი. რაინგსი ერთ ადგილას აღნიშნავს: „*ლევან შარვაშიძე შეუთანხმდა თურქებს და წლიური საზღაურის, ოცი ქისა (ექვსი ათასი მანეთი) – ფასად გადასცა იანიჩრებს სოხუმის ციხე: ამ ციხისათვის უკეთ რომ ეკატრონათ*“.⁶ ფ. ტორნაუ თანხას არ ასახელებს, მაგრამ ისიც ციხის გადაცემაზე საუბრობს.⁷ ჩვენ ვეთანხმებით დ. ზაქარაიას იმაში, რომ ი. რაინგსის ნდობის ხარისხი უფრო მაღალია, ვინაიდან იგი ამ

შვილობით, შარვაშიძეთა იმ შტოს წარმოადგენელი იყო, რომელსაც ზუფუს მფლობელობა ანუ აფხაზეთის მთავრობა ერგო წილად.

¹ დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 75.

² И. Г. Антелава. Очерки по истории..., გვ. 80; Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России, – წგნ.: Г. А. Дзидзария. Труды. Т. I. Сухуми, 1988, გვ. 17-18; Ф. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. Т. I. Сухуми, 1937, გვ. 117.

³ Ф. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа..., გვ. 117; ა. დიანკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ზ. პაპასქირმა და ბ. ხორავამ თბ., 2003, გვ. 90.

⁴ Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России, გვ. 17-18; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 161; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე..., ნაკვ. I, გვ. 113; ზ. წურწუშია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში. – საისტორიო ძიებანი, წელიწდეული, V. თბ., 2002, გვ. 128.

⁵ დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 64.

⁶ ი. რაინგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110.

⁷ Ф. Торнау. Воспоминания Кавказского офицера. 1835 год. Ч. I. М., 1864, გვ. 6.

ამბების თანამედროვეა და, რომ ლევანს ამგვარი ნაბიჯისაკენ ზურათთან კონფრონტაციამ უბიძგა,¹ მაგრამ, ვფიქრობთ, აქ სხვა რამეს ჰქონდა ადგილი, კერძოდ, სავარაუდოა, რომ თურქები და ლევანი შეთანხმდნენ სოხუმ-კალეს ერთობლივ ფლობაზე.

რანიგისიეული ცნობა „წლიური საზღაურის“ შესახებ, როგორც ჩანს, მიუთითებს იმას, რომ ლევანი ოსმალთა სამსახურში ჩაღდა და მას გარკვეული ჯამაგირი (წლიურად 20 ქისა) დაენიშნა.² ამ ვარაუდს უნდა ადასტურებდეს ს. ბრონვესკის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ლევანს ისლამიც მიუღია და თურქებს ის სოხუმის ციხის ხელმძღვანელად დაუნიშნავთ.³ როგორც ჩანს, ეს იყო სოხუმის ბეგის სახელო, რომელსაც, ოდნავ მოგვიანებით, ქელემბეი იკავებს. სამურზაყანოს მმართველის მხრიდან ისლამის მიღება, ალბათ, პოლიტიკური სვლა უფრო იყო და მისი პერსონისადმი თურქების ნდობის მოპოვებას ისახავდა მიზნად. როგორც ს. ბრონვესკი აღნიშნავს, ამ აქტით ორივე მხარე დარჩენილა კმაყოფილი: თურქები თავიდან იცილებდნენ სოხუმ-კალეს გარნიზონზე ზრუნვასა და გასაწევ მატერიალურ ხარჯებს, ხოლო ლევანი კი ამ გზით, აძლიერებდა საკუთარ გავლენას აფხაზეთში.⁴ ს. ბრონვესკი აგრძელებს მსჯელობას და ამბობს, რომ ყოველივე ეს კი ლევანს სჭირდებოდა მომავალში მისი სამფლობელოს⁵ თურქეთის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.⁶ ჩანს, რომ ლევანის მიერ ისლამის მიღება აშკარად დროებით და ოსმალთათვის თვალის ასახვევად იყო გამიზნული.

გვიანდელი ხანის ზოგიერთი დოკუმენტიც ადასტურებს, რომ ხუტუნია შარვაშიძის მემკვიდრეთაგან მხოლოდ ლევანი გამაჰმადი-

¹ დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 64.

² ა. დიაჩკოვ-ტარასოვი მიიხნევს, რომ ლევანმა ეს ოქროზე დახარბების გამო ჩაიღინა (ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი, გვ. 90).

³ *Новейшая географическая и историческая...*, გვ. 346-347; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (П. – 1921წ.). თბ., 2005, გვ. 328.

⁴ *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 347.

⁵ აქ ს. ბრონვესკი აფხაზეთის სამთავროს გულისხმობს, რაშიც ის აშკარად ცდება, მიუხედავად იმისა, რომ სწორად უთითებს ლევანის საცხოვრისს – სოფ. ბედიას (*Новейшая географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 346, 347).

⁶ *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 347.

ანდა, მისი ძმა კი მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა. კერძოდ, ეს შეგვიძლია ვივარაუდოთ გენერალ პ. ციციანოვის წერილებიდან სოლომონის შვილების, ლევანისა და ბეჟანისადმი, სადაც წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ლევანი და ბეჟანი დაიბადნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში (ე.ი. ოჯახში) და ამჟამადაც (ანუ 1805წ.) ამ რელიგიის მიმდევრები ყოფილან.¹

ამის შემდეგ, ლევანმა სოხუმი მალევე დატოვა, რადგან აფხაზები არ ეგუებოდნენ იქ მტრის ხელახალ შემობრუნებას და პერმანენტულ თავდასხმებს აწყობდნენ, რომელთა მოთავე ისევ ზურაბ შარვაშიძე იყო და ანაკლიის ციხეს შეაფარა თავი, სადაც თურქული გარნიზონი იღვავდა,² რადგან სოხუმში ოსმალთა შემოყვანით და ისლამის მიღებით, მან ორი მტერი გაიჩინა: დასავლეთიდან – ზურაბ შარვაშიძე, აღმოსავლეთიდან კი – კაცია დადიანი. მიუხედავად ამისა, არც ერთ ამ მხარეს, რამდენადაც წყაროები ამის გარკვევის საშუალებას იძლევა, რატომღაც არ უცდიათ სამურზაყანოს მმართველად ახალი კანდიდატის მოყვანა. ჩანს, სოხუმის ბეგზე თურქეთის მფარველობა ორივე მთავარისთვის საკმაო შემაკავებელი ძალა იყო.

სამურზაყანოს მფლობელის ამ საქციელს ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა დალატის კვალიფიკაციას ანიჭებენ.³ ლევანი, ამ შემთხვევაში მოიქცა ისევე, როგორც იქცეოდა XVIII ს. I ნახევარში დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ფეოდალი, როცა მოწინააღმდეგე დიდებულთან, თუ მეფესთან ქიშპობის გამო, ამა თუ იმ ციხე-სიმაგრეს თუ ქალაქს ოსმალებს გადასცემდა, როგორც ეს მოხდა ქუთაისთან, ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებთან დაკავშირებით.⁴ მან პიროვნული

¹ *Акты*, т. II, док. №1048, 1049, გვ. 537.

² **დ. ზაქარაია**. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 65.

³ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. Сухум, 2007, გვ. 196; ამ ფაქტის გაშუქებისას ავტორები არ ასახელებენ ლევანის სახელს და უბრალოდ აღნიშნავენ ერთ-ერთი ჩაჩბას დალატს. ძნელი სათქმელია, თუ რატომ არ უმხელენ მკითხველს მოდალატე შარვაშიძის ვინაობას, როცა ეს ცნობილია ისტორიული წყაროებით და სხვადასხვა ისტორიკოსთა (მათ შორის, საკუთრივ აფხაზთა) ნაშრომებით.

⁴ **ბ. ბერძენიშვილი**. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. – წგნ.: **ბ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI. თბ., 1973, გვ. 345.

ამბიციები საკუთარი ხალხის ინტერესებზე მაღლა დააყენა.

ლევან შარვაშიძის მიერ ისლამის მიღებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სამურზაყანოს სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე. როგორც ე.წ. „დასავლეთ საქართველოს საწმესოთა ნუსხა“, (მკვლევართა აზრით, შედგენილია 1770წ. აპრილში) გვამცნობს ბედია იყო საყდარი, სადაც ეპისკოპოსი არ იჯდა.¹ ეს დასტურდება გერმანელი მეცნიერის ი. გიულდენშტედტის ცნობებითაც, რომელიც 1771-1772წწ. საქართველოში იმყოფებოდა. იგი ბედიას ყოფილ საეპისკოპოსო ცენტრად მოიხსენიებს.² ბედიის ეპარქიის უკანასკნელი მღვდელმთავარი მიტროპოლიტი მაქსიმე (იაშვილი) ამ კათედრას XVIIIს. 50-60-იან წლებში განაგებდა.³

მეუფე მაქსიმე პატრიოტი მწვემსმთავარი იყო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის ცხოვრებაში და სოლომონ I-ის ერთგულ მხარდამჭერთა შორის ჩანდა. კერძოდ, იგი მონაწილეობდა იმერეთის მეფის ინიციატივით 1759წ. დეკემბერში მოწვეულ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებაში, რომლის მიზანიც საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება და ტყვის სყიდვის აკრძალვა იყო. 1761წ. მეუფე მაქსიმე ჩანს იმ საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის, რომლის გადაწყვეტილებითაც აღდგა ზონის საეპისკოპოსო.⁴ ჯ. გამახარია მიიჩნევს, რომ ბედიის საეკლესიო სტატუსის დაკნინებას, იქ ღვთისმსახურების შეწყვეტაც მოჰყვა,⁵ რაც დასტურდება დადი-

¹ **გ. კალანდია.** ეპისკოპოსობა და ოდიშის საეპისკოპოსოები. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი. ტ. VII. თბ., 2000, გვ. 502; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადი. III. თბ., 2000, გვ. 41.

² *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო **გ. გელაშვილმა.** ტ. I, თბ., 1962, გვ. 171; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 41.

³ **ლ. ახალაძე.** აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. ტ. I (დაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბ., 2005, გვ. 51; **გ. კალანდია.** ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. – *„არტანუჯი“*, №4, 1995, გვ. 36; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 41.

⁴ *Акты*, т. I. Тифлис, 1866, док. №7, გვ. 56-58; *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **ი. დოლიძემ** თბ., 1970, გვ. 845; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 40.

⁵ **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 331.

ანების კარის მოძღვრის მამა იოანე იოსელიანის 1809წ. 23 ლექსებერს შედგენილი წერილით გენ. ა. ტორმასოვისადმი.¹

სოხუმზე ლევანის ფორმალური მფლობელობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. სულთნის კარი მაინც ბოლომდე არ ენდო მოულოდნელად გამუსლიმებულ ყოფილ ანტიოსმალლო პოლიტიკოსს და აფხაზეთში მოქმედებების თავისუფლება მისცა მისთვის სანდო ქელემბეი შარვაშიძეს, რომელმაც 1774წ. კიდეც დაიჭირა სოხუმის ციხე.² ის საკმაოდ აქტიურ მოღვაწეობას იწყებს აფხაზეთში გავლენის გასაძლიერებლად. ოსმალეთისათვის ზურაბი სანდო პირი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ის საკმაოდ პოპულარული იყო ანტიოსმალურად განწყობილ აფხაზურ მოსახლეობაში და ამიტომ ერთბაშად მისი ჩანაცვლება პროთურქული პოლიტიკოსით, როგორც ქელემბეი იყო,³ ალბათ სულთნის კარზე მთლად მიზანშეწონილად არ ჩათვალეს.

1768-1774წწ. რუსეთ-თურქეთის ომი პირველის სასარგებლოდ დასრულდა, რომელმაც ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებით, შავ ზღვაზე მოქმედების საშუალება მოიპოვა.⁴ ეს რუსეთისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა, რომელიც მან წარმატებით გადაჭრა. ამიტომ, გასაგები ხდება რუსეთის მიერ ის შუალედური დახმარება დასავლეთ საქართველოს მიმართ, რომელიც მან სავსებით წარმატებით გამოიყენა საკუთარი მიზნების მისაღწევად. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, საიმპერატორო კარის ამოცანა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გამოყენებით კავკასიის ფრონტზე თურქთა გარკვეული სამხედრო ძალის დაკავება იყო.⁵ ეს დასკვნა მ. რეხვიაშვილმაც გაიზიარა.⁶ დოკუმენტის 23-ე არტიკული საქართველოს ეხებოდა. ამ ზავით, იმერეთი და ოდიში რუსეთ-

¹ *Акты*, т. IV. Тифлис, 1870, док. №557, გვ. 416.

² **დ. ზაქარაია**. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 66.

³ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии..., გვ. 87-88; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 161; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული..., გვ. 115.

⁴ **Е. И. Дружинина**. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (его подготовка и заключение). М., 1955, გვ. 356.

⁵ **ივ. ჯავახიშვილი**. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. – წგნ.: **ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი**. ისტორიული რარიტეტები. თბ., 1989, გვ. 82.

⁶ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო (1462-1810). თბ., 1989, გვ. 222.

მა ოსმალეთის ვასალურ ტერიტორიებად ცნო და დათანხმდა თურქთა მიერ ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეების დაჭერას.¹ „ბრწყინვალე პორტამ“ კი ივალღებულა, რომ არ დასჯიდა ომში მის წინააღმდეგ მებრძოლ იმერეთსა და ოდიშს, უარს ამბობდა ქრისტიანობის დევნაზე და აღარ მოითხოვდა ხარკს ნატურით, სხვადასხვა გადასახადებითა და ქალ-ვაყებით.²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1702 წლიდან მოყოლებული აფხაზეთის მთავრების მოღვაწეობის დღის წესრიგში მუდამ იდგა სამთავროს, თანამედროვე ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“, რაც გულისხმობდა სამურზაყანოდან ოდიშის გაძევებას და ამ კუთხის საბოლოო მტკიცედ შემოერთებას. ამის მცდელობანი განსაკუთრებით ზურაბ შარვაშიძის დროს გააქტიურდა. თუმცა მისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით უშედეგოდ დასრულდა.

ახალი ეტაპი ამ საკითხის გადაწყვეტაში სწორედ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ დადგა. ს. მაკალათიას აზრით, ამ ტერიტორიების ოსმალეთის გავლენის სფეროდ ცნობამ, სტამბულს ირიბად კარტბლანში მისცა, რამაც რუხის ომი გამოიწვია.³ მკვლევარი თვლის, რომ ოსმალეთმა წააქეზა აფხაზები ოდიშის წინააღმდეგ.⁴ ეს მოსაზრება, რომელსაც მხარს უჭერენ ბ. ხორავა,⁵ ზ. პაპასქირი,⁶ ჯ. გამახარია,⁷ დასტურდება კიდევაც ერთი ისტორიული საბუთით: „აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქნენ“.⁸ მ. რეხვიაშვილი კი ფიქრობს, რომ ამ ომის მიზანი, იმერეთისაგან ოდიშის მოწყვეტა იყო.⁹ ე.ი. იმ ხანად კა-

¹ თუმცა ოსმალებმა ეს ვერ შეძლეს, რადგანაც, სოლომონის ბრძანებით, ისინი აღებისთანავე მოთხარეს. თურქთა მიერ მათი ხელახალი აგების მცდელობა შეუპოვარ ომს გამოიწვევდა (**ბ. ბერძენიშვილი**. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*. წიგნი VI, გვ. 433).

² **Е. И. Дружинина**. Ключук-Кайнарджийский мир..., გვ. 356; **ბ. ბერძენიშვილი**. საქართველო XVIII..., გვ. 433; **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის..., გვ. 255.

³ **ს. მაკალათია**. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 131-132.

⁴ **ს. მაკალათია**. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 132.

⁵ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 162.

⁶ **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე..., ნაკვ. I, გვ. 113-114.

⁷ **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 330.

⁸ **ქ. ჩხატარაიშვილი**. დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. IV. თბ., 1974, გვ. 665.

⁹ **მ. რეხვიაშვილი**. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში. თბ., 1978,

ცია II დადიანსა და სოლომონ მეფეს შორის არსებული დაძაბული ვითარება დადიანის წინააღმდეგ სალაშქროდ კარგი პირობებს ჰქმნიდა. ნ. დადიანის თქმით, „ადილი შური იყო მეფესა და დადიანს შუა“.¹

ისტორიოგრაფიაში ღავის საგანია ამ სამხედრო კამპანიის უშუალო ხელმძღვანელის ვინაობის საკითხი. ირ. ანთელავა მიიჩნევს, რომ ლაშქარს აფხაზეთის მთავარი ზურაბ შარვაშიძე სარდლობდა.² ნ. დადიანის მიხედვით ამის გარკვევა ძნელდება: „ჟამსა ამას ჰვლობდნენ აფხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ და ბექირ-ბეგ... და წარმოემართნენ დადიანსა ზედა“.³ როგორც ვხედავთ, ამ ცნობით ლაშქრობის მოთავე ლიდერის დადგენა ჭირს და ისე ჩანს, რომ ეს კოლექტიური გადაწყვეტილება ყოფილა. ამის შემდეგ, ნ. დადიანი ეხება მათთან სამურზაყანოელთა შეერთებას: „განუდგნენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ⁴ წოდებულნი, და მიერთვნენ მათ“.⁵

ნ. დადიანისაგან განსხვავებით, ოთხივე შარვაშიძე ჰყავს მოთავედ გამოყვანილი ი. გეგეჭკორს: „ოთხ ძმათა შარვაშიძეთა, შური შეექმნათ მრავლად, ქელეშ-ბეის, ზურაბს, ბექირ-ბეგს და ერთს უხმობენ ლევანად“.⁶ ამ საკითხში ერთგვარი სინათლე შემოაქვს ცნობილ ქართველ პოეტს და დიპლომატს ბესიკ გაბაშვილს, რომელიც ამ ამბების მონაწილე იყო და ამ ომს პოემატ „რუხის ბრძოლა“ მიუძღვნა. იგი მოთავეებად ქელეშ-ბეგსა და ლევან სამურზაყანოელს ასახელებს: „ბექირ-ბეგს ასტეხს ქელეშ-ბეგ და ზურაბს ადძრავს ლევანი“.⁷

ამ ამონარიდებში ნიშანდობლივია სამურზაყანოს მფლობელის სახელის გამოჩენა. სოხუმის ციხეში კვლავ თურქების შემკების შემდეგ, ლევანის ავტორიტეტი აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობაში

გვ. 154; მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 267-268.

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии..., გვ. 80-81.

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁴ ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად აქ გვხვდება ტოპონიმი „სამურზაყანო“.

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁶ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა. თქმული იოანე გეგეჭკორისგან (გრიგოლ დადიანი). გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1895, გვ. 5-6.

⁷ ბესიკი. რუხის ბრძოლა, გვ. 123.

მკვეთრად დაეცა. იგი, ი. რაინეგსის დამოწმებით, აფხაზი ხალხის მიერ იყო შეძულებული.¹ როგორც ჩანს, ოსმალეთს, ამ ვითარებაში, ორი ძლიერი მმართველის კავშირი სჭირდებოდა, მით უფრო, რომ აფხაზეთის შეტევა სამეგრელოს წინააღმდეგ XVIII ს. დამდეგიდან მოყოლებული, მუდამ ამ პირველის მარცხით მთავრდებოდა. ამასთან, ამგვარი ნაბიჯი ლევანს შარვაშიძეებთან შეარიგებდა. პორტას ზეგავლენით, ქელემ-ბეგი და ლევანი შერიგდნენ და მათ ბექირ-ბეი და ზურაბიც მიიმხრეს.

აქ საყურადღებოა ის, რომ ბექირბეის მისამხრობლად ქელემ-ბეი მოქმედებს, ხოლო ზურაბთან მოლაპარაკებებს ლევანი აწარმოებს. როგორც ჩანს, აქ ასაკით უმცროს (ქელემ-ბეი და ბექირ-ბეი)² – უფროსობით (ლევანი და ზურაბი) მიხედვით მომხდარა მათი გადანაწილება. დ. დადიანი კიდევ უფრო აკონკრეტებს სარდლის ვინაობას: „თანაგამზრახად, ლაშქართა სარდლად, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ ხელში უჭირავს“³ მკვლევართა ნაწილი (ბ. ხორავა, ზ. პაპასქირი), რომელთაც ყურადღება მიაქციეს ზურაბ შარვაშიძის ერთგვარ პასიურ პოზიციას ამ პროცესებში, ფიქრობს, რომ სწორედ ქელემ-ბეი უნდა ყოფილიყო ლაშქრობის მოთავე და სარდალი.⁴ ვფიქრობთ, ამ ვერსიას უნდა ამაგრებდეს მოვლენები, რომელიც რუხის ომის შემდეგ გაიმართა. კერძოდ, ქელემ-ბეისა და ზურაბის დაპირისპირების დროს, დადიანმა აფხაზეთის მთავრის მხარე დაიჭირა. მან ზურაბის დასახმარებლად თავისი ძმის გიორგის მეთაურობით ოდიშართა ლაშქარი გაგზავნა „ცხოძის ციხეს, სადა მამაცად ბრძოდენ ციხით გამო მეციხოვნენი ქელაიშ-აჰმედ-ბეგისანი. გარნა სიმხნე-მამაცობითა საქებელითა აღიღო ციხე იგი გიორგი დადიანის ძემან და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშადვე“⁵ როგორც ჩანს, კაცია II-მ ამგვარად იდია შური 1780წ. მის სამთავროზე თავდასხმისათვის.

სამეგრელოს დასალაშქრად, შარვაშიძეებმა ჩრდილო კავკასიიდან დაქირავებული რაზმები ჩამოიყვანეს: „ჯიქნი, ალაზნი, ზუზუა და

¹ ი. რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110; დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 65.

² დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 68-69.

³ ზ. მოლაშხია. რუხის ბრძოლა. – ჟურნ.: „აია“ №2, 2002, გვ. 11.

⁴ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 162; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., ნაკვ. I, გვ. 114.

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179-180.

მაზუმაი“¹ ნ. დადიანის ეს ცნობა დასტურდება დოკუმენტურადაც: „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შერვაშიძეები, ჯიქი, ალანი და ჩერქეზი, სხვანი კიდე უცხო ჯარები იყო... ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით“² ბესიკის ცნობით, ლაშქარში ყირიმელი თათრებიც ყოფილან: „ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კერძუელთ ამცნეს ცნობითა, ყივჩაღთა შემოიწვევდენ, ინდობდენ სჯულის ძმობითა, აფხაზნი შეეფიცოდენ ქრთამით და აგრევ ძღვნობითა... ექვსნი გვარნი ექვს ენითა ერთ-ხმაობდენ ბევრის ბევრად“³

აფხაზ-ჩრდილო-კავკასიელთა მრავალათასიან ლაშქრისათვის⁴ დასაპირისპირებლად კაცია დადიანმა მეფე სოლომონს სთხოვა შეწევნა და ხრესილის ომის დროს თავისი დახმარებაც შეახსენა: „ნუ მოიხსენიებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა და მოვედ შემწედ ჩემდა სახელოვნითა გულითა და აჰა ჟამი მოიხსენო მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლისა“⁵ აფხაზებთან საომრად ოდიშარებს იმერლები ხშირად ეხმარებოდნენ. გავიხსენოთ 1702წ. ამბები და იგივე სოლომონისათვისაც არ იყო ეს პირველი შემთხვევა, რასაც ზემოთ მოყვანილი „შეწირულობის წიგნიც“ ადასტურებს. ამიტომ, ერთი შეხედვით, გასაკვირიც კი ხდება, რადგან სოლომონის თითქოს „გადახდილიც“ კი აქვს ეს „ვალი“ დადიანის მიმართ. მაგრამ ამ ამონარიდში საყურადღებოა მინიშნება ხრესილის ომზე, რომელიც გვიბიძგებს

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

² ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო..., გვ. 665.

³ ბესიკი. რუხის ბრძოლა, გვ. 124.

⁴ ბესიკი 10 000-ს კაცის ასახელებს: „მოკრბა დას-დასად მწყობრ ბევრ-ათასად“ (ბესიკი. რუხის ბრძოლა, გვ. 123). როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სიტყვა „ბევრი“ რიცხობრივად 10 000-ს უდრიდა (ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ორ წიგნად. წ. I. თბ., 1966, გვ. 99). ისტორიოგრაფიაში სახელდება სხვა ციფრებიც: 11 000 (ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 132; ხ. მოლაშხია. რუხის ბრძოლა, გვ. 11; დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება..., გვ. 70) და 40 000 (დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება..., გვ. 69-70).

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180; შდრ. ბესიკთან: „ქუთაისს მორტყმით მჯდომელსა, ომისა მომანდომელსა, მეფესა ჰკადრეს: „მეგრელი მოჭვრინავს, ჰგავს ნაკრთომელსა“. მოვიდა, წიგნი მოართვა, ფიცი აქვს სწორეთ რომელსა. გალიძდა: „ვალი ხრესილის აწუთხოვია მშრომელსა!“ (ბესიკი. რუხის ბრძოლა, გვ. 125).

დაუკვირდეთ არა მხოლოდ ამ ომის ფაქტს, არამედ – საკუთრივ მის მნიშვნელობას იმერეთის ისტორიაში. როგორც ჩანს, რუხის კამპანია განსხვავდებოდა აფხაზ-ოდიშართა სხვა ომებისაგან. ამიტომაც დაიკავა მან განსაკუთრებული ადგილი როგორც მათიანებში, ასევე მხატვრულ ლიტერატურასა¹ თუ სახალხო ზეპირსიტყვიერებაში.²

ამ განსაკუთრებულობაზე მიანიშნებს ერთი ადგილი სოლომონისადმი ოდიშის მთავრის წერილში, სადაც კაცია დადიანი მეფის ყურადღებას რელიგიურ ფაქტორზე ამახვილებდა: „*მოვიდენ აგარიანნი დასამშობელად ჩემდა და სამფლობელოსა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა*“.³ როგორც ვხედავთ, ეს ლაშქრობა სხვა ელფერსაც იღებდა და იგი უკვე, რამდენადმე, კულტურათა დაპირისპირების ასპექტში განიხილებოდა, ანუ ამ კონფლიქტმა „თათარ-ოსმალ-ყიზილბაშობისა“ და „ქართველობის“ დაპირისპირების ხასიათი მიიღო.

1780წ.⁴ მარტში სოლომონისა და დადიანის კოალიციამ რუხის მიდამოებში ბრძოლა გაუმართა მომხდურთ და ისინი სასტიკად დაამარცხა: „*აფხაზნი ვერ წინააღუდგენ, და ივლტოდენ აფხაზნი, და განემარჯვათ სახელოვანად მეფესა და დადიანსა*“.⁵ ი. გეგეჭკორი ამას კიდევ უფრო ექსპრესიულად აღწერს: „*აირივნენ აფხაზები, ძალა არ*

¹ ბესიკი. რუხის ბრძოლა; ნ. ლორთქიფანიძე. რაინდები, – წგნ.: ნ. ლორთქიფანიძე. ერთტომეული. თბ., 1981, გვ. 7-37.

² ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა. რუხის ომის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ასახვის თაობაზე იხ.: ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 163. ზ. მოლაშხია. რუხის ბრძოლა...

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁴ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, მიღებულია ეს თარიღი, რომელიც ნ. დადიანის ნაშრომშია დაფიქსირებული (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 132; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 162; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე..., ნაკვ. I, გვ. 114; **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии..., გვ. 80-81). არის მეორე დათარიღებაც: 1779წ. მიწურული (ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო..., გვ. 665). მ. რეხვიაშვილიც ამ თარიღს უჭერს მხარს (მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 268.); თუმცა, თავდაპირველად, ამ ომს 1780 წლით ათარიღებდა (მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ., 1982, გვ. 154).

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

ჭკონდათ მეტია, აღარ ვახსენებ ქელემ-ბეგს,¹ ზურაბ და ლევანს მეტია ბექირ-ბეგ ბრძოლით იწევა, ვით ვეფხვი სისხლის მხვერეთია და მეფე იახნის: „ვა მაგას“ მტერთა გაქცევის მჭკვრეტია“² რუხში სასტიკად დამარცხებულ ქელემ-ბეის ფარ-ხმლის დაყრა არც უფიქრია და სამურზაყანოს დასაუფლებლად ის ბრძოლას აგრძელებდა. მიუხედავად ამისა, რუხის ომს საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობებში. 1780წ. საბოლოოდ დაესვა წერტილი აფხაზთა მცდელობას ფეხი მოეკიდათ ენგურის მარცხენა სანაპიროზე. ლევან შარვაშიძეც, როგორც ვნახეთ, დამარცხებული გაიქცა ამ ბრძოლის ველიდან.

სამურზაყანოს ლიდერის მცდელობა მოეპოვებინა სუვერენიტეტი როგორც დადიანის, ისე აფხაზეთის მთავრისაგან, ამჯერადაც მარცხით დასრულდა. ამიტომ მას დადიანთან შერიგება სჭირდებოდა. მართალია, სოლომონსა და კაციას, გამარჯვების შემდეგ არ დაულაშქრავთ სამურზაყანო მდ. ღალიბგამდე (ყოველ შემთხვევაში, წყაროებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი), როგორც ჩანს, ეს არც იყო საჭირო. სამურზაყანო ჯერ კიდევ დადიანის გავლენის სფეროდ რჩებოდა. ამიტომ, ლევანისათვის აქტუალური იყო კაციასთან ურთიერთობების გამოსწორება.

¹ ო. ბლაჟუბა და ს. ლაკობა, რომლებიც ქელემ-ბეის მოღვაწეობას ერთ პარაგრაფს უთმობენ და ის აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ეროვნულ გმირად ჰყავთ გამოყვანილი, გაკვრითაც კი არ ახსენებენ რუხის ომს (*О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии...*, გვ. 194-201). როგორც ჩანს, ამ პროპაგანდისტული ნაშრომის ერთადერთი ამოცანა მხოლოდ ო. ბლაჟუბასა და ს. ლაკობას „თვალეებით“ დაუფარდოვან ფერებში დანახული აფხაზეთის „ჰეროიკული“ ისტორიის წარმოჩენაა. ამ მიზანს ბრმად ადევნებული ავტორები, ამ გზით, ისევ და ისევ საკუთარი ერის ისტორიას ამახინჯებენ და საკუთარი მკითხველიც შეცდომაში შეჰყავთ.

² ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება..., გვ. 14; შდრ. ბესიკთან: „სით გავგეპარე, ქელემ-ბეგ? რას ელდით გარდგვეკარგე რა[ს]? თუ სადმე ნახო ზურაბი, უთხარ: „მეფეა აგერა[ს]!“ ...რა ნახეს მეფე მიჭრილი, გულსა შეაქნეს ბაბანი, დაყარნეს ყოვლნი სახმარნი, გზა ძიეს გასასწრაფანი“ (*ბესიკი*. რუხის ბრძოლა, გვ. 129). სამტროდ მოსულ ბექირ-ბეის მხედრულ ღირსებასა და მამაცობას არც ბესიკი უკარგავს: „მოყმედ კარგი ძმა მეოთხე... ბექირ-მხნევან“ (*ბესიკი*. რუხის..., გვ. 126).

ამის შემდეგ ნ. დადიანი გვამცნობს გიორგი დადიანის ძის სოხუმში ლაშქრობას და მერე კი ავტორი წერს, რომ სამეგრელოს და აფხაზეთის მთავრები დამოყვრდნენო: კაციას ძეს მანუჩარმა, რომელიც იმ ხანად, სავარაუდოდ, 12-13 წლის¹ თუ იქნებოდა, ზურაბის ქალიშვილი შეერთო.² აქ კი მემატთანეს აშკარად ეშლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბს შვილი არ ჰყავდა. მაგრამ, ისიც ცნობილია, რომ მანუჩარი ლევან სამურზაყანოელის სიძე იყო.³ რა თქმა უნდა, გასაკვირია, როგორ უნდა დაეშვა ასეთი შეცდომა ნ. დადიანს მისი უახლოესი ნათესავის⁴ საოჯახო ცხოვრების აღწერისას? ცხადია, რომ მემატთანე ამ ამბების უშუალო მომსწრე არ ყოფილა (სავარაუდოდ, ის ამ დროს 4-5 წლის ბავშვი იყო), თუმცა, ქრონოლოგიურად, ის არც ისე დაშორებული იყო. მანუჩარ დადიანისა და ელისაბედ⁵ ლევანის ასულ შარვაშიძის ქორწინების შესახებ, ნ. დადიანი მის ოჯახში არსებული ზეპირი გადმოცემებით თუ შეიტყობდა. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მოვლენათა აღრევასთან გვაქვს საქმე და, როგორც ჩანს, ზურაბ შარვაშიძის სახელთან ამ ქორწინების დაკავშირება შემთხვევითაც არ უნდა მომხდარიყო. სავარაუდოდ, აფხაზეთის მთავარმა, რომელმაც რუხის ომის შემდეგ შარვაშიძეთაგან დადიანთან პირველმა მოაწესრიგა ურთიერთობები, შუამავლის როლი იკისრა და ლევან სამურზაყანოელი და კაცია ერთმანეთს შეარიგა, რაც ზემოთხსენებული ქორწინებით განმტკიცდა კიდევაც. ეს 1781-1783 წლებში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამის შემდეგ ნ. დადიანი ჩაქვის ბრძოლაზე⁶ საუბრობს, რომელსაც 1784წ. 9 მარტს

¹ მისი უფროსი ძმა, გრიგოლი, 1788წ. 18 წლის ასაკში გახდა სამეგრელოს მთავარი. შესაბამისად, მანუჩარი მასზე ყველაზე ნაკლები ერთი წლით უმცროსი თუ იქნებოდა.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

³ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ., 1968, გვ. 277-278; თ. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ნაწ. III. თბ., 1990, გვ. 93; ბ. ხორაგა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164.

⁴ სამეგრელოს მთავარი კაცია II დადიანი ნ. დადიანის მკვიდრი ბიძია (მამის, გიორგის, ძმა) იყო, შესაბამისად, მანუჩარი მისი ბიძაშვილი იყო (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 10).

⁵ ნ. დადიანი მას რუსუდანის სახელით გვამცნობს (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181).

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

ჰქონდა ადგილი.¹ ბ. ხორავას შეფასებით, ამ ნაბიჯით კაცია დადიანს სამურზაყანოს შემომტკიცება სურდა.² მოგვიანებით შესამჩნევი ხდება ლევან შარვაშიძის გამოსვლა ქელეშ-ბეის მოკავშირეობიდან, ხოლო სამეგრელოში, როგორც ჩანს, გრძნობდნენ, რომ ბრძოლა სამურზაყანოსათვის ჯერ დასრულებული არ იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს ორმხრივი სურვილი უფრო ჩანს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით დ. ზაქარაიას, რომელიც აქ მხოლოდ დადიანის მიერ ლევანის დამორჩილებას ხედავს.³ ეს უკვე რუხის ომის შემდეგ მომხდარი ფაქტი იყო და ამას ხელახალი გამეორება ნამდვილად არ ესაჭიროებოდა. აქ დადიანი ლევანთან დამოყვრების გზით უფრო მის განეიტრალებას ცდილობდა.

XVIII ს. 80-იანი წლების მიწურულს სამურზაყანოს დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, რომელმაც თავისი გავლენა იქონია ამ კუთხეზეც. როგორც ზ. წურწუშია შენიშნავს, თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა კვლევებმა აჩვენა, რომ რუსეთის მიერ 1783 წ. 8 აპრილს ყირიმის სახანოს შეერთებისა⁴ და იმავე წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების⁵ შემდეგ ოტომანთა იმპერია დიდ ყურადღებას უთმობდა კავკასიის მიმართულებას.⁶ თუმცა, ალბათ, ეს დასკვნა მთლად მართებულია არ გვეჩვენება, რადგან სულთნის კარის განსაკუთრებული დაინტერესება ამ რეგიონის მიმართ, როგორც ზემოთ მივანიშნეთ ჯერ კიდევ XVIII ს. დასაწყისიდან გახდა შესამჩნევი, როცა ამიერკავკასიას ყურადღება რუსეთის იმპერატორმა პეტრე I მიაპყრო. ბუნებრივია, რეგიონში ისეთი მოკავშირის დაკარგვა, როგორსაც ყირიმის სახანო წარმოადგენდა, ოსმალეთისათვის მტკივნეული იყო, რადგან, ამიერიდან, სულთნის კარს უნდა აელო იმ ფუნქციების შესრულება, რაც ადრე ყირიმის ხანისათვის ჰქონდათ „დელეგირებული“.

შავ ზღვაზე რუსული სამხედრო ფლოტის გამოჩენა ოსმალე-

1 მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო... გვ. 278.

2 ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა... გვ. 165.

3 დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში... გვ. 75.

4 К. Пигарев. Суворов. М., 1948, გვ. 19.

5 ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნის მეორე... გვ. 458.

6 ზ. წურწუშია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი... გვ. 129.

თის უსაფრთხოებას ემუქრებოდა. სანკტ-პეტერბურგში ეკატერინე II-ს კარზე საკმაოდ სერიოზულად ფიქრობდნენ ოსმალეთის განადგურებასა და ბიზანტიის იმპერიის აღდგენის გეგმებზე (ე.წ. „ბერძნული პროექტი“).¹ ასეთ ვითარებაში თურქეთისათვის საარსებო მნიშვნელობა მიეცა დასავლეთ საქართველოში გაბატონებას და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მტკიცედ ჩაგდებას ხელში.² ოსმალეთი ამავე პერიოდში ციხეს აგებს ანაპაშიც.³ ყურადღების გარეშე, ბუნებრივია, სოხუმის ციხეც არ დარჩენილა, რომელსაც სულთნის კარისათვის სტრატეგიული დანიშნულებისა იყო და იქ გემთსაშენიც კი ჰქონდათ.⁴

ზურაბ შარვაშიძისა და კაცია II დადიანის შერიგებით და ოდიშართა მიერ სოხუმში ქელემ-ბეის დამარცხებამ, ოსმალეთის შემფოთება გამოიწვია. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება „ბრწყინვალე პორტას“ ნამდვილად არ ახარებდა. მით უფრო, მწიფდებოდა ახალი ომი რუსეთთან. ქელემ-ბეის მარცხი კი აფხაზეთის ტერიტორიაზე ოსმალეთის გავლენის შესუსტებას გამოიწვევდა. საჭირო იყო კონტრზომების მიღება. 1785წ. ქელემ-ბეგი სტამბულში იმყოფებოდა,⁵ სადაც, სავარაუდოდ, მას უფლება მისცეს მისი სამემკვიდრო დაეჭირა აფხაზეთის მთავარ ზურაბ შარვაშიძის სიცოცხლეშივე. 1786წ. ის უკვე აფხაზეთშია,⁶ მაგრამ აფხაზეთის მთავრად ჯერ კიდევ ზურაბია, ხოლო „აყუს ციხესა შინა იყო ქელაიშ-აჰმედ-ბეგი და ეპყრნა მახლობელნი მისნი“.⁷ 1787წ. აგვისტოში რუსეთ-თურქეთის ახალი ომი (1787-1791) დაიწყო.⁸ უკვე 21 აგვისტოს ოსმალები პირ-

¹ **Н. В. Коршунова.** Восточный вектор геополитики Екатерины II: «Греческий проект». – *Вестник Челябинского университета*. Сер. 10. Востоковедение. Евразийство. Геополитика. 2003, № 1, gv. 62-68. იხ. ელექტრონ. ვერსია: http://www.lib.csu.ru/vch/10/2003_01/006.pdf

² **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 157; **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო..., გვ. 270.

³ **ზ. წურჭუბია.** აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი..., გვ. 130.

⁴ **ზ. წურჭუბია.** აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი..., გვ. 130.

⁵ **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო..., გვ. 297.

⁶ **დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 77.

⁷ **ბ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 183-184.

⁸ **А. Н. Петров.** Вторая турецкая война в царствование императрицы Екатерины II. 1787-1791. Т. 1-2. СПб, 1880; *Русская военная сила.* История развития военного дела от начала Руси до нашего времени. С рисунками одежд и вооружения, картами, планами сражений и укреплений. Издание второе **И.**

ველ წარმატებასაც აღწევენ. როგორც ჩანს, მხოლოდ ამის შედეგ შეძლო ქელეშ-ბეიმ სულთან სელიმ III-ის „დავალების“ შესრულება და მთავრის ტახტის დაკავება.¹

იმერეთში სოლომონ II-ის გამეფების დროისთვის (1789წ. 12 ივლისი) კი, ნ. დადიანის ცნობით, ქელეშ-ბეი უკვე აფხაზეთის მთავარია. „*იქნა ძევედ იმერთა ზედა სოლომონ, ძე არჩილისა... ხოლო ჟამსა მას მთავრობდა... აფხაზეთა შორის ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შარვაში-ძე*“² ირ. ანთელავას მოსაზრებით, ქელეშ-ბეის გამთავრება XVIII ს. 80-იან წლებში უნდა მომხდარიყო.³ ბ. ხორავა ამ ფაქტს XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისით ათარიღებს.⁴ ეს მოსაზრება უკრიტიკოდ გაიზიარა ზ. წურწუშიამაც.⁵ უკანასკნელ პერიოდში ამ საკითხის დაზუსტების მცდელობა ჰქონდა დ. ზაქარაიასაც, რომელმაც მისი ქრონოლოგიური ჩარჩო 1786-1789 წლებით განსაზღვრა.⁶ ამიტომ ვფიქრობთ, რომ სასახლის გადატრიალება აფხაზეთის სამთავროში 1787წ. შემოდგომის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში სამურზაყანოს აღმოსავლეთითაც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. 1788წ. 6 დეკემბერს კაცია გარდაიცვალა და ოდიშის მთავარი მისი 18 წლის ვაჟი გრიგოლი გახდა.⁷ სამურზაყანოს მმართველმა ლევანმა მოინდომა ესარგებლა სამეგრელოს სამთავროში შექმნილი ვითარებით. როგორც ჩანს, კაციასთან შერიგების მიუხედავად, მას მაინც დღის წესრიგიდან არ მოუხსნია ოდიშის სიუზერენიტეტის მოცილება. ზუგდიდსა და ბეღიაში ჩამოყალიბდა „მანუჩარის პარტია“, რომელიც კაცია

Н. Кушнерева и А. Е. Пирогова, исправленное и дополненное под редакцией Члена Военно-ученого комитета Главного Штаба, Генерального Штаба Генерал-Маиора *А. Н. Петрова*. Т. 2. М., 1892, გვ. 128.

¹ მკვლევართა აზრით, ეს აქტი თურქეთის მიერ იყო ინსპირირებული. იხ.: **И. Г. Антелава**. Очерки по истории..., გვ. 82; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 164; **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 331; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები..., გვ. 115.

² **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

³ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 82.

⁴ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164.

⁵ **ზ. წურწუშია**. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი..., გვ. 129.

⁶ **დ. ზაქარაია**. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 77.

⁷ **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 165.

II-ს უმცროსი ძის გამოთავრებას ისახავდა მიზნად. თვითონ არც მანუჩარი იყო წინააღმდეგი დაეკავებინა დადიანის ტახტი. ამ პარტიის წევრები საკმაოდ გავლენიანი ოდიშარები და სამურზაყანოელები იყვნენ. სავარაუდოა, ამ საქმეში ქელემ-ბეის ხელიც მოვიაზროთ, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, მასაც სამურზაყანოზე ეჭვია თვალი.

1789წ. 14 ივნისით დათარიღებულ იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის წერილში ელჩ ბესარიონ გაბაშვილისადმი აღნიშნულია, რომ ქუთაისში ჩასულა აფხაზ დიდებულთა დიდი დელეგაცია: „შარვაშიძენი, მყრობელნი ყოვლისა აფხაზეთისანი, ყოვლითა ჩინებულთა თავადითა და აზნაურთა“.¹ „ზემო აფხაზეთის მყრობელმა“² ლევან შარვაშიძემ მეფეს სთხოვა, მხარი დაეჭირა მისი სიძისათვის — მანუჩარისათვის სამეგრელოს მთავრის ტახტის დაკავებაში.³ ამის სანაცვლოდ სამურზაყანოს მფლობელი აღიარებდა იმერეთის მეფის უზენაეს ხელისუფლებას.⁴ საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ დავით მეფე ქორწინების გარეშე იყო შობილი, რის გამოც მისი კანონიერება ეჭვს ქვეშ დგებოდა.⁵

როგორც ჩანს, ლევანმა იცოდა დავით მეფის ამგვარი არამყარი მდგომარეობა და, „ხელი ხელს ბანს“ პრინციპით, მისი გეგმის რეალიზაციაში დახმარება მოითხოვა. შემოთავაზებული ვარიანტი დავითსაც დაუჯდა გონებაში. თუკი, ის სამურზაყანოს ხელისუფლის იდეას ზორცს შეასხამდა, მაშინ, ერთის მხრივ, ლევან შარვაშიძის სახით ძლიერ მოკავშირეს შეიძენდა და, მეორეს მხრივ, სამეგრელოს გაკონტროლებასაც შეძლებდა. დავითმა კარგად იცოდა, რომ ოდიშის სამთავრო იმერეთის მეფეთათათვის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენდა და ამიტომ მხოლოდ ოდიშის დამორჩილების შემდეგ თუ გაძლიერდებოდა მისი პოზიციები. მით უფრო, რომ მანუჩარი ერთგულ სამსახურს ჰპირდებოდა.⁶ ამასთანავე, როგორც ჩანს, ლევანიც, იმერეთის მეფეს ქელემ-ბეისთან კონტაქტების დამყარებაში ხელშეწყობას დაჰპირდა. ამის

¹ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277.

² ამგვარადაა იგი აღნიშნულ წერილში მოხსენიებული. იხ.: ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277.

³ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277-278.

⁴ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277-278.

⁵ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო, გვ. 280.

⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 132.

შემდეგ კათალიკოსი მაქსიმე II ბ. გაბაშვილს სწერდა, რომ „*შარვასიძე, აფხაზეთის მთავარი, მეფემან ჩვენმან თავისი ცდით შეიერთოს*“.¹

ქუთაისიდან ზურგამაგრებულმა ლევანმა და მანუჩარმა აქტიური მუშაობა გააგრძელეს თავიანთი პოზიციების გასამყარებლად. ჩანს, ოდიშში 1789წ. თებერვლისათვის („*და შეძღვომად ორის თვისა კაცია დადიანის გარდაცვალებისა*“),² შესაფერისი ვითარება შეიქმნა და იმერეთის მეფემაც არ დაახანა და სამეგრელო დალაშქრა. გრიგოლმა და მისმა მომხრეებმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაწიეს. მეფემ გავლენიანი ოდიშარი დიდებულები გადაიბირა და მთავრის ტახტზე მანუჩარი დაამტკიცა. დავით მეფის ზემოხსენებული წერილით, ლევან შარვაშიძის იმერეთში ვიზიტი 1789წ. მაისითაა დათარიღებული, ხოლო წერილში, რომელიც 14 ივნისსაა შედგენილი, მანუჩარის შესახებ ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. პირიქით, მეფე ამბობს, რომ აფხაზთა სათხოვარი გრიგოლისათვის დადიანობის ჩამორთმევაზე „*მანაძღის ვსთხოვე დაცადება, ვიდრემდისცა ვითარცა რუსეთის უმალლესმან კარმან ინებოს, ამ საქმის ნება მათი არს*“.³

რა თქმა უნდა, სანქტ-პეტერბურგის გადასაწყვეტი ჯერ არ იყო სამეგრელოს მთავრის დამტკიცებისა თუ გადაყენების საკითხი. აშკარაა, რომ ნ. დადიანის ცნობა გრიგოლის ჩამოგდებასა და დავით მეფის წერილი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მეფემ დამალა, რომ მანუჩარს ხელი შეუწყო ძმის ტახტის უსამართლოდ დაკავებაში. როგორც ჩანს, ქუთაისში, სადაც რუსეთის მოკავშირეობისაკენ მისწრაფვოდნენ, მიიჩნიეს, რომ, გარკვეულ დრომდე, გაესაიდუმლოებიანთ ეს ფაქტი, რათა იმერეთი და მისი მეფე რუსეთისათვის წარმოედგინათ ძლიერ სამეფოდ და ძლიერ ხელისუფლად, რომელიც ყველა საკითხს სამართლით წყვეტდა, რაზეც მიანიშნებდა რუსეთის ხელისუფლების ნებართვისდმი აპელირება. ამიტომ, იმერეთის მეფის კარზე მიიჩნიეს, რომ უსამართლოდ და თან ერთი კონკრეტული „პარტიის“ თხოვნის გამო გრიგოლის გადაყენება მათ ხელისუფლებას არასერიოზულობის სახეს მისცემდა და იმპერატრიცა ეკატერინე II-ის კარიც თავს შეიკავებდა ასეთ პარტნიორთან კავშირისაგან.

¹ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 281.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

³ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 278.

მთავრის ტახტიდან გადაყენებული გრიგოლ დადიანი ლეჩხუმში გაიქცა.¹ ფიქრობენ, რომ ეს იყო იმერეთის მეფის საბედისწერო შეცდომა.² ლეონილა მთავარმა შესანიშნავად გამოიყენა იმერეთის სამეფოს იმჟამინდელი უმძიმესი საშინაო და საგარეო ვითარება³ და 1789წ. ივლისში იმერეთს დავით არჩილის ძე (სოლომონ II) მოევლინა მეფედ. ამ გზით, გრიგოლმა მთავრის ტახტი დაიბრუნა და საჭილაოც დაიმკვიდრა.⁴ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ის ბაგრატიონთა ორივე ტახტის მფლობელს დაუდოვრდა.⁵ სავარაუდოდ, ოდიშში დაბრუნებული გრიგოლი სამურზაყანოს საკითხს ყურადღების გარეშე არ დატოვებდა. ცხადი იყო, რომ მისი ძმის ამბიციური სიმამრი დადიანისათვის არაკეთილსაიმედო იყო. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან, სამურზაყანოს ახალი ხელისუფალი ჰყავს: ლევანის ძმისშვილი მანუჩარი, რომელიც გრიგოლ დადიანის ერთგული მოკავშირე იყო. 1790-1792წწ. სივლეებში გრიგოლი ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის და თაკვერის მფლობელად იწოდება.⁶ ვფიქრობთ, სამართლიანია ბ. ხორავას შენიშვნა, რომ აქ „აფხაზეთში“ სამურზაყანო მოიაზრება.⁷ თ. ქადარია ვარაუდობს, რომ მანუჩარი სამურზა-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 166.

³ საზღვრებთან თურქები იდგნენ და ახალციხის ფაშაც უარყოფითად იყო განწყობილი იმერეთის მეფის მიმართ; მას, ასევე, გართულებული ურთიერთობები ჰქონდა იმერელ დიდებულთა ნაწილთან, რომელნიც დავითს, თავის დროზე გამეფებაში დაეხმარნენ; ერეკლე II-სთან მყოფი დავით არჩილის ძეც ხელსაყრელ დროს ელოდებოდა იმერეთის ტახტის დასაკავებლად (ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 166).

⁴ წყალობის წიგნი სოლომონ II-ისა გრ. დადიანისადმი (1789წ. 10 სექტ.). – წგნ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წგნ. I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებით და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ. თბ., 1953, გვ. 13-14.

⁵ გრიგოლმა ცოლად შეირთო ერეკლეს შვილიშვილი, გიორგი ბატონიშვილის (შემგომში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII) ასული ნინო, ხოლო სოლომონს კი თავისი და, მარიამი, მიათხოვა (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 185).

⁶ *Акты*, т. VI, ч. II. Тифлис, 1875, გვ. 814.

⁷ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 166; ზ. პაპასქირი.

ყანოს ხელისუფლებაში მხოლოდ 1810წ. მოვიდა.¹ ჯ. გამახარიაც ლევან შარვაშიძის მმართველობის პერიოდს 1757-1810წწ. განსაზღვრავს.² ვ. ზუხბაია კი საერთოდ 1753-1810 წლებით ათარილებს.³

ის, რომ ლევანი ამ დროს უკვე არ არის სამურზაყანოს მთავარი დასტურდება შემდგომი მოვლენების ანალიზით. 1792წ. გრიგოლ დადიანმა ისევ დაკარგა მთავრის ტახტი.⁴ სოლომონ II სამეფოს შემომტკიცება-გაძლიერებისათვის ზრუნავდა. სამეგრელოს მთავარი კი მისი სიძის ამ იდეას ნამდვილად არ იწონებდა და მას თავი კი დამოუკიდებელ მთავრად ეჭირა.⁵ დევნილმა გრიგოლმა ამჯერად თავი სამურზაყანოს შეაფარა: „*გრიგოლ წარვიდა სამურზაყანო-აფხაზეთ შორის და იყო მუნ*“⁶ როგორც ჩანს, იქ მისი პოზიციები უკვე საკმაოდ მყარი იყო, ვინაიდან სამურზაყანოელებმა მას დაუჭირეს მხარი და არა ხელახლა გადადიანებულ ლევან შარვაშიძის სიძეს: „*შეკრბენ სამურზაყანო-აფხაზნი შესაწევნელად გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ*“⁷

საფიქრებელია, რომ გრიგოლმა მხარი დაუჭირა ხუტუნია შარვაშიძის უმცროსი (სოლომონის) მემკვიდრეების (განსაკუთრებით, მანუჩარის) პოზიციების გამყარებას მათი ბიძის, ლევანის, წინააღმდეგ, რომლის პოლიტიკური ძალაუფლებაც, შესაბამისად, მხოლოდ მის მამულზე გავრცელდა. „კონდომინიუმის“ პრინციპიდან გამომდინარე, გრიგოლი, აშკარად, ვერ ჩაერეოდა სამურზაყანოს „სამინაო საკითხში“, რადგან ეს გააღიზიანებდა ქელეშ-ბეი შარვაშიძეს. სამურზაყანოს ლაშქრით მხარდაჭერილმა გრიგოლი 1794წ. იმერეთში ილაშქრა, სადაც იმ ხანად სოლომონს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა დავით გიორგის ძის შემოჭრის გამო.⁸ ხელისუფლებისათვის

ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის... ნაკვ. I, გვ. 116.

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2003, გვ. 107.

² ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა... გვ. 294.

³ ვ. ზუხბაია. სამურზაყანო. – გაზ.: „მახარია“. №1 (6), 2001, გვ. 13.

⁴ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა... გვ. 167.

⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა... გვ. 167.

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 186.

⁷ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 186-187.

⁸ ნ. დადიანი. ქართველთ... გვ. 187; *Акты*, т. I, დოკ. №695, გვ. 553.

ბრძოლამ ყოფილი მეფე და დადიანი ერთმანეთს დააკავშირა.¹ თუმცა, მარსილში (ბანძასთან), სადაც დადიანთა ერთ-ერთი სასახლე მდებარეობდა, დაბანაკებულმა გრიგოლმა ამ ლაშქრობით ვერაფერს მი-აღწია.² ის მალევე დაამარცხეს და ისევ სამურზაყანოში გადავიდა.³

სამურზაყანოს ლაშქარი („აფხაზნი“) იმერელ მხედართა რამდენიმე რაზმმა ღამით მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხა.⁴ როგორც ჩანს, გრიგოლი არც თუ ისე მცირე რაოდენობის მხედრობით იყო მოსული, ვინაიდან ნ. დადიანი აღნიშნავს, რომ მეფე შეწუხებულა, როცა გაუგია, რომ მას ორ ფრონტზე (გრიგოლთან და დავით გიორგის ძესთან) მოუწევდა შეტაკება.⁵ უკანა გზაზე აფხაზებმა სამეგრელოს მოსახლეობა გაძარცვეს და სამურზაყანოში „დიდითა ალაფითა სავსე“ დაბრუნდნენ. საყურადღებოა, რომ ნ. დადიანი „სამურზაყანოსთან“ მიმართებაში ხმარობს ეთნონიმ „აფხაზს“. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სამურზაყანოელ შარვაშიძეთა ლაშქარი, ძირითადად, აფხაზი მხედრებით იყო დაკომპლექტებული. რადგან, სამურზაყანოს არისტოკრატია, ძირითადად, აფხაზური იყო, როგორც ჩანს, შესაბამისად, ისინიც აკომპლექტებდნენ შეიარაღებულ რაზმებს. აქ არ გამოვრიცხავთ, რომ ქართველებისაგან /მეგრელების/, რომლებიც, ძირითადად, დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ, ყალიბდებოდა ლაშქრის დაბალი რანგი – ფეხოსნები.

საყურადღებოა, რომ გრიგოლ დადიანი სამურზაყანოში თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და მას მეტი უსაფრთხოებისათვის ქელემბეისთან გადასვლა არ დასჭირვებია. როგორც ჩანს, ეს კუთხე ამ პერიოდში საკმაოდ გაძლიერებული ყოფილა, ვინაიდან მანუჩარს არც უცდია მისი ძმის იქიდან გაძევება და ამით მან, ფაქტობრივად, სამურზაყანოზე კონტროლი დაკარგა. თუმცა, სამურზაყანო, ზოგადად, დადიანის გავლენიდან არ გასულა. სამურზაყანოელი შარვაშიძე მხოლოდ გრიგოლის ხელისუფლებას აღიარებდა და უჭერდა მხარს. 1798წ. სოფ. ოჯოლაში გრიგოლ დადიანი მეფეს დაეზავა საერთო

¹ *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები*. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წგნ. I, გვ. 122.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187, 241.

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187; *Акты*, т. I, გვ. 553.

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187.

ენის მონახვა შეძლო და ოდიშის მთავრის ტახტიც დაიბრუნა.¹ სამურზაყანოზე ისევ სამეგრელოს გავლენა გავრცელდა.²

XVIII ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე, ლევან შარვაშიძემ, თავისი საგარეო პოლიტიკური ვექტორი კვლავ ჩრდილოეთისაკენ მიაბრუნა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომში რუსთა აშკარა წარმატებები გამოიკვეთა და, ამასთანავე, იგი, ფაქტობრივად, იმერეთის საზღვარსაც იყო მომდგარი, ვინაიდან ქართლ-კახეთის მეფე უკვე იმპერატორის მფარველობის ქვეშ იყო. დავით მეფეც ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას ეწეოდა.³ ქუთაისში მეფესთან აუდიენციის დროს, ლევანს რუსეთის პროტექტორატის მიღების თაობაზეც გაუმართავს დავითთან საუბარი, რაზეც მეფისაგან ამ საკითხში დახმარების პირობაც მიუღია.⁴ როგორც მეფე წერდა ბ. გაბაშვილს, აფხაზები ამას აღფრთოვანებით შეხვედრიან.⁵ თუმცა, იმერეთის ხელისუფლება, რუსეთთან მოალპარაკებებში ჯერ კიდევ 1787 წლიდან აყენებდა აფხაზეთის საკითხს და სანკტ-პეტერბურგს წარმოუჩენდა ამ კუთხის სერიოზულ გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის კონტროლისათვის.⁶

სამწუხაროდ, წყაროებში დაცული არაა დავითისა და ლევანის საუბრის დეტალები, მაგრამ, იგივე ბ. გაბაშვილის დიპლომატიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა საკითხები შეიძლებოდა მათ განეხილათ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის სფეროებში. სავარაუდოდ, ამ მოლაპარაკებების შედეგი, ასევე, იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმე II-ს წერილში იმერეთის დესპან ბესარიონ გაბაშვილისადმი: „შარვასიძე, აფხაზეთის მთავარი, მეფემან ჩვენმან თავისი ცდით შეიერთოს და მეფის თანახმა იქნეს რუსეთის ხელშეწყობის ერთგულობაზე. აჯობებს თუ

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 189-190; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 167-169; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., ნაკვ. I, გვ. 117.

² *Акты*. Т. I. დოკ. №34, გვ. 113.

³ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 184.

⁴ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 278.

⁵ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 278.

⁶ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 268-269.

არა, თუ რომ ამ საქმეზე მოჰყვება, ერთხმა იქნება მეფისა ჩვენისა შარკასიძე, აფხაზეთის მთავარი, ვკონებ, დიდ ბედნიერებას მიიღებს. თუ რომ არ უსმინა მეფესა ჩვენსა ერთხმობად რუსეთის ერთგულობა, ბოლოს, ვკონებ, შეინანოს და ახლავ სჯობოს, რომ ჩვენს მეფესთან შეერთდეს, ერთგულობა აჩვენოს რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა“.¹

რა თქმა უნდა, აქ ძალიან გაზვიადებულადაა მოცემული აფხაზეთის მიმხრობის პერსპექტივა, სადაც პროთურქული ორიენტაციის ქელემ-ბეი მთავრობდა. ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია აფხაზეთის ხელისუფალის მიერ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის ასეთი კარდინალური ცვლილება ხელისუფლებაში მოსვლიდან მოკლე ხანში. მღვდელმთავარი მართებულად შენიშნავდა, რომ მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომში საქმე პირველის სასარგებლოდ მიმდინარეობდა და ამას გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა ქელემ-ბეის პროთურქულ ორიენტაციაზე.² მაგრამ, ჯერჯერობით იმ პერიოდში, არ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ აფხაზეთის მთავრის მხრიდან რუსეთთან დაკავშირების გზების მცდელობის მოსინჯვაც კი. მართებულად უარყოფდა ირ. ანთელავა ქელემ-ბეის ანტიოსმალობას ამ პერიოდში, ვინაიდან იგი, მკვლევრის შენიშვნით, არ ჩანდა 1790წ. გაფორმებულ ქართველ მეფე-მთავართა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში.³

ამიტომ, ვფიქრობთ, აფხაზეთის მთავარი, XVIIIს-ის 80-იანი წლების მიწურულს, არ გამოთქვამდა რუსეთთან შეერთების სურვილს და არც ამას დაავალებდა ლევანს. ის ფაქტი, რომ რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებში (მოლაპარაკება ტოტლებენტან, დავით მეფესთან) მხოლოდ ლევანი ჩანს, აშკარად მიანიშნებს, რომ რუსეთის პროტექტორატის მიღებით, იმ პერიოდში, შარვაშიძეთა სახლიდან მხოლოდ მათი სამურზაყანოს შტო იყო დაინტერესებული.

შეიძლება ამ მიმართულებით გარკვეული ვარაუდი ზურაბის მიმართაც გამოითქვას, მაგრამ მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, ეს მცდელობაც დაიკარგებოდა. იმერეთის მღვდელმთავარი, იმავე წერილში, მითითებას აძლევდა ბ. გაბაშვილს, რუსეთი აფხაზე-

¹ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 280.

² ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 280.

³ И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии..., гв. 87-88.

თით იმითაც დაინტერესებინა, რომ ამ მხარეზე კონტროლით, საიმპერატორო კარი მის წინააღმდეგ მებრძოლ ყუბანელებს ზურგს მოუსპობდა.¹ ამ გეგმის მორიგი გაგრძელება ჩანს გრ. პოტიომკინისადმი ბ. გაბაშვილის 1789წ. 5 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში დაცული ცნობაც: „*აფხაზეთი დაიდვას თავისუფლად, რომელნიც ოსმალოს კლმი[თ დაპყრობილნი] არიან, და ნება მიეცეს მათ, რომელთაცა საქმე ჩვენ [ვიციით, რომ მალე აღი[რჩევენ ქრისტიანობას... და ესეც დაიდვას...]* რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდლებზედაც რუსეთის ნაგებმა ივაჭრონ.*]* რომლითაცა თქვენ მალე ნახავთ სარგებელსა ა[რა მკირესა]“² როგორც ვხედავთ, თუკი სამურზაყანო, იმერეთთან ერთად, რუსეთის მფარველობას მიიღებდა, ეს დადებითად იმოქმედებდა საკუთრივ აფხაზეთის სამთავროში პრორუსულ ორიენტაციის გამარჯვებაზე, რაც, ამ დოკუმენტში გამოხატულია ფორმულით „მალე აღი-რჩევენ ქრისტიანობას“.

1805წ. 9 ივლისს სოფ. ბანძაში სამეგრელოს ახალმა მთავარმა, ქელეშ-ბეის ტყვეობაში ნამყოფმა, ლევან V გრიგოლის ძე დადიანმა (1805-1840) რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა.³ ცერემონიალზე იყვნენ ლევან შარვაშიძე და მისი ძმისწული მანუჩარი, რომლებმაც, აგრეთვე, იმავე დღეს მიიღეს ფიცი, რომლითაც ისინი იმპერატორ ალექსანდრე I-ს ქვეშევრდომები გახდნენ: „*ჩვენ ქვემოთ ხელის მოძწერნი აფხაზის თავადნი, სამირზაყანო⁴ მპყრობელნი, შემოვედით ყმად ჩვენის ქვეყნით და თავად-აზნაურებით მისს იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად-უმოწყალებსისა რუსთა ხელმწიფისა; ვფიცავთ... რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამინდლოდ და მისს უდიდებულესობის... აგრეთვე სამენგრელიოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ძველადგან ვყოფილვართ სამენგრელიოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა“⁵*

¹ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა... გვ. 334.

² მოხსენება იმერეთის დესპან ბესარიონ გაბაშვილისა გრიგოლ პოტიომკინისადმი (1789წ. 5 დეკემბერი), – წგნ.: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები*. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წგნ. I, გვ. 15.

³ ბ. ხორაგა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა... გვ. 171.

⁴ ბ. ხორაგამ ეს ვარიანტი თავის ნაშრომში გაუმართლებლად შეცვალა „სამურზაყანო“-თი (ბ. ხორაგა. ოდიშ-აფხაზეთის... გვ. 171-172).

⁵ *Акты*. Т. II. დოკ. №1031, გვ. 526-527.

აქ რომ უფროსი ლევანი იგულისხმება, ჩანს იმით, რომ ხელმოწერის დროს მისი სახელი წინ უსწრებს მანუჩარისას, ანუ დაცულია უფროს-უმცროსობის ეტიკეტი. როგორც ჩანს, რუსეთმა ხუტუნია შარვაშიძის ორივე შტოსთან გადაწყვიტა შეთანხმების მიღწევა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შემოყვანა, რითაც, ერთგვარად სამურზაყანოს „ტერტიორიული და პოლიტიკური მთლიანობა“ შეინარჩუნა და საფუძველი გამოაცალა ქელემ-ბეისთან შესაძლო კამათს ამ მხარის მფლობელობასთან დაკავშირებით. ამ ნაბიჯით ბოლო მოეღო ქელემ-ბეის მცდელობას სამურზაყანოს დასაკავებლად. ამასთანავე მათ, „აფხაზის თავადებმა“, ოფიციალურად დაადასტურეს, რომ სამურზაყანო დადიანის სამფლობელო იყო და შარვაშიძეებიც ძველიდანვე მათ მორჩილებდნენ. ამ დღეს დასრულდა ოდიშ-აფხაზეთის „კონდომინიუმი“ სამურზაყანოზე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლევან შარვაშიძე დიდი ამბიციების მქონე მმართველი იყო, რომელთან კავშირს ესწრაფვოდნენ იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავარიც. მან დაარღვია ბაბუისა და მამის „ტრადიცია“, რომელიც გამორიცხავდა სამურზაყანოს ხელისუფალთა პოლიტიკურ აქტიურობას მათი სამფლობელოს ფარგლებს გარეთ. ლევანის დროს კი ეს შეიცვალა. ამიერიდან სამურზაყანოელი შარვაშიძეები აქტიურად მონაწილეობენ მათი სამფლობელოს აღმოსავლეთით თუ დასავლეთით განვითარებულ პროცესებში, რიგ შემთხვევაშიც, თავადაც კი აძლევენ გარკვეულ მიმართულებას ამ პროცესების განვითარებას (სოხუმის ციხიდან განდევნილი თურქების დაბრუნება, სამთავრო ტახტიდან გრიგოლ დადიანის პირველი ჩამოგდება). ამასთანავე, შევეცადეთ განგვესაზღვრა ლევან შარვაშიძის მმართველობის პერიოდი 1757-1789წწ.

КАХА КВАШИЛАВА

САМУРЗАКАНО В ПЕРИОД ПРАВЛЕНИЯ ЛЕВАНА ШАРВАШИДЗЕ (1757-1789)

Леван Шарвашидзе, четвертый правитель Самурзакано, вошёл в историю как довольно активный и влиятельный лидер. Его деятельность не получило должное освещение в историографии. Данная статья является попыткой частичного восполнения этого пробела. Леван Шарвашидзе нарушил «традицию» дедушки и отца, заключавшейся в своеобразной политической пассивности за пределами Самурзакано. Он активно включился во внутренние дела и политическую борьбу Абхазии и Одиши с целью освободиться от их влияния и, в ряде случаев, сам давал определённое направление развитию политических процессов в регионе в целом. Начав свою политическую деятельность активной борьбой против турецких завоевателей и в начале 70-х годов XVIII-го столетия вёл переговоры с генералом Г. Тотлебенем о вступлении под российский протекторат, Леван, для сохранения своей власти от притеснения абхазских и одишских мтаваров, был вынужден установить связи с Турцией. Хотя с конца 80-х годов Леван снова стал рассматривать вопрос о российском подданстве, которое он принял в 1805 году. В работе дана попытка определить хронологию его правления 1757-1789 годами.

KAKHA KVASHILAVA

SAMURZAKANO DURING THE RULE OF LEVAN SHARVASHIDZE (1757-1789)

Levan Sharvashidze, the fourth ruler of Samurzakano, is known as quite active and influential leader in history. His activities did not receive proper coverage in historiography. The presented paper is a partial attempt to fill this gap. Levan Sharvashidze abandoned the “tradition” of rather political passivity outside of Samurzakano, which was pursued by his grand-father and father. He was actively involved in the political struggle and internal affairs of Abkhazia and Odishi in order to get free from their influence. Sometimes he was able to direct to a certain stage the political processes on a whole in the region. While he was fighting actively against the Turkish conquerors at the beginning of his political activities, and carried on negotiations with Gen. G. Totleben on the entry under the Russian protectorate in the early 1770’s, later he had to establish relations with Turkey in order to preserve his governance over Samurzakano from the pretensions of Abkhazian and Odishi rulers. Nevertheless, at the end of 1780’s he once again start thinking about the submission to the Russian empire, which he did in 1805. The paper also defines the chronology of his rule in Samurzakano and sets it to 1757-1789.

ავთანდილ კილასონია

ოსმალები – აღამიანით ვაჭრობის სულისჩამდგმელი და ორბანიზატორი საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში

XVI საუკუნის შუა ხანებიდან მთელ კავკასიაში ფართოდ გავრცელდა ქრისტიანებით დანაშაულებრივი ვაჭრობა – ტყვის სყიდვა. მას განაპირობებდა იმჟამინდელი ზესახელმწიფოების – ირანისა და ოსმალეთის მონოპოლიური ბატონობა რეგიონში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ირანსა და ოსმალეთს შორის გადანაწილებული, დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო. ქართველი ტყვეების ძირითადი მომხმარებლები იყვნენ ირანი, თურქეთი, ეგვიპტე და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები.

გამორჩეული იყო ამ ვაჭრობის განვითარებაში ოსმალეთის როლი. მას ამ უბედურებაში ლომის წილი ედო. სამწუხაროდ, სწორედ თურქი ისტორიკოსები და საზოგადოებათმცოდნეები არიდებდნენ და არიდებენ დღემდე თავს ამ მოვლენის წარმოჩენას. თურქულ ისტორიოგრაფიაში აქამდე არ დაწერილა არც ერთი ნაშრომი, რომელიც, საერთოდ, ოსმალეთში მონობის პრობლემას შეეხებოდეს. თურქი ისტორიკოსები თვლიან, რომ ის უმნიშვნელო იყო მათი ქვეყნის ცხოვრებაში. თურქეთის ისტორიის ფუნდამენტურ გამოცემებში აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის ნახსენები, ხოლო „*ოსლამის ენციკლოპედია*“ შემოიფარგლება მხოლოდ მონათა იურიდიული მდგომარეობის აღწერით. ტყვე-მონების – იასირების როლსა და მდგომარეობაზე არაფერია ნათქვამი მეკმედ ზეკი ჰეკალინის „*ისტორიულ ტერმინთა ლექსიკონში*“.¹ ეს

¹ ამაზე დეტალურად: **В. Ханзель.** Проблема ясыря в польско-турецких отношениях XVI-XVII веков. – *Россия, Польша, Причерноморье в XVI-XVII вв.* Под редакцией акад. **Б. А. Рыбакова.** М., 1979, გვ. 147-148.

მამინ, როდესაც ყველაზე მეტი გამოყენება ქრისტიან ტყვეებს ოს-
მალეთში ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, ოსმალეთი იყო მათი კლასი-
კური მომხმარებელი გვიანი შუა საუკუნეების მთელ მანძილზე.

ახალგაზრდა ტყვე ქალები სულთნისა და სხვა დიდებულე-
ბის ცოლები და ხასები ხდებოდნენ, ვაჟებს კი ოსმალურად ზრ-
დიდნენ, სამხედრო საქმეში წვრთნიდნენ და სულთნის გვარდიაში
ამწყსებდნენ. ყოფილი ქრისტიანები, სათანადოდ აღზრდილნი, იმ-
პერიის დიდი მოხელეების უმრავლესობას შეადგენდნენ. ტყვეების
დიდ ნაწილს სხვა სფეროშიც მოიხმარდნენ: მენიხბე-მოსამსახუ-
რებად გემზე, მექარავნებად, შონამოსამსახურებად, საჭურისე-
ბად და ა.შ.

შუა საუკუნეების თურქეთის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე
მნიშვნელოვან და თვითმყობად მოვლენას იანიჩართა სამხედრო
სისტემა შეადგენდა. იანიჩარები ყველანი ყოფილი ქრისტიანები
იყვნენ, გულადი მეომრები და ქრისტიანობის ყველაზე დიდი მტ-
რები.¹ ისინი მოწყვეტილი იყვნენ ოჯახებს, ყოველგვარ საზოგა-
დოებრივ კავშირებს და იზოლირებულად იზრდებოდნენ სულთნის
კარზე, მათ არაფერი არ აკავშირებდა ხალხთან და მხოლოდ
სულთანზე იყვნენ დამოკიდებული.

XVს. მიწურულს სულთნის კარზე მხოლოდ 4 ათასი ია-
ნიჩარი ყოფილა.² XVIს. შუა ხანებში – 12 ათასი,³ ხოლო 1580
წლის მონაცემით, საიანიჩაროდ მოსამზადებლად ოსმალეთის იმპე-
რიის პროვინციებიდან და ხელდებული ქრისტიანული ქვეყნები-
დან ჩამოყვანილი იყო და სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ
იზრდებოდა 26 ათასი მონა-ტყვე თხუთმეტ წლამდე ასაკისა და
მათი აღზრდა ყოველწლიურად 52 ათასი ღუკატი ჯდებოდა.⁴

¹ დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართვე-
ლოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა და გამოკვლევა და კო-
მენტარები დაურთო ბ. ვიორგამემ. თბ., 1976, გვ. 129.

² *Записки янычара*. Написанны Константином Михайловичем из Остро-
вицы. М., 1978, გვ. 99, 101.

³ *Приключение чешского дворянина Вратислава в Константинополе и в
тяжской неволе у турок с австрийским посольством в 1591 г.* Перевод с
чешского К. П. Победоносцева. М., 1904, გვ. 240.

⁴ *Приключение чешского дворянина Вратислава в Константинополе*, გვ.

XVII საუკუნეში, სერალში – დიდი სულთნის სასახლეში მონებისა და მსახურების ნაწილი სულთანს ძღვენის სახით მოუღიოდა ხელღებული ქრისტიანული ქვეყნებიდან, ნაწილი კი ნაყიდი იყო. ისინი აქ იზრდებოდნენ, სწავლობდნენ ისლამს, სამხედრო და საერო მეცნიერებებს. ასაკით რვიდან ოც წლამდე იყვნენ, რიცხვით 500-600; იარაღს არ ატარებდნენ, მაგრამ აცმევდნენ ლამაზად და მდიდრულად. დიდობაში სულთანი ნიშნავდა მათ სხვადასხვა თანამდებობაზე იმისდა მიხედვით, თუ ვის რა ნიჭსა და მიდრეკილებას შეამჩნევდა და რამდენად კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ.¹

კასტელის ცნობით, სულთანი ყმაწვილებიდან გამორჩეულად ნიჭიერებს დიდობაში ძალზე მაღალ თანამდებობებს აძლევდა, ხშირად თავის მრჩეველებად და ვეზირებადაც ნიშნავდა. მის დროს იმპერიის დიდი ვაზირი წარმოშობით აფხაზი ყოფილა, აფხაზი ყოფილა მისი წინამორბედი დიდი ვაზირიც, რომელთა სახელებს, სამწუხაროდ, ის არ ახსენებს.²

XVIII ს. შუა ხანების თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მოწმობით, ქართული წარმოშობის ყოფილა მისი თანამედროვე დილავერ ფაშა, აფხაზი – არზრუმის ფაშა, ასევე აფხაზი ყოფილა სეიდ აჰმედ ფაშა.³

240. იანიხართა სამხედრო ოსტატობის შესახებ ისტორიოგრაფიაში, თვით თურქულის ჩათვლით, არ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევა. ერთადერთი გამონაკლისია გ. კლეიმანის საკანდიდატო დისერტაცია (Г. А. Клейман. Кризис военной системы феодальной Турции к истории уничтожения янычарского корпуса. Автореферат канд. дисс. М., 1949), აგრეთვე ი. პეტროსიანის სტატია (И. Е. Петросян. К истории создания янычарского корпуса. – Туркологический сборник. 1978. М., 1984) თურქულში 1943წ. ანკარაში გამოცემული ერთი წიგნი (Q. H. Uzun-Garşuli. Osmali devleti teşkilâtından. Kapikulu acakleri. Ankara, 1943). სანამ ეს საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი არ იქნება, იანიხართა ჯარში ქართველების ადგილზე ერთნიშნად რაიმის თქმა ძნელია.

¹ დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი..., გვ. 140.

² დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი..., გვ. 177.

³ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“: თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I. თბ., 1971, გვ. 338; 341. კავკასიელთა როლსა და მნიშვნელობას XVIII ს. ოსმალეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში საგანგებო სტატია მიუძღვნა

საუკუნეების მანძილზე ყოფილი ქრისტიანები ოსმალეთში დიდ მოხელეთა უმრავლესობას შეადგენდნენ. ამის გამო, ხელდებული ქრისტიანი ხალხები თითქოს შეგუებულ იყვნენ ამ უბედურებას და ტყვედ გაყიდვას დიდ ბოროტებად არ აღიქვამდნენ.¹

ქრისტიანი ტყვეების წარმოჩენილი როლი და მნიშვნელობა და მათზე მზარდი მოთხოვნილება გარკვეულად განსაზღვრავდა კიდევ ოსმალეთის პოლიტიკას დაპყრობილი ქრისტიანული ქვეყნების თუ უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქრისტიანი ხალხების – ბერძნების, სომხების და სხვათა მიმართ. ის უფროთხილდებოდა მისთვის ასე საჭირო ადამიანების წყარობს და მაინცდამაინც არ ცდილობდა მათ გამაჰმადიანებას. მაგალითად, თავისი ხანგრძლივი ბატონობის მანძილზე ოსმალეთს არასოდეს არ მოუთხოვია ისლამის მიღება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებისთვის. შემთხვევითი არ იყო, რომ XVI-XVII საუკუნეებში იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში არც ერთი მაჰმადიანი მმართველი არ მჯდარა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა ოსმალთა უძლურობის, არამედ შეგნებული პოლიტიკის შედეგი და ამ პოლიტიკას ქრისტიანების როლი და ამ „საქონლის“ მნიშვნელობა განსაზღვრავდა.²

დ. გუდიაშვილმა (იხ.: **დ. გუდიაშვილი**. კავკასიური ელემენტი ოსმალეთის პოლიტიკურ სარბიელზე ევლია ჩელების „სეიაჰათ ნამეს“ („მოგზაურობის წიგნის“) მიხედვით. – *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, წ. II. თბ., 1979, გვ. 95-106). საკუთრივ ქართველთა ადგილს ოსმალეთის იმპერიაში შეეხეო მ. სვანიძე (იხ.: **მ. სვანიძე**. ქართველები თურქეთში, თბ., 1998.) ქართველ და კავკასიელ ტყვეთა სოციალურ და სამართლებრივ მდგომარეობას მახლობელი აღმოსავლეთის დესპოტიებში ეძღვნება ჩენი წერილიც. (იხ. **ა. კილასონია**. „ქრისტიან ტყვე-მონათა სამართლებრივი მდგომარეობა მახლობელი აღმოსავლეთის დესპოტიებში XVI-XVII საუკუნეებში. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადუელი, II თბ., 1999, გვ. 272-284).

¹ *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*. ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **მ. მგალობლიშვილმა**, თბ., 1975, გვ. 251.

² **ა. კილასონია**. ოსმალთა რელიგიური პოლიტიკის შესახებ დასავლეთ საქართველოში მე-16-მე-18 საუკუნეებში. – *თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. სოხუმი, 1991, გვ. 27-28; **ა. კილასონია**. ადამიანებით ვაჭ-

თურქული ისტორიოგრაფიის ტენდენციურობის შეძლების-
დაგვარად წარმოჩენის შედეგ ჩვენ შევეცდებით ვუჩვენოთ, თუ
რა მასშტაბით იყვნენ ოსმალები ჩაბმული ამ დანაშაულებრივ
ვაჭრობაში შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე და რამდენად
იყვნენ მისი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები. მითუმე-
ტეს, რომ XVII ს. დასაწყისიდან ცალკეული ღოკუმენტებიც არ-
სებობს და უხვი და მრავალფეროვანი ცნობებიც თვითმხილველ-
თანამედროვეებისა.

XVIII ს. I ნახევარში კათოლიკე მისიონერის ჯუზეპე ჯუდი-
ჩე მილანელის მოწმობით, ყოველი წლის სექტემბერში საქარ-
თველოს ნავსადგურებიდან გადიოდნენ თურქების გემები, რომელ-
თაც გაჰყავდათ „სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში გაყიდუ-
ლი ყმაწვილები“.¹ მეორე მისიონერი, პიეტრო ავიტაბილე ხშირად
ყოფილა საქართველოში ადამიანების გატაცება-გაყიდვის მოწმე
და ეს, მისი თქმით, კაცს „ჯოჯოხეთის დიდ დღესასწაულს
მოაგონებდა“. ტყვეებს მაჰმადიანებზე ჰყიდდნენ, ერთ დროს მათი
ფასი იქამდე დაცემულა, რომ ხუთ პიასტრამდე ჩამოსულა.²

სხვაგან იგივე ავტორი დიდი გულისტკივილით წერს, რომ
დასავლეთ საქართველოს ბევრ ნავსადგურში ადამიანებით სამარ-
ცხვინო ვაჭრობა დაუფარავად წარმოებს, „აქ წვრილი ვაჭრების
ნაგებიც ჭიანჭველებივით მიდი-მოდიან, გარდა იმ ორი დიდი გე-
მისა, რომელიც ყოველ წელს მოადგება ხოლმე ნაპირს, რა თქმა
უნდა, მეტად მწუხარე ოხვრის გარეშე არ შეიძლება მათი ცქე-
რა, მათზე რამის მოსმენა და დაწერა“.³ საქართველოდან კონს-
ტანტინოპოლში მეზავრობისას ავიტაბილე იმ ხომალდზე იმყო-
ფებოდა, რომლითაც ქალ-ვაჟები გადაჰყავდათ. ხომალდი ბერძენ-
ების და თურქების ნაყიდი ტყვეებით იყო დატვირთული. ეს ვე-

რობა საქართველო-კავკასიაში XVI-XVIII სს. *ისტორიულ-სამართლებ-
რივი ასპექტები*. თბ., 2006, გვ. 65-66.

¹ **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი**. წერილები საქართველოზე. XVII
საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნ-
ები დაურთო **ბ. გიორგაძემ**. თბ., 1976, გვ. 45.

² **დონ პიეტრო ავიტაბილე**. ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე).
შესავალი, ცნობები, კომენტარები **ბ. გიორგაძისა**. თბ., 1977, გვ. 34.

³ **დონ პიეტრო ავიტაბილე**. ცნობები საქართველოზე, გვ. 74.

ღარ ავიტანე და სხვა გემზე გადავედიო, წერს ის.¹

ოსმალთა ვაჭრებისთვის ადგილობრივი საქონლიდან ყველაზე მომგებიანი ადამიანი იყო. ისინი დიდი ხალისით ცვლიდნენ მათზე ყველაფერს. „მონად გაყიდულ კოლხ ყრბებში მაჰმადიანი ვაჭრები აძლევდნენ ვერცხლს, ოქროსა და მისთანას“. „ამავე გზით შემოდოდა ქვეყანაში მარილი, რკინა, ტანსაცმელი და სხვა საქონელიო“,² წერს მეორე თვითმხილველი. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს აღწერისას იგივეს ამბობს თურქი მოგზაური ევლია ჩელებიც.³

თვითონ ჩელების საქართველოში ყოფნისას რამდენიმე ქართველი ბიჭი შეუქენია, ზოგი საჩუქრად მიუღია ადგილობრივი მმართველებისგან და, ყირიმში რომ ჩასულა, უკვე 18 მონა-ბიჭი ჰყოლია.⁴ შემდეგ აფხაზეთში უყიდა ორი ბიჭი,⁵ თავრიზის ხანს „ერთი ქართველი ბიჭი“ უჩუქნია,⁶ ახალციხის განმგებელ საფარ-ფაშას – „ორი ქართველი ბიჭი“,⁷ ყარსის ფაშას – „ორი ქართველი ბიჭი“,⁸ არზრუმის ფაშას – „ორი ქართველი მონა“,⁹ და სხვ. ამ ხნის მანძილზე მას სხვადასხვა პირებისგან საჩუქრად 37 ქართველი და აფხაზი ჭაბუკი მიუღია.

სამეგრელოში თარეშისას ოსმალთა სარდალ ქუთფაჯ-ფაშას მეომრებს ორი ულამაზესი, „ვარსკვლავით ქალიშვილი“ მოუტაცნიათ. ისინი სეიდ აჰმედ ფაშას ათას-ათას ყურუშად უყიდა და ოც სხვა ქალიშვილთან ერთად სულთან იბრაჰიმ ხანისთვის გაუგზავნია.¹⁰ ამავე სეიდ აჰმედ ფაშას სამეგრელოში ლაშქრობის შემდეგ არზრუმის ფაშასთვის საჩუქრად მიურთმევია „ორასი მეგრელი ტყვე, ასორმოცდაათი მონა და ასი მხევალი“.¹¹

¹ დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოზე, გვ. 77.

² დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოძომი, გვ. 54.

³ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 103.

⁴ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 122.

⁵ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 103-104.

⁶ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 243.

⁷ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 302.

⁸ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 311.

⁹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 336.

¹⁰ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 332.

¹¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 332.

არქანჯელო ლამბერტი საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას, თუ როგორ სარგებლობდნენ ოსმალები ქვეყნის ეკონომიკური სიდუსტრირითა და იზოლაციით. ოსმალეთი იყო სამრეწველო საქონლის ერთადერთი მიმწოდებელი რეგიონისათვის. „ახლო ქალაქებიდან – რიზე, გონიო, ტრაპიზონი – მოდის მრავალი თურქი ვაჭარი, – წერს ლამბერტი, – მათ მოაქვთ ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს, თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოჰყავთ თურქებზე ტყვედ გასასყიდად ქართველებიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებული ამ საქმეში, რომ ადვილად იპარავენ მამაკაცებს, ღიღებსაც და პატარებსაც“.¹

ქრისტოფორო კასტელი აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ თვით ქართველებივე ჰყიდდნენ თურქებზე თავისსავე მოდემის რჩეულ ყმაწვილებს, რითაც ხელს უწყობდნენ ერის გადაშენება-გადაგვარებას. „საკუთარი თვალთ მინახავს კოლხეთში გაყიდული მრავალი ყმაწვილი, – წერს ის, – ისინი კონსტანტინოპოლში წაიყვანეს და იქ ვნახე სწორედ ისევე, როგორც კორონტოს ზღაპარშია მოთხრობილი, როცა სიმბას გადაჰყავდა დასჯილი სულელები ჯოჯოხეთში. როცა იტალიაში მივემგზავრებოდი, გემი სავსე იყო გაყიდული ტყვეებით. არაერთხელ დამსველებია ცრემლებით თვალები, როცა ვხედავდი, თუ როგორ ჰყიდდნენ ბატკნებივით ხელშეკრულ ყმაწვილებს თურქებზე“.²

1640 წლის სექტემბერში რომში გაგზავნილ რელაციონში პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე წერს, რომ „ამ თვეში მიდიან სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში თათრების გემები, დატვირთული ამ ქვეყნის საქონლით და, განსაკუთრებით, ურიცხვი ქრისტიანი ყმაწვილებით, რომლებიც თათარს (სულთანს) მიჰყიდეს მეგრელებმა და ქართველებმა“.³

1672წ. სამეგრელოში მყოფი ჟან შარლენიც მეტად შეუწუხებია აქ ნანახს. ქვეყანაში, სადაც „არავითარი სურსათი არ იყი-

¹ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი. თბ., 1937, გვ. 76.

² დონ ქრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოძირ., გვ. 54.

³ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები., გვ. 54.

დებოდა, სადაც ფულს გასავალი არ ჰქონდა და სადაც საცხოვრებელი ბინის შოვნაც კი არ შეიძლებოდა“, თურქეთში გასაყვანად გამზადებული ყოფილა „უამრავი ტყვე ყველა ასაკისა და ორივე სქესისა. ერთნი ბორკილგაყრილნი, მეორენი ერთმანეთზე ორ-ორად გადაჯაჭვულნი“, რომელთაც „ავაზაკური და კაცის-მკვლელის სახის მქონე ზედამხედველები“ ადგენენ თავზე.¹

აუტანელი ვითარება ყოფილა გემზე, რომლითაც შარდენს უმზავრია. მისი თქმით, „კაპიტანი, თურქი და ქრისტიანი ვაჭრები მათ (ტყვეებს – ა.კ.) ცვლიდნენ იარაღზე, მრავალგვარ წვრილ-მან საქონელზე. ისინი აძლევდნენ ყველაფერს და მაინც დიდძალ მოგებას ნახულობდნენ. მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ, ორმოცზე მეტი ხნის – რვიდან ათამდე. ლამაზი ქალები ცამეტიდან თვრამეტ წლამდე – ოცი ეკიუ. სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები თორმეტად, ბავშვები – სამ ან ოთხ ეკიუდ“.²

მისიონერი ძაძბი, რომელიც სამეგრელოში XVII საუკუნის 70-იან წლებში იმყოფებოდა, შეწუხებული წერს, რომ განუწყვეტელმა ომებმა, მომხდურთა თარეშმა და ტყვის სყიდვამ ერთ დროს აყვავებული ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა. 1675 წლის 10 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ის რომში თავის ხელმძღვანელებს ატყობინებს, რომ აქ „უმანკო ბავშვებს, ვაჟებს თუ ქალებს საგაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათ ჟღავილს და ტირილს: ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგი ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნობმა აღარ იყიდონ და წმინდა სარწმუნოება არ დაატოვებინონ“.³

აუნაზღაურებელი იყო ქვეყნისთვის ამ დანაშაულებრივი ვაჭრობით მიყენებული ზიანი. ჯუზეპე ჯუდეჩის ცნობით, XVIII ს. შუა ხანებში ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი არანაკლებ ორ-

¹ *ქან შარდენის მოგზაურობა...*, გვ. 207.

² *ქან შარდენის მოგზაურობა...*, გვ. 211-212.

³ **მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ., გვ. 250.

სამ ათასს აღწევდა.¹ ამავე პერიოდის სხვა ცნობით, მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროდან „წელიწადში ოთხი ათასი მაინც გაჰყავდათ ან ხარკის სახით აგზავნიდნენ“.² თეიმურაზ I-ის მიერ 1639წ. რუსეთის მეფისთვის გაგზავნილი წერილის მიხედვით, თითქმის მარტო სამეგრელოს მთავარი ჰყიდდა წელიწადში 10-15 ათასს, ხოლო გურიისა 10-12 კაცს.³

ჟან შარდენის მოწმობით, XVIIIს. 70-იან წლებში სამეგრელოდან „ყოველწლიურად შვიდი-რვა ათასი ტყვე მიჰყავდათ“, აქედან მხოლოდ კონსტანტინოპოლში „სამი ათასამდე კაცი“.⁴ მისი იქ ყოფნისას, 1672 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ოსმალთა დამსჯელმა რაზმმა თურმე „ორი ათასი ტყვე წაიყვანა“, ხოლო აფხაზმა მოთარეშეებმა, რომლებიც ვითომ სამეგრელოს მთავრის დასახმარებლად იყვნენ მოსული, „წაიყვანეს ათასორასი კაცი“. გემზე, სადაც მაშინ მოგზაური იმყოფებოდა, უკვე ყოფილა 40 ტყვე და „კიდევ მოჰყავდათ“.⁵

მსგავსი მასალის დამოწმება კიდევ შეიძლება. აშკარაა, რომ წყაროთა მონაცემები გაყიდულ-გატაცებულთა რაოდენობაზე მეტად განსხვავებულია, ზოგჯერ, შესაძლოა გადაჭარბებულიც. ერთობ დიდი ჩანს თეიმურაზ I-ის წერილში აღნიშნული რაოდენობა, მაგრამ არც ის უნდა იყოს სარწმუნო, რომ დას. საქართველოდან მაშინ თითქოს 2 ათასი კაცი გაჰყავდათ, ისიც ქართლის მიმატებით. სინამდვილესთან უფრო ახლოს ჩანს პიეტრო ავიტაბილეს და ჟან შარდენის ცნობები. უნდა ვივარაუდოთ, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან გაჰყავდათ 4-დან 7-8 ათასამდე კაცი. დაახლოებით იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნის I ნახევარში.

ამ აზრს უჭერს მხარს XV-XVIII საუკუნეების დემოგრაფიული სურათიც – მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფული შემცირება აღნიშნულ საუკუნეებში. თუ XV საუკუნეში საკუთ-

¹ დონ ჯუზეპე ჯუდინე მილანელი. წერილები..., გვ. 45, 119.

² დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოზე, გვ. 34.

³ *Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 гг.* СПб, 1861, გვ. 22-23.

⁴ ჟან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 123, 204.

⁵ ჟან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 212, 215, 250.

რივ იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მოსახლეობა ერთად აღებული შეადგენდა 800 ათას კაცს, მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე ის განახევრდა და XVIIIს. შუა ხანებისთვის იყო მხოლოდ 400 ათასი, ხოლო მომდევნო საუკუნეში კიდევ 100 ათასით შემცირდა.¹

ეს მშრალი სტატისტიკაა. წყაროებში არსებობს ეს მონაცემები და ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მათ, თუმცა ვერავითარი სტატისტიკა ვერ დაიტევს იმ უბედურებას, რომელიც ამ მოვლენაში დევს. მისი ტოლფასი საქართველოს ისტორიაში მეორე არ მოიძებნება. მას სხვა განზომილებები აქვს.

¹ ს. კაკაბაძე. მოსახლეობის რიცხვი საქართველოში XV-XVIII საუკუნეების სიგრძეზედ. *კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ*. ტფ., 1920. გვ. 27-56; გ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. *დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა*. თბ., 1984, გვ. 33, 41, 48.

АВТАНДИЛ КИЛАСОНИЯ

ОСМАНСКАЯ ТУРЦИЯ – ВДОХНОВИТЕЛЬ И ОРГАНИЗАТОР ТОРГОВЛИ ЛЮДЬМИ В ГРУЗИИ В XVI-XVII ВЕКАХ

С середины XVIв. по всему Кавказу широко распространяется преступная торговля христианами – пленопродавство. Оно было обусловлено монопольным господством в регионе Ирана и Турции. Особенно в тяжёлом положении была Грузия. Основными потребителями грузинских пленников были Иран, Турция, Египет, другие страны Ближнего Востока. Исключительной была роль османов. Им принадлежала львиная доля в этой торговле. В статье разоблачена тенденциозность турецкой историографии. На основе разнообразных фактов и свидетельств показана, что именно Османская Империя была вдохновителем и главным организатором работорговли, а христианские пленники играли ведущую роль во всех сферах военно-политической и экономической жизни империи. Именно заинтересованность в пленных и большая потребность на них привели турецких торговцев на черноморское побережье Грузии и к обоснованию здесь сильных очагов работорговли в XVI-XVII веках. В работе дана попытка установить и оценить причиненный пленопродавством ущерб и делается вывод, что из Западной Грузии, например, в XVI-XVIIвв. вывозился весь естественный прирост населения, что привело страну к демографической катастрофе.

AVTANDIL KILASONIA

OTTOMAN TURKEY – INSPIRER AND ORGANIZER OF THE TRADE IN PEOPLE IN GEORGIA IN 16-17th CENTURIES

From the mid 16-th century the criminal trade of the Christians – trafficking spread through the whole Caucasus. It was determined by the Turkish and Persian governance in the region. Georgia was in the most difficult situation. Iran, Turkey, Egypt, the other states of the Middle East became the main consumers of the Georgian captives, and the lion's share of the trade belonged to them. The paper denounces the biased views of the Turkish historiography. It shows, on the basis of the various facts and evidences that it was the Ottoman Empire, who inspired and organized the slave trade, while the Christian captives played the leading role in all spheres of military, political and economic life of Empire. The interest in captives and great demand for them brought the Turkish merchants to the Black Sea Coast of Georgia and resulted in the establishment of the slave trade strongholds there in the 16-17th centuries. The paper tries to determine and evaluate the harm caused by trafficking. It is stated that in the 16-17th centuries the whole natural increase was taken from the Western Georgia, and it resulted in the demographic catastrophe.

აკოლონ თაბუაშვილი

სამართალწარმოება XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში

ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მოხელის, მდივანბეგ იესე ოსეს ძის თავგადასავალში აღნიშნულია: (1778 წლის) „აპრილს ბრძანება გამოვიდა, ყოელი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდესო“.¹ თავდაპირველად ამ ცნობას ყურადღება მიაქცია აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ავტორი ეხებოდა რა ერეკლე II-ის ღონისძიებებს, მიმართულს ქვეყნის მმართველობის გადასახლის სებლად, აღნიშნავდა: „ასევე ახალი იყო მსაჯულთ შეკრებულობის დაწესებულება, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს. ამიერიდან ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდესო“.²

ივ. სურგულაძე აღნიშნავდა, რომ 1778წ. ქართლ-კახეთი სამეფოში მოხდა სასამართლო რეფორმა, რაც მსაჯულთ შეკრებულობის დაარსებაში გამოიხატა.³ ს. კაკაბაძის აზრით, 1778წ. რეფორმის არსი გამოიხატა იმ ფაქტით, რომ ამ აქტის შედეგად მოხდა მეფის, როგორც მოსამართლის, განტვირთვა სასამართლო საქმიანობისაგან და უკვე მსაჯულთ შეკრებულობა არჩეულა სასამართლო დაეებს.⁴ ს. კაკაბაძის მოსაზრებას იზიარებს ამ პერიოდის სამართლის საკითხების კიდევ ერთი მკვლევარი, მ. ლეკ-

¹ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავ. იოსელიანმა. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (შემდგომ – მსკი), ნაკვ. 28. თბ., 1950, გვ. 86.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. I. თბ., 1946, გვ. 400.

³ ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ., 1952.

⁴ ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორიის ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფ., 1913, გვ. 78.

ვეიშვილი.¹

აღნიშნულ საკითხს საკმაოდ დიდი ყურადღება მიაქცია ქართული სამართლის ისტორიის კიდევ ერთმა მკვლევარმა მ. კეკელიამ, რომლის ნაშრომში აღნიშნულია, რომ „ცალკეულ ფეოდალთა სასამართლო უფლებების შეზღუდვის ხარჯზე სასამართლო საქმიანობაში მეფემ ჩართო ბატონიშვილები და დელოფალი, ... მეფემ გაზარდა მდივანბეგ-მოსამართლეთა რაოდენობა“.² მისი აზრით, 1760-იანი წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე 28 მდივანბეგი მოსამართლეობდა. შემდეგ მ. კეკელია ეხება უშუალოდ 1778 წლის ბრძანებას – „ლიტერატურაში ეს ფაქტი მცდარად არის გაგებული და მას მეფის, ერეკლეს მიერ 1778 წლის აპრილში მსაჯულთშეკრებულობის შემოღებით ხსნიან. თუ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაბატონებულ ამ მოსაზრებას უშენიშნოდ მივიღებთ, მაშინ მდივანბეგთა რაოდენობის გაზრდა 1778 წლის დამლევამდე მაინც უნდა მომხდარიყო. ე.ი. „მსაჯულთშეკრებულობის“ დაკომპლექტებამდე. ფაქტები კი საწინააღმდეგოზე მეტყველებენ“. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ მდივანბეგებიდან 1778 წელს მომატებულ მხოლოდ სამ ახალ მდივანბეგს ვხვდებით. ესენი არიან: იესე ბარათაშვილი (1778 წლის იანვრიდან), მზეჭაბუკ ორბელიანი (22 თებერვლიდან) და პაატა მდივანბეგი (მაისიდან)“.³

მკვლევარი ეხება „მსაჯულთშეკრებულობას“ დაარსების დროსაც და უამრავ სასამართლო განჩინებაზე დაკვირვებით ასკვნის, რომ ეს ტერმინი გაჩნდა არაუადრეს 1780 წლისა და არა 1778 წლის აპრილში. მ. კეკელიას განმარტებით, მდივანბეგები 1778წ. აპრილამდეც და მის შემდეგაც იგივე პრინციპით არჩევდნენ სასამართლო დავებს. არზა-საჩივრები მიდიოდა კვლავ მეფესთან, დელოფალთან, ბატონიშვილებთან და მდივანბეგებთან – ანუ მეფის განტვირთვა არ მომხდარა. 1778წ. აპრილში არც ტერმინ

¹ მ. ლეკვეიშვილი. სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1962.

² მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ., 1970, გვ. 127-128, 132.

³ მისხიელ კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია..., გვ. 144.

მსაჯულთშეკრებულობის შემოღებასთან და არც მოსამართლეთა მკვეთრ გაზრდასთან არ გვაქვს საქმე. ყოველივე აქედან გამომდინარე ავტორი შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „ამრიგად ცხადია, რომ არ შეიძლება 1778წ. აპრილის ბრძანების დაკავშირება ქართლ-კახეთის სამეფოს სასამართლო ორგანიზაციაში რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებასთან“.¹ „ჩვენი აზრით, 1778 წელს არავითარი სასამართლო რეფორმა არ მომხდარა და ამ ხანებში სასამართლო ორგანიზაციაში რაიმე რადიკალური სიახლე არ ყოფილა“.²

მ. კეკელიასეული მსჯელობა დამაჯერებელია და ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, ეს იქნება სასამართლო არზა-განჩინებები, ნორმატიული აქტები თუ სამართალწარმოების პრაქტიკა, 1778წ. აპრილი მართლაც რაიმე რადიკალური ცვლილებებზე არ მიგვანიშნებს. ჩვენ მეცნიერის დასკვნებს უპირობოდ მივიღებდით, რომ არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება. რატომ დასჭირდა იესე ოსეს ძეს აღნიშნული ბრძანების ფიქსირება? ის არ იყო სამეფო კარის ისტორიკოსი. მან შვილებისათვის დაწერა ანდერძი, რომელიც არ იყო განკუთვნილი ფართო საზოგადოებისათვის, არამედ იყო პრივატული ჩანაწერები. ამდენად, იგი იმ ფაქტის გაყალბებით, რომელიც მის პირად ცხოვრებას არ ეხებოდა, არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. ვფიქრობთ, ნაკლებად დასაჯერებელია მას ნაყალბევი ცნობა შეეტანოს თავის ანდერძში. ყოველივე აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ანგარიშგასაწევია იესე ოსეს ძის ცნობა.

აღნიშნული წინააღმდეგობრივი კვანძის გასახსნელად საჭიროდ მოგვაჩნია, უპირველესად, თვალი გადავაკვლოთ გვიან შუა საუკუნეების ქართლის სამეფოში სამართალწარმოების პროცესს. XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფოში 1 ან 2 სამეფო მოსამართლე (როსტომ მეფის დროიდან მდივანბეგი) იყო.³ მოსამართლე-მდივანბეგთა ასეთი მცი-

¹ მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია... გვ. 174.

² მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია... გვ. 165.

³ გ. გაბაშვილი. დარბაზის რიგის მოხელენი დასტურდამალის მიხედვით. – *ენიშის მოამბე*. თბ., 1942, გვ. 181.

რე რაოდენობის არსებობა აიხსნება შემდეგი ფაქტით – ქართლის სამეფო წარმოადგენდა სათავადოთა კრებულს. სამეფო სასამართლო ფუნქციონირებდა, მაგრამ მისი კომპეტენცია უმეტესად სწორედ ამ სათავადოთა შორის წარმოებული დავების გარჩევით იფარგლება. სათავადოთა შიგნით უპირველესი მოსამართლე თავადი იყო. ერთი სიტყვით თავადები სარგებლობდნენ სასამართლო იმუნიტეტით.

XVIII ს. II ნახევარში, როგორც აღვნიშნეთ, მდივანბეგთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. შ. მესხია აღნიშნავდა, რომ მათი რიცხვი ქართლ-კახეთის სამეფოში არანაკლებ 13 იყო.¹ მ. კეკელია კი 28 მდივანბეგს ასახელებს (თუმცა ის უთითებს XVIII ს. 60-იანი წლებიდან XIX ს. დასაწყისამდე პერიოდზე, ამიტომ ისინი ყველა ერთად არ მოსამართლეობდნენ). როგორც ვხედავთ XVIII ს. II ნახევარში, წინა პერიოდთან შედარებით, მდივანბეგთა რიცხვი თითქმის 10-ჯერ გაიზარდა. სამეფო მოსამართლეთა ასეთი მკვეთრი მატება, რა თქმა უნდა დაკავშირებული იყო სათავადოთა სასამართლო იმუნიტეტის შეზღუდვა-გაუქმებასთან.

XVIII ს. II ნახევარში სათავადოებმა დეგრადაცია განიცადეს. ეს პროცესი ორი ნიშნით ხასიათდებოდა: I. „ოსმალობა“ – „ყიზილბაშობის“ შედეგად ქართლის დიდ სათავადოებში ყმა-გლეხთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. II. ეკონომიკურმა წინსვლამ, რომელიც XVIII ს. 60-იანი წლებიდან სახეზეა, სათავადოებს უბიძგა საერთო მამულის გაყოფისაკენ – არარაციონალურად დამუშავებული საერთო მამული ვეღარ უზრუნველყოფდა თავადიშვილთა გაზრდილ მოთხოვნებს. ამის შედეგად დაიწყო მამულების გაყოფა (გაიყო სამაჩაბლო, საჯავახიშვილო, სააბაშიძეო, დავითაშვილების მამული, ხერხეულიძეთა მამული და სხვ.). ქართლის ისეთი დიდი სათავადოები, როგორც იყო საყაფლანიშვილო, საამილახორო, სამუხრანბატონო, საციციანო, ან ოფიციალურად გაიყო (საციციანო), ანდაც ფორმალურად კი შეინარჩუნეს გაუყოფელი გვარის სტატუსი, მაგრამ ყმა-მამულების

¹ მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. – მსკი, ნაკვ. I (26). თბ., 1948, გვ. 029.

სახლისკაცებს შორის დანაწილება ამ სათავადოების შიგნითაც მიმდინარეობდა. საერთო სასახლო მამულების ხარჯზე გაიზარდა „საუფლისწულო“, მფლობელობა, რომელიც პრაქტიკულად „სათავისთაო“, მფლობელობად გადაიქცა. (მაგალითად XVIIIს. II ნახევარში საყავლანიშვილოს ყმა-მამულები 4 სახლის ხელში იყო განაწილებული). ერთი სიტყვით სათავადოებმა ბუნებრივი დეგრადირება განიცადეს, რამაც მათი ძლიერება საგრძნობლად შეარყია.

ეკონომიკური პოტენციალის გაზრდამ ერეკლე II-ს რეფორმების გატარების შესაძლებლობა მისცა – სამხედრო რეფორმები ფეოდალური ლაშქრიდან რეგულარულ არმიად გადასვლას გულისხმობდა. ამიერიდან მეფის მოხელეები – ლაშქარნიკისები – კრებდნენ ჯარს. ამით ერეკლე II-მ თავადებს თავიანთ სათავადოებში ჯარის შეკრების ერთპიროვნული უფლება ჩამოართვა. იგივე ფაქტები შეინიშნება ადმინისტრირების სხვა ასპექტებში – გადასახადების აკრეფა ცენტრალიზებული გახდა, ისევე როგორც საპოლიციო საქმიანობა და ა.შ.

მოსამართლეთა რიცხვის ზრდა სათავადოებისათვის სასამართლო იმუნიტეტის მოსპობას გულისხმობდა. ბუნებრივად დაჩიხული სათავადოებმა სამართალწარმოების უფლება უმტკივნეულოდ დაუთმეს, იმდროისათვის საკმაოდ ავტორიტეტულ, სამეფო სასამართლოს. ი. დოლიძის გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლებში“, თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენში“ და სხვა ლიტერატურაში გამოქვეყნებულ, ასევე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს საისტორიო არქივში დაცული უამრავი სასამართლო არჩა-განინებებით დასტურდება, რომ XVIIIს. II ნახევარში სამეფო სასამართლოს ქვეყნის შიგნით საზღვრები აღარ გააჩნდა. მდივანბეგთა სასამართლო არჩევდა საამილახოროს, სამაჩაბლოსა თუ ნებისმიერი სათავადოს შიგნით არსებულ დავებს. თავადებს აეკრძალათ სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა. ერეკლე II-ის ეპოქაში სამართალწარმოება ცენტრალიზებული გახდა. ერთი სიტყვით ერეკლესეული მდივანბეგთა რიცხვის ზრდა პირდაპირექვივალენტური იყო სათავადოთა სისტემის სასამართლო იმუნიტეტის დენონსაციისა.

აღნიშნულ მოსაზრებას პირდაპირ ეხმაურება „მეუკანე“ სა-

დროშოს სარდალის ალექსანდრე ციციშვილის 1769წ. 28 თებერვლის არზა ერეკლე II-სადმი. ტექსტში ვკითხულობთ: „...ამას მოგახსენებ ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს. თქვენი ოქმი და ბრძანება მოგვივიდა, რომ თუ ერთმანეთთან ან საჩივარი გქონდეთ ან სადაო, ჩვენ მოგვახსენეთო და სამართალს ჩვენ გიზამთო. ამის გულისათვის ვერავის ვაწყენინე. ახლა ამას მოგახსენებ. თქვენის თავის მზემა ერთი ტივი მინდოდა, კაცნი გავეზავნე და ველარ ვიშოვნე ხე რომ მამეჭრევიებიანა, ასე გაუყენებიათ ჩვენი ტყე. ატენს ქვეითი კაცი სულ ჩვენს ტყეში ჭრიან, არ გვკითხავენ მოჭრასა, არც რაც ტივის სალბაშია, იმას გვაძლევენ. ეს არასდროს უქნიათ. ამას გვევდრებით, ერთის ოქმის წყალობა გვიყოთ – თავადა ჩვენს უკითხავად ჩვენს ტყეში ნუ მოჭრიან; თუ რომ მოჭრან, რაც მართებული იყოს და ვიღებდეთ ან ჩვენა და ან სხვაგან, იმას მოგვცემდნენ. ჩვენ ჩვენის მითია და ბართა უნდა დავრჩეთ“.¹

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1769 წლის ახლო ხანებში, ერეკლე II-ს სპეციალური ბრძანებულებები გაუგზავნია თავადებისათვის, რომლის საფუძველზეც მათთვის სასამართლო-ადმინისტრაციული ფუნქციები ჩამოურთმევია. ამ სფეროებში მათი უფლებები იმდენად შეზღუდულა, რომ უმაღლესი რანგის მოხელე, დიდებულ თავადი, ალექსანდრე ციციშვილი, მეფის ოქმის გარეშე, საკუთარი ტყით სარგებლობას მოსახლეობას ვერც უკრძალავდა და ვერც გადასახადს აწესებდა. ჩანს, მეფეს თავადებისათვის საერთოდ გაუუქმებია სასამართლო-ადმინისტრაციული იმუნიტეტი.

თუ ჩვენ ერეკლესეულ სასამართლო რეფორმის მნიშვნელობას სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ, მაშინ 1778 წელი, ქვეყანაში მომხდარ შემდეგ ფაქტს ემთხვევა – 1778წ. იანვარში ერეკლე II-მ გააუქმა ქსნის საერისთავო. საქმე ისაა, რომ სათავადოების ბუნებრივი დეგრადაცია და მათთვის იმუნიტეტის ჩამორთმევა შეეხო იმ სათავადოებს, რომლებიც ქვეყნის ბარის რაიონებში იყვნენ განთავსებულნი. პერიფერიებში კი განსხვავებული სუ-

¹ *ქართული სამართლის ძეგლები*. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ა. დოლიძემ*. ტ. VII. თბ., 1981, გვ. 145-146.

რათს ვხვდებით. ჩრდილოეთის სათავადოები – არაგვის და ქსნის საერისთავოები – ქვეყნის მთიან ნაწილში მდებარეობდნენ. მათი საზღვრები ბუნებრივად დაცული იყო. სათავადოს შიგნით საერთო ეკონომიკური წინსვლა ნაკლებად აღწევდა. იგივე მდგომარეობა იყო სამხრეთის სახანოებში. ყაზახის და ბორჩალო-ბაიდარის სახანოები ქართლის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე პროცესში ნაკლებად იყო ინტეგრირებული, რადგან იქ სპეციფიკური მდგომარეობა სუფევდა – მოსახლეობა, მმართველ ფენასთან ერთად მაჰმადიანური იყო. ამიტომაც ერეკლე II-ემ გააუქმა პერიფერიებში არსებული როგორც სათავადოები, ასევე სახანოები. იგივე არ გააკეთა მეფემ დიმიტრი ამილახვრისშვილის ამბოხის დროს.

მეფის სახლთუხუცესი დიმიტრი, განსხვავებით თუნდაც ქსნის ერისთავ ყულარაღას გიორგისაგან, არ წარმოადგენდა მთელს სამილახვროს. როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე II-ის რეფორმები სათავადოებისთვის იმუნიტეტის მოსპობას უზრუნველყოფდნენ. ჩანს, იგივეს უმტკივნეულოდ გაკეთება სამხრეთის და ჩრდილოეთის ავტონომიურ უფლებათა მქონე ერთეულების მიმართ სიძნელეს წარმოადგენდა. ამიტომ სამეფო კარმა გააუქმა არაგვის საერისთავო (1743წ.), ყაზახის (1755წ.) და ბორჩალო-ბაიდარის (1765წ.) სახანოები. ქსნის საერისთავო, როგორც ჩანს, ინარჩუნებდა გარკვეულ იმუნიტეტს და კვლავ კლასიკური სათავადოს სტატუსით არსებობდა. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები – ერისთავი სხვა თავადებისაგან განსხვავებით ფლობდა ქალაქს (იგულისხმება ახალგორი); გადასახადები, ქვეყნის დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით, არა კომპლობრივად, არამედ მთელ საერისთავოზე გაიწერებოდა. ქსნის ერისთავი, რომ კვლავ აწარმოებდა სამართალს საერისთავოში, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სამეფო სასამართლოში, ერისთავისა და მისი სახლის კაცის დავის გარდა, ვერ ვხვდებით მათი ხელქვეითების სარჩელებს.

ერთი სიტყვით, ქსნის საერისთავო ინარჩუნებდა სახელმწიფოში ავტონომიური ერთეულის სტატუსს. 1768 წელს საერისთავო გაიყო. ამ ფაქტმა ერთიანი მონოლითური ორგანიზმი დაშალა, რაც საერისთავოს ფაქტობრივ მოშლას ნიშნავდა. ამიერიდან საერისთავოს მოსახლეობის აღწერის სრული დავთრები

მეფის კანცელარიაში განთავსდა, რაც მის ცენტრიდან ადმინისტრირებას აიოლებდა. თუმცა მოგვიანებით ქსნის ერისთავთა სახლის კაცებმა კვლავ „შეყრის“ ტენდენცია გამოავლინეს. ცხადია, სამეფო ხელისუფლება 1770-იან წლებში, როდესაც ის აშკარად მოძლიერებული იყო, ვეღარ შეურიგდებოდა არსებულ რეალობას. 1778 წელს ერეკლე II-მ საერისთავო გააუქმა. საერისთავოს გაუქმების მიზეზი ბუნდოვნად აქვს გადმოცემული, როგორც დავით ბატონიშვილს, ისე სხვა იმ დროინდელ მემკვიდრეებს. ისინი ქსნის ერისთავის ღალატზე საუბრობენ, თუმცა ფაქტს არ აკონკრეტებენ.¹ პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ „ესე უნებდა მას (ერეკლე II-ს – ა.თ.) ერთობისათვის მეფობისა და სიმტკიცისათვის ერთმთავრობისა დაასუსტოს თემთა მთავარნი ანუ სრულიად აღფხვრას იგინი...“.² ჩვენც მიგვაჩნია, რომ ქსნის საერისთავოს გაუქმებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არა კონკრეტულმა საბაბმა, არამედ სამეფო კარის სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ მიმართულმა პოლიტიკამ.

1778 წელს სამეფო სასამართლოს კომპეტენციამ ქართლ-კახეთის მთელი ტერიტორია, მათ შორის ქსნის საერისთავოც მოიცვა. ამ ფაქტს ემთხვევა ლეონ და ვახტანგ ბატონიშვილთა „განჩინება ბარისა და მთიელთა ადგილთა“: როგორც მკვლევარი აპ. როგავა ვარაუდობს ეს „განჩინება“, „...არა მარტო 1743 წლამდე არსებულ არაგვის ერისთავისეულ უფლებრივ მიდრეკილებათა საწინააღმდეგო სულისკვეთებით იყო, განსაკუთრებით ლევანის მიერ დაწერილი (1778წ.), არამედ მეზობელი, ახლად დამხობილი (1777წ.) ქსნის ერისთავისეული უფლებრივი ინტერესების საპირისპიროდაც შექმნილი“.³ ბატონიშვილთა შედგენილ განჩინებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მისი მუხლები არ

¹ იხ. დავით ბაგრატიონი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. შეკრებილი ბატონიშვილ დავითი გიორგის ძისა და მისი ძმებისა. 1744-1840, ტფ., 1905.

² პ. იოსელიანი. ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა. რედ. ა. გაწერელია. თბ., 1978, გვ. 78.

³ დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა. აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1959, გვ. 110 (გამოკვლევა).

შეიცავს პრაქტიკაში არსებულ ყველა სამართლებრივ ნორმას, არამედ აღნიშნული განჩინება მკაცრად უთითებს, რომ სამართალწარმოება თვითნებურად არ უნდა ხდებოდეს და აუცილებლად სამეფო სასამართლო უნდა არჩევდეს მას (განჩინების სხვა მუხლები კი ეხება იმ სპეციფიკურ მანკიერებებს, რომლების მთიანი ზონისთვის იყო დამახასიათებელი). ხოლო, 1778 წელს 3 ახალი მდივანბეგის დანიშვნა, ჩვენი აზრით ერთიან სასამართლო სისტემის არეალის გაფართოებას უნდა გამოეწვია. მართლაც 1778 წლის შემდეგ დროინდელ განჩინებებში ჩვენ ვხვდებით ქსნის ხეობის მცხოვრებთა საქმეებსაც.

დავუბრუნდეთ 1778წ. აპრილის ბრძანებულებას. აქ მარტივად ჩანს ერეკლესეული რეფორმის ხელწერა. ამ პერიოდში, პრაქტიკაში დანერგილი მრავალი ნორმა კანონმდებლობაში ასახვას მაშინ ჰპოვებდა, როდესაც ის ქვეყნის უკლებრივ ყველა კუთხისათვის საერთო ხდებოდა. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მორიგე ჯარის შემთხვევა. როგორც აკ. კლიმიაშვილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ უამრავ დოკუმენტზე დაყრნობით ამტკიცებს, ქართლ-კახეთის სამეფოში მორიგე ჯარი 1755 წლიდან არსებობდა.¹ ხოლო 1774 წლიდან, როდესაც ის ყველასათვის სავალდებულო ნორმად იქცა, მისი არსებობა უკვე საკანონმდებლო აქტით გაფორმდა. ვფიქრობთ იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე სამართალწარმოების მხრივაც.

თ. ენუქიძის გამოქვეყნებული სამდივანბეგოს სასამართლოს მასალებიდან ირკვევა, რომ 1755 წლიდან მდივანბეგთა სასამართლოს საკმაოდ მოწესრიგებული კანცელარია ჰქონდა და სასამართლო დაუბრკოლებლად მუშაობდა კვირის ყოველ დღეს.² ახ. როგავას აზრით, სასამართლო საქმიანობის შემდგომი დახვეწა მოხდა 1760 წელს – მას შემდეგ, რაც იოანე ხუცეს მონაზონმა

¹ ა. კლიმიაშვილი. მორიგე ლაშქრის საკითხისათვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, ტ. V. თბ., 1963.

² თ. ენუქიძე. მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის (1755-1760წწ.). *XIV- XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი*. თბ., 1964.

თარგმნა პეტრე I-ის „საცხადო განწყება“.¹ ჩვენ ვიცით, რომ პარალელურად გაიზარდა მდივანბეგთა რაოდენობა. მათი რიცხვი დაახლოებით ორ ათეულს აღწევდა. 1778 წელს კი, როდესაც სამეფო სასამართლომ ქვეყნის ყველა მხარე მოიცვა, უკვე ბრძანებულებით გაფორმდა – „ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდესო“. ამას მოჰყვა მსაჯულთშეკრებულების დაარსებაც. წყაროებში მოხსენიებული არიან ქართლის და კახეთის მდივანბეგები. დავით ბატონიშვილი თავის „საქართველოს სამართლის და კანონმცოდნეობის მიმოხილვაში“ გადმოგვცემს, რომ სამდივანბეგო სასამართლოები იყო თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ყაზახში, შამშადილოსა და ბორჩალოში.² მოსახლეობას საჩივრების წარდგენა შეეძლოთ სამდივანბეგოებში, მეფესთან, დედოფალთან და ბატონიშვილებთან. დედოფალს და ბატონიშვილებს სასამართლო საქმიანობის განსახორციელებლად მეფის განსაკუთრებული ნებართვა ეძლეოდათ.³ თუმცა მათ, როგორც შემამულებებს, სასამართლო უფლებამოსილება არ გააჩნდათ.⁴

ამის შემდეგ მოსამართლე-მდივანბეგები იწყებდნენ საქმის განხილვას. წინასწარი საგამოძიებო და აღმასრულებელ ფუნქციას ემიკალასბაშები ინაწილებდნენ, იასაულებთან ერთად. ერთი სიტყვით სამართალწარმოება და თითქმის სრული შინაგან საქმეთა უფლებები სწორედ მდივანბეგებზე და აღმასრულებელ ემიკალასბაშებზე მოდიოდა. მათ გარდა გლეხთა შორის არსებულ დავებს მეფის მოურავები და სარდლებიც არჩევდნენ, თუმცა როგორც მეფის მოხელენი და არა როგორც სათავადოს წარმომადგენლები, ისიც იმ შემთხვევაში თუ მათ მედიატორობას მოსარჩელე მონიღომებდა. ამავე ხანებში ამოქმედდა დიკასტერიაც, რომელიც საეკლესიო დავებს არჩევდა – მისი ცენტრალიზებაც სწო-

¹ დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 320.

² დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა, გვ. 165.

³ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომ – სცსა), ფ. 1448, №128.

⁴ მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ., 1970, გვ. 125-126.

რედ ამ დროს მოხდა. იოანე ბატონიშვილის „სჯულდებაც“ კი, რომელიც მეფის აბსოლუტური უფლებების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული და მმართველობის თითქმის ყველა რგოლში ნოვაციების დანერგვას მოითხოვდა, იწონებდა სამდივანბეგო სასამართლოს და მის შემდგომ რეორგანიზაციას არ ითვალისწინებდა.¹

საბოლოოდ ავლნიშნავთ, რომ იესე ოსეს ძის ცნობა არ შეიძლება უგულვებელყოთ. 1778 წლის ბრძანებულება სწორედ იმ ხანგრძლივი სასამართლო რეფორმის დასრულებას წარმოადგენდა, რომელიც თავადებისათვის თავის სათავადოში სამართალწარმოების უფლების მოსაპოვებასა და ამ ფუნქციის სამეფო სასამართლოსადმი მინიჭებაში გამოიხატებოდა.

АПОЛЛОН ТАБУАШВИЛИ

СУДОПРОИЗВОДСТВО В КАРТЛ-КАХЕТИНСКОМ ЦАРСТВЕ ВО II ПОЛОВИНЕ XVIII ВЕКА

В статье на основании критического анализа данных соответствующих документальных материалов, а также специальной научной литературы раскрыта суть судебной реформы, проведённой Картл-Кахетинским царём Ираклием II-м. Отмечено, что в результате осуществлённым царём в этой сфере преобразований, венцом которых был указ от 1778г., в 60-90-х годах XVIIIв., по сравнению с предыдущим периодом, численность судей-мдиванбегов значительно увеличилась и под их юрисдикцию попало почти всё царство, в том числе, и это главное, упразднённые Ираклием II-м эриставства.

¹ იოანე ბატონიშვილი. სჯულდება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ., 1957, გვ. 21.

APOLLON TABUASHVILI

**THE LEGAL PROCEDURE IN THE KARTLI-KAKHETI
KINGDOM IN THE SECOND HALF OF
THE 18th CENTURY**

The paper, on the basis of the critical analysis of the relevant documentary sources and dedicated scientific literature, reveals the significance of the judicial reform carried out by the king of Kartli-Kakheti Erekle II. It is stated that as a result of the changes in this sphere, which were conducted by king in 1760-1790's (with a special reference to the decree of 1778), the number of Judges-Mdivanbegs increased significantly. They covered nearly the whole country including, which was very important, the territories of the Saeristavos, abolished by Erekle II.

ზაზა ჴურჴუმია

ოსმალეთის პოლიტიკური გავლენა აფხაზეთში XVIII საუკუნეში

აფხაზეთმა ოსმალეთის პოლიტიკური სიუზერენობა აღიარა XVIII ს. 10-იან წლებში, როდესაც შარვაშიძეები განთავისუფლდნენ დადიანთაგან ვასალური დამოკიდებულებისაგან და ჩამოყალიბდა ცალკე აფხაზეთის სამთავრო ცენტრით ჴუფუში (ლიხნი). აფხაზეთი, როგორც ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყანა, ოსმალეთს სულადობრივ გადასახადს „ხარაჯას“ უხდიდა.¹

XVIII ს. მიწურულისათვის აფხაზეთის სამთავროს საზღვარი ოდიშთან მდ. ენგურზე გადიოდა.² XVIII ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში რჩებოდა. იმერეთის მეფეს, აფხაზეთის, ოდიშის, გურიის, მთავრებს ტახტზე სულთანი ამტკიცებდა. ქართველი მეფე-მთავრების ოსმალეთზე დამოკიდებულება სულთნისათვის ყოველწლიური მისართმეველის – „ქრთამის“ გავზავნაში გამოიხატებოდა.³ ოსმალეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებზე სამხედრო კონტროლის შენარჩუნებას. 1701წ. ოსმალეთის იმპერიის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-საზღვაო ბაზებს შორის მოიხსენიება ფოთისა და სოხუმის ციხეები. ამათგან ფოთის გარნიზონი აღჭურვილი იყო 35 ქვემეხით, ხოლო სოხუმის გარნიზონი 5 ქვემეხით.⁴

¹ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 273.

² **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Сухуми, 1951, გვ. 37-38.

³ **ქ. ჩხატარაიშვილი.** საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი). – კრებ.: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“. ტ. 2. თბ., 1972, გვ. 43-44.

⁴ **Т. Берадзе.** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 62.

1702წ. ახალციხის ფაშას ყოველწლიური მისართმეველის მიცემა შეუწყვიტეს იმერეთის, გურიის, ოდიშის მესვეურებმა, რითაც ოსმალეთის მორჩილებაზე უარი თქვეს. მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც ოსმალთა ვაჭრებს თავს ესხმოდნენ.¹ 1703წ. ზაფხულში ოსმალები დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ და ხომალდები გაგზავნეს ამბოხებული აფხაზების წინააღმდეგ, რომლებმაც ოსმალეთის სანაპირო სიმაგრეებს ზღვიდან შეუტიეს.² ამ დროს სტამბოლში აჯანყდა საქართველოში გამოსავლენად გამზადებული ჯარი, რასაც ოსმალეთში ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. ახალმა სულთანმა აჰმედ III (1703-1730წწ.) დასავლეთ საქართველოდან ლაშქრის გამოწვევა ბრძანა. ოსმალები მხოლოდ ბათუმის, ფოთის, რუხის, ანაკლიის ციხეებში დარჩნენ.

1704წ. ზაფხულში ოდიშის მთავარმა ოსმალთა მიერ დაკავებულ ციხეებზე მიიტანა იერიში. ოდიშის მთავარს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამ დროს აფხაზებიც ეხმარებოდნენ. ქუთაისის ყადის ელჰაჯ ომერის 1704წ. 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ნათქვამია, რომ დადიანი მორჩილებიდან გამოვიდა, ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე აფხაზები შეუერთდნენ და რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს. თუმცა ოსმალებმა ეს ციხეები მალევე დაიბრუნეს.³ ოდიშის ლაშქარი აფხაზებთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა, თავს ესხმოდა ციხეებში გამაგრებულ ოსმალებს და აწიოკებდა.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ერთი ცნობის თანახმად, 1711წ. ივნისში სოხუმის ციხის

¹ **მეჰმედ რაშიდი.** ისტორია. ტ II. – წგნ.: *მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ.* თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო **გ. ჩოჩიევმა**, თბ., 1976, გვ. 25.

² **ი. ტაბაღუა.** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა. თბ., 1972, გვ. 63.

³ *ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ.* XVII-XVIII სს. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა **ნ. შენგელიამ.** თბ., 1982, გვ. 21, 23-27.

ზღვიდან და ხმელეთიდან დაცვის გაძლიერებისათვის, ციხის ოთხივე კოშკზე დამატებითი ქვეშეხები და სამხედრო რაზმი გაიგზავნა.¹ 1714წ. დიდი სიძნელები შეჰქმნიათ რუხისა და ანაკლიის ოსმალთა მეციხოვნეებს „აფხაზ და მეგრულ ურწმუნო ყაჩაღთა“ თავდასხმების გამო. ოსმალები იძულებული გახდნენ რუხის ციხე დაეცალათ, თუმცა 1719წ. მიწურულს ოსმალებმა ციხე კვლავ დაიკავეს და 65 მეციხოვნე ჩააყენეს.²

20-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართულებით რუსეთის იმპერია გააქტიურდა. რუსეთის იმპერატორი პეტრე I მოკავშირედ ქართლის მეფე ვახტანგ VI გამოვიდა. ისახებოდა ქართველი და რუსი სამხედრო ძალების ერთობლივი მოქმედებების გეგმები, რაც საფრთხეს უქმნიდა კავკასიაში საუკუნეებით დამყარებულ ძალთა ბალანსს ოსმალეთსა და ირანს შორის. რუსეთის სამხედრო წარმატებებმა, ურთიერთობამ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ოსმალეთის მმართველი წრეების შეშფოთება გამოიწვია. 1723წ. ოსმალეთმა, რომელმაც სეფიანთა დინასტიის დაცემის (1722წ.) შემდეგ ირანის ჩრდილოეთი და ცენტრალური ოლქები დაიკავა (1723წ.), სასწრაფოდ გადმოისროლა დამატებითი ძალები კავკასიაში და რუსეთი აიძულა, შეეწყვიტა წინსვლა კასპიისპირეთში.

1723წ. ივნისში ოსმალებმა თბილისი აიღეს. თავიდან ააშენეს ფოთისა და სოხუმის ციხეები, დაარღვიეს რუხის ციხე და მისი ქვებით კიდევ უფრო გაამაგრეს ანაკლია. ოსმალთა მეციხოვნეები ჩადგნენ ციხისძირში, ანაკოფიასა და ბიჭვინთაში.³ ერთი ოსმალური წყაროს ცნობით, 1722წ. სოხუმის ციხეს ფლობს

¹ *TC Başbakanlık Arşivi*. Tarih: 08/Ca/1123 (Hicri) Dosya No:74 Gömlek No:3464 Fon Kodu: C.AS.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

² *ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და...*, გვ. 90-92, 97.

³ **ქ. ჩხატარაიშვილი**. საგარეო და საშინაო ვითარება XVIIIს. დასაწყისში. ოსმალთა ბატონობის დამძიმება. სამთავროები XVIIIს. პირველ ნახევარში. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო. გურიის სამთავრო. აფხაზეთის სამთავრო. სვანეთი. თურქეთთან ურთიერთობა. ურთიერთობა რუსეთთან. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 461-462.

როსტომ-ბეგის ძმისწული გიორგი.¹ 1723წ. სულთანმა აფხაზეთის მთავარს, როსტომ-ბეგს წყალობის ნიშნად ხალათი გამოუგზავნა, მოსახლეობას კი დიდი რაოდენობით მარილი. ოსმალეთი აფხაზეთს თავის ვასალ და დამორჩილებულ ქვეყნად თვლიდა, მაგრამ მთავარს მაინც არ ენდობოდა.² 1725წ. ოსმალებმა ფოთში ორთუდიანი ფაშა დასვეს და მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს.³

ამრიგად, ოსმალეთი დაეუფლა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებს. მოსახლეობა ოსმალთა ძალადობას არ ურიგდებოდა. ოსმალო მემატინანის ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობით, აფხაზები ზღვიდან და ხმელეთიდან ნიადავ თავს ესხმოდნენ ოსმალებს, რომლებიც სოხუმში ციხეს აშენებდნენ.⁴ 1725წ. გაზაფხულზე ოდიშის მთავარი ბეჟან დადიანი და იმერეთის მესვეურები ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ეს გამოსვლა ვერ განხორციელდა. აფხაზებმაც უშედეგოდ სცადეს ოსმალთა განდევნა სოხუმის ციხიდან.⁵

რუსეთის ღესპანი სტამბოლში ა. რუმიანცევი და რეზიდენტი ი. ნეპლიუევი იტყობინებოდნენ: „სამეგრელოს ცნობილი მთავრის ბეჟან დადიანის მიერ დაწყებული არეულობა იზრდება და თითქოს აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ახლადაგებული ერთ-ერთი ციხიდან თურქები განდევნეს“-ო; 1726წ. 22 ივნისს ა. რუმიანცევი იტყობინებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთში ახალი არეულობის შესახებ; 1728წ. აფხაზებმა ისევ შემოარტყეს ალყა სოხუმის ციხეს. ოსმალები ეჭვობდნენ, რომ დასავლეთ საქართვე-

¹ **ქათიბ ჩელები.** ისტორიულ მოვლენათა კალენდარი „ჯიჰან ნუმა“. – წგნ.: *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **გ. ალასანიამ.** თბ., 1978, გვ. 134.

² **Ismail Hakki Uzuncarşılı.** Osmanlı Tarihi. IV. Ankara, 1973, გვ. 129.

³ **შ. ბურჯანაძე.** ლიხთ-იმერეთის 1737წ. რუკა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყარო. – *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე.* I. თბ., 1959, გვ. 183.

⁴ **ნ. შენგელია.** XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974, გვ. 116.

⁵ **ქ. ჩხატარაიშვილი.** საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. დასაწყისში... გვ. 467.

ლოში ანტიოსმალური გამოსვლები რუსეთის მხარდაჭერით ხორციელდებოდა და მას ქართლის დევნილი მეფე ვახტანგ VI (1703-1724წწ.) ხელმძღვანელობდა.¹

1728წ. ახალციხელი ისაყ ფაშას შვილმა აფხაზები შემოირიგა, ხოლო ანტიოსმალური ბრძოლის მოთავე ბეჟან დადიანი ღალატით მოაკვლევინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ საქართველოში არ ჩამცხრა. ოსმალებმა ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, სრული დამორჩილება. დამპყრობლები დაკავებულ ციხეებშიც თავს მყარად ვერ გრძნობდნენ.²

ეს იყო პერიოდი, როდესაც შარვაშიძეები, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „არავის მორჩილებასა შინა“ არ იმყოფებოდნენ“.³ 1730წ. გაზაფხულზე ოსმალებმა გადაწყვიტეს ბათუმიდან აზოვამდე ზღვის სანაპიროს საბოლოოდ დაპყრობა და ჯიქების დამორჩილება. ლაშქრობას, რომელშიც იმერეთის მეფეც მონაწილეობდა, ფოთის ფაშა სარდლობდა. ოსმალებმა ოდიში მთარბიეს. „არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუენიდნენ, სადავის ჰპოვებდნენ, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი, – შევიდნენ ოსმალნი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპნეს დახატულებანი და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს“. აფხაზთა მთავარმა წინააღმდეგობა გაუწია მათ, მაგრამ დამარცხდა და მორჩილება გამოაცხადა. ოსმალებმა მთავარი და მისი ახლობლები ძალით გაამაჰმადიანეს, რის შემდეგაც ჯიქეთისაკენ დაიძრნენ. იმერეთის მეფე მიხვდა, რომ ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობას მხოლოდ უბედურება მოჰქონდა მისი ქვეყნისთვის, ამიტომ თავისი

¹ Г. Г. Паичадзе. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века. Тб., 1977, გვ. 63, 79.

² ს. ჯიქია. დოკუმენტები ოსმანთა გარნიზონის სოხუმში ყოფნის ეპიზოდის შესახებ. – კრებ.: „საქართველო და აღმოსავლეთი“. თბ., 1984, გვ. 217-223.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 784.

ლაშქრით გზიდან გამოიპარა. მალე აფხაზებიც აჯანყდნენ და ოსმალებმა ვეღარ გააგრძელეს ლაშქრობა. აფხაზებმა მათი დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი გაიქცა. ფაშამაც გაქცევით უშველა თავს.¹ მოგვიანებით ოსმალებმა კვლავ აღადგინეს თავიანთი გავლენა აფხაზეთზე. 1730-31 წლებში სოხუმის ციხეში ალი არს-ლან ბეგის ხელმძღვანელობით ოსმალთა 70-დან 100-მდე მეციხოვნე იდგა; 1731-1735 წლებში ოსმალთა 70 კაციანი გარნიზონი ანაკოფიის ციხეშიც იდგა.²

აფხაზები, ოდიშთან დაპირისპირების მიუხედავად, ქართველებთან ერთად ებრძოდნენ დამპყრობლებს, ამავე დროს მონაწილეობდნენ ფეოდალურ შინაომში და ამ ბრძოლაში ოდიშის მთავარს უჭერდნენ მხარს. მალე ანაკოფიიდან და ბიჭვინთიდან ოსმალებმა მეციხოვნეები გაიყვანეს, სამაგიეროდ, ოსმალებმა სოხუმის ციხე გააძლიერა. 1737წ. სოხუმში ორთულაიანი ფაშა იჯდა, რომელსაც ანაკლიის ციხეც ემორჩილებოდა. სოხუმის ციხის გარნიზონი 200 იანიჩარისაგან შედგებოდა, ხოლო შეიარაღებაში 60 ქვემეხი ჰქონდა.³

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ერთი დოკუმენტის მიხედვით, სოხუმის ციხე სიმაგრეში ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი რაზმები მსახურო, ოსმალეთის ხელისუფლება მათ სამსახურისათვის ჯამაგირს უხდიდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც 1745წ. 25 თებერვლით არის დათარიღებული, სოხუმის ციხეს ორას ოცი ადგილობრივი დაქირავებული მეომარი იცავდა, რომელთაც წლიური ანაზღაურების სახით ოსმალეთი ჯამაგირს უხდიდა.⁴

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა... გვ. 887-888.

² ნ. შენგელია. ოსმალური „ქუჩუქ ბერათები“ სოხუმის ციხის შესახებ. – კრებ.: „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“. თბ., 1991, გვ. 311-314; Н. Н. Шенгелия. Османские арзы 30гг XVIII в. О крепостях Сухуми и Анакопия. – წგნ.: *Вопросы истории народов Кавказа*. Сборник статей посвященных памяти З. В. Анчабадзе. Тб., 1988, გვ. 274-286.

³ შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737წ. რუკა... გვ. 123, 225-226.

⁴ *TC Başbakanlık Arşivi*. Tarih: 23/M /1158(Hicri), Dosya No:671, Gömlek No:28193; Fon Kodu: C..AS.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

შინაომებისა და ოსმალთა შემოსევებისაგან დასავლეთ საქართველო საშინლად იყო აოხრებული. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აფხაზეთშიც, რომელიც შინაურმა არეულობამ მოიცვა. აფხაზთა მთავრები ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას. შავი ზღვის სანაპიროზე ტყვის მსყიდველები თარეშობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აფხაზები აქტიურობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აფხაზები „დაუხდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა“.¹ ისინი მოულოდნელად ადგებოდნენ ნაპირს, ვისაც მოიხელთებდნენ, იტაცებდნენ და ოსმალებზე ყიდდნენ, ან აფხაზეთში მონებად ასახლებდნენ.² ამასთან, აფხაზეთის მთისწინეთი და ზღვისპირი, ხშირად განიცდიდა მეზობელი მთის ტომების თავდასხმებს.³

აფხაზთა მეზობელმა მთის ტომებმა წებელისა და დალის თემების მკვიდრთა მხარდაჭერით – მძარცველური თავდასხმის დროს მობრძიეს დრანდა, მერხეული, კვიტოული, დიდძალი ნადავლი და ტყვე იგდეს ხელთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. აფხაზთა მთავარი ჯიქეშია ამ ტომების მეთაურებთან მოსალაპარაკებლად გაემართა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მაგრამ უკან დაბრუნებული მთავარი ღამით ტყვეში გადაწყდა მარბიელთა ჯგუფს და მათთან შეტაკებაში დაიღუპა.⁴

აფხაზთა სამთავრო ტახტზე ჯიქეშიას უფროსი ვაჟი მანუჩარი ავიდა. ამ პერიოდში ოსმალებმა მოახერხეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება. ოსმალები მხარს უჭერდნენ სამთავრო სახლის მოწინააღმდეგე ძალებს. XVIII ს. 30-იან წლებში ოსმალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს მანუჩარ შარვაშიძე და ორ უმცროს ძმასთან – ზურაბთან და შირვანისთან ერთად ოსმალეთში გააგზავნეს, სადაც ძალით გაამაჰმადიანეს. აფხაზეთს, ოსმალების მიერ სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქი, ასლან-ბეი გეჩი მართავდა. დიდი გავლენა მოიპოვა სამთავრო სახლის მეტოქე ძაფშ-იფების საგვარეულომ, რომლის გაძლიერებასაც მხარს უჭ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა., გვ. 785.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 156.

³ Ф. Ф. Торнау. Воспоминания кавказского офицера, ч. I. М., 1864, გვ. 45.

⁴ К. Д. Мачавариани. Описательный путеводитель по г. Сухуму и Сухумскому округу. Сухум, 1913, გვ. 246.

ერდა ასლან-ბეი გენი. ძაფშ-იფებმა დაიკავეს სოხუმის მიდამოები, ტერიტორია მდინარეებს ფსირცხასა და კოდორს შორის და მთავრის კუთვნილი მთელი რიგი ფეოდალური შემოსავლები მიითვისეს.¹

ოსმალეთი ღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შარვაშიძეთა მეშვეობით განმტკიცებას აფხაზეთში, შარვაშიძეებმაც მალე მოახერხეს ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვა. 1744წ. მანუჩარ შარვაშიძე ბათუმის ბეგად იჯდა, ზურაბი – სოხუმისა, ხოლო შირვანი ფაშას ტიტულით განაგებდა რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს „ამოდმა“.² ერთი ცნობით, ზურაბი ღიდი პატივით მიიღეს აფხაზეთში, მაგრამ გაქრისტიანება მოსთხოვეს, ისიც მონათლა ილორის ეკლესიაში და ამის შემდეგ დაიკავა სამთავრო ტახტი.³ ამ ცნობის მიხედვით, ჩანს, აფხაზეთში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტრადიცია, რომ აფხაზეთის მთავარი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო.

ზურაბს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ამიტომ ოსმალეთიდან ჩამოიყვანა თავისი ძმისწული ქელაიშ-აჰმედ-ბეი (ქელეშ-ბეი), მანუჩარის ძე, რომელიც ახალგაზრდობიდან მძევლად იყო სტამბოლში, და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. შემდეგ, ზურაბმა ბათუმიდან ჩამოიყვანა მეორე ძმისწული ბექირ-ბეი შერვანის ძე, რომელსაც აბუყა უბოძა. აფხაზთა მთავარმა ძაფშ-იფების ძლიერი და გავლენიანი საგვარეულოს მისამხრობად მათი ასული შერთო ქელეშ-ბეის, რასაც ძაფშ-იფების ოპოზიციის რამდენადმე შესუსტება მოჰყვა.⁴

XVIII ს. შუა ხანებში, აფხაზეთის საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას ოღიში ესაზღვრებოდა; ჩრდილო-დასავლეთით – მდ. ბზიფზე (კაპკეტის წყალი), სადაც ჯიქეთი ესაზღვრებოდა.⁵ მდ. ღალიძგასა და მდ. ენ-

¹ ბ. სორაგა. ოღიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996, გვ. 131.

² ქ. ჩხატარაიშვილი. საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. დასაწყისში..., გვ. 469.

³ К. Д. Мачавариани. Описательный путеводитель..., გვ. 247.

⁴ ბ. სორაგა. ოღიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 131-132.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 783.

გურს შორის მდებარე ტერიტორია – სამურზაყანო – ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ამ მხარის მმართველებად აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ. ამის გამო სამურზაყანოს აღმნიშვნელად ამ ხანის ქართულ წყაროებში მკვიდრდება ტერმინები: „ზემო აფხაზეთი“ და „სამურზაყანო-აფხაზეთი“. ეს რეგიონი კვლავ ქართველებით დასახლებულ და კულტურულად ქართულ მხარედ რჩებოდა და ოდიშის შემადგენლობაში იმყოფებოდა. აღსანიშნავია სამურზაყანოს მამინდელი მფლობელის ხუტუნია შარვაშიძის თავდადება ხრესილის ბრძოლაში (1757წ.), როცა ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სოლომონ I-ის მეთაურობით ოსმალები დაამარცხა. ეს თავდადება სამშობლოსათვის ბრძოლის მაგალითს წარმოადგენს.¹

XVIII ს. 60-იან წლებში აფხაზეთში ოსმალური გარნიზონი მხოლოდ სოხუმის ციხეში იდგა. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩის, მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელის მიერ 1769წ. შედგენილ იმერეთის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ სოხუმი არის ნავსადგური და ციხე, სადაც ოსმალთა გარნიზონი იდგა.² რუსი ოფიცერი, კაპიტანი იაზიკოვი 1770წ. მოხსენებაში, შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეთა შორის ასახელებს აყუს, ანუ სოხუმს, სადაც დგას ოსმალთა გარნიზონი და მცხოვრებნიც ყველანი თურქები არიან.³ თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის, იმავე წელს, სტამბოლიდან სოხუმისა და მახლობელი ციხესიმაგრეებისათვის ზარბაზნის ჭურვები და თოფისწამალი გაიგზავნა.⁴

XVIII ს. II ნახევარში, დასავლეთ საქართველოში გააქტიურდა ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც მნიშ-

¹ ბ. ხორაგა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 132.

² ბ. ხორაგა. აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე. – *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007, გვ. 200.

³ ბ. ხორაგა. აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან..., გვ. 261.

⁴ *TC Başbakanlık Arşivi*. Tarih: 06/Ş /1184 (Hicrî), Dosya No:336, Gömlek No:13941, Fon Kodu: C..AS.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

ვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ იმერეთ-ოდიშ-გურიის მესვეურნი ერთად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა კარგად იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად საკუთარი ძალები საკმარისი არ იყო, ამიტომ როგორც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798წწ.), სოლომონიც რუსეთთან კავშირს ეძიებდა. 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი (1768-1774წწ.) დაიწყო. ომის თეატრმა ამიერკავკასიაც მოიცვა. ერეკლე II და სოლომონ I რუსეთის დახმარებით ფიქრობდნენ ოსმალთა განდევნას საქართველოდან.

1769წ. საქართველოში რუსეთის საექსპედიციო კორპუსი შემოვიდაგენერალ ტოტლებენის მეთაურობით, რომელიც 1770წ. ივნისიდან, ქართველებთან ერთად, თითქმის ორ წელს დასავლეთ საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს ეწეოდა. მოკავშირეთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს შავიზღვისპირეთიდან ოსმალების განდევნა იყო. 1770წ. ოქტომბერში რუსეთის კორპუსი ფოთისკენ დაიძრა. კორპუსის სამეგრელოში შემოსვლისას, ოსმალებმა რუხისა და ანაკლიის ციხეები დაცალეს და ისინი ოდიშის მთავარმა დაიკავა. ამის შემდეგ ტოტლებენმა დადიანთან ერთად ფოთს ალყა შემოარტყა, რომელიც სამთვენახევარს გაგრძელდა. 1771წ. თებერვალში, სოლომონ I-მა ტოტლებენს აცნობა, რომ ზურაბ და ქელემ-ბეი შარვაშიძეები აპირებდნენ, რუსეთის კორპუსს თავს დასხმოდნენ, რათა აეძულებინათ, ფოთს გასცლოდა. ეს ცნობა დადასტურდა. აფხაზები თავს დაესხნენ რუსთა კორპუსს და ცხენები გაიტაცეს.¹

1771წ. ზაფხულში, რუსთა კორპუსმა ფოთს კვლავ შემოარტყა ალყა, თუმცა ისევ უშედეგოდ. ოდიშის ლაშქრის შემადგენლობაში ფოთთან იბრძოდა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც თავისი რაზმით. იმავდროულად აფხაზები აჯანყდნენ ოსმალების წინააღმდეგ. აფხაზთა მთავარმა ზურაბ შარვაშიძემ და სამურზაყანოს მფლობელმა ლევან შარვაშიძემ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს სოხუმის ციხე და ოსმალები

¹ გ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. II. თბ., 1968 გვ. 42-45.

განდევნეს, მაგრამ მალე უთანხმოება ჩამოვარდა ზურაბ და ლევან შარვაშიძეებს შორის და ლევანმა ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ ციხე ოსმალებს გადასცა.¹ ამ ამბების შემდეგ ოსმალეთი უკვე აღარ ენდობოდა ზურაბ შარვაშიძეს და ყოველმხრივ უჭერდა მხარს ქელემ-ბეის, თუმცა ამჯერად ვერ გადაწყვიტა ზურაბისათვის მთავრობის ჩამორთმევა. 70-იან წლებში იმერეთის ციხეებიდან ოსმალები განდევნეს. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წლის 10 ივლისი) დადების შემდეგ, ოსმალეთი ხელდავდა, რომ იმერეთს კარგავდა, ამიტომ ოდიშში ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას. ასეთ ვითარებაში, ოსმალეთმა ხელი შეუწყო აფხაზი „ბატონების“ ლაშქრობას ოდიშზე. ოსმალები შეუთანხმდნენ აფხაზებს; ზურაბ შარვაშიძე, სოხუმის (აყუს) ციხის მფლობელი ქელემ-ბეი და აბუყას მფლობელი ბეჟირ-ბეი შეკავშირდნენ; ოდიშის მთავარს განუდგა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც და ისიც ხსენებულ შარვაშიძეებს შეუერთდა.² „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისი ბატონებით, შარვაშიძეები, ჯიქი, ალანი, და ჩერქეზი, სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო ცხენოსანი და ქვეითი ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით“ და ოდიშისაკენ დაიძრნენ.³

ზოგიერთი წყაროს ცნობით, ამ ლაშქრობას მთავარი ზურაბ შარვაშიძე კი არ სარდლობდა, არამედ ქელემ-ბეი. საფიქრებელია, რომ ოსმალები სწორედ ქელემ-ბეის შეუთანხმდნენ ლაშქრობაზე და ზურაბმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.⁴

კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონმა თავის ლაშქარს სოფ. ბანძაში უბრძანა თავმოყრა, აქვე დაიბარა გურიელიც. ბანძიდან მეფე თავისი ჯარით

¹ ი. რაინფსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო *გ. გელაშვილმა*. თბ., 2002. გვ. 110; *Ф. Дюбуа де Монпере*. Путешествие вокруг Кавказа т. I, Сухуми, 1937, გვ. 117.

² *ქ. ჩხატარაიშვილი*. დასავლეთ საქართველო XVIIIს. 70-80-იან წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 665.

³ *ქ. ჩხატარაიშვილი*. დასავლეთ საქართველო XVIIIს. 70-80-იან წლებში, გვ. 665.

⁴ *ბ. ხორავა*. აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან..., გვ. 261.

მალევე მივიდა რუხის ციხემდე. ბრძოლა გაიმართა 1780 წლის მარტში სოფ. რუხში. ნ. დადიანი ბრძოლის სურათს ასე გადმოგვცემს: „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდენ აფხაზნი და მოურიდებლად გამოვიდნენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათსა. მეორესა დღესა ამხედრდენ აფხაზნი და წარმოემართნენ ზარბაზან-არტილერიითა და დიდძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზედა. აქათ მიეგებნენ სპანი მეფისა და დადიანისანი და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რაოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერეთ-ოდიშართასა და მიუხტა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა განგლიჯა რაზმი, და შევიდენ სპანი მეფისა და დადიანისა რაზმსა შუა და მხილველი ამისი აფხაზნი ვერ წინააღუდგენ, და ივლტოდენ აფხაზნი და გაემარჯვათ სახელოვნად მეფესა და დადიანსა“.¹

რუხის ბრძოლამ, რომელიც იმერთა და ოდიშართა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ბოლო მოუღო აფხაზების შემოტევას ოდიშის სამთავროზე. ეს ბრძოლა ქართველობამ თავიდანვე აღიქვა, როგორც ბრძოლა ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის. მთიელთა ზურგს უკან ოსმალეთი და მისი ვასალი ყირიმის ხანი იდგნენ.

XVIII-ის აფხაზეთი გამოირჩევა საერთოქართულ სამყაროსთან შესუსტებული კავშირით და ოსმალეთის დომინირებადი გავლენით. გაიზარდა სამთავროს ტერიტორია, ცვლილებები მოხდა აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში, ვრცელდება მუსლიმანური რელიგია. მიუხედავად ამისა, სამთავროს ოფიციალური ენა არის ქართული, შარვაშიძეები კი ქართველი წარჩინებული წოდების ნაწილად რჩებიან.

XVIIIს. დამლევს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის, რუსეთთან ყირიმის სახანოსა და დუნაისპირეთის გარშემო გამძაფრებული დაპირისპირებების ფონზე, ოსმალეთი ცდილობს აფხაზეთში პოზიციების განმტკიცებას. ოს-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო *შ. ბურჯანაძემ*. თბ., 1962, გვ. 180.

მაღლეთი შეეცადა თავიდან მოეშორებინა პროქართულად განწყობილი ზურაბ შარვაშიძე და მის წინააღმდეგ ქელემ-ბეი წააქეზა. „დროსა ამას, – წერს ნ. დადიანი, – შეიშურვენ ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს და ძმისწული მისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აყუს და მიმდგომსა მისსა.“ ზურაბ შარვაშიძემ ოდიშის მთავარ კაცია დადიანს სთხოვა დახმარება. დადიანმა სასწრაფოდ შეყარა ლაშქარი, სარდლად თავისი ძმა გიორგი ჩაუყენა და აფხაზეთში გაგზავნა. „მივიდნენ რა აფხაზეთს, ურჩნი ზურაბისანი მოსწვევს, მოსწვევიდეს და შემდგომად მოადგნენ ცხომის ციხეს.“ მეციხოვნეების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად გიორგი დადიანის ძემ ციხე აიღო და ურჩნი ისევ ზურაბ შარვაშიძეს დაუმორჩილა.¹

როგორც ვხედავთ, ზურაბ შარვაშიძემ დადიანის დახმარებით შეინარჩუნა ხელისუფლება. ოდიშისათვის, აფხაზეთის ტახტზე სასურველი იყო პროქართული ორიენტაციის ზურაბ შარვაშიძე, ვიდრე ოსმალეთის ერთგული ვასალი ქელემ-ბეი. მიუხედავად განცდილი მარცხისა, ოსმალეთი აფხაზეთში ხელისუფლების შესაცვლელად ქელემ-ბეისა და მის მომხრეებს იყენებდა. 80-იანი წლების დასაწყისში ქელემ-ბეიმ ოსმალთა დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო ზურაბ შარვაშიძე და თვითონ გამთავრდა. იმავდროულად, პოლიტიკური მოსაზრებებით, მთავრის რეზიდენცია ლიხნიდან, სამთავროს ძველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრიდან, სოხუმის ციხეში გადმოიტანა, სადაც ოსმალთა მეციხოვნეები იდგნენ.²

ქელემ-ბეი მტკიცე მმართველი გამოდგა. დაქუცმაცებული სამთავროს გაერთიანებასა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში მან მაქსიმალურად გამოიყენა ოსმალეთის მხარდაჭერა, ამასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ჯიქებთან და უბიხებთან.

კაკკასია, და განსაკუთრებით საქართველო, თურქი ისტორიკოსების აღიარებით, ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტი-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 82; Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России. – Труды, I. Сухуми, 1988, გვ. 22.

კაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, ყირიმის სახანოს რუსთა მიერ დაპყრობისა და საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის გარემოებებიდან გამომდინარე. მანამდე ოსმალეთის იმპერია დიდ ყურადღებას არ უთმობდა კავკასიის მიმართულებას. „ჩერქეზები, აფხაზები და სხვა ტომები ოსმალეთის სახელმწიფოს სუვერენობას სამართლებრივი თვალსაზრისით არ სცნობდნენ და მხოლოდ ოსმალეთის ქვეშევრდომ ყირიმის ხანთან ურთიერთობდნენ.¹

რუსეთის მხრიდან კავკასიაზე ექსპანსიის დაწყებამ ოსმალეთი შეაშფოთა, რადგან მისი გავლენა დასავლეთ კავკასიაზე სუსტი იყო. ოსმალეთის მხრიდან ჩერქეზებთან ურთიერთობა, მათში ისლამის გავრცელება ტრადიციულად ყირიმის ხანზე იყო მინდობილი, მაგრამ ყირიმის სახანოზე რუსეთის მხრიდან განხორციელებული შეტევისა და რუსეთის სამხრეთით წინსვლის აღსაკვეთად, ოსმალეთმა ანაპის ციხის გამაგრება გადაწყვიტა. 1780-1784 წლებში ოსმალთა დიდმოხელემ, წარმოშობით ქართველმა ფერაჰ ალი ფაშამ, მის მიერ გამაგრებული ანაპის ციხე რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტომების დასაყრდენად და თავშესაფრად აქცია.² ფერაჰ ალი ფაშამ ანატოლიიდან, სივასის, სინოპის, ამასიისა და თოკატის ოლქებიდან ანაპაში 10 ათასამდე ჯარისკაცი ჩამოაყვანინა, რომელთაგან მრავალმა მთიელ ქალებთან შექმნა ოჯახები და იქვე დასახლდა. ამ გარემოებას შემდგომშიც ჩერქეზთა მძაფრი ანტირუსული გამოსვლებისათვის ნიადაგი უნდა შეემზადებინა. 1785 წელს გარდაცვლილი ფერაჰ ალი ფაშა იმავე წელს ასევე წარმოშობით ქართველმა (აჭარელმა) ბიჯანოლლუ ალი ფაშამ შეცვალა.³

ოსმალეთის მიზანი ანაპიდან ჩერქეზ და აფხაზ წარჩინებულებს შორის ისლამის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა და მთიელებისადმი ოსმალეთის იმპერიის ძლიერებისა და მორალუ-

¹ A. Cevdet. Tarih, III. – წგნ.: Ahmet Cevdet Paşa. Tarihi-Devlet, I-XII. İstanbul, 1894, გვ. 162.

² C. Gökçe. Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğu'nun Kafkasya siyaseti. İstanbul, 1979, გვ. 51.

³ C. Gökçe. Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğu'nun Kafkasya siyaseti, გვ. 51; İ. Berkok. Tarihte Kafkasya. İstanbul, 1958, გვ. 321.

რი ავტორიტეტის დემონსტრირება იყო. თავდაპირველად მთიელები მუსლიმანობაზე უნდა მოექციათ, ამას სამხედრო და პოლიტიკური კავშირებიც მოჰყვებოდა. ფერაჰ ალი ფაშამ და მისმა შემცვლელებმა შეიძლება ითქვას ამ ამოცანას კარგად გაართვეს თავი. აფხაზეთს, ოსმალეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებოდა, ამასთანავე აფხაზეთის სამთავროს ხელისუფლებაში ერთგული ვასალის, მუსლიმანი ქელემ ბეის ყოფნა, ოსმალეთს აძლევდა გარანტიას, რომ აფხაზეთი არ გაერთიანდებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან.

ოსმალებმა თავიანთი გავლენა გაავრცელეს ჩერქეზებში, მხოლოდ ვერ შეძლეს ყაბარდოელების გადმობირება, რომლებიც XVI საუკუნიდან რუსეთთან სიახლოვეს იცავდნენ.¹ რუსეთ-ოსმალეთის გამწვავებული დაპირისპირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სოხუმი იქცა. ოსმალეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოხუმის ციხისა და ნავსადგურის შენარჩუნებასა და გაძლიერებას. 1788 წლის 9 აგვისტოთი დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივშია დაცული, აღნიშნულია, რომ აუცილებელია სოხუმის ციხის გაძლიერება სამხედროებითა და სურსათით გარნიზონის მომარაგების გაუმჯობესება, რადგან სოხუმი მტრებით არის გარემოცული. დოკუმენტში ასევე ნათქვამია: „საქართველოს მფლობელები მოსკოველებს (რუსებს-ზ.წ.) უწვევენ დახმარებას და ქართველების საწინააღმდეგოდ საჭიროა სანაპიროს ჩერქეზების ამხედრება, ამისათვის ჩერქეზებს ძვირფასი საჩუქრები უნდა გაეგზავნოთ“.²

სოხუმის მნიშვნელობა ოსმალეთისათვის იქიდანაც ჩანს, რომ აქ ოსმალეთის სულთნის სელიმ III ბრძანებით დაარსდა გემთსაშენი, სადაც ოსმალური ფლოტისათვის სამხედრო გემი აშენდა. თურქი ისტორიკოსის ენვერ ზია კარალის ნაშრომში

¹ **B. Habiçoğlu.** Kafkasya'dan Anadolu'ya Göçler. İstanbul, 1993. გვ. 99-100.

² *TC Başbakanlık Arşivi.* Tarih: 07/Za/1202 (Hicri), Dosya No:1179, Gömlek No:52527, Fon Kodu: C..AS.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>

„სელიმ III ხანაში ოსმალეთის ფლოტის შესახებ დოკუმენტები“; დასახელებულია ოსმალური ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სელიმ III მმართველობის დროს აგებულ გემების აღწერას შეიცავს. დოკუმენტში, იმპერიის სხვა გემთსაშენებს შორის დასახელებულია სოხუმის გემთსაშენიც.¹ ქელემ ბეის მიერ სოხუმში 60 ქვემეხიანი ხომალდის აგებისა და ოსმალეთის სულთნისთვის საჩუქრად გაგზავნის შესახებ ნახსენებია ცნობა 1810 წლის 24 მარტით დათარიღებულ გენერალ ტორმასოვის წერილში.² ოსმალური წყარო ადასტურებს გემის აშენების ფაქტს, მაგრამ მოჰყავს ტორმასოვის მიერ დასახელებული გემისაგან განსხვავებული მახასიათებლები.³

სოხუმში ოსმალების მიერ გემთსაშენის აგება განაპირობა რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესების შეჯახებამ კავკასიაში. 1789 წელს სულთნის ტახტზე ასულმა სელიმ III მიზნად დაისახა ევროპული ყაიდის არმიისა და ფლოტის შექმნა. ევროპიდან მოიწვიეს გემთმშენებელი სპეციალისტები, რომელთაც ახალი გემთსაშენების დაარსება, არსებულთა რეკონსტრუქცია და ამ გემთსაშენებში ოსმალეთის სამხედრო ფლოტისათვის ხომალდების აგება დაევალოთ. ოსმალეთის მნიშვნელოვან ქალაქ-ნავსადგურებში ახალი გემთსაშენების აგება გადაწყდა. სულთნის ბრძანებით მთავარი გემთსაშენების აშენების ადგილებად დადგინდა სტამბოლი, ბოდრუმი, გემლიქი, კალაისულტანიე, მიდილი, კვიპროსი, ქემერი, კალასი, სილისტრე და სოხუმი. ყოველ გემთსაშენს შეუდგინეს ხითა და საიალქნეებით მომარაგების, გემთმშენებელი სპეციალისტებისა და მუშახელის რაოდენობისა და დასაქმების გეგმა. 1791-1799 წლებში ამ ნავსადგურებში აშენდა და ზღვაში გავიდა 45 გემი. ოსმალეთის ფლოტისთვის ახლადაშენებული გემების ქვემეხთა საერთო რიცხვი 2329, ხოლო მეზღვაურთა და ჯარისკაც-

¹ E. Ziya Karal. Selim III devrinde Osmanlı Bahriyesi hakkında vesikalar. Maarif Matbaası, 1941, გვ. 7-9.

² *Акты Кавказской Археографической Комиссии*, IV. Тифлис, 1870, გვ. 450.

³ **ხ. წურწუშია**. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში. – *საისტორიო ძიებანი*, V. თბ., 2002, გვ. 130-132.

თა საერთო რაოდენობა 20495 კაცს შეადგენდა.¹

სოხუმში აშენებული ოსმალეთის სამხედრო ფლოტის ხომალდი, სახელწოდებით „კილიდ ულ ბაჰირ“, ოსმალური საზღვაო ტერმინოლოგიით „კალიონ ი კელით“–ის ტიპის იალქნიანი საბრძოლო გემი იყო. მისი სიგრძე 40 მეტრს შეადგენდა. ხომალდის კორპუსი ბრინჯაოს ფირფიტებით იყო შეჭვდილი, რაც გემს საზღვაო ბრძოლებისას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. „კილიდ ულ ბაჰირ“–ის შეიარაღება 28 ქვემეხისაგან შესდგებოდა და მასზე 300 მეზღვაური და ჯარისკაცი მსახურობდა.²

აღსანიშნავია, რომ „კილიდ ულ ბაჰირ“–ის აშენების შემდგომ ოსმალეთის ხელისუფლებამ სოხუმში გემთმშენებლობის შეწყვეტის განკარგულება გასცა. ოსმალურ დოკუმენტში ეს გადაწყვეტილება დასაბუთებულია შემდეგი არგუმენტებით: სოხუმის გემთსაშენი იმპერიის ცენტრიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, გართულებულია და დროზე არ სწარმოებს გემის მშენებლობისათვის აუცილებელი მასალების მიწოდება, არ არის საკმარისი რაოდენობით მუშახელი და გემთმშენებლობის სპეციალისტები.³ თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული დოკუმენტები შუქს ფენენ სოხუმში, ოსმალური სამხედრო საზღვაო ფლოტისათვის გემთმშენებლობის საკითხებს. 1793წ. 26 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ სოხუმის გამგებელი, მირლივა (შეესაბამება გენერლის სამხედრო წოდებას – ზ.წ) ქელემ აჰმედ ბეის მეცადინეობით, გემსაშენის აშენებისათვის მომარაგებული ხის მასალის საფასურად, გაიგზავნოს სოხუმში 34 ათას 600 ყურუში“.⁴ ამ ცნობის საფუძველზე, 1793 წელი უნდა ჩაითვალოს სოხუმში ოსმალეთის სამხედრო ფლოტისათვის გემსაშენის აგების დასაწყისად.

სოხუმში გემსაშენის მშენებლობისა და შემდგომში ამ გემსაშენში ოსმალეთის სამხედრო საზღვაო ფლოტისათვის ხომალ-

¹ E. Ziya Karal. Selim III devrinde Osmanlı Bahriyesi hakkında..., გვ. 1-3.

² E. Ziya Karal. Selim III devrinde Osmanlı Bahriyesi hakkında..., გვ. 7.

³ E. Ziya Karal. Selim III devrinde Osmanlı Bahriyesi hakkında..., გვ. 9.

⁴ TC Başbakanlık Arşivi. Tarih:18/M /1208 (Hicrî), Dosya No:193, Gömlek No:9079, Fon Kodu: C..BH.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

დის აგებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები სულთნის კანცელარიასა და აფხაზეთის მთავარს შორის წლების მანძილზე უთანხმოებისა და ვაჭრობის საგანი ყოფილა. ქელემ-ბეი მუდმივად მოითხოვდა თანხებს, რაც ოსმალეთის ხელისუფლების უნდობლობასა და უკმაყოფილებას იწვევდა. 1794 წლის 3 ნოემბრით დათარიღებულ ბრძანებაში სოხუმის გამგებელ ქელემ ბეისადმი აღნიშნულია, რომ სოხუმში ასაშენებელი სამხედრო გემისათვის გამოიყო ძალიან დიდი რაოდენობის თანხა, რის გამოც დამატებით რაიმე თანხის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება.¹ ორი წლის შემდეგ, სულთნის კანცელარია ისევ სწავლობს სოხუმში გემთმშენებლობის დაფინანსების საკითხს. ქელემ ბეი ამჯერადაც დიდ თანხას მოითხოვს და ოსმალეთის ხელისუფლება, იძულებულია ეს დაფინანსება გამოიყოს. 1796 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება სოხუმში გემთმშენებლობის დასაფინანსებლად დამატებით 7 ათას 500 ყურუში გამოიყოს.²

ოსმალეთის ხელისუფლება თავისი ვასალის, ქელემ-აჰმედ-ბეის დაფინანსებას დიდ ყურადღებას აქცევდა. ქელემ-ბეი, ჩანს, გემთმშენებლობის ხარჯების გაზრდას ხელოვნურადაც ცდილობდა. აფხაზეთის მთავრისათვის, ოსმალეთისგან მნიშვნელოვანი დაფინანსების მრავალჯერადი თხოვნა და მისი თხოვნის დაკმაყოფილება, აფხაზეთის ოსმალეთის იმპერიის მფარველობაში ყოფნის დამადასტურებელ და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შინადაპირისპირების ფონზე აფხაზეთის შეუვალობის გარანტიას წარმოადგენდა.

1793წ. ქელემ-ბეი მისთვის გადაცემული ანაკლიის ციხის შეკეთებისათვის სამოცი ათას ყურუშს ითხოვს ოსმალეთისაგან,³

¹ *TC Başbakanlık Arşivi*. Tarih: 09/R /1209 (Hicrî) Dosya No:187 Gömlek No:8794 Fon Kodu: C..BH. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

² *TC Başbakanlık Arşivi*. Tarih: 28/S /1211 (Hicrî) Dosya No:6 Gömlek No:296 Fon Kodu: C..BH.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>

³ *TC Başbakanlık Arşivi*. Tarih: 29/L /1207 (Hicrî) Dosya No:809 Gömlek No:34353 Fon Kodu: C..AS.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

1795წ. კი ოსმალეთის ხელისუფლება, ქელემ-ბეის სოხუმის ციხის გასამაგრებლად საჭირო სამუშაოების ჩატარებას ავალებს.¹ 1783წ. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გიორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ ოსმალეთი ყოველნაირად ცდილობდა დასავლეთ საქართველოში პოზიციების გამყარებას.

1784წ. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის მეფის ტახტი დავით გიორგის ძემ დაიკავა. იმერეთის მეფე კი რუსეთთან ანალოგიური ტრაქტატის დადების მიზნით 1784წ. პეტრებურგში აფხაზეთის კათოლიკოს მაქსიმე II აბაშიძეს, ზ. წერეთელს და დ. კვინიხიძეს აგზავნის. იმერეთის ელჩების შეხვედრამ ეკატერინე მეორესთან 1784წ. 29 დეკემბერს შედეგი ვერ გამოიღო.

1787 წლიდან მაქსიმე II, იმერეთის ახალ ელჩთან, ბესარიონ გაბაშვილთან ერთად აგრძელებს დიპლომატიურ საქმიანობას. ისინი ცდილობდნენ აფხაზეთის მხრიდან რუსეთის ჯარების შემოყვანას, აფხაზეთისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს ოსმალებისაგან გათავისუფლებას და ერთიანად რუსეთის მფარველობაში შესვლას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამასთან დაკავშირებით, კათოლიკოსი მაქსიმე II სამეგრელოს სამღვდელობას 1792წ. 27 ივლისს სწერდა, რომ რუსეთში იგი დარჩა „ამ მიზეზით: მაგ შავს ზღვის პირებზედ რომ ჯარი წამოვიდა, სათუოდ არა მქონდა, ანაფიას (ანაპის – ავტ.) ალების მერე აფხაზეთში და იმერეთში მოვლენ. ანაფია რომ აიღეს (1791წ. 22 ივნისს – ავტ.), იმასა და ბიჭვინთას შუა ორმოცდაათი ვერსის მეტი თურმე არ არის; ვილას ეგონა იმ მხარეს გაუშვებდნენ! მე ამას ვემზადებოდი: რაც იმ ჩვენ საყდარს (ბიჭვინთას – **ჟ.გ.**) ეჭირვებოდა, სულ ხელმწიფეს მოვახსენებ და წყალობას ვსთხოვ ყოველსავე საჭიროებასა იმ ჩვენის ეკლესიისა, და უთუოდ იმედიც იყო აღსრულებისა. მაგრამ ჩემის ცოდვის ძალით, ესეც უსრული შეიქმნა და საუკუნო ტკივილი დაშთა სულსა

¹ *TC Başbakanlık Arşivi*. . Tarih: 29/L /1207 (Hicrî) Dosya No:809 Gömlek No:34353 Fon Kodu: C..AS.. იხ. ელექტრონ. ვერსია: <http://www.devletarsivleri.gov.tr>.

შინა ჩემსა“.¹ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთიანად) გაერთიანების, ოსმალებისაგან მისი გათავისუფლების, ბიჭვინთის საკათოლიკოსო საყდრის აღდგენის ოცნება განუხორციელებელი დარჩა. მაქსიმე II სამშობლოში ვერ დაბრუნდა. 1795წ. 30 მაისს ის კიევში გარდაიცვალა და კიევ-პეჩორის ლავრაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.²

XVIII ს. 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა ფეოდალურმა შინაომმა, რომელშიც ქელემ-ბეიცი ჩაერია. იმერეთის მეფემ, სოლომონ II-მ (1789-1810წწ.) მიზნად დაისახა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. ამას საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც ხელს უწყობდა. ოსმალეთის იმპერიამ, რომელიც სეპარატისტულ ძალებს უჭერდა მხარს, ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო და სათანადო კონტროლს ვერ უწევდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამით ისარგებლა სოლომონ II-მ და ხელმწიფის პრეტენზიები გამოხატა. იგი თავს „ქუჭმოისა ივერიისა და სხუათა მეფეს“ უწოდებდა. მეფის მარჯვენა ხელი სოლომონ ლიონიძე წერდა, რომ „აფხაზეთი უძველესი დროიდანვე იმერეთისა იყო“. იმერეთის მეფე სამეგრელოს მთავარს დადიანს ურჩ ვასალად, „ყმად“ მიიჩნევდა, რომელსაც მეფისადმი ურჩობის უფლება არ ჰქონდა.³

იმერეთის მეფის მცდელობის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს მთავრებს სრულიად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი და იმერეთის მეფის უზენაესობას არ სცნობდნენ. აქაც გამოირჩეოდა აფხაზეთი და მისი მთავარი ქელემ ბეი შარვაშიძე, რომელიც ოსმალეთის ვასალს წარმოადგენდა. ოსმალეთის ვასალობით და აფხაზეთზე ოსმალეთის სრული სამხედრო-პოლიტიკური ბატონობით იყო გამოწვეული, ის ფაქტი, რომ ქელემ-ბეის მონაწილეობა არ მიუღია ქართველ მეფე-მთავართა 1790 წლის ტრაქტატში.

ამრიგად, XVIII საუკუნეში აფხაზეთში ოსმალეთის პოლიტიკური გაბატონებისათვის ბრძოლამ მიზანს მიაღწია – აფხა-

¹ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., გვ. 331-339.

² ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 339.

³ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბ., 1957, გვ. 134-135.

ზეთს სულთნის ვასალი მართავდა და ოსმალეთი აფხაზეთს სამხედრო თვალსაზრისითაც აკონტროლებდა, მაგრამ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებამ ძალთა თანაფარდობა და პოლიტიკური ორიენტაციები რადიკალურად შეცვალა. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან მფარველობითი კავშირის ძიება 1801წ. რუსეთის იმპერიაში ქართლ-კახეთის სამეფოს ინკორპორაციით დამთავრდა. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა. რუსეთი ფლობდა მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს ქართლ-კახეთის სახით და მისთვის უკვე დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების, მათ შორის აფხაზეთის, ძალით დაპყრობა, ან „ნებაყოფლობით“ დამორჩილება.

ЗАЗА ЦУРЦУМИЯ

УСТАНОВЛЕНИЕ ОСМАНСКОГО ГОСПОДСТВА В АБХАЗИИ XVIII ВЕКЕ

В статье, на основании критического анализа данных соответствующих письменных источников (среди которых особо следует выделить вновь открытые турецкие материалы из архива Премьер-министра Турецкой Республики), а также специальной научной литературы, освещены некоторые вопросы политической истории Западной Грузии-Абхазии в XVIII столетии. Отмечено, что в это время Блистательная Порты, в целом, достигла своей цели и сумела установить контроль над Абхазским княжеством. Однако ситуация существенно изменилась в начале XIX в., когда Российская империя расширила свои владения за счёт упразднённого Картл-Кახетинского царства и последовательно приступила к завоеванию других регионов Грузии, в том числе и Абхазии. Особое внимание уделено политической деятельности владетеля Абхазии Келеш-бея Шарвашидзе, его участию в политических процессах в Западной Грузии.

ZAZA TSURTSUMIA

THE ESTABLISHMENT OF THE OTTOMAN RULE IN ABKHAZIA IN THE 18TH CENTURY

The paper, on the basis of the critical analysis of the primary sources, namely the newly opened Turkish documents from Prime Minister's Archive, and the dedicated scientific literature, sheds light upon some issues of the political history of Western Georgia-Abkhazia in the 18th century. It is mentioned that the Ottoman Empire mostly fulfilled its goal and was able to establish control over the Principality of Abkhazia. However, the situation had changed at the beginning of the 19th century when the Russian Empire expanded its territory at the expense of Kartli-Kakheti kingdom abolished in 1801, and started to conquer other regions of Georgia, including Abkhazia. The special attention is paid to the political activities of the ruler of Abkhazia Kelesh-bei Sharvashidze and to his participation in the political processes in the Western Georgia.

ბურამ კუტალაქე, ბიორგი ჟუჟუნაშვილი

ერთი კველი, ახლადრმანიშირებული იღვის ბაგო

ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში პოპულარობით სარგებლობს პროექტი, რომელიც ქვეყნის თითქმის ორითასხუთასწლოვან სახელმწიფოებრივ ისტორიაში შიდა ქართლად წოდებული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის ნაწილის ავტონომიზაციას გულისხმობს სახელწოდებით – „სამხრეთი ოსეთი“.

ეს ვერაგული სახელდება, როგორც იტყვიან, ძველი, არახალი, ჩვენი პოლიტიკური კულტურასა და ტერმინოლოგიის მიერ თავის დროზე სამართლიანად უარყოფილი და მივიწყებული მეტისმეტად საეჭვო მიზნით აღდგა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ პროექტმა, რომლის ავკარგიანობას ეძღვნება კიდევ წინამდებარე სტატია, მომხრენი საზოგადოებასა და ოპოზიციურ პოლიტწრეებშიც მოიძია. მათი ერთობილი, „მაღალი“ აზრით, ასეთი ავტონომია მოწოდებულია საქართველოს ამ ტერიტორიაზე კომპაქტურად მოსახლე მეზობელი ერის, აწ მოჯანყე დიასპორის პოლიტიკური მადის დასაცხრომად, გასანეიტრალეზლად იმ ეთნონაციონალური კონფლიქტისა, რომელიც, უკვე საერთაშორისო პოლიტიკური აზრის აღიარებითაც, მესამე, დაინტერესებული ძალის მიერაა ინსპირირებული და ნასაზრდოები.

იდეას თანამოაზრენი, ცხადია, განდგომილ თანამოქალაქეებშიც უნდა მოეპოვა და გამოჩნდა კიდევ, საპირისპიროდ სეპარატისტისტი ღე-ფაქტო მთავრობისა, მისით (იღვით) ატაცებული პოლიტიკური დასი. „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის“ მეთაურმა 2007 წლის 26 მაისს ბრიუსელის მაღალ ტრიბუნლიდან ოპერატიულად ამცნო საქართველოს ევროპელ მეგობარ

სახელმწიფოებს. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ სხეულში, ამ სხეულის ნაწილის მითვისებით აღმოცენებული პოლიტიკური წარმონაქმნი, პროექტის ავტორ-თანაზიართა რწმენით, სანიმუშო უნდა შეიქმნას თანამედროვე მსოფლიოსათვის პოლიტიკური და სამართლებრივ-ნორმატიული უფლებამოსილების სიფართოვით. ავტონომიურობის მსგავსი ხარისხი სეპარატისტთა ეთნიკურ, კულტურულ-ისტორიულ სამშობლო ალანიას, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ ფედერალურ წევრ-სუბიექტს არც კი დაესიზმრება, – აცხადებენ იდეის ავტორები, თან საანალოგიო ნიმუშად იტალიურ ალტო-ადიჯეს, სამხრეთ ტიროლის ავტონომიას გვისახავს.¹ ავტონომია, როგორც ცნობილია, **თვითმმართველი** პოლიტიკური ერთეულია **უნიტარულ სახელმწიფოში**. ცენტრალური ხელისუფლება გარკვეული პოლიტიკური უფლებამოსილების დელეგირებით ავტონომიური სტატუსით აღჭურავს გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს, რის საფუძვლადაც ამ ტერიტორიის მკვიდრი ერის ისტორიულ-პოლიტიკური უფლება შეიძლება იქცეს. ასეა ეს სამხრეთ ტიროლში. რა ხდება ჩვენში?

საქმე ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. მას, უპირველეს ყოვლისა, აკადემიური, მეცნიერებით დაფუძნებული, მკაფიო აზრი ესაჭიროება ამ მეტად საჭირობოროტო ეროვნული პრობლემის გარშემო.

„სამხრეთი ოსეთი“, – რას წარმოადგენს ეს სახელწოდება თავისთავად და რას მოასწავებს მისი რეანიმირება საქართველოს სახელმწიფოსათვის მისივე, ეროვნული, ლეგიტიმური მთავრობის მიერ? ესაა ის საკითხავი, რომელიც მართალ, გაბედულ და პრინციპულ პასუხს ითხოვს.

ყველასათვის, ვინაც კი საკითხით დაინტერესებულა, უცხადესია, რომ **„სამხრეთი ოსეთი“**, როგორც გეოგრაფიული ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ნომენკლატურა საქართველოს ისტორიისა და კულტურისათვის უცნობია. ისტორიული შიდა ქართლის, (არც სხვა ქართულ ტერიტორიაზე) ქვეყნის ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ არსებულა ოსი ეთნოსის რაიმე სახის პოლიტიკური ერთეული. შესაბამისად, არც პოლიტიკური

¹ გაზ. „24 საათი“, 2004წ. 15 ივლისი.

სტატუსის მატარებელი სიტყვათშეხამება – „სამხრეთი ოსეთი“ – უშვია ქართული პოლიტიკურ აზრს.

კონფლიქტის ზონა შიდა ქართლის ნაწილია. შიდა ქართლის საზღვრები კი უძველეს მატთანეთა მიერ ზუსტად მოხაზული უამრავ ისტორიულ-პოლიტიკურ ტენვრა-ქარიშხალთა მიუხედავად დღემდე უცვლელად მოღწეულა: „ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარანვანამდე“.¹

ჟამთა ვითარებისა გამო საქართველოს საზღვრებს, ჩვენდა სამწუხაროდ, თვალსაჩინო ცვლილება განუცდიათ, მაგრამ ყოველთვის უცვლელი რჩებოდა მისი ჩრდილოეთი, ბუნებრივი სასაზღვრო ხაზი – კავკასიონის მთავარი ქედი. ამის მოწმობად სპეციალურად ეპოქით ძლიერ დაშორებულ უცხოელ ავტორთა მონაცემებს მოვიშველიებთ:

ძველი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი შიდა ქართლის, მისი თქმით, „შუა იბერიის“, მიჯნებს ასე განსაზღვრავს: „ხოლო ეს მთა (კავკასიონი) მდებარეობს ორივე ზღვის ბოლოს, როგორც პონტოსი, ასევე კასპიისა, ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს ზღვებს. ეს მთა საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს...ზოგი ტოტი ამ მთისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს“.²

კავკასიონს, მიუთითებს შიდა ქართლის ჩრდილო სამანად 1772 წელს საქართველოში მყოფი გერმანელი აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი. 1778-1781 წლებში ერეკლე მეფის კარზე მყოფი ასევე გერმანელი იაკობ რაინგსის თქმით, ქართლი „ჩრდილოეთით გადაჭიმულია კავკასიონის უმაღლეს მთებამდე“.³

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხერხემალს ოდითვე შიდა ქართლი წარმოადგენდა; მის ირგვლივ, მის გარშემო, მისი მოთავეობით ერთიანდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ორგანიზმი. ამდენად, მისი სტატუსი იმთავითვე გამოიკვეთა, რო-

¹ **ლეონტი მროველი**. ცხოვრება ქართველთა მეფეთა... – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 24.

² **Strabo**, XI, 2, 15.

³ **იაკობ რაინგსი**. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002. გვ. 145.

გორც ცენტრალური ხელისუფლების, მეფის დომენისა.

ცენტრისკენული თუ ცენტრიდანული ძალა, შინა თუ გარეშე მოძალადე სავსებით რეალურად შიდა ქართლის ფლობას დანარჩენი საქართველოს კონტროლისა და გაერთიანების პირობად აღიქვამდა. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია სწორედ „ქართლსა ზედა“ ბრძოლით იწყებოდა. ერთიანი საქართველოს „მეფის ხელისუფლება მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა რეალური, რაც ის თავისი უფლებების ფაქტიურ რეალიზაციას მოახდენდა ქართლში“.¹

ამიტომაც, შემთხვევითი სულაც არაა ის ფაქტი, რომ Xს. საქართველოს იმპოზანტურმა პოლიტიკურმა ლიდერმა დავით კურაპალატმა ქვეყნის გამაერთიანებელ უფლისწულ ბაგრატს უწინარესად შიდა ქართლში, მის იმდროულ პოლიტიკურ ცენტრში – უფლისციხეში განუმტკიცა ხელისუფლება.²

ზემონათქვამს საკმარისად მივიჩნევთ პროვინციის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დასასურათებლად, რაც, ყოველგვარ ეჭვგარეშე, გამორიცხავს რეგიონში რაიმე სახის უცხო პოლიტიკური ორგანიზმის არსებობას, მეტიც, არაქართული ეთნიკური ჯგუფის აქ კომპაქტურ ბინადრობასაც კი. საწინააღმდეგო აზრის დაშვებისას საკითხთან დაკავშირებული მონაცემები ძველი თუ ახალი, ჭეშმარიტების მოტრფიალე უცხოელი სწავლულებისა და „ქართლის ცხოვრების“ მართლისმთქმელი ავტორებისა ისტორიულ ღირებულებას კარგავს და მითოსურ ეპიზოდებად ქცეული ანტიისტორიული, ანტიმეცნიერული მტკიცებებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ამჯერად ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, ერთს კი, ცრუაკადემიურ მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, ხაზგასმით აღვინიშნავთ – კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილო კალთებზე, მდინარეების არღონისა და ფიაგღონის სა-

¹ მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაოლიტიკური და საგარეო ვითარება საუკუნის 80-იანი წლებიდან X საუკუნის 80-იან წლებამდე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ., 1979. გვ. 154.

² მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 274.

თავებში მდებარეობდა ქართული პროვინცია – ისტორიული დვალეთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ სხეულს საბოლოოდ 1858წ. მოგლიჯეს იმპერიის სამხედრო ბიუროკრატიული ინტერესების კარნახით.¹

მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტი, თავის აღწერაში „*აწინდელისა ოსეთისა ანუ კავკასიათა შინა*“, განსაზღვრავს რა მეზობელი ოსეთის საზღვრებს, დასძენს „ხოლო სივრძე ამის ქუეყანისა არს ხევიდამ სუანეთის კავკასამდე და განი ქართლის კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე“. ოვსთა ისტორიული სამშობლო კავკასიონის ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთით იღო ოდითვე და მდებარეობს დღესაც. „არამედ ნაყოფიერება ამა ქუეყნისა არს მცირედი, ვინაითგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თვინიერ ხორბალისა, ქრთილისა და შვრისა, სიცივისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათვის. გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო“.²

ამ აღწერილობაში ვპოვებთ ძირითად საფუძველს, სხვა რიგის ფაქტორებთან ერთად, ოვსთა საკუთარი სამკვიდროდან საქართველოსაკენ ლტოლვა-მიგრაციისა. საისტორიო წყაროთა მონაცემებით მიგრაციის ორი ტიპი განირჩევა. პირველი ტიპის მონიზარობა ძალადობრივი ხასიათისა იყო და საქართველოს ძნელბედობის პერიოდებს ემთხვევა. პოლიტიკური გამოამინდებისთანავე ქვეყნის ხელისუფლება უცხო თესლთა ასეთი მოძალების შედეგების აღმოფხვრას ესწრაფვოდა. სანიმუშოდ გიორგი ბრწყინვალის ეპოქის გახსენებაც იკმარებს. ძალმომრე მონღოლთაგან მოუძღურებულ ქვეყანაში პირუთვნელი მემატეანის სიტყვებით, „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუნეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“.³

¹ **Р. Топчишвили.** Грузино-осетинские этнографические очерки. Кутаиси. 2006, გვ. 9.

² **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. IV. თბ., 1973. გვ. 635.

³ **ჟამთააღმწერელი.** – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 296.

XIV ს. 20-იანი წლებიდან გიორგი V ბრწყინვალემ, იმავე უამთააღმწერლის თქმით, „განასხნა და აღფხურნა“ ოვსნი, წაართვა მათ ადგილ-ადგილ მიტაცებული „ციხენი და ღაბნები“. ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეორე სახის მიგრაცია, როცა მშობლიურ მწირ და ღატაკ სამკვიდროს თავის გატანისათვის გარიდებული მოახალშენენი ქართული სახელმწიფოსა და ქართველ ფეოდალთა სანქციით ჩვენს მიწა-წყალზე ეშენებოდა. ეს პროცესი თავდაპირველადვე სწორად შეაფასა ვახუშტიმ: „ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენნი ოვსნი დავწერეთ, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“.¹

ასეთი მიგრაციის შედეგია ის, რომ უკვე რუსეთის ელჩის ი. ტატიშჩევის (1604-1605) საქართველოში ყოფნისას ზახასა (დვალეთის მოგვიანო სახელია) და მალრან-დვალეთში (დიდი ლიახვის სათავეში) უკვე ოვსნი მოხიზარობენ. საინტერესოა ისიც, რომ 1794წ. წყალობის სიგელით მეფე ერეკლე თარხნობასა და აზნაურობას სწყალობს ოვს თუჯუკო კუდუხაშვილს ოსების გაუკაცრიელებულ ქართულ სოფლებში გადმოსახლების გამო. მსგავსი შინაარსის დოკუმენტები ქართულ არქივოსაცავებში ცოტა როდია დაცული. არც შემოკედლილთა სასტიკი ძალადობის აღმწერი ინფორმაციის დავიწყება გვმართებს, მაგალითად, 1621-1650 წლების ერთ ნასყიდობის სიგელში კვითხულობთ: „ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე, ისე ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყო-რა“.²

ასეთი თარეში ეფრო გვიან – საქართველოში რუსთა მფლობელობის საწყის ხანაშიც – გრძელდებოდა. ყველაფერი ეს მიუთითებდა, რომ ოსები ცხინვალში ჯერაც ფეხმოუკიდებელნი არიან. ყველა ისტორიული წყარო, ნარატიული, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ენობრივი (ტოპონიმია) მასალა ერთნაირად მიუთითებს ქართულ მიწებზე ოსური მიგრაციის დროისა და ხასიათის თაობაზე. ეს დრო კი ძირითადად

¹ ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური საკითხი. თბ. 1997. გვ. 56.

² ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური საკითხი, გვ. 58.

XVII-XVIII საუკუნეებით განისაზღვრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ დედაქალაქად ქცეულ **ისტორიულ ქართულ ქალაქ ცხინვალში გასული საუკუნის 20-იან წლებშიც კი ოსთა ნასახიც არ იყო**. ჯერ კიდევ ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავდა, რომ „ამ ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის ღიახვის კიდუხედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი. **მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი**“.¹ ეს დემოგრაფიული სურათი უცვლელია XIX ს. მთელ სივრცეზე – 1886 საოჯახო აღწერების მონაცემებით, რომელშიც თითოეული ოჯახია აღნუსხული, ცხინვალში ერთი ოსიც არ მოახალშენობს. XVIII ს. ბლოსათვის საქართველოში სულ 2130 ოსური ოჯახია აღრიცხული (დაახლოებით 15000 სული), მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებისათვის ეს რიცხვი იზრდება 2700 მდე (დაახლ. 19324 სული).²

დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი ცვლილება ჯერ ცარიზმის პოლიტიკას, შემდეგ კი მის მემკვიდრე ბოლშევიკ ხელისუფალთ მიეწერება. ყველა ცნობილი რუსი მეცნიერი, რომელიც კი ჩვენთვის საინტერესო თემას შეხება, ერთხმად მიუთითებს ოსთა ქართლის მთიანეთში მიგრაციის თაობაზე: „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსები შედარებით ახალმოსულები არიან, ადრე აქ სხვა ხალხი ცხოვრობდა, რომელმაც თავის შესახებ ხსოვნა ბევრი ადგილის სახელწოდებებში დატოვა“ – წერდა 1924 წ. გ. ჩურსინი.³ აკადემიკოსი ნ. დუბროვინი ქართლში მოსახლე ოსებს „**ეგრეთ წოდებულ სამხრეთელ ოსებად**“ მოიხსენიებს.⁴ ცნობილი კავკასიათმცოდნე ლ. ზაგურსკისათვის „ძირეული ოსეთი მდებარეობს კავკასიის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე“.⁵

ოსური საიმპერაციო მოძრაობის გაცხოველება საქართვე-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა... გვ. 370.

² ა. თოთაძე. ოსები საქართველოში. *მითი და რეალობა*. თბ., 2006, გვ. 20.

³ **Г. Чурсин**. Осетины. – კრებ.: «Юго-Осетия». Владикавказ. 1924, გვ. 133.

⁴ **Н. Дубровин**. История войны и владычества Русских на Кавказе. Т. II. СПб, 1886, გვ. 187.

⁵ **Л. Загурский**. Административные органы Кавказского отдела. Тиф. 1877, გვ. 118.

ლოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აღინიშნა. 1926 წლიდან 1989 წლამდე ოსთა რაოდენობამ ჩვენში 113 ათასიდან 164 ათასამდე იმატა, ძირითადად სწორედ ისტორიული სამშობლოდან გადმოსულთა ხარჯზე. უინტერესო არც იმის აღნიშვნა იქნება, რომ მოახალშენეთა უმრავლესი ნაწილი „თითქმის 100 ათასი მის (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის – ავტ.) ფარგლებს გარეთ, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობდა“.¹

ერთხელაც ვიტყვი: „*მატიანე არა სცბის*“, ისტორიას არაფერი დაეფიცება. მისი სიმართლე კი ერთია და ასეთი: მეცნიერული (და პოლიტიკური) სინდისიერება და პრინციპი კი ჭეშმარიტების აღიარებასა და მის სათანადო მსახურებაში მდგომარეობს. ყველა, ვისთვისაც ღირებულება სიმართლე, ფასეულია საკუთარი წარსული, როგორც მშობელი და მზრდელი ეროვნული კულტურისა, მცველი ეროვნული ვინაობისა, მოვალეა ისტორიის ამ ჭეშმარიტებას მზერა გაუსწოროს და აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე ოსური პოლიტიკური ერთეულის რაიმე ფორმით ოდესმე არსებობის ეფემერულობა. პოლიტიკა შემოქმედების ის სფეროა, რომელიც მეცნიერებას ეფუძნება. პოლიტიკური სიბრძნე რაციონალური, მეცნიერული სიბრძნეა, რომელიც ვერ დაეშენება ნაყალბევ, ნატყუარ ფაქტებსა და არგუმენტებს. ასეთი წადილს არასდროს მოჰყოლია კეთილი შედეგი და და ვერც ახლა მოიტანს.

რამდენიმე სიტყვა ტერმინის – „სამხრეთი ოსეთი“ – შესახებ. ეს სიტყვათშეთანხმება პირველად 1830წ. «*Тифлисские ведомости*»-ს პუბლიკაციათა სერიაში გვხვდება. თითქო უეშმაკო ჟურნალისტური ფანდია, ერთგვარი მეტაფორული სახე. ჩავთვალოთ, რომ ეს მხოლოდ პუბლიცისტის მიგნება და ინიციატივაა? იმავე 1830წ. ოფიციალურ დოკუმენტაციაში **ხიზანი ოსები „კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსებად“** იწოდებიან.²

მკვლევარ ს. ლეკიშვილის მონაცემებით კავკასიის არქეოგ-

¹ ა. თოთაძე. ოსები საქართველოში., გვ. 25.

² *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею* (შემდგომ – АКАК). Под ред. А. Бергзе, т. VII. Тифлис, 1878, გვ. 354 (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.).

რაფიული კომისიის აქტების თორმეტტომეულში თავმოყრილ 1864-1917წწ. ქართულ, რუსულ, თურქულ და სპარსულენოვან უამრავ დოკუმენტში ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ მხოლოდ ერთხელაა ხსენებული, 1852-1915წწ. ქართული პერიოდიკის ფურცლებზე კი სულ ორგზის იხმარება.¹

1860წ. „კავკასიის მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების მოძეგობი კომიტეტის“ ერთერთ ანგარიშში ვკითხულობთ: „მთელი ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი ქრისტიანობის აღდგენასა და განმტკიცებაზე ... სამურზაყანოში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, თუშეთში და ხევსურეთში, საიდანაც ქრისტიანობის შუქი შემდგომში შეაღწევეს აფხაზეთში, ბალყარეთში და ყარაჩაელებში, ჩრდილოეთ ოსეთში, ქისტებში და სხვა ჩაჩურ ტომებში“.² ამ დროიდანვე აღნიშნული სიტყვათხმარება, უკვე პოლიტიკურად შეფერილი, თავს ოფიციალის მეტყველებაშიც იპყვიდრებს.

ჯერ კიდევ 1842წ. რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის განკარგულებით, კავკასიის სამხრეთი კალთის მთიელთათვის (საქართველოს მთიანეთი, გორის თბილისისა და თელავის მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი) შეიქმნა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები. ოსეთის ოკრუგი ოფიციალურად 1843წ. გაჩნდა და ის სამ – ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის უბნად დანაწილდა. მოგვიანებით, 1858წ. აპრილში კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა შეიქმნა, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანდა ოსეთის სამხედრო ოკრუგი (ჩრდილო კავკასიაში). მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით ამ ოკრუგს მიაწერეს ნარის უბანი, იგივე ისტორიული დვალეთი, კავკასიის მთავარი ქედის მიღმა, ჩრდილოეთით, მდებარე ქართული პროვინცია. იგი დღეს ოსეთის ისტორიულ, ძველთაძველ მიწად განიხილება. როგორც უკვე ითქვა, სწორედ ამდროიდან ჩნდება რუსული ოფიციალურ ენასა და დოკუმენტაციაში სიტყვათხმარება – „სამხრეთი ოსეთი“.

¹ ს. ლეიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთი ოსეთი?“. – წგნ.: *ოსთა საკითხი*. თბ., 1996.

² ა. თოთაძე. ოსები საქართველოში., გვ. 36.

ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ უსაფუძვლო, ხელოვნური, აბსურდულია; ისტორიული სინამდვილის საპირისპიროდ შეთხზული, მაგრამ სავსებით გამიზნული, ვერაგული ჩანაფიქრისამებრ რომანოვების რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მესვეურთაა მიერ. მათი ამ ჩანაფიქრის რეალიზაცია კი ცარისტული იმპერიის მემკვიდრემ ბოლშევიკების რუსეთმა შესძლო.

ოვსმა სეპარატისტებმა თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში იწყეს შიდა ქართლის ოსებით კომპაქტურად დასახლებული ნაწილის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად მოწყობისა და მიტაცებისათვის სამზადისი. ამ მხრივ მეტისმეტად აქტიურობდა 1917წ. დეკემბერში შექმნილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო“. „საბჭოს“ ანტიქართული საქმიანობა 1918-1920 წლებში სეპარატისტთა სასურველი შედეგით ვერ დაგვირგვინდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სამხედრო ძალისხმევის წყალობით. სეპარატიზმის ახალი შემოტევა დაიწყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920წ. 23 მარტის დადგენილებით, რომელშიც ეწერა: «Организовать ревком в Южной Осетий. Назначить членами Юго-Осетинского Ревкома т.т. Гаглоева, Джатиева и Санакоева. Задачи 1) Распустить Национальный совет старого состава; 2) объявить Советскую власть. Временно вся власть находится у ревкома; 3) немедленно сформировать вооруженный отряд; 4) войти в связь с Сев. Осетией и селениями Горийского уезда. Центр движения желателен Цхинвал. В распоряжение Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей)».¹

დოკუმენტი, როგორც ვხედავთ, ცხადი მოწმობაა საბჭოთა რუსეთის ანტიქართული პოლიტიკისა; ის მანამდე, 1920წ. 7 მაისს, გაფორმებული რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ფონზე განსაკუთრებით ნათლად ასახოვნებს გაწითლებული იმპერიის უნდობელ იმპერიალისტურ მდას. აქ საჭიროდ მივიჩნევთ მოვითანოთ ნაწყვეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

¹ ლ. თოიძე. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თბ., 1991, გვ. 33.

საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის წერილიდან გ. ჩიჩერინისადმი, პასუხად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტისა: „კმაყოფილებით აღვნიშნავ რა თქვენს ნოტაში გამოხატულ ტენდენციას, ხელი შეუწყოს საქართველოს აღდგენას მის ისტორიულ საზღვრებში, საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. ჩემს მოვალეობად ვთვლი თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საქართველოს საზღვრებში არის არა სამხრეთი ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადაო ტერიტორიაზე ტფილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით, რომელიც დადგენილია რუსეთსა და საქართველოს შორის. მთელ ამ რაიონში საქართველოს ხელისუფლება ფუნქციონირებს ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოების სახით. თქვენი ცნობა საბჭოთა სამხრეთ ოსეთში ხელისუფლების არსებობაზე, ჩანს, ეხება უღელტეხილზე როკის დასახლებას, სადაც, როგორც ჩვენ გატყობინებდით, თერგის ოლქიდან შემოაღწია საბჭოთა ჯარების რაზმმა 2 ზარბაზნით ...ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიერ სასწრაფო ზომები იქნება მიღებული როკიდან იქ მყოფი საბჭოთა რაზმის გასაწვევად. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მშვიდობიანი ხელშეკრულებით იკისრა თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას ორგანიზაციები, რომელთა მიზანიცაა საქართველოში არსებული მმართველობის წესების წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ გაუგებრად და გაუგებრობაზე დაფუძნებულად მიგვაჩნია თქვენი გამოსვლა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში ვითომცდა არსებული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. იმის გამო, რომ ამ გარემოებას ურთიერთუნდობლობის ატმოსფეროს შექმნა შეუძლია, მე დიდად მადლიერი ვიქნებოდი ამ საკითხზე თქვენი განმარტებისა“.¹

საბჭოთა რუსეთმა მაშინ უკან დაიხია, თუმცა ახლადშექმნილ „სამხრეთ ოსეთის რეკომს“ ყველაფერი სხვანაირად წარ-

¹ ა. მენტეშაშვილი. სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება. – გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 20 დეკემბერი.

მოედგინა და გადაეწვიტა. რეკომის 1920წ. 8 ივნისის ბრძანება გვაუწყებს: «Восставшими крестьянами из Юго-Осетии изгнаны меньшевитские войска Грузии и объявляется Советская власть на указанной территории от Они до Душета. Вся власть на указанной территории подчиняется Ревкому всей Юго-Осетии, местонахождение которого в г. Цхинвале. Сообщить наркоминделу РСФСР волю Юго-Осетии о присоединении к Советской России. Политком – Н. Гадиев, Председатель Ревкома – В. Абаев».¹

საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე, 1922წ. 7 აპრილს შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი ცხინვალითურთ საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის საფუძველზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად გამოცხადდა. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ნახიზარ ოვსთა კომპაქტური საცხოვრისი ტერიტორიის სიმცირის გამო „ოლქს“ წმინდა ქართული სოფლები და ქალაქი ცხინვალის – დედაქალაქის სტატუსით ზედ მიათვალეს. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის აწ უკვე რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეულ ოსებს საკუთარი სამშობლოს ავტონომიზაციაზე არცა სმენოდათ, მხოლოდ 1924წ. გამოცხადდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც 1936წ. სტატუსი აუმაღლეს და ავტონომიური რესპუბლიკა უწოდეს.

ეროვნული თვითგამორკვევა-გამოყოფის ბოლშევიკურ-ნაციონალური ლოზუნგის ქვეშ უმაღ იშვა ორი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანების იდეა, რის ინციტორადაც ჩრდილო ოსეთის მარქსისტ-ლენინელები მოგვევლინენ. აქ ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელებას არ ვაპირებთ, რადგანაც იგი სათანადოდაა გაშუქებული ქართულ, როგორც სამეცნიერო, ისე პოპულარულ პუბლიკაციებში.² მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ გაერთიანების მოწადინე ძალთა დაუინებით

¹ ლ. თოიძე. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის... გვ. 36.

² იხ.: ლ. თოიძე. როდის შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ. 91-100; ა. ასლანიშვილი. სტალინმა მართლა კინაღამ აჩუქა საქართველოს ჩრდილო ოსეთი? – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“: № 17-20, 2007.

ასეთი ავტონომიური ერთობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში უნდა შემდგარიყო. რატომ მაინცდამაინც საქართველოში? ვფიქრობთ, ეს მარტივი ასახსნელია. მაშინ კი, მადლობა უფალს, გადავრჩით. თუმცა ორი ოსური ავტონომიური ერთეულის გაერთიანების იდეა სულაც არ მომკვდარა. გასული საუკუნის 60-იან წლებში მან ისევ აიღვა ფეხი და კულმინაციას 80-იან წლებში (ი. ანდროპოვის ხანაში) უწია.¹ პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარება კი საყოველთაოდ ცნობილია.

ზემონათქვამის შესაჯამებლად ვიტყვით: ზერეღე ექსკურსიც კი საქართველოსა და ოსეთის ისტორიაში აცხადებს და ამოწმებს იმ ჭეშმარიტებას, რომ

1. ოსი ერი საქართველოს მკვიდრი ერი არაა. საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე, არასდროს მისი ისტორიის სიგრძეზე, ვიდრე საბჭოთა ოკუპაციამდე, არ არსებულა რაიმე სახის ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი; ტერიტორია, რომელსაც სეპარატისტები თითქოსდა ეროვნულ უფლების ძალით ედავებიან საქართველოს (შიდა ქართლი) წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრიობის გულს, მის აკვანს.
2. საქართველოში მცხოვრებ ოსთა ისტორიული სამშობლო ჩრდილო კავკასიაში მდებარე ოსეთია, (დღეს რუსეთის ფედერაციის ავტონომიური ერთეული – ჩრდილოეთი ოსეთი-ალანია), საიდანაც მიგრირებდნენ ისინი შიდა ქართლში, განსაკუთრებით ინტენსიურად საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ და საბჭოთა ხანაში.
3. სიტყვათხმარება – „სამხრეთი ოსეთი“, თითქოს შემთხვევით, ჩნდება 1830 წელს და მკვიდრდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცარიზმის იდეოლოგთა მიერ, ზოლო პოლიტიკურ სტატუსი საბჭოთა ხანაში – „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაცხადებით მიენიჭა.
4. არ არსებობდა არავითარი, არც ისტორიული, არც პოლიტიკური, არც სამართლებრივი, არც, თუნდაც, დემოგრაფი-

¹ ლ. თოიბე. როდის შეიქმნა სამხრეთ ოსეთის..., გვ. 91-100.

ული საფუძველი იმისა, რომ საქართველოში შექმნილიყო ოსური ავტონომიური ერთეული.

5. საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით საბჭოთა ხელისუფლება აღიარებდა ცარისტულ მემკვიდრეობას – აგრძელებდა ქართველი ერის დენაციონალიზაციის, ქართული სახელმწიფოს დეზინტეგრაციის პოლიტიკას.

საკითხის არსში გარკვევის შემდეგ, ვფიქრობთ, არავინ გამოჩნდება ისეთი, სერიოზული პრეტენზიის მქონე მეცნიერებასა თუ პოლიტიკაში, ვინც ეჭვს გააცხადებს სუვერენული საქართველოს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიმართ – განთავისუფლდეს საბჭოური მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობისაგან. მათ შორის, შენელებული მოქმედების იმ პოლიტიკური ნაღმისაგან, რასაც ეგრეთ წოდებული სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი წარმოადგენდა. აქვე, მოსალოდნელი გაუგებრობისა და შესაძლო ინსინუაციების ასაცილებლად განემარტავთ, რომ ამ კონტექსტში არაფრით განიხილება აფხაზეთის ავტონომია, შესაბამისი ეროვნულ-ისტორიული და სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლის მქონე. მათ შორის პრინციპული სხვაობაა.

ახლა მივუბრუნდეთ ჩვენს თავდაპირველ საკითხავს. რას მოასწავებს, სამართლიანად უარყოფილი ტერმინის რეანიმირება? რამდენად სამართლიანი და მიზანშეწონილია ამ სახელწოდების მქონე ავტონომიური წარმონაქმნის აღდგენა, რა მიზანს ემსახურება, რა შედეგს მოიტანს რეალურად ასეთი გადაწყვეტილება?

საქართველოს ხელისუფლების დეკლარირებული მიზანი, როგორც ვიცით, არსებული პოლიტიკური და ეთნონაციონალური კონფლიქტის დაძლევა და სახელმწიფოებრივი სტაბილურობის მიღწევაა. **ავტონომიური სტატუსი ოსი სეპარატისტების მადანს დააკმაყოფილებს** – გვიქმნიან ილუზიას პროექტის ავტორები და მათი „ღოსტები“. ვნახოთ, რას გვიქადის რეალობა.

სულაც არაა დიდი ანალიტიკური უნარი საჭირო იმისათვის, რათა განჭვრიტო რას მოუტანს ეთნიკური ნიშნით შექმნილი ავტონომია საქართველოს. ასეთი სტატუსი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არამკვიდრი ერის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოსი

ერის წარმომადგენლებს საკუთარი წარმატებულობისა და სიძლიერის განცდას გაუძლიერებს. და არც უსაფუძვლოდ.

აქ, საჭიროდ ვთვლით ერთი პრინციპული საკითხის განმარტებას, რომლის თაობაზეც ქართულ საზოგადოებაში არსებული ბუნდოვანება, უფრო უპიცობით გამიწვეული, პოლიტიკური საფრთხის მატარებელია. ჩვენ პრინციპულად იმ აზრისანი ვართ, რომ „შეხედულება საქართველოზე, როგორც „მრავალეროვან“ ქვეყანაზე, სწორი არაა. ის რომ გერმანიაში რამდენიმე მილიონი თურქი ცხოვრობს, არ ნიშნავს იმას, თითქოს იქ თურქი ერი ცხოვრობდეს: თურქი ერი თურქეთში ცხოვრობს და არა გერმანიაში (ან კიდევ სხვაგან, თურქეთის გარეთ). იგივე ითქმის საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე: სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, იმავე ოსებზე ...**საქართველოში ორი ერი ცხოვრობს: ქართველი და აფხაზი**“.¹ ვფიქრობთ, დროა საქართველოს ყველა მოქალაქემ, ქართველმა და არაქართველმა გავიცნობიეროთ და ვაღიაროთ – საქართველოში მცხოვრები სხვა, არამკვიდრი ერების წარმომადგენლებს არავითარი უფლება არ გააჩნიათ ეროვნული პრეტენზია გამოთქვან ქართულ ტერიტორიაზე. მათი უფლება, ვითარცა საქართველოს მოქალაქეებისა ამ მიწა-წყლის ფლობის, მისი სიკეთით სარგებლობის უფლების იქით ვერ წავა. საკითხის პრინციპულობის გამო კვლავაც გავიმეორებთ: საქართველოს სხვა **ეროვნულ უმცირესობებზე** (სომეხი, ქურთი და სხვ.), ქართულ მიწა-წყალზე მათს **ეროვნულ უფლებებზე** საუბარი პოლიტიკურად და სამართლებრივად უსაფუძვლოა, მორალურადაც ყოველმხრივ გაუმართლებელი.

შიდა ქართლის ამ ნაწილის ავტონომიზაციის შემთხვევაში შემთხვევაში, **ჯერ ერთი** – ქართველი ერი საკუთარი პოლიტიკური ნებით, თავისივე ლეგიტიმური, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების პირით მსოფლიო საზოგადოებრიობას აუწყებს: ა) შიდა ქართლის იმ ნაწილის, რომელსაც ედავებიან, არაქართულობას; ბ) აღიარებს ამ ტერიტორიაზე ოსთა ეროვნულ-პო-

¹ **მ. ნანეიშვილი.** საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა? – კრებ.: *საქართველოს სახელმწიფო უნიტარული თუ ფედერაციული*. ბათუმი, 2005, გვ. 48.

ლიტიკური უფლებების საფუძვლიანობასა და ლეგიტიმურობას. გ) ხელოვნური სიტყვათხმარების – „სამხრეთი ოსეთი“ – რეალურ-ისტორიულობასა და პოლიტიკურ სამართლიანობას.

მეორე – ქართველი ერი, თვითვე, საკუთარი ერვნული, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ნებით მსოფლიო პროგრესულ საზოგადოებრიობას თავს გააცნობს და დაახსოვებს, როგორც „ერიჭამია“, მასახიერებელი ამ „კაციჭამიობის უსაზიზღრესი ფორმისა“ (მ. ნანეიშვილი), რასაც გვაქადიან კიდევ სეპარატისტები. (აკი ერთხელ ერთმა დისიდენტური ცნობიერების საბჭოთა აკადემიკოსმა უწოდა კიდევ საქართველოს პატარა იმპერია).

მესამე და მთავარი – ადრე თუ მალე „დადგება დრო და საქართველო, მორალურადაც და პოლიტიკურად განიარაღებული „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებით, აღმოჩნდება „ორი ოსეთის“ გაერთიანების პრობლემის წინაშე. ვინ რა გარანტია შეიძლება მისცეს დღეს საქართველოს ამ მხრივ?“¹

ოსთა ეთნიკური და პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი საქართველოს ფარგლებს გარეთაა და ასე იქნება ყოველთვის. აქედან გამომდინარე, თუ განხორციელდა ეს იდეა ყველა საფუძველი იქნება საიმისოდ, რომ ქვეყანა გადაიქცევა „ეთნიკური სეპარატიზმის, რუსეთის ეგიდით, „ლეგალურ“ მძევლად“. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონსტიტუციურად აღიარებული სტატუსი „სამხრეთი ოსეთისა“ ჩვენს განმდგარ თანამოქალაქეებს „დამაიმედებელ და წამახალისებელ“ ფაქტორად მოეკლინება, საუკეთესო ტრამპლინად, „საიდანაც სეპარატისტებს გადახტომა არ დასჭირდებათ, ნაბიჯის გადადგმა საკმარისი იქნება საქართველოსაგან სრული სეპარაციისათვის“.² და თუკი იმ გეოპოლიტიკურ ვითარებას გავიცნობიერებთ, რომელშიც საქართველო იმყოფება, მოვლენათა ასეთი განვითარება სავსებით რეალურად გვესახება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით კიდევ უფრო თვალშისაცემია უსუსურობა პარალელისა, რომელსაც იტალიის პროვინ-

¹ მ. ნანეიშვილი. საქართველოს ფედერალიზაცია... გვ. 25, ხაზგასმა ჩვენია – ავტ.

² მ. ნანეიშვილი. საქართველოს ფედერალიზაცია... გვ. 43.

ცია ტრენტინო ალტო-ადიჯეს ავტონომიასთან ავლებენ საკითხის უმეცარნი. მათ გასაგონად დავსძენთ, რომ ტიროლი გერმანული მხარეა. ტიროლელები ძველ გერმანელთა მოდგმის ხალხია. მათი სააუბრო დიალექტებიც ავსტრიული და ბავარიულია. მსგავსების ძიება სამხრეთ ტიროლისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კულტურულ-ისტორიული ვითარების თვალსაზრისით, რაიმე პოლიტიკურ-სამართლებრივ ან, თუნდაც, გეოგრაფიულ მოტივებზე მითითება მეტისმეტედ ზერელობისა და უვიცობის შედეგია. მეტს ვერაფერს ვიტყვით.

ეთნოკონფლიქტის დასაძლევად ამბოხებულთა წახალისების პოლიტიკა კარგს არ გვიქადის. თანხმობას სხვა სამართლებრივი და სამართლიანი სახით უნდა მივალწიოთ.

**ОБ ОДНОЙ СТАРОЙ, НО ВНОВЬ
РЕАНИМИРОВАННОЙ ИДЕЕ**

Политическая элита Грузии как внутри страны, так и вне её ведет активную пропаганду «уникального» и «беспрецедентного» на её взгляд проекта, который предусматривает автономизацию Шида Картли (3-тысячелетняя история Грузии знает только это название данной провинции) под названием «Самхрет Осети – Южная Осетия». Эта идея снискала поддержку в определённых кругах политической оппозиции, а также среди некоторой части грузинского общества. Идею поддержала и часть осетин. «Предлагаемый проект» не имеет себе аналогов по части прав автономии даже на прародине осетин – в Алании, автономного субъекта Российской Федерации. Примером для такого решения приводят модель автономии Южного Тироля в Италии, что, конечно же, не сопоставимо – Тироль испокон веков родина всех там проживающих немцев. В статье подвергнуто критике данный проект и отмечено, что реанимация понятия «*Южная Осетия*» исторически необоснованно – осетины не аборигены и, что самое главное, на протяжении всей своей истории до советского периода они не имели государственного образования на территории нынешней Грузии. Помимо этого, осуществление предложенного проекта неприемлемо и в политическом плане. Во-первых, грузины через свое легитимное правительство сообщают мировому содружеству, что: а) та часть Шида Картли, о котором идет спор, действительно не его территория; б) подтвердят необоснованно выдвинутые, нелегитимные национально-политические права осетин; г) подтвердят действительность искусственно созданного словосочетания «Южная Осетия». И, наконец, Грузия, обезоруженная признанием «Южной Осетии», встанет перед лицом проблемы объединения «двух Осетий».

GURAM KUTALADZE, GIORGI ZHUZHUNASHVILI

ON ONE OLD, BUT REVIVED IDEA

The political elite of Georgia conducts an active propaganda, both inside and outside the country, of the “unique” and “unprecedented” project, which makes provisions for the autonomization of Shida Kartli (Three-thousand-year history of Georgia knows only this name of the province) under the name of “Samkhret Oseti – South Ossetia”. This idea has its supporters both in some circles of opposition and Georgian society, also among some Ossetians. “The presented project” has no analogies in and around the autonomous rights even in Alania, the ancestral home of the Ossetians and the autonomous region of the Russian Federation. The autonomous model of South Tyrol in Italy is usually brought as an example of such decision, but this comparison is not correct, because Tyrol always was a homeland for the Germans living there. The paper criticizes the project. It is mentioned that the revival of the term “South Ossetia” is unfounded historically since the Ossetians are not the indigenous population of the region and before the Soviet times they never had the autonomous region in Georgia. Besides, the fulfilment of the project is inadmissible from the political point of view. First of all, Georgians, through their government, will send a message to the world community, that: a) the part of Shida Kartli, which is “disputed” is not its territory; b) the groundless pretensions regarding the national and political rights of the Ossetians are valid; c) the artificial term “South Ossetia” has its right to live. At last, Georgia, disarmed by the acceptance of term “South Ossetia” will face the problem of the unification of “two Ossetias”.

ჯამბულ ანჩაბაძე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა აგრარულ სფეროში

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის უმთავრესი დარგი იყო. ორ მილიონამდე ადამიანი მიწაზე მუშაობით ირჩენდა თავს, ქალაქში კი მოსახლეობის მხოლოდ 17.8% ცხოვრობდა. ეს მაჩვენებელი ბელგიაში 78.8% აღწევდა, ინგლისში 73.5%, გერმანიაში 60%, საფრანგეთში 42%.¹

მსოფლიო ომმა სოფლის მეურნეობა ჩვენშიც უკიდურესად დააქინნა. მენშევიკური მთავრობა სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. აგრარული კანონმდებლობის მიღების შემდეგ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მაგრამ ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის ჯერ კიდევ დრო იყო საჭირო. ჩვენში 1 დესეტინა მიწაზე საშუალოდ 50-57 ფუთი ხორბალი მოდიოდა. ბელგიაში კი 161 ფუთი, დანიაში 183 ფუთი, გერმანიაში 127 ფუთი. ერთ დესეტინაზე ვენახის საშუალო მოსავლიანობა ჩვენში 95 ვედროს აღწევდა, ხოლო საფრანგეთში 137 ვედროს, გერმანიაში 235 ვედროს, შვეიცარიაში 319 ვედროს. თამბაქო ჩვენში ერთ დესეტინაზე 49 ფუთი მოდიოდა, ხოლო გერმანიაში 114 ფუთი, პოლანდიაში 129 ფუთი.²

ანალოგიური მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობის სხვა სფეროში. „ძველი ცხოვრების მძიმე ცოდვები დიდხანს ექნება ჩვენს ქვეყანას სათრევი“. – აღნიშნავდა იმჟამინდელი მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.³ მინისტრის მიერ ეს ფრაზა

¹ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა და სასოფლო მეურნეობა. თბ., 1920, გვ. 32.

² ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 32.

³ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 32.

შემთხვევით არ იყო დაფიქსირებული. საქართველოში მაშინ არსებული პრიმიტიული ტექნიკისა და დაბალი აგრონომიული აზროვნების ფონზე კონკრეტულ ფართობზე მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით რაიმე წარმატების მიღწევა უაღრესად ძნელი იყო. არადა სასურსათო კრიზისის გაღრმავების პირობებში აუცილებელი იყო ეფექტური ზომების მიღება. მითუმეტეს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წელს გარედან ხორბლის შემოტანა ვერ ხერხდებოდა.

რა თქმა უნდა მთავრობა გულხელდაკრეფილი არ იჯდა, პირიქით ცხადდებოდა მოსახლეობის საკუთარი პურით დაკმაყოფილებისათვის ებრძოლა. ეს ძნელად განსახორციელებელი იყო, მაგრამ მიწათმოქმედების მინისტრი ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა, უპირატესად სათესი ფართობის გადიდების ხარჯზე. მისი ვარაუდით საქართველოს წელიწადში 41500000 ფუთი ხორბალი სჭირდებოდა.¹ ომამდე ჩვენში სათეს-სახნავი მიწა 650 ათას დესეტინამდე აღწევდა, რომელიც 33-35 მილიონ ფუთ მარცვალს იძლეოდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან დაახლოებით 7.5 ფუთი ხორბალი შემოჰქონდათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან სომხეთში 3 მლნ. ფუთი ქერი გადიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოდან 3 მლნ. ფუთი სიმინდი ოსმალეთში, მაშინ პურის დეფიციტი 3-4 მლნ. ფუთს არ გასცილდებოდა, მინისტრის მტკიცებით ამის აღმოფხვრა საკლებით შესაძლებელი იყო.²

1918წ. მარცვლეულის სათესი ფართობის სივრცემ 520 მილიონი დესეტინა შეადგინა. 1919 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. რომ არა უამინდობა ამ წელს შეიძლებოდა საკუთარი პურით დაკმაყოფილება – აცხადებდა ნ. ხომერიკი.³ ამასთან დაკავშირებით ჩვენ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მინისტრის პროგნოზი ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენება. იმაყამად საქართველოსი სოფლის მეურნეობაში დამკვიდრებული უაღრესად არახელსაყრელი პირობების გამო. მარცვლეულის სა-

¹ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 34.

² ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 34.

³ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 35.

თესი მიწის ფართობის გადიდების თვალსაზრისით მთავრობის გეგმაში დაზიანებული და დაცვით მნიშვნელობა დაკარგული ტყის გაჩეხვა შედიოდა. მთავრობის ვარაუდით ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ საზნაგ-სათეს სივრცეს 100 ათას ღესეტიანზე მეტი ფართობი შეემატებოდა.¹ მთავრობის მიერ იგეგმებოდა სერიოზული სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოების ჩატარება, რასაც უნდა მოჰყოლოდა დაახლოებით 148 ათასი ღესეტიან მიწის ხალხის სამსახურში ჩაყენება.²

მევენახეობა-მელვინეობა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუ ამჟამად მევენახეობის ძირითად რეგიონად კახეთი ითვლება, ამ მხრივ დასავლეთ საქართველო არანაკლებ იყო დაწინაურებული. მთლიანად ვენახს საქართველოში 50 ათასამდე ღესეტიან ფართობი ეკავა. აქედან: დასავლეთ საქართველოში 30 ათასი ღესეტიანა, აღმოსავლეთ საქართველოში 20 ათასი.³

დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ღვინოს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში. აღმოსავლეთ საქართველო ღვინის წარმოებით დასავლეთ საქართველოს ჩამორჩებოდა, მაგრამ აღმოსავლური ღვინო უფრო მაღალი ხარისხის იყო. მელვინეობის უმთავრეს რეგიონად კახეთი ითვლებოდა. სპეციალისტების დასკვნით კახური წითელი ღვინო (საფერავი) ტოლს არ უდებდა საფრანგეთის – ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოებს. სასიამოვნო სურნელით და გემოთი გამოირჩეოდა კახური „რქაწითელა“. მაგრამ ის ხარისხით ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის სახელგანთქმულ ღვინოებს.

მევენახეობა ქართლის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო. მაღალი ხარისხის ღვინოს აწარმოებდნენ ს. ატენში, ხიდისთავში, მუხრანში. რაჭა-ლეჩხუმში ცნობილი იყო ალექსანდრულით.⁴ საქართველოში ამ პერიოდში 7.5 მილიონ ვედრო ღვინოს აწარმოებდნენ. აქედან 1/5 შიდა ბაზარზე გადიოდა,

¹ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 34.

² ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 34.

³ გ. გეცტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია. თბ., გვ. 103.

⁴ გ. გეცტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 104.

ხოლო 3/5 ადგილობრივი მოსახლეობა ხმარობდა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი, უმთავრესად რუსეთში მხოლოდ 1/5 გაჰქონდათ.¹ ღვინოს უმეტესწილად ოჯახში პრიმიტიული მეთოდით აყენებდნენ. შინაური წესით დაყენებული ღვინო ვერ იტანდა ტრანსპორტირებას და მალე ფუჭდებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიებით ღვინოს მხოლოდ სახელმწიფო მამულებში (ყოფილი-საუფლისწულო) და საცდელ მეურნეობებში აწარმოებდნენ. მევენახეობისა და ღვინის წარმოების გაუმჯობესების თვალსაზრისით მთავრობა ამ მეურნეობებზე დიდ იმელებს ამყარებდა.²

ომისა და მის შემდგომ პერიოდში მევენახეობამ დიდი ზარალი განიცადა სხვადასხვა ავადმყოფობისაგან მოსახლეობას საწამლავი საშუალების ყიდვის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ის საზღვარგარეთიდან შემოდებოდა. ადგილზე კი მიუწვდომელ ფასებში იყიდებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეთამბაქოეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ბოლო ათეული წლების განმავლობაში ის სულ უფრო ვითარდებოდა. მეთამბაქოეობაში სამი ძირითადი რეგიონი იყო დაწინაურებული:

1. დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთი (აფხაზეთი, აჭარა);
2. დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რეგიონი;
3. აღმოსავლეთ საქართველო.

ამ კულტურის წარმოებით განსაკუთრებით აფხაზეთი გამოირჩეოდა. აქ თამბაქოს ძირითადი მწარმოებლები ჩამოსული ბერძნები, სომხები და თურქები იყვნენ. თუმცა არც ადგილობრივი მოსახლეობა (აფხაზები, ქართველები) ამბობდნენ ამ კულტურაზე უარს. აფხაზეთის თამბაქო თავისი თვისებებით ცნობილი იყო, როგორც რუსეთში, ისე ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „სამსუნისა და ტრაპიზუნის“ ჯიშები. 1913-1916 წლებში აფხაზეთიდან რუსეთში გატანილ იქნა წარმოებული თამბაქოს 85-95 %, ევროპის ქვეყნებში 3.1%, ამიერკავკასი-

¹ **ბ. ხომერიკი.** საქართველოს აგრარული პროგრამა..., გვ. 40.

² *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი* (შემდგომ - *სცხსა*), ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 249, ფურც. 19.

ამი 2.4%, თამბაქოს ვაჭრობის მთავარი ცენტრი სოხუმი იყო.¹

მეთამბაქოეობამ საქართველოში უმაღლეს დონეს 1914წ. მიღწია. ამ წელს თამბაქოს პლანტაციებს 15 ათასი დესეტინა ფართობი ეკავა, მოსავალი 700 ათას ფუთს უდრიდა. შემდეგ წლებში ომის გავლენით თამბაქოს მოსავალი საგრძნობლად შემცირდა მხოლოდ 2047 დესეტინა ეკავა, ხოლო 1919 წელს 3046 დეს. მოსავალი კი 142 ფუთზე ცოტა მეტი იყო.²

აფხაზეთში საგრძნობლად შემცირდა თამბაქოს მოსავალი. აქაც სათესი ფართობისა და მოსავლიანობის მხრივ 1919 წელს სარეკორდი იყო 130103 დესეტინაზე მიღებულ იქნა 602676 ფუთი მოსავალი. 1918 წელს 1806 დესეტინიდან მიღებულ იქნა 97826 ფუთი. 1920 წელს 200 დესეტინიდან მიღებულ იქნა 1000 ათასი ფუთი.³ ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია თამბაქოს კულტურის შემცირება, სასურსათო კრიზისი იყო, რომელსაც მოჰყვა ხორბლის გაძვირება. ცხადია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მარცვლეულის წარმოებაზე გადავიდა.

მეთამბაქოეობის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიას მიიჩნევენ. მთავრობამ თამბაქოს ექსპორტზე მონოპოლია განახორციელა. ისე, რომ სრულიად გამოითიშა ამ პროცესიდან მისი მწარმოებლები. მთავრობის ჩინოვნიკები უხეში ბიუროკრატიული მეთოდებით, შანტაჟით დაშინებით ჩალის ფასად ართმევდნენ მეთამბაქოებს მათ ნაოფლარს. ქვეყნის შიგნითაც კი აკრძალული იყო თამბაქოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა. ე.ი. მთავრობამ მოინდომა ამ დარგის გასახელმწიფოება.

აღმაშფოთებელი ფაქტები გამოვლინდა აფხაზეთში. მიწათმოქმედების სამინისტრომ იქ თავის რწმუნებულად ვინმე კიასოვი დანიშნა, რომელიც უხეშად არღვევდა მეთამბაქოების უფლებებს. ის აიძულებდა თამბაქოს მწარმოებლებს, რათა მათ ჩაებარებინათ ნაწარმი და სახელმწიფო საკუთრებად გამოეცხადებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სისხლის სამართლის წესით დას-

¹ სცხსა, ფ. 1915, აღწ. 1, საქ. 92, ფურც, 65.

² ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 38.

³ გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 109.

ჯით ემუქრებოდა. მეთამბაქოების საქმიანობაში უხეშმა ჩარევამ აფხაზეთის მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. სიტუაციის შესასწავლად სოხუმში ჩავიდა დამფუძნებელი კრების წევრთა ჯგუფი ეროვნული დემოკრატიული პარტიიდან. დეპუტატებმა აფხაზეთში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ დეპეშით აცნობეს მიწათმოქმედების სამინისტროს.

მთავრობამ ყურად არ იღო ეროვნულ-დემოკრატიების მიერ მიწოდებული საგანგებო ინფორმაცია. პირიქით ეს ღონისძიება ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო საქმედ ჩათვალეს. ჩალის ფასად ჩამორთმეული თამბაქოს ნედლეულით გაივსო სამთავრობო საწყობები, მის რეალიზაციაზე კი ნაკლებად ირჯებოდა. არადა მაშინ ევროპის ბაზარზე თამბაქო 8-9 ინგლისური სტერლინგი ღირდა, მაშინ, როდესაც მისი მწარმოებლებისათვის 1 სტერლინგიც არ ჰქონდა გადახდილი იმის შემდეგ რაც ომის რეციდივები მინელდა, სავაჭრო გზები სრულად გაიხსნა, თამბაქოს მწარმოებელ სხვა ქვეყნებსაც მიეცათ თავიანთი საქონლის გატანის შესაძლებლობა, რის შედეგად ევროპის ბაზრებში დიდი რაოდენობით თამბაქო შევიდა, რასაც მისი ფასის საგრძნობი დაცემა მოჰყვა. ერთი ფუთი თამბაქო უკვე 2 სტერლინგიც არ ღირდა. ცხადია, ადგილებზე კატასტროფულად დაეცა თამბაქოს ფასი. ამიტომ მოსახლეობამ ამ კულტურაზე გული აიცრუა. თუ 1914 წელს 13.109 დესეტინაზე წარმოებულ იქნა 602.676 ფუთი მოსავალი 1919 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 2.323 დესეტინა და 127 ფუთს არ აღემატებოდა.

საქართველოს ცალკეულ რაიონებში მეაბრეშუმეობა საკმაოდ იყო დაწინაურებული. ეს დარგი უმთავრესად განვითარებული იყო ქვემო იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, აგრეთვე ქართლში და კახეთში (უმეტესად ალაზნის პირას). აბრეშუმის პარკი ძვირფას სავალუტო საქონელს წარმოადგენდა დემოკრატიულ საქართველოში. მისი მოთხოვნილება უცხოეთის ბაზარზე საკმაოდ სოლიდური იყო და მას ქვეყნის სავარეო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი ეკავა.

I მსოფლიო ომმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე. იმ დროს დაირღვა საერ-

თაშორისო ვაჭრობაში მიღებული პირობები და ნორმები, რასაც აბრეშუმის პარკის წარმოებისა და ექსპორტის მკვეთრი შემცირება მოჰყვა. მაგ. 1914წ. ჩვენში წარმოებულ იქნა 128 ათასი ფუთი ნელი პარკი. 1919წ. ეს მაჩვენებლები 20 ათას ფუთამდე დაეცა. 1920 წლისთვის მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა, მოსავალმა 50 ათას ფუთს მიაღწია.¹

ომის შემდეგ საფრანგეთმა, როგორც აბრეშუმის მწარმოებელმა ქვეყანამ უპირატესობა დაკარგა. მაგრამ იგი გრენის მსხვილი მწარმოებელი გახდა. საქართველო კი პარკის მწარმოებელი საექსპორტო ქვეყანა უნდა გამხდარიყო. გრენი კი მთლიანად საზღვარგარეთიდან უნდა შემოეტანათ. აქედან გამომდინარე საქართველოს მეაბრეშუმეებთან თანამშრომლობის ინტერესი გაუჩნდათ. ქართული აბრეშუმით განსაკუთრებით დაინტერესდნენ საფრანგეთის მეაბრეშუმეთა მსხვილი გაერთიანებები, კერძოდ, მარსელის სავაჭრო სახლი „ბაბრიერი-მორეცი“ და მეაბრეშუმეების საწარმო „ფერანი-გინტრანი“.²

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში წარმოებული აბრეშუმის პარტიის მთლიანად შესყიდვა და ქართველი მეაბრეშუმეებისათვის გრენის მიწოდება. ე.ი. თურქული და იტალიური გრენის განდევნა საქართველოს ბაზრიდან. და იქ თავიანთი გავლენის დამკვიდრება. 1919წ. მაისში ამ გაერთიანებთა ხელმძღვანელებს შეხვედრა ჰქონდათ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელ კ. ჩხეიძესთან და მას საქმიანი თანამშრომლობის წინადადებით მიმართეს. ფრანგებმა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის პროგრამაც წარუდგინეს ჩვენი დელეგაციის მეთაურს.³

პროგრამის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული იყო ქართული აბრეშუმის პარკის შესყიდვისა და საქართველოში ფრანგული გრენის რეალიზაციის პირობები. პროგრამის მეორე ნაწილი მოიცავდა მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, კერძოდ, სა-

¹ გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 130.

² სცსსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 17.

³ А. Чохели. Политика Франции в отношении Грузии 1917-1921 гг. Тб., 1980, გვ. 61.

ქართველოს მეაბრეშუმე კოოპერატორებთან შეთანხმების მიღწევას მისაღებ ფასებში მათი გრენით მომარაგების თაობაზე, თანამედროვე საგრენაჟო ქარხნის მშენებლობას, თუთის ხეების გაშენებას, საცდელი მინერების მოწყობას, პარკის გადამამუშავებელი საწარმოების მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფისათვის. იმპორტული გრენიდან რაც შეიძლება მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მისაღებად ქართველ და ფრანგ მეაბრეშუმეთა ერთობლივ საქმიანობას. შეთანხმების ვადა 15 წლით განისაზღვრებოდა.¹

ფრანგების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაში შეფარვით იყო დაფიქსირებული ფრანგული კომპანიებისათვის აბრეშუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლების გადაცემის შესახებ. მთავრობის მხრიდან ამ საკითხზე თანხმობის შემთხვევაში ისინი საქართველოში გრენისა და აბრეშუმის ქარხნებს ააშენებდნენ.²

საქართველოს მთავრობამ ფრანგების მიერ შემოთავაზებული პროგრამა მოიწონა. ამასთან საფრანგეთში აბრეშუმის პარკის რეალიზაციისა და ფრანგული გრენის შესყიდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხების გარკვევა მოითხოვა და დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ხელშეკრულების ხელმოწერაზე მზადყოფნა დააფიქსირა.

1920 წელს საფრანგეთ-საქართველოს შორის მთელი რიგი საინტერესო ხელშეკრულებები დაიდო. ეს პროცესი ორ ეტაპს მოიცავდა. პირველ ეტაპზე ფრანგების მიერ ქართული აბრეშუმის პარკის სრული შესყიდვა უნდა მომხდარიყო. ქართველ მეაბრეშუმეებს კი ფრანგული გრენი უნდა შეეძინათ. მეორე ეტაპზე უფრო გრძელვადიანი შეთანხმებები – საკონსეციო ხელშეკრულებები იდებოდა, რომელიც საქართველოს მეაბრეშუმეობაში ფრანგული კაპიტალის უფრო ხანგრძლივი დროით შეღწევას ითვალისწინებდა.³

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფრანგული კაპიტალის შეღარებით დინამიკური ინვესტიციების მიზიდვის თვალ-

¹ სცხსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 349, ფურც. 18.

² სცხსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 349, ფურც. 18.

³ სცხსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 322, ფურც. 22-24.

საზრისით აღსანიშნავია 1920წ. 17 ოქტომბრის ფირმა ფარნი-გრიცთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში ფრანგული კაპიტალის ინვესტირების მსხვილმასშტაბიანი პროექტი იყო, რომელიც ქვეყანაში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობა ბამბის წარმოებით იყო დაკავებული. ბამბის კულტურა ხარობდა იმერეთში, ბორჩალოსა და ყარსის მინდვრებში, სიღნაღის მაზრაში. დასავლეთ საქართველოში მებამბეობის ცენტრებად ითვლებოდა სამეგრელო, აგრეთვე ბაღდადის რაიონი იმერეთში. ეს კულტურა შედარებით მცირე რაოდენობით იყო გავრცელებული აბაშაში, შორაპნის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში. 1914 წელს დასავლეთ საქართველოში 3700 დესეტინა ფართობი ეკავა და 30 ათას ფუთამდე გაწმენდილი ბამბა მოდიოდა. აღმოსავლეთ საქართველოში მებამბეობაში მოსახლეობა უფრო აქტიურად იყო ჩართული. იმავე 1914 წელს 8200 დესეტინა ფართობზე 1202 ათასი ფუთი ბამბა მოდიოდა.¹

მსოფლიო ომმა და ანარქიამ მებამბეობაც დაანგრია. სასურსათო კრიზისმა კი ხალხს ამ კულტურაზე სავსებით ააღებინა ხელი. არადა ბამბა საფეიქრო მრეწველობის მნიშვნელოვანი ნედლეულია, რომელსაც ევროპის ბაზრებში ყოველთვის დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ამიტომ მთავრობის სამეურნეო გეგმაში მებამბეობის განვითარებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ამ მიზნით მიწათმოქმედების სამინისტრომ დაიწყო საცდელი პლანტაციების მოწყობა. მოწვეული სპეციალისტები შეუდგნენ ბამბის მოსავლის გადიდების თვალსაზრისით მოწინავე აგროტექნიკური მეთოდების დამუშავებას.² მიწათმოქმედების სამინისტროს გაანგარიშებით საქართველოს შეეძლო 1 მან. ფუთამდე გაწმენდილი ბამბისა და 2 მან. ფუთი თესლის მიღებას, რომელიც ღიდად წაადგებოდა ქვეყნის ეკონომიკას.³

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეჩაიობა პირ-

¹ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 42.

² ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 42.

³ ნ. ხომერიკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 42.

ველ ნაბიჯებს დგამდა. ამ კულტურის გაშენება კავკასიის მეფის-ნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით პირველად დასავლეთ საქართველოში დაიწყო. მისი განკარგულებით 1848 წელს ნიკიტინსკის ბაღიდან (ყირიმი) ჩინური ჩაის ბუჩქები სოხუმის ბოტანიკურ ბაღსა და ოზურგეთის კლიმატურ სადგურში დარგეს.¹ ახალმა მცენარემ კარგად აიტანა მაშინდელი სიცივეები. მაგრამ ყირიმის ომის დროს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. XXს. დამდეგს ჩაის გაშენება დაიწყეს ჩაქვსა და ოზურგეთში. საცდელი საშუაობების ჩატარების შემდეგ დადასტურდა, რომ ჩვენს პირობებში საშუალო ხარისხის ჩაის წარმოება შეიძლებოდა.² მისი მოშენება ხელსაყრელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან სოლიდურ შემოსავალს იძლეოდა. 1912 წლისთვის ჩვენში ჩაის პლანტაცია გაშენებული იყო 711 ღესეტიან ფართობზე და მოკრეფილ იქნა 1.106598 გირვანქა მწვანე ფოთოლი. 1920 წელს კი 837 ღესეტინაზე მოკრეფილ იქნა 1141614 გირვანქა.³

1918-1920 წლებში ჩაის ფართობი და მოსავლიანობა თითქმის არ შეცვლილა. მთავრობა სამომავლოდ აპირებდა მეჩაიეობის განვითარებისათვის სერიოზული ღონისძიებების ჩატარებას. ამ მიზნით რესპუბლიკის მასშტაბით გამოიყო 50 ათასი ღესეტიანა მიწა. საიდანაც სავარაუდოდ შესაძლებელი იყო 40 მილიონი გირვანქა პროდუქციის მიღება.⁴ მიწათმოქმედების სამინისტროს მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მონაცემები ხალხის სასიკეთოდ განვითარდებოდა და ამ ძვირფასი კულტურის გაშენება უფრო სწრაფი ტემპით წარიმართებოდა.

მიწის ნაკლებობის მიუხედავად საქართველოში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა 3260663 ღეს. აღწევდა.⁵ ჩვენში ძირითადად გავრცელებული იყო დიდი კავკასიის (მაღალმთიან რაიონებში)

¹ გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 116.

² ნ. ხომერკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 42.

³ გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 119.

⁴ ნ. ხომერკი. საქართველოს აგრარული პროგრამა... გვ. 44.

⁵ გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 119.

და მცირე კავკასიის (უფრო დაბლობში) ჯიშები. დიდი კავკასიის ჯიშში მცირე ზომისა და წონისაა უფრო წონადია მცირე კავკასიის ჯიშში.¹

აღმოსავლეთ საქართველოში მესაქონლეობის განვითარებისათვის უკეთესი პირობები არსებობდა. ეს მხარე უფრო მეტად უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი საძოვრებით. ალპური ზონის უხვი საძოვრები მერძეეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამ მხრივ გამორჩეული იყო ახალქალაქის მთაგორიანი ნაწილი, ხევსურეთი და სხვა. რაციონალური მერძეობის პიონერად ითვლებოდა ალექსანდერსპილფის ახალმენში მცხოვრები კერძო მესაკუთრე კუჩენბახი. მან 1864 წელს ბორჩალოს მაზრაში – სოფ. მამუღელს მიდამოებში მოაწყო ალპური სარძევე მეურნეობა შვეიცარიული და ადგილობრივი ჯიშის შეჯვარების შედეგად შექმნა მაღალი დონის მეწველი საქონლის ჯიშში. კარაქისა და ხაჭოს გარდა კუჩენბახის მეურნეობაში აწარმოებდნენ ცნობილ კავკასიურ-შვეიცარიულ ყველს, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა არამარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ბაზარზე, არამედ ევროპულ რუსეთშიც.²

კუჩენბახის გამოცდილების გაზიარება ადგილობრივმა კერძო მესაკუთრეებმა ვერ მოახერხეს. 30 წლის განმავლობაში მას ვერავინ მიბაძა, ვინაიდან ყველის მწარმოებლები საკუთას გამოცდილებას უმაღლავდნენ დაინტერესებულ პირებს.³ მოგვიანებით ზოგიერთმა ბორჩალოელმა მექარხნემ მოახერხა სარძევე მეურნეობის ორგანიზაცია და დაიწყო შვეიცარიული ყველისა და კარაქის წარმოება. 1911 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ბორჩალოს მაზრაში ყველ-კარაქის ქარხნების რიცხვი. ყველ-კარაქის სანიმუშო საწარმოდ მაინც კუჩენბახის ქარხანა ითვლებოდა.⁴ 1918 წელს ჩვენში განვითარებული ანარქიისა და ქაოსის შედეგად როგორც კერძო პირების, საარტელო ქარხნების უმეტესი ნაწილი განადგურდა. ყველის წარმოების მაჩვენებელი 50 ათასი ფუთიდან 5-6 ფუთამდე დაეცა.

¹ სცხსა, აღწ. 1, ს. 276, ფურც. 7.

² გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 138.

³ სცხსა, ფ. 1915, ს. 276, ფურც. 8.

⁴ გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, გვ. 139.

აღმოსავლეთ საქართველოში მეცხვარეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. რომელმაც სამრეწველო მნიშვნელობა შეიძინა და ქვეყნისათვის ეკონომიკური წარმატების მოპოვება შეძლო. გარდა იმისა, რომ ის არის სახორცე საქონელი, ეს სფერო წელიწადში 60-80 ათას ფუთამდე ყველს და 200 ათას ფუთამდე მატყლს იძლეოდა. აქედან ათეულ ათასობით ფუთი მატყლი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადიოდა.

ომმა და რევოლუციამ მეცხვარეობას დიდი ზიანი მიაყენა, ცხვრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. მიუხედავად ამისა საქართველოში მეცხვარეობა გადარჩა. თუმცა მისი აღორძინებისათვის მთავრობის მხრიდან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო ფაქტობრივად განადგურებული სოფლის მეურნეობა. უკიდურესად დაქვეითებული იყო ისეთი სფეროები (მევენახეობა, მებრეშუმეობა, მეთამბაქოება და სხვა) რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის ტრადიციულ საქმიანობად ითვლებოდა და ეკონომიკურადაც უფრო სარფიანი იყო. ომის შემდეგ შექმნილმა სასურსათო კრიზისმა ქვეყანა შიმშილის საფრთხის წინაშე დააყენა. ამ უბედურებისაგან მოსახლეობა მიწაზე მუშაობამ იხსნა. მთავრობა მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების წინაშე დადგა. ამას იგი სათესი სივრცის გაფართოების გზით აპირებდა. რაც შეეხება ინტენსიური მეურნეობის განვითარებას, ამის ელემენტარული პირობები არ არსებობდა. 1919 წლისთვის უხვ მოსავალს ვარაუდობდნენ, მაგრამ არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა ნახევარზე მეტი მოსავალი გაანადგურა. არც 1920 წელი იყო ამ მხრივ წარმატებული. მთავრობის ვარაუდი, თითქოს საქართველოს მოსახლეობას შეეძლო თავისი თავის გამოკვება, ვარაუდად დარჩა.

სრული განადგურების საფრთხე დაემუქრა მეთამბაქოებას, ომამდე თამბაქოს ათეულ ათასობით დესეტინა მიწა ეკავა. 1918 წლიდან ეს ფართობი სრულიად დაიცალა ამ კულტურისაგან. გლეხებმა და პლანტატორებმა თამბაქოს მოყვანაზე ხელი აიღეს პროფესიონალი მეთამბაქოეები თავიანთი ხელობით მუშაობის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გადიოდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო თამბაქოს ექსპორტის მონოპოლიის მახინჯი გამოვლი-

ნებები, შიში იმის, რომ მოსავალს ჩალის ფასად წაართმევდნენ. რა თქმა უნდა, იყო შიმშილის შიშიც. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობა გადაერთო მარცვლეულის წარმოებაზე.

ანალოგიური მდგომარეობა იყო მეაბრეშუმეობაში, თუმცა საფრანგეთის საქმიან წრეებთან დადებული ხელშეკრულება ამ დარგის კრიზისიდან გამოყვანის პერსპექტივას სახავდა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობიდან ნათლად ჩანდა, რომ თამბაქოს და აბრეშუმის და სხვა სავალუტო საქონლის წარმოების შემცირების კომპეტენცია სხვა კულტურის ჩანაცვლებით, თუნდაც ხორბლითა და სიმინდით შეუძლებელი იყო, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე სერიოზული ზემოქმედება მოეხდინათ.

მემარჯვენე ოპოზიცია მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვდა ზემოჩამოთვლილი დარგების განსავითარებლად უფრო ეფექტურ მოქმედებას, ასევე მეურნეობის მართვის რუსულ მეთოდებზე უარის თქმას, კერძო მესაკუთრეთა წახალისებას, რომელთაც უფრო ხელეწიფებოდათ მეურნეობის პროგრესულ რელსებზე გადაყვანა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მენშევიკური მთავრობა არ ზრუნავდა სოფლის მეურნეობაში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის გამოსწორებაზე, მაგრამ 1918-1920 წლის მონაკვეთში ამ მხრივ რაიმე სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა. მაგრამ მთავრობა ოპტიმიზმს არ კარგავდა მას სჯეროდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების. თუმცა სჯობდა აწმყოში მეტი ქმედითუნარიანი ყოფილიყო, რათა სამომავლო გეგმის განსახორციელებლად უფრო მყარი საძირკველი შეექმნა.

ДЖАМБУЛ АНЧАБАДЗЕ
ПОЛИТИКА ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ
ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ
В АГРАРНОЙ СФЕРЕ

В статье на основании критического анализа данных соответствующих письменных источников (среди которых особо следует выделить архивные материалы), а также специальной научной литературы, освещены некоторые вопросы деятельности Правительства Грузинской Демократической Республики в аграрной сфере. В ней показано общее, весьма плачевное состояние отрасли; отмечено, что, несмотря на определённые трудности, политическому руководству демократической Грузии всё же удалось провести ряд реформ, направленных на восстановление сельского хозяйства, хотя, существенного прогресса в этом направлении оно явно не достигло.

DJAMBUL ANCHABADZE
AGRARIAN POLICY OF THE GOVERNMENT OF
GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC

The paper, on the basis of critical analysis of the relevant written sources (the archival materials have to be especially mentioned) and the dedicated scientific literature, sheds light upon some questions regarding the agrarian policy of the government of Georgian Democratic Republic. It shows the general picture of the field, which was in a very bad shape. It is mentioned that despite certain problems the government of the Georgian Democratic Republic was able to carry out some reforms, although there was achieved no substantial progress in that direction.

თმა კუბლაშვილი

აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის 1918-1921 წლებში

1917-1918 წლებში აფხაზეთის პოლიტიკური წრეების ინტერესები და მათი შემადგენლობაც სოციალური თვალსაზრისით სხვადასხვა იყო, რის გამოც აფხაზეთში პოლიტიკური ვითარებაც მერყეობდა, რაც განაპირობებდა სიტუაციის ცვალებადობას. თუმცა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამ, აფხაზეთში სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1918წ. 8-11 ივნისს, „აფხაზთა სახალხო საბჭოსთან“ დადო ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე აფხაზეთს მიეცა ფართო თვითმმართველობითი ავტონომია, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ აღუთქვა სათანადო ეკონომიკური და სამხედრო დახმარება.¹

„აფხაზთა სახალხო საბჭოში“ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები იწვევდა საბჭოს შიგნით დაპირისპირებას, რაც არაერთხელ გამოჩნდა. ყოველივე კი ნეგატიურად მოქმედებდა როგორც საშინაო ვითარებაზე. აფხაზეთის სეპარატისტული ძალები ძალდონეს არ იშურებდნენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. გამოიკვეთა რამდენიმე დაჯგუფება: პროთურქული, პრობოლშევიკური, ჩრდილო კავკასიის ე.წ. მთიელთა რესპუბლიკასთან შეერთების მომხრეთა და ა.შ.

როგორც ცნობილია, „აფხაზთა სახალხო საბჭო“, რომელიც

¹ ამის შესახებ დაწერ. იხ. **А. Ментешавили**. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тб., 1998, გვ. 20-23; **დ. ჩიტაია**. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბ., 2006, გვ. 174-186; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007, გვ. 14-18.

აირჩიეს 1917წ. 8 ნოემბერს გამართულ გლეხთა პირველ ყრილობაზე, არ იყო დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების ორგანო. აფხაზეთში არსებობდა აგრეთვე ქართველთა, სომეხთა და ბერძენთა ეროვნული საბჭოები, მათ უთანხმოება ჰქონდათ „აფხაზთა სახალხო საბჭოსთან“, რომელიც ხშირად იხრებოდა თურქეთისკენ. მაგალითად, როდესაც აფხაზთა სახალხო საბჭომ 1918წ. 28 ივლისს გამოყო 2 კაცი (გ. თუმანოვი, ს. ბასარია) კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე გასაგზავნად საქართველოს დელეგაციის კონსულტანტებად მუჰაჯირების საკითხში, ქართველთა, სომეხთა და ბერძენთა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებმა მოითხოვეს შეეჩერებინათ დელეგატების გაგზავნა, რათა ეს საკითხი სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად გადაეწყვიტათ. ისინი ვერ დააკმაყოფილა ს. ბასარიას და ვ. ლურჯუას პასუხმა, რომ დელეგატები იგზავნება არა ტერიტორიის, არამედ ცალკე ერის სახელით და რომ მათ არავინ არ გაუყიდათ. საბოლოოდ „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ მიიღო წინადადება, დელეგატების გაგზავნა გადაწყვეტილიყო ყველა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე.¹

თავის მხრივ, ბოლშევიკური ძალები ცდილობდნენ პოზიციები გაემყარებინათ აფხაზეთის პოლიტიკურ ორგანოში, ამ შემთხვევაში ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ წარმატების მოსაპოვებლად. ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ დახმარებისთვის მიმართა საქართველოს მთავრობას. 1918წ. 18 ივნისის განკარგულებით გენ. გ. მაზნიაშვილი სამხედრო ნაწილებით მიავლინეს აფხაზეთში, რათა არ დაეშვა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ან მისი თურქეთისთვის გადაცემა. გ. მაზნიაშვილის ჯარის წარმატებული მოქმედების შედეგად ბოლშევიკური რაზმები აფხაზეთის ტერიტორიიდან განდევნეს.² 1918წ. ივნისის ბოლოს თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ წრეებთან შეკრულმა აფხაზმა თავა-

¹ ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 69.

² А. Ментешавили. Исторические предпосылки., გვ. 24-25; დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი., გვ. 186-200.

დებმა ა. შარვაშიძემ და ტ. მარშანიამ, თავიანთი უშუალო მონაწილეობით კოდორის უბანში ა. შარვაშიძის მამულში – წყურვილში გადმოსხეს თურქული დესანტი, რამაც აფხაზეთის მოსახლეობის დიდი შეშფოთება გამოიწვია.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დემოკრატიულმა ფრთამ ვ. შარვაშიძის ხელმძღვანელობით აფხაზი თურქოფილების ა. შარვაშიძის და ტ. მარშანიას ქმედება გამოაცხადა აფხაზი ხალხის და დემოკრატიის ღალატად. 1918წ. 15 აგვისტოს აფხაზთა სახალხო საბჭო გაუქმებულად გამოხცადა და ვ. შარვაშიძის თხოვნის საფუძველზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელად აფხაზეთში წარგზავნილი იქნა ი. რამიშვილი.¹

აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები მარცხის შემდეგაც არ დაშოშმინდნენ და ამჯერად საკუთარი ამბიციების განხორციელების გზა სამხრეთ რუსეთში მოქმედ მოხალისეთა არმიასთან და მეფისდროინდელ გენერლებთან კავშირში იპოვეს და ეცადნენ შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. აფხაზთა სახალხო საბჭოს დემოკრატიულმა ძალებმა, მონარქისტული რუსეთის მხარდამჭერები ამხილა სახელმწიფოებრივ ღალატში. შეიარაღებული გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით კი 1918წ. 10 ოქტომბერს აფხაზთა სახალხო საბჭო გაუქმებულად გამოცხადა და საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სახალხო არჩევნების ჩატარების შესახებ.²

სახალხო საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია: ვ. შარვაშიძის, ი. რამიშვილის, ვ. ლურჯუას, ი. ფაშალიდის, გ. შანშიევის შემადგენლობით.³

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომ – სცსსა), ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 37; აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმისა და მის წინააღმდეგ განხორციელებული ზომების შესახებ დავრიდ. იხ: **Дж. Гамахария. Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997. გვ. 77-83; **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 210-228; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 18-19, 21-23.

² **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 256-263; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 27-30

³ **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი..., გვ. 262.

სახალხო საბჭოს დათხოვნასთან დაკავშირებით აფხაზეთის საქმეთა მინისტრის რწმუნებანი ცნობილ იქნა ძალადაკარგულად, ხოლო მისი ფუნქციები დროებით დაეკისრა შინაგან საქმეთა მინისტრს. სახალხო საბჭოს არჩევნების შესახებ დებულების პროექტის შესამუშავებლად საარჩევნო კომისიამ მოიწვია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. დებულების პროექტი ნოემბრის დასასრულს წარედგინა მთავრობას, რომელმაც მოიწონა ის და დასამტკიცებლად გადასცა პარლამენტს. მთავრობის დადგენილებაში აღნიშნულია: „გამოქვეყნდეს მთავრობის მიმართვა, სადაც მითითებული უნდა იქნეს, რომ აფხაზეთს ენიჭება სახალხო წარმომადგენლობის უფლება და ამით შინაური ცხოვრების მოწყობა ავტონომიის საწყისეზე“.¹

შემუშავებული საარჩევნო დებულების მიხედვით, სახალხო საბჭოში შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო ყველა ის პირი, რომელიც 1914წ. 19 ივლისის შემდეგაც გახდა აფხაზეთის მოქალაქე. ამასთანავე ყველა ის პირი, ვინც უშუალოდ არ ცხოვრობდა აფხაზეთში, მაგრამ საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდა. დებულების თანახმად აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა ყველა მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა და რომელიც ცხოვრობდა აფხაზეთში 1914წ. 19 ივლისამდე.² საარჩევნო კანონის ამ მუხლმა გამოიწვია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტურ პარტიების სოხუმის კომიტეტის წარმომადგენელთა პროტესტი. ისინი კატეგორიულად ითხოვდნენ ამ მუხლის შეცვლას რადგან მათი აზრით ამით უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთ უფლება ეძლეოდათ აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩარევის.

1918წ. 17 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის მოხსენება, რომლის საფუძველზე დაადგინეს: მოწონებული და მიღებული იქნეს აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება და წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. ამასთანავე, დადგენილ იქნეს

¹ ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა... გვ. 73.

² Дж. Гамахрия, Б. Гогия. Абхазия... гв. 426

ჩატარდეს საერობო არჩევნებიც. ყველაფრისთვის კი გამოიყო აფხაზეთისთვის განკუთვნილი 10 მილიონი მანეთი ბიუჯეტიდან 75 ათასი მანეთი.¹

1918წ. 27 დეკემბერს პარლამენტმა თითქმის უცვლელად დამტკიცა სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება, რომლის საფუძველზეც 1919წ. 13 თებერვალს ჩატარდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დემოკრატიული არჩევნები. პროპორციული სისტემით არჩეული იქნა ახალი სახალხო საბჭო, რომელიც პარტიულობის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: 27 წევრი სოციალ-დემოკრატი, 3 – ესერი, 1 – სოციალ-ფედერალისტი, 1 – კოლონისტი, 4 – დამოუკიდებელი სოციალისტი, 1 – ნაციონალ-დემოკრატი, 4 – აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე. საბჭოში სულ წარმოდგენილი იყო 7 ფრაქცია. უმრავლესობა მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა. ამასთან, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გავიდნენ: ვ. შარვაშიძე, დ. ემუხვარი, ვ. გურჯუა, დ. ზახაროვი და ი. ფაშალიძე.²

ახლადარჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველი სხდომამდე ორი დღით ადრე – 1919წ. 18 მარტს, უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ერთის მხრივ ბოლშევიკები და მონარქისტი გენერლები, ხოლო მეორეს მხრივ თურქები ცდილობდნენ აფხაზეთში თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, აფხაზეთის სახალხო საბჭოს სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც მოყვანილია ისტორიული პარადიგმები, სადაც ხაზგასმულია აფხაზთა და ქართველთა ერთიანობის და კავშირის აუცილებლობა. აქვე ნათქვამია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა ხელოვნურად ცდილობდა საქართველო გაემიჯნა აფხაზეთისგან და ეწეოდა აფხაზეთის მოსახლეობის ძალდატანებით რუსიფიკაციას. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ მიძეგ დრო დაუდგა აფხაზ ხალხს. მათი გაჭირვება და ძნელებლობა კი გაიზიარა ქართველმა ხალხმა, რომელიც გვერდით ამოუდგა აფხაზ თანამომხედებს. ისინი ერთ სახელმწიფოში გაერთიანდნენ და ერ-

¹ სცხსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 38, ფურცელი 17.

² Дж. Гамахрия. Б. Гогия. Абхазия – историческая область..., გვ. 431.

თი კანონმდებლობის საფუძველზე აფხაზებს მიენიჭათ თვითმმართველობის უფლება. აქვე დამატებულია, რომ აფხაზები მონაწილეობას მიიღებდნენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და ქვეყნის აღმშენებლობაში. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეკლარაციაში აღნიშნულია:

1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემაღენლობაში ავტონომიური ერთეულის სტატუსით.
2. საერთო სახელმწიფოებრივი საქმეა: საგარეო პოლიტიკა, შეიარაღება, ფინანსები, სავალუტო სისტემა, საბაჟო წესდება, საერთო სასამართლო დადგენილებები და სენატი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ფოსტა, ტელეგრაფი, სარკინიგზო და დამაკავშირებელი გზები.
3. დანარჩენ საქმეებში ავტონომიური აფხაზეთი იტოვებს კომპეტენციას შინაგანი მმართველობის პრინციპით. განათლება და კულტურული განვითარება, თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობა და დაქვემდებარება. სასამართლო, ადმინისტრაცია, ადგილობრივი სამედიცინო და სანიტარული მომსახურება, ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი უზრუნველყოფა აფხაზეთის ტერიტორიაზე; – ყველა ეს ჩამონათვალი ექვემდებარება ავტონომიის მმართველობას.
4. აფხაზეთის ადგილობრივი საქმეების მმართველობა ეკუთვნის აფხაზთა სახალხო საბჭოს, რომელიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, დახურული და პროპორციული არჩევნების საფუძველზე.
5. აფხაზეთის სახალხო საბჭო ქმნის აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებშიც, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ენის გარდა სხვა ენაც შეიძლება დაუშვას.
6. გატარებული იქნეს აგრარული რეფორმები, რომელიც ითვალისწინებს მიწის განკარგვის უფლებას, გლეხები-

სადმი და უპირატესად მუჰაჯირებისადმი მიწის გადაცემის უფლებას და ა.შ.

მე-7, მე-8, მე-9 და მე-10-ე მუხლებში კი ლაპარაკია, რომ საქართველოს კანონმდებელი ორგანოების არჩევისას აფხაზეთი შეადგენს ცალკე საარჩევნო ოკრუგს და აფხაზეთის სახალხო საბჭო ისარგებლებდა საკანონმდებლო ინიციატივით.¹

სახალხო საბჭოს პირველი სხდომა გაიხნა 1919წ. 20 მარტს. სხდომას ესწრებოდა 34 დეპუტატი სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. ემუხვარი, ხოლო პირველ მდივნად გ. კოროლიოვი. საბჭოს სხდომა გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ი. რამიშვილმა, რომელმაც თქვა: „აფხაზეთი დიდი ხანია რაც გადაიქცა რევოლუციასა და კონტრევოლუციას შორის, დემოკრატიზმსა და მონარქიზმს შორის ბრძოლის არენად, რომელსაც მოაქვს ხალხთა მასების სრული დამონება. სახალხო საბჭოს მოვალეობაა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუდოს მერყეობასა და სიმხდალეს დემოკრატიის დამკვიდრებაში და საბოლოოდ განსაზღვროს მთელი ოლქის პოლიტიკური კურსი. ხალხის მეგზურება უნდა თქვან საით წავა აფხაზეთი-ცარიზმისკენ თუ დემოკრატიისკენ, ამაზეა დამოკიდებული საბჭოს მომავალი მუშაობაც. გაუმარჯოს თავისუფალ აფხაზეთს, გაუმარჯოს აფხაზეთსა და საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ძმობას, ერთობას, სიყვარულს! გაუმარჯოს რესპუბლიკის ლამქარს, რომელიც მკერდით იცავს აფხაზეთის ტერიტორიას!“²

აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველსავე სხდომაზე მთელი სისრულით დაისვა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი. გამოიკვეთა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრული უპერსპექტივობა და იურიდიულად დადასტურდა მისი ავტონომიური სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ამასთან დაკავშირებით სხდომაზე მიიღეს ფუძემდებლური დოკუმენტი: „*აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ*“, რომლის

¹ **Дж. Гамахария. Б. Гогия.** Абхазия – историческая..., გვ. 432-433.

² გაზ. „*სოციალ-დემოკრატი*“, 1919, №59; **ჯ. გამახარია.** ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა..., გვ. 75.

პირველ პუნქტს („აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას“) 34 დამსწრე დეპუტატიდან ხმა მისცა 27-მა, სამმა თავი შეიკავა, ხოლო ოთხმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში. რაც შეეხება „ავტონომიის შესახებ აქტის“ მე-2 პუნქტს („ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობათა დასადგენად არჩეულ იქნეს შერეული კომისიის წევრთა თანაბარი რაოდენობით საქართველოს დამფუძნებელი კრებისაგან და აფხაზეთის სახალხო საბჭოსაგან და ამ კომისიის მიერ შემუშავებული დებულებები მათი საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღების შემდეგ შეტანილი უნდა იქნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში“), ის ერთხმად იქნა მიღებული.¹

აღნიშნული დადგენილება თავისი მანდატით საბჭოს სპეციალურმა დელეგაციამ (ვ. შარვაშიძემ, გ. ზუხბაიმ, დ. ზახაროვმა, დ. ემუხვარმა, ვ. ანჩაბაძემ და მ. ტარნავამ) თბილისში დამფუძნებელ კრებას წარუდგინა, რომელმაც მოიწონა აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილება და მიესალმა მას. მოგვყავს მანდატის ტექსტი: „На основании постановления Народного Совета Абхазии от 21 мая сего года предьявители сего члены совета: 1) Варлам Александрович Шервашидзе; 2) Григорий Матвеевич Зухбай; 3) Дмитрий Васильевич Захаров; 4) Дмитрий Константинович Эмухвари; 5) Вианор Тарасович Анчабадзе; и 6) в Михаил Иванович Тарнава командировуются в г. Тифлис в качестве делегации совета для выработки Конституции Автономной Автономной Абхазии.

Делегации вменяется в обязанность держаться в своей работе принятого Советов Проекта Конституции и отстаивать

¹ ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა..., გვ. 76; **А. Ментешавили**. Исторические..., გვ. 78; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 36.

возможно широкие автономные права Абхазии.

Старий товариш Председателя

Акиртава: (подпись)

Управляющий Канцелярией: (подпись)¹

ამრიგად, აფხაზეთის ახალმა სახალხო საბჭომ, მის შემადგენლობაში ბოლშევიკების, თურქოფილების და რუსოფილების ყოფნის მიუხედავად სცნო და ხელი მოაწერა 1919წ. 20 მარტის „აქტს აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ რითაც დაადასტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შესვლა ავტონომიის სახით, რაც გამოხატავდა აფხაზი ხალხის ნებას და ისტორიულ ერთობას ქართველ და აფხაზ ხალხს შორის.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეკლარაცია და სპეციალური აქტი ავტონომიის შესახებ არის ისტორიული ფაქტი, რომელსაც ვერცერთი არგუმენტის მოშველიებით ვერ გააბათილებენ თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსები, ამ და სხვა არაერთ დოკუმენტში სახალხო საბჭომ საქართველოსთან ურთიერთობას ნდობა გამოუცხადა.

1919წ. 30 მარტს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, საბჭოში წარმოდგენილი ყველა პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობით. თავის პირველ სხდომაზე კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს მომავალი კონსტიტუციის I-პუნქტი – „აფხაზეთი შედის საქართველოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“.²

1919წ. 8-10 აპრილს სახალხო საბჭოს სხდომაზე განიხილეს ავტონომიური აფხაზეთის მართვის ორგანოების შექმნის საკითხი. გადაწყდა, შექმნილიყო აფხაზეთის მართვის ორგანო, რომელიც კონსტიტუციის შემუშავებაამდე იხელმძღვანელებდა მხოლოდ სახალხო საბჭოს ინსტრუქციებით. კოლეგია შედგებოდა 3 წევრისაგან: შინაგან საქმეთა იუსტიციის, სახალხო მეურნეობის, განათლებისა და ჯანდაცვის განყოფილებების კომისრებისაგან.³

1919წ. 13 მაისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ სოხუმის

¹ А. Ментешавили. Исторические предпосылки..., გვ. 79.

² ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა..., გვ. 82.

³ ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა..., გვ. 82.

ოლქს ოფიციალურად უწოდა – აფხაზეთი, ხოლო უმაღლეს ადმასრულებელი ორგანოს (მთავრობას) – კომისარიატი. ადმასრულებელი ხელისუფლების შექმნით აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო საკანონმდებლო ორგანოს უფლებები. ამ ფაქტით ფაქტობრივად დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის პერიოდი აფხაზეთის პოლიტიკურ რეალობაში.

როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის სახალხო საბჭომ ავტონომიის შესახებ აქტით დაადგინა, რომ აფხაზეთის მართვა-გამგეობის ფორმა საბოლოოდ კონსტიტუციით განისაზღვრებოდა. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესში წარმოჩნდა ის პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც სახალხო საბჭოში არსებობდა. შემუშავებული იქნა კონსტიტუციის პროექტის სამი ვარიანტი:

I ვარიანტი ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელიც შედგება 5 თავისგან. I თავში ლაპარაკია ავტონომიური აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, სადაც ხაზგასმულია, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ ერთეულად. ავტონომიურ აფხაზეთს გარდა საერთო საკანონმდებლო ორგანოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობისა, გააჩნია თავისი ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და ადმასრულებელი ორგანო. მას ასევე გააჩნია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საკანონმდებლო ინიციატივით სარგებლობის უფლება. სახელმწიფო ენად აღიარებული იქნა ქართული ენა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დასაშვებად ცხადდებოდა რუსული ენის გამოყენება.

- II თავში ნათქვამია, რომ საერთო სახელმწიფოებრივი საკითხებია: საგარეო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები, ფინანსები, გზები, ფოსტა, საგადასახადო სისტემა და სხვა.
- III თავში ლაპარაკია საარჩევნო კანონზე, სადაც განსაზღვრულია ელექტორატის და სოციუმის საკითხი.
- IV თავში ჩამოყალიბებულია ადმასრულებელი ხელისუფლების შესახებ საკითხი.

- V თავში მითითებულია – „Права граждан, пересмотр и изменения Конституции, гарантии прав меньшинств и демократической государственности, абеспечиваются общей Конституцией Республики, в которую этот проект входит особой главой“.¹

კონსტიტუციის მეორე პროექტი წარდგენილი იყო აფხაზეთის კომისარიატის მიერ, რომელიც შემრიგებლურ პოზიციას ეყრდნობოდა.

- I თავი – Проект комиссариата Абхазии Конституция Автономной Абхазии Общие положения.
- II თავი – О власти законодательной
- III თავი – О власти исполнительной
- IV თავი – О суде
- V თავი – Права и обязанности граждан
- VI თავი – О пересмотре, изменении и утверждении Конституции
- VII თავი – Заключительное положение.

აფხაზეთის კომისარიატის კონსტიტუციის პროექტით აფხაზეთი შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, როგორც ავტონომია, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული საკანონმდებლო და სასამართლო ოლქი, რომელიც შეზღუდული იყო საქართველოს კონსტიტუციით. სახელმწიფო ენად კი დასახელებულია რუსული.

კონსტიტუციის პროექტის ამ ვარიანტში (მე-9 მუხლის თანახმად) საერთო სახელმწიფოებრივ სფეროს განეკუთვნება: სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, საგარეო პოლიტიკის, ფულადი სისტემის, სახელმწიფოებრივი ფინანსების განკარგვის, საბაჟო საქმის, ფოსტის, ჯარის, რკინიგზის და სახელმწიფოებრივ გზათა სფეროები.² კონსტიტუციის მესამე პრო-

¹ აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომ – აცსა), ფონდი ი39, აღწერა 1, საქმე 15, ფურცელი 15-26. (სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროექტი); **А. Ментешавили.** Исторические предпосылки..., გვ. 80-82.

² აცსა, ფონდი ი39, აღწერა 1, საქმე 19, ფურცელი 16-19; **А. Менте-**

ექტი ეკუთვნის დეპუტატთა ჯგუფს – „проект группы депутатов Народного Совета Абхазии“. რომელიც რვა თავისაგან შედგება:

- I თავი – государственное устройство Автономной Абхазии
- II თავი – общее и местное законодательство
- III თავი – о власти законодательной
- IV თავი – о власти исполнительной
- V თავი – о суд
- VI თავი – права и обязанности граждан
- VII თავი – о пересмотр, изменении и утверждении конституции
- VIII თავი – заключительные положения

აღსანიშნავია, რომ სამივე პროექტის ავტორები ერთსულვანი არიან ერთ საკითხში – აფხაზეთი ავტონომიის სტატუსით შედიოდა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ასევე ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან საერთო-სახელმწიფოებრივ სფეროთა საკითხშიც. განხილული დოკუმენტებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მართვის პრიორიტეტული მიმართულებები და სამართლებრივი საკითხები აფხაზეთის ავტონომიას და საქართველოს რესპუბლიკას ერთიანი უნდა ჰქონოდათ.

ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად შენიშნავს ზ. პაპასქირი, რომ 1918-1921წწ. აფხაზეთი ოპოზიციის ლიდერთა კონსტიტუციის პროექტის ცალკეული „დებულებები ნათლად ადასტურებენ, რომ მიუხედავად ამ კონსტიტუციის ავტორთა სეპარატისტული განწყობილებებისა, იმ პერიოდში მათ არ ჰქონდათ სხვა გამოსავალი და იძულებულნი იყვნენ, ეცნოთ აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. უფრო მეტიც, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ეძებდნენ გზებს თბილისსა და სოხუმს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების დახვეწისათვის. ამაზე მე-

ტი აღიარება ახლადარჩეული სახალხო საბჭოს მიერ მიღებული პირველი ოფიციალური დოკუმენტის – „აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტისა“; ძნელი წარმოსადგენია და მისი მოხსენიება „ни к чему не обязывающий“ დოკუმენტად,¹ სხვა არაფერია, თუ არა ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მცდელობა, სასურველი რეალობად წარმოაჩინონ.²

1919წ. ივლისში აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომებზე დაისვა საკითხი თბილისში შერეული საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში დელეგაციის და წარსადგენი საკონსტიტუციო პროექტის არჩევის შესახებ. 1919წ. 19 ივლისის სხდომაზე დამოუკიდებელთა და მემარჯვენეთა ჯგუფის წარმომადგენლებმა სოციალ-დემოკრატებს აფხაზი ხალხის და დემოკრატიის მტრები უწოდეს.³ თავის მხრივ, დამოუკიდებელთა კონსტიტუციის პროექტი მკაცრად გააკრიტიკეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, ავტონომიურ ერთეულად, ხოლო ადგილობრივ საქმეებში ის სრულიად დამოუკიდებელია. ისინი შეცდომად მიიჩნევდნენ დამოუკიდებელთა კონსტიტუციის პროექტის დამტკიცებას და მოითხოვდნენ ელიარებინა სახალხო საბჭოს ეს შეცდომა.⁴ ვითარების შესაბამისად 19 ივლისის სხდომაზე შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა. საბჭოს წევრების უმრავლესობა მოითხოვდა შეემუშავებინათ ერთიანი პლატფორმა აფხაზეთის სახალხო საბჭოს და აფხაზეთის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

1919წ. 21 ივლისის საბჭოს სხდომაზე წინააღმდეგობა უკიდურესად დაიძაბა. სოციალ-დემოკრატთა პროექტს მხარს უჭერდა გუმიდისთისა და სამურზაყანოს მაზრები, ხოლო კოლორი და გუდაუთა მოითხოვდა მიეღოთ დამოუკიდებელთა საკონსტიტუციო პროექტი. პოლიტიკური კონსესუსის მისაღწევად გადაწყდა,

¹ აფხაზი ისტორიკოსის ს. ლაკობას შეფასება იხ. **С. Лакоба**. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 74; **С. З. Лакоба**. Ответ историкам из Тбилиси. *Документы и факты*. Сухуми, 2001, გვ. 69.

² **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის... გვ. 39.

³ *სცხსა*, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 119, ფურცელი 11.

⁴ *სცხსა*, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 119, ფურცელი 11^ა.

რომ პარიტეტული კომისიის წინაშე განსახილველად წარედგინათ აფხაზეთის კომისარიატის მიერ შემუშავებული კომპრომისული პროექტი. ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა „დამოუკიდებელთა“ ჯგუფი, რომელიც აცხადებდა, რომ მიუღებელი იყო იმ პროექტის განხილვა, რომელსაც არ გაუვლია განაწესში მითითებული ინსტანციები. 21 ივლისის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კონსტიტუციის საკითხებზე მოსალაპარაკებლად საქართველოს მთავრობასთან გაეგზავნათ დელეგაცია. უმცირესობის ჯგუფმა უარი განაცხადა დელეგაციაში მონაწილეობაზე და დააყენეს საკითხი საქართველოს მთავრობისთვის მიეცათ დრო 15 აგვისტომდე – პოზიციის დასაფიქსირებლად.¹

სახალხო საბჭოს სხდომაზე არჩეული იქნა დელეგაციის წევრები, რომელშიც შევიდნენ ესერთა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები: ვ. ლურჯუა, გ. კოროლიოვი, მ. ცაავა, მ. უბირია, მ. გრიგოლია.²

1919წ. 25 ივლისს საბჭოს უმცირესობის წარმომადგენლებმა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიმართეს საპროტესტო განცხადებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ მივლინებული დელეგაცია იყო უკანონო და სახალხო საბჭოს თავმჯდომარე მოქმედებდა თვითნებურად, რადგან მან მხარი დაუჭირა კონსტიტუციის ისეთ პროექტს, რომლის შემუშავებისას დარღვეულია განაწესში მითითებული პუნქტები.³ უმცირესობის დეპუტატები მოითხოვდნენ, რომ პასუხი მიეღოთ 15 აგვისტოსთვის. ასევე ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს საფუძვლად უდევს აფხაზეთის თვითგამორკვევის პრინციპი.⁴

1919 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩავიდა აფხაზეთის საკონსტიტუციო საბჭოს ოფიციალური დელეგაცია, რომელიც შეხვდა დამფუძნებელი კრების წევრებს. არჩეული იქნა პარიტეტული კომისია 5-5 კაცის შემადგენლობით. კომისიის მუშაობის

¹ სცხსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 119, ფურცელი 5ა.

² სცხსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 119, ფურცელი 5ა.

³ სცხსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 119, ფურცელი 14.

⁴ სცხსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 119, ფურცელი 15.

პროცესში წამოიჭრა სადაო საკითხები. ამიტომ დამფუძნებელ საკონსტიტუციო კომისიამ გამოთქვა სურვილი სახალხო საბჭოს დელეგაცია კიდევ ერთხელ ჩამოსულიყო კონსტიტუციის პროექტზე საბუთად.

აფხაზეთის საკონსტიტუციო საბჭოს დელეგაციამ საქართველოს მთავრობას 1919 წლის 4 ოქტომბერს მიმართა მოხსენებითი ბარათით. დელეგატები ითხოვდნენ კონსტიტუციის შემუშავებაშიდე საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულიყო ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან, რომ აღარ ყოფილიყო გაუგებრობა ცენტრთან ურთიერთობაში, რასაც ქმნიდა ამ ორგანოების უფლებების საზღვრებისა და მოვალეობის შესახებ კანონის უქონლობა. დელეგატების აზრით საქართველოს მთავრობას უნდა გამოეთქვა თავისი შეხედულებები აზრი აფხაზეთში პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის საკითხების გარშემო. კერძოდ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შინაგანი თვითმმართველობის უფლებების შესახებ, სამხედრო ხელისუფლებასა და ადგილობრივ სამოქალაქო მართვის ორგანოებს შორის ურთიერთობის განსაზღვრის აგრარული რეფორმის გატარების საკითხთან და სხვა პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით.¹

დელეგაციის წევრებმა პირადად თხოვეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის გაჭიანურების შემთხვევაში მიეღოთ ცალკე კანონი ავტონომიური აფხაზეთის მართვის შესახებ. საკონსტიტუციო საბჭოს წარმომადგენლებმა თბილისში ორ თვეს დაჰყო.

ხსენებულმა დელეგაციამ, აფხაზეთში შექმნილი უძძიმესი სასურსათო მდგომარეობის გამო, წასვლის წინ ოფიციალური წერილობითი თხოვნით მიმართა რესპუბლიკის მთავრობას სასწრაფო დახმარება გაეღო აფხაზეთისთვის, რათა როგორმე დაძლეულიყო უძძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, ანუ შიმშილი. ამისათვის დელეგაცია ითხოვდა სოხუმ-სენაკსა და გაგრა-

¹ სცხსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 73, ფურცელი 1-2.

ფოტოს შორის საკომუნიკაციო კავშირის მოგვარებასაც, ასევე აფხაზეთის გლეხობის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით უზრუნველყოფას, აგრეთვე აფხაზეთის თამბაქოს საზღვარგარეთ მონოპოლიური გატანის უფლებას.

ოფიციალური დელეგაციის გარდა, თბილისში აღმოჩნდა აგრეთვე აფხაზეთის მეორე დელეგაცია: ი. მარღანიას, დ. ალანიას, მ. ცაგურიას და მ. ტარნავას შემადგენლობით. მათი ჩამოსვლის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს მთავრობისთვის გაეცნოთ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად აფხაზეთში შეიქმნილი ვითარება.

აფხაზეთის წამყვან პოლიტიკურ წრეებში წარმოქმნილი უთანხმოება კონსტიტუციის მიღებას ხელს უშლიდა. სახალხო საბჭოს სხვადასხვა ფრაქციები ვერ შეთანხმდნენ და ვერ შეადგინეს ერთიანი საკონსტიტუციო პროექტი. საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისია იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის მასალების გასაანალიზებლად და დებულებათა ჩამოსაყალიბებლად არჩეულიყო კომისია, რომელიც აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე თვითონ მოამზადებდა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტს.

სეპარატისტულად განწყობილი აფხაზ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი თავისი ქმედებებით ხელს უშლიდა აფხაზეთის კონსტიტუციის შექმნას. დემოკრატიული ძალები კი აუცილებლობად მიიჩნევდნენ უმოკლეს ვადაში გადაწყვეტილიყო ეს პრობლემა. 1920წ. ივლისში აფხაზეთის სახალხო საბჭომ თბილისში კვლავ მიავლინა საკონსტიტუციო დელეგაცია. 7 ივლისს პარიტეტულმა კომისიამ შეიმუშავა „ავტონომიური აფხაზეთის ძირითადი პრინციპები“, რომელიც საფუძველად დაედო აფხაზეთის ავტონომიური მართვის ძირითად დებულებებს.

ავტონომიის ძირითად პრინციპებში აფხაზეთის სახალხო საბჭო აღიარებულია, როგორც ავტონომიური აფხაზეთის კანონმდებელი ორგანო. აქვეა განსაზღვრული საბჭოს მმართველობის დაქვემდებარებაში შემავალი სფეროები, სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ქართული ენა, ამასთანავე საბჭოს ეძლევა უფ-

ლება გამოიყენოს სხვა ადგილობრივი ენებიც, აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს აფხაზეთის კომისარიატი, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეკრებილი სახელმწიფო გადასახადების ნაწილი ერიცხება სახალხო საბჭოს.

ავტონომიური აფხაზეთის დებულების გადასინჯვის უფლება ეძლეოდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტს, ხოლო გადასინჯვის ინიციატივა შეეძლო წამოეყენებინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

23 ივლისს თბილისში შედგა აფხაზეთის წარმომადგენლების და მცირე კომისიას შორის თათბირი ავტონომიის კონსტიტუციასთან დაკავშირებით, სადაც პ. საყვარელიძემ (საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე) განაცხადა, რომ ცენტრალური კომისია ამუშავებდა რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომლის პროექტს, ავტონომიის პროექტთან ერთად, განიხილავდა რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. აფხაზეთის წარმომადგენელმა მ. ტარნავამ გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ბოლო დროს აფხაზეთის მხარე მონაწილეობას არ იღებდა ავტონომიის კონსტიტუციის განხილვაში და მცირე კომისია კომპეტენტური არ იყო აფხაზეთის საქმეში. აფხაზეთის წარმომადგენელთა საჩივარი პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა, რომელმაც 1920 წლის 31 აგვისტოს გამოტანილი გადაწყვეტილება გადასცა აფხაზეთის დელეგაციას, სადაც ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის არსი უნდა მიესადაგოს საქართველოს რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციას. აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტების შემუშავება ხდებოდა საერთო პრინციპების გარეშე – შენიღბულად, რათა მათ უზრუნველყოთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველოსგან – სახალხო საბჭოსა და კომისარიატის ზოგიერთ ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენელთა ზრახვების საფუძველზე, აგრეთვე აფხაზეთში სახელმწიფო ენის სტატუსთან, ასევე აფხაზეთის საეკლესიო უწყების დამოუკიდებლობასთან, მმართველობასთან, სამხედრო ვალდებულებასთან, საკონსტიტუციო პარტიულ კომისიასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და თათბირზე გამოსვლების საფუძველზე.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს პოზიციის და ოპოზიციის პოლიტიკურ ჭიდილში ჭიანჭურდებოდა კონსტიტუციის შემუშავება, რაც აფხაზეთის და საქართველოს მტრების წისკვილზე ასხამდა წყალს. დემოკრატიული ძალები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რომ შენარჩუნებულიყო ის კურსი, რომელიც დასახული იყო საქართველოსთან მიმართებაში დემოკრატიული ავტონომიური აფხაზეთის ასაღორძინებლად.

საკონსტიტუციო კომისიამ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტების განხილვის საფუძველზე შეიმუშავა კონსტიტუციის ბოლო ვარიანტი, რომელიც 1920წ. 16 ოქტომბერს დაამტკიცა საბჭომ. კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, პირველი მუხლი აფხაზეთის ავტონომიას აცხადებდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთეულად – საზღვრებით: ჩრდილოეთ-დასავლეთით მდ. მეხადირი; სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგური, სამხრეთით შავი ზღვის ნაპირიდან კავკასიის ქედამდე – ყუბანისა და თერგის ოლქის საზღვრებამდე. აფხაზეთის ავტონომიის საკანონმდებლო ორგანოდ ცხადდებოდა საკანონმდებლო კრება, აღმასრულებელ ორგანოდ – ავტონომიის მთავრობა. მეხუთე მუხლის საფუძველზე ცენტრის უფლებამოსილებაში უნდა ყოფილიყო: – საგარეო პოლიტიკა. ჯარი, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო საქმე, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საფინანსო და ფულადი სისტემა, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზა და სახელმწიფოებრივი დანიშნულების გზები, საბაჟო სისტემა.

აფხაზეთის საკანონმდებლო კრების კომპეტენციაში რჩებოდა – კანონების მიღება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, ფინანსები, სახალხო განათლება, კულტურა, ადგილობრივი საქალაქო და საერო ორგანოები, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგის დაცვა, ჯანმრთელობის სფეროები, ადგილობრივი გზები. მე-9 და მე-10 მუხლებში ნათქვამია, რომ კულტურულ-ფასეული ძეგლები, კლიმატური სადგურები, მინერალური და სამკურნალო წყლები, ტყეები და სასარგებლო წიაღისეული ითვლება საერთო სახალხო ქონებად. კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით აფხაზეთში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობის პირები ინიშნებოდნენ ან ირჩეოდნენ ცენტრალური ხე-

ლისუფლების მიერ. აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობიდან. 38-ე მუხლის თანახმად აფხაზეთის მოქალაქე ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ.¹

აფხაზეთის საბჭოს მიერ დამტკიცებული და მოწონებული კონსტიტუციის პროექტით 1920წ. 4 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია ჩავიდა თბილისში, სადაც ისინი მიიღო ნოე ჟორდანიამ, სადაც აფხაზეთის წარმომადგენლებს გამოუცხადეს, რომ კონსტიტუციის შესახებ საკითხი გადაწყდებოდა საქართველოს კონსტიტუციის მიღებისთანავე, რომ აფხაზეთის მოწყობა ავტონომიის პრინციპის საფუძველზე უდაოა და რომ მისი კონსტიტუციის დამუშავება განეკუთვნება დამფუძნებელი კრების კომპეტენციას.² სახალხო საბჭოს დელეგაციის ნაწილმა – მ. ცაგურიამ, მ. ტარნავამ და დ. ალანიამ ჩათვალა, რომ საქართველოს მთავრობამ დაარღვია 1919წ. 20 მარტის აქტის მეორე პუნქტი და დატოვა თბილისი. 5 დეკემბრისთვის მთელი დელეგაცია დაბრუნდა სოხუმში.³ საბჭოს წევრებმა მ. ცაგურიამ, ი. მარდანიამ, დ. ალანიამ, ს. ჭანბამ, მ. ტარნავამ და სხვ. 22 დეკემბერს პროტესტით მიმართეს საბჭოს, თითქოს ის განზრახ უწყობდა ხელს კონსტიტუციის მიღების გაჭიანურებას. თუმცა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ დაიცვა პრეზიდენტი ბრალდებებისგან, იმ მოტივით, რომ კონსტიტუციის მიღება ობიექტური გარემოებით ბრკოლდებოდა.

1920წ. 29 დეკემბერს მცირე საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა დებულება „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ“, რომელშიც განისაზღვრა ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიული საზღვრები. მასში საკანონმდებლო ორგანოდ აღიარებულია დემოკრატიული საარჩევნო პრინციპით არჩეული სახალხო საბჭო, ჩამოყალიბებულია ის სფეროები, რომლებიც ექვემდებარება ავტონომიური აფხაზეთის მმართველობას. საერთო სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა მიწა, ტყე, გაგრის კლიმატური სადგური, წიაღისეული. სახელმწიფო ენად ცხადდებოდა

¹ Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия-историческая область..., გვ. 106.

² Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия-историческая область..., გვ. 106-108.

³ ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა..., გვ. 88.

ქართული ენა, თუმცა საბჭოს არჩევით დაწესებულებებში შესაძლებელი იყო ერთ-ერთი სხვა ენის შემოღებაც. აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებდა კომისარიატი. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებისთვის აფხაზეთი შეადგენდა ცალკე საარჩევნო ოლქს. სახალხო საბჭო დამოუკიდებელი იყო მოქმედებაში, ხოლო მისი წევრები სარგებლობდნენ იმუნიტეტით. აფხაზეთის კომისარიატი ანგარიშვალდებული იყო სახალხო საბჭოს წინაშე.

დებულება „*აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ*“ – დამტკიცებული იქნა საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად 1921წ. 21 თებერვალს.¹ აფხაზეთის ავტონომიის დებულების პირველ მუხლში ნათქვამია: „აფხაზეთი მდინარე მესხდირიდან – მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის ნაპირიდან – კავკასიონის წყალგამყოფ ქედამდე არის საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი, რომლის საზღვრებში აფხაზეთის ავტონომია ანხორციელებს თავის შინაგან მმართველობას“.²

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი შეწყვეტილ იქნა 1921 წელს ძალდატანებითი გასაბჭოებით. მიუხედავად რთული საგარეო და საშინაო პოლიტიკისა საქართველოს მთავრობამ შეძლო სახელმწიფოს ერთიანობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ აღიარა აფხაზეთი ერთიანი საქართველოს ფარგლებში ავტონომიის უფლებით, თავის მხრივ აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, რომელიც არჩეული იქნა საყოველთაო, პირდაპირი, თანაბარი და ფარული არჩევნების საფუძველზე, 1919წ. 20 მარტს აფხაზეთის ხალხის სახელით მიიღო „*ქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ*“; რითაც დადასტურდა ისტორიული ჭეშმარიტება: – აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

¹ ა. მენტეშაშვილი. ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების... გვ. 49.

² სცხსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 863, ფურცელი 92-93.

ТЕА КУБЛАШВИЛИ

О СТАТУСЕ АБХАЗИИ В 1918-1921 ГОДАХ

В статье на основании критического анализа данных соответствующих письменных источников (среди которых особо следует выделить архивные материалы), а также специальной научной литературы, освещены политико-правовые процессы в Абхазии в 1918-1921 годах. Отмечено, что, несмотря на серьезные препятствия, чинимые сепаратистски настроенными кругами тогдашнего абхазского истеблишмента, политическим лидерам как в Сухуми, так и в Тбилиси удалось выйти из кризиса и установить конституционно-правовые отношения в рамках единого Грузинского государства, в котором Абхазия обрела статус автономии.

TÉA KUBLASHVILI

ON THE STATUS OF ABKHAZIA IN 1918-1921

The paper, on the basis of the critical analysis of data contained in the relevant written sources (especially the archival materials) and the dedicated scientific literature, sheds light upon the political and legal processes in Abkhazia in 1918-1921. It is mentioned that despite the serious obstacles from the separatist-thinking circles of the Abkhazs, the political leaders both in Sokhumi and in Tbilisi were able to solve the crisis and establish constitutional and legal relations in the frame of the unified Georgian state in which Abkhazia received the status of autonomy.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო მივანი, 10-11, 2007-2008

მერაბ კალანდიაძე

საქართველოში კაენის სულის აღმკვებამ გაღაისრილა

XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი რ. ვიტრამი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ისტორიკოსები დაკავებული ვართ საოცარი საქმით: ჩვენ ვცხოვრობთ მკვდრების ქალაქში, ჩვენ გარშემორტყმული ვართ ჩრდილებით, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ წარსულს“.¹ რა თქნა უნდა, ისტორიკოსს საქმე აქვს წარსულთან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომის ისტორია რიგორც მეცნიერება ცხოვრებას მოწყვეტილია. პირიქით, წარსული მრავალი ძაფებითაა დაკავშირებული აწმოსთან და მომავალთან. ესაა მემკვიდრეობითი კავშირი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა იპოლიტ ტენმა, რომელსაც საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი კეთილგანწყობილებას ვერავენ დასწამებს, თავის ფუნდამენტურ ექვსტომიან გამოკვლევაში „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა“ შემდეგი აზრი გაატარა. მისი თანადროული საფრანგეთის პოლიტიკური დაწესებულებები წარმოიშვა, საძირკველი ჩაეყარა, XVIII ს. მიწურულს საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქაში².

თანამედროვე ინგლისის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობის ფესვები, სათავეები, ასევე საუკუნეების სიღრმეშია საძიებელი და მას ფაქტობრივად საძირკველი ჩაეყარა 1688წ. „სახელოვანი რევოლუციის“ შემდეგ. 1689წ. მიიღეს „ბილი უფლებათა შესახებ“, ხოლო 1701წ. „აქტი ტახტის მემკვიდ-

¹ Н. А. Ерофеев. Что такое история. М., 1976, გვ. 115.

² И. Тэн. Происхождение общественного строя современной Франции, т. 1-6. СПб., 1907-1913.

რობის შესახებ“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა ჩამოყალიბდა XVIIIს. მიწურულს, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დამთავრების და ახალი სახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატების ჩამოყალიბების შემდეგ. 1787წ. შეიმუშავეს ახალი კონსტიტუცია, ხოლო 1791წ. კი მიიღეს „ბილი უფლებათა შესახებ“.¹ რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ხდებოდა ამ პოლიტიკური სისტემის კორექტირება, შემდგომი დახვეწა, სრულყოფა. ცხადია, ეს მემკვიდრეობა შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური. მნიშვნელოვანწილად ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ისტორიული განვითარების შემდგომი პერსპექტივა.

საქართველოში XXს. 90-იან წლებში და XXIს. დამდეგს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არსი, კარგად რომ გავაცნობიეროთ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა სათანადოდ გავისივრებუანოთ ის ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც დღევანდელ საქართველოს ხვდა წილად. ამის გათვალისწინების გარეშე თანამედროვე საქართველოს ძნელბედობაზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნა, ჩვენი ღრმა რწმენით, ძალზე გაძნელდებოდა.

დღეს საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების დიდი ნაწილი შემთხვევითი არაა და ცარიელ ნიდაგზე არ აღმოცენებულა. აქ, პირველ ყოვლისა, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც საქართველოს ტოტალიტარულმა სისტემამ, ბოლშევიკურ-კომუნისტურმა სახელმწიფომ დაუტოვა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კომუნისტების მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო სასტიკად იქნა დანაგვიანებული. მისი გაწმენდა, ბუნებრივია, ადვილი საქმე არ იქნებოდა. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმიდან ისტორიული განვითარების ნორმალურ ვარიანტ-

¹ მ. კალანდაძე. ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005, გვ. 124-125; მ. კალანდაძე. სამართლებრივი სახელმწიფო, ისტორიული გამოცდილება. – გაზ.: „თბილისი“, 13 ივლისი, 1990.

ზე დაბრუნება შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო, რატომ? ობიექტური ხასიათის სიძნელეებს ემატებოდა სუბიექტური ფაქტორი. პირველ რიგში ხელისუფლების უუნარობა მოედებნა სოციალური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტი, შეემსუბუქებინა მოსახლეობის მიძიმე ყოფითი პირობები. მნიშვნელოვანწილად ამითაა გამოწვეული საზოგადოების ერთი ნაწილის ნოსტალგია კომუნისტური რეჟიმისადმი.

საქართველოს ისტორიაში ძნელბედობის ხანა ხშირად ყოფილა: ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გაბატონებისათვის სასანიდური ირანი რომი (მოგვიანებით ბიზანტია) იბრძოდნენ, შემდეგ არაბები შემოესივნენ ქვეყანას, მოგვიანებით კი თურქ-სელჩუკები, ცოტა ხანს თითქოს საქართველომ სული მოიბრუნა, ფეხზე დადგა, მაგრამ მონღოლები გამოჩნდნენ. მონღოლებს თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობები მოჰყვა, ხოლო XVI-XVIII საუკუნეებში საქართველო სეფევიდური ირანისა და ოსმალეთის აგრესიის ობიექტი გახდა. მაჰმადიანურ სამყაროსთან თავგანწირულ ბრძოლაში დაქანცული საქართველო ერთმორწმუნე რუსეთმა დაიპყრო. რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ ქვეყანამ დროებით მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ 1921წ. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა კვლავ დაიპყრო პატარა საქართველო.

აღორძინების ეპოქის ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ფრენსის ბეკონი ამბობდა, „როდესაც გემი იძირება ფასეულობები ქვემოთ მიდის, ხოლო ნაგავი ზევით ამოდის“.¹ შეიძლება ითქვას, რომ 1921წ. 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების შედეგად საქართველოს სახელმწიფო ხომალდი ჩაიძირა. რა მოხდა შემდეგ?

XXს. საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო:

1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917წ. 12 მარტს;

¹ **Francis Bacon.** The Advancement of Learning: With a Brief Memoir of the Author. London, 1994, გვ. 58.

2. დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918წ. 25 იანვარს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა;
3. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებდა, რომ საქართველომ არჩევანი გააკეთა დამოუკიდებლობაზე და დემოკრატიაზე. ეს იყო ძალზე ძნელი გზა, რომელიც შეცდომებით აღსავსე აღმოჩნდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად ამისა, პოზიტიური მაინც გაცილებით უფრო მეტი გაკეთდა. აშკარა იყო, რომ თუ არა გარეშე ძალის უხეში ჩარევა – საქართველოს გასაბჭოება 1921წ. 25 თებერვალს, ქვეყანა ძნელად, მაგრამ სწორი გზით განაგრძობდა სვლას¹. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფინეთის მაგალითი, რომელმაც საქართველოსაგან განსხვავებით მოახერხა 1917წ. დეკემბერში მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება და საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, მიუხედავად ამ უკანასკნელის არაერთგზის მცდელობისა, არ დაუშვა თავის საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩარევა. შედეგებიც სახეზეა².

1921წ. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის ხელშეწყობით მოახდინა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ოკუპაცია. ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის დანაშაული ქართველი ერის წინაშე მდგომარეობდა შემდეგში: 1. ი. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ დაიპყრეს საქართველო. მოახდინეს საკუთარი სამშობლოს ანექსია. საქართველოს წართვეს დამოუკიდებლობა. ი. სტალინმა თავისი პირადი ინტერესები სამშობლოზე მაღლა დააყენა. აქ ვგულისხმობთ იმას,

¹ **ლ. თოიძე.** ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991; **ლ. თოიძე.** რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. – წგნ.: *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II. თბ., 1998, გვ. 388-409.

² **გ. ჭელიძე.** ფინეთი XIX საუკუნეში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1997.

რომ თუ საქართველო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა, მაშინ ი. სტალინი იქნებოდა ერთი ჩვეულებრივი რიგითი ემიგრანტი. მან დაიპყრო საქართველო და გახდა მის მიერვე შექმნილი უნიტარული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი. 2. ი. სტალინი-მა და ს. ორჯონიკიძემ თავისი სამშობლო ააცდინეს განვითარების სწორ გზას და ძალად მოახვიეს თავს ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფო. საძირკველი ჩაუყარეს კაზარმულ კომუნიზმს, რომელიც გულისხმობდა გათანაბრებას უკიდურესი სიღატაკის დონეზე და ხელს უწყობდა, არა პროგრესს, არამედ განაპირობებდა რეგრესს, სტაგნაციას. 3. ი. სტალინი-მა და ს. ორჯონიკიძემ საქართველოს დაუტოვეს მეტად მძიმე მემკვიდრეობა, რაც უმთავრესად იმით გამოიხატა, რომ ჩანასახშივე მოსპეს ის ნიადაგი (კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკა, კონკურენცია), რომელიც უზრუნველყოფდა განვითარების ნორმალურ გზაზე დაბრუნებას. ფიზიკურად გაანადგურეს ან გადაავგარეს ქართული ინტელიგენცია. მოახდინეს მმართველი აპარატის კრიმინალიზაცია. დღეს, სწორედ, ყოველივე ამის შედეგს ვიმკით.

ბოლშევიკურ-ათეისტურ ხელისუფლებას არც ეკლესია დარჩენია უყურადღებოდ. ეკლესია-მონასტრები იავარჰყო, სამღვდლოების საუკეთესო ნაწილი მოსპო, მორწმუნე მრევლს დევნიდა. ერის სულიერი დაკნინება ამის ლოგიკური შედეგი იყო. კომუნისტების რისხვას, ცხადია, ვერც ქართველი ერის სათაყვანებელი „ცოდნის ტაძარი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაურჩა. მათ უნივერსიტეტს და, პირველ რიგში, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს, ნაღებს, უსაშინლესი რეპრესიები დაატეხეს და ისტორიაში არნახული სისხლიანი კალო გალექეს.

ამ რეპრესიების ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნას 1926წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის გათავისუფლება. ამ დაწყებული დევნის ლოგიკური გაგრძელება იყო 1930წ. დეკემბერში საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული დისკუსია და 1935წ.

23 მარტიდან – 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული პოლემიკა, რომლის კრიტიკული ისრები მიმართული იყო ძველი პროფესურის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ¹. ბოლშევიკური პროპაგანდა ამ შემთხვევაში „ხალხის ინტერესებიდან“ გამომდინარე მოქმედებდა. დიდი იტალიელი პოეტი დანტე ალიგიერი ამბობდა: „ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა კეთილი სურვილებითაა მიმობნეული“. ასე შეაბიჯებინეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტში უზნეობას, უვიცობას, უსინდისობას და მის დამახასიათებელ ატრიბუტებს. ანალოგიური ტერორი დაატეხეს თავს ბოლშევიკებმა მწერალთა კავშირს².

ოთხასი წლის წინ სულმნათი უილიამ შექსპირი წუხდა:

*„ყველაფრისგან დაღლილს სანატრელად
სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფარა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსთ უსამართლოდ დაადგეს დაფნა“³*

თუ შექსპირის დროს ამის ცალკეული გამოვლინებები იყო, რომელიც გენიალური ინგლისელის მზერას არ გამოპარვია, XX საუკუნეში ტოტალიტარული-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით ეს წინამძღვრები ცხოვრების ნორმად იქცა. ტოტა-

¹ დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ (სტენოგრამა). – საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 471, აღწერა 19, საქმე 4 და 5. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: *ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე*, გამოსაცემად მოამზადეს შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. *მერაბ ვაჩნაძემ* და პროფ. *ვახტანგ გურულმა*, თბ., 2004; *გ. ციციშვილი*. გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები. – *ცისკარი*, №2. 1995.

² ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: *რ. კვერენჩილაძე*. წამების გზა, გასამართლება, გადასახლება, დახვრეტა. ნაწ. I. თბ., 1999, ნაწ. II. თბ., 2005.

³ ციტირებულია წიგნიდან: *გ. კიდურაძე*. XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. ნაწ. I. თბ., 1979, გვ. 21.

ლიტარულმა სახელმწიფო მანქანამ ფეხქვეშ გათელა ბიბლიური პრინციპი „კეისარს კეისრისა“.

ვის რაში სჭირდებოდა ისეთი სახელმწიფო, რომლის აღმოცენებას დასჭირდა ისტორიაში არნახული ტერორი, საკუთარი ხალხის გენოციდი, ხოლო დაშლას თან მოჰყვა უკიდურესი ეკონომიკური სიღუბნით, სოციალური გენოციდი? „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს“?

ამრიგად, ბოლშევიკურ-ტოტალიტარულმა სახელმწიფომ თანამედროვე საქართველოს მეტად არასახარბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა. მისი დაძლევა არ იქნება ადვილი საქმე და დიდ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს. ჯერჯერობით ამ მიმართულებით ძალიან ცოტაა გაკეთებული. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესი უსაშველოდ ჭიანჭურდება. სწორედ საშუალო ფენაა პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი. XVIII ს. ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმს ჰარინგტონი ამბობდა: „როცა სახელმწიფოს საფუძვლები იცვლება, მმართველები კი ამის შესაბამისად სახელმწიფო შენობის შეცვლას არ ცდილობენ, ხალხი უბედური ხდება“. აი პასუხი კითხვაზე რა ხდება დღეს საქართველოში. ფრანგი რევოლუციონერი სენ-ჟიუსტი დასძინდა „თუ სამშობლოსათვის ყველაფერი არაა გაკეთებული, მაშინ არაფერია გაკეთებული“.¹ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს თქმით, „სადაც პატიოსნება ყველაზე მეტად არ ფასობს, იქ მყარი კანონი და წესწყობილება არ იქნება“. თანამედროვე საქართველო ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. დიდი ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე აღნიშნავს: „არ არსებობს იმაზე უფრო სასტიკი ტირანია, რომელიც სამართლიანობის სახელით ხორციელდება“.² საბჭოთა კავშირის მთელი ისტორია ამის ნათელი მაგალითია.

¹ Л. А Сен-Жюст. Речи и трактаты. М., 1995.

² Charles Louis Montesquieu. Considérations sur les causes de la grandeur des Romains et de leur décadence. – *Œuvres complètes de Montesquieu*, tome second. Paris, 1859, გვ. 62.

როგორც ჩანს, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოდან დემოკრატიაზე გადასვლა გაცილებით უფრო მტკივნეული და რთული პროცესია, ვიდრე ფაშისტურ-ნაცისტური რეჟიმიდან ლიბერალურ ღირებულებებისაკენ შემობრუნება.¹

МЕРАБ КАЛАНДАДЗЕ

НАД ГРУЗИЕЙ ПРОШЁЛСЯ ДУХ КАИНА

В статье предпринята попытка осмысления политико-идеологического наследия тоталитарной системы в Грузии. Отмечено, что 70- летний большевистский режим наложил тяжёлый отпечаток почти во всех областях общественно-политической жизни страны.

MERAB KALANDADZE

THE SOUL OF CAIN SLIPPED OVER GEORGIA

The paper represents an attempt to interpret the political and ideological legacy of the totalitarian system in Georgia. It is mentioned that 70 years of the Bolshevik regime made a heavy impact on all the aspects of the public and political life of country.

¹ ამის შესახებ იხ.: მ. კალანდაძე. ისტორიის მსჯავრი. – *მესხეთი*, IV. თბ.-ახალციხე, 2001; მ. კალანდაძე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, კარი II, თავი I, XX საუკუნის საქართველოს ძნელბედობა. ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, თბ., 2006; მ. კალანდაძე. თანამედროვე საქართველოს არასახარბიელო შემკვიდრეობა. – *გაზ.*: „ახალი 7 დღე“, 11-18 მარტი, 2005.

ბიორგი ბაზრინდაშვილი

დასავლეთი – ქართული სახელმწიფოს ისტორიული არჩევანი

დასავლეთი, დასავლური ორიენტაცია, ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისაკენ სწრაფვა – ეს ის აქტუალური საკითხებია, რომლებიც ძალიან ბევრი ჩვენი ქვეყნის მოქალაქის ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ თემატიკის ირგვლივ აქტუალურია მსჯელობა, როგორც ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და მაინც რა არის დასავლეთი? რას გულისხმობს ეს ჯადოსნური სიტყვა თავისთავში? რატომ არის რომ ქართულ სახელმწიფოს სწორედ ამ მიმართულებით ააქვს გეზი აღებული?

ჩვენი მცირე ნაშრომიც ამ გეზს ეხება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ დღეს აღებული პოლიტიკური კურსის მართებულობის დასაბუთებას ისტორიული რეტროსპექტივის ფონზე. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ ამ გზაზე სვლა XXს. მიწურულს არ დაწყებულა და რომ ამ გზის გაკვალვა ჩვენმა წინაპრებმა ათასწლეულების უკან დაიწყეს.

საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ ტერმინ „დასავლეთის“ მნიშვნელობა და ის კონოტაცია, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ მასში. ეს არის, პირველ რიგში, არა გეოგრაფიული სივრცე, რომელიც მოიცავს ძირითადად ევროპის კონტინენტის დასავლეთ ნაწილს, არამედ ფასეულობათა სისტემას (დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა, მყარი ინსტიტუტები, რასაც ეფუძნება სახელმწიფო და სხვ.) და ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების ის მაღალი დონე, რომელიც ახასიათებს ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას. (ამ კონტექსტში უნდა ვიგულისხმოთ ასევე ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ისრაელი) აქვე და-

ვამატებთ, რომ ის რაც დღეს დასავლეთს პირველი ვიოლინოს როლს ანიჭებს პროცესების წარმართვისას, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ხელში იყო კონცენტრირებული.

საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს მუდმივად ჰქონდა მინიმუმ ორი ან რამდენიმე არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლის დროსაც იგი ძირითადად ამ უკანასკნელს ირჩევდა. ამ არჩევანს პოლიტიკურ კონიუნქტურასთან ერთად დასავლეთთან ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები განსაზღვრავდა.

ქართულ-ევროპულ (დასავლურ) გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ. მიუხედავად მითისა ამ გადმოცემაში მრავალადაა სინამდვილის ელემენტები. ჩანს დასავლურქართული ერთობის – კოლხეთის ურთიერთობა მაშინდელი მსოფლიოს წამყვან ხალხთან – ელინებთან, რომლებიც ამრეზით უყურებდნენ არაბერძენ ხალხებს და თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნდათ. კოლხეთი ახლობელია მათთვის. აიეტი განლავთ მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილი, ე.ი. იგი ამ სამყაროში ინტეგრირებულად უნდა მივიჩნიოთ. ასევე აიეტი ფლობს ტექნოლოგიურ ნოვაციას – ოქროს საწმისს, რომელიც ბერძნების ცხოველი ინტერესის სფერო იყო. მითი ასევე ასახავს კარგად განვითარებულ მეტალურგიას, კატორგრაფიასა და ზღვაოსნობას (კირბები) და მედიცინის მაღალ დონეს.¹ ამ მეცნიერების ნათლიად სწორედ კოლხი ქალი მედეა ითვლება.

ბერძნული კულტურის დომინაცია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ჩანს კარგად ძ.წ. VI საუკუნეში. იგი აქტიურადაა ჩართული ელინურ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც საფუძველი ბერძნულმა კოლონიზაციამ დაუდო. ის მოიცავდა ახლო აღმოსავლეთს, ეგვიპტესა და აფრიკის სანაპიროს, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შავიზღვისპირეთს. აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი პუნქტი: დიოსკურია, (სოხუმი) გიენოსი,

¹ თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1979, გვ. 24.

(ოჩამჩირე) და ფაზისი, (ფოთი) რომელთა დაფუძნებაც მიღებული მოახალშენებებს მიეწერებათ.¹ გარდა სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებისა ამ პროცესის თანამდევნი იყო ბერძენთა პოლიტიკური და კულტურული გავლენა.

დასავლეთ საქართველოსთან ერთად იბერია მკვეთრი ორიენტაციული არჩევანის წინაშე ძვ.წ. II ს. 60-იან წლებში დადგა, როდესაც რომი აღმოსავლეთში აგრესიულ პოლიტიკას წარმართავდა და ცდილობდა პონტოს სამეფოს ხარჯზე მოეხდინა საკუთარი მიზნების განხორციელება. (იბერიისგან განსხვავებით კოლხეთი პონტოს სამეფოს უშუალო გამგებლობაში შედიოდა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალება არ ჰქონდა) მითრიდატე ევპატორსა და პომპეუსს შორის დაპირისპირება რომაელთა გამარჯვებით დასრულდა, რასაც მოჰყვა პონტოს სამეფოს მოკავშირეების (სომხეთი, იბერია, კოლხეთი, ბითონია, პაფლაგონია და სხვ.) ახალ „მფარველთან“ გადასვლა. მართალია ეს ნაძალადევი არჩევანი იყო პონტოსა და რომს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მაგრამ ამან ქართლი (და ასევე კოლხეთიც სადაც პომპეუსმა არისტარქე დასვა მმართველად) „დასავლური სივრცის“ მედროშის, რომის იმპერიის „მოკავშირედ და მეგობრად“ აქცია. გამოიკვეთა იბერიის სამეფოს ფუნქცია საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც გულისხმობდა, კავკასიონის გადმოსასვლელების კონტროლს და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების ამ მონაკვეთის დაცვით, იმდროინდელ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

ქართულ-რომაულ ურთიერთობებს, ოღონდ უფრო მაღალ ხარისხში, ადგილი ჰქონდა III ს. 40-იან წლებში ქართლის მეფე ფარსმან II-ის დროს, რომელიც კარგად იყენებდა მის ხელთ არსებულ ბერკეტებს მომთაბარე ტომების სახით და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. მისი ფიგურის მნიშვნელობაზე მეტყველებს ვიზიტი „მარადიულ ქალაქში“ და მარსის მოედანზე მისივე ცხენოსანი ქანდაკების აღმართვა.

საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში (და არა მარტო)

¹ რ. გორდეზიანი. ბერძნული ცივილიზაცია. ანტიკური სამყაროს კულტურები 5 წიგნად. ნაკ. I. თბ., 1988, გვ. 162.

საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე. დრო, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ქრისტიანობა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა ევროპის ბედი. ასე მოხდა საქართველოშიც. ის შემოვიდა ყველგან: კულტურაში, ხელოვნებაში, ცხოვრების წესში და საზოგადოებრივ სისტემაში. იგი იქცა დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. ამ მხრივ საქართველო მართლაც უნიკალურად აღმოჩნდა ევროპასთან. ამას დავეუბნავ, შუა საუკუნეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი მიწის ფლობის ფორმა. იგი ევროპაში კერძო საკუთრების, ფეოდალური სისტემის სახით ჩამოყალიბდა და რამდენიმე საუკუნე განვლო, განსხვავებით აღმოსავლეთისაგან, (მათ შორის, ბიზანტიისაგან) სადაც მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა და იგი ჩანაცვლებული იყო სახელმწიფო საკუთრებით. დასავლეთის მსგავსი სენიორულ-ფეოდალური სისტემა გვხვდება საქართველოშიც V საუკუნიდან და იგი დასავლეთთან მეტ-ნაკლებ სინქრონიზაციას ინარჩუნებდა ერთიანი სამეფოს დამლაშვლად და ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ერთი მხრივ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხს სრულად გასცა პასუხი, ხოლო მეორეს მხრივ წითელი ხაზი გაავლო აღმოსავლეთთან და გაემიჯნა ჯერ მაზდეანობას, ხოლო შემდეგ კი ისლამს. ამის ნათელი დადასტურებაა ვახტანგ გორგასალის პოლიტიკა, რომელიც, მიუხედავად სიძნელეებისა, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ორბიტაში ცდილობდა დამკვიდრებას. მეფე სპარსეთის დახმარებით ემუშებოდა თავისი ძალაუფლების გაზრდას და ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება-ცენტრალიზაციას, მაგრამ ეს სტრატეგიული მიზნისაკენ მიმავალ ტაქტიკურ ნაბიჯად მიიჩნდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ბიზანტიური სივრცის ნაწილად ექცია ქვეყანა.

ძალზედ საგულისხმოა VI საუკუნეში ევრისში მიმდინარე „დიდი ომიანობა“. აღმოსავლურ-დასავლური მსხვილი მოთამაშეების ირანისა და ბიზანტიის ინტერესები, გარდა სხვა ადგილებისა, დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა. თავის მხრივ ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პრინციპით მოქმედი ევრისელები

ხან ბიზანტიელებს მოუხმოდნენ ქვეყანაში, ხან კი ირანელებს. თუმცა, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, როდესაც ეგრისელთა მიერ შეყრილ აგორაზე ქვეყნის ორიენტაციის საკითხი დადგა, მათ დიდი მსჯელობის შემდგომ დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა და აქ განმსაზღვრელი ფაქტორი ქრისტიანობა აღმოჩნდა.

VIII საუკუნეში, როდესაც ქართლში განსაკუთრებით გაძლიერდა არაბთა დაწოლა. ამ ვითარებას კარგად აღწერს იოანე საბანიძე და ყურადღებას ამახვილებს ქართლის ადგილსა და ფუნქციაზე რეგიონში, რითაც ხაზს უსვამს მის განუყოფლობას ბიზანტიისგან, უფრო თუ დავაზუსტებთ ქრისტიანული სამყაროსაგან. „რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა ... არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებად ესე ღმრთისა მიერი მოიპოვების, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა“.¹

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც დღის წესრიგში დგება საქართველოს გაერთიანების საკითხი ეს ურთიერთობები თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის. გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქია, რომელსაც კავკასიური იმპერიის ამბიციები აქვს, ცდილობს ნელ-ნელა წინააღმდეგობა გაუწიოს ბიზანტიას და შემდეგ კი მის საპირწონედ იქცეს. ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. იგი აისახა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში (I, IV და V ჯვაროსნული ლაშქრობები) და რომის წმინდა საყდართან მიმოწერაში.

XIII ს. 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გახშირდა კავშირები კათოლიკურ სასულიერო ორდენებთან, კერძოდ დომინიკანელებთან და ფრანცისკანელებთან, ხოლო XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის ზეობისას ეს ურთიერთობები ახალ საფეხურზე ავიდა. ამის მიზეზი კი იყო ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება, რამაც კათოლიკეებს უბიძგად სძირნადან საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოეტანათ და ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო და რეგიონალურ პოლიტიკაში. ვენეციისა და გენუის მიერ, საერთაშორისო ვაჭრობაში უმთავრე-

¹ იოანე საბანიძე. ჰაბოს წამება. – ქართული მწერლობა. ტ. I. თბ., 1987, გვ. 447.

სი კონკურენტის, ბიზანტიის, დასუსტება-ჩამოშორებამ შავი ზღვის ფუნქციის გაზრდა გამოიწვია. იგი იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩაერთო. ამას მოჰყვა გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიების დაარსება შავი ზღვის სანაპიროს ქართულ ნაწილში. (ბათუმი-ლო ვატი, ფოთი-ფასო, სოხუმი-სებასტოპოლისი).¹

ევროპასთან ურთიერთობისას საბელისწერო მომენტი დადგა 1453 წელს, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიის დამხობით ჩაიკეტა პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ და ქვეყანა აგრესიული მუსულმანური ქვეყნების რკალში მოექცა. „ეს ის ხანა იყო, როცა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიიღვრებოდნენ. ინგლისში ვარდების ომის შემდეგ 1485წ. ტიუდორთა ტრუიმფალური აღზევება მოხდა. საფრანგეთში ლუდოვიკო XI უღმობლად მოსპო ფეოდალური თვითნებობის ნაშთები. დიდი მთავრები ივანე დიდი და ვასილი ერთიმეორეს მიყოლებით ნოქავდნენ მოსკოვის დამოუკიდებელ სამთავროებსა და თავისუფალ ქალაქებს და ახალ რუსეთს უყრიდნენ საძირკველს. ბოსფორზე თურქი სულთნები ახალ იმპერიას აშენებდნენ, რომელიც მრისხანედ იდგა ცალი ფეხით აღმოსავლეთში და მეორეთი დასავლეთში. სპარსეთში შაჰ-ისმაილ საფავიმ ახალ ეროვნულ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი და გზა მისცა თავისი ხალხის რელიგიურ და პატრიოტულ აღტკინებას. მაგრამ რენესანსული ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ და ქანცვამოლულ საქართველოში საათის ისრები უკან მიდიოდა და არა წინ“.² მიუხედავად ამ სავალალო კონტრასტისა, ქართველი მეფე-მთავრები იმედის თვალით შეჰყურებდნენ ევროპას, მაგრამ ამჟამად. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მათ მიერ გაწეული დახმარება მხოლოდ მორალური ხასიათისა იყო. ეს დაადასტურა სიმონ I-ის მომოწერამ პაპ კლიმენტი VIII და

¹ ლ. (ი) ხუბაშვილი. ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში. თბ., 2004, გვ. 116.

² დ. ლენგი. საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები. თბ., 2003, გვ. 32.

ესპანეთის მეფე ფილიპე II-თან და განსაკუთრებით კი სულხან-საბას ელჩობამ საფრანგეთსა და იტალიაში.

თემურ-ლენგის ლაშრობების შემდეგ დაწყებული სახელმწიფოს დაქუცმაცება-ღეზინტეგრაციის პროცესი შეუქცევად გრძელდებოდა სამი საუკუნის მანძილზე. საგაერო ასპარეზზე ქართული სამეფო-სამთავროების არცთუ წარმატებულ თამაშს ირანსა და ოსმალეთს შორის არამდგრადი შიდაპოლიტიკური პროცესები განაპირობებდა. რეფორმას საჭიროებდა მთელი სისტემა, რასაც უნდა გამოეწვია ეკონომიკის აღმავლობა, სახელმწიფო აპარატის ახლებურად გარდაქმნა, ჯარის რეფორმირება, „ტყვის სყიდვის“ შეჩერება და ამით დემოგრაფიული სურათის გაჯანსაღება სხვ. ეს მიზნები ჰქონდა ერეკლე II-საც როდესაც რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა.

დღესაც კი ვერ გადაუწყვეტიათ საქართველოში, იხსნა თუ გასწირა ამ ნაბიჯით პატარა კახმა ქართლ-კახეთის სამეფო. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ამ საკითხს ხშირად ისე უყურებენ, როგორც ქოთნის ყურს, რომელსაც როცა დაგჭირდება და როგორც დაგჭირდება ისე მოაბამ ყურს. და მაინც რა იყო ერეკლეს არჩევანი? საქართველოში განვითარებულმა იმ სამსაუკუნოვანმა პროცესმა, რომელსაც ზემოდ შევეხედ განაპირობა ერეკლეს არჩევანი რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენი აზრით ეს იყო „ძღუდე“ გზა ევროპისაკენ. ისეთ გამოცდილ დიპლომატს, როგორც ერეკლე იყო კარგად ესმოდა ევროპის მნიშვნელობაც და საერთაშორისო პოლიტიკაც. მისი რეფორმები, რაც გულისხმობდა „მორიგე ჯარის“ შექმნას, სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას, ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვას ევროპეიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები იყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროცესის ერთი მხარე გახლდათ. მეორე მხარეს კი იდგა სამი რეგიონული „ვეშაპი“ და მათთან ერთად მოთამაშე მსხვილი ევროპული სახელმწიფოები, რომელთა შორისაც ხდებოდა ლავირება.

თვითონ რუსეთიც ევროპეიზაციის გზაზე იდგა. თავი რომ დავანებოთ რუსეთის სამეფო კარის ვიზუალურ მხარეს, რომელსაც დასავლური „სურნელი“ დაჰკრავდა, უნდა გამოვყოთ ევროპული (გერმანულ-პრუსიული) მოდელის დანერგვის პროცესი არ-

მიაში, განათლების სისტემაში, ეკონომიკაში და ა.შ. ქართლ-კახეთის სამეფოს პროდასავლური ორიენტაცია იმდენად სერიოზული იყო, რომ რუსეთის მთავრობის რეზიდენტმა სერგეი ბურნაშოვმა საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის საიმპერატორო კარი. ერეკლეს სურვილს ევროპულად მოეწყო ქვეყანა ადასტურებდა 1784წ. პავლე პოტიომკინის მიერ შეგროვილი ცნობებიც.¹ მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს ჩანაფიქრი არ გამართლდა და საქართველო რუსეთმა დაიპყრო, უარყოფითის გარდა ამას ზოგიერთი დადებითი მოვლენაც მოჰყვა. რუსეთის გავლით აქამდეც მოაღწია ევროპულმა ცხოვრების წესმა, განათლებამ და კულტურამ.

დასავლეთის უპირატესობაზე, მხოლოდ ნაკლებად პოლიტიკურ ჭრილში, აქტიურად წერდნენ ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ამერიკული განათლების სისტემით იყო აღფრთოვანებული) ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, და სხვები. ისინი მხარს უბამდნენ ყველა პროგრესულ დასავლურ წამოწყებას, შეეხებოდა ეს პოლიტიკას (თვითმმართველობის სახით), ეკონომიკას, განათლებას, სოფლის მეურნეობას თუ სხვა სფეროს, მხოლოდ ერთი პირობით: უნდა მომხდარიყო ევროპული სიახლეების მორგება ქართულ სინამდვილესთან, რათა ამ სინთეზის შედეგად მიღებული ნაყოფი სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო.

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად 1918 წელს აღმოცენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლური ორიენტაციისა იყო. მათ მიერ გატარებული რეფორმებიც ამას ადასტურებდა. აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო კონსტიტუციაზე. მაგრამ საქმეში ისევ, საქართველოსთანა პატარა და ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოსთვის, ნაკლებად ანგარიშისგამწვევი ფაქტორი – საერთაშორისო პოლიტიკა ჩაერთო, რომელმაც დემოკრატიული ღირებულებების დამცველი ქართული სახელმწიფო რუსეთის გავლენის სფეროდ გამოაცხადა. ეს კი ევროპული კარების კიდევ ერთხელ მიხურვას და გაწითლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცევას ნიშნავდა.

¹ **ო. ცინცაძე.** აღა-მაჰმად-ხანის დაშქრობა საქართველოზე. თბ., 1969, გვ. 112.

XXს. ბოლოს „ცივი ომის“ დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა. ახლადშობილი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოინახა 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ორი ეთნო-კონფლიქტის გაჩაღებით, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ, ეკონომიკური პრობლემები, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა პრობლემები. ცხადია, ამ სიძნელეების ერთ-ერთი ძირითადი „შემოქმედი“ რუსეთი იყო,¹ რომელიც ვერ ეგუებოდა ტრადიციული გავლენის სფეროების შემცირებას.

აი, ამ ფონზე, XXს. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთთან აქტიური ურთიერთობები. თანამშრომლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან. ამ პერიოდშივე ყალიბდება საქართველოს ფუნქციის კონტურები XXI საუკუნეში, რომელიც შემდგომში გარდაისახა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში, იყო ეს ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი, თუ ბაქო-თბილისი-ერზუმის გაზსადენი. ამას თან დაერთო აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, ხოლო XXს. 90-იანი წლების პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებად შეიძლება მივიჩნიოთ 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღებისას, პარლამენტის თავჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვები: „მე ვარ ქართველი და მამასადამე ვარ ევროპელი“. ეს არ ყოფილა ყალბი პათეტიკური მნიშვნელობის ფრაზა. ამ ფრაზის უკან იდგა ჩვენი ქვეყნის არაერთი თაობის სურვილი და ოცნება ევროპასთან, დასავლეთთან კავშირისა.

ეს სურვილი უფრო მკვეთრად გაჟღერდა 2003 წლის შემდეგ და ახალი ხელისუფლების მიერ გამოითქვა სურვილი დასავლეთისკენ სწრაფვის ტემპების დაჩქარებისა. მაგრამ 2008

¹ თუმცა ეს ქართულ სახელმწიფოს, ქართულ საზოგადოებას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, უფრო მეტიც, საჭიროა საკუთარ შეცდომებისა და მცდარი ნაბიჯების ახსნა-გაანალიზება.

წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესები შეანელა და ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა არჩევანზე. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს დღეს საქართველოს მდგომარეობა ასეთია: ერთის მხრივ მას არ სურს აგრესიული „უფროსი ძმის“ წიაღში, რომელმაც მრავალი ზიანი მიაყენა ახლო თუ შორეულ წარსულში, ხოლო მეორეს მხრივ ვერ აბარებს „გამოცდებს“ რათა დაჩქარდეს ევროპულ ოჯახში დაბრუნება. ამას ცხადია ემატება საერთაშორისო პოლიტიკა, სადაც საქართველოს ბედს უპირატესად სხვები წყვეტენ და ქვეყანა, ძირითადად, მსხვილ პოლიტიკურ მოთამაშეებზეა დამოკიდებული.

ჩვენს მიერ განხილული ფაქტებისა და მოვლენების ფონზე, მიუხედავად დღეს არსებული პესიმისტური პროგნოზებისა, მიგვაჩნია, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ გადალახული ორიენტაციული რუბიკონი კორექტირებას არ საჭიროებს, პირიქით უნდა მოხდეს მისი დახვეწა და გაუმჯობესება. მხოლოდ ამ გზას შეუძლია მიგვიყვანოს მთავარ მიზანამდე. ეს მიზანი კი არის ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ГИОРГИ ГАПРИНДАШВИЛИ

**ЗАПАД – ИСТОРИЧЕСКИЙ ВЫБОР
ГРУЗИНСКОГО ГОСУДАРСТВА**

В статье дан обзор исторического пути пройденного Грузией на протяжении последних трёх тысячелетий. Отмечено, что начиная с греческой колонизации Восточного Причерноморья, грузинский культурно-политический мир почти постоянно отдавал предпочтение западной ориентации и старался идти в ногу западных ценностей.

GIORGI GAPRINDASHVILI

**WEST – THE HISTORICAL CHOICE
OF GEORGIAN STATE**

The paper gives a brief survey of the historical path of Georgia during the last three Millenia. It is mentioned that the Georgian cultural and political world nearly always, beginning from the Greek Colonization of the Eastern Black Sea coast, preferred the Western orientation and tried to follow the Western priorities.

მ ს ო ზ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა

მიხეილ ქართველიშვილი

ცივილიზაციის უმსჯავლის საკითხები ფერნან ბროდელის „ცივილიზაციათა ბრამატიკის“ მიხედვით

თანამედროვე კულტუროლოგიურ მეცნიერებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცნების „ცივილიზაცია“ განმარტებასა და შესწავლას, რადგან იგი დარგის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს.

როგორც ცნობილია, ცივილიზაციური პრობლემატიკის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა „ანალების“ ფრანგულმა სკოლამ¹. წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს აღნიშნული მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ფერნან ბროდელის ცივილიზაციის რაობასა და შესწავლის საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო შეხედულებების გადმოცემასა და მიმოხილვას.

სანამ უშუალოდ ფერნან ბროდელის სამეცნიერო თვალსაზრისს მიმოვიხილავდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ გავვეცნოთ მისი ბიოგრაფიასა და შემოქმედების ძირითად ასპექტებს, რათა სიღრმისეულად გავარკვიოთ მკვლევარის ცხოვრებამოღვაწეობის ძირითადი საკითხები.

ფერნან ბროდელი დაიბადა 1902წ. ქალაქ ლორენში მასწავლებელთა ოჯახში. 21 წლამდე სწავლობდა პარიზის უმაღლეს სასწავლებლებში. 1924-32 წლებში ასწავლიდა ალჟირში, ხოლო 1935-37 წლებში სან-პაულოს უნივერსიტეტში (ბრაზი-

¹ *კულტუროლოგია*. კულტურის ისტორია და თეორია, ნაწ. 1. თბ., 2003, გვ. 37.

ლია). 1937წ. ბრუნდება პარიზში და ხდება უმაღლეს გამოკვლევათა პრაქტიკული სკოლის დირექტორი. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო გერმანელთა ტყვეობაში, სადაც ყოველგვარ ბიბლიოთეკებსა და არქივებს მოკლებულმა, საკუთარი მესხიერებაზე დაყრდნობით დაწერა ნაშრომი: „*ხმელთაშუაზღვისპირეთი და ხმელთაშუაზღვისსაირა სამყარო ფილიპე II ეპოქაში*“, რომელიც მან 1947წ. დისერტაციის სახით გაიტანა დასაცავად, ხოლო 1949წ. წიგნად იქნა გამოცემული. 1949 წლიდან ფერნან ბროდელი ხდება კოლეჟ დე ფრანსის პროფესორი და თანამედროვე ცივილიზაციათა კვლევის კათედრის გამგე. ლუსიენ ფევრის გარდაცვალების შემდეგ, 1956წ. გახდა ჟურნალ „*ანალები, ეკონომიკა, საზოგადოებები, ცივილიზაციების*“ მთავარი რედაქტორი, რომელიც დატოვა 1970წ. თანამშრომლებთან უთანხმოების გამო. 1958წ. გამოვიდა მისი ნაშრომი „*ისტორია და სოციალური მეცნიერებები, დიდი ხანგრძლივობის დრო*“, 1963 წელს – „*ცივილიზაციათა გრამატიკა*“, ხოლო 1979 წელს „*მატერიალური ცივილიზაცია, ეკონომიკა და კაპიტალიზმი XVI-XVIII საუკუნეებში*“ (სამ ტომად). 1984წ. იგი გახდა საფრანგეთის აკადემიის წევრი. ხიცოცხლის ბოლო პერიოდში მუშაობდა მრავალტომიან ნაშრომზე „*საფრანგეთის თვითმყოფადობა*“, რომელიც ვერ დაამთავრა (1986 წელს გამოქვეყნდა ორ ტომად). 1985წ. ფერნან ბროდელი გარდაიცვალა ქალაქ სავოიაში¹.

აქვე საჭიროდ ვთვლით ავლნიშნოთ, ის გარემოება, რომ ცალკეული ისტორიკოსების შეხედულებების გადმოცემა განხილვის მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც გვევლინება შემდგომი ანალიზის საწყის ეტაპად. ამა თუ იმ ისტორიკოსის შეხედულებების მართო გადმოცემა, საკმარისი არაა და ამას ნებსით თუ უნებლიეთ რომელიმე ისტორიკოსის აპოლოგიამდე მივყავართ. ამიტომ ეს მეთოდი ცალმხრივია. იგი არ გვიქმნის ადეკვატურ სურათს ისტორიკოსის ნააზრევის მეცნიერულ ღირებულებაზე. მის ავკარგიანობაში გასარკვევად, რა თქმა უნდა, აუცილებელია

¹ ფერნან ბროდელის ბიოგრაფიულ ცნობებს გთავაზობთ წიგნიდან *Dictionnaire biographique des historiens français et francophones*, De Grégoire de Tours à Georges Duby, Paris, 2004, გვ. 37-39.

ანალიზი. სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას კარგად ჩავწვდეთ და გავიაზროთ ისტორიკოსის კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები¹.

თავდაპირველად ფერნან ბროდელი გვთავაზობს ცნება „ცივილიზაციის“ ეტიმოლოგიურ ახსნას, მიიჩნევს რა, რომ იგი წარმოიშვა ფრანგული სიტყვებიდან „civilis“ და „civiliser“² მაშინ, როდესაც არსებობს მისი ინგლისური სიტყვებიდან „civilized“ და „to civilize“ მომდინარეობის ვერსია. თუმცა მეცნიერი ამის შესახებ არაფერს ამბობს, რაც მისი ფრანგული წარმომავლობით უნდა აიხსნას, რომელიც უპირატესობას მშობლიურ ვარიანტს ანიჭებს.

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს თუ კვლევის რა სახის მეთოდოლოგიას იყენებს ფერნან ბროდელი თავის ნაშრომში. აღნიშნულთან დაკავშირებით, წიგნის მეორე თავში იგი პირდაპირ წერს: „ცივილიზაციის ცნების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემების ერთობლივი ცოდნით, მხოლოდ ასე გავიგებთ მის არსსა და ისტორიას“³ და იქვე ამატებს, რომ ეს უნდა მოხდეს „გეოგრაფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის მოშველიებით“⁴ აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ფერნან ბროდელის სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგია აშკარად ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ისტორიული სურათის აღსადგენად სხვადასხვა დარგების გამოყენებას ისახავს მიზნად.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფერნან ბროდელისათვის კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგია უცხო ნამდვილად არ იყო. ჯერ კიდევ 1950წ. 1 დეკემბერს, კოლეჟ დე ფრანსში წაკითხულ საჯარო ლექციაში „ისტორიის მდგომარეობა 1950 წელს“⁵ ამბობდა: „ისტორიის თავისებურება, მეტიც ღირსება სწორედ

¹ მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1998, გვ. 4.

² Fernan Braudel. Grammaire des civilisations. Paris, 1993, გვ. 33.

³ Fernan Braudel. Grammaire des civilisations., გვ. 40.

⁴ Fernan Braudel. Grammaire des civilisations., გვ. 40.

იმაში მდგომარეობს, რომ იგი კრებითი მეცნიერებაა, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს გეოგრაფიის, დემოგრაფიის და სხვა დარგების ერთობლივ მონაცემებს. სწორედ ამაშია ამ მეცნიერების ხიბლი და მომავალი¹. საქმე იმაშია, რომ ბროდელის მიზანი იყო ისტორია გადაექცია ყოვლისმომცველ მეცნიერებად ადამიანთა საზოგადოების შესახებ. ისტორიას თავის თავში უნდა გაერთიანებინა სხვადასხვა მეცნიერებანი და ეთამაშა ძირითადი როლი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, როგორც ეს აკისრია მათემატიკას საბუნებისმეტყველო დარგთა შორის². სწორედ ამიტომ იყო, რომ ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ ბერკი ფერნან ბროდელის, როგორც მეცნიერის დახასიათებისას წერდა, რომ ის იყო მკვლევარი, რომელსაც „ჰქონდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საერთო ბაზრის რწმენა“³.

ჩვენის მხრივ კი უნდა დავძინოთ, რომ დღეისათვის კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული და ცნობილი, თუმცა მისი გამოყენების დროს გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, რომ არ მოხდეს ძირითადი დისციპლინის ინტერესთა ნიველირება და მეორე პლანზე გადატანა, რისი შემთხვევებიც, სამწუხაროდ იშვიათობას არ წარმოადგენს.

სამეცნიერო წრეებში ფერნან ბროდელი, სავსებით სამართლიანად ითვლება ისტორიკოსად, რომელიც თავის ნაშრომებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა გეოგრაფიას⁴. განმარტავდა რა ცივილიზაციას, იგი წერდა: „საუბარი ცივილი-

¹ ციტირებას ვახდენთ წიგნიდან: **Christian Delacroix, François Dosse, Patrick Garcia.** Histoire et historiens en France depuis 1945. Paris, 2003, გვ. 158.

² **ბ. ლაშვი.** ინტერდისციპლინური კვლევის საკითხები „ანალების სკოლის“ წარმომადგენლებთან (ლუსიენ ფევრი, ფერნან ბროდელი, ჟაკ ლე გოფი). – *სტუდენტთა I ინტერდისციპლინური კონფერენციის მოხსენებათა კრებული*. თბ., 2004, გვ. 111-112.

³ **პ. ბერკი.** ისტორია და სოციალური თეორია. თბ., 2002, გვ. 18

⁴ **Jean-Claude Ruano-Borbalean.** Fernan Braudel ou l'empire de l'histoire. – კრებულში: „*L'histoire aujourd'hui*“. Auxerre“. 1999, გვ. 284.

ზაციაზე, ეს საუბარია სივრცეებზე, ტერიტორიებზე, რელიეფზე, კლიმატზე, მცენარეულ საფარზე“.¹ და ამის დასამტკიცებლად მოყავს ე.წ. სამდინარო ცივილიზაციები², როგორებიცაა ჩინური ცივილიზაცია (მდინარეების იანძისა და ხუანხეს სანაპიროზე); ინდური ცივილიზაცია (მდინარეების ინდისა და განგის სანაპიროზე); შუემრულ-ბაბილონური ცივილიზაცია (მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის სანაპიროზე) და ეგვიპტური ცივილიზაცია (მდინარე ნილოსის სანაპიროზე). საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მის შემოქმედებაში ცივილიზაცია წარმოგვიდგება, როგორც რაღაც სივრცე, „კულტურულ-გეოგრაფიული ზონა“ (განსაზღვრული გეოგრაფიით და დემოგრაფიით)³. ამ შემთხვევაში იგი ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის შარლ ლუი მონტესკიეს თანამოაზრედ გვევლინება, რომელიც სოციოლოგიაში გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელია. იგი თვლიდა, რომ მმართველობის ფორმები, ისევე, როგორც ხალხის თავისებურებანი განპირობებულია ჰავით, ტერიტორიის სიდიდითა და მდებარეობით⁴.

ცხადია, გეოგრაფიულ გარემოს როლი ნებისმიერი საზოგადოებისა თუ ცივილიზაცია-კულტურის ჩამოყალიბების საქმეში საკმაოდ დიდია, მაგრამ იგი განხილულ უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგრამ მისთვის გადაამწყვეტი როლის მინიჭება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფერნან ბროდელის სახით საქმე გვაქვს „ანალების“ საისტორიო სკოლის უდავოდ გამორჩეულ ისტორიკოსთან, რომლის მოსაზრება-კონცეფციები, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, უმეტესწილად მაინც გასაზიარებელი და მისაღებია. მან საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა ცივილიზაციური პრობლემატიკის კვლევებში.

¹ Fernan Braudel. Grammaire des civilisations..., გვ. 41.

² სამდინარო ცივილიზაციები – ეს არის ძველი სამყაროს ცივილიზაციათა ჯგუფი, რომელთა განვითარებაც განაპირობა დიდი მდინარეების ფაქტორმა.

³ კულტუროლოგია... გვ. 37.

⁴ ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. თბ., 1993, გვ. 24.

МИХАИЛ КАРТВЕЛИШВИЛИ

**ВОПРОСЫ ИЗУЧЕНИЯ ЦИВИЛИЗАЦИИ ПО
«ГРАММАТИКЕ ЦИВИЛИЗАЦИЙ»
ФЕРНАНА БРОДЕЛЯ**

В статье рассмотрены убеждения известного французского историка, видного представителя школы «Анналов» относительно сути цивилизации и методологии исследования, которые представлены в одном из его важных трудов «Грамматика цивилизаций». Также дается анализ его взглядов о значении географического фактора в процессе образования цивилизации.

MIKHEIL KARTVELICHVILI

**LES QUESTIONS DE L'ENSEIGNEMENT DE LA
CIVILISATION D'APRÈS «GRAMMAIRE DES
CIVILISATIONS» DE FERNAND BRAUDEL**

Dans cet article est examiné les conceptions de l'historien français Fernand Braudel, un éminent représentant de l'école «Annales», concernant les thèmes d'essence de la civilisation et de la méthodologie du recherche, qui sont présentes dans son œuvre fondamental «Grammaire des civilisations». Dans cet article est aussi analysé le rôle du facteur géographique sur le processus de la formation de la civilisation.

მსტატე (თენგიზ) ანთელავა

უზუნ-ჰაჯი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლის საკითხი ღენიკინის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ

1919წ. იენის-აგვისტოს აჯანყებებს ჩრდილოეთ კავკასიაში ხელმძღვანელობდა უზუნ-ჰაჯი, იგი XIXს. ბოლოსა და XXს. პირველი ოცწლეულის ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნულ ლიდერებს შორის, ყველაზე გამორჩეული და განათლებული პიროვნება იყო, რომელიც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში შესულია, როგორც მთიელი ხალხის მოღალატე, საბჭოთა ხელისუფლების მტერი და ავანტურისტი, რაც მტკნარი სიყალბეა. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ «Многие делают свои выводы на ложных отчетах советского периода. Дагестанцы до сих пор не имеют возможности сказать всю правду об этом человеке».¹

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არავინ არ გვიკრძალავს, არსებული მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მეტნაკლებად სრულყოფილად, ობიექტურად წარმოვაჩინოთ, ამ მეტად საინტერესო ისტორიული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათი.

შეინ უზუნ-ჰაჯი სალტინსკიმ 7 წლიდან დაიწყო სასულიერო განათლების მიღება. მისი მასწავლებელი და დამრიგებელი იყო ცნობილი დაღესტნელი შეიხი, ღრმად განსწავლული ადამიანი, შამილის მეგობარი აბდურაჰმან-ჰაჯი ას-სუგური, რომელსაც თანამოაზრეები „დიდ ღარვიშ“, „ღარვიშების სეიდს“ უწოდებდნენ. პ. აბდურაჰმან-ჰაჯი მას თერთმეტი წელი ასწავლიდა არ-

¹ М. З. Нахибашев. Узун-Хаджи Салтинский-общественно-политический деятель Дагестана и Чечни. Автореферат диссертации кандидата наук. Махачкала, 2006.

აბულ ენას, დიპლომატიას, ფილოსოფიას, ასტროლოგიას, ორატორულ ხელოვნებას.

უნდა ითქვას, რომ დაღესტნის სასულიერო პირთა მომზადების სკოლა ცნობილი იყო აღმოსავლეთის მუსლიმურ სამყაროში. დაღესტანში მომზადებული მუტალიბები იყვნენ ფრიად განსწავლული ადამიანები. აკადემიკოსი მ. პოკროვსკი წერდა: «Дагестан снабжал весь Восточный Кавказ знатоками арабского языка, чтецами, муллами и кадиями... В Дагестане богословские споры и жизнь по шариату были обычным домашним делом».¹ უზუნ-ჰაჯი სწავლობდა სირიაში, საუდის არაბეთში, თურქეთში. მან თერთმეტჯერ განახორციელა ჰაჯი; 1877წ. მთიელთა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიუსაჯეს 7 წლით კატორღა. იგი მრავალჯერ არის გამოქცეული ციხეებიდან და გადასახლებულ ადგილებიდან. უზუნ-ჰაჯი 1810წ. თავის აულში, ხელისუფლების დაუკითხავად, მეჩეთის ამენებისთვის ასტრახანში გაასახლეს, საიდანაც იგი გაიქცა და მექაში ჰაჯი განახორციელა. მექიდან დაბრუნების შემდეგ, ჩეჩნეთში იმალებოდა.²

უზუნ-ჰაჯი სალტინსკი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი მთიელთა სასულიერო მოღვაწეთა შორის შამილის იდეების ყველაზე თავდადებული პროპაგანდისტი და მიმდევარი, აღიარებული სასულიერო და პოლიტიკური ლიდერი, მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამძღოლი იყო. მას შესაძლებლად მიაჩნდა, თებერვლის რევოლუციის შემდგომ, ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის ტიპის საიმამოს, ან საემიროს შექმნა.³ მთიელთა ცნობილი სასულიერო პირები ალი ჰაჯი და ნაჰმუდინ გოცინსკი არ იზიარებდნენ უზუნ-ჰაჯის შეხედულებებს. მიუხედავად ამისა, ალი-ჰაჯი და უზუნ-ჰაჯი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ ჯერ ბოლშევიკებს და შემდგომ თეთრგვარდი-

¹ М. Н. Покровский. Дипломатия и войны царской России в XIX столетии: Сборник статей. М., 1924, гл. 209.

² От Узун-Хаджи Салтинского до Шамиля Веденского, <http://www.kavkazcenter.com>.

³ От Узун-Хаджи Салтинского до Шамиля Веденского, <http://www.kavkazcenter.com>.

ელებს, მაგრამ მის შემდეგ, როდესაც ალი-ხანისა და ბოლშევიკების ალიანსი გამოიკვეთა და ნაჟმუდინ გოცინსკიმ ცნო დენიკინის საოკუპაციო რეჟიმი, უზუნ-ჰაჯი მათი საქციელი შეაფასა, როგორც მუსლიმთა საქმის დალატი, ხოლო გოცინსკის შესახებ თქვა: «Я хотел сделать из него имама, но он оказался Иваном».¹ უზუნ-ჰაჯიმ გაწყვიტა მასთან და ალი-ხაჯთან ურთიერთობა, გადაწყვიტა ჩენნეთში გადასვლა. უზუნ-ჰაჯი თავის იდეურ-მოწინააღმდეგე მთიელებთან სადავო საკითხების მოგვარებას მშვიდობიანი გზით ცდილობდა ამ შემთხვევაშიც, ჩენნეთში წასვლით, თავიდან აიცილა ორი ძლიერი დაჯგუფების მოსალოდნელი შეიარაღებული დაპირისპირება.

საბჭოური და რუსული ისტორიოგრაფია უზუნ-ჰაჯს წარმოაჩენს, როგორც რელიგიურ ფანატიკოსს, ბეც პოლიტიკოსსა და ყველა ქრისტიანის მტერს.² საქმე იმაშია, რომ უზუნ-ჰაჯს აქვს ისეთი მკაცრი გამონათქვამები, რომელთა კონტექსტიდან ამოღება საშუალებას იძლევა წარმოვჩინოთ იგი, როგორც ანტირუსული განწყობილების პიროვნება. ასე მაგალითად, უზუნ-ჰაჯიმ მიიღო გოცინსკისგან წერილი, სადაც იტყობინებოდა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად ინგლისი მზადაა გამოუყოს მას იარაღი, ხოლო თურქეთი პირდება სამხედრო დახმარებას. გოცინსკის წერილმა მისი აღშფოთება გამოიწვია. აი, რას ამბობს უზუნ-ჰაჯი გოცინსკის წერილის თაობაზე: «Вот, смотри, Магомед-гаджи, читай, что этот Брюхатый пишет мне, кроме своего многочисленного скота и больших пастбищ его ничего не волнует: ни мусульмане, ни их религия».

Оказывается в письме сообщалось, что Англия выделяет оружие и деньги, а Турция обещает военную помощь. Нажмудин предлагал принять это все и выступить против большевиков. Отец вспоминал, как Узун-хаджи поговаривал, будто полемизируя с Гоцинским: **«Какая разница, какого цвета**

¹ Н. П. Эмиров. Из истории военной интервенции и гражданской войны в Дагестане. Махачкала, 1972, გვ. 98.

² А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии в борьбе против Деникина. Грозный, 1963; И. Л. Янчевский. Гражданская борьба на Северном Кавказе. В 2 т., т.2. Ростов н/Д, 1927 და ს.შ.

свинья – чёрная или белая».¹ ჩვენს მიერ, აქ მოყვანილი დოკუმენტური მასალა ადასტურებს, რომ იგი არ იყო კონკრეტულად საზოგადოდ რუსებისადმი მიმართული. უზუნ-ჰაჯის ზემოთ მოყვანილი მკაცრი გამონათქვამი პირველ რიგში ეკუთვნოდა თურქეთს, ინგლისს, თეთრ მოძრაობას, ბოლშევიკებს და ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურდათ, ამა თუ იმ ფორმით და მეთოდით, მთიელი ხალხის დამორჩილება.

უზუნ-ჰაჯის წარმონათქვამი: «Вот веревку, для того, чтобы повесит всех тех, кто пишем слева направо».² რუსი ისტორიკოსები მის პიროვნებას ახასიათებენ, როგორც უვიცს, უმეცარ ადამიანს, რომელიც ებრძოდა რუსულ კულტურას, განათლებას და რელიგიას.³ ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა უზუნ-ჰაჯის ოფიციალური განცხადებები: უზუნ-ჰაჯიმ 1917წ. გაზ. *«Герская жизнь»* მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩემს შესახებ ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქოს მე ვარ საერო ცოდნისა და განათლების მოწინააღმდეგე. განათლებული და სპეციალისტი ადამიანების გარეშე თანამედროვე პირობებში, შეუძლებელია ხალხის ნორმალური ცხოვრება. «Как могу снести голову таким лицам, – აღნიშნავს იგი, – когда я глубоко верю в полезность и необходимость их и знаю отлично, как мы, мусульмане, бедны этими людьми и что нам необходимо приглашать такого рода лиц из числа христиан и вообще других национальностей, за недостатком своих. Ещё раз подтверждаю, что в светски просвещенных людях мы нуждаемся, что нация не сможет процветать и развиваться без знаний медицины, техники, военного искусства и прочего».⁴

ჩვენ ვიზიარებთ იმ ისტორიკოსთა მოსაზრებებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ უზუნ-ჰაჯის გამონათქვამი: «повесить всех тех, кто пишет слева направо», ეხებოდა იმ მუსულმანებს, რომლებმაც დაივიწყეს ადათი და შარიათი და მუხლს იდრეკენ ევროპუ-

¹ <http://www.kavkazcenter.com>, საზვასმა ჩვენია – ე.ა.

² **М. З. Нахибашев.** Узун-Хаджи Салтинский..., გვ. 17.

³ **И. Л. Янчевский.** Гражданская борьба на Северном Кавказе; **А. Костерин.** 1919-1920 гг. В горах Кавказа. Владикавказ, 1921.

⁴ **М. З. Нахибашев.** Узун-Хаджи..., გვ. 17. (საზვასმა ჩვენია – ე.ა)

ლი კულტურის, ცივილიზაციის წინაშე. ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ თავის კოლონიებში ეროვნული ჩაგვრა განსაკუთრებით გაამკაცრა XIX ს. 80-იან წლებიდან. იგი კავკასიაში მცხოვრები ერების სრული რუსიფიკაციის გზას დაადგა. სკოლებში აიკრძალა მშობლიური ენის სწავლება; მოსწავლეებს სკოლაში მშობლიურ ენაზე ლაპარაკი აკრძალათ. დენიკინი კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის გულმოდგინე გამგრძელებელი აღმოჩნდა. უზუნ-ჰაჯი, მთიელთა სასწავლებლებში მშობლიური ენის ხარჯზე, რუსული ენის დანერგვის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. იგი მოითხოვდა სკოლებში არაბული ენის, არაბული გრაფიკის შენარჩუნებას და ამავდროულად, მთიელთა მშობლიურ ენების სწავლებას.

ჩვენ ვცდილობთ, უზუნ-ჰაჯის დახასიათებისას, შევიტანოთ მოკრძალებული წვლილი ისტორიული სამართლიანობის აღდგენის საქმეში. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს 1919წ. აპრილში უზუნ-ჰაჯის გამოსვლა გაერთიანებულ მთიელთა საბჭოს პარლამენტისა და მთიელთა მთავრობის ერთობლივ სხდომაზე. მოვიყვანოთ მისი გამოსვლის მოკლე შინაარსი: „მოდით, ახლა მაინც, საერთო საშიშროების წინაშე გავერთიანდეთ და ჩვენ ვერავინ მოგვერევა. ჩვენი წმიდათა წმიდა ვალია გამოვეხმდიანოთ ჩვენი ძმების ჩეჩნებისა და ინგუშების ძახილს, თორემ ჩვენც მოვიქცევით კაზაკების ქუსლის ქვეშ. სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ, უნდა გავავლიდეთ დაძინებული ხალხი. მე და ალი-ჰაჯი, მიუხედავად ჩვენი სიბერისა, ხალხისთვის წავალთ სასიკვდილოდ“.¹

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა ნამდვილი პატრიოტი, რომელიც იცავდა არა მარტო დაღესტნის, არამედ ზოგადად კავკასიის ხალხთა ნაციონალურ ინტერესებს. მთიელთა საბჭოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივმა სხდომამ უყოყმანოდ მხარი დაუჭირა უზუნ-ჰაჯეს. სხდომის დამთავრების შემდეგ უზუნ-ჰაჯიმ და ალი-ჰაჯიმ დენიკინის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლების მიზნით დაიწყეს მთიელთა მოხალისე რაზმების ფორმირება. სასულიერო ლიდერების მოწოდებას მთი-

¹ М. З. Нахибашев. Узун-Хаджи Салтинский..., გვ. 17.

ელმა მოსახლეობამ აქტიურად დაუჭირა მხარი. როცა საქმე ეროვნულ საკითხს ეხებოდა, მუსლიმ სასულიერო ლიდერებს არასდროს არ უჭირდათ თავიანთი დროშის ქვეშ გაერთიანებინათ მთიელთა დიდი ნაწილი; უმოკლეს დროში ორივე შეიხის მოხალისეთა რაზმებში 2000-3000 მეომარი ითვლებოდა.

1919წ. მაისში ბოტლიხში უზუნ-ჰაჯიმ მოიწვია დიდი მეჯლისი, სადაც სწავლული (ალიმი) საიდ-მაგომედის წინადადებით იგი იმამად აირჩიეს.¹ დენიკინის ადმინისტრაციის ცნობებში ნათქვამია, რომ უზუნ-ჰაჯთან მიდიოდნენ დაღესტნელები, ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები და 1919წ. ივლისისთვის უზუნ-ჰაჯიმ რამდენიმეჯერ დაამარცხა „მოხალისეთა არმიის“ ნაწილები. მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. დენიკინის ადმინისტრაციის ცნობებში ნათქვამია, რომ უზუნ-ჰაჯთან მიდიან დაღესტნელები, ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები და ჩერქეზები.²

უზუნ-ჰაჯის განუყრელი იდეა იყო ჩრდილოეთ კავკასიის შამილის ტიპის გაერთიანებული საიმამოს შექმნა. ამ მიზნით მან წამოაყენა წინადადება, თავდაპირველად შეექმნათ ჩრდილოეთ კავკასიის საემირომ ავარიის, ანდის, გუნიბის, დარლოს, ყაზი-ყუმიყის ბაზაზე, რომელსაც მხარი არ დაუჭირა ნ. გოცინსკიმ და ავარიის ოლქის უფროსმა კ. ალიხანოვმა. მის წინადადებას არც შეიხ ალი-ჰაჯმა დაუჭირა მხარი, რომელიც იმ დროს დარლოს საბჭოთა დაწესებულებებს მმართველობდა.

1919წ. ივნისში უზუნ-ჰაჯიმ დატოვა დაღესტანი და გადავიდა ჩეჩნეთში, საიდანაც იწყება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპი. «Огромная масса мюридов, которых в одной только в Чечне было до 70 000 чел., – წერს ა. ავტორხანოვი, – стекаются под это знамя... в июле 1919 г. ...шеих Узун-Хаджи в сопровождении своих мюридов прибыл в Чечню, слободу Ведено. К нему стекаются горцы мюридов из Чечни, Ингушетии, Кабарды, Да-

¹ *От Узун-Хаджи Салтинского до Шамиля Веденского*, <http://www.kavkazcenter.com>, გვ. 32.

² **А. Г. Гойгова.** Народы Чечено-Ингушетии в борьбе против Деникина. Грозный, 1963, გვ. 137.

гестана».¹ აული ვედენო გადაიქცა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა რელიგიურ, ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის ცენტრად, სადაც უზუნ-ჰაჯი შეუდგა თავისი სამოქალაქო და სამხედრო ძალების ორგანიზაციას. მან დენიკინს ომი გამოუცხადა იმ დროს, როდესაც თეთრ მოძრაობას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლებში დიდი წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული და მის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის არ ეპარებოდა.

1919წ. გაზაფხულის დასაწყისში თეთრი მოძრაობის შეიარაღებულმა ძალებმა ერთდროულად შეუტყეს წითლებს. კოლჩაკმა ბოლშევიკებს წაართვა უფა, ვოტკინსკი, იჟევსკი და სხვა ქალაქები. კოლჩაკი ვოლგას უახლოვდებოდა. მისმა სამხედრო წარმატებებმა მდგომარეობა შეცვალა სამხრეთ რუსეთშიც. 1919წ. აპრილის დამდეგისათვის დენიკინმა გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა წითელ არმიასა და ოქტომბრის პირველნახევარმდე დაიკავა ფეოლოსია, პავლოგრადი, ბელგოროდი, ხარკოვი, პოლტავა, კიევი, ვორონეჟი, ჟიტომირი, ოდესა, კურსკი, ორიოლი, ჩრდილოეთ კავკასია და სხვა მრავალი ქალაქი და გუბერნია. მიუახლოვდა ტულას – წითელი არმიის არსენალსა და მოსკოვის უახლოეს ქალაქს.² გენერალი იუდენიჩი ესტონეთიდან უტევედა პეტროგრადს, გენერალი მილლერი – ჩრდილოეთიდან ვოლოგდასა და პერმს.

ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია დენიკინის სამხრეთის დაჯგუფებამ. მის მიერ ბოლშევიკები განდევნილი იქნა 18 გუბერნიიდან და ოლქიდან, სადაც მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 50 მილიონს. განთავისუფლებული ტერიტორიის ფართი უდრიდა ერთ მილიონ კვადრატულ კილომეტრს,³ რაც შეადგენს საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიის, ბელგიის, შვეიცარიისა და ნიდერლანდების ერთად აღებული ტერიტორიის მეტს. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციების დაწყებამდე, დენიკინმა მიმართა მოკავშირე ქვეყნების მთავრობებს – საფრანგეთს, ინგლისისა და აშშ, სადაც იგი განმარტავდა ბოლშევიკ-

¹ А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 137.

² Р. А. Арсенов, В. В. Блохин, В. В. Данангитян и др. История Отечества с древнейших времен до конца XX века. Ч. 2. М., 2000, გვ. 114.

³ А. П. Деникин, А. А. Фон Лампе. Трагедия Белой армии. М., 1991, გვ. 4.

ბის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებს. მიმართვაში ნათქვამი იყო: 1. ბოლშევიკური ანარქიის მოსპობა და ქვეყანაში კანონიერების დამყარება; 2. ერთიანი განუყოფელი რუსეთის ძლიერების აღდგენა; 3. სახალხო კრების მოწვევა საყოველთაო საარჩევნო კანონის საფუძველზე; 4. საოლქო ავტონომიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების ხარჯზე ხელისუფლების დეცენტრალიზაცია; 5. სამოქალაქო და სარწმუნოებრივი თავისუფლებების გარანტია; 6. მიწის რეფორმის დაუყოვნებლივი განხორციელება და გლეხობის დაკმაყოფილება; 7. მუშათა კანონის მიღება, რომელიც გაანთავისუფლებს მათ სახელმწიფოსა და კაპიტალის ექსპლოატაციისაგან.¹

აღნიშნული მიმართვა დენიკინს, ბოლშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლები წინ, მოკავშირეთა ფართო მხარდაჭერისთვის სჭირდებოდა. სინამდვილეში კი მისი არცერთი პუნქტი არ განუხორციელებია. პირიქით, დენიკინის სამხედრო პოტენციალის ზრდასთან ერთად მკაცრდებოდა მისი საოკუპაციო რეჟიმიც. დენიკინს კარგად ესმოდა, რომ უზუნ-ჰაჯის სახით მას ჰყავდა სერიოზული მოწინააღმდეგე. ამიტომ, მან გაწყვიტა „ბოლოქარი კავკასიის“ აღიარებული სასულიერო ლიდერის იმთავითვე, ჩეჩნეთში განადგურება. 1919წ. ივლისში დენიკინის ადმინისტრაციის ჩეჩნეთის მმართველმა გენერალმა ალიევმა ჩეჩნეთის მთის ზოლის სოფლებს უბრძანა: «1) Покориться моей власти; 2) прислать ко мне от каждого аула по два депутата; 3) восстановить моих начальников на своих местах; 4) изгнать из пределов Чечни самозванных начальников: Узун-Хаджи, разных турок и всех русских и чеченских большевиков; 5) выставить положенное число всадников для чеченской дивизии; 6) сдать все казенное оружие, унесенное дезертирами из чеченской дивизии. За невыполнение всего этого в течение одной недели со дня получения я должен буду отказаться от вас и с вами будет поступлено так же, как с ингушами, т.е. все селения будут разрушены до основания».²

¹ И. Л. Янчевский. Гражданская борьба на Северном Кавказе. В 2 т. Т. 2. Ростов-на-Дону, 1927, გვ. 103.

² გაზ. «Терский Казак», 1919, №131.

უზუნ-ჰაჯიმ ალიევის ულტიმატუმის არცერთი მოთხოვნა არ შეასრულა. დენიკინის სამხედრო ხელმძღვანელობამ უზუნ-ჰაჯის გასანადგურებლად ჩეჩნეთის მთის ზოლში გენერალ კოლესნიკოვის სარდლობით საექსპედიციო რაზმი გაგზავნა, რომელმაც 1919წ. 11 აგვისტოს დაიკავა არგუნის ხეობაში შესასვლელი აულები ვოზდვიჟენსკი და შალი: «Добровольческая армия стянула к Воздвиженске – წერდა გაზეთი *«Вольный горец»*, – стянула ушелье, и к Шали значительные силы, очевидно, в связи с предполагаемыми операциями против Узун-Хаджи, имеющего резиденцию в горах».¹ მოხალისეთა არმიის ძალები ვოზდვიჟენსკოში შეადგენდა 600 კაცს, შალში – 2500.²

თეთრების ვარაუდი, რომ უზუნ-ჰაჯს სწრაფად გაანადგურებდნენ, არ გამართლდა. იგი მოულოდნელი თავდასხმებით კოლესნიკოვს მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა. კოლესნიკოვმა მხოლოდ ავიაციის დახმარებით შეძლო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აულის სერჟენ-იურტის აღება, რომელიც იცავდა ვედენოსკენ მიმავალ გზას. უზუნ-ჰაჯი, სხვა ღირსებებთან ერთად, ომის სამხედრო-სტრატეგიული და ტაქტიკურ ამოცანებში საკმაოდ კარგად ერკვეოდა და ამავდროულად შეუპოვარი სარდალი იყო. ბოლშევიკებიც კი იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ უზუნ-ჰაჯის შეუპოვრობა. „უზუნ-ჰაჯი 1918 წელს ჩეჩნეთში შეუპოვრად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას, – აღნიშნულია რკპ/ბ/ცკ კავკასიის სამხარეო კომიტეტის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში – ამჟამად, 1919 წლის ივნისიდან, ასევე შეუპოვრად იბრძვის მოხალისეთა წინააღმდეგ“.³

გენერალ კოლესნიკოვის ძირითადი ძალები განლაგებული იყო ვოზდვიჟენსკში და შალიში, რომლებიც ვედენოში სალამქროდ ემზადებოდნენ. უზუნ-ჰაჯიმ გადაწყვიტა მტრის ძალების ცალ-ცალკე განადგურებას – ჯერ ვოზდვიჟენსკში, შემდეგ შალიში. მან ვოზდვიჟენსკს სამი მხრიდან შეუტია. 8 საათიანი

¹ გაზ.: *«Вольный горец»*, სექტემბერი, 1919წ, გვ. 13.

² *Борьба за Советскую власть в Чечено-Ингушетии (1919-1920 гг.)*. Сбор. док. и материалов. Грозный, 1958, გვ. 205.

³ *სსრკ კავკასიის საოლქო კომიტეტის არქივი*. ფ. 12, უ. 7, ფ. 7.

ბრძოლის შემდეგ კოლესნიკოვმა უკან დაიხია. უზუნ-ჰაჯის ხელში ჩაუვარდა დიდი რაოდენობით შაშხანა და ტყვია-წამალი, ტყვედ აყვანილ იქნა 117 ჯარისკაცი და 11 ოფიცერი.¹

მიუხედავად ვოზდვიჟენსკის აღებისა, შალის ძლიერი გარნიზონის განადგურების გარეშე, ჩეჩნეთის მაღალმთიან ზოლში მოხალისეთა არმიის შეჭრის პოტენციური საშიშროება მაინც არსებობდა, ამიტომ, უზუნ-ჰაჯიმ მიიღო სასწრაფო ზომები. მისი ბრძანებით: «стали стягиваться регулярные части в селения и хутора, кольцом облагающие Шали. И в старых Агатах и в Сержень-Юрте были расположены ударные группировки для охвата с фронта добровольческих частей».² უზუნ-ჰაჯიმ შალის გარნიზონი გაანადგურა, დაატყვევა 138 მოხალისე, მათ შორის, აფშერონის პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ივანოვი.³

ამგვარად, უზუნ-ჰაჯის მიერ შემუშავებული გეგმით წარმართული ბრძოლების შედეგად, ორ დღეში განადგურებული იქნა მოხალისეთა არმიის საუკეთესო ერთეული – გროზნოს რაზმი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 2 ასეული სამთო, 2 ასეული ფეხოსანთა, 4 ასეული პლასტუნთა რაზმი, 4 ცხენოსანთა ასეული და 2 სამთო ქვემეხი.⁴ ზემოთ აღნიშნული ბრძოლების პერიოდში, ვედენოში მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მოწყობის საბოლოო გეგმის დაბეჭდვის პროცესი. როგორც ვიცით, უზუნ-ჰაჯი, შამილის ტიპის საიმამოს შექმნის, მხურვალე მიმდევარი იყო.

1919წ. დასაწყისში ჩეჩენიმ ინალუკ არსანუკაევი, დიშინსკის საგვარეულოს წარმომადგენელი გამოცხადდა ვედენოში და უზუნ-ჰაჯის გადასცა თურქეთის სულთანის მუჰამედ-ვახიდდინის ფირმანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ისტორიკოსს ამ ფირმანის ნამდვილობაში ეჭვი ეპარებათ, მაგრამ მაინც იყენებენ უზუნ-ჰაჯის დასამცირებლად, რომ იგი სულთნის ხელდასმული მა-

¹ А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 147.

² *Борьба за Советскую власть в Чечено-Ингушетии...*, გვ. 207.

³ <http://www.kavkazcenter.com>.

⁴ А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 148.

რიონეტი იყო.¹ მუჰამედ-ვახიდდინი სთავაზობდა მთიელებს შეექმნათ თურქეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ჩრდილოეთ კავკასიის საემირო. უზუნ-ჰაჯი, დიდი დავის შემდეგ, დაეთანხმა ინალუკ დიშინსკის წინადადებას – ჩრდილოეთ კავკასიის საემიროს შექმნის შესახებ. 1919წ. 19 სექტემბერს საჯაროდ გამოცხადდა ჩრდილოეთ კავკასიის საემიროს შექმნა. „მისი უმაღლესობის იმამისა და ემირის შეიხ-უზუნ-ჰაირი-ჰაჯი-ხანის“ მეთაურობით, რომელმაც თავისი 29 სექტემბრის ბრძანებულებით ინალუკ დიშინსკი დანიშნა დიდ ვეზირად, ჩრდილოეთ კავკასიის საემიროს შეიარაღებული ძალების სარდლად და დაავალა მინისტრთა კაბინეტის შედგენა.

მალე, დიდმა ვეზირმა ინალუკ დიშინსკიმ გამოაქვეყნა თავისი №114 ცირკულარი, სადაც ვკითხულობთ: «Даю вам знать что высочайшим указом Его Величества Эмира Северного Кавказа, как известно, я был назначен Великим визирем с поручением мне составления кабинета министров. Кроме того, мне передано Его Величеством, Верховным вождем, и главное командование войсками С.-К. эмирства».²

ინალუკ დიშინსკის (მიიღო ახალი სახელწოდება – მაგომეთ კამილ-ხანი) მთავრობის წევრები იყვნენ: მისი უმაღლესობის კარის მინისტრი გენერალ-მაიორი კაიმ-ჰაჯი; საგარეო საქმეთა მინისტრი თავადი მაჰმად კამილ-ხანი/ინალუკ დიშინსკი); სურსათის, ვაჭრობისა და მრეწველობის – მაჰმად ხამკოევი; მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების – ბილალ შამილევი; სამხედრო (შეიარაღებული ძალების) – შიც ისტამულოვი; საგზაო, ფოსტისა და ტელეგრაფის – კუსი ბაიგირევი; შინაგან საქმეთა, გენერალ მაიორი – ხაბალა ბესლენევი; ფინანსთა – გენერალ-

¹ **Б. К. Мартыросян.** История Ингушетии. Махачкала, 1993; **Г. Д. Даниалов.** Строительство социализма в Дагестане 1918-1937. М., 1988; **М. А. Абазатов.** Из истории гражданской войны в Чечено-Ингушетии, Грозный, 1962; **М. М. Гиоев.** Антиденикинский фронт на Кавказе. Орджоникидзе, 1984; **Б. П. Екати.** Большевики Терека во главе борьбы против интервентов и внутренней контрреволюции, Орджоникидзе, 1964, და სხვ.

² **Б. К. Мартыросян.** История Ингушетии, გვ. 265; **А. Г. Гойгова.** Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 138-139.

მაიორი აბდულ-აზიზ აბდულაევი; იუსტიციის – პოლკოვნიკი ჰაჯი-მაჰმად ბეკოვი ემირ-ზადე.¹ კაბინეტის შემადგენლობაში იყო ორი ჩეჩენი, ორი ავარიელი, ორი ინგუში და ორი ყაბარდოელი

როგორც ვხედავთ, უზუნ-ჰაჯის მთავრობა თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო, თუმცა მთავრობის წევრები თავისი პროფესიონალური და განათლების დონით მას ძალზე ჩამორჩებოდნენ. დიშინსკის ცირკულარის თანმხლებ წერილში მოცემულია ჩრდილოეთ კავკასიის ახლადჩამოყალიბებული თეოკრატიული სახელმწიფოს მიზნები და ამოცანები: «О состоявшемся акте правительства, в виде составления названного кабинета, мною будет дано знать своевременно соседним державам, с просьбой о признании Северо-Кавказского эмирства самостоятельной шариатской монархией во главе с эмиром Узун-Хаири – Хаджи-Ханом, но под протекторатом халифа мусульманского мира Его Величества Оттоманского императора Магомета-Вахиддина VI-го. «За сим, с божьей волей, я буду добиваться шариатской монархии, ибо в стране мусульманской республики не может существовать на том основании, что признанием республики мы бы не приняли халифа – значит, отрицание пророка Магомета, отрицание последнего – это значит отрицание Бога.

Итак, мы не требуем автономии, а хотим самостоятельной шариатской монархии. Всякий пришелец наш гость, которого мы, в силу нашей религии и традиции, и так любим и уважаем, но всякое вмешательство в наше правое дело посторонних лиц, еще не реабилитировавших себя за прошлое перед народом, мы не можем принять. Мы не можем протянуть руки людям, не признающим ничего святого. Мы не можем отступить от шариатской монархии. Мы не можем допустить в нашу среду лиц, не испытанных его величеством эмиром нашим Узун-Хаири-Хаджи-ханом. Мы избегаем повторения эпо-

¹ **Б. К. Мартыросян.** История Ингушетии, გვ. 265; **А. Г. Гойгова.** Народы Чечено-Ингушетии., გვ. 138-139; **И. Х. Сулаев.** Мусульманское духовенство Дагестана и Советская власть: *Борьба и сотрудничество* (1917-1921 гг.) Махачкала, 2004, გვ. 88.

пей мифической Горской республики. Об изложенном объявить народонаселению и подведомственным вам, должностным лицам для неуклонного исполнения и сведения. Великий визирь и главнокомандующий войсками военно-юридической академии ротмистр Дышинский».¹

უზუნ-ჰაჯს კარგად ესმოდა, რომ თავისი სახელმწიფოს – საემიროს განმტკიცებისა და გაძლიერებისთვის საჭიროა სასწრაფო რეფორმების განხორციელება. უპირველეს ყოვლისა, მან შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია განახორციელა: შექმნა საემიროს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბი, ჩამოაყალიბა ექვსი არმია, რომლებიც შედგებოდა ოცეულების, ასეულებისა და ბატალიონებისგან, გრენადერთა ასეული, რომელიც შეიარაღებული იყო შაშხანებითა და ხელყუმბარებით, ტყვიამფრტეხველთა ასეული; შემოიღო სამხედრო რანგები – გენერლის, პოლკოვნიკის, პორუჩიკის და პრაპორშჩიკის.

ამავე დროს, ემირმა ერთიანი დაზვერვის მთელი სისტემა შექმნა, რომლის წინაშე იდგა კონკრეტული ამოცანები – მოწინააღმდეგის შესახებ მონაცემების შეგროვება, მოულოდნელი დარტყმები მტრის კომუნიკაციებზე, ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უზუნ-ჰაჯიმ უმოკლეს დროში, დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, შექმნა კარგად შეიარაღებული, ჩინებულად გაწვრთვნილი და დისციპლინირებული ჯარი. მისი გამარჯვებები ხელს უწყობდა დენიკინის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შემდგომ აღმავლობას. უზუნ-ჰაჯის არმია ივსებოდა მთიელთა ახალ-ახალი ნაკადით. უზუნ-ჰაჯიმ მიაღწია იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში არსებული პარტიზანული რაზმების დიდი ნაწილი მას ემორჩილებოდა და მოქმედებდნენ საემიროს მთავარი სამხედრო შტაბის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. დასაწყისში, ჩრდილოეთ კავკასიაში გარკვეული ეროვნული ძალები საემიროს ხელისუფლებას არ ცნობდა. უზუნ-ჰაჯი, თავისი გამარჯვებების კვალობაზე, სულ მალე ანგარიშგასაწევი

¹ Б. К. Мартыросян. История Ингушетии, г.г. 265-266.

ძალა გახდა არამართო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ვ. ჯაბაგიევის 1919წ. 13 ოქტომბრის წერილი, რომელიც თბილისიდან დალესტანში გაუგზავნა კ. ალიხანოვს. «Ради бога, установите связь с Узун-Хаджи, – წერს იგი კ. ალიხანოვს, – единство действия и единство командования (главный штаб). Представители союзников – даже Франции – очень интересуются движением в горах и, по-видимому, попытаются так или иначе вмешаться в дело... Генерал Деникин, по нашим сведениям, сосредоточивает силы в Грозном для удара против Чечни... Кулак будет сосредоточен ранее против Узун-Хаджи и только после этого возьмутся за Дагестан. По этому, чтобы помочь Узуну-Хаджи, а также и для того, чтобы воспользоваться слабостью врага на Дагестанском фронте – необходимо повести энергичное наступление против Дербента, Шуры и Петровска... Уверенно можно сказать, что первый удар будет против Узуна-Хаджи».¹

წერილში სრულიად სამართლიანი სამხედრო-პოლიტიკური ანალიზია გაკეთებული, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში 1919წ. მეორე ნახევარში. ვ. ჯაბაგიევის წერილი საყურადღებოა იმითაც, რომ იგი გამოხატავს ჩრდილოეთ კავკასიის ინტელიგენციის იმ ნაწილის მოსაზრებებს, რომლებიც XXს. პირველ ოცწლეულში მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეებთან იდგნენ. აღსანიშნავია კავკასიის მთიელთა კავშირის მეჯლისის დადგენილება, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგენილება განკუთვნილი იყო მოკავშირე ქვეყნებისადმი და ასაბუთებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან დენიკინის საოკუპაციო ჯარების გაყვანის აუცილებლობას, მაინც შეასრულა გარკვეული როლი ანტიდენიკინური ფრონტის გაფართოების საქმეში, რადგან ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ «меры доброармии среди горских народов есть ничто иное, как проведение под благовидным предлогом заранее обдуманного плана физического истребления горских народов».²

ჩვენეთში მოხალისეთა არმიის დამარცხებამ გაამძვინვარა

¹ Б. К. Мартыросян. История Ингушетии, გვ. 266-267.

² გაზ.: «Вольный горец», 22 სექტემბერი, 1920.

თეთრი მოძრაობის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. დენიკინი არც დაღესტანში გრძნობდა თავს მშვიდად. საქმე იმაში იყო, რომ ჩეჩნეთის მთიანი ზოლიდან, განსაკუთრებით შატოიდან და ვედენოდან, უზუნ-ჰაჯის პარტიზანები სისტემატურად თავს ესხმოდა მოხალისეთა არმიის ზურგს. «В сел. Ведено крепко засел Узун-Хаджи могучий своим религиозным влиянием... – წერს ა. კოსტერინი, – Он бросал фанатически настроенные массы на добровольцев. Порою, горцы гибли под пулеметами с удивительным спокойствием. Разгром десятка аулов не давал успокоения. Наоборот – вносил в борьбу все более и более ожесточения... Повстанцы подошли к Дербенту и несколько раз уже врывались в город. Это заставило Добрармию принять ряд решительных мер против с. Ведено и.с. Шатой прикрывающих тыл Дагестана».¹ ამიტომ, დენიკინს დაღესტნის არმიის ზურგის გამაგრებისთვის, პირველ რიგში, ჩეჩნეთის მთის მხარის დამორჩილება სჭირდებოდა, მაგრამ მისი არმია უზუნ-ჰაჯთან ბრძოლებში საგრძნობლად დასუსტდა. იგი სერიოზული შევსების გარეშე ვერ შეძლებდა უზუნ-ჰაჯის დამარცხებას. დენიკინს ჯერ კიდეც დიდი სამხედრო ძლიერება ჰქონდა. მან როსტოვის მთავარ ფრონტიდან გადმოისროლა ჩრდილოეთ კავკასიაში გენერალ პროკროვსკის 7 ათასიანი კორპუსი და გენერალ შკუროს ოთხი კაზაკთა პოლკი,² რომელთა ამოცანა იყო გადამჭრელი ზომების მიღება უზუნ-ჰაჯის გასანადგურებლად.

ცნობილია, რომ რუსეთი თავის კოლონიურ პოლიტიკას თან სდევდა მთიელთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივების, დაპირისპირებების, შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირების, სასულიერო პირთა და სხვათა მოსყიდვის ორგანიზაცია. ამჯერადაც, 1919წ. სექტემბერს „მოხალისეთა არმიის“ სამხედრო ადმინისტრაციის ინიციატივით შეიქმნა „ბოლშევიკების და უზუნ-ჰაჯისგან ჩეჩნეთის გაწმენდის კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: იბრაჰიმ ჩულიკოვი – თავმჯდომარე, ახმედ ცუტიევი – მოადგილე, კომიტეტის წევრები – ახმედ ხან ელმურ-

¹ А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа. Владикавказ, 1921. გვ. 50.

² გაზ.: «Грозненский рабочий», 14 ნოემბერი, 1959; А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 150.

ზავეი, მაგომა მაცყევი, არსა მირზოევი, უმარ ხამირზოევი, ემბი სლამოვი, კასუმ ბაშიროვი და სხვა.¹

მთიელ ხალხზე ფსიქოლოგიურ-მორალური ზემოქმედების თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს ჩრდილოეთ კავკასიის სამხრეთ რაიონის სამხედრო დაჯგუფების სარდლის გენ. დრაცენკოს ბრძანება და დენიკინის შტაბში ინგლისის მისიის უფროსის პოლკოვნიკ როლანდსონის მიმართვა მთიელებისადმი.

გენერალ დრაცენკოს ბრძანებაში – «К чеченцам Нагорной Чечни», – ვკითხულობთ: «Приказываю вам в горных ущельях, тропах и дорогах, идущих из плоскостной Чечни в Нагорную, поставить сторожевые посты, задерживать всех беглецов и доставлять их в Чечен-аул, где их будет принимать особая русская комиссия. Только таким путём вы можете заслужить себе прощение за все ваши преступления и предательства по отношению к Добровольческой армии и плоскостной Чечне. Предупреждаю, что все аулы и сакли, не исполнившие этот приказ, понесут суровое наказание. Это предупреждение и приказ распространяются и на все аулы в плоскостной Чечне и поэтому плоскостным аулам также надлежит всех укрывающихся красноармейцев и Узун-Хаджинцев, грузин и вообще большевиков, обязательно доставлять в Чечен-аул».²

დრაცენკო თავის მუქარით სავსე ბრძანებაში შეგნებულად აიგივებს უზუნ-ჰაჯს ბოლშევიკებთან, რათა ანტიბოლშევიკურად განწყობილი მთიელთა ტალღა დაუპირისპიროს მას. საკმარისია თვალი გადავაკვლოთ როლანდსონის მიმართვას ჩეჩენი ხალხისადმი, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ეკუთვნის არა ინგლისელ სამხედრო დიპლომატს, არამედ დიდმპყრობელური იდეების მქონე რუს გენერალს: «Я, представитель английской миссии при генерале Деникине... говорю: Правительство Англии поддерживает генерала Деникина и его цели. Цели генерала Деникина – уничтожение большевизма, возрождение Великой, неделимой России и широкое самоуправление горских народов... Английская миссия хорошо знает, что восстание горцев

¹ А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 53.

² А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 56-57.

не есть национальное движение, а большевитское и вызвано отдельными лицами, преследующими личные цели (მხედველობაში ჰყავს უზუნ-ჰაჯი, შერიბოვი, ვიკალო. – ე.ა.). Конец большевизма близок... Нет сомнения, что Россия, очищенная огнем и кровью, станет Великой и неделимой. Она тогда справедливо воздаст тем, кто помогал ей возрождению. а те, кто мешал этому, будут наказаны и наказаны немедленно».¹

გენერალ დრაცენკომ ჩათვალა რა, რომ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მომზადებულია ნიადაგი უზუნ-ჰაჯის გასანადგურებლად, სექტემბრის ბოლოს (მის წინააღმდეგ) დაიწყო სამხედრო მოქმედებები. დრაცენკო რეალურად ვერ აფასებდა უზუნ-ჰაჯისა და მისი მომხრეების სამხედრო შესაძლებლობებს. როგორც კი მოხალისეთა არმიის რაზმებმა დაიწყეს საომარი მოქმედებები, მთიელებმა ელვისებურად გაანადგურეს გენ. შკუროს კაზაკთა ოთხი პოლკი, ტყველ აიყვანეს 800 კაზაკი, თეთრებმა დაკარგეს 28 ქვემეხი, 31 ტყვიამრქვევევი, 400 შაშხანა.²

გენ. დრაცენკომ მდგომარეობის გამოსასწორებლად სასწრაფო ზომები მიიღო. იბრაგიმ ჩულიკოვის მეთაურობით, ეროვნული ინტერესების მოლაღატე ჩეჩნებისგან, იქმნება კარგად შეიარაღებული რაზმი, რომელიც მოხალისეთა არმიის ნაწილებთან ჩართულ იქნა საომარ მოქმედებებში. გარდა ამისა, ჩეჩნეთ-დაღესტნის მმართველს გენერალ ალიევს ჩეჩნეთში შემოჰყავს დამატებითი სამხედრო ძალები. 1919წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, მოხალისეთა არმიამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. მოხალისეთა არმიის საექსპედიციო რაზმებმა იბრაგიმ ჩულიკოვის მონაწილეობით გაანადგურეს და გადაწვეს გუდერმესი, ისტი-სუ, ენგელ-იურტი, გერზელ-აული, შამა-იურტი, ჩეჩენ-აული, უსტარგორდოი, მესკერ-იურტი და სხვ. ამ აულების მოსახლეობა გარბოდა მაღალ მთებში და მათი დიდი ნაწილი უზუნ-ჰაჯს მიემხრო. 1919წ. 12 ოქტომბერს მოხალისეთა არმიამ აიღო სოფელი შალი, ხოლო სერჟენ-იურტის დაპყრობით დაეუფლა მთელ ჩეჩნე-

¹ А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 52-53.

² А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 150.

თის სიბრტყეს. მოხალისეთა ოქტომბრის წარმატება არ ნიშნავდა მთელი ჩეჩნეთის დამორჩილებას. ამჯერად, როგორც პირველი ლაშქრობის დროს, მოხალისეთა არმიამ ვერ დაიპყრო მთის ჩეჩნეთი. უზუნ-ჰაჯი მაღალ მთაში დაბანაკდა და აგროვებდა ძალებს.

ამავდროულად, იგი აგრძელებდა პარტიზანულ ომს მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. უზუნ-ჰაჯის პარტიზანული რაზმები მოულოდნელ დარტყმებს აყენებდნენ მტრის ბლოკოსტებს, გარნიზონებს, ახორციელებდნენ რეიდებს მოხალისეთა არმიის ზურგში და ანადგურებდნენ მათ კომუნიკაციებს. «Еще раз предупреждаю, – ვკითხულობთ გენ. ალიევის ერთ-ერთ ბრძანებაში, – что если вы сами своими средствами выгоните от себя банды Узун-Хаджи и выдадите большевиков, то этим спасете от разгрома свои аулы и имущество».¹ გენერალმა დრაცენკომ თავის ბრძანებით დააკონკრეტა ალიევის ბრძანება: «Добрармия и впредь будет уничтожать аулы наших врагов, если нагорные чеченцы не прогонят большевиков и Узун-Хаджинцев, то Добрармия не пропустит в горы ни одного фунта хлеба».² ფაქტობრივად, დრაცენკომ ჩეჩნეთის მთის აულებს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა, მან ბარიდან მთაში მიმავალი ბილიკები, გზები და ხიდები გადაკეტა.

მიუხედავად ამისა, უზუნ-ჰაჯი მოსახლეობის ფართო მხარდაჭერისა და დახმარების მეოხებით, ახერხებდა ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმებით მოულოდნელ თავდასხმებს მოხალისეთა არმიის ბლოკოსტებზე, გარნიზონებზე, აწყობდა რეიდებს მტრის ზურგში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უზუნ-ჰაჯის რელიგიური და სამხედრო-ორგანიზაციული მუშაობა არ იყო შემოფარგლული მხოლოდ ჩეჩნეთის მთიანეთით. მისი მითითებით შეიქმნა პარტიზანული რაზმების ფართო ქსელი „მოხალისეთა არმიის“ მიერ დაპყრობილ მთელ ტერიტორიაზე და იმ რაიონებში, რომლებსაც ოკუპაცია ემუქრებოდა.

1919წ. ოქტომბერში დაღესტანში შეიქმნა „თავდაცვის საბჭო“, რომლის წევრები იყვნენ უზუნ-ჰაჯისა და შეიხ ალი-ჰაჯის

¹ А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 55.

² А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 153.

მომხრეები და აგრეთვე ბოლშევიკები. საგულისხმოა „თავდაცვის საბჭოს“ სახალხო არმიის ასკერის (ჯარისკაცის) შემდეგი ფიცის ტექსტი: «Я, аскер народной армии Совета Обороны Северного Кавказа, клянусь священным кораном защищать шариат, свободу, независимость трудовых народов Северного Кавказа, избранный Верховный орган власти – Совет Обороны».¹

აღსანიშნავია, რომ „თავდაცვის საბჭოს“ საპატიო თავმჯდომარეები იყვნენ უზუნ-ჰაჯი და ალი-ჰაჯი. ა. კოსტერინის, რომელიც გიკალოს წითელი პარტიზანული რაზმის წევრი იყო, გაყალბებულ ისტორიულ ნარკვევშიც კი კარგად ჩანს, რომ უზუნ-ჰაჯი და ალი-ჰაჯი არიან მთიელი ხალხის აღიარებული სულიერი და სამხედრო ლიდერები. «За период борьбы местные национальные розни были забыты. – წერს ა. კოსტერინი, – Шейх-Имам Чечни и Дагестана, Узун-Хаджи и Шейх-Али-Акушинский явились теми верхушками, которые в начале вели фанатически настроенную массу к борьбе за свободу».²

განსაკუთრებით აღსანიშნავია უზუნ-ჰაჯისა და ბოლშევიკების თანამშრომლობის საკითხი. უზუნ-ჰაჯის, როგორც ახალშობილი სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება, გარკვეულ ფარგლებში, ბოლშევიკებთან თანამშრომლობის თაობაზე, კერძოდ გამოიყენოს ისინი მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში, განპირობებული იყო დენიკინის დიდმპყრობელური, იმპერიული პოლიტიკით, რომელიც მთიელთა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, ამ შემთხვევაში, გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე განადგურებული ბოლშევიკები. მართლაც, ჯერ კიდევ მოხალისეთა არმიის შემოჭრამდე ჩრდილოეთ კავკასიაში, უზუნ-ჰაჯის და მისი თანამებრძოლების შეიარაღებული წინააღმდეგობის მეორებით, ბოლშევიკური საბჭოები მხოლოდ რამდენიმე ქალაქში არსებობდა, რომლებიც დენიკინმა საბოლოოდ გაანადგურა. ამ ფაქტს ადასტურებს გიკალოს დეკემაც, რომელიც მან 1919წ. იანვარში ლენინს გაუგზავნა: «Красной Армии на Северном Кавказе не существует. Взрываем семь бронепоездов. Уходим в горы».³

¹ А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 92-93.

² А. Костерин. 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 92.

³ И. Я. Янчевский. Гражданская..., გვ. 129.

ე.წ. „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ ხელმძღვანელები – ორჯონიკიძე, ბუტირინი, ფიგანტერი, ნაზარეთიანი, მახარაძე, ა. გეგეჭკორი, გაბიევი და სხვ. ვლადიკავკაზიდან ინგუშეთში გაიქცნენ და საქართველოში გადავიდნენ. 20-ზე მეტი ბოლშევიკი პიატიგორსკში და არმავირში დააპატიმრეს და გროზნოს ციხის ეზოში ჩამოახრჩვეს.¹ თერგის ოლქში, მხოლოდ 1920წ. მარტში შეიქმნა ბოლშევიკური ღრობითი კომიტეტი, რომელიც სულ 80 პარტიის წევრს ითვლიდა.

სრულიად ამკარაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკები 1919წ. არ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას. ვინც გადაურჩა მოხალისეთა არმიას, ჩეჩნეთის მთებს შეაფარა თავი. «К осени окончательно разгромят советчиков, и их последние остатки вынуждены будут скрываться в горах, за спиной Узун-Хаджи».² უდავოა, რომ ბოლშევიკები მათი გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავშესაფარის უფლებას უზუნ-ჰაჯს სთხოვდნენ. «Я нахожусь спрятым в надежном месте в горах, – а чечобинебда შერიპოვი თავის ახლობლებს, – небеспобойтесь, Я нахожусь в полной безопасности».³ უზუნ-ჰაჯი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეწეოდა, ყველას, ვინც ღენიკინის წინააღმდეგ იბრძოდა, მათ შორის ბოლშევიკებს, თავისი ჯარის რიგებში იღებდა. მოხალისეთა არმიის მიერ ღეენილმა გიკალომ და წითელი არმიის ნარჩენებმა უზუნ-ჰაჯს შეაფარეს თავი. თავდაპირველად გიკალოს რაზმში ირიცხებოდა 60 კაცი, რომლის შეიარაღება იყო 13 შაშხანა და ორი ტყვიამფრქვევი. შემდგომ, რაზმი უზუნის მთავარი შტაბის თანხმობით, თანდათან იზრდებოდა საოკუპაციო ჯარის მიერ ღეენილი ჩეჩნების, ინგუშების, ყაბარღოელების და სხვ. ხარჯზე. 1919წ. ბოლოს რაზმი გაიზარდა 800 კაცამდე, რომელიც საემირიოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შევიდა, როგორც მეხუთე არმია.

საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ, განსაკუთრებით XXს. 50-იანი წლების დასაწყისიდან, უზუნ-ჰაჯის მოღვაწეობა მთლიანად

¹ Х. Оцаев. «Комбриг Тасуй». Грозный, 1970, გვ. 19.

² <http://www.kavkascenter.com/russ/content/2006/01/14/41024/print.html>.

³ <http://www.kavkascenter.com>.

გააყალბა. იგი წარმოჩენილია როგორც თურქეთის მარიონეტი, უძღური მოხუცი, რომელსაც დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი არ გააჩნდა, თითქოს შერიპოვ-გიკალოს ბოლშევიკური პარტიზანული რაზმი, წითელი არმიის შემოსვლამდე იყო ის ძირითადი ძალა, რომელმაც დენიკინის საოკუპაციო ჯარი თითქმის განდევნა ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები ცალსახად ადასტურებენ, რომ უზუნ-ჰაჯი არ იყო ბოლშევიკებთან ალიანსში და არავის მარიონეტი. იგი სიკვდილამდე იყო მთიელთა მოაზროვნე სასულიერო და პოლიტიკური ლიდერი. რაც შეეხება შერიპოვ-გიკალოს პარტიზანულ რაზმს, წითელი არმიის ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრებთან მოახლოვებამდე, იმამის მითითებებსა და ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა. უზუნ-ჰაჯი, იმთავითვე, შერიპოვსა და გიკალოს არ ენდობოდა, მაგრამ პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, იტანდა მათ, რადგან ყველაზე ძნელ და სასიფათო სამხედრო ოპერაციების შესრულებას ავალებდა. «Узун-Хаджи и Иналук первым на белых бросали отряд Шерипова и не шли на помощь».¹

ფაქტობრივად, შერიპოვი და გიკალო იმამის საჯარიმო ბატალიონის მეთაურები იყვნენ, რომლის გამოც შერიპოვი უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ამბობდა: «Это был штрафбат», შერიპოვმა მთავარი შტაბის ნებართვის გარეშე, გროზნოს აღება განიზრახა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით მოუშაადებელი და ავანტურისტული იყო. შერიპოვს სტანიცა ვოზდვიჟენსკოესთან მოხალისეთა არმიის ნაწილებთან მოუხდა ბრძოლის გამართვა. უზუნ-ჰაჯი შერიპოვს არ მიეშველა; შერიპოვი მოკლულ იქნა, ხოლო მისმა რაზმმა დიდი დანაკლისით უკან დაიხია.

საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანა სისტემატურად აყალბებდა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობას. ბოლშევიკური გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანული მოძრაობის ფართო ქსელი შეიქმნა ბოლშევიკების დაუღალავი იდეურ-ორგანიზაციული მუშაობის მეოხებით. გაზეთი „პრავდა“ 1919წ. 22 ოქტომბერს წერდა, რომ: «На

¹ <http://www.kavkascenter.com>.

Северном Кавказе деятельность повстанческих красных отрядов приняла большие размеры». „პრაგდა“ ამას წერდა იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები უზუნ-ჰაჯს თხოვდნენ განეხორციელებინა დენიკინის ზურგში ცხენოსანთა ჯარის რეიდი. ბოლშევიკები ამ რეიდის განხორციელებას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ უზუნ-ჰაჯის თანხმობისა და მონაწილეობის გარეშე, მას ვერ შეძლებდნენ. აი, რას წერენ ბოლშევიკები აღნიშნულის შესახებ: «Состояние «добровольческих» сил на Северном Кавказе обеспечивает успех этого рейда и, **если только Узун-Хаджи согласится** это организовать «добровольцам» на Северном Кавказе будет нанесен значительный удар и со стороны Дагестана. Этот удар не только расстроит тыл противника, но и вызовет восстание в Ингушетии, Дигори и Кабарды...»¹

უზუნ-ჰაჯი, მიუხედავად იმისა, რომ გენერალ დრაცენკოს რაზმები ცდილობდნენ ჩეჩნეთის მთის ზოლში შეჭრას, დაეთანხმა ბოლშევიკების წინადადებას. მტრის ზურგში პარტიზანთა ფართო ერთობლივი მოქმედებების განხორციელება მოითხოვდა ერთიან ხელმძღვანელობას. ამიტომ, უზუნ-ჰაჯი ვედენოდან გადავიდა დაღესტნის აულ ბაბა-იურტში. მან დენიკინის ზურგში დარტყმების განსახორციელებლად, დაღესტანში თავი მოუყარა საკმაოდ სოლიდურ პარტიზანულ რაზმებს, – ჩეჩენი აბდულ-რაშიდ ისიევის 1500-იან ცხენოსანთა ქვეგანაყოფს, ყუმიყელი ზაინულაბიდ ბატირმურზაევის პარტიზანულ რაზმს და სხვ., რომლებმაც მოხალისეთა არმიის ნაწილებს შეუქმნეს აუტანელი პირობები, მწყობრიდან გამოიყვანეს კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და სხვა კომუნიკაციების ქსელი, მოახდინეს ჯარის ნაწილების დეზორგანიზაცია, მუსრი გაავლეს მათ ხელისშემწყობთ.

ამგვარად, ჩვენს მიერ აქ მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უზუნ-ჰაჯი არ ასრულებდა ბოლშევიკების, ან სხვა რომელიმე ქვეყნის მითითებებსა და დავალებებს, იგი სავსებით დამოუკიდებელი პიროვნება იყო და პირველ რიგში ზრუნავდა თავისი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების მატერიალიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით, ინტე-

¹ <http://www.kavkascenter.com> (ხაზგასმა ჩვენია – ე.ა.).

რეს იწვევს უზუნ-ჰაჯის სამხედრო წარმატებები აღმოსავლეთ კავკასიაში. დენიკინის გააქტიურებას თერგი-ყუბანის ფრონტზე, იმამის სწრაფი სამხედრო კონტროლისძიებები მოჰყვა. მან მონახლისეთა არმიას ზურგიდან შეუტია და გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა დიდი ყაბარდოს შარიათის, ბალყარეთის, ოსეთის ცხენოსანთა პოლკების და მცირე ყაბარდოს ცხენოსანთა რაზმის გაერთიანებული ძალებით. მალე, უზუნ-ჰაჯიმ თეთრები ნალჩიკიდან განდევნა და «Пространство до Минеральных вод и далее было очищено от противника. Деникинцы в течение марта были отброшены к двум морям».¹

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მასალები ცალსახად აქარწყლებენ საბჭოური ისტორიოგრაფიის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს 1919-1920წწ. დენიკინის საოკუპაციო ჯარს ძირითადად ებრძოდნენ „წითელი პარტიზანთა“ რაზმები. სინამდვილეში, მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს ხელმძღვანელობდნენ სასულიერო პირები – ღაზი-მუჰამედიდან, უზუნ-ჰაჯის ჩათვლით.

როდესაც დენიკინი ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური დამარცხების წინაშე დადგა, მდგომარეობის გამოსწორების, მთიელთა გულის მოგების მიზნით შეეცადა არსებული საოკუპაციო რეჟიმის შეცვლას, უფრო ლიბერალურით. ამ მიზნით, თერგი-დაღესტნის ჯარების მთვარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ლიახოვმა საჯაროდ მიმართა მთიელებს, რომ „მონახლისეთა არმიას“ ძველი რეჟიმის აღდგენა, მთიელთა კაზაკებისადმი დაქვემდებარება განზრახული არ აქვს. «Напротив, гарантирует всем горским народам их внутреннее самоопределение». იგი მთიელებს არწმუნებდა: «В соответствии с принятым законом они будут управляться «особыми представителями из самого народа». При каждом правителе вводиться должность помощника по военной и гражданской части... Во главе всех горских народов Терского края будет стоять избранный всеми горцами горец – губернатор, как и целый ряд бывших общегосударственные вопросы относились к ведению Главноначаль-

¹ <http://www.kavkascenter.com>

твующего Терско-Дагестанским краем, тогда как управление горцами выделялось в полномочия особого помощника по горским делам, избранного горскими народами при котором будет находиться особый горский совет».¹

როგორც ხედავთ, უკიდურეს მდგომარეობამდე მისულმა დენიკინმა ვერ დაძლია თავისი დიდმპყრობელური, იმპერიული ამბიციები და მთიელებს მხოლოდ საოკუპაციო ადმინისტრაციის კოსმეტიკური ხასიათის ცვლილებები შესთავაზა, რომელიც ვერ შეცვლიდა მის ირაციონალურ ეროვნულ პოლიტიკას.

უზუნ-ჰაჯიმ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა მეზობელ სახელმწიფოებთან და ცდილობდა მათი მხარდაჭერით მოეპოვებინა საერთაშორისო მხარდაჭერა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა კეთილგანწყობით შეხვდა ჩრდილოეთ კავკასიის საემიროს შექმნას. ცნობილია, რომ დენიკინი ემოქურებოდა საქართველოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას² „მოხალისეთა არმიას“, საქართველოში შემოჭრის შესაძლებლობა ჰქონდა სამხრეთ შავიზღვისპირეთის-ნოვოროსიისკ-სოჭიდან და ჩრდილოეთ კავკასიის საქართველოს სამხედრო გზით. უზუნ-ჰაჯი იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვა. ჩრდილოეთ კავკასიის საემირო საქართველოსთვის ბუფერის როლს ასრულებდა, ამიტომ, საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ეხმარებოდა უზუნ-ჰაჯს. «Из Тифлиса Прибывает грузинский штаб, – წერს ა. კოსტერინი, – в задачи которого входило всемерное оказание помощи Узун-Хаджи в организации государства».³ საქართველოს მთავრობამ იმამთან სამხედრო სპეციალისტები მიავლინა – გენერლები კერესელიძე, თუხარელი და ჭავჭავაძე. ბოლშევიკები უზუნ-ჰაჯის სამხედრო საქმიანობის შესახებ წერდნენ: «Он сгруппировал вокруг

¹ <http://www.teptar.com>

² ამის შესახებ იხ.: **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 765-766; **А. М. Ментешавили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 16-29; **ზ. ჰაპასქიძი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007, გვ. 43-52.

³ **А. Костерин.** 1919-1920 гг. В горах Кавказа, გვ. 33.

себя значительные силы... Эти силы имеют военную организацию и правильно действующий штаб, которым заведует военный специалист – грузинский полковник Кереселидзе».¹

ალსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობასა და უზუნ-ჰაჯის შორის დაიდო სამხედრო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა: «Так как у Узун-Хаджи была договоренность с грузинами в обмен на оружие и признание Эмирства, перед ингушским отделением были поставлены неотложные задачи – блокировать Военно-грузинскую дорогу, чтобы перерезать пути сообщения деникинцев с Грузией, Не допускать вывоза в Тифлис продуктов с Северного Кавказа, задержать волну беженцев-контрреволюционеров, хлынувших в Грузию. Подготовить восстание во Владикавказе, перерезать железную дорогу Прохладная – Беслан-карабулак».²

უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და საემიროს მთავრობები ურთიერთვალდებულებებს კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ინგუშთა პოლკი, ხიზირ ორუზანოვის მეთაურობით, სამედოლ იცავდა „მოხალისეთა არმიისაგან“ საქართველოს სამხედრო გზას. საქართველოს მთავრობა «посылали к Узун-Хаджи добровольческие отряды офицеров, оружие, боеприпасы. 15 сентября 1919 года из Грузии было прислано 80 пулеметов, два миллиона патронов, полевые аппараты и три грузинских офицера».³ საქართველოს მთავრობა შეძლებისამებრ, ფულად დახმარებასაც უწევდა მთიელებს. ასე მაგალითად, საქართველოს მთავრობის 1919წ. 22 თებერვლის დადგენილებით, „*მთიელთა კავშირს*“ გამოეყო: «3 миллиона в кредит, из этой суммы бонами Терской республики 2,5 миллиона руб., а остальные 0,5 миллиона руб. закавказскими бонами частично, по мере возможности».⁴

ამგვარად, როგორც ვხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უზუნ-ჰაჯის საემიროსთან კეთილმეზობ-

¹ А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 141.

² <http://www.kavkascenter.com>.

³ А. Г. Гойгова. Народы Чечено-Ингушетии..., გვ. 141.

⁴ *Борьба за Советскую власть в Северной Осетии*, Сборник док. и материалов. Орджоникидзе, 1959, док. 176.

ლური ურთიერთობის დამყარებით, უზრუნველყო სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის სამხედრო გზის დაცვა და აიცილა „მონხალისეთა არმიის“ ჩრდილოეთიდან შემოჭრის საშიშროება.

ЕВСТАФИИ (ТЕНГИЗ) АНТЕЛАВА

УЗУН-ХАДЖИ И БОРЬБА ГОРЦЕВ СЕВЕРНОГО КАВКАЗА ПРОТИВ ОККУПАЦИОННОГО РЕЖИМА ДЕНИКИНА

В статье освещена героическая борьба горцев Северного Кавказа против оккупационного режима А. И. Деникина в 1919-1920гг. во главе с видным учёным, общественным, религиозным и политическим деятелем Дагестана и Чечни Узун-Хаджи Салтинского. На основании осмысления данных разного рода источников, в том числе архивных материалов, а также некоторых новейших научных публикаций, рассмотрена многогранная деятельность этого незаурядного лидера, главной целью которого была освобождение народов Северного Кавказа от российского владычества и создание там независимого объединённого Имамата на подобие того, что было создано Шамилем.

ESTATE (TENGIZ) ANTELAVA

USUN-HADJI AND THE FIGHT OF THE NORTH CAUCASIAN HIGHLANDERS AGAINST DENIKIN'S OCCUPATION REGIME

The paper sheds light upon the heroic struggle of the North Caucasian highlanders against occupation regime of A. I. Denikin in 1919-1920 led by famous scholar, public, religious and political leader of Daghestan and Chechnya Usun-Hadji. On the basis of the critical analysis of the archival materials and the recent scientific publications, the paper examines the multi-faceted activities of Usun-Hadji, who had a goal of liberating the peoples of the North Caucasus from the Russian rule and the establishment of the independent Imamate, like the one founded by Shamil.

ჯატი შეყლაშვილი

გერმანიის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ მეოცეწუთში 1919-1933 წლებში

გერმანიის დიპლომატიური აქტივობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (საე) რეგიონში ჯერ კიდევ XIX ს. ბოლოდან იღებს სათავეს და განსაკუთრებით ძლიერდება XX ს. პირველ ათწლეულებში, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ძლიერების მკვეთრმა დასუსტებამ და ბალკანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ დღის წესრიგში მთელი სიმწვავეით დააყენა პრობლემა ამ რეგიონის „ათვისების“ შესახებ ე.წ. „დიდი“ სახელმწიფოების მიერ.

ბალკანეთის ნახევარკუნძული ევროპასა და აზიას შორის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხიდს წარმოადგენდა, ფლობდა უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს. საე-ს დაპყრობა გერმანიას გზას უხსნიდა ფრიად სანუკვარი რეგიონისკენ – არაბული აღმოსავლეთი, კავკასია, სპარსეთის ყურე, ინდოეთის მისაღვომები.

დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ეკონომიკური და ფინანსური წინააღმდეგობანი საე-ს და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საშუალებას აძლევდა გერმანიას ამ კონფრონტაციაზე აეგო თავისი ექსპანსია. გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანებების – „შუა ევროპული ეკონომიკური საბჭოს“ („Mitteleuropäische Wirtschaftstag“), „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების“ („Sudosteuro-pa-Gesellschaft“), „ინდუსტრიის საიმპერიო ჯგუფის“ („Reichsgruppe Industrie“), მსხვილი გერმანული ბანკების – „დოიჩე ბანკის“, „დრეზდენერ ბანკის“ და სხვათა ეკონომიკური და ფინანსური

აქტივობა ამ რეგიონში გამოიკვეთა, როგორც მყარი წინაპირობა დუნაის სივრცის მომავალი პოლიტიკური დამორჩილებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადგა მომენტი, როცა გერმანულ იმპერიალისტთა გეგმები ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში შეჩერდა, ვინაიდან: 1) დაინგრა მისი მოკავშირე ავსტრია-უნგრეთის იმპერია; 2) დამარცხდა მისი მოკავშირე ბულგარეთი; 3) წარმოიშვა ახალი დიდი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთში საფრანგეთისა და ინგლისის გავლენით; 4) გეგმები აქ დაპყრობებზე გაძლიერდა მისი ყოფილი მოწინააღმდეგის – იტალიის მხრივ; 5) დამარცხდა მისი მოკავშირე თურქეთი, რომელსაც იგი ეყრდნობოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და დაიშალა; 6) მას თვით აღარ ჰქონდა ეკონომიკური ძალა, რომ აქტიურად ემოქმედა (1926-1927 წლებამდე).

ბრიტანულმა, ფრანგულმა, იტალიურმა და ამერიკულმა სამრეწველო მონოპოლიებმა უკუაგდეს გერმანია ამ ტერიტორიებიდან და შეეცადნენ ბალკანეთში დამკვიდრებას. მაგრამ ვაიმარის რესპუბლიკის მმართველი წრეების პოლიტიკური პროგრამის საფუძველში უკვე იდო მისი „აღმოსავლეთის პოლიტიკა“. აქედან გამომდინარე, ძველი გეგმები ძალაში დარჩა. ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით შეჭრა იქ, სადაც ეს პოლიტიკური ძალებით ვერ შეძლეს.

კაპიტალისტური სტაბილიზაციის დასაწყისმა, ლოკარნოს ხელშეკრულებათა დადებამ 1925 წლის შემოდგომაზე, რომელმაც გერმანიის „ერთა ლიგაში“ მიღების (1926 წლის სექტემბერი) შედეგად მისი სახელმწიფოებრივი სტატუსი აღადგინა, განაპირობა გერმანიის ბურჟუაზიის კოლონიური ამბიციების ხელახალი გამოღვიძება. დაიწყო „შუა ევროპის სასიცოცხლო სივრცეში“ ეკონომიკური ექსპანსიის აქტივიზაცია.

გერმანიის პოზიციები განამტკიცა, ასევე, 1924 წლიდან 1929 წლამდე 30 მლრდ. მარკის რაოდენობის უცხოური კაპიტალის შემოტანამ, რაც საფუძველად დაედო ძლიერი კონცერნების წარმოშობასა და განმტკიცებას, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობაში. 1925წ. წარმოიშვა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქიმიური კონცერნი „IGF – AG“ („*Interessengemeinschaft Farbenindus-*

trie, Aktiengesellschaft“), 1926წ. შეიქმნა მეორე უმსხვილესი მონოპოლია „ფოლადის ტრესტი“ („VereinigteStahlwerke“), მთელი ელექტროტექნიკური მრეწველობა კონცენტრირებული იყო „საყოველთაო ელექტრული კომპანიის“ („AEGG“) და „სიმენსის“ კომპანიების ხელში“.¹ შეიქმნა პირობები გერმანული ფინანსური კაპიტალის სწრაფი ზრდის და წინსვლისათვის საე-ს ქვეყნებში. გერმანულ ექსპანსიონისტთა მტკიცებით: ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები წარმოადგენდნენ სამიწათმოქმედო ტერიტორიებს, რომელთაც აქვთ სუსტად განვითარებული მრეწველობა „როთელი ეკონომიკური მდგომარეობიდან მათი გამოყვანა შეუძლია მხოლოდ გერმანიას, რომელიც საბაჟო ტარიფების მეშვეობით გაუხსნის მათ თავის ბაზარს“.²

ფინანსური კაპიტალის, გენერალიტეტის და სხვა რეაქციული პოლიტიკური ჯგუფების წრეებში აქტიურად თათბირობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გერმანიის გაძლიერებული ექსპანსიის გეგმებზე. ეს ტერიტორიები გაიაზრებოდა შენიღბულ კოლონიებად, საიდანაც მოხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის შეტანა გერმანიაში, ხოლო გერმანიის მრეწველობა მიაწოდებდა სამრეწველო ნაწარმს იმ რაოდენობით, რაც დააკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის პრიმიტიულ მოთხოვნებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უნდა შესულიყვნენ რაინ-ვესტფალიის მრეწველების ეკონომიკური გავლენის სფეროში, ვინაიდან გერმანიის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი პოზიციები რაინ-ვესტფალიის რაიონის მსხვილ მონოპოლიებს ეპყრათ. ბარონმა ფონ ვილმოვსკიმ „შუა ევროპის ეკონომიკური საბჭოს“ პრეზიდენტმა განაცხადა: „1929 და 1930 წლებში დაიწყო გერმანული ინდუსტრიის, რურის ქიმიური და ელექტროინდუსტრიის დაინტერესება იმ ეკონომიკური შესაძლებლობებით, რომლებიც გამოიწვევდა სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას

¹ E. Euck. Geschichte der Weimarer Republik. B. I-II. Erlenbach. Zurich-Stuttgart; 1956 .

² Europastrategien des deutschen kapitals 1900-1945. (1977). Hrsg. von R. Opitz. Pahl. Rugenstein Verlag. Koln; S.114.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან. ელექტროინდუსტრიის კერძო ფორმების ფინანსური დახმარებით იქმნებოდა საშუალება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნედლეულის მოპოვებისათვის.. ნაყოფიერი ნედლეულის მოპოვების პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთში მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიზანშეწონილი, როდესაც გერმანული ეკონომიკა თავად აიღებდა მალარობის განვითარების საქმეს ხელში“.¹ „შუა ევროპული ეკონომიკური საბჭოს“ გერმანული ჯგუფის 1928 წლის საანგარიშო მოხსენებაში გარკვევით იყო მითითებული: „არ არსებობს მსგავსი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სხვა მიზანი, ვიდრე შუა ევროპის საკითხი გერმანულ აზროვნებაში. ჩვენ უნდა ავირჩიოთ არაპირდაპირი გზა, რაც შუა ევროპული ინსტიტუტების ჩამოყალიბებით გამოიხატება და საე-ს სახელმწიფოთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მმართველებთან დაგვაახლოებს... შუა ევროპა გერმანიის ბუნებრივი გასაღების ბაზარია. ჯერჯერობით სამშვიდობო ხელშეკრულებებით იგი მეტწილად დახურულია ჩვენთვის. უნდა ვიზრუნოთ, რომ იგი ხვალიდან ჩვენი გასაღების ბაზრად იქცეს, ...გერმანიის შესაძლებლობანი მხოლოდ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში ძეგს“.²

1930 წლიდან საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკა ახალი საშუალებებითა და ახალი მეთოდებით უნდა წარემართათ, რაც უპირველესად გამოიხატებოდა იმის შეგნებით, რომ: „თუ გერმანია ძლიერია, მაშინ მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური ხარისხის ძალა თავად სახელმწიფოა, რომელზეც პატარა, ახალი სახელმწიფოებია მიტმასნილი. ისე უნდა მოხდეს, რომ ჩვენ აღმოსავლეთის სახელმწიფოებისათვის ბუნებრივი მიზიდვისა და გრავიტაციის ცენტრი გავხდეთ“.³ გერმანიის ტაქტიკური მოქმედების თვალსაწიერში ამ პოლიტიკისათვის უფრო

¹ *Griff nach Sudosteuroopa*. Neue Dokumente uber die politik des deutschen Imperialismus und Militarismus gegenuber Sudosteuroopa im Zweiten Weltkrieg. VEB, Deutsche Verlag der Wissenschaften. Berlin, 1973, S. 17.

² *Griff nach Sudosteuroopa*, S.18-19.

³ **L. Zimmermann**. Studien zur Geschichte der Weimarer Republik. Berlin, 1956, S. 117.

ხელსაყრელად ჩანდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. 1930 წლის აგვისტოს დასასრულისათვის კანცლერ ბრიუნინგისათვის წარდგენილ ფართო მემორანდუმში აღნიშნულია, „რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური საქმეები დაიდრა. იქ გერმანიის სამომავლო შესაძლებლობებია თავმოყრილი.... „ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში გერმანული პოლიტიკის სასწრაფო ამოცანების გადაჭრა ავსტრიასთან კავშირში უნდა გავთვალთ, რადგან გერმანიის კუთვნილი ავსტრიით იქმნება საშუალება, გავლენა მოვახდინოთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განვითარებაზე“.¹ „ევროპის გაერთიანების“ გერმანული გეგმების თანახმად საბაჟო პროექტს – „უნდა შეერყია ინგლის-საფრანგეთის პოზიციები ევროპის კონტინენტზე, განსაკუთრებით კი ბალკანეთში“.²

ამასვე ემსახურებოდა 1931 წლის 19 მარტს ვენაში გერმანიას და ავსტრიას შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის შედეგში მიზანი, კარგად ჩანს გერმანიის ინდუსტრიის საიმპერიო გაერთიანების თავმჯდომარის კარლ ღუისბერგის 1931 წლის 24 მარტის მოხსენებიდან: „გერმანიის ინდუსტრიის დღევანდელი და მომავალი პრობლემების შესახებ“ იგი აღნიშნავს: „რეგიონული ეკონომიკური სივრცის შექმნის იდეამ ევროპაშიც სულ უფრო მტკიცე ხასიათი მიიღო. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. გასაღების ბაზარს ისინი ძირითადად გერმანიაში პოულობენ. რა უნდა იყოს მათთვის უფრო სასურველი, ვიდრე გერმანიასთან–ძლიერ პარტნიორთან მიღწევა ეკონომიკურ სფეროში? მეორე მხრივ, გერმანიისა და ავსტრიის ინტერესებშია განავითარონ ინდუსტრიული პროდუქციის გასაღების ბაზრები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. დღეს თუ იქ ჩვენი ექსპორტის მხოლოდ 4% საღდება, უეჭველია, ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარება, მომავალში გერმანულ ინდუსტრიულ პროდუქციაზე მოთხოვნას გაზრდის. გერმანიას, ავს-

¹ *Griff nach Sudosteuroopa*, S. 20.

² *Europastrategien des deutschen kapitals 1900-1945*, S. 115.

ტრიასა და საე-ს ქვეყნებს შორის სავაჭრო-პოლიტიკურმა ურთიერთგაგებად საბაჟო კავშირის ფორმა უნდა მიიღოს...მარტო ეკონომიკურ ბლოკს – ბორდოდან სოფიამდე შეუძლია შეუქმნას ევროპას ეკონომიკური ხერხემალი, რომელიც მას აუცილებლად ესაჭიროება მსოფლიოში თავისი მნიშვნელობის დასასაბუთებლად“.¹ იგივე აზრი იკვეთება გაზეთ „კინერ ნახრიხტენის“ 1931 წლის 5 აპრილის ნომერში დაბეჭდილ კ. დუისბერგის სტატიაში „თუ შევძლებთ საე-ს ქვეყნებთან ეკონომიკურ შეთანხმებას, მაშინ ავსტრია უეჭველად გახდება უმნიშვნელოვანესი ხიდი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ“².

ვაიმარის გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული გეგმების ნაწილია უდიდესი გერმანელი მეწარმის ჰუგო სტინესის კონცეფცია, 1931 წლის 9 ივლისს ადოლფ ჰიტლერისადმი გაგზავნილ წერილში „*მოდავალი ექსპანსიონისტური ომის მომზადების შესახებ*“: „... გერმანული სივრცის გაფართოება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხარჯზე უნდა მოხდეს არა საზღვრის გადაწყვეთით, არამედ მათი გახსნით (მაგალითად, საბაჟო კავშირის შექმნით).“³

გერმანიის ფრთხილი მანევრირება პროექტების გზით გაედწია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სიღრმეში, წააწყდა საფრანგეთის წინააღმდეგობას, რომელმაც 1931 წლის სექტემბერში ჰააგაში გამართა საერთაშორისო სასამართლო და ავსტრიასთან საბაჟო კავშირი სამშვიდობო ხელშეკრულებასთან შეუთავსებლად გამოაცხადა, თუმცა, გერმანულმა მთავრობამ ოფიციალურად უარყო ეს გადაწყვეტილება და შეუდგა საბაჟო პროექტის განხორციელებას.

გერმანიის გეგმებზეა საუბარი ცენტრალური ევროპის ეკონომიკური კომიტეტის გერმანული ჯგუფის ხელმძღვანელის მაქს ჰანის 1931წ. 23 ოქტომბრის მოხსენებაში „*ცენტრალური ევრო-*

¹ *Welltherrschaft im Vizier*. Dokumente zu den Europa und weltherrschaftsplänen des deutschen Imperialismus von der Jahrhundertwende bis Mai 1945. Berlin, 1975, S. 219-220.

² *Griff nach Südosteuropa*, S. 20.

³ *Welltherrschaft im Vizier*, S. 222.

პა, როგორც გერმანული პოლიტიკის მიზანი“: „გერმანიის აგრარული კრიზისის გადაჭრის შესაძლებლობას მე ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ვხედავ. გერმანიის საგარეო ვაჭრობის შეზღუდვას თავიდან ავიცილებთ, თუ შევძლებთ ეკონომიკურად განუვითარებელ სახელმწიფოებში არსებული გასაღების ბაზრების ათვისებას ... გერმანიამ დრო უნდა მოიგოს, რათა თავიდან აიცილოს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საშუალოდ მოსპობდნენ გერმანულ გავლენას და ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ნდობას“.¹

ფაქტობრივად, მომზადდა იდეოლოგიური ბაზა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილებისათვის, რასაც ზურგს უმაგრებდა ვაიმარის რესპუბლიკის წლებში აღდგენილი სამხედრო-სამრეწველო პოტენცი-ალი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში დამკვიდრების გეგმებმა განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო ნაცისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ.

¹ *Welltherrschaft im Vizier*, S. 226-228.

ПАТИ ШЕКЛАШВИЛИ

ПЛАНЫ ГЕРМАНИИ В ОТНОШЕНИИ ЮГО-ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЫ В ГОДЫ ВЕЙМАРСКОЙ РЕСПУБЛИКИ

В статье освещён один из сложнейших периодов истории Германии, когда наряду с другими негативными процессами под угрозой оказались интересы побеждённой в первой мировой войне Германии в Юго-Западной Европе. Однако руководители Веймарской Республики посчитали это временным явлением и отнюдь не намеревались смириться с ослаблением прежнего влияния в регионе. В виду того, что общая политическая конъюнктура не давала возможности, сделать конкретные, практические шаги в этом направлении, власти Веймарской Республики приступили к созданию идеологической базы для последующего утверждения в Юго-Западной Европе. В этом плане особое внимание было уделено таможенным проектам, которые должны были обеспечить проникновение немецкого капитала в страны Юго-Западной Европы. Это политика ещё большим размахом проводилась после прихода к власти нацистов.

PATI SCHEKLASCHWILI

DIE PLÄNE DEUTSCHLANDS IN SÜDOSTEUROPA IN DEN JAHREN DER WEIMARER REPUBLIK

Im vorliegenden Beitrag wird eine der schwersten Perioden der Deutschen Geschichte dargestellt, als neben zahlreichen unerwünschten Ereignissen den Interessen des im zweiten Weltkrieg geschlagenen Deutschlands in einer wichtigen Region – in Südosteuropa – eine Gefahr drohte. Aber Deutschland meinte, dass diese Niederlage zeitweilig war. Sie beschlossen diese Periode zu benutzen, um Deutschland wieder aufzubauen und zu verstärken. Die alten Pläne blieben selbverständlich in Bezug auf Südosteuropa doch in Kraft. Da die vorhandene Konjunktur ihm nicht ermöglichte, in diese Richtung entscheidende Schritte zu tun, wurde eine tiefe ideologische Basis vorbereitet, um im Südwesten zu etablieren. Dabei wurden die Zollprojekte extra akzentuiert. Zur Voraussetzung der erfolgreichen Expansion, was durch die politischen Kräften nicht entwickelt werden konnte, wurde die wirtschaftliche Politik. Die weiteren Pläne der Etablierung in diesem Teil Europas wurden in den Jahren der Nazidiktatur verwirklicht.

თეიმურაზ პაპასქირი

რუსულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე ერთი დისკუსიის გაშვება

1941წ. 22 ივნისს გამთენიისას გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაიწყო მეორე მსოფლიო ომის ყველაზე სისხლისმღვრელი ეტაპი, რომელსაც საბჭოთა კავშირში დიდი სამამულო ომი ეწოდა. საბჭოთა უმაღლესი სარდლობისა და უშუალოდ სამხედრო შენაერთებისათვის გერმანელების თავდასხმა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ომის პირველი თვეები გერმანელთა სრული უპირატესობით წარიმართა. სულ რაღაც 4 თვეში გერმანული სამხედრო ნაწილები მოსკოვსა და ლენინგრადს მიადგნენ და თითქოს გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვეს. მხოლოდ ომის პირველ თვეებში 3,3 მლნ საბჭოთა ჯარისკაცი ჩავარდა ტყვედ,¹ ხოლო დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობის დადგენა დღესაც კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

სსრკ-გერმანიის ომის საწყის პერიოდს უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური თუ დასავლური ისტორიოგრაფია დიდი ორიგინალურობით მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის თავს დატეხილი კატასტროფის მიზეზების ახსნისას. მკვლევრებმა თითქმის ერთხმად ჩათვალეს, რომ გერმანელთა წარმატებები ძირითადად განაპირობა საბჭოთა არმიის სისუსტემ, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო როგორც სტალინის მიერ არმიაში 1937-1938 წლებში გატარებული რეპრესიებით, ისე სსრ კავშირის სამხედრო მრეწველობის ჩამორჩენილობით. დაიწერა უამრავი ნაშრომი იმის თაობაზე, თუ

¹ Gerd R. Ueberschär. About the German Invasion of the Soviet Union. – *The Oxford Companion to World War II*. Oxford University Press, 1995. ელექტრონული ვერსია იხ.: <http://www.english.illinois.edu/maps/ww2/barbarossa.htm>.

რამდენად მოძველებული იყო საბჭოთა ტანკები, თვითმფრინავები და ა.შ. ყურადღება მიექცა იმ გარემოებასაც, რომ სსრკ-გერმანიის საზღვარი პრაქტიკულად არ იყო გამაგრებული და მასზე თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობა ნორმალურად დაწყებულიც კი არ იყო.¹ თამამად შეიძლება ითქვას, რომ XX ს. 80-იანი წლების შუახანებში, ომის დამთავრებიდან 40 წლის თავზე, თეზისი საბჭოთა კავშირის ომისათვის მოუმზადებლობის შესახებ მთლიანად გაბატონებული იყო ისტორიოგრაფიაში და თითქოს მის პოზიციებს არავითარი რევიზია არ ემუქრებოდა, მაგრამ ვითარება სრულიად მოულოდნელად კარდინალურად შეიცვალა XX ს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

ამის მიზეზი გახდა ვიქტორ სუვოროვის² წიგნი „*ყინულ-მჭრელი*“:³ აღნიშნულ მონოგრაფიაში ავტორმა, რომელიც პრინციპულად დაეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ გამოქვეყნებულ მემუარებსა და საბჭოურ გამოკვლევებს, განაცხადა, რომ 1941 წ. ზაფხულში საბჭოთა კავშირი თავად ემზადებოდა გერმანიაზე თავდასასხმელად და ჰიტლერმა უბრალოდ დაასწრო სტალინს, თანაც სულ რამდენიმე დღით, კერძოდ, ორი კვირით.⁴ სუვოროვის ეს კონცეფცია ძალიან მალე საკმაოდ პოპულარული გახდა რუსეთში, სადაც მისი წიგნები (მოკლე ხანში ავტორმა „*ყინულ-მჭრელს*“ დაამატა ახალი გამოკვლევა – „*დღე M*“, რომელიც იგივე პრინციპითაა დაწერილი) უზარმაზარი ტირაჟით გამოიცა და გაიყიდა. ყოველივე ამან სათავე დაუდო დიდ დისკუსიას რუს ისტორიკოსებში, რომელიც დღემდე გრძელდება.⁵

¹ **Н. И. Воронов.** На службе военной. М., 1963, გვ. 172.

² ვიქტორ სუვოროვი არის ფსევდონიმი ყოფილი საბჭოთა მზვერავის ვლადიმირ რეზუნის, რომელმაც 1978 წ. დიდ ბრიტანეთს შეაფარა თავი – **თ.პ.**

³ **Viktor Suvorov.** Icebreaker. Who Started the Second World War? London, 1990; **В. Суворов.** Ледокол: Кто начал Вторую мировую войну. М., 1992 (ვინაიდან ამ წიგნის 1992 წ. შემდგომი გამოცემები განსხვავდება თავდაპირველისაგან, მითითებები მოყვანილია ელექტრონული ვერსიიდან. იხ. ვებ-გვერდი: <http://militera.lib.ru/research/suvorov1/index.html>).

⁴ **В. Суворов.** Ледокол, თ. 33.

⁵ დღეისათვის ვ. სუვოროვმა კიდევ რამდენიმე წიგნი მიუძღვნა ამ

უნდა აღინიშნოს, რომ სუვოროვი სულაც არ იყო პირველი, ვინც წამოაყენა ამგვარი ჰიპოთეზა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ოფიციალური ბერლინის პოზიცია 1941 წელს, როდესაც თავად ჰიტლერმა სსრკ-ზე თავდასხმის აუცილებლობა გაამართლა „სამხედრო სამხადისით, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა მხარის 1941წ. და რომელიც მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ“.¹ სწორედ ეს პოზიცია გააუღერა როგორც გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში გრაფმა ვერნერ ფონ შულენბურგმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვიაჩესლავ მოლოტოვთან შეხვედრისას, როდესაც საბჭოთა მხარეს გადაეცა განცხადება საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ,² ისე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოახიმ ფონ რიბენტროპმა სპეციალური პრეს-კონფერენციის დროს.³ იგივეს იმეორებდნენ ნიურნბერგის პროცესზე წამყვან გერმანულ სამხედროები – ფელდმარშალი ვილჰელმ კაიტელი და გენერალი ალფრედ იოდლი.⁴

ბუნებრივია, გერმანიის ნაცისტები ლიდერების ეს გამონათქვამები პრაქტიკულად არც ერთმა მკვლევარმა არ დაიჯერა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზიც ჰქონდა. ისტორიკოსებს არ გასჭირვებიათ იმის დადგენა, რომ გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ ჰიტლერისაგან გაცილებით უფრო ადრე მიიღო ბრძანება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გეგმის (დირექტივა №21)⁵ შემუშავების შესახებ, ვიდრე საბჭოთა კავ-

თემას, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბევრს არაფერს მატებს მის კონცეფციას, ზოგ შემთხვევაში კი იქ გამოთქმული რადიკალური დასკვნები, კერძოდ, თითქოს ჰიტლერის მხრიდან ომი ატარებდა პრევენტულ ხასიათს (იხ. **В. Суворов. День "М".** Когда началась Вторая мировая война? М., 1993, т. 17. მითითებები მოყვანილია ვებ-გვერდიდან: <http://militera.lib.ru/research/suvorov2/index.html>) ასუსტებს ავტორისეულ პოზიციებს.

¹ **М. И. Семиряга.** Тайны сталинской дипломатии. М., 1992, გვ. 283.

² *История Второй мировой войны.* Т. 4. გვ. 31.

³ “*The Times*”, June 23, 1941, გვ. 6.

⁴ Протокол допроса 17 июня 1945 года. – *Военно-исторический журнал*, №9, 1961, გვ. 77-87; Протокол допроса 18 июля 1945 года. – *Военно-исторический журнал*, №4, 1961, გვ. 84-91.

⁵ ამ გეგმამ მოგვიანებით მიიღო კოდური სახელწოდება „ბარბაროსა“.

შირი დაიწყებდა დიდი რაოდენობით საჯარისო ნაწილების განლაგებას საზღვარზე. შესაბამისად, ისტორიკოსები მეტად სკეპტიკურად ეკიდებოდნენ (მათი დიდი ნაწილი დღესაც ასე ფიქრობს) მონაცემებს სტალინის მიერ გერმანიაზე თავდასხმის მზადების შესახებ. შედეგად, სუვოროვის პირველი სტატიები¹ და ავსტრიელი ფილოსოფოსის ე. ტოპიჩის წიგნი² თავდაპირველად აღქმული იქნა როგორც სენსაციების მაძიებელთა მორიგი გამოხდომა. მხოლოდ დასავლეთ გერმანიაში მიექცა გარკვეული ყურადღება სუვოროვის იდეებს და ისიც თავისებური ინტერპრეტაციით: რამდენიმე მკვლევარმა გადაწყვიტა, რომ სტალინის მზადება თავდასხმითი ომისათვის გარკვეულწილად უხსნიდა პასუხისმგებლობას ჰიტლერს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებაში³. შედეგად, გერმანიაში ახალი ძალით დაიწყო მანამდეც მიმდინარე დისკუსია (ე.წ. „Historikerstreit“), რომელსაც პრაქტიკულად შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც მხარეები კვლავ თავ-თავის აზრზე დარჩნენ. უფრო მეტიც, მათ ვერ მოახერხეს იმაზე შეთანხმებაც კი, თუ რა იყო პრევენტული ომი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაშ, რატომ იქცა სუვოროვის დებულებები ასეთი აჟიოტაჟის საგნად რუსეთში? როგორც ჩანს, ამის მიზეზი გახდა ის, რომ სუვოროვმა მხოლოდ გამოთქვა ის ეჭვები, რაც გარკვეულწილად არსებობდა საზოგადოებაში.⁴ ფაქ-

¹ **Viktor Suvorov**. Who was planning to attack whom in June 1941, Hitler or Stalin? – *Journal of the Royal United Services Institute for Defence Studies*, v. 30, June, 1985, გვ. 50-55; **Viktor Suvorov**. Yes, Stalin was planning to attack Hitler in June 1941. – *Journal of the Royal United Services Institute for Defence Studies*, v. 31, June, 1986, გვ. 73-74.

² **Ernst Topitsch**. Stalins Krieg. Die sowjetische Langzeitstrategie gegen den Westen als rationale Machtpolitik. München, 1985.

³ **Ernst Nolte**. Der europäische Bürgerkrieg 1917-1945: *Nationalsozialismus und Bolschewismus*. Frankfurt, 1987, გვ. 460; **Heinz Magenheimer**. Neue Erkenntnisse zum „Unternehmen Barbarossa“. – *Österreichische Militärische Zeitschrift*, 1991, H 5, გვ. 41-45.

⁴ როგორც თავად სუვოროვი აცხადებს, მან მიიღო უამრავი წერილი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, რომლებშიც ომის ვეტერანები ან მათი შთამომავლები მადლობას უცხადებდნენ მას სიმართლის თქმისთვის და დამატებით აწვდიდნენ მონაცემებს იმის თაობაზე,

ტია, რომ ამ თემაზე 1992 წლიდან დღემდე 4 წამყვან რუსულ საისტორიო ჟურნალში: «Вопросы истории», «Отечественная история», «Новая и новейшая история», «Военно-исторический журнал» სხვადასხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული იქნა უამრავი სტატია, რასაც თან დაერთო რამდენიმე მონოგრაფიაც.

ფაქტობრივად, რუსი ისტორიკოსები დაიყო სამ ნაწილად:

1. საბჭოური ისტორიოგრაფიის ძველი გვარდიის წარმომადგენლები და პროსაბჭოურად განწყობილი ახალგაზრდა ისტორიკოსები, რომელთა რაოდენობაც აშკარად აღემატება დანარჩენებს და რომლებიც, როგორც იტყვიან, თავიდანვე „ხიშტებით შეხვდნენ“ სუვოროვის იდეებს;
2. შედარებით ლიბერალი ისტორიკოსები, რომლებმაც ვერ გაბედეს სუვოროვის იდეების ბოლომდე აღიარება (უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა ცდილობს გაემიჯნოს ფორმალურად სუვოროვს და ამიტომ ლანძღვასაც კი არ ერიდება მისი მისამართით), მაგრამ ამავე დროს, ფაქტობრივად დაადასტურეს სტალინის მზადყოფნა 1941წ. ზაფხულში გერმანიაზე თავდასხმისათვის;
3. სუვოროვის მომხრეები, რომლებიც ბოლო დრომდე შედარებით ჩრდილში იყვნენ, რადგანაც თავად ვ. სუვოროვი თვლიდა, რომ არავისი დახმარება არ სჭირდებოდა.

განსაკუთრებული დებატები 1993-1994 წლებში გაიმართა, როდესაც ჟურნალმა „Отечественная история“ მოაწყო დისკუსია ამ თემასთან დაკავშირებით, რასაც შემდეგ უკვე საისტო-

რედაქციის ინფორმაცია ვრცელდებოდა ჯარში ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე (**В. Суворов. День "М"**, შესავალი). თავის მხრივ, ჩვენც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საბჭოთა არმიაში ნამდვილად ვრცელდებოდა 1941წ. ივნისში ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში დაიწყებოდა ომი, ოღონდ არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი. მაგალითად, ცნობილმა სოხუმელმა მეცნიერმა-ფილოსოფოსმა, პროფ. შოთა მისაბიშვილმა ჩვენთან პირად საუბარში გაიხსენა, რომ 1941წ. ივნისის პირველ ნახევარში, როდესაც მისი ნაწილი გადაისროლეს ბელორუსიაში, იქ მაშინ მუსირებდა აზრი უახლოეს დღეებში გერმანიის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციების დაწყების შესახებ.

რიო პროფილის სხვა ჟურნალებმაც მიბაძეს. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლებამ ისიც კი გააკეთა, რომ ზოგიერთი დახურული არქივით სარგებლობის უფლება მიანიჭა ცნობილ „ანტი-სუვოროველს“, ებრაელ ისტორიკოს გაბრიელ გოროდეცკის¹ (აღნიშნული არქივები არათუ უცხოელი, არამედ რუსი ისტორიკოსებისთვისაც კი დღემდე დახურულად რჩება²), რათა მას „გაეცამტკვერებინა“ სუვოროვის კონცეპტუალური მიდგომა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ წამოწყებიდან დიდი არაფერი გამოვიდა. მართალია, რუსი ისტორიკოსების იმ ნაწილმა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოსული საბჭოური ისტორიოგრაფიის გავლენიდან, განაცხადა, რომ გოროდეცკის მიერ 1995წ. გამოცემულ წიგნში „*ყინულმჭრელის მითი*“ ნათლად არის დამტკიცებული სუვოროვის დებულებების სიმცდარე,³ მაგრამ გამოჩნდნენ შეღარებით უფრო კრიტიკულად განწყობილი ისტორიკოსებიც, რომლებიც სულ სხვა აზრზე აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც, ვ. ნევეჟინმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამ გამოკვლევამ ვერც ერთ პრინციპულ საკითხში ვერ შეძლო სუვოროვის იდეების გაბათილება.⁴

¹ ეს უკანასკნელი პირდაპირ აღნიშნავს თავის წიგნებში, რომ მათი თი დაწერა მხოლოდ ვ. სუვოროვის იდეების უარყოფის სურვილმა განაპირობა (იხ.: **Г. Городецкий.** Миф «Ледокола». М., 1995, გვ. 4; **Gabriel Gorodetsky.** Grand Delusion: Stalin and the German Invasion of Russia. Yale University Press, New Haven, CT, გვ. IX-X).

² **Дж. Г. Наджафов.** Советско-германский пакт 1939 года: переосмысление подходов к его оценке. – *Вопросы истории*, №1, 1999, გვ. 155-156.

³ მაგ. იხ.: **О. А. Зимарин.** Миф "Ледокола". – *Военно-исторический журнал*, 1995, №4, გვ. 32-33.

⁴ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავად ვ. ნევეჟინი მიეკუთვნება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დაყოფის მიხედვით რუსი ისტორიკოსების მეორე კატეგორიას (თუმცა, მისი სტატიებიდან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ ის ძირითადად იზიარებს სუვოროვის იდეებს და შეძლებისდაგვარად ერიდება ამ უკანასკნელის განქიქებას) და აცხადებს, რომ ამ უკანასკნელის იდეის სიმცდარე, თითქოს გერმანიის მხრიდან ომი პრევენტულ ხასიათს ატარებდა, უკვე ნათლად იყო დამტკიცებული (იხ.: **В. Н. Невежин.** Сталинский выбор 1941 года: оборона или... «лозунг наступательной войны»? (По поводу книги Г. Городецкого «Миф „Ледокола“»). – *Отечественная история*, 1996, №3, გვ. 56). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. სუვო-

ჩვენის მხრიდან დავამატებთ, რომ გოროდეცკი არ შემოფარგლულა მხოლოდ საარქივო მასალების არასწორად ციტირებითა და მათი არასწორად გაგებით, აგრეთვე რუსულ ენაში ახალი „აღმოჩენის“ შეტანით, რომ თურმე „შეტევა“ („наступление“) სინამდვილეში „თავდაცვას“ („оборона“) ნიშნავს, რაზეც მას ასევე მიუთითა ვ. ნევეჟინმა.¹ მისი მსჯელობის აპოთეოზად თამამად შეიძლება ჩაითვალოს თითქმის ორგვერდიანი მიმოხილვა სტალინის 13 ივნისის შეხვედრისა ტიმოშენკოსა და ჟუკოვთან.

გოროდეცკის თანახმად, ამ დღეს სამხედროებმა მოითხოვეს არმიის სრულ სამხედრო მზადყოფნაში მოყვანა, რადგანაც გერმანია აპირებდა თავდასხმას, ხოლო ტიმოშენკომ თითქოს ისიც კი შეახსენა საბჭოთა ლიდერს, რომ მან თავად განაცხადა გერმანიასთან ომის მოახლოების შესახებ 5 მაისს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას. ებრაელი ისტორიკოსის მტკიცებით, ამან სასტიკად გააგულისა სტალინი, რომელმაც თურმე განაცხადა: „ტიმოშენკო დიღია და თავიც დიდი აქვს, მაგრამ მისი ტვინი, როგორც ჩანს, პატარაა... ეს მე ვთქვი ხალხისთვის, რადგანაც საჭიროა მისი სიფხიზლის ამალგება, თქვენ კი უნდა ხვდებოდეთ, რომ გერმანია არასდროს გვეომება ჩვენ მარტო“.²

როგს ნამდვილად აქვს რამდენჯერმე ნახსენები წიგნში: «День "М"» ფრაზა პიტლერის მხრიდან პრევენტული ომის განხორციელების შესახებ (იხ.: **В. Суворов.** День "М", т. 17, 33) თუმცა ეს ნამდვილად არ არის მთავარი თეზა მის ნაშრომებში. შესაბამისად, სუვოროვის ამ ფრაზების სიმცდარის დამტკიცება არაფრით არ აძლიერებს მისი კონკურენტების პოზიციებს.

¹ **В. Н. Невежин.** Сталинский выбор 1941 года., გვ. 59-60. უფრო სწორად, გოროდეცკის ნახსენები აქვს შემდეგი ფრაზა: „სტალინი რამდენჯერმე იმეორებს სიტყვას „შეტევა“, რაც ნიშნავს კონტრდარტყმას, და არა „თავდასხმას“, რომელიც აღნიშნავს საკუთარი ინიციატივით დაწყებულ ომს“ („...Сталин несколько раз повторяет слово «наступление», означающее контрудар, т.е. противоположное «нападению», что означало бы войну, начинаемую по собственной инициативе“). **Г. Городецкий.** Миф «Ледокола», გვ. 293). ჩვენი აზრით, აქ ნებისმიერი კომენტარი ზედმეტია.

² **Г. Городецкий.** Миф «Ледокола», გვ. 324-325.

ბუნებრივია, ნებისმიერ მკითხველს დაინტერესებს, თუ საიდან მოვიდა ეს ჩანაწერი, რომელიც, ერთი შეხედვით, მართლაც ძალიან მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და თითქოს ნათლად მეტყველებს სტალინის გეგმებსა და აზრებზე ომამდე სულ რაღაც 10 დღით ადრე. მითითებაში ვკითხულობთ, რომ თურმე ეს ამბავი თავად ტიმოშენკომ მოუყვა გენ. ნ. ლიაშჩენკოს, რომელმაც ჩაიწერა მონაყოლი, ხელი მოაწერა და გადასცა ნაწერი პროფესორ ლ. ბეზიმენსკის (მითითებიდან არ ჩანს, ლიაშჩენკომ ეს საუბარი ჩაიწერა მაშინვე, თუ შემდეგ დაწერა უკვე ბეზიმენსკისათვის გადასაცემად), რომელმაც, თავის მხრივ, ის მისცა გოროდეცკის, რისთვისაც ეს უკანასკნელი დიდ მადლობას უხდის კიდეც.¹ როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. პრაქტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელიც მოჰყავს ებრაელ პროფესორს თავის წიგნში, არ წარმოადგენს არათუ საარქივო მასალას (მიუხედავად იმისა, რომ მას მიუწვდებოდა ხელი მრავალ დახურულ არქივზე), არამედ მემუარსაც კი. გაუგებარია ისიც, თუ რატომ გადასცა გოროდეცკის ეს ე.წ. „ჩანაწერი“ ლ. ბეზიმენსკიმ, რომელსაც ამ თემაზე უამრავი წიგნი თუ სტატია აქვს გამოქვეყნებული² (მათ შორის, სწორედ ამ პერიოდშიც) და რატომ არ გამოიყენა ის თვითონ.³

¹ **Г. Городецкий.** Миф «Ледокола», გვ. 341, მით. 53. თავის მეორე გამოკვლევაში – „დიდი ტყუილი“ – გ. გოროდეცკიმ დააზუსტა ეს მომენტი და მითითებაში აღნიშნა, რომ გენ. ნ. ლიაშჩენკოს ეს დოკუმენტი 1954წ. ჰქონდა დაწერილი (**Gabriel Gorodetsky. Grand Delusion**, გვ. 366, მით. 42). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოცემაში ეს შესხვედრა სულ რაღაც სამი სტრიქონით არის გადმოცემული (იხ.: **Gabriel Gorodetsky. Grand Delusion**, გვ. 209-210).

² აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თავად ლ. ბეზიმენსკის გამოკვლევებიც ნამდვილად არ წარმოადგენს დიდ შენაძენს ისტორიული მეცნიერებისათვის, ვინაიდან მისი პოზიცია სსრკ-გერმანიის პაქტისადმი პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით იცვლებოდა. ამის გამო გერმანელმა ისტორიკოსმა, ჰიტლერის ბიოგრაფიის ავტორმა ვერნერ მაზერმა მას უბრალოდ „მანიპულატორი“ უწოდა (იხ.: **Werner Maser. Der Wortbruch. Hitler, Stalin und der Zweite Weltkrieg.** München, 1994, გვ. 216).

³ ლ. ბეზიმენსკიმ ეს მონაცემი გამოიყენა მოგვიანებით, თუმცა სტა-

და მაინც, რაში მდგომარეობს სუვოროვის მტკიცებები, რომლებმაც ასეთი დიდი აჟიოტაჟი გამოიწვიეს. პირობითად შეიძლება სამი ძირითადი დასკვნის გამოყოფა:

1. 1941წ. ზაფხულში საბჭოთა კავშირი თითქმის მზად იყო გერმანიაზე თავდასასხმელად და ჰიტლერმა უბრალოდ ორი კვირით დაასწრო სტალინს;
2. გერმანიასთან ომისთვის მზადება დაიწყო 1939წ. 19 აგვისტოდან, როდესაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ;
3. სტალინი, და შესაბამისად საბჭოთა კავშირი, გერმანიაზე არანაკლებ არიან ომის გაჩაღებაში დამნაშავენი.

ალბათ, უპრიანი იქნება, ნაწილ-ნაწილ განვიხილოთ აღნიშნული დასკვნები. დავიწყოთ პირველი პუნქტიდან, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია.

1941წ. ზაფხულში საბჭოთა კავშირის გერმანიაზე თავდასხმისათვის მზადყოფნის შესახებ, ერთი შეხედვით, პარადოქსული დასკვნის გამოტანისას მკვლევარი ანალიზებს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ლიტერატურაში (საუბარია მემუარებსა და გამოკვლევებზე) დაფიქსირებულ ფაქტებს. თავისი მტკიცებების დასადასტურებლად მას მოჰყავს უამრავი მონაცემი, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია: ა) საბჭოთა ჯარების განლაგება, რომელიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა მთელი რიგი ნაწილების უკანდახევას გზების არარსებობის გამო; ბ) ტანკების რაოდენობა და მათი ხარისხი; გ)

ლინისა და ტიმოშენკოს საუბარი მხოლოდ სქოლიოში მოიყვანა (იხ.: **Л. А. Безыменский**. О «Плане Жукова» от 15 мая 1941г. – *Новая и новейшая история*, 2000, №3, შენიშვნა 26) და არ განავრცო მსჯელობა ამ მიმართულებით. ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მას მაინცდამაინც არ სჯეროდა ამ დოკუმენტის და სწორედ ამიტომ ყოყმანობდა მის გამოქვეყნებაზე. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც: ლ. ბეზიმენსკი ტიმოშენკოსა და ლიაშჩენკოს საუბარს 60-იანი წლებით ათარიღებს. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ლ. ბეზიმენსკის სტალინისა და ტიმოშენკოს საუბარი საერთოდ არა აქვს ნახსენები თავის მონოგრაფიაში (იხ.: **Л. А. Безыменский**. Гитлер и Сталин перед схваткой. М., 2000), რაც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის საუბრის აუთენტიურობას.

თვითმფრინავების რაოდენობა და მათი შედარება გერმანულთან; დ) ჯარების რაოდენობა; ე) შტაბების განლაგება – როგორც გერმანული, ისე საბჭოთა შტაბი განლაგებული იყო საზღვრის სიახლოვეს, რაც კეთდება მხოლოდ შეტევითი ოპერაციის წარმოებისას; ვ) თავდაცვითი ღონისძიებების არგატარება, კერძოდ, საზღვრის დანაღმვაზე უარის თქმა, უფრო მეტიც, საზღვრის **განნაღმვა** (ხაზგასმა ჩვენია – თ.პ.) მთელ რიგ უბნებში; ზ) საზღვარზე მავთუხლართების დაჭრა; თ) თავდაცვითი გეგმების არარსებობა; ი) რუკების საკითხი.

ეს არის არასრული ნუსხა არგუმენტებისა, რომელზეც აგებულია სუვოროვის თვალსაზრისი. მას აქვს მოტანილი კიდევ რამდენიმე დასაბუთება, რომელიც ალბათ უფრო მეორეხარისხოვან მტკიცებულებას წარმოადგენს და, შესაბამისად, მათი განხილვა აუცილებლობას არ წარმოადგენს.¹ ახლა კი მივყვეთ რიგის მიხედვით და დავიწყოთ ჯარების განლაგებით. აღსანიშნავია, რომ ამ პუნქტთან დაკავშირებით სუვოროვის ოპონენტებმა ვერანაირი კონტრარგუმენტი ვერ მოძებნეს.² უფრო მეტიც, ამ

¹ მაგალითად, სადაზვერვო მონაცემები, რომ ევროპაში არ მომხდარა ფასების დაცემა ცხვრის ხორცზე, რაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ცხვრების მასობრივ დახოცვას მათი ტყავისაგან მოსასხამების დასამზადებლად. ეს ნამდვილად საჭირო იქნებოდა, თუ გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას აპირებდა, რადგანაც ზამთარში ომის პერსპექტივა მოითხოვდა საჭირო რაოდენობით თბილი ქურთუკების მომარაგებისათვის უკვე ზაფხულიდანვე ზრუნვას. ამავე დროს, არ მომხდარა არც ყინვაგამძლე ზეთის მომარაგება ტანკებისათვის. აღნიშნული მონაცემები ვ. სუვოროვის მოჰყავს იმის საჩვენებლად, თუ რატომ არ უნდა გაეთვალისწინებინა სტალინს სხვა სადაზვერვო მონაცემები იმის შესახებ, რომ გერმანია აპირებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას 1941წ. ივნისში (იხ.: **В. Суворов. Ледокол**, თ. 30). ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი ფაქტები არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც მნიშვნელოვანი, რადგანაც როგორც ქურთუკების მომარაგებაზე, ისე ზეთის გამოცვლაზე ზრუნვის დაწყება სექტემბერშიც იყო შესაძლებელი. თუმცა სუვოროვი, რასაკვირველია, აბსოლუტურად სწორია, როდესაც აცხადებს, რომ გერმანელები ამას საერთოდ არ აპირებდნენ იმ უბრალო მიზეზით, რომ ომის დამთავრებას დაახლოებით 3 თვეში აპირებდნენ.

² თუ არ ჩავთვლით ებრაელ სამხედრო ისტორიკოს შიმონ ნავეს, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა განლაგება ნამდვილად იყო

გარემოებას მანამდეც ექცეოდა ყურადღება და იწერებოდა, რომ უზარმაზარი რაოდენობა საბჭოთა ტყვეებისა ომის საწყის პერიოდში მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ჯარების არასწორი განლაგებით, რადგანაც მოწინააღმდეგის შეტევის შემდეგ ისინი უმალ ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ უკანდასახევი გზების არარსებობის გამო.

აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ გერმანული ნაწილების ბირთვი ასევე „არასწორად“ იყო განლაგებული საზღვართან და საბჭოთა შეტევის შემთხვევაში მას ზუსტად იგივე ბედი ეწეოდა, რასაც ხაზს უსვამს კიდევ სუვოროვი.¹ გარდა ამისა, ის დააკვირდა იმ გარემოებასაც, რომ ამ „არასწორად“ განლაგებულ ჯარებს, რომლებსაც პრაქტიკულად არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდათ უკანდახევისათვის, ძალიან იოლად შეეძლოთ წინსვლა პოლონეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე².

მსგავსი ვითარება გვაქვს ტანკების რაოდენობასთან დაკავშირებითაც. ისტორიკოსებისთვის ადრეც ცნობილი იყო, რომ საბჭოთა მხარეს ბევრად მეტი ტანკი გააჩნდა (თითქმის ხუთჯერ მეტი – 25ათ.-ზე მეტი 4750-მდე ტანკის წინააღმდეგ), მაგრამ უბრალოდ ცხადდებოდა, რომ საბჭოთა ტანკები მოძველებული იყო, ხოლო ვერმახტის – ახალი, რაც პრობლემას ხსნიდა. სუვოროვი აღმოჩნდა პირველი, ვინც გაბედა და შეამოწმა, თუ რამდენად მოძველებული იყო საბჭოთა ტანკები და შეადარა ისინი გერმანულ ანალოგებს. გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირს 1941წ. 22 ივნისისათვის ჰყავდა 1400-ზე მეტი ტ-34 და 700-მდე კვ-1, ანუ უახლესი ტანკები, რომლებიც ბევრად სჯობდა ნებისმიერ გერმანულ ტანკს 1943 წლამდე, „ვეფხვებისა“ და

თავდაცვითი (იხ.: **Shimon Naveh**. In Pursuit of Military Excellence. London, 1998) და მის მეგობარ გაბრიელ გოროდევცკის, თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა თითქმის ერთხმად აღიარებს ამ განლაგების შეუსაბამობას თავდაცვით მიზნებთან. უფრო მეტიც, ამას ყურადღება ჯერ კიდევ 1989წ. საბჭოთა მკვლევარმა ვ. სემიდეტკომ მიაქცია (იხ.: **В. И. Семидетко**. Истоки поражения в Белоруссии. – *Военно-исторический журнал*, 1989, №4, გვ. 30-31).

¹ **В. Суворов**. Ледокол, т. 26.

² **В. Суворов**. Ледокол, т. 26.

„პანტერების“ გამოშვებამდე.¹

უფრო მეტიც, არც ძირითადი საბჭოთა ტანკი – ბტ-7 (სსრკ-ს ამ ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის 7ათ.-მდე ტანკი გააჩნდა) გამოდგა ბევრად უარესი გერმანულ ტანკებზე. აღმოჩნდა, რომ მას უარესი ქვემეხი გააჩნდა, მაგრამ სისწრაფის და გამძლეობის ხარჯზე სავსებით ანაზღაურებდა ამ ხარვეზს.² მართალია, საბჭოური ისტორიოგრაფიის მიმდევრებმა სცადეს ერთგვარი მოდიფიცირება ძველი იდეების, თითქოს საბჭოთა ტანკების დიდი ნაწილი მწყობრში არ იყო ომის დაწყების მომენტისათვის, მაგრამ მ. მელტიუხოვმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა და ტანკების თითქმის 78% სრულ მზადყოფნაში იყო ომის დაწყების მომენტისათვის.³ შესაბამისად, სუელორის ვერც ამ არგუმენტის გაბათილება მოხერხდა მისი მოწინააღმდეგეების მიერ.

პრაქტიკულად ანალოგიური ვითარება შეიქმნა თვითმფრინავებთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირს 25ათ.-მდე თვითმფრინავი ჰყავდა,⁴ გერმანიას თავის მოკავშირებთან ერთად – 4750-მდე,⁵ თუმცა ხარისხობრივი თვალსაზრისით ეს

¹ აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელებმა შეძლეს ომის პერიოდში მართლაც საუცხოო ტანკების შექმნა, მაგრამ მათი რაოდენობა საკმაოდ მცირე გამოდგა, განსაკუთრებით თუ მათ შევადარებთ საბჭოთა ტ-34-ებისა და კვ-1-ების გამოშვების ტემპებს.

² **М. И. Мельтюхов.** 22 июня 1941г.: цифры свидетельствуют. – *История СССР*, 1991, №3, გვ. 23.

³ **М. И. Мельтюхов.** Упущенный шанс Сталина. Советский Союз и борьба за Европу: 1939-1941 (Документы, факты, суждения). М., 2000, გვ. 485.

⁴ **М. И. Мельтюхов.** Упущенный шанс Сталина, გვ. 486.

⁵ უნდა აღინიშნოს, რომ რუსმა ისტორიკოსებმა ვერაფრით ვერ „დათვალეს“ გერმანული თვითმფრინავებისა თუ ტანკების საერთო რაოდენობა. მათ მიერ ამ მხრივ მოყვანილი ბოლო მონაცემები როგორც მინიმუმ, 2000 ერთეულით მეტია, ვიდრე სინამდვილეში გააჩნდა ვერმახტს საერთოდ. უფრო მეტიც, მ. მელტიუხოვს მოჰყავს გერმანული ტანკების შემდეგი რაოდენობა: 6292 (იხ.: **М. И. Мельтюхов.** Упущенный шанс Сталина, გვ. 485). გაუგებარია, საიდან მოიტანა მან ეს ციფრი, რადგანაც დანამდვილებით ცნობილია, რომ ვერმახტის შემტვეი დაჯგუფების განკარგულებაში 3800-მდე ტანკი იყო (**Ferdinand Maria von Senger und Etterlin.** Die deutschen Panzer, 1926-1945. München 348

უპირატესობა არ იყო იმდენად თვალშისაცემი, როგორც ტანკებთან მიმართებაში. ახალი თვითმფრინავების რაოდენობა საბჭოთა ავიაციაში 6000 ათასს წარმოადგენდა,¹ ხოლო დანარჩენი თვითმფრინავები აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო როგორც საჰაერო ბრძოლების საწარმოებლად, ისე მოწინააღმდეგის ტერიტორიის დასაბომბად, თუ ამ უკანასკნელს გამანადგურებლები დაიცავდნენ. თუმცა, ამავე დროს, არანაირი ყურადღება არ მიექცა იმ გარემოებას, რომ ამ თვითმფრინავების გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა, თუ მიყენებული იქნებოდა პირველი დარტყმა და მოწინააღმდეგის ავიაცია განადგურებული იქნებოდა უშუალოდ აეროდრომებზე. არადა, სწორედ ეს წარმოადგენს სუვოროვის გამოთვლების მთავარ ნაწილს, და არა ის, თუ ზუსტად რა ტიპის თვითმფრინავებისაგან შედგებოდა საბჭოთა ესკადრილია.

საკმაოდ დიდი დისკუსია გაიმართა იმის თაობაზე, თუ რამდენი საბჭოთა ჯარისკაცი იყო განლაგებული დასავლეთის საზღვარზე 1941წ. 1 ივნისისათვის. სუვოროვს მოყვანილი აქვს ციფრი 8 მლნ, რაც ძალიან გაბუქულად ჩაითვალა. შედეგად,

chen, 1969, გვ. 345). როგორც ჩანს, ეს არის აბსოლუტური რაოდენობა ტანკებისა, რომელიც ჰყავდა გერმანიას ყველა თავის მოკავშირესთან ერთად, თუმცა, ჩვენი აზრით, რუსი მკვლევარი ამ შემთხვევაშიც ზედმეტ ტანკებს აწერს მოწინააღმდეგეს. თვითმფრინავებთან დაკავშირებით ეს „შეცდომა“ კიდევ უფრო თვალში საცემია, რადგანაც თურმე გერმანიას გააჩნდა 6852 თვითმფრინავი (**М. И. Мельтюхов**. Упущенный шанс Сталина, გვ. 486. ეტყობა, აქ უკვე სამოქალაქო თვითმფრინავებიც არის მითვლილი – **თ.პ.**), რაც ალბათ დიდი აღმოჩენა იქნება გერმანელი მკვლევრებისათვის, რომლებიც მაქსიმუმ 4,5 ათას თვითმფრინავს ითვლიდნენ (უკანასკნელი მონაცემებით, რომელიც 2007წ., გერმანულ არქივებზე დაყრდნობით იქნა გამოქვეყნებული, გერმანელებს გააჩნდათ 4389 თვითმფრინავი. იხ.: **Christer Bergstrom**. Barbarossa – The Air Battle: July–December 1941. London, 2007, გვ. 130). ამასთან, აქ საზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გერმანიას, როგორც მინიმუმ, 1000 თვითმფრინავი ყოველდღე უნდა გამოეყო დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

¹ **М. И. Мельтюхов**. Упущенный шанс Сталина, გვ. 486. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა მფრინავების მომზადების დონე ნამდვილად ბევრად ჩამოუვარდებოდა ლიუფტვაფეს პილოტებისას.

მკვლევრებმა ბევრი დავის შემდეგ, დაადგინეს, რომ საზღვართან განლაგებული იყო დაახლოებით 4-5 მლნ საბჭოთა ჯარისკაცი.¹ თითქოს მართლაც სუვოროვი შეცდომაში, და თანაც სერიოზულ შეცდომაში იქნა გამოჭერილი. ოღონდ აქ კრიტიკოსებს „დაავიწყდათ“ ერთი გარემოება: სუვოროვს ეს 8 მილიონი დაყოფილი აქვს შემდეგ კატეგორიებად: 4 მლნ უშუალოდ არმიის ჯარისკაცი, 1 მლნ – სასაზღვრო ჯარების შემადგენლობა, 3 მლნ – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შეიარაღებული ძალები. რატომღაც, ბოლო ორ კატეგორიაზე მკვლევრები სიტყვას არ ძრავენ, არადა, საზღვარზე მესაზღვრეებიც იქნებოდნენ და შინაგან საქმეთა შეიარაღებული ძალები ნამდვილად არ იქნებოდა მეორეხარისხოვანი შენაერთები დაკავებულ ტერიტორიებზე კონტროლის განსახორციელებლად.

ისევე როგორც საბჭოთა ჯარების „არასწორი“ დისპოზიცია, არც შტაბების „უცნაური“ განლაგება დარჩენილა შეუმჩნეველი მკვლევართათვის. ბუნებრივია, ისტორიკოსები შეცდომად თვლიდნენ შტაბის განლაგებას საზღვრის სიახლოვეს, რადგანაც თავდაცვისას ეს სერიოზულად უშლის ხელს სარდლობის სწორად განხორციელებას და, უფრო მეტიც, შტაბის ალყაში მოქცევის საშიშროებას ქმნის. სამაგიეროდ, ეს სწორი სვლაა თავდამსხმელი მხარისათვის, რასაც პირველმა სწორედ სუვოროვმა მიაქცია ყურადღება.²

საზღვრის განნაღმვასთან დაკავშირებით ფაქტები იმდენად მყვირალა გამოდგა, რომ სუვოროვის ოპონენტებმა უბრალოდ თავი აარიდეს ამ საკითხის განხილვას და მისი იგნორირება გადაწყვიტეს. მართლაც, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს სასაზღვრო ტერიტორიებიდან ნაღმების ამოღებას თავდაცვითი ღონისძიებების გამტარებელი მხარის მიერ? ეს ხომ უბრალოდ აბსურდია. სამაგიეროდ, როგორც კარგად დააკვირდა ვ. სუვოროვი, გერმანულმა მხარემ ასევე განნაღმა საზღვარი ივნისის

¹ ოფიციალური მონაცემები საბჭოთა ჯარების შესახებ იმდენად ურთიერთგამომრიცხავია, რომ რომელიმე მათგანის ნდობა უბრალოდ არ შეიძლება.

² В. Суворов. Ледокол, т. 26.

პირველ ნახევარში,¹ რაც აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო შეტევისთვის მომზადების პერიოდში.

საზღვარზე მავთულხლართების დაჭრასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვან ოპონენტთა შორის სიტყვასაც კი არავინ არ ძრავს. როგორც ჩანს, მავთულხლართების დაჭრა, ისევე როგორც საკუთარ ტერიტორიაზე ნაღმების ამოღება, არანაირად არ ჯდება თავდაცვით სტრატეგიაში, შესაბამისად, უმჯობესია ფაქტის იგნორირება.

სამაგიეროდ, დიდი კრიტიკის ქვეშ მოექცა მტკიცება თავდასხმითი გეგმის არსებობის შესახებ, თუმცა, დღესდღეობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო გეგმებთან დაკავშირებით სუვოროვმა პირწმინდად დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგეები. როდესაც გამოვიდა „ყინულმჭრელი“, საყოველთაოდ იყო გაბატონებული აზრი, რომ საბჭოთა კავშირი ემზადებოდა თავდაცვითი ომისათვის. ამის დამადასტურებელ ყველაზე უტყუარ ფაქტად იდებოდა საბჭოთა თავდაცვითი გეგმები, რომლებიც ხან 1940 წლით თარიღდებოდა, ხანაც – 1941წ. დასაწყისით. უკვე „ყინულმჭრელის“ გამოქვეყნების შემდეგ, 1993წ. აღმოჩენილ იქნა ახალი გეგმა, რომელშიც პირველად იყო მოცემული ე.წ. „დამსწრები დარტყმა“ („упреждающий удар“) პოლონეთის მიმართულებით.²

თავდაპირველად ეს გეგმა აღქმული იქნა, როგორც უბრალოდ ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც ჩვეულებრივ მრავლად ქმნიან ხოლმე შტაბებში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნათელი გახდა, რომ ვასილევსკის, ტიმოშენკოსა და ჟუკოვის მიერ მომზადებული ეს გეგმა სწორედ რომ მოქმედი, ანუ ერთადერთი იყო.³ შესაბამისად, მისი მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. გეგ-

¹ В. Суворов. Ледокол, т. 26.

² Ю. А. Горьков. Готовил ли Сталин упреждающий удар против Гитлера в 1941г. – *Новая и новейшая история*, 1993, №3, გვ. 29-45. ეს გეგმა პირველად ახსენა 1989წ. დ. ვოლკოგონოვმა, ოღონდ მან ჩათვალა, რომ ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტი და არ მოუყვანია მისი ტექსტი (Д. А. Волкогонов. Триумф и трагедия. Кн. 2, ч. 1. М., 1989, გვ. 136).

³ Великая Отечественная война 1941-1945гг. Военно-исторические очерки: кн. В 4 кн. Кн. 1. М., 1998, გვ. 111. ამას ადასტურებს მარშალი (იმ

მა იმდენად ნათელს ხდის, რომ საბჭოთა მხარე ამკარად ემზადებოდა გერმანიაზე თავდასხმისათვის, რომ მისი გამოძქვეყნებული ი. გორკოვი თავად დაფრთხა და გამოაქვეყნა რევიზირებული ვარიანტი, რომელშიც მან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა მასალაში (თუმცა ერთ შემთხვევაში, ჩანაწერის გაურკვეველობის მომიზეზებით, დოკუმენტის ტექსტიდან ამოღებული იქნა ფრაზა: „უახლოესი ამოცანაა გერმანული არმიების განადგურება მდ. ვისლას აღმოსავლეთით და კრაკოვის მიმართულებით, მდ. ნარევისა და მდ. ვისლაზე გასვლა და კატოვიცის რაიონის დაკავება“, რაც ნამდვილად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა გეგმაში).¹ შემდგომში ის კიდევ უფრო შორს წავიდა და ი. სიომინთან ერთად თანაავტორობით გამოსულ სტატიაში განაცხადა, რომ 1941წ. 15 მაისის გეგმაში საბჭოთა ხელმძღვანელობამ შესწორებები შეიტანა და მთლიანად ამოიღო შეტევითი დარტყმის ხსენება.² ვინაიდან ამის შედეგად დოკუმენტი პრაქტიკულად უაზრო ქალაქად იქცეოდა, რადგანაც მისი $\frac{3}{4}$ სწორედ რომ შეტევით ოპერაციებს ეკავა, ი. გორკოვის ეს ქმედებები შემჩნეველი რუსეთშიც კი არ დარჩა.³

დროს გენერალ-მაიორი) ვასილევსკიც, რომელიც თავის დროზე აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ომისწინა გეგმა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა 1939წ. გეგმისაგან და რომ თავად ის აქტიურად მონაწილეობდა ამ გეგმის შემუშავებაში 1941წ. მაისიდან. მისი თქმით, საბჭოთა ხელმძღვანელობა არც კი განიხილავდა გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესაძლებლობასაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მის შესაძლო ვადებზე (იხ.: *Накануне 22 июня 1941г. Неопубликованное интервью маршала Советского Союза А. М. Василевского. – Новая и новейшая история, №6, 1992, გვ. 5-6*). საინტერესოა, რომ ლ. ბეზიმენსკიმ გეგმას მხოლოდ ტიმოშენკოს და ჟუკოვის გეგმა უწოდა (იხ.: *Л. А. Безыменский. О «Плане Жукова»...*), თუმცა იქვე დასძენს, რომ დოკუმენტი ვასილევსკის ხელით არის დაწერილი (იხ.: *Л. А. Безыменский. О «Плане Жукова»...*).

¹ **Ю. А. Горьков.** Кремль. Ставка. Генштаб. Тверь, 1995, გვ. 226.

² **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** О характере военно-оперативных планов СССР накануне Великой Отечественной войны. Новые архивные документы. – *Новая и новейшая история, 1997, № 6, გვ. 112.*

³ ამის შესახებ ის სამართლიანად გააკრიტიკა პ. ბობილევა (იხ.: **П. Н. Бобылев.** Точку в дискуссии ставить рано: К вопросу о планирова-

ი. გორკოვისა და ი. სიომინის პუბლიკაციები საერთოდ ცალკე საუბრის თემაა. 1996წ. მათ «Военно-исторический журнал»-ში გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში 1941წ. 22 ივნისისათვის მოქმედი გეგმების მთელი სერია მყვირალა სათაურით: „გლობალური ტყუილის დასასრული“¹ პუბლიკაციების ავტორების განზრახვა იყო, მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ, რომ სსრკ მხოლოდ თავდაცვისათვის ემზადებოდა, თუმცა, ჩვენი აზრით (და არა მარტო ჩვენი აზრით²), აღნიშნული გეგმების გამოქვეყნებამ სწორედ საპირისპირო დაამტკიცა. ამიტომ ჩვენ მათზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

პირველ რიგში, რაც ყურადღებას იქცევს გეგმების გაცნობისას, არის ის, რომ ისინი, როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდება 1941წ. (და პრინციპში, არა მარტო 1941წ.) საბჭოთა დოკუმენტებთან მიმართებაში, არასრულია.³ თუმცა ამან მაინც ვერ გადაარჩინა პუბლიკაციის ავტორები, რომლებსაც აშკარად გაეპარათ რამდენიმე პასაჟი (თანაც პრაქტიკულად ყველა გეგმაში), რომლებიც მთლიანად აუფასურებს მათ მსჯელობას საბჭოთა კავშირის სამხედრო გეგმების თავდაცვითი ხასიათის შესახებ და, პირიქით, ცხადყოფს გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განხორციელების შესახებ სსრკ-ს ხელმძღვანელობის მზადყოფნას.

нии в Генеральном Штабе РККА возможной войны с Германией в 1940-1941 годах. – *Отечественная история*, 2000, №1, გვ. 56.

¹ **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи. – *Военно-исторический журнал*, 1996, №2, გვ. 2-15; **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи: На Западном направлении. – *Военно-исторический журнал*, 1996, №3, გვ. 4-17; **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи: Когда Киев еще не бомбили. – *Военно-исторический журнал*, 1996, №4, გვ. 2-17; **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи: От Черного моря до Карпат. – *Военно-исторический журнал*, 1996, №5, გვ. 2-15; **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи: На советском Северо-Западе. – *Военно-исторический журнал*, 1996, №6, გვ. 2-7.

² იხ.: **В. Д. Данилов.** Попытка возрождения глобальной лжи. – *Независимое военное обозрение*, 16-22 января 1998г., №2 (76), გვ. 6.

³ ავტორები თვითონვე უსვამენ ხაზს, რომ გეგმები შემოკლებით იბეჭდება.

ასე, მაგალითად, ყველა გეგმაში გვხვდება ფრაზა: „განსაზღვრულ ბაზებსა და აეროდრომებზე სამხედრო ავიაციის თანამიმდევრული დარტყმებით, აგრეთვე ჰაერში სამხედრო მოქმედებებით მოწინააღმდეგის ავიაციის განადგურება და პირველივე დღეებიდან ჰაერში ბატონობის მოპოვება“.¹ ამავე დროს, აღნიშნული გეგმების თანახმად, მკაცრად იკრძალებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანების გარეშე საზღვრის გადალახვა.² რასაკვირველია, ორივე ეს პუნქტი მიუთითებს მხოლოდ შეტევითი მზადებაზე, რადგანაც მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში, ბუნებრივია, საუბარი საზღვრის გადალახვაზე ზედმეტია, ხოლო საჰაერო უპირატესობის მოპოვება, თუ მოწინააღმდეგემ დაგასწრო და პირველი დარტყმა მოგაყენა, საკმაოდ ძნელია.

და მაინც, ჩვენი აზრით, პუბლიკაციების ავტორების უმთავრესი „შეცდომა“ იყო სხვადასხვა დირექტივების სათაურების დაბეჭდვა, ვინაიდან ისინი ცხადყოფენ, რომ მოყვანილი გეგმები მოქმედებდა მხოლოდ შეზღუდული დროით, კერძოდ, შესაბამის სამხედრო ოლქებში მობილიზაციის, ჯარების თავმოყრისა და განლაგების პერიოდში.³ ბუნებრივია, თავდაცვითი ომისთვის მზადების პირობებში ამ დირექტივების შეცვლის არანაირი საფუძველი არ იქნებოდა და ისინი რომ საბოლოო გეგმის ნაწილი ყოფილიყო, მათ სულ სხვა სათაური ექნებოდათ. აღ-

¹ «Последовательными ударами боевой авиации по установленным базам и аэродромам, а также боевыми действиями в воздухе уничтожить авиацию противника и с первых же дней завоевать господство в воздухе» (იხ.: **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи. – *Военно-исторический журнал*, 1996, №2, გვ. 7, 9; №3, გვ. 5, 11; №4, გვ. 3, 8; №5, გვ. 3-4, 12; №6, გვ. 4.

² **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи. – *Военно-исторический журнал*, 1996, №2, გვ. 8, 13; №3, გვ. 17; №4, გვ. 3; №5, გვ. 15. აღნიშნული ფრაზა არ გვხვდება მხოლოდ ერთ, ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლობისადმი განკუთვნილ გეგმაში, რაც, ჩვენი აზრით, არ არის გასაკვირი, რადგანაც ეს იყო ფინეთის, და არა გერმანიის, საზღვარი.

³ **Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин.** Конец глобальной лжи. – *Военно-исторический журнал*, 1996, №2, გვ. 7; №3, გვ. 11; №4, გვ. 3; №5, გვ. 3; №6, გვ. 4.

ნიშნულ შემთხვევაში კი სავსებით ნათელია, რომ სსრკ-ს უმაღლესი სარდლობა ემზადება შეტევითი ოპერაციებისათვის, ახდენს სამხედრო ნაწილების მობილიზაციას, მათ თავმოყრასა და განლაგებას უშუალოდ სსრკ-გერმანიის და სსრკ-რუმინეთის საზღვარზე და ემინია მხოლოდ, რომ მათზე თავდასხმა მოხდება სწორედ ამ პერიოდში, როდესაც დისლოკაციის შეცვლის მომენტში ჯარები დაუცველია.¹

და ბოლოს, რუკების საკითხი, რომელსაც ყურადღება მანამდეც ექცეოდა და რომელიც მუდამ წარმოადგენდა აქილევსის ქუსლს საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის. მართლაც, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ომის დაწყების შემდეგ გაირკვა,

¹ ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ოდესის სამხედრო ოლქის სარდლობისადმი სსრკ-ს თავდაცვის სახალხო კომისრის მიერ 6 მაისს გაცემული და 20 ივნისს დამტკიცებული დირექტივა (*«Записка по плану действий войск Одесского военного округа в прикрытии госграницы согласно директиве народного комиссара обороны № 503874 от 6 мая 1941 г. утв. 20 июня 1941г.»* – Ю. А. Горьков, Ю. Н. Семин. Конеч глобальной лжи. – *Военно-исторический журнал*, 1996, №5, გვ. 3). ჩვენი აზრით, ორივე ეს თარიღი მეტად საგულისხმოა. დირექტივა გაცემულია 6 მაისს, წინა დღით, 5 მაისს კი სტალინი სიტყვით გამოვიდა სამხედრო აკადემიის კურსანტებთან და პირდაპირ განუცხადა მათ, რომ მზადდებოდა შეტევა გერმანიის წინააღმდეგ. მართალია, სტალინის 5 მაისის სიტყვის (თუ სიტყვების, ვინაიდან არსებობს ვარაუდი, რომ მას იმ დღეს 3 სხვადასხვა გამოსვლა ჰქონდა) სრული ჩანაწერი ჯერ არ გამოქვეყნებულა (და ალბათ კიდევ დიდხანს არ იხილავს დღის სინათლეს, თუ გავითვალისწინებთ რუსეთში დღეს არსებულ დამოკიდებულებას მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი), მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს აღნიშნული მოსაზრების მხარდამჭერთა (სუვოროვი, უიკისი) სიმცდარეს. პირიქით, სტალინის სიტყვის გამოქვეყნებული ფრაგმენტები (იხ.: *«Современная армия – армия наступательная»*). Выступления И. В. Сталина на приеме в Кремле перед выпускниками военных академий. Май 1941 г. – *Исторический архив*, 1995, №2, გვ. 23-31), ჩვენი აზრით, სრულად ადასტურებს მათ სისწორეს. აღნიშნული დირექტივა ასევე შეიძლება დამატებით არგუმენტად იქნას გამოყენებული ამ მიმართულებით. საყურადღებოა მეორე თარიღიც – 20 ივნისი. როგორც ჩანს, საზღვარზე სამხედრო ნაწილების გადაჯგუფების ბოლო ფაზა სწორედ 20 ივნისიდან დაიწყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა შეტევის დაწყების თარიღი მოახლოებული იყო.

რომ საბჭოთა შენაერთებს არ გააჩნდათ არანაირი რუკები. უფრო სწორად, როგორც კარგად შენიშნა სუვოროვმა, მათ ძალიან დიდი რაოდენობით გააჩნდათ რუკები, ოღონდ ისინი მათთვის გამოუსადეგარი იყო. სუვოროვის თქმით, საბჭოთა შტაბებში იყო მხოლოდ აღმოსავლეთ პრუსიის, გერმანიის მიერ დაპყრობილი პოლონეთის და, აგრეთვე, რუმინეთის რუკები.¹

ბუნებრივია, რუსი ისტორიკოსების სუვოროვისადმი კრიტიკულად განწყობილმა ნაწილმა ამ ფაქტის სრული იგნორირება მოახდინა, მაგრამ ფაქტის მიჩქმალვა ვერ მოხერხდა. კამათში უკვე გერმანელი ისტორიკოსებიც ჩაერთნენ და ი. ჰოფმანმა მოიყვანა უამრავი მაგალითი, როდესაც გერმანულ ნაწილებს ხელში უვარდებოდათ სსრკ-ში დაბეჭდილი რუკები, რომლებზეც აღმოსავლეთ პრუსიის ან პოლონეთის ტერიტორია იყო მოცემული.² ბოლოსდაბოლოს, ამ ფაქტის აღიარება თავად რუს მკვლევრებსაც მოუწიათ. უფრო მეტიც, მათ დააზუსტეს, რომ არმიაში იყო დიდი რაოდენობით ტოპოგრაფიული რუკები შემდეგ ხაზამდე: ბერლინი – პრაღა – ვენა – ბუდაპეშტი – ბუქარესტი – და სიამაყით აღნიშნეს, რომ ამ რუკების ხარისხი და მასშტაბი ბევრად აღემატებოდა გერმანულ ანალოგებს.³

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, პრაქტიკულად ნათელია, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად ემზადებოდა 1941წ. ზაფხულში გერმანიაზე თავდასხმისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ რუსი ისტორიკოსების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ეს პრაქტიკულად აღიარა (ზოგმა აშკარად, ზოგმა კი – შეფარვით), ოღონდ მათი უდიდესი უმრავლესობა აქვე აცხადებს, რომ სუვოროვის თვალსაზრისმა სრული კრახი განიცადა.⁴

¹ ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ სუვოროვის ჩამონათვალი არასრულია და მას აკლია უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის რუკები.

² **И. Хоффман.** Подготовка Советского Союза к наступательной войне. 1941 год. – *Отечественная история*, 1993, № 4, გვ. 19-31.

³ **А. А. Шаравин.** Советские топокарты были лучше немецких. *Военно-топографическая служба Красной Армии и топогеодезическое обеспечение войск в начальный период войны.* – *Военно-исторический журнал*, 1999, №6, გვ. 18.

⁴ **П. Н. Бобылев.** Точку в дискуссии ставить рано, გვ. 46; **М. И. Мель-**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუვოროვის დასკვნების სამ ნაწილად დაყოფა შეიძლება. პირველ ნაწილში, როგორც ვხედავთ, სუვოროვის იდეის გაბათილება ვერ მოხერხდა და, უფრო მეტიც, უკვე სავსებით საფუძვლიანად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ის პრაქტიკულად დადასტურებულია უახლესი გამოკვლევებითა და უკანასკნელ 20 წელიწადში („ყინულმჭრელის“ გამოსვლის შემდეგ) გამოქვეყნებული ლოკუმენტებით. ვნახოთ, იქნებ დანარჩენი ორი დებულება არის თავიდან ბოლომდე მცდარი.

ვ. სუვოროვის მეორე დებულება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან ომისთვის მზადება დაიწყო ჯერ კიდევ 1939წ. 19 აგვისტოს. შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს? ვ. სუვოროვი ამტკიცებს, რომ ამ დღეს შემდგარ პოლიტიუროს სხდომაზე სტალინმა გააცნო ყველას გადაწყვეტილება, გერმანიისათვის დახმარების შესახებ. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი საჭირო მომენტში ჩაებმებოდა ომში და „გათავისუფლებდა ევროპას“.¹ ვ. სუვოროვი ამ შემთხვევაშიც სულაც არ გვევლინება პიონერის როლში. უფრო მეტიც, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსი 1939წ. ნოემბერში გამოქვეყნებული იქნა ფრანგული სააგენტო „ჰავასის“ მიერ, რამაც გამოიწვია სტალინის დიდი განრისხება და მან გადაწყვიტა პასუხის გაცემა ამ „სიცრუეზე“, რაც დაიბეჭდა კიდევ გაზ. „პრავდაში“ 1939წ. 30 ნოემბერს.² სხვა საქმეა, რომ ვ. სუვოროვი ნამდვილად პირველია, რომელმაც ეს მონაცემები დაუკავშირა მთელ რიგ ლონისძიებებს, რომლებიც გატარდა საბჭოთა კავშირში.³ აღვანიშნავია, რომ, სტალინის მსგავსად, საბჭოთა ისტორიკოსები ბოლომდე უარყოფდნენ 1939წ. 19 აგვისტოს პოლიტიუროს სხდომის

ТЮХОВ. Упущенный шанс Сталина, გვ. 8-9.

¹ В. Суворов. Ледокол, т. 6.

² იხ.: «Правда», 30.11.1939. ეს არის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც სტალინმა მიზანშეწონილად ჩათვალა უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხის გაცემა, რაც, ბუნებრივია, ადასტურებს ეჭვებს, რომ „ჰავასის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია აუთენტური იყო.

³ В. Суворов. Ледокол, т. 6.

გამართვის ფაქტსაც კი.¹ უფრო მეტიც, რუსი ისტორიკოსების უმრავლესობა დღესაც აცხადებს, რომ სხდომა კი შედგა, მაგრამ უმნიშვნელო საკითხები იქნა განხილული.²

ბუნებრივია, უკვე ის ფაქტი, რომ საბჭოური ისტორიოგრაფია საერთოდ უარყოფდა სხდომის გამართვას, როდესაც თურმე ამ სხდომაზე „უმნიშვნელო საკითხები“ ყოფილა განხილული, თავისთავად ბადებს ეჭვს. ამ ეჭვებმა დამატებითი საფუძველი შეიძინა მას შემდეგ, რაც რუსმა მკვლევარმა ტ. ბუშუევამ ისტორიულ-დოკუმენტური კოლექციების შემნახველ ცენტრში (ყოფილი სსრკ-ს საგანგებო არქივი) აღმოაჩინა ახალი დოკუმენტი – სტალინის სიტყვა 1939წ. 19 აგვისტოს სკპ(ბ) პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელიც შედგენილია ფრანგულ ენაზე და რომელიც, როგორც ჩანს, იყო კიდევ პირველწყარო ფრანგული საინფორმაციო სააგენტო „ჰავასისათვის“.³

მართალია, აღნიშნული ჩანაწერის აუთენტურობა გარკვეულ ეჭვებს იწვევს სპეციალისტებში (რუსი მკვლევრების უმრავლესობა ამ ჩანაწერს არასანდოდ მიიჩნევს და, რაიმე საარქივო მასალების მოხმობის გარეშე, ცდილობს დამტკიცებას, რომ ეს სიტყვა არ შეესაბამებოდა სტალინის ნამდვილ განზრახვებს⁴), მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელიც გვაძლევს საფუძველს, ვამტკიცოთ,

¹ *История второй мировой войны*. В 12 томах. Пред. ред. ком. **А. А. Гречко** (т. 1-7) и **Д. Ф. Устинов** (т. 8-12). Т. 2. Накануне войны. Гл. ред. **Г. А. Деборин**. М., 1974, გვ. 285.

² ამას სათავე დაუდო დ. ვოლკოგონოვმა, რომელმაც პირველმა ნაცხადა, რომ ნახა აღნიშნული სხდომის ჩანაწერები, თუმცა იქვე მიუთითა, რომ მათში მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხები იყო განხილული (იხ.: *«Известия»*, 16.01.1993).

³ **Т. Бушуева**. «...Проклина — попробуйте понять...». – *Новый Мир*, 1994, №12, გვ. 232-233; **В. Л. Дорощенко**. Сталинская провокация второй мировой войны. Приложение. *Текст речи Сталина на заседании Политбюро ЦК ВКП(б) 19 августа 1939 года*. – В сб.: *Другая война 1939-1945*. Под общей редакцией академика **Ю. Н. Афанасьева**. М., Российский Государственный Гуманитарный Университет, 1995, გვ. 73-75.

⁴ **С. З. Случ**. Речь Сталина, которой не было. – *Отечественная история*, 2004, №1, გვ. 113-139. იხ. აგრეთვე ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდზე: <http://vivovoco.rsl.ru/VV/JOURNAL/RUHIST/STANET1.HTM>.

რომ დოკუმენტი ნამდვილად არ არის ყალბი. საქმე იმაშია, რომ ჩანაწერში მოცემულია შემდეგი პუნქტი: „პირველი უპირატესობა, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, იქნება პოლონეთის განადგურება ვარშავის მისადგომებამდე, უკრაინული გალიციის ჩათვლით“.¹ შესაბამისად, აქ მოყვანილია ის საზღვარი, რომელიც ჩაიღო 1939წ. 23 აგვისტოს სსრკ-გერმანიის საიდუმლო ხელშეკრულების პუნქტებში და 28 აგვისტოს შესწორებაში და არა საბოლოო საზღვრის ვარიანტი, რომელიც გაფორმდა 1939 წლის 28 სექტემბერს და რომელიც არსებობდა „ჰავასის“ მიერ დოკუმენტის გამოქვეყნების მომენტისათვის. ის, რომ ჩანაწერში ასახულია 23-28 აგვისტოს რეალია, ჩვენი აზრით, პრაქტიკულად გამორიცხავს ევროპაში იმ მომენტისათვის შექმნილი მდგომარეობის გამოყენებას ფალსიფიკაციისათვის. შესაბამისად, არის სრული საფუძველი, რომ ვენდოთ ტ. ბუშუევას მიერ ნაპოვნ დოკუმენტს.²

აღნიშნულ დოკუმენტში სტალინი ყველანაირად უსვამს ხაზს ომის აუცილებლობას ევროპაში ბოლშევიკური ხელისუფლების დასამყარებლად და აცხადებს, რომ სსრკ-ს კავშირი საფრანგეთთან და გერმანიასთან გამოიწვევდა ამ უკანასკნელის დაფრთხობას და ომის გადაღებას. აქედან გამომდინარე, ის საჭიროდ მიიჩნევდა ჰიტლერთან ხელშეკრულების გაფორმებას, რაც გარდაუვალს გახდიდა გერმანიის თავდასხმას პოლონეთზე და საფრანგეთისა და ინგლისის ომში ჩაბმას. სტალინის აზრით, ეს ყველა ვარიანტში მომგებიანი იქნებოდა, რადგანაც საფრანგეთისა და ინგლისის გამარჯვება გამოიწვევდა გერმანიის გასაბჭოებას, ხოლო პირუკუ შედეგის შემთხვევაში ოფიციალური ბერლინი იმდენად დაკავებული იქნებოდა ოკუპირებული ტერიტორიების ათვისებით, რომ სსრ კავშირთან დასაპირისპირებლად, როგორც

¹ «Первым преимуществом, которое мы извлечем, будет уничтожение Польши до самых подступов к Варшаве, включая украинскую Галицию». (В. Л. Дорощенко. Сталинская провокация второй мировой войны. Приложение. Текст речи Сталина..., გვ. 73).

² აღნიშნული სიტყვის შესახებ დაწვრილებით იხ.: თ. პაპასქირი. საბჭოთა პოლიტიკა ჩეხოსლოვაკიის მიმართ 1938წ. სუდეტის კრიზისის დროს. – *საისტორიო ძიებანი*, VIII-IX, 2006, გვ. 393-396.

მინიმუმ, 10 წელი დასჭირდებოდა. ამასობაში კი მოხერხდებოდა დამარცხებული საფრანგეთის გასაბჭოება და გერმანიის კონტროლქვეშ აღმოჩენილი ყველა სახელმწიფოს გასაბჭოება. სტალინის დასკვნით, საბჭოთა კავშირის ინტერესებში შედიოდა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის სამხედრო მოქმედებების რაც შეიძლება მეტად გაჭიანურებით, რაც, მისი აზრით, მხოლოდ გერმანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში იყო შესაძლებელი.¹

ამავე კონტექსტში მეტად საინტერესოა კ. ნორდლინგის მიერ მიკვლეული და შევლურიდან თარგმნილი მასალა, რომელიც 1939წ. 8 სექტემბერს დაიბეჭდა ფინეთში გამოძავალ შვედურ გაზეთ „სვენსკა პრესენში“. ეს დოკუმენტი, რომელიც კომუნისტ ლიდერებს (როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ) დაურიგდა 1939წ. 22 აგვისტოს, გერმანიასთან პაქტის ხელმოწერის წინა დღეს, წარმოადგენს ერთგვარ კატეხიზმოს. მასში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იმ მომენტისათვის მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოწყობა შეუძლებელი იყო და ვერანაირი აგიტაციით მისი დაწყება ვერ დაჩქარდებოდა. დოკუმენტის თანახმად, ერთადერთი, რაც დააჩქარებდა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, იყო ხანგრძლივი ომი, რომლის დაწყებასაც ხელს შეუწყობდა გერმანიასთან გაფორმებული პაქტი.²

ამრიგად, ახლად აღმოჩენილი მასალები სავსებით ცხადყოფს ვ. სუვოროვის პოსტულატის სიმართლეს, რომ 1939წ. 19 აგვისტოს სტალინმა ნამდვილად გადაწყვიტა პაქტის დადება გერმანიასთან შემდგომში მის წინააღმდეგ გალაშქრების მიზნით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მისი ოპონენტების კრიტი-

¹ **В. Л. Дорошенко.** Сталинская провокация второй мировой войны. Приложение. *Текст речи Сталина...*, გვ. 73-75. აღსანიშნავია, ტ. ბუშუევას მიერ აღმოჩენილ დოკუმენტს სულ უფრო მეტი ნდობა აქვს აკადემიურ წრეებში (იხ.: *Политический архив XX века*. Не миф: Речь Сталина 19 августа 1939 года. Публикацию подготовили **В. Л. Дорошенко, И. В. Павлова, Р. Ч. Раак.** – *Вопросы истории*, 2005, №8, გვ. 3-20).

² *Svenska Pressen*, September 8, 1939. დოკუმენტის ინგლისური თარგმანი ორიგინალის სკანირებული ასლითურთ იხ. კარლ ნორდლინგის ვებ-გვერდზე: <http://www.carlonordling.se/ww2/ribbentrop.html>.

კა არც ამ შემთხვევაში არის გამართლებული და მთლიანად ობიექტური.

რჩება უკანასკნელი, მესამე დასკვნა, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს პირველი ორი დასკვნიდან: სტალინი, და შესაბამისად საბჭოთა კავშირი, გერმანიაზე არანაკლებ არიან ომის გაჩაღებაში დამნაშავენი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კიდევ ერთი პოსტულატი, რომელიც უბრალოდ აცოფებს სუვოროვის მოწინააღმდეგებს.¹ შეესაბამება თუ არა ის სინამდვილეს? ჩვენი აზრით, ამ კითხვას მხოლოდ დადებითი პასუხი გააჩნია. მეორე მსოფლიო ომი დაიწყო 1939წ. 1 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ბრძანება პოლონეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყების შესახებ ჰიტლერმა გასცა 1939წ. 25 აგვისტოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა 1939წ. 23 აგვისტოს სსრკ-გერმანიის პაქტს.²

დღეს ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებდა ჰიტლერი,

¹ აქ აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც დასავლეთში, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უჭირთ სუვოროვის თვალსაზრისის დაჯერება, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლა უკანასკნელ ხანებში ნამდვილად შეიმჩნევა (იხ.: **Richard C. Raack**. *Stalin's Role in the Coming of World War II. Opening the Closet Door on a Key Chapter of Recent History.* – *World Affairs*, Vol. 158, No. 4, Spring 1996, გვ. 198-211; **Albert L. Weeks**. *Stalin's Other War: The Soviet Grand Strategy, 1939-1941.* Lanham, MD, 2002). ამერიკელებს არ სურთ იმის აღიარება, რომ მეორე მსოფლიო ომში ისინი იყვნენ იმ კაცის მოკავშირეები, ვინც ჰიტლერზე არანაკლებ დამნაშავე იყო ომის გაჩაღებაში.

² ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ამ დიპლომატიური დოკუმენტის „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტად“ მოხსენიებას, რადგანაც ეს იყო არა ორ კაცის, არამედ ორი სახელმწიფოს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, რომელსაც თან ახლდა საიდუმლო ოქმები. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“ გამოიყენებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირში (დღეს კი გამოიყენება მხოლოდ რუსეთში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისიც არა ყველგან) და, ჩვენი აზრით, გამოგონილ იქნა იმისათვის, რომ ერთგვარად დაემცროთ მისი მნიშვნელობა. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო აგრეთვე მცდელობა, მთელი პასუხისმგებლობა ფაშისტურ გერმანიასთან შეთანხმებაზე დაეკისრებინათ ერთი კაცისთვის და აეცილებინათ ის სახელმწიფოსათვის.

თუ მას არ ეყოლებოდა მოკავშირე საბჭოთა კავშირის სახით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პოლონეთის წინააღმდეგ ომის დაწყება მან არაერთხელ გადასდო, რადგანაც ვერ შეძლო ინგლისელებთან და ფრანგებთან მორიგება ამ საკითხზე.¹ სავარაუდოა, რომ მას გაუჭირდებოდა სამხედროების წინააღმდეგობის დაძლევა ამ შემთხვევაში. მართალია, ჰიტლერმა საკმაოდ წარმატებით მოახერხა მანამდე ვერმახტის ოპოზიციის გადალახვა რაინის რემილიტარიზაციისა თუ სუდეტის ოლქის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მაშინ ყველასათვის ნათელი იყო, რომ საქმე ომამდე ნაკლებად მივიდოდა. სსრკ-გერმანიის პაქტით კი მოხდა პოლონეთის IV გაყოფა და ჰიტლერმა შეიძინა მოკავშირე პოლონეთის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირი საომარი მოქმედებების უშუალო მონაწილე გახდა პრაქტიკულად პირველი დღეებიდან. 1939წ. 17 სექტემბერს, გერმანიასთან აგვისტოში მიღწეული შეთანხმების თანახმად, წითელი არმია შეიჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე და დაიწყო, საბჭოური პროპაგანდის განმარტებით, „დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის დაცვა“.²

საბჭოური ისტორიოგრაფია ათწლეულების მანძილზე აცხადებდა, რომ მოსახლეობა სიხარულით ხვდებოდა „სახელოვან“ წითელ არმიას, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. მართალია, პოლონეთის ხელისუფლებამ გასცა ბრძანება, რომ არ გაეწიათ წინააღმდეგობა საბჭოთა ჯარებისათვის, ამის მიუხედავად ადგილი ჰქონდა შეტაკებებს და საბჭოთა მხარემ 1000-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა მხოლოდ დაღუპულების სახით.³ არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც საბჭოური ისტორიოგრაფიის

¹ *Oxford History of England*. Vol. XV. **Alan John Percival Taylor**. English History 1914-1945. Oxford University Press, 1965, გვ. 326.

² **В. А. Невежин**. Синдром наступательной войны. Советская пропаганда в преддверии «священных боев», 1939-1941гг. М., 1997, გვ. 71-75; **М. И. Мельтюхов**. Советско-польские войны. *Военно-политическое противостояние 1918-1939гг.* М., 2001, გვ. 292-293.

³ *Россия и СССР в войнах XX века*. Потери вооруженных сил: Статистическое исследование. М., 2001, გვ. 184; **М. И. Мельтюхов**. Советско-польские войны, გვ. 292-293.

მტკიცებას ყველანაირ საფუძველს აცლის. დავუშვათ, რომ საბჭოთა ჯარები ნამდვილად უკრაინელი და ბელორუსი მოსახლეობის დასაცავად შევიდნენ პოლონეთში, მაშინ რატომ იყო ეს ყველაფერი შეთანხმებული გერმანელებთან. ეს იყო არა სპონტანური მოქმედება, რომელიც მოხდა გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ, არამედ წინასწარ დაგეგმილი აქცია, რომელსაც უფრო შორს მიმავალი მიზნებიც ჰქონდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში სტალინის პასუხისმგებლობის განხილვისას საბჭოური ისტორიოგრაფია ყოველთვის აცხადებდა, რომ გერმანიასთან პაქტის დადება იყო იძულებითი ნაბიჯი, რადგანაც ინგლისი და საფრანგეთი არ თანხმებოდნენ საბჭოთა კავშირთან ალიანსს და რომ ჩემბერლენი ყველანაირად ცდილობდა ჰიტლერი მიემართათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.¹ აქვე აუცილებლად დგება მიუნხენის გარიგების საკითხიც. ბუნებრივია, ჩვენ არ ვაპირებთ ჩემბერლენისა და დალადიეს გამართლებას მიუნხენის კაპიტულაციის გამო, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1938წ. სექტემბერში შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა 1939წ. ზაფხულის ვითარებიდან.

1938წ. შემოდგომაზე, სუდეტის კრიზისის დროს, ინგლისი და საფრანგეთი საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. პრაქტიკულად არავის, მოსახლეობას პირველ რიგში, არც ინგლისში და არც საფრანგეთში არ სურდა ჩეხოსლოვაკიის გამო გერმანიასთან ომი. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში თვლიდნენ, რომ სუდეტენლანდის გადაცემა გერმანიისთვის სულაც არ იქნებოდა დიდი უსამართლობა, რადგანაც ის ჩეხოსლოვაკიის ნაწილი გახდა მხოლოდ 1918წ., ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ.

ამას თან ერთვოდა ისიც, რომ თავად ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ელჟარდ ბენეში მზად იყო ტერიტორიული დათმობებისათვის და თავად სთავაზობდა ჩემბერლენს სუდეტენლანდის ნა-

¹ *СССР в борьбе за мир накануне второй мировой войны*. Сентябрь 1938-1938-август 1939. Документы и материалы. М., 1971, გვ. 584-585; **А. М. Самсонов**. Крах фашистской агрессии. 1939-1945. М., 1980, გვ. 41; **Ф. Д. Волков**. За кулисами второй мировой войны. М., 1985, გვ. 14-15 და ა.შ.

წილის გერმანიისთვის გადაცემას.¹ ჰიტლერიც აცხადებდა, რომ ეს იყო უკანასკნელი რევიზია, რომელსაც ის ითხოვდა ევროპაში.² ბუნებრივია, ამ ვითარებაში დალაღიე და, განსაკუთრებით, ჩემბერლენი სულაც არ თვლიდნენ დიდ დანაშაულად სუდეტენლანდის გერმანიისათვის გადაცემას. 1939წ. ზაფხულში კი მდგომარეობა სერიოზულად შეიცვალა.

1939წ. მარტში ჰიტლერმა დაარღვია როგორც თავისი პირობა, ისე მიუნხენის შეთანხმება და მოახდინა ჩეხოსლოვაკიის სრულად ოკუპაცია. ამ აქტმა სერიოზულად შეცვალა როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთის საზოგადოების დამოკიდებულება გერმანიის ექსპანსიისადმი. შედეგად, ინგლისმა და საფრანგეთმა გარანტიები მისცეს პოლონეთს, რომელიც ამკარად უნდა გამხდარიყო მორიგი მსხვერპლი ჰიტლერის აგრესიისა. რასაკვირველია, ჩვენ სულაც არ ვაცხადებთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელებს გერმანიისა და სსრ კავშირის დაპირისპირება არ სურდათ (ასეთი მიზანი ალბათ მათ ექნებოდათ), მაგრამ ამის მიღწევა საბჭოთა კავშირთან ალიანსით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. პირიქით, ამ შემთხვევაში მათ ხელშეკრულება სწორედ ჰიტლერთან უნდა გაეფორმებინათ და არა პოლონეთთან და სსრ კავშირთან.

უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, 1939წ. ზაფხულში ინგლის-საფრანგეთ-სსრ კავშირის ალიანსის გაფორმება გერმანიას სრულ იზოლაციაში მოაქცევდა და შეუძლებელს გახდიდა მის შემდგომ ექსპანსიას, რასაც მოყვებოდა ჰიტლერის მოწინააღმდეგების გააქტიურება უშუალოდ ქვეყნის შიგნით. შედეგად, მეორე მსოფლიო ომი თავიდან იქნებოდა აცილებული. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც სტალინმა მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების სწორედ გერმანიასთან და არა ინგლის-საფრანგეთთან გაფორმების შესახებ. ზევით უკვე დაწვრილებით ვილაპარაკეთ მის გეგმებზე და ახლა ამაზე არ შევჩერდებით, მაგრამ ერთ რამეს კი

¹ *Documents on the British Foreign Policy 1919-1939* (შემდგომში *DBFP*). Ed. by *E. L. Woodward* and *Rohan Butler*, assisted by *Margaret Lambert*. Third Series, vol. I, 1938. London, His Majesty's Stationary Office, 1949, გვ. 519.

² *DBFP*, Third Series, vol. I, გვ. 347, 375.

დავამატებთ: ალიანსის ჩაშლა, რაშიც საბჭოური ისტორიოგრაფია ინგლისს და საფრანგეთს ადანაშაულებდა, სწორედ სტალინის ბრალი იყო, რადგანაც სამხედრო კავშირის სანაცვლოდ მან მოითხოვა ბალტიისპირეთი, ბესარაბია, ბუკოვინა და ჯარების პოლონეთში განთავსების უფლება. როგორც იტყვიან, აქ კომენტარიც ზედმეტია.

გერმანიისაგან პოლონეთის დასაცავად ინგლისს და საფრანგეთს უნდა მიეცათ მის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების განლაგების თანხმობა და უბრალოდ დაეთმოთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. ბუნებრივია, ამაზე ინგლისი და საფრანგეთი ვერ წავიდოდნენ და არც წავიდნენ. ამავე დროს, აშკარაა, რომ სტალინი წაუგებელ თამაშს აწარმოებდა. თუ ინგლისი და საფრანგეთი დათანხმდებოდნენ მის მოთხოვნებს, მაშინ ის ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიიღებდა პლაცდარმს პოლონეთის სახით, თუ არადა, მოლაპარაკებების ჩაშლას დააბრალებდა ინგლისს და საფრანგეთს და ხელშეკრულებას გააფორმებდა გერმანიასთან. მოვლენები სწორედ მეორე მიმართულებით განვითარდა.

მთავარი არგუმენტი, რომლითაც საბჭოური ისტორიოგრაფია ამართლებდა (დღეს კი უკვე რუსული ისტორიოგრაფია ამართლებს) პაქტის გაფორმებას გერმანიასთან, იყო ის, რომ სტალინიმა მოიგო დრო გერმანიასთან დაპირისპირებისათვის და საზღვარი გადაწია დასავლეთისაკენ.¹ უნდა ითქვას, რომ ეს არგუმენტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ სტალინს გერმანიასთან ომის თავიდან აცილება სურდა, მაშინ მას ინგლისთან და საფრანგეთთან უნდა გაეფორმებინა ალიანსი და ამით პრობლემა მოგვარდებოდა.

რაც შეეხება დროის მოგებას, აქ საერთოდ აბსურდულ მტკიცებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც 1939წ. 1 სექტემბრისათვის, ანუ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისათვის გერმანია გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე 1941წ. 22 ივნისისათვის. აქვე გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: 1939წ. 1 სექტემბრისათვის გერმანიას და საბჭოთა

¹ А. М. Самсонов. Крах фашистской агрессии, გვ. 43.

კავშირს არ გააჩნდათ საერთო საზღვარი, ანუ სამხედრო დაპირისპირება მათ შორის უბრალოდ შეუძლებელი იყო. თუ სტალინს ეშინოდა ჰიტლერის და დაინტერესებული იყო გერმანიასთან ომის თავიდან აცილებით, მაშინ მას ყველა ძალა უნდა ელონა ბუფერული ზონის შესანარჩუნებლად.

ამის ნაცვლად კი სსრ კავშირის ლიდერმა ყველაფერი გააკეთა ორ სახელმწიფოს შორის საერთო საზღვრის შესაქმნელად. უფრო მეტიც, მან იმდენად ოსტატურად მოაწყო ეს ყველაფერი, რომ ჰიტლერი ომის ერთადერთ გამჩალებლად იქცა, ხოლო თვითონ სტალინი „დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განმათავისუფლებელი აღმოჩნდა“. ჩვენი აზრით, და ამას ადასტურებს თუნდაც სტალინის 1939წ. 19 აგვისტოს სიტყვაც, ერთადერთი მიზანი, რომელიც მას ამოძრავებდა გერმანიასთან საერთო საზღვრის შექმნისათვის, იყო მომავალში სწორედ გერმანიაზე თავდასხმა, რისთვისაც მზადება დაწყებული იქნა სწორედ 1939წ. შემოდგომიდან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: სტალინი ისეთივე დამნაშავეა მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში, როგორც ჰიტლერი. შესაბამისად, სუვოროვის სამივე ძირითადი დასკვნა აბსოლუტურად სწორია და ადრე თუ გვიან, იმედია, რუსული არქივებიც გაიხსნება და დადასტურებენ მათ.

და ბოლოს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ საკითხზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი სდებს ბრალს სუვოროვს, რომ ის ჰიტლერის მიერ წამოწყებულ ომს პრევენტულად თვლის. უნდა ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიაში. ერთი შეხედვით, იმ პირობებში, როდესაც ნათელი ხდება, რომ სტალინი თავდასხმას აპირებდა გერმანიაზე, ჰიტლერის გადაწყვეტილება ომის დაწყების შესახებ, ძალაუნებურად, მართლაც იძენს პრევენტული დარტყმის მიყენების ელფერს. მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა, რა იცოდა ჰიტლერმა საბჭოთა კავშირში მიმდინარე სამხედრო მზადების შესახებ. ალბათ ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანწილად გააი-

ოლებს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემას.

უპირველეს ყოვლისა, ამ პრობლემაზე საუბრისას უნდა განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პრევენტულ დარტყმად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის საკითხი, რომელზეც ძირითადად კამათობენ კიდეც გერმანელი ისტორიკოსები. ჩვენი აზრით, პრევენტულად შეიძლება ჩაითვალოს თავდასხმა მოწინააღმდეგეზე, როდესაც არსებობს ყველა მონაცემი, რომ ის აქეთ აპირებს თავდასხმას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის ხელმძღვანელობა ომის პირველსავე დღეს აღნიშნავდა, რომ ის იძულებული გახდა, თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს, რათა თავიდან აეცილებინა აგრესია მისი მხრიდან, ანუ, ერთი შეხედვით, ეს იყო პრევენტული დარტყმა.

მიუხედავად ამისა, აქ არსებობს კიდეც ერთი ნიუანსი: ირკვევა, რომ გერმანულ მხარეს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა ძალის წინააღმდეგ უწევდა მას დაპირისპირება. როგორც ჰ. გუდერიანი მოწმობს, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ ჰიტლერი მეტად გაოცებული დარჩენილა საბჭოთა შეიარაღებისა და სამხედრო ძალის რაოდენობით და აღუნიშნავს: „მე რომ მცოდნოდა, რომ რუსებს (ასეა ტექსტში – თ.პ.) მართლაც ამდენი ტანკი ჰყავდათ, ალბათ ამ ომს არ დავიწყებდი“.¹ ჩვენი აზრით, ეს ფრაზა ცხადყოფს, რომ ჰიტლერს და, შესაბამისად, მის გარემოცვას არ გააჩნდა დადასტურებული ინფორმაცია საბჭოთა მზადების შესახებ. უფრო მეტიც, დღემდე არ არსებობს დოკუმენტური დასაბუთება იმის შესახებ, რომ გერმანიის ხელმძღვანელობას ჰქონდა სადაზვერვო მონაცემები ამის თაობაზე. ყოველივე ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ 1941წ. ივნისში, როდესაც დაიწყო „ბარბაროსას“ განხორციელება, ჰიტლერს ის არ ჰქონდა ჩაფიქრებული როგორც პრევენტული დარტყმა.

პრევენტულ დარტყმაზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს კიდეც ერთ მომენტს, კერძოდ, თუ როდის დაიწვეს მხარეებმა ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების გეგმების შემუშავება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი გამოწ-

¹ Г. Гудериан. Воспоминания солдата. Смоленск, 1999, გვ. 257.

ვლილვით არის გამოკვლეული გერმანიის გეგმებთან მიმართებაში. ისტორიოგრაფიაში დადგენილია როგორც ის, თუ როდის გაიცა ბრძანება გეგმის შემუშავების შესახებ (1940წ. ივლისის ბოლო), ასევე მისი დამტკიცების თარიღი (1940წ. 18 დეკემბერი). ამავე დროს, გაირკვა, რომ უკვე 1940წ. 28 დეკემბერს, სულ რაღაც 10 დღის შემდეგ, რაც „ბარბაროსა“ ოფიციალურად იქნა დამტკიცებული, საბჭოთა დაზვერვამ სტალინს გადასცა მისი საბოლოო ვარიანტი¹. ამავე დროს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების გეგმის შემუშავების ბრძანების გაცემისას ჰიტლერს ნამდვილად ჰქონდა საფუძველი, ეჭვი შეეგტანა თავისი მოკავშირის გულწრფელობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეგმის შემუშავების შესახებ ბრძანება გაიცა 1940წ. ივლისში და მას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის მიერ რუმინეთისათვის ულტიმატუმის წაყენება ბესარაბიისა და ბუკოვინის გადაცემის მოთხოვნით.

1939წ. 23 აგვისტოს პაქტის საიდუმლო ოქმების თანახმად, გერმანია ყაბულს იყო სსრ კავშირისათვის ბესარაბია დაეთმო, მაგრამ იქ არაფერი იყო ნათქვამი ბუკოვინაზე.² მიუხედავად ამისა, ჰიტლერი დათანხმდა ოქმებში გარკვეული კორექტივების შეტანას და საბჭოთა კავშირისათვის ჩრდილოეთ ბუკოვინის გადაცემას, თუმცა, ამავდროულად, ის მიხვდა, თუ რაში დასჭირდა სტალინს ბუკოვინა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ ბუკოვინის

¹ უნდა ითქვას, რომ ვ. სიპოლსი ცდილობს უარყოს ეს ფაქტი (იხ.: **В. Я. Сиполс.** Тайны дипломатические. Канун Великой Отечественной. 1939-1941. М., 1997, გვ. 386-400), მაგრამ, ჩვენი აზრით, ის აშკარად ცდება.

² Год Кризиса. 1938-1939. Документы и материалы в 2-х томах. Т. 2. М., 1990, დოკუმენტი №603, 614; *Nazi-Soviet Relations 1939-1941. Documents from the Archives of the German Foreign Office.* Ed. by **Raymond James Sontag** and **James Stuart Beddie.** Washington, 1948, გვ. 78, 105-107. სხვათა შორის, ჰიტლერმა ეს შეახსენა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მოლოტოვს 1940წ. ნოემბერში ბერლინში გამართული მოლაპარაკებებისას (იხ.: *Nazi-Soviet Relations*, გვ. 235; *Поездка Молотова в Берлин в ноябре 1940г.* Предисловие академика **Г. Н. Севостьянова**, публикацию подготовили **В. А. Лебедев** и **Б. Л. Хавкин.** – *Новая и новейшая история*, №5, 1993, გვ. 80-81.

დაკავება ნიშნავდა, რომ სსრკ აპირებდა რუმინეთზე თავდასხმას.¹ საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დასკვნის გაცნობის შემდეგ გასცა ჰიტლერმა ბრძანება სსრკ-ს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების გეგმის შემუშავების შესახებ.

ამავდროულად, მან გარკვეული კორექტივებიც შეიტანა თავის საგარეო პოლიტიკაში. თუ 1940წ. აგვისტომდე ის ცალსახად განიხილავდა ფინეთს საბჭოთა კავშირის ინტერესების სფეროს ნაწილად, ამჯერად ის დაუკავშირდა ფინეთის პრეზიდენტ მარშალ მანერჰაიმს და შესთავაზა მას სატრანზიტო ხელშეკრულების გაფორმება გერმანიის შეიარაღებული ძალების ფინეთის ტერიტორიის გავლით ნორვეგიაში გადასროლაზე.² ბუნებრივია, ფინეთის ხელისუფლებამ, რომელსაც სავსებით სამართლიანად ემინოდა საბჭოთა კავშირის ხელახალი თავდასხმისა, ხელიდან არ გაუშვა ეს შანსი და 1940წ. 12 და 22 სექტემბერს ხელი მოაწერა ორ ხელშეკრულებას, რომლებიც არეგულირებდნენ ფინეთის ტერიტორიის გავლით გერმანიის ჯარების ტრანზიტის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ ასპექტებს.³ ყოველივე ეს არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან 1939-1940წწ. სსრკ-ფინეთის ომმა ცხადყო ფინეთის არმიის ძალა და ის ჰიტლერმა სასურველ მოკავშირედ ჩათვალა საბჭოთა კავშირთან მომავალ შესაძლო დაპირისპირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1940წ. აგ-

¹ **Генри Пикер.** Застольные разговоры Гитлера. Смоленск, 1993, 27 июля 1942г. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ანალოგიურად აფასებენ ამ ფაქტს საბჭოთა მკვლევარებიც. უფრო მეტიც, ა. ორლოვმა დაამატა, რომ ბუკოვინაზე გადიოდა ევროპული ზომების რკინიგზა, რომელიც აერთიანებდა ოდესას ლვოვთან (იხ.: **А. С. Орлов.** СССР-Германия: военно-политические отношения накануне агрессии. –*Военно-исторический журнал*, 1991, №10, გვ. 17

² დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: **Мауно Йокипини.** Финляндия на пути к войне: исследование о военном сотрудничестве Германии и Финляндии в 1940-1941гг. Петрозаводск, 1999, ნაწ. IV, §3. ელექტრონული ვერსია იხ.: <http://www.aroundspb.ru/finnish/waywar/2.php>.

³ **Gerhard L. Weinberg.** Germany, Hitler, and World War II: Essays in Modern German and World History. New York, 1995, გვ. 162.

ვისტოში გასცა ბრძანება სსრკ-ს წინააღმდეგ სამხედრო გეგმის შემუშავებისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1940წ. ნოემბრამდე მას არ ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ამ საკითხთან დაკავშირებით.¹ არსებობს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გერმანიის რაიხსკანცლერმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მოლოტოვთან 1940 წლის 12-13 ნოემბერს გამართული მოლაპარაკებების შემდეგ დააჩქარებინა გეგმის შემუშავება და, პირველ რიგში, ეს განპირობებულ იქნა საბჭოთა დიპლომატიის მიერ დაფიქსირებული მეტად მკაცრი პოზიციით ბულგარეთის საკითხთან დაკავშირებით.²

მესამე რაიხის სამხედრო გეგმებისაგან განსხვავებით, საბჭოთა მხარის გეგმების შესახებ გაცილებით ნაკლები არის ცნობილი. ჩვენი აზრით, დღეისათვის დანამდვილებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი რამ: გერმანიაზე საბჭოთა თავდასხმის გეგ-

¹ უფრო მეტიც, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ვ. გოროდეცი ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილება ამის შესახებ მან მიიღო მხოლოდ დეკემბერში, როდესაც სტალინმა პიტლერი პრაქტიკულად გამოუვალ სიტუაციაში მოაქცია თავისი სწრაფვით რუმინეთისაკენ. კერძოდ, ის აღწერს დუნაის შესართავთან დაკავშირებულ სიტუაციას, როდესაც სტალინმა ფაქტობრივად მოითხოვა სსრ კავშირის სრული კონტროლი დუნაის შესართავზე. გერმანიამ და იტალიამ შესთავაზეს სტალინს, რომ ისინი შეასრულებდნენ მედიატორის ფუნქციებს საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ამ საკითხზე, მაგრამ საბჭოეთის ლიდერმა წინადადება უხეშად უარყო. სწორედ ამის შემდეგ, მეორე დღეს იქნა მიღებული გადაწყვეტილება „ბარბაროსას“ განხორციელების შესახებ. გოროდეციის თქმით, სტალინმა ამით ფაქტობრივად აიძულა პიტლერი, ხელი მოეწერა „ბარბაროსასთვის“ (იხ. **Gabriel Gorodetsky. The Grand Delusion**, გვ. 85). საინტერესოა, რამდენად ეთანხმება ვ. გოროდეციის მიერ მოყვანილი ეს ინფორმაცია ამავე წიგნში სხვა ადგილას მოცემულ მისსავე დასკვნებს იმის შესახებ, რომ სტალინს ძალიან ეშინოდა პიტლერის და მზად იყო ყველაფრის გასაკეთებლად, რათა თავიდან აეცილებინა ომი (იხ.: **Gabriel Gorodetsky. The Grand Delusion**, გვ. 321).

² ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **თ. პაპასქირი**. ვ. მოლოტოვის ვიზიტი ბერლინში და ბულგარეთის საკითხი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში 1940წ. შემოდგომაზე. – *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*, I, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2007, გვ. 282-289.

მა ნამდვილად არსებობდა, როგორც მინიმუმ, 1941წ. მაისიდან. სხვა საქმეა, რომ არსებობს მონაცემები, რომ ის უბრალოდ იყო ბოლო ვარიანტი ჯერ კიდევ 1939წ. შემოდგომაზე შექმნილი სამხედრო გეგმებისა, რომლებიც შემდგომში არაერთხელ იქნა დახვეწილი.¹ ვინაიდან აღნიშნული გეგმები რუსეთში კვლავინდებურად გასაიდუმლოებულია, საკითხის საბოლოოდ გარკვევა დღეს უბრალოდ შეუძლებელია, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ არის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი.

მართალია, თუ საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბი ნამდვილად 1939 წლიდან ამუშავებდა სამხედრო გეგმას გერმანიის წინააღმდეგ (რაც სავსებით სავარაუდო უნდა იყოს), ეს გარკვეულწილად გააძლიერებს მათ პოზიციას, ვინც ამტკიცებს, რომ ჰიტლერმა მართლაც პრევენტული დარტყმა მიაყენა სსრ კავშირს, მაგრამ აქ ალბათ მთავარი მაინც სხვა რამეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიტლერი, ეტყობა, სათანადოდ არ იყო ინფორმირებული ომისათვის მისკოვის სამხედრო მზადების შესახებ და, შესაბამისად, არც გენერალური შტაბის მიერ შექმნილი გეგმების შესახებ იცოდა რაიმე. ასე რომ, გადაწყვეტილების მიღებისას ის ხელმძღვანელობდა მხოლოდ საკუთარი ვარაუდებით და არა კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამიტომ, ჩვენი აზრით, გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე არ შეიძლება ჩაითვალოს პრევენტულ დარტყმად. ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც ორივე მხარე გამალებით ემზადებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ომისათვის და ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ნაკლები სამხედრო ნაწილები თუ ტექნიკა ჰქონდა თავმოსაყრელი, დაასწრო მეორეს, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე უწევდა ჯარების გადასროლა.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა გერმანიის თავდაპირველი წარმატება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. საბჭოთა ნაწილები, რომლებიც ელოდებოდნენ შეტევით ომს, უბრალოდ მზად არ აღმოჩნდნენ თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად. თანაც, დამრტყმელი დაჯგუფების საუკეთესო შენაერთ-

¹ М. И. Мельтюхов. Упущенный шанс Сталина, გვ. 375.

ბისათვის უკანდახევაც კი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მათი პოზიციების გამო, რამაც განაპირობა კიდევ საბჭოთა ტყვეების გასაოცრად დიდი რაოდენობა ომის პირველ თვეებში.¹

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვ. სუვოროვი აბსოლუტურად სწორია თავისი დასკვნების ძირითად ნაწილში და მისი კრიტიკოსები მართლმაც არიან მხოლოდ პრევენტული დარტყმის საკითხში, თუმცა რუსული ისტორიოგრაფია, რომლის უდიდესი ნაწილიც „წარმატებით“ მიჰყვება საბჭოური ისტორიოგრაფიის „საუკეთესო ტრადიციებს“, კვლავინდებურად იდეოლოგიურ დატვირთვას აძლევს მეორე მსოფლიო ომს და ერთგვარ სირაქლემას პოზას იკავებს პრობლემის მიმართ. იმედია, დროთა განმავლობაში ამ საკითხის გარშემო ისევე აღმოჩნდება ახალი დოკუმენტები, როგორც ეს მოხდა 1939წ. 23 აგვისტოს პაქტის საიდუმლო ოქმებთან მიმართებაში ან 1944წ. შემოდგომაზე სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის გავლენის სფეროებად დაყოფასთან დაკავშირებით. მხოლოდ ამის შემდეგ დაესმება წერტილი დისკუსიას იმის თაობაზე, თუ რა გეგმები ჰქონდა სტალინს და რამ განაპირობა ის კატასტროფა, რომელიც განიცადა საბჭოთა კავშირმა 1941წ. ზაფხულში.

¹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომის პირველ თვეებში გერმანელებს ხელთ ჩაუვარდათ 3,3 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი. ეს რიცხვი თითქმის უტოლდებოდა გერმანიის მიერ „ბარბაროსას“ პირველ ეტაპში მონაწილეობის მისაღებად გამოყოფილ სამხედრო კონტინგენტს, რომელიც 3,9 მილიონ ჯარისკაცს შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური საბჭოური ისტორიოგრაფიის მონაცემებით, სსრკ-ს წინააღმდეგ მობილიზებული იყო 4,6 მილიონი ჯარისკაცი (*История второй мировой войны*. В 12 томах. Пред. ред. ком. А. А. Гречко (т. 1-7) и Д. Ф. Устинов (т. 8-12). Т. 4. Фашистская агрессия против СССР. Крах стратегии «молниеносной войны». Гл. ред. Н. Г. Андроников. М., 1975, გვ. 21), მაგრამ აქ შეყვანილი იქნა რეზერვიც, რომელიც 1941წ. სამხედრო ოპერაციებში არ გამოუყენებიათ.

ТЕЙМУРАЗ ПАПАСКИРИ

ОБ ОДНОЙ ДИСКУССИИ В РУССКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

В статье рассматривается вопрос об одной дискуссии, которая ведется в русской историографии с первой половины 90-х годов XXв. Речь идёт о концепции В. Суворова, согласно которой Сталин собирался напасть на Германию летом 1941г., однако Гитлер сумел его опередить на несколько недель. Большинство российских историков крайне отрицательно встретили данную концепцию и обрушились с жёсткой критикой на её автора. В статье отмечено, что, несмотря на огромный объем «антисуворовской» литературы, критики не смогли опровергнуть ни одно из его 3-х главных утверждений: 1. Летом 1941г. у Сталина всё было практически готово к нападению на Германию, но Гитлер опередил его на две недели; 2. Подготовка к нападению на Германию началась еще 19 августа 1939 года, когда было принято решение заключить с ней пакт о ненападении; 3. Сталин, а вместе с ним и Советский Союз, не меньше Гитлера и Германии повинен в развязывании Второй мировой войны. Более того, новейшие исследования более либерально настроенных российских историков, а также исследователей поддерживающих Суворова, практически полностью доказали намерение Сталина напасть на Германию летом 1941г. Единственное утверждение Суворова, которое действительно удалось опровергнуть его критикам, касается тезиса о превентивной войне со стороны Гитлера. В статье показано, что Гитлер не знал о намерениях Сталина и, следовательно, нападение на СССР в июне 1941г. не могло быть превентивным для него.

TEIMURAZ PAPASKIRI

ABOUT ONE DEBATE IN THE RUSSIAN HISTORIOGRAPHY

The paper deals with a debate which is conducted in the Russian historiography since the first half of 1990's regarding the concept of V. Suvorov. According to this concept, Stalin was going to launch an offensive against Germany in the summer of 1941, but the Hitler was able to forestall him by several weeks. Most part of the Russian historians expressed the negative attitude to this concept and harshly criticized its author. Nevertheless, despite the huge amount of "anti-Suvorov" literature, his critics were not able to refute any of his three major statements: 1. Stalin had prepared practically everything to attack Germany in the summer of 1941, but Hitler forestalled him by two weeks; 2. The preparations for the attack against Germany began on August 19, 1939, the same day when the decision to sign a non-aggression pact with Germany was adopted; 3. Stalin, and the Soviet Union, share the same responsibility with Hitler and Germany in starting the Second World War. Moreover, the scholars with more liberal views, and Suvorov's supporters practically had proven in their recent researches that Stalin really was ready to launch an offensive against Germany in the summer of 1939. Suvorov's opponents were able to refute his only one statement, which was concerning the pre-emptive character of the Soviet-German war for Hitler. It is shown in the paper that Hitler had no idea about Stalin's intentions in June 1941, therefore, the offensive against the Soviet Union could not be pre-emptive for him.

არკადი ქაქუა

კონსერვატიულ-ლიბერალური კონცეფცია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში

ეს კონცეფცია თავის სათავეს საერთაშორისო პოლიტიკის რეალისტური თეორიიდან იღებს. მრავალმა ამერიკელმა მკვლევარმა საკმაოდ საღად შეაფასა ბიპოლარული სისტემის რღვევის შედეგად შექმნილი ახალი საერთაშორისო ვითარება და ქვეყნის მომავალი როლი: ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია იკისროს მსოფლიო ჰეგემონის მისია. ის არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ძალის ფაქტორს. ეს პოლიტოლოგები უფრო პრაგმატული, დაბალანსებული მიდგომისაკენ იხრებიან, რომელიც ასახავს ქვეყნის ერთ ინტერესებს და მის შინა რესურსებს. ეს არის მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ის ჯგუფი, რომელიც თუმცა არ უარყოფს ამერიკის ლიდერობას, მაგრამ არ აღიარებს მის უფლებას ცალმხრივად დაამყაროს ახალი მსოფლიო წესრიგი. ისინი საერთაშორისო ურთიერთობებში „არჩევითი ჩაფლობის“ აქტიური მომხრეები არიან.

„არჩევითი ჩაფლობის“ მომხრე მეცნიერები და პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჰეგემონობისთვის ბრძოლას და მასთან დაკავშირებულ მსხვერპლს სხვა სახელმწიფოებთან ერთად საერთაშორისო გარემოს იმგვარად ფორმირება სჯობს, რომ ის არამართო აშშ-ს, არამედ სხვათა ინტერესებსაც აკმაყოფილებდეს. კლინტონის ადმინისტრაციის ყოფილი წევრები – უილიამ პერი, ჯოზეფ ნაი და ეშტონ კარტერი ამტკიცებენ, რომ აშშ-მა ბოლო პერიოდში დაკარგა რეალური ინტერესების შეგრძნება, რომლის ქვაკუთხედს „ჰარტლანდის“ დაცვა წარმოადგენს.¹

¹ **Ashton B. Carter, William J. Perry.** Preventive Defense: A New Security Strategy for America. Washington, D.C., 1999; **Joseph S. Nye, Jr.** Redefining the National Interest. – *Foreign Affairs*, July/August 1999, გვ. 22-35.

„არჩევითი ჩაფლობის“ კონცეფციის მომხრეებმა აშშ-ს წინაშე მდგომი საფრთხეები სამ კატეგორიად დაჰყვეს:

- საფრთხეები, რომლებსაც ამერიკის ძირეულ ინტერესებზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია; მაგალითად, არაპროგნოზირებადი რუსეთი, მტრულად განწყობილი ჩინეთი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე.
- რეგიონული კონფლიქტები, რომლებშიც აშშ საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების გამო, შეიძლება აღმოჩნდეს ჩათრეული – მაგალითად, ომი სპარსეთის ყურეში.
- პრობლემები პერიფერიაზე, რომლებიც საერთაშორისო ყურადღებას იპყრობს; მაგალითად, კოსოვო, ბოსნია, რუანდა, სომალი, ჰაიტი და ა.შ.

„არჩევითი ჩაფლობის“ მომხრეთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, 70-იანი წლების პირველი ნახევრის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი ჰენრი კისინჯერი. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შექმნილი ისტორიული ცოდნა და პოლიტიკური გამოცდილება ჰენრი კისინჯერმა ერთად შეაჯამა და 1994 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „*დიპლომატია*“.¹ ეს წიგნი 1994-1995 წლების ეროვნული ბესტსელერი გახდა.

წიგნის პირველ თავში ჰ. კისინჯერი იხილავს ახალი მსოფლიო წესრიგის და საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირებას: „თითოეულ ასწლეულში, რაღაც ბუნების კანონის შესაბამისად ჩნდება ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ძლიერება, ნებისყოფა, ასევე აუცილებელი ინტელექტუალური და მორალური სტიმულები, რათა მთელი საერთაშორისო სისტემა მოიყვანოს შესაბამისობაში საკუთარ ღირებულებებთან“.² შემდეგ ავტორი ხაზს უსვამს, თუ როგორი იყო საერთაშორისო საკითხებისადმი მიდგომა სხვადასხვა ეპოქაში: „XVII საუკუნეში საფრანგეთმა რი-

¹ 1997წ. გამოვიდა ამ წიგნის რუსული თარგმანი. იხ. **Г. Кисинджер**. Дипломатия. М., 1997.

² **Г. Кисинджер**. Дипломатия, გვ. 9.

შელიეს მეთაურობით მოგვცა ახალი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებთან, რომელიც დაფუძნებული იყო სახელმწიფო-ერის პრინციპებზე და რომელიც საბოლოო მიზნად ეროვნულ ინტერესებს აცხადებდა. XVIII საუკუნეში დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა ძალთა თანაფარდობის კონცეფცია, რომელიც ევროპაში ბატონობდა მომდევნო ორასი წლის განმავლობაში. XIX საუკუნეში მეტერნიზის ავსტრიამ განახორციელა „ევროპის კონცერტის“ რეკონსტრუქცია. ბისმარკის გერმანიამ კი მოახდინა მისი დემონტაჟი და ევროპის დიპლომატია გადააქცია ძალის პოლიტიკის ცივისსხლიან თამაშად.

XX საუკუნეში არც ერთ ქვეყანას არ მოუხდენია ისეთი დიდი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, როგორც ამერიკას, არც ერთი სხვა ერი არ ყოფილა უფრო პრაგმატული და თანმიმდევრული დიპლომატიურ მოღვაწეობაში. არც ერთი სახელმწიფო ასე მიზანსწრაფულად არ გაჰყოლია თავის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნორმებს. ამერიკის მიერ ისტორიული განვითარების დროს შეძენილმა სპეციფიკურმა შტრიხებმა წარმოშვა ორი სრულიად განსხვავებული მიდგომა საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ამერიკა საუკეთესოდ ამტკიცებს თავის ღირებულებებს, სრულყოფს რა დემოკრატიას შინ და ამიტომ არის გზამკვლევი შექურა კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისათვის, მეორეს არსი კი მდგომარეობს შემდეგში: თვითონ ეს ღირებულებები ავალებს ამერიკას იბრძოლოს მათი დამკვიდრებისათვის მსოფლიო მასშტაბით. აზროვნების ორივე მიმართულება, რომელიც ამერიკას წარმოაჩენს როგორც შექურას, ან ჯვაროსან მებრძოლს, გვთავაზობს ახალ წესრიგს, რაც დაფუძნებულია დემოკრატიაზე, თავისუფალ ვაჭრობასა და საერთაშორისო სამართალზე. რადგან ასეთი სისტემა არასოდეს არსებობდა, მისი შექმნა ხშირად წარმოუდგენიათ როგორც უტოპიური ან გულუბრყვილო“.¹

თვითონ კისინჯერი კი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიო უნიპოლარული უნდა იყოს. „სინამდვილეში შეერთებუ-

¹ Г. Кисинджер. Дипломатия, გვ. 10.

ლი შტატები არ იმყოფებიან ისეთ ბრწყინვალე მდგომარეობაში, რომ ცალმხრივად კარნახობდნენ გლობალურ საერთაშორისო ურთიერთობებს. ამერიკამ მოიპოვა მეტი უპირატესობა, ვიდრე ათი წლის წინ, მაგრამ ბედის ირონიით მისი ძალა უფრო შემცირდა. შესაბამისად შემცირდა ამერიკის შესაძლებლობა გამოიყენოს ეს ძალა მსოფლიო საქმეებში ჩარევისათვის“, – წერს კისინჯერი.¹ ის ვარაუდობს, რომ მომავალში შეერთებული შტატები დაკარგავს თავისი გავლენის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ამ ფაქტს საგანგაშოდ არ მიიჩნევს და ამშვიდებს ამერიკელებს: „ამერიკა იქნება ღიდი და ძლიერი ერი... პირველი თანასწოროთა შორის, მაგრამ ერთ-ერთი და არა ერთადერთი... ამერიკელებმა არ უნდა აღიქვან ეს ფაქტი როგორც დამამცირებელი, ან როგორც ეროვნული დაცემის სიმპტომი... სხვა ძალის ცენტრების – დასავლეთ ეროპის, იაპონიის და ჩინეთის – აღზევებამ არ უნდა შეაშინოს ამერიკელები. ბოლოსდაბოლოს, მსოფლიო რესურსების საერთო გამოყენება, სხვა საზოგადოებების ან ეკონომიკების განვითარება იყო ამერიკის ტიპიური ამოცანა მარშალის გეგმიდან“.²

აქედან გამომდინარე, კისინჯერი კონკრეტულ რჩევებსაც იძლევა. მაგალითად, აშშ-ს რუსულ პოლიტიკაში ის ვაშინგტონის მთავარ პრობლემად მიიჩნევს იმას, თუ რამდენად შეძლებს რუსეთი დარჩეს იმ საზღვრებში, რომელიც დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული.³ ამის ქვეტექსტი კი ასეთია: აშშ-მა არ უნდა დაუშვას რუსეთის გაერთიანება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან. პეკინთან მიმართებაში კი აუცილებელია გავიგოთ, რომ „ჩინეთი ჩვენგან სრულიად განსხვავებული საზოგადოებაა“. არ შეიძლება მასზე ზეწოლა, როგორც ეს საბჭოთა კავშირის მიმართ ხდებოდა, „ვინაიდან აზიის არც ერთი ქვეყანა ჩვენ მხარს არ დაგვიჭერს“.⁴ მთლიანობაში კი აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი თვლის, რომ საჭიროა ამერიკამ უარი თქვას გლობალიზაციაზე და ყურადღება გადაიტანოს ორმხრივ ურთიერთობებზე, არ არის გამო-

¹ Г. Кисинджер. Дипломатия, гв. 737-738.

² Г. Кисинджер. Дипломатия, гв. 737.

³ Н. Kissinger. United States Foreign Policy. – *The Vital Speech of the Day*, June 1, 1996, гв. 487.

⁴ Н. Kissinger. United States Foreign Policy, гв. 488.

რიცხული საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობაც. კინჯერის აზრით, ყველაფერი ეს შეიძლება მოხდეს ძალთა ბალანსის საფუძველზე.

„არჩევითი ჩაფლობის“ მომხრეა ჟურნალ „Foreign Policy“-ს მთავარი რედაქტორი უილიამ მენსიცი (ერთ დროს სახელმწიფო მდივნის თანამემწე პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ადმინისტრაციაში). მენსის აზრით, შეერთებული შტატების თანამედროვე საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება არა დოქტრინებით, არამედ მოვლენებზე უბრალო რეაქციით. მისი აზრით, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ და „გაფართოების“ დოქტრინის ალტერნატიული კონცეფცია უნდა გახდეს შეხედულებათა სისტემა, რომელიც შეერთებული შტატების ოთხ ფუნდამენტურ მიზანზე იქნება დამყარებული:

- სახელმწიფოს დაცვა თავდასხმისაგან;
- იმ პირობების დაცვა, ან შექმნა, სადაც შეერთებული შტატების დემოკრატია უკეთესად განვითარდება; ამერიკელი ხალხის კეთილდღეობის დაცვა და თუ შესაძლებელი იქნება, მისი გაზრდა;
- ამერიკის როგორც საერთაშორისო სისტემის ხელმძღვანელის როლის შენარჩუნება, თან ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილება.¹

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მენსიცი პოლიტიკას რუსეთისა და ჩინეთის მიმართ. ის მკაცრად აკრიტიკებს ამ ქვეყნებზე „ადამიანის უფლებების“ და მთლიანად „დემოკრატიის“ თავზე მოხვევის პოლიტიკას. მენსიცი მიუთითებს, რომ ამ ხალხს ასეთი საკითხებისადმი ამერიკელებისაგან განსხვავებული ხედვა აქვთ. იმის მაგიერ, რომ „თანაბარ“ პირობებზე ხელი შეუწყონ რუსეთის და ჩინეთის ჩაფლობას გლობალურ საქმეებში. „დასავლეთი შეერთებული შტატებით სათავეში მოითხოვს, რომ რუსეთმა გაიაროს გარკვეული რაოდენობა მკაცრი გამოცდებისა, სანამ მოიპოვებს სრული პარტნიორობის უფლებას“.²

¹ Ch. W. Maynes. Bottom-Up Foreign Policy – *Foreign Policy* (Fall 1996), გვ. 38.

² Ch. W. Maynes. Bottom-Up Foreign Policy, გვ. 43.

მენსი თვლის, რომ მუდმივი ლაპარაკი აშშ-ს ზესახელმწიფოებრიობაზე მხოლოდ აღიზიანებს დანარჩენ მსოფლიოს, ხოლო პოლიტიკა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სფეროში საკმობად ორაზროვანია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამერიკა თვალს ხუჭავს იგივე პრობლემებზე თურქეთში ან ეგვიპტეში.¹

„არჩევითი ჩაფლობის“ მომხრეები თვლიან, რომ შეერთებულმა შტატებმა უარი უნდა თქვას მესიანისტურ იდეებზე, არ უნდა შეეწინააღმდეგოს ძალის სხვა ცენტრების ჩამოყალიბებას. აშშ-მა თავისი უნიკალური პოზიციის გამოყენებით უნდა მოძებნოს საკუთარი ადგილი საერთაშორისო სისტემაში, უნდა გაითვალისწინოს, რომ დემოკრატიის და ეკონომიკის ამერიკულ მოდელს არა აქვს უნივერსალური ხასიათი.

ამ აზრის მომხრეა „ცივი ომის“ ყოფილი იდეოლოგი ჯ. ფ. კენანი. 1993 წელს გამოვიდა მისი წიგნი „დიდ სიძაღლესთან. პირადი და პოლიტიკური ფილოსოფია“.² ჯ. კენანი გამოპყოფს სახელმწიფოებრივ ინტერესთა ორ ჯგუფს. ესენია: ადგილობრივი, ე.ი. შინასახელმწიფოებრივი ინტერესები და საგარეო პოლიტიკური ინტერესები. ავტორის აზრით, პირველ რიგში ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივ ინტერესებს. ამერიკა საჭიროებს რეფორმებს. ამიტომ მისი საგარეო აქტიურობა უნდა შემცირდეს, გახდეს ნაკლებ პრეტენზიული და უფრო ეკონომიური. „მე მთლიანად და კატეგორიულად უარვყოფ ყოველგვარ მესიანისტურ კონცეფციებს ამერიკის როლის შესახებ, არ ვეთანხმები, როდესაც ჩვენზე ლაპარაკობენ როგორც მასწავლებლებზე და კაცობრიობის მხსნელებზე... უარვყოფ ყოველგვარ ილუზიურ წარმოდგენებს „ამერიკის საუკუნეზე“ ე.ი ყველა იმ იდეას, რომელსაც წლების განმავლობაში უნერგავდნენ ამერიკელთა რამოდენიმე თაობას“.³

თავის წიგნში კენანი ეწინააღმდეგება არსებული საერთაშო-

¹ Ch. W. Maynes. Bottom-Up Foreign Policy, გვ. 43.

² G. F. Kennan. Around the Cragged Hill: A Personal and Political Philosophy. N.Y-London, 1992.

³ G. F. Kennan. Around the Cragged Hill., გვ. 182-183.

რისო სტრუქტურების რეორგანიზაციას და დაუფიქრებელ დემონ-ტაჟს. ის ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატები-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო კულტურულ და პოლიტიკურ ტრადიციებს, ასევე იმ ფაქტს, რომ ევროპელები ამერიკაში ხედავენ მშვიდობის გარანტს.¹ მაგრამ მათი სამხედრო ალიანსი არ უნდა იყოს მიმართული რომელიმე კონკრეტული მტრის წინააღმდეგ, როგორც ეს ცივი ომის პერიოდში იყო; ის არის ევროპის უსაფრთხოების და კეთილდღეობის გარანტი.²

„არჩევითი ჩაფლობის“ თეორიას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებდა ბილ კლინტონის ადმინისტრაცია. ამაზე მეტყველებს ამ დროს მიღებული საბაზო დოკუმენტი „ჩაფლობის და გაფართოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“.³ ამ ფრაზაში – „ჩაფლობა და გაფართოება“ – ნათლად ვლინდება სტრატეგიის მიზანი – შეერთებულმა შტატებმა უნდა განავრცონ და გააფართოვონ თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ქვეყნების რაოდენობა. ნეოიზოლაციონიზმი აბსოლუტურად უარყოფილია.

დოკუმენტში აღიარებულია, რომ ამერიკის ჩაფლობას მსოფლიო საქმეებში თავისი საზღვარი აქვს და რომ „ამერიკას არ შეუძლია ყველა პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა“. ტრანსეროვნული საფრთხეების და გამოწვევების სიმრავლე მოითხოვს ამ პრობლემების „კოლექტიურ, მრავალმხრივ მოგვარებას“. შეიარაღებათა კონტროლი განხილულია როგორც „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი“. მაგრამ, შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელიც მოითხოვს ამერიკის ცალმხრივ მოქმედებას (დოკუმენტი ამასაც ითვალისწინებს). „ჩვენმა ლიდერობამ შეიძლება მოითხოვოს პრევენტული დიპლომატიის გატარება... რაც დაგვეხმარება პრობლემის მოგვარებაში, უთანხმოებების შემცირებაში და კონფლიქტების დაშლაში, სანამ ისინი კრიზისში გადაიზრდებიან“.⁴ მაგრამ, მაინც „ჩვენი მონაწილეობა უნდა იყოს არჩევითი, ძირითადად ფოკუსირე-

¹ G. F. Kennan. Around the Cragged Hill., გვ. 195-197.

² G. F. Kennan. Around the Cragged Hill., გვ. 214.

³ A National Security Strategy of Engagement and Enlargement. Washington, D.C.: Government Printing Office, February, 1996.

⁴ A National Security Strategy of Engagement and Enlargement, გვ. 2.

ბული იმ გამოწვევებზე, რომლებიც ჩვენი ინტერესებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს, ჩვენი რესურსების გათვალისწინებით“.¹

დოკუმენტის ცალკეული ნაწილი აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაძლიერების აუცილებლობას და მოითხოვს შეერთებული შტატებისაგან მრავალმხრივ სამშვიდობო აქციებში მონაწილეობის მზადყოფნას. მაგრამ აქვე ჩამოყალიბებულია ის პირობები, რომელთა არსებობის დროს ამერიკას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გაერო-ს ღონისძიებებში. ეს პირობები კი მნიშვნელოვნად ზღუდავენ შეერთებული შტატების მონაწილეობას მრავალმხრივ აქციებში. დემოკრატიული ფასეულობები აუცილებლად უნდა დაინერგოს, მაგრამ აქაც საჭიროა არჩევითი მიდგომა: მსოფლიოს ზოგიერთი ნაწილი და ზოგიერთი სახელმწიფო, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და სამხრეთი და აღმოსავლეთი ევროპა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რეგიონები. შეერთებული შტატები ჩაერევიან შინა ეთნიკურ კონფლიქტებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იქნება ნათელი სტრატეგია ამის მიმართ. ჰუმანიტარული ინტერვენციაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ „გარკვეული პირობების არსებობისას“.² ამ პირობების საიდუმლო კი შემდეგში მდგომარეობს – ნებისმიერი აქციის ჩატარებისას, ამერიკას უნდა ჰქონდეს კონკრეტული ნათელი მიზანი და ინტერესი.

საინტერესო აზრს გამოთქვამს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ს. ჰანტინგტონი. ის გამოდის „გლობალური ლიდერობის“ კონცეფციის კრიტიკით და ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბალანსს რამდენიმე პოლუსს შორის (წამყვან მსოფლიო სახელმწიფოთა შორის), სადაც შეერთებულ შტატებს ერთადერთი ზესახელმწიფოს უნიკალური პოზიცია უჭირავს. ამერიკას არ შეუძლია ცალმხრივად, სხვა ქვეყნების დახმარების გარეშე გადაწყვიტოს საკვანძო საერთაშორისო პრობლემები. უნიპოლარობა დამახასიათებელი იყო დროის მცირე მონაკვეთის

¹ *A National Security Strategy of Engagement and Enlargement*, გვ. 18.

² *A National Security Strategy of Engagement and Enlargement*, გვ. 18.

პერიოდში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და კულმინაციას მიაღწია ერაყში ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“ ჩატარების დროს.¹

ს. ჰანტინგტონი აღნიშნავს რომ მონოპოლარულ სისტემაში არსებობს ერთი ზესახელმწიფო, არც ერთი ღიდი სახელმწიფო და მრავალი პატარა ქვეყანა. თანამედროვე სისტემაში კი არსებობს რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო, რომელთა შორის მიმდინარეობს თანამშრომლობა და ერთდროულად მძაფრი კონკურენცია. ამავე დროს, ერთადერთ ზესახელმწიფოს შეუძლია ამ ქვეყნების ნებისმიერი განსაკუთრებული კურსის ბლოკირება.²

მეცნიერი მიიჩნევს აგრეთვე, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო კონფლიქტების წყაროდ შეიძლება გადაიქცეს კულტურების განსხვავება. ის გამოჰყოფს შვიდ ცივილიზაციას. ის ამტკიცებს, რომ ცივილიზაციური განსხვავებანი პრინციპული ხასიათის არიან და კომპრომისის მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია.³ მსოფლიო მოწყობის გარკვეულ კომპრომისულ ვარიანტს გვთავაზობს ჩ. კუპჩანი. თუ არ შეიძლება ამერიკის გლობალური ლიდერობის დიდხანს უზრუნველყოფა და არც ნეოიზოლაციონიზმი არის მისაღები, მაშინ ჩ. კუპჩანი გვთავაზობს სამპოლუსიანი მსოფლიოს მოდელს. ის გამოჰყოფს სამხედრო და სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებულ სამ რეგიონს. ყოველ მათგანში არის თავისი ლიდერი. ესენია:

- **ჩრდილოეთ ამერიკა:** ლიდერი – *შეერთებული შტატები;*
- **ევროპა:** ლიდერი – *გერმანია და საფრანგეთი;*
- **აღმოსავლეთი:** ლიდერი – *ჩინეთი და იაპონია.*

ავტორის აზრით, ამ მოდელის სიმტკიცე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ყოველ რეგიონში არის ძლიერი სახელმწიფო-ლიდერი. მაგრამ მას მოუწევს თავისი პოლიტიკის კოორდინირება რეგიონში არსებულ სხვა სახელმწიფოების პოლიტიკას-

¹ **S. Huntington.** The Lonely Superpower. – *Foreign Affairs*, March-April 1999, Vol. 78, Issue 2, გვ. 35-49.

² **S. Huntington.** The Lonely Superpower, გვ. 35.

³ **S. Huntington.** The Clash of Civilization and Remaking of World Oder. New York, 1996, გვ. 183.

თან, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ნებისმიერი რეგიონული ლიდერის უპირობო ჰეგემონად გადაქცევას.¹

ჩ. კუპჩანი წერს, რომ უკეთესია მოხდეს ძალაუფლების გეგმიური განაწილება ცალკეულ რეგიონალურ ლიდერს შორის ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით და მისი კონტროლის ქვეშ, ვიდრე პოლიტიკური ძალაუფლების უკონტროლო გავრცელება. მოკლედ, ვაშინგტონისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნების განვითარების რეგულირება, რომლებიც მას პოტენციურ საფრთხეს უქმნიან.²

ამერიკამ უნდა გააკეთოს არჩევანი: ან ძალაზე დამყარებული ბატონობა ან თანხმობაზე დამყარებული ლიდერობა. დღეს ამერიკა ერთადერთი ზესახელმწიფოა. გარკვეული დროის შემდეგ მისი ზეგავლენა მსოფლიოში შემცირდება. რა მოჰყვება ამას? ასეთ კითხვას სვამს ზბ. ბუეზინსკი. ამერიკული ჰეგემონიის უეცარ დასასრულს, უსათუოდ, მოჰყვება მსოფლიო ქაოსი. საერთაშორისო ანარქიას მოჰყვება ძალადობა და გრანდიოზული ნგრევა. იგივე ეფექტი, ოღონდ დროში გაწელილი, მოჰყვება აშშ-ს უკონტროლო დაცემას. პოლიტოლოგის რჩევაა მოხდეს ძალაუფლების ეტაპობრივი და კონტროლირებადი გადანაწილება, რომელიც შექმნის გლობალური საზოგადოების სტრუქტურას, რაც თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება საერთო ინტერესებზე და ეყობა ზენაციონალური მექანიზმები, რომლებიც განახორციელებენ სპეციალურ ფუნქციებს უსაფრთხოების სფეროში.

ბუეზინსკი თვლის, რომ ძალაუფლება ძალაუფლებისათვის, ხოლო დომინირება დომინირებისათვის ვერ მოიტანს მყარ წარმატებას. დომინირებას თავისთავად მიყვავართ ჩიხისაკენ. საბოლოო ჯამში ის წარმოშობს ოპოზიციას, მაშინ როდესაც მისი ქედმაღლობა წარმოშობს თვითმოტყუებას და ისტორიულ სიბრმავეს. უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში კაცობრიობის პერსპექტივა იქნება ან მყარი სვლა საერთო ინტერესები-

¹ **Ch. Kupchan.** *After Pax Americana: Benign Power, Regional Integration and the Sources of a Stable Multipolarity.* – *International Security* N2, Fall 1998, გვ. 40-79.

² **Ch. Kupchan.** *After Pax Americana...*, გვ. 60.

საკენ ან დაჩქარებული ჩავარდნა გლობალურ ქაოსში. ქაოსის თავიდან აცილების აუცილებელი პირობაა სხვებმა მიიღონ ამერიკის ლიდერობა.¹

„არჩევითი ჩაფლობა“ ნიშნავს მსოფლიო საქმეებში სელექციურ (არჩევით) მონაწილეობას. ის წარმოადგენს კომპრომისულ კონცეფციას ორ უკიდურესობას – იზოლაციონიზმსა და ინტერვენციონიზმს – შორის. „არჩევითი ჩაფლობის“ დროს შეიძლება თავიდან ავიცილოთ ამერიკის ინტერესების როგორც ზედმეტად შეზღუდული, ასევე ზედმეტად ფართო დეფინიცია. ამ დროს ყველაზე კარგად ხერხდება პოლიტიკური ნების და მატერიალური რესურსების რაციონალური გადანაწილება.²

„არჩევითი ჩაფლობის“ თეორიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მსოფლიო წამყვან სახელმწიფოების შორის მშვიდობის უზრუნველყოფა. მათი სამხედრო პოტენციალი იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი კონფლიქტი მათ შორის საფრთხეს უქმნის თვითონ შეერთებულ შტატებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთს, ევროპის კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ამერიკამ არ უნდა დაუშვას კონფლიქტი მათ შორის, რომელიც შეიძლება ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით. მითუმეტეს ეს არის მსოფლიოს ის რეგიონები, სადაც წარმოიშვა მსოფლიო ომები, რომლებშიც ამერიკამ იძულებით მიიღო მონაწილეობა.

„არჩევითი ჩაფლობის“ მომხრეები თვლიან, რომ სახელმწიფოთა ბალანსი და ბირთვული იარაღის არსებობა ხელს უწყობს status quo-ს შენარჩუნებას. მაგრამ შეიძლება ბალანსი დაირღვეს, პოლიტიკოსებმა შეცდომა დაუშვან, ხოლო ბირთვულმა დაშინებამ არ იმუშაოს. სწორედ ამიტომ, შეერთებულმა შტატებმა დროულად უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მსოფლიოს თავს აარიდებს ასეთ საფრთხეს. ამერიკამ უნდა დაარწმუნოს ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები, რომ თუ

¹ **З. Бжезинский.** Выбор. Мировое господство или глобальное лидерство. Пер. с англ. *Е. А. Нарочницкой, Ю. Н. Кобякова.* М., 2004, გვ. 274.

² **Robert J. Art.** Geopolitics Updated. – *International Security*, Vol. 23, N 3 Winter 1998/1999, გვ. 79-113.

ეს ძალა გამოყენებული იქნება რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, შეერთებული შტატები აუცილებლად მიიღებენ ადეკვატურ ზომებს. ამიტომ, ბირთვული ომის დაწყება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება ყველა მხარისათვის.

„არჩევითი ჩაფლობის“ დამცველები ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატების რესურსები შეზღუდულია, რომ მას არ შეუძლია მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ნაწილში. ამის საშუალებას არ იძლევა არც ეკონომიკური ზრდის ტემპები და არც დემოგრაფიული სიტუაცია.¹

ამიტომ, შეერთებული შტატები არჩევითად უნდა ჩაერიოს მსოფლიო საქმეებში – უპირველეს ყოვლისა ყურადღება გადაიტანოს ისეთ საკითხებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ამერიკის ფიზიკურ არსებობას. ასეთად კი მიჩნეულია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრობლემა. მის მოგვარებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ტრადიციულმა მოკავშირეებმა. ამ მხრივ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ნატო-ს შენარჩუნება, მაგრამ არა მისი გაფართოება – თვლიან „არჩევითი ჩაფლობის“ მომხრეები.

მოკლედ, „არჩევითი ჩაფლობის“ არსი შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ:

1. **თეორიული ბაზა** – ტრადიციული ძალთა ბალანსი;
2. **საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი პრობლემა** – მშვიდობის შენარჩუნება წამყვან სახელმწიფოებს შორის;
3. **სასურველი მსოფლიო წესრიგი** – ძალთა ბალანსი;
4. **ბირთვული იარაღის დინამიკა** – მხარს უჭერს სტატუსს ქუო-ს შენარჩუნებას;
5. **ეროვნული ინტერესების კონცეფცია** – შეზღუდული;
6. **რეგიონული პრიორიტეტი** – ინდუსტრიული ევრაზია;
7. **ნატო** – უნდა შენარჩუნდეს;
8. **რეგიონული კონფლიქტი** – შეკავება, თუ საჭიროა ინტერვენცია.

¹ **Robert J. Art.** A Defensible Defence: America's Grand Strategy after the Cold War. – *International Security*, Vol.15 N4, Spring 1991. 16. 11. 1991, გვ. 45.

ამრიგად, „არჩევითი ჩაფლობის“ კონცეფციის მომხრეები შემდეგნაირად ხედავენ აშშ-ს მომავალს საერთაშორისო ასპარეზზე:

- ამერიკის ზესახელმწიფოებრივ მდგომარეობას თავისი ზღვარი აქვს, ამიტომ შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიყენოს თავისი უნიკალური პოზიცია არა იმისთვის, რომ ნებისმიერი ხერხით შეინარჩუნოს ეს პოზიცია და შექმნას დაპირისპირებული ბლოკები, არამედ უნდა მოძებნოს თავისი ადგილი მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების სისტემაში. დემოკრატიის და ეკონომიკის ამერიკული მოდელი არ არის უნივერსალური ხასიათის, ამიტომ ამ ფასეულობების ძალისმიერი დანერგვა გაუძარტლებელია, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც განსხვავებული კულტურა და ტრადიციები აქვთ;
- ვაშინგტონის კონფლიქტების დარეგულირების ძალისმიერმა პოლიტიკამ შეიძლება დაარღვიოს წესრიგი, რომლის დროს არ არსებობს გლობალური ან რეგიონული ომის პირდაპირი საფრთხე; უკვე მოხდა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის დარღვევა; ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სამხედრო კონფლიქტების გაჩენის საფრთხე;
- ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ უნდა მოახდინოს საერთაშორისო ორგანიზაციების იგნორირება, არ უნდა წარმოადგინოს ნატო საერთაშორისო სტაბილურობის ერთადერთ გარანტად, მითუმეტეს, რომ მასში შედის საერთაშორისო საზოგადოების მცირე ნაწილი;
- უარი უნდა თქვას ილუზიაზე, რომ დანარჩენი მსოფლიო თავის ლიდერად შეერთებულ შტატებს ხედავს;
- უნდა გამოვიყენოთ აშშ-ს უპირატესობა სახელმწიფოთა შორის კოოპერატიული თანამშრომლობის მოდელის ჩამოყალიბებისთვის;
- უნდა შეიქმნას რეგიონალური უსაფრთხოების სისტემები, სადაც აშშ-ს მონაწილეობა სასურველი იქნება, მაგრამ არა აუცილებელი.

АРКАДИЙ ДЗАДЗУА

КОНСЕРВАТИВНО-ЛИБЕРАЛЬНАЯ КОНЦЕПЦИЯ ВО ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКЕ США

Консервативно-либеральная концепция берёт свое начало от реалистической теории международной политики. Многие американские исследователи довольно здраво оценили создавшуюся после разрушения биполярной системы новую международную обстановку и будущее место в ней страны – Соединенные Штаты Америки не могут взять на себя роль мирового гегемона. Америка не может опираться только на фактор силы. Эти политологи склоняются к более прагматичному, сбалансированному подходу, который отражает национальные интересы страны и её внутренние ресурсы. Эта группа ученых и политиков хотя и не отрицает американского лидерства, но и не признаёт её права на одностороннее установление нового мирового порядка. Они являются сторонниками «выборочной вовлеченности» в международные отношения и считают, что вместо борьбы за гегемонию, лучше совместно с другими государствами создать такую международную среду, где будут учтены не только интересы Соединенных Штатов, но и интересы всех других государств. Одной из главных целей теории «выборочной вовлеченности» является обеспечение мира среди ведущих стран мира. Их военный потенциал настолько велик, что любой конфликт между ними представляет угрозу США. Особенное значение имеют Россия, Европейский Союз, Китай.

ARKADI DZADZUA

**CONSERVATIVE-LIBERAL CONCEPT IN
THE US FOREIGN POLICY**

The conservative-liberal concept rises from the realistic theory of international affairs. Many American researchers quite soundly evaluated the new international situation, which evolved after the collapse of bipolar system, and the place of their country. The USA cannot afford the world hegemony and be based only on power. These political scientists are leaning toward more pragmatic and balance policy, which reflects the national interests of the state and its internal resources. Although this group of scholars and politicians does not disclaim the American leadership, it also does not recognize its right on unilateral establishment of the New World Order. They support the strategy of “selective involvement” in the international relations, and, instead of struggling for the world hegemony, they consider it better to create together with other states an international environment, in which the interests of all states, along with the US interests, will be taken into account. Securing the peace among the leading states of the world is one of the main objectives of strategy of “selective involvement”. The military potential of the leading states is so big, that any conflict between them will be threatening the USA. Russia, European Union and China have the utmost significance among the leading states.

ნანი გელოვანი

ისლამური ფაქტორი საუდის არაბეთისა და ამერიკის შიმრთებულ შტატების ურთიერთობაში

XXს. 70-80-იან წლებში მუსლიმურ ქვეყნებში დაიწყო ისლამის აღმავლობა, გაძლიერდა ისლამის ექსპანსია არა მხოლოდ აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, არამედ ევროპასა და ამერიკაში. ამ პროცესმა ხელი შეუწყო პოლიტიკური კლიმატის ცვლილებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში, ზეგავლენა მოახდინა მუსლიმური ქვეყნების პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ნათლად გამოავლინა მუსლიმურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობები, სერიოზული ცვლილებები შეიტანა მუსლიმური ქვეყნებისა და განვითარებული დასავლური ქვეყნების ურთიერთობაში. ფუნდამენტალისტები ისლამისათვის მთავარ საფრთხეს სწორედ დასავლური პოლიტიკური მოდელებისა თუ ცხოვრების წესის დანერგვაში ხედავენ.

საუდის არაბეთის აბსოლუტური მონარქია ისლამის სამშობლოა. მის ტერიტორიაზე არის ისლამის სიწმინდეები, სადაც მორწმუნე მუსლიმები ყოველწლიურად ასრულებენ პილიგრიმობას. საუდის არაბეთის ხელისუფლება ჰაჯს იყენებს არა მარტო თავისი გავლენის გასაძლიერებლად ისლამურ სამყაროში, არამედ საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის. ამასთან ის არის მსხვილი ფინანსური დონორი მუსლიმურ სამყაროში. ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმ ფაქტს, რომ საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ისლამურ ფაქტორს. თუმცა, განმსაზღვრელია აგრეთვე ეკონომიკური და საკუთრივ პოლიტიკური ფაქტორები. კონსტიტუციით საუდის არაბეთი გამოცხადებულია ისლამურ სახელმწიფოდ, რომლის მმართველები ვალდებული არიან დაიცვან ისლამის ფასეულობები.

საუდის არაბეთის მკვლევარი ას-სუაიდი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – „*ისლამი საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში*“ – ახდენს საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეფასებას იბნ საუდის, ფაისალის და ფაჰდის მმართველობის პერიოდში.¹ სწორედ ამ ნაშრომში დაცული ცნობებისა და მუსლიმ ღვთისმეტყველთა რელიგიურ-იურიდიული დასკვნების საფუძველზე წინამდებარე წერილში ახლებურად არის გაშუქებული ისლამური ფაქტორის როლი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში. ას-სუაიდის აზრით, საუდის არაბეთში ისლამური ფაქტორი და პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება ისლამური ფასეულობებისადმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ხასიათს, მიმართულებას და პრიორიტეტებს.²

საუდის არაბეთის დამაარსებელი იბნ საუდი (1926-1953) ისლამურ ფაქტორს „არაბთა დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ ფაქტორად“ თვლიდა და შესაბამისად, განიხილავდა პოლიტიკური კავშირების დამყარების აუცილებლობას მხოლოდ იმ დროს არსებულ მუსლიმურ ქვეყნებთან მიმართებაში. ამ კავშირების მიზანი იყო „ისლამურ ქვეყნებს შორის მშვიდობის რეალიზება“, რაც ითვალისწინებდა მათ პოლიტიკურ პრაქტიკაში ისლამური სოლიდარობის (არაბ. ათ-თადამუნ), ურთიერთდახმარებისა და მოთათბირების პრინციპის (არაბ. აშ-შურა) დანერგვას და ამ სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმას. იბნ საუდისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობას და ამ ურთიერთობების როლს თვითონ მუსლიმური ქვეყნებისათვის. ეს საკითხი მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში შეიძლება დამდგარიყო (მაგ., მოვლენების განვითარება პალესტინის სამანდატო ტერიტორიის გარშემო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ).³ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს იყო სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების, ტერიტორიული ექსპანსიის, შიდაეკონომიკური ცვლილებების პერიოდი და საგარეო

1 ა. ჰ. ას-სუაიდი. აღ-ისლამ ფი ას-სიდასა აღ-ხარიჯიდა ას-საუდიდა [„*ისლამი საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში*“]. არ-რიად, 1992.

2 ა. ჰ. ას-სუაიდი. აღ-ისლამ..., გვ. 59.

3 ა. ჰ. ას-სუაიდი. აღ-ისლამ..., გვ. 38-42.

ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბების საწყისი ხანა.

XXს. 60-70-იანი წლებში, მეფე ფაისალის (1964-1975) აზრითაც, მუსლიმური და არაბული საზოგადოება ცენტრალურ ადგილს იკავებდა მსოფლიოში. თუმცა მისი ახლო მეზობელი აღმოჩნდა ქრისტიანული სამყარო („აჰლ ალ-ქითაბ“ – „სადღოთ წერილის ხალხი“), მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ამერიკა, რომელიც იყო ყველაზე გავლენიანი ბლოკი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. ამერიკა საჭირო იყო როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების წყარო და ნავთობის ბაზარი.¹ ამ სამყაროსთან კონტაქტები იყო „პირობითი“ და განისაზღვრებოდა მათთან დადებული ხელშეკრულებების პირობებით.

ფაისალის დროს, 1974წ. დაიღო ამერიკასთან ორმხრივი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც განმტკიცდა ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობით.² სამაგიეროდ აშშ განახორციელებდა მშვიდობას და უსაფრთხოებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, უზრუნველყოფდა საუდის არაბეთის ეკონომიკურ და სამხედრო განვითარებას. ეს ფაქტორები განაპირობებდა ამ ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას³. უკვე 60-იანი წლებიდან მეფე ფაისალმა დაიწყო ძირეული სოციალ-ეკონომიკური რეფორმების გატარება საუდის არაბეთში. თუმცა მას არ დაუმკვიდრებია დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტები: პარლამენტი, თავისუფალი არჩევნების სისტემა, პოლიტიკური პარტიები და სხვ. ფაისალი ხაზს უსვამდა, რომ პარლამენტი არის „ყვარჯენი

¹ საუდის არაბეთისა და ამერიკის ურთიერთობების ისტორია სათავეს იღებს 1933 წლიდან, როცა ამერიკულმა კომპანიამ მიიღო კონცესია ნავთობის მოპოვებაზე საუდის არაბეთში. ამ დროს დაიღო დროებითი ხელშეკრულება ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ. 1943წ. მათ შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო 1949 წლის იანვარში კი მიღწეული იქნა შეთანხმება საელჩოების გახსნის თაობაზე.

² ამ პროცესს თან ახლდა „ისლამური სოლიდარობის“ იდეის ინსტიტუციონალიზაცია. 1962წ. დაარსდა ისლამური სამყაროს ლიგა (შტაბ-ბინა მექაში). ხოლო 1969წ. უშუალოდ საუდის არაბეთის ინიციატივით დაარსდა ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია.

³ **Malawi Al-Rasheed.** A History of Saudi Arabia. Cambridge, 2003, გვ. 140-141.

სუსტი მმართველისათვის“, ამ აზრს იზიარებდა საუდის არაბეთის პოლიტიკური ელიტა და საზოგადოებაც. საუდის არაბეთში მოდერნიზაცია მიმდინარეობდა მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში ლიბერალებსა და ტრადიციონალისტებს შორის.

მეფე ფაჰდის მმართველობის პერიოდში (1982-2005), რომელიც ყველაზე არასტაბილური აღმოჩნდა ახლო და შუა აღმოსავლეთისათვის, საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ასეთი თანამიმდევრობით იქნა წარმოდგენილი: „სამეფოს ურთიერთობა მოძმე არაბულ ქვეყნებთან; სამეფოს ურთიერთობა მუსლიმურ სახელმწიფოებთან; სამეფოს ურთიერთობა ევროპულ სახელმწიფოებთან და იაპონიასთან; და ბოლოს საუდის არაბეთის და ამერიკის ურთიერთობები“. თუმცა საუბარი არ არის საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის არაბულ-მუსლიმური და ევროპულ-ამერიკული მიმართულებების დაპირისპირებაზე. ასუსიულის მტკიცებით, „საუდის არაბეთი მიისწრაფის განამტკიცოს თავისი ურთიერთობა აშშ-თან, რადგანაც ის პასუხობს მის ეროვნულ ინტერესებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის არაბულ-მუსლიმურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება“.¹

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა რელიგიური ოპოზიცია სამეფოში. შესაბამისად, საუდის არაბეთისა და ამერიკის ურთიერთობებში გაჩნდა ახალი ფაქტორი – ისლამური.² ცივი ომის პერიოდში სუნიტური ფუნდამენტალიზმი, რომელსაც აკონტროლებდა საუდელთა დინასტია, ბუფერის როლს ასრულებდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ. ავღანეთში, ისლამის დასაცავად „კომუნისტური ათეიზმისაგან“, გაგზავნილ იქნა რამდენიმე ათასი საუდელი მოხალისე, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ოკუპაციის დასრულებაში. 90-იანი წლების ბოლოს საუდის არაბეთში დაბრუნდა დაახლ. 15 000 საუდელი მუჯაჰიდი,³ რომლებიც იბრ-

¹ ას-სუაიდი, აღ-ისლამი, გვ. 59.

² XXს. 80-იანი წლებამდე ამერიკა-საუდის არაბეთის ურთიერთობებში განმსაზღვრელ როლს თამაშობდა ორი ფაქტორი: ნავთობი და უსაფრთხოება.

³ მუჯაჰიდი – „სარწმუნოებისათვის მებრძოლი“ („ის, ვინც აწარმო-

ძოდნენ ავღანეთში, ჩეჩნეთში, ბოსნიასა და კოსოვოში. სწორედ ამ წლებში ალ-კა'იდამ გაააქტიურა თავისი საქმიანობა საუდის არაბეთში. ამ დაჯგუფების მეთაურმა – უსამა ბინ ლადინმა კი განაცხადა, რომ წინააღმდეგი იყო საუდის არაბეთში ამერიკული სამხედრო ბაზების არსებობის და დაიფიცა, რომ დაიწყებდა საღვთო ომს (ჯიჰადს) ამერიკელთა წინააღმდეგ.¹ ალ-კა'იდამ პირველი ტერორისტული აქტი განახორციელა ჯერ კიდევ 1995წ. ნოემბერში არ-რიადში და ის მიმართული იყო ამერიკის მისიის წინააღმდეგ, რომელიც ამზადებდა ეროვნული გვარდიის ოფიცრებს. შემდგომში ტერორისტული აქტები განხორციელდა ამერიკის ავიაბაზაზე ალ-ხუბარში (1996წ.) და ამერიკელი მოქალაქეების წინააღმდეგ არ-რიადის კვარტლებში.

ისლამური ფაქტორის როლმა მნიშვნელოვნად წამოიწია წინა პლანზე საუდის არაბეთისა და ამერიკის ურთიერთობებში 2001წ. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ტერორისტულ აქტებში 19 მონაწილიდან 15 საუდის არაბეთის მოქალაქე იყო და შესაბამისად გაიზარდა ეჭვის საუდის არაბეთის მიმართ, რომ ის არის ტერორიზმის იდეური და ფინანსური მხარდამჭერი.² ტერორისტების კვალი სწრაფად იქნა

ეხს ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ“).

¹ **ას-სუაიდი.** ალ-ისლამ..., გვ. 72-84; **З. С. Арухов.** Ваххабизм и духовенство в политической структуре саудовского общества. Махачкала, 2002, гв. 177.

² ამერიკელი პოლიტოლოგების მიერ არაერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ ისლამისტებს აფინანსებდა საუდის არაბეთის საქველმოქმედო საზოგადოებები, რომლებიც აშშ-ში მეჩეთებისა და ისლამური ცენტრების საშუალებით ავრცელებდნენ ორთოდოქსულ სუნიტურ იდეოლოგიას – ჰანბალიზმს მისი უკიდურესი გამოვლინებით – ვაჰაბიზმი. 1999წ. ბრიუსელში საუდის არაბეთის მეფის – ფაჰდის ინიციატივით შედგა კულტურული ფორუმი, რათა განეხილათ საკითხი ისლამის სწავლების გადრმავეების შესახებ დასავლურ უმაღლეს სასწავლებლებში. ამით მას სურს განამტკიცოს თავისი პოზიციები დასავლურ საზოგადოებაში. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში 210 ისლამური ცენტრი და 1500 მეჩეთზე მეტი დაარსდა, რაც დაჯდა 93 მლნ. დოლარი. საუდის არაბეთის პრესის მონაცემებით, სამეფომ დააფინანსა აშშ-ში მშენებლობა შემდეგი ობიექტების: „დარ ას-სალამ“-ის ინსტიტუტი და მეჩეთი ფრენსოში (კალიფორნია); ისლამური ცენტრები – კოლუმბიაში (მისური), ისტ-

აღმოჩენილი: სახელმძღვანელოები თვითმფრინავის მართვაზე, ყურანის ეგზემპლარები, ტექსტი არაბულ ენაზე სახელწოდებით „უკანასკნელი ღამე“ („*ალ-ლა ლა ალ-აზირა*“) – იგულისხმება აქციის განხორციელების წინა ღამე. ამ ტექსტში არის ინსტრუქცია მომავალი შაჰიდისათვის¹. 2002წ. 15 და 18 თებერვალს ტელეარხმა „*ალ-ჯაზირა*“ ახალი ვიდეოჩანაწერები აჩვენა და დადასტურდა, რომ „*ალ-კა'იდას*“ ტერორისტული დაჯგუფების მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს. ამის შესახებ ბევრი დაიწერა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „*ალ-კა'იდას*“ წევრები ხელმძღვანელობდნენ შესაბამისი ფაფებით,² რომელსაც გამოსცემენ მუსლიმი

ლანსინგში (მიჩიგანი), ლოს ანჯელესში (კალიფორნია), ნიუ-ბრენს-ვიკში (ნიუ ჯერსი), ნიუ იორკში, ტაიდაში (მერილენდი), ტოლედოში (ოჰაიო), ვირჯინიაში; ისლამური კულტურის ცენტრი ჩიკაგოში; ფაჰდის მეჩეთი ლოს-ანჯელესში, რომელიც ყველაზე დიდი და ერთდროულად 2000 მორწმუნეს შეუძლია ლოცვის შესრულება. მას აქვს საღებავი დარბაზი, სასწავლო დაწესებულებები, კვლევითი ცენტრი და წიგნის მაღაზია; დიდი სამხრეთ-დასავლეთის მეჩეთი ჩიკაგოში; ‘უმარის (იბნ ალ-ხატაბის) მეჩეთი ლოს-ანჯელესში; მეფე ‘აბდ ალ-‘აზიზის სახელობის ისლამური კვლევების კათედრა კალიფორნიის უნივერსიტეტში (სანტა ბარბარა); მეფე ფაჰდის სახელობის ისლამური სამართლის კვლევების კათედრა ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯში; ისლამური აკადემია ვაშინგტონში (1200 სტუდენტი). 2001წ. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ დაიხურა რამდენიმე ისლამური ცენტრი, ხოლო 2004წ. დაიხურა ვაშინგტონში, საუდის არაბეთის საელჩოს ისლამური განყოფილება. ამჟამად შეერთებული შტატებში არის საუდის არაბეთის დაახლ. 5 000 მოქალაქე. საუდის არაბეთში კი 30 000 ამერიკელია. – იხ. <http://www.ain-al-yaqeen.com/issues/20020301/feat3en.htm>.

¹ შაჰიდი (არაბ. შაჰიდ - „მოწამე“) – სარწმუნოებისათვის შეწირული, მოწამებრივი სიკვდილით დაღუპული. შაჰიდს ეპატიება ყოველგვარი მიწიერი ცოდვა. მას გარანტირებული აქვს სამოთხე, რომელშიც მოხვდება სალხინებლის გვერდის ავლით და ის დაიკავებს მაღალ ადგილს ალაჰის ტახტთან. ისლამის აპოლოგეტები ტერორისტული აქტით სიცოცხლის შეწირვის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს – ისთიშჰად. ტექსტი იხ. <http://www.fbi.gov/pressrel/press-rel01/letter.htm>.

² ფაფა არის წერილობითი დასკვნა-პასუხი, რომელსაც გამოსცემენ მუსლიმი ღვთისმეტყველები – ‘ალიმები (მხ. რ. ‘ალიმ – მცოდნე, სწავლული) ამა თუ იმ მოქმედების ან მოვლენის ყურანსა და შარიათთან შესაბამისობის შესახებ. ფაფა უნდა შეიცავდეს შემ-

‘ალიმები. მათ შორის დასახელდა საუღელი ჰამმუდ იბნ უკლა აშ-შუაიბი და ეგვიპტელი – ჰასან აიუბი, აგრეთვე თვითონ უსამა ბინ ლადინი, რომლის ფათვაც კარგად არის ცნობილი.¹

ჩვენთვის საყურადღებოა აშ-შუაიბის ფათვა – სახელწოდებით „განმარტება მოვლენების, რომლებიც მოხდა ამერიკაში 2001 წლის სექტემბერში“² ეს მოვლენები ამ ფათვაში განმარტებულია როგორც ურთიერთობა მუსლიმებსა და ურწმუნოებს (ქუფფარ) შორის. დასაწყისშივე ხაზგასმულია, რომ „ურთიერთობა მუსლიმებსა და ურწმუნოებს შორის წყდება არა პოლიტიკით ან პირადი ინტერესებით, არამედ ალაჰის წიგნით (ყურანით)“. მთავარია ვის თვლიან ისინი ურწმუნოებად. პასუხი ასეთია: ყველას, ვინც არ არის ვაკაბიტი. ურწმუნოების მთავარი დანაშაული არის ის, რომ მათ არ სურთ იყვნენ ვაკაბიტები და არ სურთ დაემორჩილონ ვაკაბიტებს. ქრისტიანები და იუდეველები განეკუთვნებიან ურწმუნოთა კატეგორიას. მუსლიმებთან მიმართებაში ურწმუნოება ასეა განმარტებული: „ის, ვინც არ ცნობს მრავალღმერთიანებს ურწმუნოდ, ან დაეჭვდება მათ ურწმუნოებაში, თვითონ არის ურწმუნო“. ამდენად, ამერიკა არის „ურწმუნო“ ქვეყანა.

აშ-შუაიბი განმარტავს აგრეთვე, რომ არ არიან დამნაშავენი და უდანაშაულონი მსხვერპლთა შორის. შარიათში საკითხი ასე არ დგას. როცა საუბრობენ უდანაშაულოებზე, მხედველობაში ჰყავთ ქალები, ბავშვები და მოხუცები. თუმცა მათი დახოცვა დასაშვებია ღამის თავდასხმის დროს, როცა ძნელია გარჩევა ვინ არის დამნაშავე და ვინ მშვიდობიანი მოქალაქე. მეორეს მხრივ, გამორიცხულია განსაზღვრული იარაღის გამოყენება ურწმუნოთა წინააღმდეგ (ანუ მხოლოდ დამნაშავეთა წინააღმდეგ). მაგალითად მოყვანილია მოციქული მუჰამადი, რომელმაც 630წ. გამოიყენა ტაიფის ოაზისის წინააღმდეგ კატაპულტა, რომლის დროსაც ძნელია დამნაშავეთა და უდანაშაულოთა გარჩევა. მუსლიმი სა-

დევ ელემენტებს: ყურანის აიები, რომლებიც უმადლესი რელიგიური ავტორიტეტის აზრით შეიცავენ შესაბამის პასუხს კითხვაზე; ჰადისები, სადაც არის პასუხი მოცემულ კითხვაზე; ისლამური ავტორიტეტების აზრი ამ თემაზე და ბოლოს დასკვნა.

¹ А. Игнатенко. Ислам и политика. М., 2004.

² <http://www.qal3ah.org/sections.php?op=viewarticle&artid=9>.

მართლისმცოდნეები (ფაკიბები) უშვებენ მკვლევლობას მუსლიმების, თუ ისინი არიან ურწმუნოთა ტყვეები და ურწმუნობმა აქციეს ისინი ცოცხალ ფარად, რაც დაიცავს მათ მუსლიმთა დაბომბვისაგან. ამ შემთხვევაში მოქმედებს კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი. ამ-შუაბის აქვს აგრეთვე ფათვა (2001წ. 25 აპრილი) თვითონ თავგანწირვის აქციების შესახებ.

შუაბის განმარტებით, ასეთი აქცია არ ითვლება თვითმკვლელობად, რასაც ისლამი კრძალავს და შაჰიდი მოხვდება სამოთხეში. ფათვა არსებობს ტერორის დანიშნულებაზეც (2001წ. 20 ნოემბერი), რომლის მიხედვითაც არის კანონიერი ტერორი (ირჰაბ), რომელიც შარიათში ალაჰმა დაადგინა.¹ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და რელიგიური ავტორიტეტებმაც ხაზი გაუსვეს, რომ „აშშ-ში მომხდარი საშიში მოვლენებია, რომელსაც მოჰყვა ათასობით ადამიანის სიკვდილი და ის არ განეკუთვნება იმას, რაც დაშვებულია ისლამური შარიათით და არაფრით არ არის დაკავშირებული ისლამის რელიგიასთან“.²

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ თეთრი სახლის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი დაიკავა ბრძოლამ საერთაშორისო ტერორიზმთან. ამან არსებითი გავლენა მოახდინა აგრეთვე საუდის არაბეთთან ურთიერთობაზე. ამერიკელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ საუდის არაბეთის საზოგადოების დაჩქარებული მოდერნიზაცია, რომელიც ჩატარდა XXს. 70-90-იან წლებში, მეფე ფაისალისა და ფაჰდის შეწვევით,³ წარმატებული აღმოჩნდა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ იდეოლო-

¹ <http://www.qal3ah.org/sections.php?op=viewarticle&artid=15>.

² <http://www.asharqalawasat.com>.

³ 1992წ. 1 მარტს, პირველად საუდის არაბეთის ისტორიაში, მიღებულ იქნა საკონსტიტუციო აქტები: მმართველობის ძირითადი კანონი; კანონი საკონსულტაციო საბჭოზე და კანონი პროვინციების მმართველობის შესახებ. ქვეყანაში სათათბირო ორგანოს ჩამოყალიბებით (მაჯლის აშ-შურა) საუდის სამეფოს ხელისუფლებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო პოლიტიკური ისტებლიშმენტის ჩამოყალიბებას. **Г. Г. Косач, Е. С. Мелкумян.** Саудовская Аравия и Мусульманский Мир. – *Ближний Восток и современность*. Сборник статей (выпуск двенадцатый). М., 2001, გვ. 34-79.

ოგიური თვალსაზრისით ის შედეგები არ მოიტანა, რასაც ელოდა შეერთებული შტატები. საუდულებმა ისარგებლეს სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო რევოლუციით, მაგრამ არ მიიღეს საზოგადოებრივი ცხოვრების შეთავაზებული ვესტერნიზაცია.

ამერიკულ პრესაში ფართოდ განიხილებოდა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ამერიკული გეგმით შედგენილი საუდის არაბეთის განათლების სისტემა გადაიქცა ანტიდასავლური ისლამის მხარდამჭერად.¹ ამის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები გამუდმებით მხარს უჭერდნენ ამერიკის და საუდის არაბეთის ურთიერთობის სტაბილურ ხასიათს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ძალადობის ესკალაცია სამეფოში, რაც უბიძგებს ორივე მხარეს, გააერთიანონ ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 2003წ. ნოემბერში საუდის არაბეთში, არრიადში მომხდარი ტერაქტების შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება, მხარი დაეჭირა საუდის არაბეთისათვის. აშშ-ის პრეზიდენტმა ურთიერთობა განამტკიცა ტახტის მემკვიდრე – პრინც ‘აბდ ალ-ლაჰთან (2005წ. 1 აგვისტოდან საუდის არაბეთის მეფე), ქვეყნის ფაქტობრივ მმართველთან, რომელმაც ალუთქვა რეფორმების გატარება.

საუდის არაბეთის ისტებლიშმენტი იძულებული გახდა დაეწყო დემოკრატიზაციის პროცესი და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების დივერსიფიკაცია. საუდის არაბეთი გახდა ანტი-ტერორისტული კოალიციის წევრი. 2003წ. მოხდა საუდის არაბეთის მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაცია. სამეფოს ახალი კაბინეტი არის პროამერიკული და პროდასავლური ორიენტაციის. მრავალ მათგანს დოქტორის ხარისხი აშშ-ს საუნივერსიტეტო ცენტრებში აქვს მიღებული. თვითონ საზოგადოებაში განსხვავებული დამოკიდებულებაა. თუმცა აღნიშნავენ, რომ საუდის არაბეთის საზოგადოებაში იზრდება განხეთქილება ტრადიციულ და დასავლურ ფასეულობებთან, მორალთან და იდეებთან, რაც რთულდება 3 მლნ. არამუსლიმი მუშახელის არსებობით ქვეყანაში. მათ თვლიან საუდის არაბეთის სოციალური და პოლიტიკუ-

¹ *Financial Times*. 19, 11, 2003; *The New York Times*. 30.10.2001; 20.02.2002.

რი სტაბილურობის პოტენციურ საფრთხედ.

ამის აშკარა დადასტურებად განიხილება 2002წ. შემოდგომაზე ამერიკული საქონლისათვის სტიქიური ბოიკოტის დაწყება, 2003წ. აშშ-იდან საუდის არაბეთის ინვესტიციების (დაახლ 200 მლნ. დოლარი) ამოღება,¹ ამერიკელებისათვის საუდის არაბეთში განლაგებული სამხედრო ბაზის გამოყენების აკრძალვა ავღანეთისა (2001წ.) და ერაყის (2003წ.) წინააღმდეგ, 2003წ. საუდის არაბეთში არსებული ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზის – პრინც-სულტანის გადატანა კატარში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენებში გადამწყვეტი როლი ითამაშა ‘ალიმების საბჭომ (თავმჯდომარე – შაიხი ‘აბდ ალ-‘აზიზ იბნ ‘აბდ ალ-ლაჰი).² საუდელ რეფორმატორთა აზრით, „ორი ფაქტორი – სამეფო ოჯახი და გავლენიანი რელიგიური წრეები – არის საუდის არაბეთის საზოგადოების უსაფრთხოების გარანტია, მაგრამ რელიგია არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ქვეყნის განვითარების ერთადერთი პერსპექტივა“.³

ფაქტია, რომ საუდის არაბეთისა და აშშ-ის ურთიერთობებში ფუნდამენტურ საფუძვლებად კვლავ რჩება ნავთობი და უსაფრთხოება, მაგრამ ისლამური ფაქტორი სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს და სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ამერიკის ადმინისტრაციის მიერ რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ანალიზისას.

¹ თუმცა, სხვა მონაცემებით, აშშ-ში რჩება საუდის არაბეთის 2-3-ჯერ მეტი ინვესტიციები და სამეფოში არ სურთ 1973წ. „ნავთობის რევოლუციის“ გამეორება. იხ. *Саудовская Аравия: эволюция режима и пределы возможного в политическом развитии*. М., 2003, გვ. 22-23.

² ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში მეფეს შეეძლო მიეღო ნებისმიერი ფათვა ‘ულამების უმაღლესი საბჭოსაგან. მაგ., თანხმობა უცხო სახელმწიფოს (თანაც არაისლამური) არმიის ნაწილების საუდის არაბეთში განლაგებაზე. სწორედ 1992წ. დაფუძნდა არრიადის სამხრეთის ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზა – პრინც-სულტანი. XXI საუკუნის დამდეგს კი სამეფო კარის დაუკითხავად ამ საბჭომ საწინააღმდეგო ფათვა გამოსცა. მანვე აკრძალა არამუსლიმებისათვის მხარდაჭერა ისლამურ ქვეყნებთან ომში. იხ. **რ. გაჩეილაძე**. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., 2003, გვ. 282-283.

³ *Саудовская Аравия: эволюция режима...*, გვ. 38-39.

НАНИ ГЕЛОВАНИ

ИСЛАМСКИЙ ФАКТОР В ОТНОШЕНИЯХ МЕЖДУ САУДОВСКОЙ АРАВИЕЙ И США

Исследователь Саудовской Аравии Ас-Суаиг в своём фундаментальном труде – *«Ислам во внешней политике Саудовской Аравии»* – даёт оценку основных принципов внешней политики Саудовской Аравии в период правления Ибн Сауда (1926-1953), Файсаля (1964-1975) и Фахда (1982-2005). Именно на основании сведений, помещённых в этом труде, и религиозно-юридических заключений мусульманских богословов в настоящей статье по-новому освещена роль исламского фактора во взаимоотношениях между США и Саудовской Аравией. Основатель Саудовской Аравии Ибн Сауд рассматривал исламский фактор как «фактор, определяющий независимость арабов» и, исходя из этого, считал целесообразным установление политических связей только с существующими в то время мусульманскими странами. Во времена Файсаля, в 1974г. было заключено двухстороннее союзническое соглашение с США, которое подкреплялось экономическим и военным сотрудничеством. После иранской Исламской революции 1979г. в Саудовской Аравии активизировалась религиозная оппозиция и во взаимоотношениях между Саудовской Аравией и Америкой появился новый – исламский фактор. В период правления короля Фахда Саудовская Аравия старалась укрепить отношения с США, считая Вашингтон гарантом мира и стабильности на арабском востоке. Роль исламского фактора во взаимоотношениях между двумя странами значительно возросла после терактов 11 сентября 2001 года. Из 19-ти участников террористических актов в Нью-Йорке и Вашингтоне 15 были гражданами Саудовской Аравии. Это обстоятельство вызвало недоверие к Саудовской Аравии, возникли серьёзные подозрения в том, что она идейно и финансово поддерживает терроризм. Несмотря на то что во взаимоотношениях между Саудовской Аравией и Америкой фундаментальными основами по-прежнему

остаются нефть и безопасность, исламский фактор оказывает всё растущее влияние на эти отношения и Белый дом соответствующим образом должен учесть его при анализе геополитических процессов, происходящих в регионе.

NANA GELOVANI

ISLAMIC FACTOR IN THE RELATIONS OF SAUDI ARABIA AND THE USA

As-Suaygh, a researcher of the Saudi Arabia, in his fundamental work “Islam in the foreign policy of Saudi Arabia” evaluates the main principles of the foreign policy of Saudi Arabia during the reign of Ibn Saud (1926-1953), Faysal (1964-1975) and Fahd (1985-2005). On the basis of the data given in the above-mentioned work and the religious and legal conclusions of Muslim theologians the present paper sheds the light upon the role of an Islamic factor in the relations of the two countries in a new way. Ibn Saud, the founder of Saudi Arabia considered the Islamic factor as “the factor defining the independence of the Arab people” and therefore, considered the necessity of establishing the political relations in relation to the Muslim countries only of that period. In the times of Faysal, in 1974, a bilateral partnership agreement was concluded with America, which was further strengthened with economic and military cooperation. On the other hand, the USA had to provide peace and safety in the region of the Near East and ensure the economic and military development of Saudi Arabia. After the Iran Islamic Revolution in 1979, the religious opposition got more active in the kingdom, and a new factor of Islam got into play in the relationship between America and Saudi Arabia. During the reign of King Fahd, Saudi Arabia tried to strengthen the relation with America, as it was considered the guarantee of peace and stability in the Near East. The role of an Islamic factor in the relations between

America and Saudi Arabia widely came to the forefront after the terrorist act of September 11, 2001. Out of 19 participants of the terrorist acts in New York and Washington, 15 were citizens of Saudi Arabia, and an increased doubt to Saudi Arabia as the ideological and financial supporter of terrorism seemed natural. It is the fact that oil and safety are still fundamental basics in the American-Saudi Arabia relations, but the Islamic factor has an ever increasing influence and should be given due consideration by the American Administration when analyzing the geopolitical processes taking place in the region.

ა რ ქ ე ო ლ ო ბ ი ა , ე თ ნ ო ლ ო ბ ი ა

მარინე ფუთურიკე

**ტორმპტიკის ფორმირებისა და განვითარების
ზოგიერთი პრობლემური საკითხი
თრიალეთურ კულტურაში**

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიის საკმაოდ დიდი სივრცე მოიცვა რეალობამ, რომელიც ძველი სამყაროს ისტორიაში თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის სახელით შევიდა. XXს. 30-იან წლებში აკად. ბ. კუფტინმა წალკის პლატოზე გამოვლენილი მდიდრული ყორღანების შესწავლით მყარი და სწორი საფუძველი დაუდო ამ კულტურის რთული პრობლემების კვლევას,¹ რომელიც დღესაც დიდი ინტერესით გრძელდება კავკასიასა და დასავლეთის სამყაროს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში.

თრიალეთის, როგორც განსაკუთრებული კულტურული მოვლენის, გააზრებასთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი სადისკუსიო საკითხი იყრის თავს, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ერთზე შევაჩერებთ ყურადღებას. ეს არის ტორევეტიკის ერთი კატეგორიის ნიმუშების და მისი როგორც დარგის განვითარების საკითხი სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე. სანამ უშუალოდ საკვლევი პრობლემის განხილვაზე გადავალ, საჭიროდ ვთვლი თვით თრიალეთური კულტურის შესახებ ძალიან მოკლედ აღვნიშნო რამოდენიმე სახასიათო შტრიხი.

ამ კულტურის განმსაზღვრელ და გამოკვეთილ ნიშანად მიჩნეულია თავისებური და ხაზგასმულად პრესტიჟული დაკრძალვის რიტუალი, რომლის სიმპტომატური ნიშნებია: სავარაუდოდ მიცვალებულის კრემაცია, დასაკრძალავი ეტლი ან სარეცელი, ყორ-

¹ **Б. А. Куфтин.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

დანქვემა, მშრალი ქვის წყობით ნაგები დასაკრძალავი დარბაზები, რიგ შემთხვევებში, ყორღანქვეშ გამართული ხის რთული კონსტრუქციის ნაგებობა, თვით ყორღანული ყრილის განსაკუთრებული სიმძლავრე და სხვა. ასევე, მისთვის უწინარესად დამახასიათებელია გამორჩეულად მდიდრული და დახვეწილი ნიმუშების სიუხვე, რამაც მას ძველ სამყაროში „ბრწყინვალე ყორღანების კულტურის“ სახელი დაუმკვიდრა. მდიდრულ ნიმუშთა ეს ანსამბლი მიუთითებს როგორც ოქრომჭედლობის, ისე ტორევეტიკის სფეროთა განსაკუთრებულად წინ წამოწევასა და განვითარებაზე. სწორედ ტორევეტიკის მაღალმხატვრული და „უცხო“ სტილის ნიმუშთა მასობრივად გამოჩენა განასხვავებს საკვლევ კულტურას დანარჩენი სამხრეთკავკასიური კულტურებისაგან; თრიალეთური კულტურისათვის სპეციფიკურია უაღესად დახვეწილი და სახასიათო ორნამენტაციის მქონე ორგვარი – შავბრიალა და მოხატული კერამიკა, რომელთა მრავალფეროვნება დახვეწილი ადგილობრივი კერამიკული წარმოების უტყუარ სურათს ქმნის. მათგან პირველი აშკარად ლოკალური იერისაა, ხოლო მეორე კი – ხაზგასმით წინააზიური ტრადიციის გავლენით შექმნილი. არც ერთი სხვა ამიერკავკასიური კულტურის კერამიკულ პროდუქციაში ამგვარი სახეები და ასეთი მრავალფეროვნება, რაც თრიალეთურ მასალებზე გვხვდება, არ მეორდება.

თრიალეთის კულტურის ამ ძალიან ზოგადი და ანოტირებული მიმოხილვისას, რა თქმა უნდა, ყველა სახეობის არტეფაქტებზე ვერ შევჩერდებით მათი სიმრავლის გამო მაგრამ ხაზს გავუსვამ, რომ ყველა ამ მასალათა ერთ ნაწილზე თვალსაჩინოდ იგრძნობა წინააზიურ ცივილიზაციათა ზეგავლენის კვალი.

ამ კულტურის სპეციფიკურ მახასიათებელთა ზედაპირულ მიმოხილვას დავასრულებ ერთი არსებითი ნიუანსის შენიშვნით: თრიალეთური კულტურა სამხრეთ კავკასიის კულტურათა შორის ყველაზე თვალსაჩინოდ ასახავს ძველადმოსავლურ სამყაროსთან არსებულ კავშირურთიერთობებს. მთელი ამ სიმპტომატიკის ჩამოთვლა ჩვენ მოვიტანეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვეცა ის საერთო კულტურული კონტექსტი, რომელთან მიმართებითაც უფრო ნათელი გახდება ტორევეტიკის როგორც სფეროს

განვითარების საფუძველი.

და მაინც, მიუხედავად ამ კულტურის შესწავლის საკმაო ხანგრძლივობისა განსხვავებით შუა ბრინჯაოს ხანის დანარჩები კულტურებისაგან, სწორედ თრიალეთი წამოჭრის ყველაზე მეტ თავსატეხ კითხვებს და სადისკუსიო პრობლემებს. ერთ-ერთი მათგანი თრიალეთის ბრწყინვალე ტორევეტიკულ ძეგლებს უკავშირდება. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა შორის ტორევეტიკის როგორც ელიტური დარგის განვითარება მხოლოდ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის პრივილეგიად შეიძლება ჩავთვალოთ. მრავალ სხვა შთამბეჭდავ არტეფაქტებთან ერთად სწორედ ტორევეტიკის ნიმუშებია ის, რაც ამ კულტურას განსაკუთრებულ დახვეწილობას, პრესტიჟულობასა და მდიდრულობას მატებს და მკაფიოდ მიუთითებს საზოგადოებაში სოციალური სტრატეფიკაციის მომენტის გაძლიერებაზე, მის თვისობრივად ახალ საფეხურზე.

შუა ბრინჯაოს ეპოქა, საერთოდ, განსაკუთრებული მიღწევების, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურის სფეროში მომხდარი რადიკალური ცვლილებების და ახალ მიღწევათა გათავისების პერიოდად არის მიჩნეული. იმ პროცესებში, რომლებსაც ამ უაღრესად საინტერესო ხანის განვითარებულ, II ეტაპზე ჰქონდა ადგილი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოების ელიტური ფენის მიერ შემდგომი პრივილეგიების და სიმდიდრის მოპოვება იყო.¹ ამ ვითარების შესანიშნავად ამსახველი კი სწორედ ტორევეტიკის მასალა გახლავთ, რომლის კვლევაც ჯერ კიდევ არ გვაქვს სათანადოდ სასურველ დონეზე.

თრიალეთის კულტურის მასალათა შორის სწორედ ამ პრესტიჟული დარგის ნიმუშები ამჟღავნებენ ყველაზე მეტ სხვაობასა და ამავე დროს განვითარების შეუღარებლად მაღალ დონეს შუა ბრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავრცელებული სხვა კულტურებისაგან.

რასაკვირველია, შუა ბრინჯაოს ხანაში (შუა ბრინჯაო II)

¹ **M. Puturidze.** Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. – *Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond.* Eds. By **A. Smith & K. Rybinson.** Los Angeles, 2003, p. 111-127.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ფუნქციონირებულ სხვადასხვა (თრიალეთის, თაზაკენდის ანუ კარმირ ბერდის, სევან უზერლიკის და კარმირ ვანქის) კულტურებს¹ სხვა მასალათა და მოვლენათა შორისაც საკმაოდ მრავლად ეძებნებათ განმასხვავებელი ნიშნები² მაგრამ ტორევეტიკის დარგი, ამ მხრივ, სრულიად გამორჩეული სფეროა, რომელიც ყველაზე რელიეფურად წარმოაჩენს მათ შორის არსებულ სხვაობას.

თრიალეთური კულტურის თავისებურ სახეს განსაკუთრებით მკაფიოს ხდის ტორევეტიკის ერთი ტიპის – ძვირფასი ლითონის ჭურჭელი. მისი მრავალფეროვანი ანსამბლი თრიალეთური კულტურის განსაკუთრებით ღირებულებული და მდიდრული მასალაა არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მთელი ძველადმოსავლური სამყაროს მასშტაბით. სწორედ ეს სიმპტომატური ნიშანი – სოციალური და მატერიალური პრივილეგიის მაჩვენებელი დარგებისა და მისი მდიდრული ნიმუშების სიმრავლე³ გამოარჩევს თრიალეთის კულტურას სამხრეთ კავკასიაში ამ პერიოდში (თუმცა გარკვეული მცირე ეტაპობრივი სხვაობით) ფუნქციონირებული სამი კიდევ სხვა (სევან-უზერლიკის, თაზაკენდის და კარმირ ვანქის) კულტურისაგან.⁴ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ამ კულტურათაგან არც ერთს არ ახასიათებს შუა ბრინჯაოს ეპოქისათვის ნიშანდობლივი სიახლის – ტორევეტიკის მასალათა არსებობა. ეს პრივილეგირებული დარგი და აქ მიღწეული მაღალი დონე მხოლოდ თრიალეთური კულტურის სპეციფიკურ ნიშნად დიფერენცირდება.

საკუთრივ ტორევეტიკის ძეგლები მიმაჩნია ერთ-ერთ საყრდენად, რომელიც საფუძველს მძლევს ვიფიქრო, რომ თრიალეთური კულტურა ძველადმოსავლური ცივილაზაციათა ორბიტა-

¹ **К. Х. Кушнарeva.** Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. *Этапы культурного и социально-экономического развития.* С.-Петербург, 1993, გვ. 106-171.

² **მ. ფუთურიძე.** შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა განვითარების სურათი სამხრეთ კავკასიაში. – *ძიებანი.* კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები. დამატებანი X. თბ., 2003, გვ. 53-56.

³ **Б. А. Куфтин.** Археологические раскопки в Триалети, табл. LXVIII-LXXII; LXXXVII-CIV

⁴ **К. Х. Кушнарeva.** Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э., გვ. 134-171.

ში საკმაოდ კარგად აღმოჩნდა ადაპტირებული ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში.

რაც შეეხება ზოგადად სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ აქ ნამდვილად არ არის ყველაფერი ბოლომდე ნათელი და იოლად ასახსნელი. ძნელი სათქმელია თუ რა მიზეზი ედო საფუძვლად ამგვარი განსხვავებული სახის კულტურების ჩამოყალიბებას სამხრეთ კავკასიის პრეისტორიულ სინამდვილეში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ მცირე ქრონოლოგიურ მონაკვეთში თანაარსებობდნენ და არა თრიალეთური კულტურის არსებობის მთელს მანძილზე, რაზეც ცხადად მიუთითებს თუნდაც სომხეთში გათხრილი თაზაკენდის და ვერინ ნავერის სამაროვნების ზოგი სამარხეული კომპლექსი,¹ მაინც მოსალოდნელი იყო, რომ მათ გარკვეული მსგავსი არტეფაქტები თუ გადაკვეთის ზაზები უნდა ჰქონოდათ. რასაკვირველია, ამ საკითხებს მიზანმიმართული კვლევა სჭირდება. ამჯერად კი მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ თრიალეთური ტორევეტიკის ფორმირებაზე აუცილებლად უნდა მოეხდინა გავლენა, და თანაც არც თუ უმნიშვნელო, წინააზიურ კულტურულ იმპულსებს. ეს ზეგავლენა კი, ჩემი აზრით, აშკარად ნაკლებად მომქმედი ფაქტორი ჩანს სევან-უზერლიკის თუ სხვა ზემოთ დასახელებულ კულტურებთან მიმართებით. სწორედ ძველადმოსავლური ცივილიზაციების მხრიდან *სხვადასხვა სიძლიერის ზეგავლენისა და კულტურული ურთიერთობების კვალი* იკითხება, ერთის მხრივ, თრიალეთის, და მეორეს მხრივ, ყველა დანარჩენ – სამხრეთკავკასიური კულტურების ფორმირების პროცესში. ამ ვითარების მშვენიერ ილუსტრაციას სხვა სახის მასალასთან ერთად თრიალეთური ტორევეტიკაც იძლევა.

შუა ბრინჯაოს ეპოქის სამხრეთ კავკასიაში არსებული ფაქტობრივი ვითარების მთელი ეს დეტალური განხილვა იმის გამო მოვიტანეთ, რომ მკაფიოდ წარმოგვეჩინა ის მიზეზები, რომელიც განმაპირობებელი აღმოჩნდა მთელი რიგის სფეროების, კონკრეტულ შემთხვევაში კი – თრიალეთური ტორევეტიკის

¹ А. Е. Симомян. Культура эпохи средней бронзы северных северных районов Армянского нагорья. Автореферат канд. диссертации. Л., 1984.

ფორმირებისა და მანამდე არნახული დაწინაურებისათვის.

ვფიქრობ, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ეპოქის კულტურებს შორის ასეთი რადიკალური სხვაობა ამ სფეროში, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოყალიბდებოდა, რომ არ ყოფილიყო მნიშვნელოვანი მიზეზები. აქ საჭიროა აქცენტი გაკეთდეს იმ ფაქტზეც, რომ განსხვავებით ჩრდილო კავკასიისაგან, სადაც ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანის მაიკოპის კულტურაში უკვე ფართოდაა წარმოდგენილი ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის იგი უცხო მოვლენად დარჩა შუა ბრინჯაოს ეპოქის განვითარებულ ფაზაზე ანუ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დადგომამდე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ტორევეტიკის ეს მიმართულება კავკასიის ფართო რეგიონის სხვადასხვა არეალში ასინქრონულად მოხდა და დროის თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიაში მისმა გამორჩენამ აშკარად დააგვიანა.

აღნიშნული ფაქტი, ამავე დროს იმის გათვალისწინების აუცილებლობისკენაც გვიბიძგებს, რომ ძვირფასი ლითონის ჭურჭელს ადგილობრივ, სამხრეთ კავკასიურ გარემოში არავითარი წანამძღვრები და დაწინაურების წინაპირობა არ ჰქონია. იგი სრულიად მოულოდნელად ძალზე დახვეწილი და განვითარების პიკზე მყოფი წარმოჩინდა თრიალეთური კულტურის მასალებში. სწორედ ამ მოვლენათა ანალიზი გვიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ თრიალეთური ძვირფასი ლითონის ჭურჭელი დაწინაურებული წინააზიური კულტურებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ამ დარგის ზეგავლენის შედეგად ფორმირებულ ნაწარმად მივიჩნიოთ. თრიალეთური კულტურის ლითონის ჭურჭლის პრობლემატიკა მრავალ ასპექტს მოიცავს. ესენია: მისთვის სპეციფიკური ტექნოლოგიური ხერხების ათვისების, სრულყოფის და სიახლეებით გამდიდრების საკითები; თვით ლითონის მასალის შერჩევა; თითოეული ორნამენტული სახეებისა და მათი შესრულების ტექნოლოგიური ხერხების შესაბამის ფორმასა და ლითონის მასალასთან მისადაგება; მისი კორელაცია მხატვრული ხელოვნობის სხვა ნაწარმთან ტექნოლოგიური და მხატვრული სახეების იდენტურობის გარკვევის მხრივ; ტორევეტის ძეგლების ტიპოლოგიური დიფერენცირება და მხატვრული სახეების ანალიზი და მრავალი სხვა. ყველა ამ საკითხების განხილვა, ბუნებრივია, წარ-

მოდგენილ სტატიაში ვერ მოიყრის თავს, თუნდაც მისი ლიმიტირებული მოცულობის გამო. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ლითონის ჭურჭლის ზოგიერთ ტიპობრივ ჯგუფსა (თასები) და მის ვარიანტებზე გავაკეთებთ აქცენტს.

თრიალეთური ტორევტიკული ანსამბლი დიდი მრავალფეროვნებითა და განსხვავებული ტიპოლოგიური ჯგუფების არსებობით ხასიათდება.¹ აქ იკვეთება რამოდენიმე ტენდენცია: ერთი – ეს არის ზედაპირზე განთავსებული სიუჟეტის დაქვემდებარება ჭურჭლის ფორმის მიმართ ანუ მოცულობითი ფაქტორის მაქსიმალური გამოყენება და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ორნამენტაციის სიუჟეტური სქემის შემუშავებისა და გადმოცემის დროს. და მეორე – რთული სიუჟეტური დეკორის (როგორცაა ვერცხლისა და ელექტრუმის სარიტუალო თასები, ოქროს ორნამენტით შემკული ვერცხლის სარწყული) და შედარებით მარტივი სახეების (როგორცაა ვანადორის № 1 ყორღანის ოქროს თასი, ლომების გამოსახულებით) გადმოცემა ტორევტიკის კონკრეტულ ნიმუშთა მთელ მოცულობაზე წრიულად მოძრაობის პრინციპით და არა ამ უკანასკნელი, მარტივი სახის დეკორით მხოლოდ ჭურჭლის საფასადო მხარის შემკობა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოსანი ტორევტიკის ნიმუშთა შექმნის დროს, უდავოდ, ხელმძღვანელობს კონკრეტული ფორმისათვის ორნამენტული სქემის საგანგებოდ შერჩევის და მისი მაქსიმალურად ეფექტურად გადმოცემის პრინციპით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთური კულტურის ძვირფასი ლითონის ჭურჭელზე ეს შედეგი ნამდვილად მიღწეულია. ზემოაღნიშნულ წამყვან ტენდენციებთან ერთად სხვა ნიუანსების გათვალისწინება შესაძლებლობას ქმნის თრიალეთური კულტურის ტორევტიკის ეს ნიმუშები რამოდენიმე ძირითადი ტიპოლოგიური ჯგუფის სახით დიფერენ-

¹ **მ. ფუთურიძე.** ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ. – *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, №17-18. თბ., 2006, გვ. 66-76; **K. Rubinson.** Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of Economic Exchange in the Early Second Millennium BC. – *Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond*. Edited by **A. Smith & K. Rubinson**. Los Angeles, 2003, pp. 128-143.

ცირდეს. ეს საკითხი მკვლევართაგან მეტ ყურადღებას და შემდგომ მუშაობას ითხოვს.

ძვირფასი ლითონების ჭურჭელთა ერთ-ერთ წამყვან ტიპს წარმოადგენს თასები, რომელშიც შეიძლება ორი კატეგორია ანუ ქვეტიპი გამოიყოს: პირველი ეს არის ვერტიკალურ ღერძზე განზიდული, გამოკვეთილი და საშუალო სიმაღლის ფეხის მქონე თასები, რომლებიც დღეისათვის თრიალეთის ვერცხლისა¹ და ყარაშამბის ელექტრუმის² თასებითა გვაქვს წარმოდგენილი; ხოლო მეორე ქვეტიპს კი წარმოადგენს წალკის პლატოს №7 ყორღანისა³ და ვანაძორის (კიროვაკანის) №1 ყორღანის⁴ თასები, რომლებიც ფორმის მხრივ სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ.

თრიალეთისა და ყარაშამბის მდიდრული ყორღანებიდან მომდინარე თასები, რთულსიუჟეტიანი სარიტუალო სცენით, რომლებიც ჩვენ თასების ტიპოლოგიურ ჯგუფში პირველ ქვეტიპად გამოვყავით, ფორმის მოდელირების თვალსაზრით (და არა დეკორის) უახლოეს ანალოგს პოულობენ ჰენრიხ შლიმანის მიერ გათხრილი და მრავალგზის გამოქვეყნებული სინქრონული პერიოდის ტროას საგანძურის ტორევეტიკის ნიმუშთა შორის. ეს არის საგანძური (Cat. Nos. 1-101)-ში დაცული ოქროს თასი,⁵ რომელიც არა მხოლოდ ცილინდრული ფორმის ტანით, პროპორციითა და მხატვრული სახის ანალოგიით, არამედ თვით ჭურჭლის ფეხის მოდელირების მხრივაც კი ძალიან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს თრიალეთურ ცალთან. რა თქმა უნდა, აქ ჩვენ ფორმაზე ვაკეთებთ აქცენტს, რადგან ტროას ეგზემპლარი განსხვავებით თრიალეთური კულტურის ცალეებისაგან სრულიად სადააზედაპირიანია. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთვევა დასავლეთ ანატოლიურ მასალებთან პარალელისა, არამედ ტროას საგანძურ B (Cat. Nos. 102-103)-ს ნიმუშთა შორისაც გვაქვს ფორმის მხრივ

¹ **Б. А. Куфтин.** Археологические раскопки в Триалети, табл. ХСІ, ХСІІ.

² *Arménie. Tresors de l'Arménie ancienne des origines au IV^e siècle.* Paris. 1999.

³ **ე. გოგაძე.** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972, სურ. 19.

⁴ **S. Devedjian.** Lori Berd II (Bronze Moyen). Erevan, 2006, Fig.

⁵ *The Treasure of Troy.* H. Schliemann's excavations. Moscow, 1996, p. 36, Fig. 6.

თრიალეთური ნიმუშის სრულიად ანალოგიური ვერცხლის თასი.¹ საფიქრებელია, რომ ძირითადად მაინც დასავლეთ ანატოლიის-თვის სპეციფიკური ჭურჭლის ეს ფორმა აღმოჩნდა ყველაზე მისაღები და იდეალური თრიალეთური ტორევეტიკის ნიმუშთა შემქმნელი ხელოსნებისთვის, რათა მათ მაქსიმალურად ევექტურად გადმოეცათ რთული სარიტუალო სცენა.

თრიალეთის თასებს შორის თავს იჩენს კიდევ ერთი ტიპი, რომელიც, ჯერჯერობით, სრულიად განცალკევებით დგას როგორც ფორმის, ასევე მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით. ტორევეტიკის ამ უბრწყინვალეს და დღემდე უნიკალურ ნიმუშს – ოქროს ინკრუსტირებულ თასს² საკმაოდ მაღალ დონეზე შესწავლა და მკვლევართა საგანგებო ყურადღება არ დაკლებია,³ თუმცა თრიალეთის ტორევეტიკის მასალათა ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებაში მისი კუთვნილი ტიპობრივი ჯგუფის მკაფიოდ განსაზღვრის საკითხი დღემდე არ დამდგარა. არადა, ეს საკითხი - არა მხოლოდ აღნიშნული ნიმუშის, არამედ ზოგადად, თრიალეთის ძვირფასი ლითონის არტეფაქტთა საფუძველზე ტიპოლოგიური სქემის შექმნა, ჩვენგან, უდავოდ, საგანგებო კვლევას ითხოვს. ეს პრობლემა საკმაოდ კარგად არის დამუშავებული აშურის, ცენტალური ანატოლიის და წინა აზიის სხვა რეგიონების მასალებთან მიმართებით და ამიტომ თრიალეთური კულტურის შთამბეჭდავი ტორევეტიკული ძეგლების ტიპოლოგიის საკითხზე მუშაობა დღევანდელ დღეს მით უფრო საშური ჩანს. ის სამუშაო, რაც ჩატარებულია, რასაკვირველია, მხოლოდ ერთი საფეხურია⁴ და მას შემდგომი გაგრძელება და კონკრეტიზაცია სჭირდება. თასების ტიპის ამ უკანაქნელ ეგზემპლიართან დაკავშირებით მხოლოდ ის შემძღვია ვთქვა ზოგადად, რომ თრიალეთის №17 ყორღანის ოქროს ინკრუსტირებული ნიმუში აშკარად ამჟღავნებს ცალკე ტიპად

¹ *The Treasure of Troy*, p. 97, Fig. 103.

² **Б. А. Куфтин.** Археологические раскопки в Триалети, табл. ХСIII.

³ **Б. ჯაფარიძე.** ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში. თბ., 1981, გვ. 52-65; 87-88; **J. Apakidze.** Lapslazuri – Funde Des 3. Und 2. Jahrtausends V. Chr. In Der Kaukasusregion – Ein Beitrag Zur Herkunft Des Lapslazuri In Troia. – *Studia Troica.* Band 9. Mainz, 1999, გვ. 512-525.

⁴ **მ. ფუთურიძე.** ზოგიერთი მოსაზრებანი..., გვ. 66-76.

დიფერენცირების ტენდენციას.

თრიალეთის ტორევეტიკის ნიმუშთა შორის, წარმოდგენილია სხვა ტიპის ჭურჭელიც (ვერცხლის ცალყურა კათხები, ვერცხლის სარწყული და სხვა), რომლებსაც ასევე ახლო ანალოგები ეძებნებათ წინა აზიის სხვასდასხვა ცენტრების სახელოსნოების მასალათა შორის. ბუნებრივია, თითოეული მათგანის საგანგებო კვლევა ტიპოლოგიურ სქემაში ყველა ცალკეული ტიპის დიფერენცირების თვალთახედვით, ისევე როგორც ეს გაკეთებულია მხატვრულ-სტილისტური ასპექტით,¹ მომავალში ამ კატეგორიის მასალათა მეტი სიღმით გაანალიზების საშუალებას მოგვცემს სწორედ წინააზიურ სამყაროსთან საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის გარკვევის თვალსაზრისით.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნო, რომ თრიალეთური კულტურა, ზოგადად, ხასიათდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშანთა გასაოცარი მდგრადობით, რომელიც არც ერთ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის დანარჩენ კულტურაში არ მქონდება. თრიალეთის, თაზაკენდის (კარმირ-ბერდის), სევან უზერლიკის და კარმირ ვანქის კულტურებში მოგვეპოვება თვისობრივად სხვა სახის, ერთმანეთისათვის „უცხო“ ნიშნები, რომელთა ზუსტად დიფერენცირებული ნუსხა,² შეიძლება ითქვას, რომ მათ უფრო ანსხვავებს ერთმანეთისაგან, ვიდრე აახლოვებს. ამგვარ განსხვავებულ პლასტთა შორის ერთ-ერთი გამოკვეთილი სწორედ ტორევეტიკის სფეროა, რომლის ნიმუშებიც თვალსაჩინოს ხდის იმას, რომ თრიალეთურ კულტურას გაცილებით უფ-

¹ **M. Müller-Karpe.** Zu den Erdgräbern 18, 20 und 21 von Assur. Mainz, 1995; **M. Puturidze.** About the problem of South Caucasian-Near Eastern cultural relations according to the items of artistic craft during the first half of the II millennium BC. – *Metalla*. Nr. 12. ½, Bochum, 2005, pp. 8-22.

² **О. Джапаридзе.** Триапетская культура. – *Археология.* Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и Средняя бронза Кавказа. М., 1994, გვ. 75-92; **К. Кушнарёва.** Кармирбердская (Тазакендская), Севано-узэрликская группа памятников. – *Материалы к проблеме выделения кармирванкской (кызылванкской) культуры.* – *Археология.* Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и Средняя бронза Кавказа. М., 1994, გვ. 106-132; **В. Массон.** Кавказский путь к цивилизации. Вопросы социо-культурной интерпретации. – *Древние Общества Кавказа в эпоху палеометалла.*, С.-Петербург, 1997.

რო მეტი საერთო ნიშნები და სიახლოვე აქვს წინააზიურ კულტურათა მასალებთან, ვიდრე სამხრეთ კავკასიის რეგიონის შუა ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ფაზების დანარჩენ ზემოთდასახელებულ კულტურებთან. ვფიქრობ, რომ თრიალეთური კულტურის ტორევეტიკის მასალამ ყველაზე ადეკვატურად და მკაფიოდ ასახა შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე შიდა და საერთაშორისო ურთიერთობათა რთული პროცესები.

МАРИНА ПУТУРИДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМНЫХ ВОПРОСАХ ФОРМИРОВАНИЯ И РАЗВИТИЯ ТОРЕВТИКИ ТРИАЛЕТСКОЙ КУЛЬТУРЫ

Развитая фаза периода Средней Бронзы (Средняя Бронза II) представленная на Южном Кавказе «Блестящими Курганами Триалетской Культуры», ознаменовала старт появления одного конкретного типа торевтики – металлических сосудов. Подавляющее большинство этого материала изготовлены из драгоценных металлов и представляют собой высокохудожественные памятники прикладного искусства. Следует подчеркнуть и тот факт, что Триалетская Культура поры блестящих курганов на фоне других среднебронзовых культур Кавказа (Суван-Узерлик, Тазакенд или Кармир Берд и Кармир Ванк) выделяется многими знаменательными достижениями в разных сферах ремесленной деятельности. Одна особо наглядная из них является торевтика. Так как эта культура ознаменовала самое начало производства металлической посуды на Южном Кавказе, ранее которой она вообще не засвидетельствованна, следовало бы ожидать их появление в более архаичных и начинающих версиях, как по типологии, так и по обработке. Но факт убеждает в обратном: в этих образцах чувствуется тонкий вкус, удивительное мастерство ремесленников этой сферы и совершенно вы-

сокоразвитая форма. Сразу же после первого появления удивительно тончайших памятников торевтики из грандиозных курганных комплексов раскопанных акад. Б. Куфтиным еще в 30-е годы прошлого столетия стало ясно, что эти материалы стоят отнюдь не изолированно от Переднеазиатских памятников. Впервые о связях триалетской торевтики с материалами разных регионов Древнего Востока указал Б. Куфтин и этим самым положил начало и дал верное направление изучению этой новой для Южного Кавказа сферы – производства металлических сосудов в начале II тыс. до н.э. С тех пор многие специалисты изучали вопросы касающиеся памятников триалетской торевтики но несмотря на сравнительную актуализацию этой тематики, все же многие ключевые вопросы остаются неясными. В связи с конкретными экземплярами, да и в целом вообще, не исследован вопрос, являются ли эти материалы продукцией местной художественной мастерской или же часть из них представляет импорт. Несмотря на некое сходство с близкими, а также менее идентичными образцами из разных центров Передней Азии, вопрос этот по сей день остается нерешенным. Специального глубокого исследования ждёт и вопрос типологической систематизации металлических сосудов. Именно эта проблема обсуждается в статье и она рассматривается в контексте влияния культур переднеазиатского мира на процесс формирования и развития триалетской торевтики.

MARINA PUTURIDZE

SOME PROBLEMATIC ISSUES OF FORMATION AND DEVELOPMENT OF TOREUTIC OF THE TRIALETI CULTURE

The present article deals with the problem of formation and development of one sphere of artistic craft – toreutic of the Middle Bronze Age. Chronologically it coincides with the start of the famous Trialeti Culture in the South Caucasus. Appearance of the new, flourishing Trialeti Culture on the map of Old World resembles not only the second, developed stage of Middle Bronze Age, but also the beginning of great social and cultural changes in the society. The process of the deepest social stratification quite evidently is shown by the numerous sites of the Trialeti Culture, which indicates the stimulating process of concentration of wealth by the ruling elite, who supposedly in prior gained the power and only after this – the richness. The cultures formed in the region of geographical crossroads of the South Caucasus brilliantly reflected traces of relationship with surrounding civilizations and influences, causing the shaping of distinctive cultures in the late prehistoric period. Specifically, in parallel to various advanced civilizations in the Near East, in the first half of the II millennium BC there existed four distinctive cultures in the South Caucasus. Among them the most impressive and powerful were the Trialeti Culture of Brilliant Kurgans, as well as those of Tazakend (Karmir Berd), Sevan-Uzerlik and Kizil Vank. All of them existed in the South Caucasus during the Middle Bronze Age, sharply differing not only by their artefacts, but also from the standpoint of the majority of the elements of social life of the society that created them, and from the basis of tradition. The Trialeti Culture is characterized by an astonishing stability of features characteristic only to it and not repeated in any other cultures. Among this differing artefacts the rich assemblage of toreutic can be mentioned. Precious assemblages of toreutic are a clear demonstration of high level of social stratification and concentration of wealth by certain members of society. These changes directly relate to the process

of the activate interrelation with certain regions of the Near East. It is supposed that one category of toreutic assemblage of the Trialeti Culture represented by the rich metal vessels and characterized with an unacceptable highest level of aristic style and uniq decoration schemes should be considered as a result of these cultural contacts. We try to point out some near Eastern style items, which have no prototypes in local Caucasian region. Some types of considered metal vessels widely demonstrate that all achievements of the Near Eastern Civilizations in the field of toreutic were very well known for the Trialetian society.

ВАХТАНГ ДЖАПАРИДZE

**О НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМАХ АРХЕОЛОГИИ
СЕВЕРО-ЗАПАДНОЙ КОЛХИДЫ
АБХАЗИЯ**

При изучении кардинальных вопросов истории Колхиды, конкретнее её северо-восточной части – современной Абхазии, большое значение имеют данные археологии. На основе некоторых старых изысканий и раскопок последних десятилетий выявлены десятки значительных памятников; Добытые при их раскопках большое количество материалов позволяют по новому интерпретировать важнейшие вопросы истории края, что более или менее удовлетворительно отразилось в научной литературе и в учебниках средних школ. Однако, к сожалению, в последнее время в некоторых публикациях не совсем верно интерпретируются вышеотмечённые материалы. В первую очередь, имеется в виду учебник «Истории Абхазии» изданный недавно в Сухуми.¹ В настоящей статье мы, помимо указанного, касаемся и вопроса современного состояния некоторых археологических памятников Абхазии и об организационных мерах их охраны.

Вопросы генезиса и развития колхидской бронзовой культуры». Сразу же отметим, что, к сожалению, в ней не всегда в полном объеме и объективно использован и интерпретирован имеющиеся в распоряжении современной науки фактический археологический материал. Однако, следует отметить и то, что в учебнике приводятся немало материалов для осве-

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней.* 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми, 2006. Следует отметить, что в 2007г. был выпущен научно-популярный вариант данной книги. См.: **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней.* Сухуми, 2007.

домления учащихся общеобразовательных школ, так как авторы, как и следовало ожидать в параграфах (I-VII), посвященных древним эпохам, приводят данные материальной культуры. Разделы эти в основном компилятивного характера, и поэтому вопросов эпохи камня и ранней стадии бронзы мы, здесь, не будем касаться; Однако, авторы не всегда обращают внимание на новые данные археологии и научной литературы, на оснований которых письменные памятники Майкопа и Эшеры, уже сегодня, вряд ли могут быть использованы для серьёзного обсуждения вопроса о прямой генетической и культурных связях абхазо-адыгских племён с населением Передней Азии (к примеру, пока что не имея достаточных соответствующих материалов не удастся установить прямой связи между упомянутыми и финикийско-хеттскими памятниками письменности). В научной литературе, за последнее время, и теория об идентичности племен кашка-абешла-апсил не всеми учеными разделяется.¹

Вопросы генезиса и развития колхидской бронзовой культуры, выделения в ней локальных вариантов до сих пор вызывает огромный интерес среди исследователей Кавказа. Авторы книги в главе посвященной эпохи поздней бронзы допускают определённую неточность, вернее тенденцию, когда выделяя колхидо-кобанскую металлургическую провинцию, вовсе и не упоминают колхов. И это тогда, когда ареал распространения данной культуры (т. е. «металлургической провинции»), определяется территорией от Геленджика до Орду (Турция). Также не видно колхов на фоне исторических событий VIII-VII вв. до н.э., когда в пределах Восточного Причерноморья наступает время расцвета железной металлургии. К сожалению, тенденция подобного рода заметна в упомянутой книге почти до последних страниц; Колхидой обозначается лишь географическая среда, местопроживание многочисленных разных (в ос-

¹ Г. Г. Гиоргадзе. К этнической принадлежности касков и (кашков) и абешлайцев хеттских и ассирийских клинописных текстов. – *Вопросы языкознания*. №1, 2000, с. 85-92; Г. Г. Гиоргадзе. К этнической принадлежности касков и (кашков) и абешлайцев хеттских и ассирийских клинописных текстов. Ахалцихе, 2000, с. 19-26.

новном абхазских) племен.¹ Редко упоминают авторы о колхских объединениях. Колхида времён аргонавтов и данные знаменитой поэмы об Аргонавтах считают совершенно нереальными,² в месте с тем, в другом случае, этот же миф широко используется при обсуждении достоверности сообщений о гениохах, вопроса об их основании города Диоскурия.

О тенденциозности говорит и факт игнорирования сообщений первоклассных источников (Скилакс Каряндский, Геродот, Страбон, Плиний и др.), которые прямо указывают на пребывание колхских племен в пределах, известных по этим и другим источникам, гг. Пителинта и Диоскурии.³ Неоднократно этнокультурной границей древнегрузинских (лазы и др.) и абхазских племен, включая средневековье, упоминается р. Энгури.

Древнегрузинские племена (карты, колхы, лазы и друг.), по утверждению авторов, вплоть до начала I тысячелетия до н. э. проживали лишь в северо-восточных областях Малой Азии. Произвольная интерпретация данных источников о расселении колхов и самого термина – колх, когда в последнем, в основном, подразумеваются лишь племена гениохов и др. (за редким исключением и колхи, в узком понятии) ставит весьма в неловкое положение авторов книги, так как, этим термином, наряду с другими, обозначаются и греки пришельцы (?).

Трудно сегодня оспаривать факт реального существования Колхидского царства и никак нельзя возникновение ранних колхидских городов связывать только с колонизационной деятельностью греков-колонистов.⁴ В тоже самое время, история гениохских объединений (их четыре) рассматривается в

¹ О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, с. 60 и др.

² О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, с. 60.

³ С. Н. Джанашиа. Историческая география Причерноморья. – *Труды*, VI, Тб., 1988, с. 296-314 (на груз. яз.).

⁴ О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии..., с. 46. Вопросы характера Великой греческой колонизации часто обсуждался на международных симпозиумах по древней истории Причерноморья. См. напр.: *Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья*. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо – 1977. Тб., 1979.

связи с выдуманной авторами с «Диоскурииским царством». ¹ Там же в перечне племён указанного региона упоминаются только предки (?) абхазов (гениохи и др.); Они независимо от колхов, являются создателями знаменитой колхидской бронзовой культуры, абхазского варианта колхидской культуры. ²

В ином случае гегемоном объединения всех этих племён считаются гениохи, на земле которых, повторяем, игнорируя данные античных источников, помещаются известные города Диоскурия, Питиунт и даже Фасис. Племена эти (гениохские в основном) живущие в северо-западной части исторической Колхиды, по неоднократным сообщениям тех же источников, живут диким образом и в основном занимаются пиратством. ³ Трудно их считать создателями знаменитой колхидской бронзовой культуры, и вряд ли могли они несколько позднее, научиться сложному процессу изготовления стального оружия, когда этим, по авторам, ещё не владеют скифы и даже греки (ниже мы укажем о чем говорят на самом деле, по этому вопросу, исторические источники и данные археологии).

Импульсом нового прогресса, т. е. освоением производства железа авторы считают контакты с переднеазиатским миром, через западно-кавказский путь. Однако, следует отметить и о значительном металлургическом очаге Юго-Восточной Грузии, археологическое изучение которого давно начато и результаты полностью опубликованы. ⁴ Нет сомнения, что ос-

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., с. 61.

² **О. Д. Джапаридзе.** Земледельческие орудия в западногрузинской культуре. – *Труды Тбилисского государственного университета.* 49. Тб., 1958 (на груз. яз.).

³ Авторы «*История Абхазии*» сами приводят достаточно просторно, сведения о гениохах. См. **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 87-93, 307-309.

⁴ **И. А. Гзелишвили.** Железоплавильное производство в древней Грузии. Тб., 1964; **А. Т. Рамишвили.** Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулет) в 1960-1964 и 1967 гг. – *Советская археология*, №1, М., 1975, с. 136-153; **А. Т. Рамишвили.** О назначении стоянок с «текстильной керамикой» Восточного Причерноморья. – *Советская археология*, №4, М., 1975, с. 36-44; **Д. А. Хахутаишвили.** Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987; **И. Г. Чавлеишвили.** Археологические раскопки древнейших поселе-

новным производителем железа в этом регионе были колхи а на юге Понта Евксинского халиби и, возможно, другие родственные племена, о детальности которых, сообщают нам в основном античные авторы.¹ Данные археологических раскопок подтверждают сообщение последних;² Это в основном касается способа добывания и производства железа; Раскопки и лабораторные исследования установили, что в качестве руды в прибрежной зоне Колхиды применялось магнетитовое железо, добыванием которого занимались племена следы которых, обнаружены в виде дюнных поселений, с некоторыми интервалами, по восточному побережью Черного моря, до Питиунта.³

Археологически сравнительно хорошо изученные дюнные поселения, пока что, датируются IX-VI вв. до н. э., также следует, видимо, в основном, датировать и памятники связанные уже с производством (т. е. выплавкой) железа. Хронология остатков железоплавильных печей, выявленных в отдаленной от береговой зоны, авторами раскопок определяется II-I тысячелетием до н. э. При датировке были использованы результаты радиоуглеродного, археомагнитного и др. измерений.⁴ Как бы не верить данным радиоуглеродного датирования и считать

нии Пичвнари в 1983 году. – *Памятники Юго-Западной Грузии*, XVI, Тб., 1987, с. 21-33 (на груз. яз.); **Г. Г. Тавамаишвили.** Цихисдзирский жертвенник. – *Памятники Юго-Западной Грузии*, XVII, Тб., 1988, с. 42-46 (на груз. яз.).

¹ **И. А. Гзелишвили.** Железоплавильное производство в древней Грузии, с. 7-13; **Т. К. Микеладзе.** Исследования по истории древнейшего населения Колхиды и юго-восточного Причерноморья (II-I тысячелетия до н. э.), Тб., 1974, с. 114-149 (на груз. яз.).

² **Д. А. Хахутаишвили.** Производство железа в древней.., с. 39 и дал.

³ **Л. Н. Соловьев.** Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. – *Советская археология*, XIV, М., 1950, с. 265-286; **Б. А. Куфтин.** Материалы по археологии Колхиды, II, Тб., 1950, с. 264; **А. М. Апакидзе.** «Великий Питиунт». Археологические раскопки в Пицунде. – *Великий Питиунт*, III, Тб., 1978. с. 55. Обращает внимание факт обнаружения в 1935 году на поселений явно дюнного характера клада бронзовых топоров. Тоже самое мы (в составе Ингурской археологической экспедиции) наблюдали в прибрежной зоне р. Эрисцкали, тогда был найден клад бронзовых, массивных слитков.

⁴ **Д. А. Хахутаишвили.** Производство железа в древней.., с. 110, 162, 175.

кривую измерения намагниченности векового хода магнитного поля земли составленную для Грузии несовершенной, на что имеем собственную информацию,¹ определение даты производства железа концом II-началом I тыс. до н.э. кажется нам вполне приемлемым.

В тоже время хронология производства железа Ближнего Востока, по данным археологии, пока что, не выходит за рамки I тыс. до н.э. (хотя по письменным источникам хеттскому обществу оно известно еще раньше); К примеру можно назвать результаты исследований Музея горной металлургии г. Бохума (Германия) в Турции (проф. А. Ялчын и друг.).² Самым близким памятником к юго-западному очагу производства железа Грузии, на специальной карте, указывается с. Мургули (в исторической провинции древней Грузии), датируемое также самым началом I тыс. до н. э.

В связи с вопросом генезиса железной металлургии Абхазии следует упомянуть о другом, важном очаге железной металлургии, каким являлся Квемо Картли (Восточная Грузия); обнаруженные здесь и на самтаврском могильнике (Мцхета) ранний железный инвентарь датируется XIV-XII вв. до н. э.³ С XI-X вв. материалы из этих погребений носят следы цементации, что указывает на значительный прогресс в производстве железа. На существование столь масштабного очага производства железа авторам следовало обратить внимание.

Однако, вернемся к вопросу железной металлургии северо-западной Колхиды, несмотря на большую компетентность авторов в вопросах металлургии Абхазии ряд вопросов до сих пор остается нерешённым. Это касается и вопроса оп-

¹ В. М. Джапаридзе, З. А. Челидзе, М. Квирикадзе, М. Церетели, Н. Намгалаури. Результаты археомагнитного исследования археологических памятников Грузии. Тб., 1990 (на груз. яз.).

² Во время пребывания в Бохумском Музее Горной металлургии, нам удалось ознакомиться с результатами полевых и лабораторных исследований и с публикациями.

³ Р. М. Абрамишвили. К вопросу об освоении железа на территории Восточной Грузии. – *Вестник Государственного музея Грузии*. XIII. Тб., 1961 (на груз. яз.).

ределения характера дюнных поселений; Игнорируя полностью результаты вышеотмеченных исследований в Юго-Западной Грузии, авторы их связывают с производством соли. Следует отметить, что высказанное ещё в 30-ых годах прошлого столетия Л. Н. Соловьевым¹ подобное соображение по поводу характера прибрежных стоянок весьма устарело и становится совершенно непонятным почему и с какой целью игнорируются новые данные археологических исследований, также публикации на русском (и иностранном) языках, в том числе и в журнале «Советская археология» с 60-х годов прошлого столетия.²

Как уже отмечалось, по всем данным археологических исследования дюнные, связанные с добыванием из магнетитового песка (способом флотации руды) поселения распространены от Апсара (римско-византийских источников) до Питиунта; Хотя памятники подобного рода северо-западной Колхиды специально не исследованы, но давно имеются данные указывающие на их тоже принадлежность металлургическому производству.

В связи с этнической атрибуцией дюнных поселений следует обратиться к письменным источникам. По данным античных авторов грузинские племена проживающие в юго-восточной части Черноморского побережья (моссиники, халиби и др.) являлись опытными металлургами меди и железа. Что касается самого способа добывания железа, наиболее полно об этом повествует псевдо Аристотель (IV до н.э.): «Рассказывают о совершенно особом происхождении железа Халибского и Амисского: оно образуется, по рассказам, из песка, несомого реками; песок этот, по одним рассказам, просто промывают и плавят на огне, а по другим – образовавшийся от промывки осадок несколько раз еще промывают и потом плавят, прибавляя так называемый огнеупорный камень, коего много в той

¹ Л. Н. Соловьев. Селище с текстильной керамикой... с. 282-284

² А. Т. Рамишвили. Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулет), с. 136-153; А. Т. Рамишвили. О назначении стоянок с «текстильной керамикой» Восточного Причерноморья, с. 36-44; О. Д. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. Тб., 1989, с. 229-230.

стране. Этот род железа гораздо лучше прочих, и если бы оно плавилось не в одной печи, то, кажется, ничем не отличалось бы от серебра. Только одно это железо, по рассказам, не подвергается ржавчине, но добывается оно в незначительном количестве».¹ Здесь следует опустить данные всех остальных авторов (Эсхил, Ксенофонт, Каллимах, Эвдокс, Апполонии Родосский, Страбон и др.) говорящих тоже самое, и соображения историков-специалистов комментирующих эти сведения.

Кратце можно было остановиться и на сообщениях древневосточных источников: в надписи царя Урарту Сардура II (765-736 гг. до н.э.) говорится: «...Сардури говорит: Выступил я (в поход) против страны Кулха,.. город Илдамуша... в бою я завоевал... железную печать я приготовил, надпись я установил в городе Илдамуша».² Об искусности древнегрузинских племён (табалы) в металлургии сказано и в «Библии»: «Тубал-каин... был ковачом всех орудий из меди и железа» (*Бытие*, 4, 22). По источникам халибское железо играло большое значение в хозяйстве стран обширного бассейна Эгейского моря, и что само греческое название стали (халупс) должно было образоваться от названия племени халибов. В результате интерпретации материалов могильника в Тальше Н. Я. Марр делает вывод: «материал — бронза, медь, железо и серебро... генетически связан с кавказским миром» и что «грузинское название «кина» или «ркина» является прямое название народов каинитов, ныне чанов, или лазов. А, как известно, каиниты или чаны были первыми металлургами железа».³

Отдельно следует рассмотреть, в будущем, вопрос археологических культур, их соотношения к определённым этническим группам. Нам кажется, что на сегодня трудно выделить культуру гениохов, санигов, мисимян и многих других перечисленных в источниках. Более отчетливо выделяют

¹ Псевдо Аристотель. О невероятных случаях, II, 48. – *Вестник древней истории*, №2, М., 1947, с. 327.

² Г. А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи. М., 1960, с. 282.

³ Н. Я. Марр. Тальши. П., 1922, с. 7-21; Т. К. Микеладзе. Исследования по истории... с. 47, 128-130.

культуру апсилов, благодаря раскопкам М. М. Трапша.¹ Раскопки памятников Кодорского ущелья (Цебельда, Шамка и др.) были продолжены и на сегодняшний день накоплен, и большей частью издан, археологический материал первостепенной значимости.²

Мы уже имели возможность частично высказаться по поводу некоторых вопросов касающихся цебельдинской культуры.³ несомненно эта культура имеет ряд специфических данных, что, как уже отмечали, дает возможность говорить об её локальном характере, В месте с тем следует учесть и распространение отдельных элементов этой культуры за пределами исторической Апсилий, напр.: Керамику цебельдинских погребений всё чаще находят при раскопках памятников и в других районах Западной Грузии как в прибрежной зоне, например, в Пичвнари (Юго-Западная Грузия), так и во внутренней Эгриси (Лазика); так же, погребения типа цебельдинских были обнаружены в верховьях р. Кодори, явно в регионе расселения мисимиян и, возможно, других племён. Участились находки и цебельдских топоров, типологически близкие их аналогии известны и за пределами Западной Грузии. Мы склонны думать, что связывать их с европейскими «франциссками» (Ю. Воронов)⁴ менее правдоподобно, их близкими аналогами следует считать т. н. бартахты (Bartacht), что возможно, является результатом широких контактов Лазики (и Апсилии) довольно с просторным регионом римско-византийского мира, экономического, а также политического характера. Не исключено, что некоторая однородность материалов связана и перемещением значительного количества воинских контингентов. Об экономических связях указывают материалы раскопок прибрежных

¹ М. М. Трапш. Культура цебельдинских некрополей. – *Труды*, III. Тб., 1973; М. М. Трапш. Культура горной Абхазии в начале эпохи средневековья. – *Материалы по археологии средневековой Абхазии*. Труды, IV, с. 9-72.

² Ю. Н. Воронов. Тайна цебельдинской долины. М., 1975; Ю. Н. Воронов. Древняя Апислия. Сухум, 1998.

³ В. М. Джапаридзе. О некоторых вопросах истории Цебельдинской культуры. – *Вопросы археологии Грузии*. II. Тб., 1979, с. 78-89 (на груз. яз.).

⁴ Ю. Н. Воронов. Тайна цебельдинской долины. М., 1975, с. 93.

городов-крепостей (Питиунта,¹ Севастополиса,² Гиеноса³ и др.) и Цебельды.⁴

К вопросу использования импортного материала, в качестве определяющего характера и направления контактов следует относиться более осторожно; К примеру: присутствие в комплексах материалов амфор типа — карфаген не всегда отражает реальной ситуации, так как амфоры подобного типа могли производиться и в других центрах средиземноморского бассейна. Кроме того, одна часть импорта могла попасть в Восточное Причерноморье в результате перемещения воинских контингентов. Здесь же следует отметить, что авторы при обсуждении вопроса контактов этнических групп северо-западной Колхиды перечисляют не мало стран и этнических групп, а вот о существовании грузинского государства, об единой культурной общности народов проживающих в Грузии умалчивают.

Следует вернуться к вопросу об этнической принадлежности, отдельных этнических групп по данным археологии. В книге история Абхазии авторами выделяется вопрос о санигах и об их материальной культуре, располагая данными всего из трех пунктов, притом, по характеру и хронологии, не совсем совместимыми и, что больше удивляет, все они были обнаружены только на территории Северного Кавказа. Среди этих материалов особо выделяется комплекс женского погребения из с. Лоо (близ Сочи).⁵ Материалы, как нам известно, полностью еще не опубликованы. Сравнительно полно их описал Ю. Воронов.⁶ Авторы «История Абхазии» используя эту публикацию повторяют и поспешные выводы отмеченного исследователя, однако, и на этот раз, не указывая источник.

¹ *Великий Питиунт*. Под. ред. А. М. Апакидзе. Т. I, Тб., 1975; т. III, 1978.

² М. М. Трапш. Древний Сухуми. — *Труды*, т. II. Сухуми, 1969.

³ С. М. Шамба. Гюэнос. I. Тб., 1988.

⁴ М. М. Трапш. Культура цебельдинских некрополей. — *Труды*, т. III. Тб., 1973.

⁵ М. И. Иванова, П. М. Голубев. Находки в Лоо. — *Советская археология*, №3, 1961, с. 284-292

⁶ Ю. Н. Воронов. Сочи и его окрестности. Краснодар, 1990.

Комплекс из погребения с. Лоо (серебряная посуда, золотые серьги, фибулы, стеклянный кубок с греческой надписью и др.) не содержит ничего специфического, чтобы можно было отнести их только к культуре санигов; часть их правда может быть и является продукцией боспорских мастерских. Комплекс из Лоо в научной литературе часто приводится как ближайшая аналогия найденных в Колхиде (ср. Клдеети,¹ Бори, Гонио² и др.). Несколько поздними могут быть аналогий из Иберии, в первую очередь предметы украшения из погребений Армазисхеви (Мцхета). Легче было связать часть материалов из с. Лоо с одним из возможных центров изготовления этих изделий Колхиды (в особенности золотые серьги украшенные зернью), чем связывать их непременно с сарматами, т. е. влияниями из северного Кавказа. А вот к Санигам материалы эти, как из Красной поляны, совершенно не подходят.

Вопросы связанные с архитектурными памятниками северо-западной Колхиды требуют серьезной разработки для последующих обобщений..., но надо сказать, что на фоне всеобщего, слишком преувеличенного, мнения о византийских влияниях нельзя не видеть с определённого времени влияние грузинской архитектуры, вернее об общности строительных традициях всех провинций существующего государства. Об этом свидетельствуют и памятники Кодорского ущелья; Здесь они, с грузинскими надписями, были обнаружены с 80-х годов XIX столетия.³

Позднее, с IV н.э. и, особенно, в эпоху ранней Византии моменты взаимовлияния запад-восток отчетливо проявляется на примере местной архитектуры, когда наряду с византийской,

¹ Г. А. Ломгатидзе. Некрополь II века н.э. в Клдеети. Тб., 1957 (на груз. яз.).

² О. Р. Лордкипанидзе, Т. К. Микеладзе, Д. А. Хахутаишвили. Гонийский клад. Тб., 1980.

³ В связи с общностью культур следует отметить, что и широкое распространение (вся западная Грузия, Шида Картли, частично, северный Кавказ) колхидской бронзовой культуры, учитывая и её варианты, возможно и указывает на определённую общность и (родство?) не только грузинских (колхи и др.), а, вероятно, некоторых других, названных позднее в письменных источниках, племён ещё с преисторической эпохи.

с самого начала (VIв. Церковь в Гагра), а потом всеобъемлюще здесь доминирует общегрузинская школа архитектуры; Совместное существование этих двух школ вовсе не исключает (а именно подразумевает) взаимовлияния проявляющееся схожести отдельных элементов¹ в строительстве храмов, что порой используется для тенденциозного суждения при определении степени византийского влияния.

Восточные влияния в архитектуре, наглядным примером которых являются трёхцерковные базилики (зарождение и развитие формы которой в основном связана с Восточной Грузией), выражена и в малых её формах; К примеру можно назвать отмеченный авторами книги, фрагмент алтарной преграды из Цебельды, раннехристианские сюжеты которой явно носят следы художественно-стилистической тематики христианского востока (христианского Иран),² одновременно заметны и влияния византийского мира (напр. Сирии). К сожалению, авторы «*Истории Абхазии*» умалчивают о сходстве этих материалов с соответствующими памятниками восточной Грузии, что и признано большинством специалистов.

К вопросу исторической географии Колхиды. По мнению авторов «*Истории Абхазии*» грузинские племена (колхи и др.) в I тысячелетии ещё не проживали в Колхиде и лишь позднее появились они в её центральной части. Только тогда, как будто, происходит перемещение к северу, живущих в районе Фасиса, гениохов. Позднее, I-Пвв. н.э., потомки их Апислы, ещё занимали значительную часть Колхиды от Фасиса до Себастополиса, что, как будто, подтверждается археологическими материалами. Таких данных на самом деле не существует, их сочинил археолог Ю. Воронов, который, думал, как и авторы «*Истории Абхазии*», что обнаружена на правой стороне р.

¹ Л. Д. Рчеулишвили. Некоторые аспекты грузинской архитектуры Черноморского побережья. Средневековое искусство. Русь, Грузия, М., 1978, с. 22-28.

² Д. Айналов. некоторые христианские памятники Кавказа. *Археологические известия и заметки*, №7-8. С.-П., 1895, с. 240-241; Л. Г. Хрушкова. Плиты алтарной преграды из Цебельды. – *Сообщения Академии Наук Грузинской ССР*, 84, №2. Тб., 1976, с. 507.

Энгури (с. Тагилони) и хранящиеся в музее г. Зугдиди клад или, возможно часть погребения, принадлежит именно знатному апсилу. Или же, хронологически ещё не определённые, развалины средневековой крепости в с. Пахулани (опять на р. Энгури) авторы отождествляют с Бухлоон-Буколусом.¹ И это мнение принадлежит другим исследователям,² на самом деле крепость бухлоон исследователи специально занимающиеся вопросами исторической географии Колхиды, помещают в верховьях р. Кодори.³

Логика авторов «*Истории Абхазии*» простая (примитивная): раз рядом с апсилами (по Агафью) живёт племя мисимиан, то они родственны с ними и если пограничную их крепость с Лазикой (по Агафью) поместить на р. Энгури то и этническую и политическую границу можно будет перенести и расширить к югу.

Трудно интерпретировать высказанную мысль. Можно заранее сказать, что и данные источников и археологии не подтверждают её. Откладывая всестороннее рассмотрение целого ряда вопросов, ограничимся здесь приведением лишь одного фрагмента из сочинения византийского историка VI в н.э., надеясь на то, что читатель и сам поймет, насколько правдиво суждения о родственных отношениях некоторых племён (напр. апсиров с мисимианами), а также об идентификации крепости Бухлоон и, этим самым, определение этнических (и политических) границ внутри исторической Колхиды.

Вот что сообщает Агафии: «Когда Сотерих (византийский военачальник – **В.Д.**) пришёл в страну мисимиан, они были подданными царя колхов, так же как апсильцы. Но язык у них разный, так же как и нравы. Живут же они севернее народа апсильев и несколько восточнее. Итак, когда он пришел к ним,

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии, с. 120.

² См. напр.: **Ю. Н. Воронов.** Колхида на рубеже средневековья. Сухуми 1998, с. 99. В. Б. Ковалевская Буклон вообще помещает на берегу моря. См.: **В. Б. Ковалевская.** Кавказ и Аланы. М., 1984, с. 133.

³ **Д. Л. Мухелишвили.** Основные вопросы исторической географии Грузии, I. Тб., 1977, с. 130 (на груз. яз.); **Д. Л. Мухелишвили.** Основные вопросы исторической географии Грузии, II. Тб., 1980, с. 53-54 (на груз. яз.).

они были заняты обсуждением вопроса о его намерении передать одно из укреплений, расположенных у самых границ лазов, которое они называют Бухлоон, аланам, чтобы послы более отдаленных народов, собирались там, получали субсидии и чтобы больше не было необходимости привозящему деньги огибать предгорье Кавказских гор и самому идти к ним».¹

Вопросы о т. н. понтийского лимесе. Следует сказать, что источники такого термина не упомянут, и он носит чисто условный характер. Мы уже имели возможность коснуться этого вопроса, указывая на то обстоятельство, что на данном этапе изучения оборонительных сооружений Восточного Причерноморья, когда древние слои памятников т. н. лимеса (Апсар, Себастополис, Питиунт и др.) ещё недостаточно изучены, а остальные (напр. Фасис) ещё не выявлены и поэтому нет возможности их хронологической дифференциации, говорить о лимесе римского времени преждевременно.² Конечно здесь речь идет о классическом понятный термина.

К сожалению мы не можем разделять и теорию о лимесе византийского времени, которая по авторам *«Истории Абхазии»* охватывает всю Колхиды не учитывая хронологию самых памятников. В результате, получается, что в эту новую систему помещаются известные по данным письменных источников и раскопок, явно местного происхождения города и крепости оборонительные системы которых создаются в разное время.³ Раскопки Сарапаниса, а также Археополиса и Кутаиси указывают а то, что все они были построены значительно раньше в пределах лазского государства⁴ и их строителями, по данным

¹ **Агафий.** О царствовании Юстиниана, кн. III, 15. Перевод **М. В. Левченко.** М.-Л., 1953, с. 87.

² **В. М. Джапаридзе.** Новые данные о фортификационных сооружениях Колхиды (Лазики) и вопрос т. н. понтийского лимеса. – *Археологическая конференция Кавказа.* Краткие содержания докладов. Тб., 1998, с. 75-76.

³ **Ю. Н. Воронов, О. Х. Бгажба.** Крепость Цибилиум один из узлов кавказского лимеса юстиниановской эпохи. – *Византийский временник*, 48. М., 1987, с. 132.

⁴ **В. М. Джапаридзе.** Раннесредневековый Шорапани (Сарапанис – византийских источников) по данным новейших раскопок. Препринт. Тб., 1991,

самых византийских источников, являются сами лазы.

И при датировке памятников Абхазии замечается явная тенденция, иначе как понять желание авторов *«Истории Абхазии»* связать возникновение целого ряда крепостей, таких как, например, Циблиум, Шапка и др.,¹ лишь с политикой Византии юстиниановского времени. Трудно понять, каким образом можно представить, что крепости (крепости-города) центрального региона апсильской культуры, находящиеся на центральном, стратегического значения магистрали р. Кодори, могли возникнуть лишь где-то в середине VI в.

И это при наличии уже с IV в. значительного масштаба поселений и многочисленных некрополей указывающих воинственный характер жизни цебельдинцев...² и церкви раскопанные в пределах этих крепостей являются ранними памятниками. С другой стороны ранняя датировка напр. кладок стен Циблиума пока что, не оправдана. Однако, в будущем, обнаружение более ранних сооружений вдоль стратегической – от Себастополиса вдоль Кодорского ущелья, через перевалы на Северный Кавказ – дороги, вовсе не исключается. На это, возможно, указывают фрагменты Пацхирской крепости,³ суммарно датируемые преантическим и античным временем, также, обнаруженные вдоль этой дороги фрагментов раннеантичной и эллинистической керамики.⁴

Вопросы о современном состоянии памятников в Абхазии и об их охране автором будет рассмотрены во второй части представленной статьи.

с. 8-9. Текст доклада прочитанного на XVIII конгрессе византистов в Москве в 1991 г.

¹ Ю. Н. Воронов, О. Х. Бгажба. Крепость Циблиум..., с. 132-134.

² В. М. Джапаридзе. Материальная культура Эгриси I- VII вв. н. э. Автореф. докт. диссертации, Тб., 1998, с. 103-104.

³ Ю. Н. Воронов. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969, А/176, с. 37.

⁴ Следует отметить, что одна часть материала (напр. родосско-ионийская керамика VI в. до. н.э.) могла попасть в регионе Цебельды уже со времён основания Диоскурии. Возможно, и это говорит о существовании этой дороги с древних времён. О материалах римского времени указано в соответствующей литературе (см. Ю. Н. Воронов. Тайна цебельдинской..., с. 75-89).

მასტანბ ჯაფარიძე

ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის (აფხაზეთი) ზომიერთი არქეოლოგიური პრობლემის შესახებ

სტატიამი კრიტიკულადაა განხილული 2006წ. ო. ბლაჟასა და ს. ლაკობას ავტორობით გამოცემული „აფხაზეთის ისტორიის“ (უძველესი დროიდან დღემდე) სასკოლო სახელმძღვანელოს ის თავები, რომლებშიც წერილობითი წყაროებით ცნობილი ეთნიკური ერთეულების რაობის (ვინაობის) დადგენისას არაობიექტურადაა გამოყენებული არქეოლოგიური მონაცემები. სახელმძღვანელოს ავტორები ახ.წ. პირველ საუკუნეებამდე ისტორიულ კოლხეთში, თვით ფაზისთანაც, კოლხური ტომების არსებობას გამოირიცხავენ, ხოლო ახ.წ. VI საუკუნეში ლაზიკის ჩრდილო საზღვარს მდ. ენგურზე სდებენ. თანამედროვე არქეოლოგიის მონაცემები ადასტურებენ წერილობითი წყაროების ცნობებს კოლხური (ზანური) ტომების მელითონეობის დიდ ტრადიციაზე. ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ეს ტომები ზღვისპირა დიუნებზე მაგნიტური ქვიშებიდან რკინის მოპოვებასა და გადაღობას ეწევიან, სახელმძღვანელოს ავტორები კი, ძველი მონაცემების საფუძველზე, დიუნურ დასახლებებს მხოლოდ მარილის მოპოვებას უკავშირებენ. წიგნში არ არის სათანადოდ დასაბუთებული მთელი რიგი ეთნიკური ერთეულების (მაგ. ჰენიოხების, სანიგების და სხვ.) არქეოლოგიურ კულტურებთან მიმართების საკითხი; არც წყაროებით ცნობილი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტის (მაგ. ბოკერის ციხის და სხვ.) ლოკალიზაციაა ობიექტურად განსაზღვრული; გარკვეული ტენდენცია შეიმჩნევა რომაული და, განსაკუთრებით, ბიზანტიური ხანის ლიმესის განსაზღვრაში. ავტორები არ სცნობენ ქართული არქიტექტურის გამოვლინების არანაირ ფორმას აფხაზეთში და იქ დადასტურებული ქართული წარწერების არსებობასაც არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

VAKHTANG DJAPARIDZE

ON SOME ARCHAEOLOGICAL PROBLEMS OF NORTH-WESTERN COLCHIS (ABKHAZIA)

The paper criticizes some chapters of the school textbook *“History of Abkhazia”* (From the Ancient Times till the Present Day), authored by O. Bgazhba and S. Lakoba (Sokhumi, 2006), in which the archaeological data is used incorrectly during the identification of the ethnic units known from the written sources. Authors of the textbook rule out the existence of the Colchian tribes in historical Colchis, even near Phasis, before the first centuries A.D. They also fix the northern boundary of Lazica on r. Enguri in the 6th century A.D. The recent archaeological data confirms the information contained in the written sources regarding the great tradition of metallurgy among the Colchian (Zan) tribes. During the first half of the first Millenia A.D. those tribes were obtaining and reforging iron ore from the seaside dunes. Despite this, the authors of the textbook still use the old data, which connects the dune settlements only with the salt extraction. There is no sufficient confirmation of the connection between the ethnic units (namely Heniokhs, Sanigs, etc.) and archaeological cultures in the book. The location of some significant places (like Bokeri fortress), known from the written data, is not properly and impartially fixed. There is also some bias in determining of the Roman and, especially, Byzantine Limes. The authors do not recognize any form of the Georgian architecture in Abkhazia and also do not pay attention to the Georgian inscriptions found in Abkhazia.

თეგურ თოდუა

ლახიკა-მბრისი და ბიზანტია იუსტინიანეს ეპოქაში *არქეოლოგიური მასალების მიხედვით*

იუსტინიანეს ეპოქა (527-565წწ.) ეგრის-ბიზანტიის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ახ.წ. IVს. 90-იან წლებში ბიზანტიური სამყაროს სისტემაში ეგრისის ჩართვის პროცესის შედეგები რეალურად თავს იჩენს სწორედ იუსტინიანეს დროიდან, როდესაც ბიზანტიელებმა თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს ფასისში, აფსაროსში, პიტიუნტსა და სებასტოპოლისში. შესაბამისად აღდგა და გაფართოვდა კიდევ პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის არეალი.¹ აღნიშნული სისტემის ხასიათი და ამოცანები ამ დროსაც იგივე რჩებოდა, რაც I-IV საუკუნეებში. მას ევალბოდა კავკასიის რეგიონის გაკონტროლება და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავი ზღვის სანაპიროზე.

ამავე დროს მკვეთრად იცვლება პონტო-კავკასიის თავდაცვით სისტემაში შემავალი ზოგიერთი ზღვისპირა ცენტრების როლი და სტატუსიც. ასე მაგალითად, პიტიუნტი ახ.წ. III-IV საუკუნეებთან შედარებით, IVს. პირველ ნახევარში, არც თუ ისე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტია, რაც კასტელუმის კედლის სისქის შემცირებაშიც გამოიხატა. თუ რომაული ხანის გალავნის კედლის სისქე 3 მ აღწევდა, VIს. პირველ ნახევარში 1.70-1.80 მ არ აღემატება და თანაც ნაკლებად მონუმენტურობითაც ხასიათდება.

¹ პონტო-კავკასიის თავდაცვით სისტემას რომაელებმა ჯერ კიდევ ახ.წ. I-II საუკუნეებში ჩაუყარეს საფუძველი და ცნობილი მოგონებების შედეგად, ახ.წ. IVს. მიწურულს ფუნქციონირება შეწყვიტა. ამის შესახებ იხ.: თ. თოდუა, რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003, გვ. 6-38.

დაახლოებით იგივე ითქმის სებასტოპოლისის თავდაცვით ნაგებობაზე, რომლის ფართობი ახ.წ. III-IV საუკუნეებში შედარებით ძალზე შემცირებულია და 0.6-0.8 ჰა-ს არ აღემატება.¹ მიუხედავად ამისა, სებასტოპოლისი და პიტიუნტი VIს. პირველ ნახევარშიც კვლავ ინარჩუნებდნენ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტის ფუნქციას. თანაც ისინი, III-IV საუკუნეებში ციხე-ქალაქების მდგომარეობისაგან განსხვავებით, 535წ. შედგენილი იუსტინიანე კეისრის ნოველის მიხედვით „უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში“² მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხსენებული ცენტრები მხოლოდ ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ.

ამგვარი დასკვნა აღნიშნული ნოველის კონტექსტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს. აქ მხოლოდ ის ჩანს აშკარად, რომ პიტიუნტი და სებასტოპოლისი უპირატესად სამხედრო პუნქტები იყვნენ, ვიდრე სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრები, რაც კარგად დასტურდება ბიჭვინტის გათხრების მონაცემებით. ასე მაგალითად, კანაბეს (სამოქალაქო დასახლება) გალავან-კოშკებით დაცული სივრცე, რომელიც VIს. პირველ ნახევარში უნდა იყოს აღდგენილი, საკმაოდ მცირეა. გარდა ამისა, თვით კანაბეს ზღუდე ნაკლებად მონუმენტურია. VIს. პირველ ნახევარში ნაგები ცალნავიანი, კამარით გადახურული ნაწილიც წინარე ხანის ეკლესიასთან შედარებით მცირე ზომისაა.

მიუხედავად ამისა, პიტიუნტი ამ დროსაც ინარჩუნებდა საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობას, რასაც ადასტურებს პიტიუნტის საქალაქო თემის ფარგლებში არსებული VIს. პირველი ნახევრით დათარიღებული განთიადისა და ალაჰადის ტაძრები.³ ამასვე მეტყველებს, აგრეთვე, ციხე-ქალაქის კედლის გარეთ, მისგან 400-500 მ დაშორებით აღმოჩენილი VIIს. ორბსიდიანი ეკლესია.⁴

¹ М. Трапш. Древний Сухуми. – *Труды* 2. Сухуми, 1969, გვ. 306-308.

² იუსტინიანეს ნოველები. – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., 1965, გვ. 33.

³ Л. Хрушкова. Цандрипш. Сухуми, 1985, გვ. 33.

⁴ თ. მიქელაძე. ბიჭვინტის ორბსიდიანი ეკლესია. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის*. II. თბ., 1963, გვ. 125-131.

VIს. პირველ ნახევარში, პიტიუნტი საწარმოო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს. ამას ადასტურებს ნაქალაქარის ტერიტორიაზე დადასტურებული მინის სახელოსნოსა და კირის გამოსაწვავი ქურის ნაშთები.

VIIს. პირველი ნახევრისა და საერთოდ მთელი ამ საუკუნის ფენა სუსტადაა გამოხატული სებასტოპოლისშიც. ნაქალაქარის ზოგიერთ უბანზე კი ის საერთოდ არ დაფიქსირებულა. როგორც ჩანს, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის გათხრებისას მოპოვებული მასალები ზუსტად შეესაბამება იუსტინიანეს ნოველამში მოცემულ განსაზღვრას, რომ VIIს. პირველ ნახევარში ისინი უფრო ციხე-სიმაგრეებია, ვიდრე ქალაქები. შესაბამისად პიტიუნტი და სებასტოპოლისი ამ დროსაც სასაზღვრო ტიპის ციხე-ქალაქებია, მაგრამ III-IV საუკუნეებში შედარებით, მცირე სიდიდის ციხე-ქალაქთა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს.

ამგვარი კატეგორიის ცენტრი უნდა ყოფილიყო VIს. შუა ხანებში აფსაროსი, რომელიც პროკოპი კესარიელის ცნობით, მისი დროისათვის „სხვა არაფერი იყო დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლისა“.¹ როგორც ჩანს, აფსაროსს უკვე დაკარგული აქვს უწინდელი მნიშვნელობა, მაგრამ ამ ხანაშიც იგი კვლავ მოქმედი ციხე-ქალაქია, რასაც მოწმობს არქეოლოგიური გათხრების მონაცემებიც. უკანასკნელ წლებში აფსაროსის კასტელუმის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ე.წ. „კომკიანი“ ნაგებობა. მის შიდა ფართობზე დაფიქსირდა VIს. სუსტად გამოკვეთილი კულტურული ფენა, რაც გარკვეულწილად ადასტურებს VIს. აფსაროსის სტატუსის ჩვენებულ განსაზღვრას.

წერილობითი წყაროების თანახმად, VIIს. პირველ ნახევარში აფსაროსთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ცენტრი იყო პეტრა-ციხისძირი. პროკოპის ცნობით, პეტრას ციხე მტკიცე და საკმაოდ დიდი ზომისა ყოფილა, ხოლო მისი გარნიზონი მრავალრიცხოვანი და სამხედრო მანქანებით იყო აღჭურვილი.² პროკოპი-

¹ პროკოფი კესარიელი. De bello gothico. — გეორგიკა. ტ. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., 1965, გვ. 124.

² პროკოფი კესარიელი. De bello persico. გეორგიკა. ტ. II. ბიზანტიელი

სავე მოწმობით, პეტრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ბიზანტიური გარნიზონების მთავარსარდლობის შტაბბინა, სტრატეგოსის რეზიდენციაც ხდება.¹

როგორც ჩანს, VI ს. პირველ ნახევარში პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემების ფორპოსტის ფუნქცია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში აფსაროსიდან პეტრაში გადმონაცვლებულა. ამავე დროს, პეტრა-ციხისძირი, როგორც ეს პროკოპისა და იუსტინიანეს ნოველიდან ირკვევა, ნამდვილ ქალაქადაც გამოიყურება.² თუმცა ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები ციხისძირიდან ჯერჯერობით არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ციხისძირში გამოვლენილი VI ს. დათარიღებული ბაზილიკა, დარბაზული ეკლესია, აბანო და საფორტიფიკაციო ნაგებობები³ აშკარად მოწმობენ, რომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში პეტრა საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამხედრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

ასეთივე მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო ამ დროს ფასისიც. პროკოპისა და აგათიას ცნობებით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ბიზანტიელთა 12 ათასიანი სამხედრო შენაერთებიდან 9 ათასი ჯარისკაცი მდ. ფასისის შესართავთან იყო დაბანაკებული.⁴ ამასთანავე, ფასისის გარნიზონი ლოდსატყორცნი მანქანებით ყოფილა შეიარაღებული.⁵ ვფიქრობთ, ფასისი ამ ხანებშიც ინარჩუნებდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც. ამრიგად, VI ს. პირველ ნახევარში მთელი რიგი ციხე-ქალაქები მართალია კვლავ რჩებოდნენ სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ცენტრებად, მაგ-

მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. მეორე შევსებული გამოცემა თბ., 1965, გვ. 86.

¹ პროკოფი კესარიელი. De bello persico., გვ. 74.

² პროკოფი კესარიელი. De bello gothico., გვ. 168-170.

³ ნ. ინაიშვილი. ციხისძირის I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993, გვ. 42-51.

⁴ პროკოფი კესარიელი. De bello gothico., გვ. 187-188.

⁵ პროკოფი კესარიელი. De bello persico., გვ. 50.

რამ III-IV საუკუნეებში შედარებით, იქ შესამჩნევად შემცირებულია მშენებლობის ტემპი, ნივთიერი მასალაც საკმაოდ მცირეა.

VIს. შუა ხანებიდან კი საქართველოს შავიზღვისპირა ციხე-ქალაქების მდგომარეობა ძალზე გართულდა. პროკოპის მოწმობით, 542წ. ბიზანტიელებს სპარსელების შიშით, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის სიმაგრენი დაუნგრევიათ.¹ ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგადაა ასახული იმ ხანის ბიჭვინტის კულტურულ ფენებში. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ გათხრილი №18 კოშკის ზედაპირიდან 2.80მ სიღრმეზე დაფიქსირდა 10 სმ სისქის VIIს. ნახანძრალი შრე, რომელიც თიხატკეპნილ ნიადაგზე იღო. თიხატკეპნილ მოყვითალო ფერის იატაკს ზოგან ეტყობოდა ძლიერი ხანძრის კვალი. ამავე შრეში დაფიქსირდა, ასევე ხის ძელების დანახშირებული ნაშთები. ნგრევის კვალი ნაქალაქარის სხვა უბნებშიც შეიმჩნევა. VIს. შუა ხანებში უნდა იყოს დანგრეული №3 ბაზილიკაც და მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ჭაობის პირზე მდებარე 15.40X5.40 მ-ის ოთხკუთხა ფორმის ორგანყოფილებიანი ნაგებობა. კანაბეს აღმოსავლეთ გალავნის კედელზე მიდგმული 300 კვ. მ. ფართობის მქონე სათავსი, სადაც აღმოჩნდა 0.5 მ-ის სისქის ხორბლის დანახშირებული ფენა.

აღნიშნულ ხანებში, ხანძრისა და ნგრევის კვალი, დადასტურდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე. პროკოპის ცნობით, 551წ. ბიზანტიელებს პეტრაც დაუნგრევიათ.² 553-554 წლებს შორის უნდა იყოს დანგრეული, ასევე აფსაროსი. ნგრევის შემდეგ, აღნიშნულ ცენტრთაგან, აგათიას ნაშრომში პიტიუნტი არ ფიგურირებს, ხოლო სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსები – მენანდრე, იოანე მალალა, ევაგრი სქოლასტიკოსი (VIს. მეორე ნახევარი), თეოფილაქტე სიმოკატა (VIIს. დამდეგი), თეოფანე ბიზანტიელი (VIIIს.) და სხვ., არა თუ პიტიუნტს, არამედ პეტრასა და აფსაროსსაც აღარ იხსენიებენ.

როგორც ჩანს, VIს. მიწურულისათვის, ამ პუნქტებს უკვე დაკარგული აქვთ სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა და რიგითი დასახლებების რანგამდე არიან ჩა-

¹ პროკოფი კესარიელი. De bello gothico..., გვ. 222.

² პროკოფი კესარიელი. De bello gothico..., გვ. 180.

მოქვეითებული, რასაც არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალებიც მხარს უბამენ. ასე მაგალითად, ციხისძირში VI ს. II ნახევრის ორი მონეტაა აღმოჩენილი.¹ აქედან ერთი იუსტინე II-ისაა (565-578წწ.), მეორე მაგრიკის (582-602წწ.), ხოლო აფსაროსში VI-VIII სს. მასალა ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტი ყველაზე უკეთ ბიჭვინტის ნაქალაქარზეა დაფიქსირებული. ნაქალაქარის მთელ რიგ უბნებზე და №18, №21 კოშკებზე დაკვირვებამაც გვიჩვენა, რომ VI ს. ნახანძრალი ფენები საგანგებოდ არის გადაფარული სტერილური ფენით.² ნუმიზმატიკური მასალა კი ბიჭვინტაში VI ს. II ნახევრის რვა მონეტითაა მხოლოდ წარმოდგენილი: ოთხი იუსტინე II-ისა და ოთხი მაგრიკი კეისრის. როგორც ვხედავთ, ნგრევის შემდეგ პიტიუნტში, ისევე როგორც პეტრაში, აფსაროსში VI ს. II ნახევარსა და VII ს. დამდეგსაც საქალაქო ცხოვრება აღარ განახლებულა. რაც შეეხება სეპასტოპოლისს, ბიზანტიელების მიერ მისი განადგურების შემდეგ, პროკოპის სიტყვებით „იუსტინიანე მეფემ მთელი ეს სეპასტოპოლისი განაახლა ზღუდის და სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა ის და გაამშვენებია გზებითა და სხვა ნაგებობებით“³.

სამწუხაროდ, ამგვარი ქალაქის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები დღეისათვის სოხუმიდან არ მოგვეპოვება, მაგრამ სეპასტოპოლისის არეალში შემავალი დრანდის,⁴ წებელდის VI ს. II ნახევრის ეკლესიები⁵ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასობრივი არქეოლოგიური მასალები გარკვეულწილად მაინც მოწმობენ პროკოპის ცნობის სისწორეს, შესაბამისად კი მის ქალაქობასაც. მაგრამ მისი გაქალაქება, ისევე როგორც პეტრასი და პიტიუნტ-აფსაროსის აღდგენა-განახლებაც განპირობებული იყო არა მათი ადგილობრივი ეკონომიკური ბაზის სიმძლავრით, არამედ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით.

1 ნ. ინაიშვილი. ციხისძირის I-VI სს. არქეოლოგიური..., გვ. 101.

2 გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის ნაქალაქარი. თბ., 1991. გვ. 74.

3 პროკოფი კესარიელი. De bello gothico..., გვ. 222.

4 ვ. ცინცაძე. დრანდა. — *ძეგლის მეგობარი*. 50, 1979. გვ. 35-40.

5 Л. Хрушкова. Цандрипш. Сухуми..., გვ. 72-73.

თავდაპირველად ბიზანტიური სიმაგრეებიდან აღდგენილი ეს ცენტრები, რომელთაც კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა ევალებოდათ, ბიზანტიელთა მიერ გატარებული სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებების შედეგად, საქალაქო ცენტრებიც ხდებიან, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისინი სასაზღვრო ტიპის, მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ, ვინაიდან ამ ცენტრების მეურნეობა სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე სამოქალაქოს.

მართალია, ზოგიერთი ზღვისპირა პუნქტი (პიტიუნტი, პეტრა, აფსაროსი) ახ.წ. V-VI სს. ციხე-ქალაქის მდგომარეობას არ გასცილებია, მაგრამ ამგვარი თეზა ფასისის მიმართ არ უნდა გავრცელდეს. როგორც ცნობილია, ფასისი ჯერ კიდევ III-IV საუკუნეებში მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო.¹ უფრო მეტიც, თუ გავიზიარებთ მიქელ ასურის სომხური თარგმანის ცნობას, რომლის თანახმად ლაზთა ასისტავმა კვართის ნაწილი ეგრთა ქვეყნის დედაქალაქში – ფოთში ჩამოიტანა,² არ არის გამორიცხული, რომ არქეოპოლისის (დღევანდელი სოფ. ნოქალაქევი) დაწინაურებამდე, ფასისი ლაზთა სამეფოს დედაქალაქიც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია: განხილულ პუნქტთაგან გვიანრომაულ-ადრებიზანტიურ ხანაში ქალაქის ფუნქციის შესრულება მხოლოდ ფასისს შეეძლო, რამდენადაც ის ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებული რიონის აუზში მდებარეობდა. სწორედ ადგილობრივი ეკონომიკური ბაზისა და უპირატესად შინაგანი ევოლუციური განვითარების შედეგად უნდა მომხდარიყო მისი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრად დარჩენა, მიუხედავად დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმებისა. ამის გამო პიტიუნტის, აფსაროსის, სებასტოპოლისის ფონზე, VI ს. II ნახევრისთვისაც კი, ფასისი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ნამდვილ ქალაქად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ აღდგენილ-განახლებული ციხე-ქალაქების პარალელურად, პროკოპი კესარიელის ცნობით, იუსტინიანეს

¹ პროკოფი კესარიელი. De bello gothico..., გვ. 173-178.

² მ. ბერძნიშვილი. დევონდის ცნობა ფოთის შესახებ. – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. XXVI, 1944, გვ. 212-213.

ზღვისპირეთში ახალი ციხე-სიმაგრე ლოსორიონი აუგია.¹ იუსტინიანესეული ლოსორიონი ლოკალიზდება „ბათუმის“ ანუ „თამარის ციხესთან“², რომელიც თავისი გეგმით ტიპიურია ბიზანტიისათვის. ის კვადრატული ფორმისაა (21X23მ) და მაღალ გორაკზეა შედგმული. მისი ორი კუთხე სწორკუთხა და შვერილია. მესამე კუთხეში, ისევ შვერილად, სწორკუთხა კოშკია დატანილი.

იუსტინიანეს დროს ბიზანტიური სამყაროს სისტემაში ეგრისის აქტიურად ჩართვის პროცესი, აქ იმპორტული ნაწარმის გავრცელებაშიც ვლინდება. ეგრისში შემოტანილ იმპორტულ ნაწარმთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ამფორებს ეჭირა. საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს მოწითალო-მოყვითალო ფერის კონუსურძირიანი ამფორები, რომლებიც სამოსურ პროდუქციას განეკუთვნება. სამოსური ამფორის ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ბიჭვინტასა³ და სოხუმში.⁴ გვხვდება აგრეთვე გუდავაში,⁵ ვარდციხესა⁶ და ნოქალაქევიში.⁷

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მრავლადაა წარმოდგენილი ასევე მოგარდისფრო-ყავისფერი ფერის სფერულტანიანი, ტანდალარული ამფორები. ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილია ბიჭვინტასა და სოხუმში;⁸ გვხვდება ვარდციხეში,⁹ ფოთში.¹⁰ მათი საწარმოო ცენტრი ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ბიჭვინტასა და წებელდაში¹¹ დადასტურებულია ღია წითელი ფერის ღრმად ტან-

¹ პროკოფი კესარიელი. De bello gothico., გვ. 220-221.

² В. Леквинадзе. О постройках Юстиниана в Западной Грузии. – *Византийский временник*. 34, 1973, გვ. 170.

³ ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე. ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები. – *დიდი პიტიუნტი*, I, თბ., 1975, გვ. 273-275.

⁴ ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. – *მცნე ისტორიის... სერია*, №3, 1965, გვ. 144.

⁵ მ. ზამთარაძე. გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი. – *საქართველოს სსახელმწიფო მუზეუმის მოამბე*. XXXIV, თბ., 1979, გვ. 72.

⁶ ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1989, გვ. 58-59.

⁷ მ. ზამთარაძე. გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი..., გვ. 102.

⁸ გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ. 72.

⁹ გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი..., გვ. 61.

¹⁰ Г. Гамкрелидзе. К археологии долины Фасиса. Тб., 1992, გვ. 39.

¹¹ М. Трапш. Древний Сухуми..., გვ. 74.

დადარული ამფორების ფრაგმენტები. აღნიშნული ამფორების საწარმოო ცენტრები ბიზანტიის იმპერიის ცენტრალურ რეგიონებში ლოკალიზდება და VI საუკუნით განისაზღვრება.¹

ახ.წ. VI საუკუნეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ მრავლად შემოდოდა წითელლაკიანი კერამიკა. ყველაზე მრავალრიცხოვანია წითელლაკიანი ჯამები შვეული, კალთებზე გამოკვეთილი ორნამენტირებული პირის კიდეებით, რომლებიც ვრცელდება Vს. II ნახევრიდან და წამყვანი ფორმა ხდება VI საუკუნეში. ამგვარი ტიპის ჯამები აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სოხუმსა² და წებელდაში.³ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მომთეთრო ფერის პირაკეცილ ჯამებს, რომლებიც მოწითალო-მონარინჯისფრო ლაკით არის დაფარული. ასეთი ჯამების საწარმოო ცენტრად სპეციალისტები ანტიოქიას მიიჩნევენ და V-VI საუკუნეებით ათარიღებენ.⁴ ბიჭვინტასა და სოხუმში მრავლადაა ნაპოვნი ასევე ცხოველთა (დელფინი, ტახი, შველი) და ჯვრის გამოსახულებიანი წითელლაკიანი ჯამები, რომლებიც ჯ. ჰეისის-ეული კლასიფიკაციით Vს. დასასრულითა და VIს. პირველი ნახევრით თარიღდება.⁵ საფიქრებელია, რომ ამ ჯგუფის საწარმოო მოცენტრი მცირე აზიაშია საძიებელი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მომდინარე იმპორტულ პროდუქციათა შორის საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი მინის ნაწარმიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფეხიანი სასმისები და წვეთისებური მოყვანილობის სანათურები, რომლებიც, შესაბამისად, ახ.წ. IV-V საუკუნეებში ვრცელდება და VI საუკუნეში გაბატონებული ტიპი ხდება მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.⁶

¹ Л. Якобсон. Керамика и керамическое производство средневековой Таврики. Л., 1979, გვ. 16.

² თ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადი ტიპები და მათი დათარიღება). – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. №1, თბ., 1962, გვ. 246-247.

³ Ю. Воронов, О. Бгажба. Материалы по археологии Цебелды. Тб, 1985, გვ. 78.

⁴ თ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის წითელლაკიანი... გვ. 78, 95.

⁵ J. Hayes. Late Roman Pottery. London. 1972, გვ. 363.

⁶ ბ. ინაიშვილი. ციხისძირის... გვ. 16, 60, 76.

ზემოთ აღწერილი იმპორტული პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა, ვფიქრობთ, ბიზანტიური გარნიზონების გებისთვის იყო გათვალისწინებული, ვინაიდან მათი ძირითადი ნაწილი პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და პეტრა-ციხისძირის ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე დადასტურებული. ბიზანტიური გარნიზონებისათვის ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა შორის (ნაქალაქარებზე აღმოჩენილ ამფორათა რაოდენობის მიხედვით) ღვინო, ზეთი და მარცვლეული დომინირებდა.

სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციების გზით შემოსულ პროდუქციათა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს პიტიუნტის „კანაბესა“ (სამოქალაქო დასახლება) და სებასტოპოლისის სავარაუდო სამოქალაქო ტერიტორიაზე დადასტურებული მრავალფეროვანი კერამიკა. იმპორტული პროდუქციის შემოტანის ამავე მექანიზმს უკავშირდება, ასევე ვარდიციხესა და ნოქალაქევში აღმოჩენილი კერამიკული თუ მინის ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ როგორც ბიზანტიური გარნიზონებისთვის გათვალისწინებული პროდუქცია, ასევე სავაჭრო გზით შემოტანილი იმპორტული ნაწარმის აბსოლუტური უმრავლესობა მცირეაზიური საწარმოო ცენტრებიდან მომდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ იუსტინიანეს ეპოქაში გარე სამყაროსთან ეგრისის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომელსაც ხანასთან შედარებით შემცირებული ჩანს. ეს ფაქტი იუსტინიანეს მიერ ეგრისში სავაჭრო მონოპოლიის დაწესებით უნდა აიხსნას. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ პროკოპი კესარიელი: „ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს ღროს ქალაქი პეტრა გააშენა. აქ იოანე, ეგრეთ წოდებული ციბე იჯდა, ვითარცა აკროპოლისში და ძარცვავედა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეედლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლია“.¹ ცხადია, ამგვარ სანქციებს ბიზანტიურ სამყაროსთან ეგრისის სავაჭრო ურთიერთობების შეფერხება უნდა

¹ პროკოპი კესარიელი. De bello persico., გვ. 21-22.

მოჰყოლოდა, რაც არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მონაცემებში მკაფიოდაა კიდევ ასახული.

იუსტინიანეს დროს ეგრისში ფართოდ ვრცელდება, ასევე ბიზანტიური კულტურის ელემენტები. ეს პროცესი მკაფიოდ სამშენებლო ხელოვნებაში მულავენდება. VI საუკუნეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა და მთიან რეგიონებში ფართოდ ვრცელდება ბიზანტიური სამყაროს ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ისეთი კომპონენტები, როგორიცაა წყობაში აგურისაგან ოთხი ან ხუთი რიგისაგან შედგენილი სარტყლის პრინციპი, ე.წ. „პროტეინიზმი“ (ორმაგი კედელი), თალიანი სისტემა და სხვა. ასე მაგალითად, ბიჭვინტის ჩვენ მიერ გათხრილი №18 კოშკის დასავლეთი ნაწილის წყობაში დაფიქსირდა 30X30X5 სმ. აგურის ხუთმაგი სარტყელი. პროტეინიზმის საკმაოდ რთული სისტემა გამოვლენილი იქნა ვარდიციხესა¹ და წებულდაში.² ბიზანტიური არქიტექტურული ხელოვნების პრინციპების გათვალისწინებითაა ნაგები ცანდრიფშის, დრანდის, წებულდისა და ბიჭვინტის №4, 5, 6 იუსტინიანეს დროინდელი ეკლესიები,³ რომლებიც დაგეგმარების მხრივ დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ მცირე აზიის ცენტრების ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებთან.⁴

ბიზანტიური კულტურის ელემენტები მეტ-ნაკლები სიცხადით ხელოსნობის სხვადასხვა დარგშიც შეინიშნება. კერამიკულ წარმოებაში ტრადიციული კოლხური ფორმების (ყავისფერკეციაანი ღოქები, ქოთნები, სასმისები და სხვ.) გვერდით თანაარსებობენ მცირეაზიური წითელლაკიანი ჭურჭლის ულაკო მინაბადები – პირფართო, ბრტყელძირა ჯამები.⁵ სამკუთხა მოყვანილობის პირის მქონე ღოქები.⁶ ბიზანტიური მინის ჭურჭლის მიბადებით

¹ გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის ნაქალაქარი... გვ. 128.

² Ю. Воронов, О. Бгажба. Материалы по археологии... გვ. 46-50.

³ ირ. ციციშვილი. სატაძრო ნაგებობების კომპლექსი ბიჭვინტიდან. – დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ. 113-118; გ. ცინცაძე. დრანდა... გვ. 35-40.

⁴ Л. Хрушкова. Цандрипш..., გვ. 17.

⁵ გ. ჯაფარიძე. ვარდიციხის ნაქალაქარი... გვ. 35-37.

⁶ გ. ჯაფარიძე. ვარდიციხის ნაქალაქარი... გვ. 81.

ჩანს დამზადებული მომწვანო ფერის მინის ცილინდრული ფორმის ბალზამარიები, რომლებიც VI საუკუნით თარიღდება და მათი წარმოება ბიჭვინტაში ივარაუდება.

მრავალფეროვანი იმპორტული სამკაულებისა და ტანსაცმლის მოწყობილობის (ფიბულები, აბზინდები, სამაჯურები, საყურეები და სხვ.) აღმოჩენა ცხადყოფს, რომ ბიზანტიური ტანსაცმელი და შემკულობა ჩვეულებრივი ყოფილა, როგორც ზღვისპირა, ისე შიდა, მთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის. მათზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთ მათგანს (ჯვრისებური ფორმის მშვილდსაკინძებს) ადგილობრივ ამზადებდნენ. განვითარების ძველი, ტრადიციული გზით წარიმართა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საიუველირო ხელოვნება (წებელდური წრის სამარხებიდან მომდინარე ოქროს ოვალური და ბეჭდისებური ფორმის საყურეები, მრგვალგანივკვეთიანი ბეჭდები), რომლებმაც ძირითადად შეინარჩუნა ძველი კოლხეთის საიუველირო სკოლის ტრადიციები.

იუსტინიანეს დროიდან ეგრისში ქრისტიანიზაციის პროცესი კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო. იუსტინიანეს ძირითადი პრინციპი ხომ „ერთი სახელმწიფო, ერთიანი რელიგია იყო“. ამ პრინციპიდან გამომდინარე, იუსტინიანეს მითითებით, ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ. ერთი ასეთი ტაძარი პროკოპის ცნობით, იუსტინიანეს აბაზგებისთვის აუშენებია და მღვდელმსახურნიც დაუყენებია.¹ მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ტაძარს ანაკოფიაში² ათავსებს, მეორენი განთიადის ეკლესიასთან აიგივებს.³ მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ტაძარი იუსტინიანეს სებასტოპოლისში უნდა აეგო, რადგან 553 წლისათვის აქ საეპისკოპოსო კათედრა ფუნქციონირებდა.

პროკოპისავე ცნობით, იუსტინიანეს ლაზიკაში ძველი ეკ-

¹ პროკოფი კესარიელი. De bello gothico..., გვ. 135.

² **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 27.

³ **В. Леквинадзе.** Гантиадская Базилика. – Советская Археология. №3, 1970, გვ. 167.

ლესიაც აღუდგენია და განუახლებია.¹ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ის ფასისის მიდამოებშია საძიებელი.² არ არის გამო-რიცხული, რომ აქ ვიგულისხმობთ ვაშნარის დღემდე ნაწილობ-რივ შემორჩენილი სატაძრო-სამონასტრო კომპლექსი, რომელიც IV-VI საუკუნეებში ფუნქციონირებდა. აღსანიშნავია, რომ იუს-ტინიანე დაინტერესებას იჩენდა აბაზგიისადმიც. ეს რეგიონი გე-ოპოლიტიკური თვალსაზრისით, ერთგვარი ბუფერის როლს ას-რულებდა ლაზიკის სამეფოსთან მიმართებაში, რამაც „ხელი შე-უწყო“ კიდევ ეგრისის დასუსტებასა და აქ ბიზანტიის პოლიტი-კური გავლენის გაძლიერებას. გარდა ამისა, აბაზგია ბარიერის როლსაც ასრულებდა ჩრდილო კავკასიის მხრიდან იმპერიის შო-რეული მისაღვომების უსაფრთხოების საქმეში.

ამჟამინდელი აფხაზეთისადმი იუსტინიანეს ასეთი „მზრუნვე-ლობის“ მიუხედავად, მთიანი რეგიონის (წებელდა და მისი მიდა-მოები) მოსახლეობა ნაწილობრივ წარმართებად რჩებოდა. აფხა-ზეთის ზღვისპირეთი კი ამ დროს მთლიანად ქრისტიანიზებული ჩანს. იგივე უნდა ითქვას ეგრისის შიდა რეგიონზეც. ნიშანდობ-ლივია ისიც, რომ ბიზანტიური კულტურის ტრადიცია უფრო ძლიერია ზღვისპირა ჰინტერლანდში, ხოლო უფრო ნაკლები – ქვეყნის შიდა და განსაკუთრებით მთიანეთში, სადაც იგი მხოლოდ საზოგადოების შეძლებულ ფენებში შეიმჩნევა. საერთოდ, VII ს. აღ-მოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ცხოვრებაში ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: ადგილობრივი მოსახ-ლეობის ბიზანტიზაცია, შერეული ეთნიკური ჯგუფის წარმოქმნა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვერც ბიზანტიური სამართლებ-რივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები დანერგილა.³

¹ პროკოფი კესარიელი. De bello gothico..., გვ. 220.

² ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. I-X საუ-კუნეები. ბათუმი, 2002, გვ. 126.

³ ამას მოწმობს თუნდაც აგათიას ცნობა ეგრისელთა სახალხო კრების, როგორც თავისებური სათათბირო ორგანოს შესახებ. აგა-თია სქოლასტიკოსი. – გეორგიკა. ტ. III. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თა-რგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილ-მა. ტფ., 1936.

ამრიგად, იუსტინიანეს ეპოქა მნიშვნელოვანი ეტაპია ბიზანტიისა და ეგრისის ურთიერთობათა ისტორიაში. ამ დროს ეგრისი აქტიურად ჩაერთო ბიზანტიური სამყაროს სისტემაში, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით აისახა დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში. თავის მხრივ, ეგრისი ბიზანტიის იმპერიის გეოპოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ТЕМУР ТОДУА

ЮСТИНИАН И ЭГРИСИ *ПО МАТЕРИАЛАМ АРХЕОЛОГИИ*

Эпоха Юстиниана (527-565) важный этап в истории эгрисско-византийских отношений. В этот период Византийской империей в Эгриси были построены новые храмы и крепости. Заметна интенсивная торгово-экономическая связь. В торговле с Эгриси доминирующее положение занимали малоазийские и центральные города Византийской империи. Однако, по сравнению с римской эпохой, во времена правления Юстиниана внешние контакты Эгриси были несколько сокращены, что объясняется установлением здесь византийской администрацией монополии на торговлю. Влияние Византийской культуры хорошо заметно на строительном искусстве, керамике, ювелирном деле. Несмотря на это, влияние византийской культуры в Эгриси не являлась преобладающей и оно носило поверхностный характер. «Радиация» византийской культуры здесь более очевидно на побережье, а во внутренних регионах Эгриси имела менее интенсивную нагрузку.

TEMUR TODUA

JUSTINIAN AND EGRISI *ACCORDING TO THE ARCHAEOLOGICAL DATA*

Justinian epoch (527-565) is one of important stages in the history of Egrisi-Byzantine relations. As the result of military and political relations with the Byzantine empire the new temples and fortresses were built in Egrisi. Intensive trade and economic contacts are evident. According to the archaeological data the Central Byzantine and Asia Minor cities had the dominant place in the trade relations with Egrisi. Although, in comparison with the Roman times, the outer contacts of Egrisi had decreased during the Justinian rule. It can be explained with the establishment of the Byzantine monopoly on trade. The influence of Byzantine culture is well observed in architecture, ceramics, jeweler's art. Despite this the the influence of the Byzantine culture was not dominant and mostly it was superficial. The "radiation" of Byzantine culture is more obvious at the sea shore, while in the inner regions it was less intensive.

ზვიად კვიციანი

ირან-ბიზანტიის ომები და სვანეთის საკითხი წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების შუქზე

გვიანანტიკურ და ადრე შუა საუკუნეებში კავკასიონის მთიელთა ურთიერთობის პრობლემა სხვა ქვეყნების რეგიონებთან ნაკლებადაა შესწავლილი ამ საკითხების გადაწყვეტაში წერილობით წყაროებთან ერთად განსაკუთრებული მიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას. სასარგებლო წიადისეულს (ოქროს, ვერცხლს, მარმარილოს და სხვ.)

როგორც ცნობილია, VI საუკუნეში განსაკუთრებით გამწვავდა ირანისა და ბიზანტიის მეტოქეობა ლაზიკაში გაბატონებისათვის, რასაც მოჰყვა რამდენიმე ომი მათ შორის. ომის ასპარეზი ლაზიკა იყო. ორივე დამპყრობლისათვის ეგრისს ჰქონდა დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ბიზანტიისათვის ეგრისი წარმოადგენდა ფორპოსტს ჰუნების, კავკასიის გადაღმა სხვა ბარბაროსული ტომების და იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების ირანისაგან დასაცავად. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველო ბიზანტიისთვის წარმოადგენდა ნედლეულის მიმწოდებელს და სავაჭრო-სატრანზიტო გზას ინდოეთისაკენ. რაც შეეხება ირანს, ეგრისის დაპყრობით ის შეიძინდა პლაცდარმს ბიზანტიაზე შეტევისთვის როგორც ზღვით, ისე ხმელეთით მოუსპობდა ბიზანტიას სავაჭრო გზას ინდოეთთან, ირანის გზის აქცევით რომ მიდიოდა ეგრისზე.

532წ. ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ე.წ. „საუკუნო ზავი“, რომლის მიხედვითაც მათ ერთმანეთს დაუბრუნეს დაპყრობილი ადგილები. ირანმა დატოვა სკანდა და შორაპანი, ხოლო ბიზანტიას კვლავ უნდა ეძლია გამოსაღები ირანისათვის, როგორც საზღაური კავკასიის გადმოსასვლელების ბარბაროსებისაგან დასაცავად. 542წ. დაიწყო დიდი ომიანობა ეგრისში ირანსა

და ბიზანტიას შორის, რომელიც პერიოდული დაზავებით 20 წელს (542-562) გაგრძელდა. 562წ. ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული 50 წლიანი ზავით ქ. დარაში. ირანელებმა ხელი აიღეს ეგრისზე, ოღონდ უარს ამბობდნენ სვანეთის დათმობაზე. 562წ. ზავმა სვანეთის საკითხი კიდევ ვერ გადაწყვიტა. ბიზანტიელები ასაბუთებდნენ, რომ სვანეთი IV საუკუნიდან მოყოლებული ეგრისის სამეფოში შემავალი ერთ-ერთი სამთავრო იყო და რადგანაც ირანი ხელს იღებს ეგრისზე. მას უნდა დაეთმო სვანეთიც. ხოსრომ კი ბიზანტიის ელჩს განუცხადა, რომ სვანეთი „თავისი არჩევით და თავისი ნებით ჩვენ მოგვეკვდლოა“.¹

საინტერესოა, რა ზდება? რატომაა განსაკუთრებით სვანეთი ასეთი აქტუალური? სანამ ამაზე ჩვენს ვარაუდს გამოვთქვამდეთ მოკლედ შევეხოთ ეგრის-სვანეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ბიზანტია-ირანთან. როგორც ცნობილია, ადრე შუასაუკუნეებში ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი საგანი აბრეშუმი იყო, რომელიც ამ პერიოდში უმთავრეს საქსპორტო საგანს წარმოადგენდა. აბრეშუმის ქსოვილები მეტად ძვირად ფასობდა, რის გამოც მათ განსაკუთრებული და პრიორიტეტული ადგილი ეკავათ საერთაშორისო ვაჭრობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აბრეშუმის ქსოვილი ძირითადად გასაწყობად იხმარებოდა საიდანაც ჩანს, რომ იგი ჯერ კიდევ იშვიათ და ძვირფას ქსოვილს წარმოადგენდა. აბრეშუმით აწყობდნენ აგრეთვე თავსამკაულს, ქვეშაგებს, რელიქვიებისათვის კერავდნენ ქისებს და სხვ.² აბრეშუმი წარმოადგენდა მთავარ საქონელს: პირველ და ყველაზე უფრო საარსებო ინტერესს, როგორც ეკონომიკური, ისე თვით დაპლომატიური ურთიერთობისა.³ აბრეშუმზე იხდიდნენ გადასახადს და იგი წარმოადგენდა ყველაზე მიღებულ

¹ **მენანდრე პროტიქტორი.** – *გეორგია*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, III. თბ., 1936, გვ. 231.

² **ბ. აბესაძე.** მეაბრეშუმეობა საქართველოში. *ეთნოგრაფიული მასალები მიხედვით*. თბ., 1957, გვ. 135.

³ **Н. Пигулевская.** Византия на путях в Индию. *Из истории торговли Византии с Востоком*. М., 1951, гв. 210.

ფორმას მისართმევი ძღვენისა.¹ ნელლ აბრეშუმს ბიზანტია იძენდა ჩინეთსა და ინდოეთში, შემდეგ საკუთარ საწარმოებში ამზადებდა აბრეშუმის ქსოვილებს, რომელიც საღებოდა, როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზარზე, მაგრამ ბიზანტიის გასაჭირი იმაში იყო, რომ ნელლი აბრეშუმი მას უშუალოდ ვერ ჩამოჰქონდა და იძენდა ირანის მეშვეობით. აბრეშუმი ჯერ ირანში შედიოდა და მერე ბიზანტიაში ვაჭრებს გაჰქონდათ. ეს გარემოება ბიზანტიას მეტისმეტად ურთულებდა ირანთან ურთიერთობის საკითხებს, ასეთივე მდგომარეობა ჰქონდა სოგდიანასაც, რომელიც მდებარეობდა ჩინეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ „დიდი აბრეშუმის გზაზე“ და ათვისა რა საკუთარი

აბრეშუმის წარმოება ეძებდა გასაღების ბაზაარს, რადგან მეზობელ ირანთან ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობა ვერ დამყარა. სოგდიანამ თავის პარტნიორად აირჩია ბიზანტია, რომელსაც როგორც ავღნიშნეთ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ირანელ ვაჭრებთან“.² ირანი ფაქტობრივად ფლობდა მონოპოლიას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ აბრეშუმის პროდუქტზე, რაც საშუალებას აძლევდა ეკონომიკური გავლენა მოეხდინა ბიზანტიასა და სოგდიანაზე.³ ბიზანტიამ და სოგდიანამ, თავი რომ დაეღწიათ ირანზე დამოკიდებულებისაგან, იპოვეს სხვა მარშუტი. ეს გზა ირანის გვერდის ავლით, ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ, მიდიოდა სვანეთის გავლით.

წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი მონაკვეთის სარგებლობის შესახებ რომ, აქ, სვანეთში გადიოდა მუდმივმოქმედი სავაჭრო გზა შუა აზიიდან ბიზანტიისაკენ (ივ. ჯავახიშვილი; ნ. ბერძენიშვილი; ს. ჯანაშია; ს. ყაუხჩიშვილი; დ. მუსხელიშვილი; გ. გასვიანი; ზ. კვიციანი და სხვ.).⁴ წერილობითი წყაროები ასახელებენ რამდენიმე

¹ Ф. Симоката. История. М., 1957, გვ. 243.

² Н. Пигулевская. Византия на путях в Индию. М.-Л., 1951, გვ. 210.

³ А. А. Иерусалимская. К вопросу о торговых связях Северного Кавказа в раннем средневековье. – *Сообщения Государственного Эрмитажа (СГЭ)* XXIV, Л., 1975, გვ. 72.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 2. თბ., 1936, გვ.

მარშუტს სოგდიელი და ბიზანტიელი ელჩებისა, რომელთაც თან საქონელი (აბრეშუმი) მოჰქონდათ, ისინი ყველა გადიოდა კავკასიონზე, ყაბარდოდან დასავლეთ საქართველოში – სვანეთზე, კერძოდ, მისიმიანეთზე (კოდორის-დალის ხეობა).¹

აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი ამ საკითხში სვანეთის როლს ასე ხსნის: „სვანეთზე გადიოდა ის გზა, რომლითაც ბიზანტია ფიქრობდა აბრეშუმის შემოტანას თურქთა ქვეყნიდან. ირანი, თავის მხრივ რასაკვირელია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დაეხშო ბიზანტიისთვის გზა.² აქედან ნათლად ჩანს რომ სვანეთს ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობრივ ურთიერთობებში სერიოზული როლი ენიჭებოდა. სვანეთის საკომუნიკაციო გზებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცენტრალური კავკასიონის უძველესი მაგისტრალების საკვანძო სისტემაში. ისინი მოცემულ რეგიონში ერთმანეთს უერთდება და გზასაყარს ქმნის. ეს გზები ისტორიული კოლხეთიდან და შიდა ქართლიდან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიემართებოდა.

სვანეთის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, რომელიც სვანეთის ნაწილს ჩუბხევსა და მისიმიანეთს შავ ზღვასთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. აღნიშნული გზა მდ. კოდორის ხეობიდან მდ. ყუბანის და მისი შენაკადების აუზებში გადიოდა კლუხორის უღელტეხილით. იგი დღეისათვის კარგად ცნობილი სოხუმის სამხედრო გზაა. კლუხორის გადასასვლელი (2781 მ ზღ.დ.) კოდორის ხეობიდან თებერდის ხეობაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვილად მისადგომი და უძ-

429; **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 425; **ს. ყაუხჩიშვილი.** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I. *IV-VII საუკუნეები.* თბ., 1948, გვ. 233; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველო IV-VIII საუკუნეებში. *პოლიტიკური ისტორია და ეთნიკურ-სოციალური ვითარება.* II გამოცემა. თბ., 2004, გვ. 175–183; **ზ. კვიციანი.** საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები (სვანეთის სამიმოსვლო გზები). – *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, ტ. VIII. თბ., 2000; **გ. გასვიანი** – სვანეთის სამიმოსვლო გზები შუა საუკუნეებში. – კრებ.: *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიული საკითხები*, IV. თბ., 1983, გვ. 116-124.

¹ **მენანდრე პროტიქტორი,** გვ. 102-206.

² **მენანდრე პროტიქტორი,** გვ. 133.

ოკლესი გზაა დასავლეთ საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ გადასასვლელის ძველი სახელწოდება ისტორიულ წყაროებში ჯერ არ ჩანს. ბერნადაცის ცნობით, 1367წ. გამოცემულ ვენეციურ რუკაზე ნაჩვენებია უსახელო გზა ამ გადასასვლელით¹ კლუხორ-თებერდის ეს გზა საკმაოდ ცნობილია. ამ უღელტეხილით ძველთაგანვე სარგებლობდნენ ბერძნები და რომაელები, ბიზანტიელები და თურქები, გენუელები და ვენეციელები და, რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

აღნიშნული გზა განსაკუთრებით ცნობილი იყო კოლხეთის სამეფოს პერიოდში, ამიტომ შესაძლებელია ამ გადასასვლელმა სახელწოდება კოლხებისაგან მიიღო² ხუთვერსიან და სხვა ადრინდელ რუკებზე ეს გადასასვლელი აღნიშნულია სახელწოდებით კოლხარა. შესაძლებელია, პირველდაწყებითი ფორმა იყო „კოლხ“ და არა „კლუხ“ და გარდა იმისა, რომ ასეთი გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება დასავლეთ კავკასიონზე (კოლხორი-კლუხორი) არის სამხრეთითაც, საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე (ამჟამინდელ თურქეთში) არის ქალაქი კოლხანლარ (კოლხ სუფიქსი ან, ხოლო ლარ მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელია).³ პლინიუსის ცნობით, არსებობდა აგრეთვე ქ. კოლხინიუმ-იც.⁴ ამ გზის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს მისი გამაგრებული ხასიათი.

გადასასვლელის სამხრეთ ნაწილში აგებული იყო ციხე სობლისი⁵ იყო სხვა მნიშვნელოვანი სიმაგრე – ბუქლოოსი, მისი

¹ **А Бернардаци.** Христианские древности на Кубани. – *Журнал Министерства внутренних дел*, ч. 3., кн. 4. СПб., გვ. 186.

² **გრ. ზარდალიშვილი.** კლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის. – *თსუ შრომები XXXVI*, 1949, გვ. 145.

³ **ხ. კვიციანი.** საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები (სვანეთის სამიმოსვლო გზები). – *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, ტ. VIII. თბ., 2000, გვ. 54-55.

⁴ **В. В. Латышев.** Известия Древних писателей о Скифии и Кавказа. – *Вестник древней истории*, №2, 1949, გვ. 644.

⁵ **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 235.

სიახლოვე ოსებთან დასტურდება იმით, რომ მისიმიანებს ემინ-
ოდათ, რომ ბიზანტიელებს ოსებისათვის არ გადაეცათ იგი¹. ამ
გზასთან დაკავშირებით, მენანდრე პროტექტორი მიუთითებს,
რომ აბრეშუმით მოვაჭრე ზემარქესა და მის მხლებლებს ალანთა
წინამძღოლმა ურჩია, მისიმიანეთის გავლით არ წასულიყვნენ
სამხრეთისაკენ, რადგან სვანეთში სპარსელები იყვნენ და ისინი
ჩაივლებდნენ ხელში. ზემარქე იძულებული გახდა, მისიმიანეთი
(ახლანდელი აფხაზეთ სვანეთი-კოდორის ხეობა) მარცხნივ მი-
ეტოვებინა და აფსილთა ქვეყანაში დარინის გზის მეორე გან-
შტოებით წასულიყო² კლუხორისა და ნახარის გადასასვლელე-
ბის შესახებ დიუბა დე მონპერე წერდა: „აღნიშნული გადასას-
ვლელეები კავკასიის უძველესი გზებია. ამ გზებით ხდებოდა ძი-
რითადი ვაჭრობა და ცივილიზაციის გაცვლა-გამოცვლა კავკასი-
ასა და გადაღმა მხარეს შორის“.³ XIX ს. ბოლოს რუსეთმა სწო-
რედ ამ მიმართულებით გაიყვანა პირველი შედარებით კეთილ-
მოწყობილი გზა, რომელსაც სტრატეგიული და კულტურულ-ეკ-
ონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

აკადემიკოს დ. მუსხელიშვილის აღნიშვნით: „მისიმიანეთის
ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდილო კავკასიაში გამავალი ისეთი
უძნისელოვანესი უღელტეხილები, როგორცაა მარუხი, ქლუ-
ხორი და ნახარის გადასასვლელეები. ამთგან ქლუხორზე გადმო-
მავალ გზას ეწოდებოდა „მისიმიანეთის გზა“⁴ (ერთ-ერთი გზა
გადიოდა სვანეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე სახელდობრ იმ
ნაწილში, რომელიც მისიმიანთა მიწა-წყალს აკრავდა. ეს ის ნა-
წილი უნდა იყოს სვანეთისა – ასკვნიდა აკად. ს. ყაუხჩიშვილი,
რომელსაც ამჟამად „ჭვიბერი“ ეწოდება⁵ მეცნიერის შენიშვნით

¹ აგათია სქოლასტიკოსი. – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, III. თბ., 1936. გვ. 86-87.

² მენანდრე პროტექტორი, გვ. 236-237

³ Dudois de Montperux. Voyage autour du Caucase, t. II, Paris, 1926, გვ. 127.

⁴ დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 179.

⁵ ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი პირველი. IV-VII საუკუნეები. თბ., 1948, გვ. 133

ჭვიბერს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა წარმოებისა და ვაჭრობის თვალსაზრისითაც ამ რაიონში და ეს გასაგებიც არის, თუ ის იმ გზაზე მდებარეობდა, რომელიც ლაზეთს აერთებდა კავკასიის ჩრდილოეთ მხარესთან. აღრეშუასაუკუნეებში კავკასიონის

მთიელთა ეკონომიკური ურთიერთობის სიცხოველზე მეტყველებს მრავალი ფაქტი. განსაკუთრებით, კარგ საილუსტრაციო მასალას იძლევა კავკასიონის მთიანეთში (სვანეთში, ბალყარეთში, ყაბარდოში, დიგორსა და სხვ.) აღმოჩენილი აბრეშუმის ფარჩის და სელის ქსოვილები. მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში 200-მდე ფრაგმენტია ნაპოვნი.¹ ბიზანტიური წარმოშობის მინა, მატყლის მძიმე ხალიჩები, მინის ჭურჭელი, ძვირფასი ლითონები (ირანული), ფერადი ქვები – სარდარი, მოხატული სარდლიონი და სხვ.²

აღნიშნული ეპოქის მონეტები დიდი რაოდენობით გვხვდება ჩრ.კავკასიაში. თავაურის ხეობაში აულ ჩიმთან კატაკომბებში აღმოჩენილია ბიზანტიური ოქროს მონეტა მავრიკი ტიბერის (582-602). დიგორიაში-კამუნტის სამარხებში აღმოჩენილ იქნა ოქროს ბიზანტიური მონეტები: ანასტასის (419-515), იუსტინიანე I (527-565), იუსტინიანე II (565-578), ფოკას (602-610) ირაკლი კეისრის (610-641), აგრეთვე ვერცხლისა და სპილენძის მონეტების.³

VI-VII საუკუნეების აბრეშუმის ნივთებიანი სამარხები აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გადმომავალ ზემოთ აღნიშნული გადასასვლების მიდამოებში.⁴ ზემო სვანეთის ეკლესიებში შემორჩენილია VI-VII საუკუნეების აბრეშუმის ქსოვილების ფრაგმენტები (ინახება გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში).

2007წ. თსუ სვანეთის კულტურულ-ისტორიული ექსპედიციის დროს მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩვენ

¹ **А. А. Иессен.** Археологические памятники Кабардино-Балкарии. – *Материалы и исследования по археологии СССР*, 3, 1941, გვ. 127.

² **А. А. Иессен.** Археологические памятники..., გვ. 134.

³ **А. А. Иессен.** Археологические памятники..., გვ. 139.

⁴ **А Иерусалимская.** – «Великий шелковый путь» и Северный Кавказ. Л., 1972, გვ. 47.

მივაკვლიეთ მეცნიერებისათვის მანამდე უცნობ კოპტური ქსოვილების ფრაგმენტებს, რომელსაც დიდი მხატვრული ღირებულება გააჩნია. ამ ტიპის რთული სახეებიანი ქსოვილები ახ.წ IV-VII საუკუნეებით თარიღდება. გობელენის ტექნიკით ქსოვა, რომლითაც შესრულებულია ეს ქსოვილი, დამახასიათებელია IV-VII საუკუნეების კოპტური ქსოვილებისათვის. აღნიშნული ქსოვილის მსგავსი ფრაგმენტია დადასტურებული ზემო სვანეთის სოფ. სვიფი-ფარის ეკლესიაში მსგავსება მჟღავნდება ორნამენტის სტილიზებულ გეომეტრიულ ხასიათშიც და დეკორის კომპოზიციის საერთო სტრუქტურაშიც (ფონის შევსება სხვადასხვა პატარ-პატარა ორნამენტებით, ფრინველებით, ყვავილებით და ა.შ) უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ტრადიციულ, ძვირფას ეგვიპტურ ქსოვილებს კოპტურს უწოდებენ. ამ დროს ეგვიპტე ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაშია და მთელ ქრისტიანულ სამყაროს ამარაგებს საეკლესიო ქსოვილებით. ცნობილია, რომ 451წ. ქალკედონის საეკლესიო კრებაზე ეგვიპტის ეკლესია დამოუკიდებლად აღიარეს. მის მრევლს კოპტებს უწოდებდნენ. (არაბული სიტყვა „კუბტ“, რაც თავისთავად ეგვიპტეს, ეგვიპტელს ნიშნავს) ამ დროს ქრისტიანობას ეგვიპტეში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა.¹

კავკასიონის ჩრდილოეთ მისადგომებთან და სვანეთში ნაპოვნი ბიზანტიური, კოპტური, სოგდიური და ჩინური აბრეშუმის ქსოვილების ფრაგმენტები ნათლად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ეს გზები კარგად იყო ათვისებული უცხოელი ვაჭრების მიერ და ფუნქციონირებდა რეგულარულად. რა როლს თამაშობდა ამ სატრანზიტო ვაჭრობაში თვით ამ რეგიონის მოსახლეობა? ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ სავაჭრო-სატრანზიტო გზამ, ბიზანტიასა და შუა აზიას შორის, თავის ორბიტაში ჩააბა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც აბრეშუმის ქსოვილებსა და ხამი აბრეშუმის სანაცვლოდ მოქირავნეებს პირველ რიგში სთავაზობდა, არა სოფლის მეურნეობის პროდუქცი-

¹ გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. თბ., 2008, გვ. 29-31.

ას, არამედ სვანურ ოქროს (ადგილობრივი თვითნაბადი ოქროსაგან დამზადებულ მხატვრული ხელოსნობის ნიმუშებს, ოქროს მონეტებს და ა.შ.)

ოქროს მოპოვებისა და მისი მეტალურგიული დამუშავების მნიშვნელოვან კერას უძველესი დროიდან სამხრეთ კავკასია¹, კერძოდ, საქართველო წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება კარგად აისახა ანტიკურ წერილობით წყაროებშიც – ამ თვალსაზრისით ბერძნები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი კოლხეთითა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთით. სტრაბონი თავის გეოგრაფიაში საგანგებოდ აღნიშნავდა: სვანეთის მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქროს ქვიშა, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები დახვრეტილი ვარცლებით (ცხრილებით) და ბეწვიანი ტყავების მეშვეობით აგროვებენ.²

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა პლინიუს უფროსის (ახ.წ. II ს.) ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც მის თანამედროვეს – კოლხთა მეფე სავლაკს დიდი რაოდენობით შემოუდიოდა სვანების მიწა-წყლიდან ოქრო და ვერცხლი. პლინიუსის ცნობით, „კოლხებთან მეფობდა მეფე სავლაკი, აიეტის შთამომავალი, ამბობენ, რომ სვანეთის ქალწულებრივი მიწიდან ამოიღო ბევრი ვერცხლი და ოქრო. გარდა ამისა მისი მიწა ცნობილია ოქროს საწმისებით“.³

მითრიდატეს ეპოქის ისტორიკოსების შრომები საქართველოს, კერძოდ კოლხეთის შესახებ ფართოდ აქვს გამოყენებული ახ.წ. II ს. მწერალს აპიანეს, ის იმეორებს ანტიკური სამყაროსათვის ტრადიციულ ცნობებს კოლხური ოქროს შესახებ: „აქ მრავალ ნაკადულს ოქროს მქონე ქვიშა ჩამოაქვს, ადგილობრივი მოსახლეობა მათ რეცხავს და სქელმატყელიანი ცხვრის ტყავების მეშვეობით აგროვებს“.⁴ ინტერესი სვანური ოქროს მიმართ არც შუა საუკუნეებში გამქრალა. მენანდრე პროტიქტორის ცნობით

¹ **М. Максимова.** Очерк о золоте. М., 1988. с. 9.

² **თ. ყაუხჩიშვილი.** სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ). თბ., 1957, გვ. 135.

³ **В. В. Латышев.** Известия Древних писателей..., გვ. 644.

⁴ **თ. ყაუხჩიშვილი.** აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია. თბ., 1959, გვ. 179.

„ლაზებში ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარადლი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკონ სიაში და ლაზი კი იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფსა და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც“.¹ სხვა რამეში პირველ რიგში უნდა ვიგულისხმობთ სვანეთის ოქრო, რომელიც კარგად აისახა ანტიკურ და შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში.

სავარაუდოდ ბიზანტიის იმპერიას სვანეთში ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა, კერძოდ, იმპერია ცდილობდა სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო, ვერცხლი, მარმარილო და სხვ.) ათვისებას. სწორედ სვანეთის ოქრო, მის წარმოებაზე კონტროლის დაწესების ცდა იყო ძირითადი მიზეზი (და არა მარტო სვანეთზე გამავალი სავაჭრო-საქარავენო გზები) ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოქმნილი მწვავე დიპლომატიური დაპირისპირებისა მიუთმეტეს, ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დოკუმენტურად მტკიცდება ადგილობრივი ოქროს სარეწების არსებობის ფაქტი ენგურისა და ცხენისწყლის მიდამოებში.

დადგენილია, რომ ანტიკურ ხანაში სვანეთში ადგილობრივი თვითნაბადი ოქროდან იჭრებოდა ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მინაბადები. დადგენილია მათი შემთხვევითი აღმოჩენების ტოპოგრაფია, ოქროს მონეტების აღმოჩენების ადგილები ზუსტად ემთხვევა გზებსა და გადასასვლელებს. ანტიკურ ხანაში აქ არსებული ფულადი მიმოქცევა (ელნისტური ხანის ინტერლოკალური ოქროს მონეტები, მათი ადგილობრივი მინაბადები ძვ.წ. II ახ.წ. II საუკუნეებისა და რომაული საფასეები) ადასტურებს სვანეთის მჭიდრო კავშირს დანარჩენ სამყაროსთან.²

გარდა საბადოებში მოპოვებული ოქროსა ამ რეგიონს გააჩნდა და ამჟამადაც გააჩნია სხვა სიმდიდრეც, რომლის ფასი თავისი იშვიათობის გამო ძვირფას ლითონს არ ჩამოუვარდებოდა ეს იყო ქვათა დელოფალი მარმარილო. სვანეთში მოთეთრო-რუხი ფერის მარმარილოს დიდი რეზერვი იყო, რა თქმა უნდა, იგი ვერ შეედრებოდა ეგეოსის აუზის კუნძულების უთეთრეს მარმა-

¹ მენანდრე პროტიქტორი, გვ. 224.

² გ. ლორთქიფანიძე, ხ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი..., გვ. 31.

რილოს, თუმცა უმაღლესი ხარისხისაა. ათასზე მეტი წლის წინ ენგურის ხეობაში რომაელების მიერ აშენებულ იქნა გრანიტისა და მარმარილოს ქვასატეხები, ხის ბორბლიანი ურმებით მარმარილო იგზავნებოდა ქალაქების ფაზისისა და სებასტოპოლის მშენებლობაზე -წერს რუსი მოგზაური კლიმენტიევი.¹ ასეთი მარმარილო დღესაც მოიპოვება ზემო სვანეთში დიზისა და ჭუბერის მარმარილოს საბადოებზე.

აღნიშნული გარემოება გზების ეკონომიკურ მნიშვნელობას არ აკნინებს, თუნდაც იმიტომ რომ მთელი ეს პოლიტიკური ჭიდილი, რომელიც მიმდინარეობდა სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესებით იყო ნაკარნახები. ამის გარდა გზების საკითხი ყოველთვის უმუალოდ უკავშიდებოდა მეტოქე სახელმწიფოთა თავდაცვითსა და შეტევით პოლიტიკას, რაც ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ტომთა სამხედრო ძალების გადმოყვანაში ან გადმოყვანისათვის ხელის შეშლაში მდგომარეობდა.

¹ В. Климентьев. Через Сванети на Эльбрус. М., 1930, გვ. 125.

ЗВИАД КВИЦИАНИ

ИРАНО-ВИЗАНТИЙСКИЕ ВОЙНЫ И ВОПРОС О СВАНЕТИ *ПО ПИСЬМЕННЫМ ИСТОЧНИКАМ И АРХЕОЛОГИЧЕСКИМ МАТЕРИАЛАМ*

Согласно заключённому между Сасанидским Ираном и Византией в 562г. в г. Дара мирному договору, Иран Византийской империи уступил Эгриси, но не целиком. Персы сумели сохранить за собой Сванети. В статье на основании анализа данных соответствующих письменных источников, а также археологического материала, акцентировано внимание на те факторы, из за которых разгорелась ожесточённая дипломатическая перепалка между сторонами во время переговоров в Даре вокруг вопроса о Сванети. Отмечено, что Сванети представлял интерес как важное звено по торговой магистрали, связывающей Византию со странами Среднего Востока. Помимо этого, стороны (особенно Византия) интересовались и природными богатствами (золото, серебро, мрамор и т.д.) края.

ZVIAD KVITSIANI

IRAN-BYZANTINE WARS AND THE ISSUE OF SVANETI *IN THE LIGHT OF WRITTEN SOURCES AND ARCHAEOLOGICAL DATA*

In 562, according to the Fifty Years' Peace, the Sasanids conceded Lazica, but not completely. The Persians were able to keep Svaneti. The paper pays attention to the factors, which caused a great discussion regarding the issue of Svaneti during the peace talks in Dara. The parties were interested in Svaneti as a significant trade path. The written sources point out to the several routes of Sogdian and Byzantine envoys, who were travelling with the goods (i.e. silk). All of those routes were going through Caucasus from Kabarda to the Western Georgia – Svaneti, namely, Misimianeti (the Kodori-Dali Gorge). The patches of the Byzantine, Coptic, Sogdian, and Chinese silk found in the northern part of Caucasus and Svaneti clearly prove that those routes were known to the foreign merchants and functioned regularly. The local population also had to be involved in the economic relations between Byzantine Empire and the Central Asia. In exchange for the silk they were offering the Svanetian Gold (the artistic handicrafts made from the native gold, the golden coins, etc.). Byzantine Empire was interested in coping the minerals (gold, silver, marble, etc.) in Svaneti. The Svanetian gold and the attempt to control its producing was one of the main reason, along with the desire to establish full control over the trade routes, of the fierce diplomatic confrontation between Byzantine Empire and Iran.

ღაკით ჭითანავა

ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი „ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისათვის

ქართველურ ენებში უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვებია – ქართ. „ღმერთ-მერთ-ი“, მეგრ. „ლორონთ-ლორონთი“, ლაზ. „ლორმოთ-ლორმოთი“, სვან. „ღერმეთ“, „ღორბეთ“.

„ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის აღდგენის თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, კერძოდ საკითხს შეეხნენ ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ვ. ბარდაველიძე, ლ. ჭილაშვილი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ა. შანიძე, ნ. წულეისკირი და სხვები. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ყველა დღემდე არსებული შეხედულების განხილვა, არამედ გვინდა ჩვენეული მიდგომის დაფიქსირება, საკითხის სხვა კუთხით დასმის მიზნით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ძირითადი კომპლექსი მოიცავს და დაკავშირებულია წინაპრის და მიცვალებულის კულტთან, რომელიც თითქმის ყველა ეპოქაში რელიგიური ცნობიერების და ადამიანთა სოციალური ერთობის ჩამოყალიბების ძირითადი მამოძრავებელია. ამ საკითხზე უამრავი მასალა და მოსაზრებები არსებობს, რომელთა შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში რამდენიმე მათგანის წარმოჩენით შემოვიფარგლებით; დასაწყისისათვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ „ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის აღსადგენად, ვფიქრობთ, სწორედ ზემოთ ნახსენებ უძველეს რწმენა-წარმოდგენათა ძირითადი არსი უნდა გავითვალისწინოთ, რის შესაძლებლობასაც ურთიერთშესაბამისობის თვალსაზრისით ქართველური ენებიც გვაძლევს.

აღნიშნულია, რომ „ინდუსი, ისევე როგორც ბერძენი გარდაცვლილებში ხედავდა ღვთაებრივ არსებებს, დამტკბართ ღვთა-

ებრივი არსებობით. გარდაცვლილთა ეს რელიგია როგორც ჩანს იყო ყველაზე ძველი ინდო-ევროპული რასისათვის, ვიდრე გაალმერთებდნენ და შექმნიდნენ ინდრას და ზევსს, ადამიანი აღმერთებდა გარდაცვლილებს, ის მათ მიმართ გრძნობდა შიშს და მათ ლოცვებით მიმართავდა, როგორც ჩანს რელიგიური გრძნობაც აქედან დაიწყო. შესაძლოა სიკვდილის დანახვისას ადამიანში პირველად ჩაისახა ზებუნებრიობის იდეა, იმედი იმისა, რომ ხილვადის მიღმა რაღაცა არსებობს. სიკვდილი იყო პირველი საიდუმლო, რომელიც წარმოსდგა ადამიანის წინ; ის მან სხვა საიდუმლოებების გზაზე დააყენა, მან მაღალ საფეხურზე აიყვანა მისი აზროვნება ხილვადიდან უხილავისკენ, გარდამავალიდან მუღმდისკენ, ადამიანურიდან ღვთაებრივისკენ“.¹

ე. კასირესის დაკვირვებით, „ჩინეთის, რომაელთა, ამერიკელ ინდიელთა და სხვა ხალხების რელიგიის, უმეტესად და არსებითად არის რწმენა სიცოცხლისა სიკვდილის შემდეგ. ეს ეფუძნება ცოცხალთ და გარდაცვლილთა სულების ერთიანი კავშირის წარმოდგენას. ფაქტები თვალნათლივ მოწმობენ, რომ აქ ჩვენს წინაშეა პრიმიტიული რელიგიის ძველი, უნივერსალური და არსებითი ნიშანი“.² გ. ოსბორნის მტკიცებით, ადამიანთა პრიმიტიული რწმენა იყო საიქიო ცხოვრების შესახებ არსებული რწმენა³. ჯ. ტოლანდის აზრით, „ღმერთები რაოდენობრივად და ღირსებით უსასრულოდ აღმატებულნი იყვნენ ადამიანებზე და მეორე მხრივ მიუხედავად თავდაუჭერელი ცრურწმენისა, ყველანაირი კერპთაყვანისმცემლობის წყარო იყო ადამიანთა ისეთი გაგება და მოქმედება, რომელიც მიცვალებულთან იყო დაკავშირებული“.⁴

კ. კლემენის დაკვირვებით, „მიცვალებულის მიმართ ადამიანმა ახალი წარმოდგენები გამოიმუშავა ანუ რწმენა იმის შესახებ, რომ მკვდარი ეს არის „უზენაესი არსება“. პირველ რიგში სწორედ ამით აიხსნება, რომ მიცვალებულებს, როგორც „ბუნებრივი“ (განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი – დ.ჭ.), ისე

¹ **Фюстель-де-Куланжъ.** Гражданская община древнего мира. СПб. 1906, გვ. 18, 20.

² **ე. კასირესი.** რა არის ადამიანი? თბ., 1983, გვ. 142-143.

³ **Г. Ф. Осборн.** Человек древнего каменного века. Л. 1924, გვ. 236.

⁴ **Дж. Толанд.** Избранные сочинения. М.-Л., 1927, გვ. 62.

კულტურული ხალხების შეხედულებით, შეუძლიათ გახსნან ყოველგვარი საიდუმლოებები, იმდენად, რამდენადაც ისინი ცხოვრობდნენ ძველ, განვლილ დროში, მათ ყოველ შემთხვევაში შეუძლიათ იცოდნენ წარსული და ახსოვდეთ ის, რაც ცოცხლების მიერ უკვე დავიწყებულია; ამასთან ერთად არსებობდა რწმენა იმის შესახებაც, რომ მათ ძალუძთ დაბრუნდნენ მომავალში. თავდაპირველად მსაგავსი რწმენები დაკავშირებული იყო ისევ და ისე „გვამთან“.¹

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დამოწმებულ მკვლევართა მოსაზრებები არ გახლავთ ერთადერთი თეორიული ხაზი საკითხის კვლევისა, საკითხზე სხვა, განსხვავებულ მოსაზრებებიც არსებობს და ბევრი რამ ჯერ კიდევ სამომავლო კვლევის საგნად რჩება; ამჯერად კი ეს მსჯელობა ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და ადამიანთა სოციალური ერთობის ჩამოყალიბებაში უდიდესი და ერთ-ერთი უპირველესი როლი უნდა შეესრულებინა წინაპრისა და მიცვალებულის მიმართ (სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული გამოვლინებებით) პატივისცემას და თაყვანისცემას, რაც შემდგომში უზენაეს ღვთაებად – „ღმერთად“ ჩამოყალიბდა.

ადამიანთა გარკვეულ სოციალურ ერთობად ჩამოყალიბების შემდგომ (რომლის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს შორის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ჩვენ უპირატესობა ცეცხლის და კერის კულტს მივანიჭეთ, ხოლო შემდგომ მიცვალებულის და წინაპრის თაყვანისცემას²), დღითიდღე უნდა გამყარებულიყო გრძნობა წინაპრისა და მიცვალებულის „გაღმერთებისა“. სწორედ „სიკვდილი“ ჩამოყალიბდა ადამიანთა ცნობიერებაში უდიდეს საიდუმლოდ; ადამიანს პირველ რიგში თავისი გარდაცვლილი წინაპარი უნდა „გაეღმერთებინა“. ალბათ თანდათან ყალიბდებო-

¹ **К. Клемен.** Жизнь мертвых в религиях человечества. СПб. 2002, გვ. 122.

² **დ. ჭითანავა.** რელიგიური რწმენის წარმოშობის სათავეებთან (საკითხის დასმის მიზნით). – კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, ტ. IX, თბ., 2007, გვ. 104-184; **დ. ჭითანავა.** სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (საკითხის დასმის მიზნით). – კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, IX, თბ., 2007, გვ. 125-148.

და რწმენა იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც მას უკვე ღვთაებად წარმოედგინა, სიკვდილის შემდგომაც აგრძელებდა სიცოცხლეს საიქიო სამყაროში; მისგან მოდიოდა ყოველგვარი ბედნიერება თუ უბედურება ცოცხალთ სამყაროში; სწორედ მას სცემდა თავყვანს მისი მფარველობის და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მესოპოტამიაში მიცვალებულთათვის განკუთვნილი მსხვერპლშეწირვა, შემადგენლობით ახლოს იყო ღმერთების მიერ მირთმეული მსხვერპლშეწირვისა¹. ამავე დროს საყურადღებოა მთელი რიგი ის გარემოებები, რომ თვით ღვთაებათა აღმნიშვნელი ტერმინები ძალიან ხშირად წარმოადგენდნენ გარდაცვლილის სულის სინონიმებს. ამგვარად აფრიკის ტომ ვანიკაში არსებობს ერთი საერთო ტერმინი „მულუნგუ“, რომელიც აღნიშნავს როგორც სულს, ისე ღვთაებას, ასევე მიცვალებულს და დაავადებულს. ფიჯის კუნძულების მცხოვრებთა ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ოდესღაც ადამიანი იყო და მისი სახელი „კალუვუ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს, „ღმერ-წინაპარს“. იმავე ჯგუფის სხვა კუნძულებზე მთავარი ღვთაება „ტანაგუ“, გადმოცემით იყო ადგილობრივ მცხოვრებთა წინაპარი და როდესაც ეს წინაპარი კვდებოდა მან თქვა: „მე ვიქნები თქვენთან, რომ თქვენ არ მოგასვენოთ“. ტაიტიისა და მეზობელ კულძულებზე არის „არეონ“-ების კასტა, რომელთა წევრები თავიათ თავს მიაწერენ განსაკუთრებულ ღვთაებრივ წარმოშობას და სარგებლობენ განსაკუთრებული პატივით არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდგომაც. ჩინეთში ტერმინი „შენ“ ერთდროულად აღნიშნავს, როგორც „სულს“ ასევე „ღვთაებას“, ხოლო ტერმინი „გუიშენ“ – „ცეცხლის ღმერთს,, „ცეცხლის მეპატრონეს“ და ის ამავე დროს აღნიშნავს სულს და მიცვალებულსაც. რომაელებში კი სიტყვა ღუეს ერთდროულად აღნიშნავდა როგორც „ღმერთს“ ასევე „მიცვალებულსაც“.²

¹ **Е. В. Антонова.** Обряды и верования первобытных земледельцев Востока. М., 1990, გვ. 101.

² **Л. Я. Штернберг.** Первобытная религия в свете этнографии. Л., 1936, გვ. 344.

ელამელთა ფირფიტებიდან ვიგებთ, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილი ელამელისთვის მიწიერი ცხოვრება იყო მხოლოდ უსასრულო უბედურება: „მდენად ჩემთვის უკვე დროა, მე მივდივარ ჩემო ღმერთო და ბატონო“. გამოთქმული მოსაზრებით, „ღმერთსა“ და „ბატონში“ იგულისხმება გარდაცვლილის მფარველი სული, რომელიც მთელს მის მიწიერ ცხოვრებას მართავს. დაკრძალვის შემდგომ ის ცდილობს ჩასჭიდოს ხელი თავის მფარველ სულს, რომ წარსდგეს დიდი ღმერთების წინაშე: „მე მინდა მოვისმინო ჩემი განაჩენი, ვკოცნო შენი ფეხები“ – ეხვეწება ის თავის მფარველ სულს დაიცვას ის მოსალოდნელ განაჩენთან დაკავშირებით; „შენ გაიძულე მე ლოდინი... ბოლოს და ბოლოს ჩემო ღმერთო შენ დართე ნება ჩრდილთა სამეფოს რომ მიმიღოს მე, რადგან დედამიწაზე ჩემი ცხოვრება იყო უსასრულო ტანჯვა... გარდაცვლილს საიქიო სამყაროში გასაცლებლად ხვდებიან ორი მოწვეული ქალ-ღვთაებები – იშკიკარაბი (Ишкикараб) და ლაგამალი (Лагамал), რომელიც ისინი შემდგომ მიჰყავთ ინშუშინაკთან (Иншушинак), ამ უკანასკნელს კი მოსამართლის სტატუსით გამოაქვს მისთვის განაჩენი“.¹

აღნიშნულია, რომ მიცვალებულთა იმქვეყნად ნეტარ ცხოვრებისათვის მისი სული სააქაოს უნდა მოიხსენიონ, მის სახელზე დაალოცვინონ ტაბლა სანთელ-ზედაშით, მის სახელზე გასცენ ტანსაცმელი და ცხენ-აბჯარი, მის კერაზე დაანთონ ცეცხლი. მართალია სული თავის თავზე ვერ ზრუნავს, მაგრამ ხალხის რწმენით ცოცხლებზე ზეგავლენის მოხდენა (სიკვდილის თუ ავის მოტანა) შეუძლიაო, ამიტომ ყველა ცდილობდა მიცვალებულთა სულებისათვის ეპატრონა“.² ამავე დროს გამოთქმული მოსაზრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, „ხატმსახურება და მიცვალებულთა სამსახური მკვეთრად არ უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან ოდესღაც გამიჯნული. ქადაგი და მესულთნე ერთ პიროვნებაშია გაერთიანებული“.³

¹ **В. Хинц.** Государство элам. М. 1977, გვ. 64-65.

² **ბ. დამბაშიძე.** რატომ უწოდებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მიცვალებულის სულს „სულიწმინდას“. – *ქართველური მეპევიდრობა*. IV. ქუთაისი, 2001, გვ. 265-266.

³ **დ. გიორგაძე.** დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში.

სამეგრელოში, თ. სახოკიას სიტყვებით, „მიცვალებულის სული განიადაგებული ზრუნვისა და თაყვანისცემის, კულტის საგანია ცოცხლად დარჩენილი ნათესავებისათვის. ვინც სულეთში მყოფ თავის მიცვალებულთა ცხოვრებისა (არსებობისა) და ყოველმხრივ კმაყოფილებისათვის არა ჰზრუნავენ, დამნაშავეა, რომლისთვისაც სასჯელის მოძებნაც კი გასაჭირია. თვით სასაფლაო, სადაც დამარხულია მეგრელთა წინაპრების ძვლები, მათთვის წმინდა და ამავე დროს შიშისმომგვრელ ადგილად ითვლება, რომლის გარშემო თავს იყრიდნენ, როგორც სიხარულის, ისე მწუხარების წამებში, ამა თუ იმ სოფლის ყველა წევრები“.¹

ზემოთ წარმოდგენილ მასალებში, ჩვენთვის პირველ რიგში საყურადღებოა ის მომენტი, რომ უამრავ ხალხში, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან ღვთაების და მიცვალებულის სახელწოდებები (ასევე წინაპრის) სინონიმებია, რაც ვფიქრობთ, არა მარტო ამა თუ იმ წინაპრის საკუთარი სახელის იდენტური ფორმით მისი „გალმერთების“ შემდეგ უზენაესი ღვთაების (ღმერთის) სახელწოდებად დამკვიდრებაზე მიუთითებს, არამედ, როგორც ჩანს, თვით „სიკვდილის“ აღმნიშვნელი მცნებაა, რომელიც უდიდეს „საიდუმლოდ“ ითვლებოდა განვითარების უძველესი საფეხურიდან მოყოლებული. მიცვალებული იდენტიფიცირებულია „ღმერთთან“, „უზენაესი ღვთაების“ სახით არის წარმოდგენილი, რომელსაც როგორც სიკეთის, ისე სიავის მოტანა შეუძლია ცოცხალთათვის და მთლიანად სამყაროსთვის. ამავე დროს ხატმსახურება ანუ ღვთისმსახურება და მიცვალებულის თაყვანისცემა ერთ სიბრტყეზეა აყვანილი და არ არის ურთიერთგამიჯნული; საფლავი წმინდა ადგილად ითვლება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს ცნება „სიკვდილის“ რესპ. „გარდაცვალების“ და „ღმერთი“-ს მცნების სემანტიკურ იგივეობას, რასაც ქართველურ ენებში გარკვეული მორფოლოგიური შესატყვისობაც გააჩნია.

აკ. შანიძის აღნიშვნით, „ღმერთ“ სიტყვის ფუძე იკუმშება

თბ., 1987, გვ. 39.

¹ თ. სახოკია. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში. – *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ. III. თბ., 1940, გვ. 179.

მხოლოდითის სამ ბრუნვაში და ამის გამო ოთხი თანხმოვანი იყრის ერთად თავს: ღმრთ-ის, ძნელი გამოსათქმელია. იკარგება რ და გვრჩება ღმთ, მაგრამ მაინც ძნელი გამოსათქმელია და გამოთქმა რომ გაადვილდეს, მ-ს ენაცვლება უმარცვლო უ (რომელიც ვ-თია გამონატული): ღვთ-ისა. ამ სიტყვას ფუძე-უკუშვადლობა ძველთაგანვე მოუღის. ახალ ქართულში ფუძე კუშშვადი ფორმების გვერდით ფუძე-უკუშვადიც ჩნდება: „ღმრთისა“.¹

მამასადაძე, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ფორმა „ღმერთი“-ს გადმოცემა „ლუთის“ ფორმით. აღსანიშნავია ისიც, რომ ფშაურ დიალექტში გვაქვს ვ-ს დაკარგვა: „ლთის“ (ღვთის) მაღლმა, ღთისშვილთ (ღვთისშვილთ) – უკეთ იცინა². საკითხთან დაკავშირებით ზემოთ წარმოდგენილი როგორც თეორიული მსჯელობის ისე ენობრივი მასალის საფუძველზე საყურადღებოდ მიგვაჩნია მეგრულში „სიკვდილი“-ს აღმნიშვნელი სიტყვა „ლურა“, რომელსაც თავის დროზე თ. სახოკიამ მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ „სული პირიდან რომ გამოვა“ კაცი კვდება ანუ მეგრულად – „ლოღურუ“, რაც ავტორისავე აზრით, წარმოებული უნდა იყოს ზმნა „ღვრა“-საგან, ე. ი. დაიღვარა, სითხედ იქცაო“.³ ამასთანავე აქვე საყურადღებოა და ვფიქრობთ გასათვა-

¹ აკ. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1953, გვ. 96.

² გ. ცოცანიძე. ფშაური დიალექტი. თბ., 1978, გვ. 36.

³ თ. სახოკია. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, გვ. 167. ამ მოსაზრებას ყურადღება მიაქცია ნ. აბაკელიამ და აღნიშნა, რომ „ამგვარი იდენტიფიკაცია საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ტერმინში ადამიანის სიკვდილში გადასვლის კრიტიკული მომენტია ასახული, რომელიც სისხლის და მისი ცირკულარიზაციის იდეას უკავშირდება (შდრ. დაპირისპირება სიკვდილი, სისხლისგან დაცვლილი და სიცოცხლე, სისხლსავსე) და აქედან გამომდინარე ციკლურ სიმბოლოზმს. სიტყვაში დაცული ხატება, რომელიც სისხლის ღვრის აქტის ამსახველია, ალბათ უნდა გულისხმობდეს სიკვდილის ანგელოზის მიერ თავისი მსხვერპლის კვლას. აღნიშნული რწმენა ძალიან არქაულია და ადგილობრივ კონცეფციას უნდა ემყარებოდეს სიკვდილის შესახებ. ამგვარად, დასავლურ-ქართულ (კოლხურ) რეალობაში სიკვდილი, როგორც მოვლენა, სისხლის ღვრის, მოკვლის იდეას უკავშირდება“ (ნ. აბაკელია. ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიტუალურ სისტემაში. – *კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული*, XI. თბ., 2004, გვ. 154-155). ვფიქრობთ რთულად გვეჩვენება „ღურა“-ს (ღვრა) კავშირი „მოკვლის“

ლისწინებელია გ. გოცაძის ის მოსაზრება, რომ „არსებობდა ჯერ სიკვდილის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც რელიგიამ შემდგომ ღმერთის სახელად აქცია“.¹

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სვანეთში „ხოშა ღერმეთის“ თაყვანისცემასთან დაკავშირებით დღესასწაულების მრავალფეროვანი ციკლი, იყო დაკავშირებული, როგორცაა „წმინობ“, „წმინრე ლასკრობ“, „ფუსდა წმინი ლითუცლ“, „ღუნობ ლიგუნვარი“, „ჟისხუობ-ლიუსხუცრი“, „ჟისხუი ლიტბუღლი“ და სხვ. ეს დღესასწაულები გაერთიანებული იყო საერთო სახელწოდებით „უფლიშიერ“ და ეწყობოდა „ფუსნაბუასდიში“-ს, როგორც სვანური „ლასკარების“ (ანუ „სკარების“) სახელზე, რომელიც იყო სოფლის შიგნით და გარეთ სამეზობლო გაერთიანებანი (თემი).

დღესასწაულების დაწყება ემთხვეოდა წმ. თომას აღდგომის წინა დღეს და ისინი გრძელდებოდა (გადმონაშთური მასალის მიხედვით) ორიდან ექვსი კვირის ჩათვლით. პირველი მსხვერპლშეწირვა ხდებოდა „უფლიშიერი“-ს მეორე დღეს (ე.წ. „უფლიშ//უფლი ლადელ“ – „სადვთო დღეს ანუ „ხოშა თანაფ – სიტყვასიტყვით „დიდი აღდგომა“), ხოლო შემდგომ მსგავსი მსხვერპლშეწირვები მეორდებოდა ყოველი დღესასწაულის გაგრძელების განმავლობაში ყოველ კვირა დღეს.²

ზემოთ წარმოდგენილი სვანური უზენაესი ღვთაების – „ხოშა ღერმეთისადმი“ მიძღვნილ რიტუალში ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი მსხვერპლშეწირვა

და სისხლის ღვრის იდეასთან, რადგან ამის აღსანიშნავად ჩვენ მეგრულში გვაქვს სიტყვა „Yვიღუა“ (კვლა, მოკვლა); ასეთ იდენტიფიკაციას საეჭვოა რაიმე რელიგიური რწმენა ედოს საფუძვლად; შესაძლოა „ღვრა“-ს სახით განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო გვამის გახრწნის გაუცნობიერებელ მომენტთან გვეკონდეს საქმე ან სხვა საყაროში გადასვლის იდეასთან.

¹ გ. გოცაძე. დაკრძალვასთან დაკავშირებული ტერმინები წერილობითი წყაროების მიხედვით („საფლავი“, „სამარე“, „სამარხი“). – *არქეოლოგიური ძიებანი*. ახალგაზრდა მეცნიერთა II და III სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1982, გვ. 193.

² В. Бардавелидзе. Главное божество древнегрузинского пантеона, Гмерти. – *Вопросы этнографии Кавказа*. Тб., 1952, გვ. 312.

ეწყობოდა „უფლიშიერის“ სახელზე და ამავე დროს ის „აღდგომის იდეას“ (ხომა თანაპ) უკავშირდება. თუ ჩვენ სვანურ „უფლიშიერს“ ქართულ უფალს დავუკავშირებთ, რომელი სიტყვის მნიშვნელობა „ფლვა“ (მეგრ. „ფულუა“ - დაკრძალვა, შენახვა) ზმნასთან შესატყვისობის თვალსაზრისით დიდ წინააღმდეგობას არ იწვევს (ამ ტერმინზე ჩვენ სხვა ადგილას უფრო ვრცლად ვისაუბრებთ), მაშინ უფრო ნათელი ხდება „ღმერთ-ღორონ-ღებთ-ღორმოთ“ სიტყვის კავშირი „სიკვდილთან“ ანუ მეგრულ „ღურასთან“, საერთოდ მიცვალებულის კულტთან და ამ უკანასკნელის ენაში დამკვიდრებული სახელწოდების („სიკვდილი“, „გარდაცვალება“ - მეგრ. „ღურა“) „ღვთაების“, „ღმერთი“-ს აღმნიშვნელად დარჩენასთან.

ასევე აღსანიშნავია და შესაძლოა, რომ „ღმერთ“ სიტყვაში დაცულ - „მერ“ ფორმაში დავინახოთ „მარ“ ლექსემატ, რომელიც „სა-მარ-ის“ ანუ იმ ადგილის აღმნიშვნელია სადაც იკრძალება მიცვალებული.

ზემოთ წარმოდგენილ მასალებში ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც გამოჩნდა და აქვეც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაგ deus, die, ლათინურად ნიშნავს ღმერთს რომაელებში კი გარდაცვლილს, რომლის იდენტურია ალბათ ინგლისური die - სიკვდილი და got - ღმერთი. ასევე გერმანული Gott - ღმერთი და ottes//acker - სასაფლაო, ხოლო Cottes//acker dienst - ღვთისმსახურება; ამავე დროს ასევე შესაძლო კავშირი შეიძლება იყოს რუსულ Бог - ღმერთი და Гроб - საფლავს შორის. საინტერესოა „Покойник“ - მიცვალებული (ცხედარი) და „Поклонение“-ს - თაყვანისცემა-ურთიერთმიმართება, რომელიც თავდაპირველად სწორედ მიცვალებულისადმი, როგორც ღვთაებისადმი ასეთი ქმედების (თაყვანისცემის) გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

წარმოდგენილი მასალა და მასზე შემოთავაზებული ჩვენეული მიდგომა, რასაკვირველია, არ არის საკმარისი საკითხის სრულად წარმოსაჩენად; აქ უფრო ვრცელი ეთნოგრაფიული მასალის მოშველიება და ღრმა ლინგვისტიკური ანალიზია საჭირო; ამჯერად კი ჩვენ მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლეთ.

ДАВИД ЧИТАНАВА

ДЛЯ ПЕРВИЧНОГО ЗНАЧЕНИЯ ВЫСШЕГО БОЖЕСТВА ГРУЗИНСКОГО ПАНТЕОНА – «ГМЕРТИ» (БОГ).

В статье поставлен вопрос по воссозданию первичного значения слова «Гмерти» (Бог) обозначающее высшее божество грузинского пантеона, которое в почти идентичных формах сохранены в картвельских языках (груз. «Гмерт-Гмерти», мегр. «Горонт-Горонти», лазск. «Гормот-Гормоти», сван. «Гермет-Гермети»). Из этнографических материалов различных народов явствует, что название «Бог» и «Божество» взаимосвязаны и чаще всего идентичны словам «Смерть» и «Покойник». Эти слова встречаются в различных языках и почти всегда связаны с культом покойника и предка. В статье разделено мнение, согласно которому, вероятно первоначально существовало слово обозначавшее «Смерть» и которое впоследствии религией было обращено в имя Бога. Например: латинское *deus, dei*-Бог, который у римлян обозначал «Смерть»; английское *die* – «Смерть» и *God* – «Бог»; немецкое *Gott* – «Бог» и *Gottes* // *asker* – «Кладбище», в то же время *Gotte* // *asker-dienst* обозначает «Богослужение»; русское – «Бог» и «Гроб». Возможно также связаны слова «Покойник» и «Поклонение», которое первоначально вероятнее всего, обозначало поклонение к покойнику, как божеству. На основании выше отмеченного, а также исходя из семантико-морфологической структуры (требующей более глубокого лингвистического анализа) возможна идентификация грузинского слова «Гмерти» – Бог, с мегрельским словом «Тура» обозначавшим «Смерть», которое в свою очередь вероятнее всего идентично глаголу «Гвра» (лить, пролить) грузинского языка. Необходимо также отметить, что в слове «Гмерти» сохранена лексема „აღმ“ (Mer) возможно идентичная лексеме „მარ“ (Mar), которая содержится в слове „სამარ-აღმ-ჯ“ (самар-е-Могила) обозначающее место захоронения покойника. Таким образом, поклонение покойнику является универсальным явлением, которое впоследствии стало словом обозначающим высшее божество.

TO THE INITIAL MEANING OF THE SUPREME DIVINE BEING OF GEORGIAN PANTHEON – “GHMERTI” (GOD)

The paper deals with the issue of the reconstruction of the initial meaning of word “Ghmerti” (God), which is designated to the Supreme Divine Being in the Georgian Pantheon, and which has similar forms in Kartvelian languages (Georgian “Ghmert-Ghmer-ti”, Megrelian “Ghoront-Ghoronti”, Laz “Ghormot-Ghormoti”, Svan “Ghermet-Ghermeti”). The ethnographical data of different nations makes it clear that the names “God” and “Divine Being” are closely connected to and mostly identical to the words “Death” and “Deceased”. These words appear in different languages and they nearly always are connected to the cult of deceased and ancestor. In the paper it is shared the opinion that at first existed a word, which meant “death”, and which later was transformed into the name of God by religion. For example: the Latin *deus, dei* – God, which was meaning “death” among Romans; English *die* – “death” и God; German *Gott* – “God” and *Gottes // asker* – “Graveyard”, and at the same time *Gotte // asker-dienst* means the “divine service”; Russian «Бог» – “God” and «Гроб» – “coffin”. It is possible that the words “deceased” and “worship” are also connected and the latter one at first had a meaning of “worshipping the deceased as a divine being”. Basing on the aforesaid, and also on the semantic and morphologic structure (which needs deeper linguistic analysis), it is possible to identify Georgian word “Ghmerti” – God – with the Megrelian word “Ghura”, which means “death” and which, by-turn, most probably is identical with the Georgian verb “Ghvra” (pour, spill). It should be also mentioned that the word “Ghmerti” contains the lexeme „მერ“ (“mer”) which can be identical to the lexeme „მარ“ (mar) contained in the word „სა-მარ-ე“ (sa-mar-e – grave), which means the place of burial of the deceased person. Therefore, worshipping the deceased is an universal phenomenon, and later it became a word meaning the Supreme Divine Being.

კოლიტოლოგია, სოციოლოგია

დაზმირ ჯოჯუა

„ატომური დიპლომატია“ და ბირთვული ფაქტორი XX საუკუნის სამართაშორისო პოლიტიკაში

ცნობილია, რომ „ბირთვული ფაქტორი“ XXს. მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობებში „ცივი ომის“ გენეზისის ფაზაში წარმოიქმნა და მთლიანად და სავსებით უკავშირდებოდა „ცივი ომის“ ლოგიკას, მის მიერ განსაზღვრულ გლობალურ სტრატეგიულ სიტუაციას. ამიტომ სრულიად ბუნებრივად და კანონზომიერად აღიქმებოდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ლიბერალური ორიენტაციის პაციფისტების მიერ გამოთქმული ოპტიმალური პროგნოზი: „ცივი ომის“ დასრულებასთან ერთად¹ საერთაშორისო პოლიტიკაში თანდათანობით შემცირდება „ბირთვული ფაქტორის“ მნიშვნელობა და საბოლოო ჯამში მსოფლიო დარჩება ბირთვული შეიარაღების გარეშე.

სამწუხაროდ, უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები სულ სხვა მიმართულებით წარიმართა და უბირთვო მსოფლიოს პაციფისტურმა პროგნოსტიკამაც ჩაიღურის წყალი დალია. აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი არათუ არ ამცირებენ თავიანთ ატომურ არსენალს, არამედ პირიქით – ინტენსიურად მიმართავენ უკვე არსებული ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. რაც შეეხება საქართველოს მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს – რუსეთს,

¹ „ცივი ომის“ დამთავრების თარიღი გლობალური დისკურსისა და „ცივი ომის“ დამთავრების თარიღი გლობალური დისკურსისა და აზრთა სხვადასხვაობის ობიექტია. ყველაზე ხშირად სახელდება ორი თარიღი: 1989წ. დეკემბერი – გორბაჩოვ-ბუშის მაღტის შეხვედრა და 1991წ. 8-21 დეკემბერი – სსრკ-ს დაშლა და დსთ-ს შექმნა.

ეკონომიკური და სხვა პარამეტრებით დასავლეთთან ჩამორჩენილობის პირობებში, ატომური იარაღი კრემლის მიერ აღიქმება, როგორც ამ ჩამორჩენილობის ერთგვარი კომპენსაცია და რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი.

მაგრამ XX ს. 90-იანი წლების შუახანებიდან გამოიკვეთა გლობალური ატომური ფაქტორის ახალი კონტექსტი, რომელიც თვისობრივად გაცილებით დიდ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებას და სტაბილურობას – ეს არის ბირთვული იარაღის გავრცელების არეალის გაფართოება და სტრატეგიულ შეიარაღებაზე კონტროლის მექანიზმის თანდათანობითი მოშლა. სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და არ ფლობენ, ასე ვთქვათ, „ბირთვულ სტატუსს“, თვითნებურად გამოდიან იარაღის გაუვრცელებლობის სახელშეკრულებო სივრციდან და ქმნიან მასობრივი მოსაზრების ამ საშუალებას. ინდოეთის, პაკისტანისა და ისრაელის „სამეულს“ ამ უკანასკნელ ხანს შეუერთდა ჩრდილოეთ კორეა, რომელმაც წარმატებით გამოსცადა ბირთვულქობინიანი იარაღი. ატომური იარაღის შექმნის პროექტს ასრულებს ირანიც. ყოველივე ეს შეიძლება რეგიონალური ან გლობალური დესტაბილიზაციის სერიოზულ წყაროდ იქცეს.

ამავე დროს, არსებობს სერიოზული საშიშროება იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა ატომური იარაღი ხელში ჩაუვარდეთ ექსტრემისტულ რეჟიმებს და ტერორისტულ ორგანიზაციებს. ბირთვული იარაღი-ტერორისტული ქსელური სტრუქტურების ხელში, ან ბირთვული იარაღი-როგორც გლობალური ტერორისტული არაკონტროლირებადი ინფრასტრუქტურის ნაწილი – ეს არის თვისობრივად ახალი ტიპის ტოტალური საფრთხე, რომლის ნეიტრალიზაციის პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმები ფაქტობრივად ჯერ არ არსებობს.

ყოველივე ზემოთთქმულის ფონზე გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. „ატომურ დიპლომატიას“ საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში, თუ როგორი თავისებურებებით ხასიათდება მშვიდობის შენარჩუნების პრობლემა დღევანდელ ეტაპზე. გასაგებია ისიც, რომ ბირთვული ფაქტორის

გათვალისწინების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია საერთაშორისო უსაფრთხოების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა და გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

საიდან და როგორ გაჩნდა „ბირთვული ფაქტორი“ საერთაშორისო პოლიტიკაში? როგორი იყო და არის მისი სტატუსი მსოფლიოს ზესახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინებში? რა ადგილი უკავია მას საერთაშორისო კავშირების „ცივი ომის“ შემდგომ სისტემაში? რაში მდგომარეობს თანამედროვე „ატომური დიპლომატიის“ არსი გლობალური სტრატეგიული ვითარების კონტექსტში?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მხოლოდ ისტორიული პროცესების (XXს. მეორე ნახევარსა და XXIს. დამდეგს ე.წ. „ბირთვული პოლიტიკის“ განვითარების პროცესის) შემეცნების ფუნქცია როდი აქვს. აღნიშნულ პრობლემას მთელი მსოფლიოსათვის და კონკრეტულად საქართველოსთვისაც აშკარად გამოხატული პრაგმატული აქტუალობა გააჩნია, რადგანაც აშშ-ს მიერ ირანის ბირთვული პროექტის ძალისმიერი ლიკვიდაციის შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ავტომატურ რეჟიმში გახდება ფრონტისპირა (და შესაძლოა კონფლიქტში ჩართული) სახელმწიფო, რის გამოც მისი უსაფრთხოების პრობლემატიკა აბსოლუტურად უჩვეულო ბირთვულ განზომილებას შეიძენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო პოლიტიკაში „ატომური დიპლომატიის“ წარმოშობა დაკავშირებულია „ცივი ომის“ გენეზისის პერიოდთან, როდესაც შეიქმნა ბირთვული იარაღი და ის მასობრივად დაინერგა მსოფლიოს ზესახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში. ცოტა მოგვიანებით სრულყოფილი გახდა ამ იარაღის მიზნამდე მიტანის საშუალებანი. კერძოდ, შეიქმნა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. მთელი ეს პროცესი, ცნობილი მკვლევრების აღიარებით,¹ შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი ურთიერთდაკავშირებული მომენტის – სამხედრო-

¹ *Борьба СССР против ядерной опасности, гонки вооружений, за разоружение. Документы и материалы.* М., 1987; **Р. Кеннеди.** 13 дней. Свидетельство о кубинском кризисе. М., 1969; **А. Кокошин, В. Ларионов.** Предотвращение войны. Доктрины, концепции, перспективы. М., 1990.

ტექნიკურისა და პოლიტიკურის – ერთობლიობაში. „შეიარაღებულ ძალებში ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების მასობრივმა დანერგვამ გამოიწვია ნამდვილი რევოლუცია სამხედრო საქმეში, შეცვალა ომის ხასიათი და ფორმები“.¹

მართლაც, ეს იყო ჭეშმარიტი სამხედრო-ტექნიკური გადატრიალება, რომელმაც შექმნა თვისობრივად ახალი ვითარება: მსოფლიო ომის ან ზესახელმწიფოებს შორის სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში პლანეტაზე არ რჩება წერტილი, რომელიც მიუწვდომელი იქნება მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალებისათვის, რის გამოც მთელი დედამიწა ავტომატურ რეჟიმში ხდება სამხედრო მოქმედებების გლობალური გეოსტრატეგიული თეატრი. ამავე დროს, ბირთვული იარაღის სახით შექმნილი გამანადგურებელი პოტენციალი საკმარისია მთელი ცივილიზაციის განადგურებისათვის.

რაც შეეხება პოლიტიკურ მომენტს, სწორედ მასში ვლინდება „ატომური დიპლომატიის“ არსი და ერთგვარად სპეციფიკური სტატუსი. ბირთვული იარაღის ფლობა სახელმწიფოს წამყვან სტატუსს ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობებში, საშუალებას აძლევს ერთბაშად გაიფართოვოს დიპლომატიური ველი მანევრირებისათვის, შანტაჟისათვის, დაბლოკოს მოწინააღმდეგე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის საერთაშორისო აქციები ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარით. „ატომური დიპლომატიის“ კლასიკური მაგალითია აშშ-სსრ კავშირის ურთიერთობები 1945-1949 წლებში.

ცნობილია, რომ 1945წ. აშშ-მა შექმნა ატომური იარაღი და გამოიყენა კიდევ ის 6 და 9 აგვისტოს იაპონიის ქალაქების ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვაში. ამის შემდეგ მთელი 5 წლის განმავლობაში აშშ ფლობდა მონოპოლიას ამ სახეობის მასობრივი განადგურების იარაღზე. მისი სამხედრო დოქტრინა²

¹ **А. Кокошин, В. Ларионов.** Предотвращение войны, გვ. 5.

² სამხედრო დოქტრინა არის სახელმწიფოსა და მის შეიარაღებულ ძალებში ოფიციალურად მიღებული შეხედულებათა სისტემა შესაძლო ომის მიზნებსა და ხასიათზე და მისთვის ქვეყნის მომზადებაზე. თავის რეკომენდაციებში სამხედრო დოქტრინა ემყარება სამხედრო მეცნიერებებს (სტრატეგიას, ტაქტიკას, ოპერატიულ ხელოვნებას).


და სამხედრო-სტრატეგიული კონცეფციები მთლიანად ორიენტირებული იყო საბჭოთა კავშირის აგრესიული პოლიტიკის სწორედ ბირთვული იარაღის მეშვეობით ძალისმიერ შეკავებაზე. დღეს უკვე საყოველთაოდ მიღებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად XXს. 40-იანი წლების მეორე ნახევარში სსრ კავშირის ექსპანსიონისტური აქციები (ჩრდ. ირანში, საბერძნეთში, ლიბიაზე პროტექტორატის პროექტი, ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ) დაბლოკა „ტრუმენის დოქტრინამ“ (1947წ.) და ჯ. კენანის „შეკავების დოქტრინამ“ (1946-47წწ.). ორივე დოქტრინამ რეალურად იმოქმედა და ეფექტურადაც სწორედ რომ აშშ-ის ბირთვული მონოპოლიის გამო.

თუმცა ეს მონოპოლია დიდხანს არ გაგრძელებულა. 1949 წლის აგვისტოში სემიპალატინსკის ბირთვულ პოლიგონზე საბჭოთა კავშირმა წარმატებით გამოსცა ატომური ბომბი, ხოლო 1950 წლიდან კი დაიწყო მისი სერიული წარმოება და დანერგვა შეიარაღებულ ძალებში. სსრკ-ს ატომური სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების საქმეში, ამ პროცესში სამეცნიერო, სამხედრო-ტექნიკური და სადაზვერვო საქმიანობის კოორდინაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სსრ კავშირის მთავრობის სპეციალურმა საიდუმლო კომიტეტმა ლავრენტი ბერიას მეთაურობით. ამდენად, აშშ-სსრკ-ს ბირთვულმა წონასწორობამ, იგივე სამხედრო-სტრატეგიულმა პარიტეტმა ხარისხობრივად ახალი საერთაშორისო ვითარება შექმნა. ჩამოყალიბდა ორპოლუსიანი, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა, რომლის „პოლუსებს“ და გეოპოლიტიკურ ძალთა ცენტრებს ქმნიდნენ აშშ და საბჭოთა კავშირი, თავიანთი სამხედრო ბლოკებით (ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია) და სატელიტური ქვეყნებით.

იმ თვალსაზრისით, რომ XXს. შუა ხანებში ბირთვულმა იარაღმა სტიმული მისცა ახალი ორპოლუსიანი მსოფლიო სისტემის ფორმირებას, მსოფლიოს იმპერიული სტრუქტურის ნაცვლად დაამკვიდრა ბიპოლარული სტრუქტურა, შექმნა პლანეტარული პროცესების სრულიად ახლებური პოლიტიკური კარტოგრაფია, მასში მონაწილე სახელმწიფო-სუბიექტების ახალი ნო-

მენკლატურითა¹ და იერარქიით, მას შეიძლება ვუწოდოთ გლობალური გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული რეკოლუცია.

ამგვარ დეფინიციაში არავითარი გადაჭარბება არ არის. მართლაც, ატომურმა იარაღმა შექმნა პრინციპულად განსხვავებული საერთაშორისო სტრუქტურა, სადაც გლობალური მართვისა და ჰეგემონიის საფუძველი იყო და არის ბირთვული სამხედრო ინფრასტრუქტურა. საერთაშორისო ურთიერთობები გადაიქცა ისეთ სივრცედ, რომელშიც ზესახელმწიფოები (აშშ და სსრკ) და მათ მიერ შექმნილი კოალიციები ერთმანეთს აწონასწორებდნენ და აბალანსებდნენ სწორედ ბირთვული იარაღის ფლობის ფაქტორით და ამ ფაქტორზე დამყარებული „ატომური დიპლომატიით“. შექმნილი საერთაშორისო წესრიგის მოდელი სქემატურად შეგვიძლია ასე გამოვსახოთ:



სტრატეგიული პარიტეტი

1. – სსრკ
2. – აშშ
3. – დიდი ბრიტანეთი

¹ ე.წ. „ბირთვულ კლუბს“ შეუერთდნენ – დიდი ბრიტანეთი (1952წ.) საფრანგეთი (1960წ.) და ჩინეთი (1962წ.).

4. – საფრანგეთი
5. – ნატო-ს ალიანსი
6. – ჩინეთი
7. – ვარშავის ბლოკი
8. – ე.წ. „მესამე სამყარო“.

ამ მოდელის წარმოქმნა ბირთვულ ფაქტორს უკავშირდება. ბირთვული პარიტეტი (იგივე სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტი) გახდა თავისებური კარკასი ბიპოლარული მსოფლიო სტრუქტურისათვის. ბირთვული ფაქტორის მიჩნევა ზემოაღნიშნული გლობალური გეოპოლიტიკური რევოლუციის კატალიზატორად სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. ამ შემთხვევაში ხსენებულ ფაქტორს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება როგორც მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელ ფაქტორს, როგორც სისტემაწარმოქმნელ ფაქტორს უახლესი ისტორიის საერთაშორისო ურთიერთობებში.

გარდა ამისა, ბირთვული იარაღის არსებობამ, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს მტკიცება, უზრუნველყო გარკვეული საერთაშორისო სტაბილურობა, რადგანაც მან ფაქტობრივად გამორიცხა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ტოტალური სამხედრო შეჯახება. ამასთან, უნდა დაგაკონკრეტოთ ეს დებულება: ტოტალური სამხედრო კონფლიქტი გამორიცხა და ამით მასტაბილიზებული ეფექტი წარმოშვა არა საკუთრივ ბირთვული იარაღის გაჩენამ, არამედ ბირთვული იარაღის ფლობის შედეგად მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკური კოალიციების მიერ გარანტირებული ურთიერთგანადგურების¹ შესაძლებლობამ.

ჯერ ერთი, აშშ-სა და სსრკ-ს სტრატეგიული ბირთვული პოტენციალის სტრუქტურამ და მოცულობამ, ასევე მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში კოალიციური ურთიერთობების ხასიათმა ფაქტობრივად იმთავითვე განსაზღვრა მათ შორის შესაძლო სამხედრო კონფლიქტის ესკალაცია, ამ კონფლიქტის

¹ საბჭოურ პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში ამას უწოდეს „სტრატეგიული პარიტეტი“. იხ. **Ю. Кузнецов.** Проблемы войны и мира: *Ядерное изменение*. М., 1986, გვ. 17-26.

ავტომატური გავრცელება მიეღოს პლანეტაზე და, რაც მთავარია, მასირებული ატომური დარტყმების ურთიერთგაცვლა ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მეორე, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომლის დროსაც ერთი მხარის მიერ მეორისათვის ბირთვული შეტევისას, ამ მეორეს რჩებოდა ასევე მასირებული კონტრდარტყმის შესაძლებლობა. ე.ი. არავითარი ეფექტი არ ჰქონდა ბირთვული იარაღის პირველად გამოყენებას. ერთი სიტყვით, ორივე მხარემ წინასწარ იცოდა, რომ ერთმანეთს გაანადგურებდნენ და შესაძლო ომში გამარჯვებული არ იარსებებდა. სწორედ გარანტირებული ურთიერთგანადგურების ფენომენმა განაპირობა არსებითად საპირისპირო იმპულსი – ბირთვული იარაღის გამოყენებლობა – და გამორიცხა „ცივი ომის“ გადაქცევა „ცხელ ომად“.

სტრატეგიული ბირთვული ინფრასტრუქტურის ეს სპეციფიკური მასტაბილიზებული ეფექტი ყველაზე რელიეფურად გამოვლინდა 1962 წლის ე.წ. „კარიბის კრიზისის“ დროს. სპეციალურ ლიტერატურაში მას „სარაკეტო კრიზისიც“ ეწოდება. 1962წ. ზაფხულში სსრკ-სა და კუბის პროკომუნისტურ რეჟიმს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება კუბის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა კუბაზე საშუალო რადიუსის მოქმედების საბჭოთა ბირთვული რაკეტების განლაგებას და 40-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის დისლოკაციას. ეს ოპერაცია განხორციელდა კიდევ იმავე წლის შემოდგომაზე, რასაც მოჰყვა აშშ-ის მწვავე რეაქცია (კუბაზე დისლოცირებული საბჭოთა სამხედრო კონტინგენტი აღმოაჩინა ამერიკულმა სადაზვერვო თვითმფრინავმა „U2“-მა 1962წ. 14 ოქტომბერს).

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ 1962წ. 22 ოქტომბერს ოფიციალურად გამოაცხადა „კარანტინი“ – კუბის საზღვაო ბლოკადა. მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების წინაშე დადგა. ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა, ისტორიოგრაფია და მეტუარისტიკა (მათ შორის, ნ. ხრუშჩოვის მეტუარებიც) ამტკიცებდა, რომ კუბაზე რაკეტების განლაგების ერთადერთი მიზანი იყო მისი დაცვა ამერიკული ინტერვენციისაგან. თუმცა, როგორც ბოლოდროინდელი მონაცემების ანალიზი მიუთითებს, კუბის უსაფრთხოების საკითხი არ ყოფილა უმთავრესი ამ აქციაში. ნ. ხრუშჩოვის მაშინდელი თანაშემწე ფ. ბურლაკვი თავის მეტუარ-

ებში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს სურდა ამ აქციით მიეღწია თურქეთიდან ანალოგიური ტიპის ამერიკული რაკეტების გატანისათვის.¹ ამასვე ადასტურებს კრიზისის დღეებში ნ. ხრუშჩოვის მიერ კენედისათვის გაგზავნილი წერილების შესწავლაც.²

ვფიქრობთ, საკითხს წერტილს უსვამს აშშ-ის იუსტიციის მინისტრის რ. კენედისა და აშშ-ში სსრკ-ს ელჩის ა. დობრინინის 27 ოქტომბრის მოლაპარაკების მასალები. მოლაპარაკებაზე ა. დობრინინმა პირდაპირ უთხრა კენედის, რომ „კრიზისიდან გამოსვლა შეიძლება, თუ აშშ გაიტანს თავის რაკეტებს თურქეთიდან“.³ „კარიბის კრიზისი“ განიშუხტა 1962წ. ნოემბერში კუბის საზღვაო ბლოკადის მოხსნით. კუბამ მიიღო თავდაუსხმელობის გარანტიები აშშ-იდან და განხორციელდა თურქეთში აშშ-ის სარაკეტო ბაზების დემონტაჟი.

„კარიბის კრიზისი“ ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე კუთხით. ჯერ ერთი, სსრ კავშირმა მიაღწია ამერიკული ბირთვული რაკეტების დემონტაჟს თურქეთიდან, რითაც უზრუნველყოფილ იქნა ორი ზესახელმწიფოს რეგიონალური ბირთვული ბალანსი. მეორე, კრიზისის დროს ორივე მხარე აცნობიერებდა ურთიერთგანადგურების სრულ შესაძლებლობას, ორივე მხარემ კარგად იცოდა, რომ ერთი მხარის მიერ მეორეზე ბირთვული შეტევის შემდეგ, მეორეს ჰქონდა შესაძლებლობა გაენადგურებინა პირველი მხარე საპასუხო დარტყმის გზით. მესამე, „კარიბის კრიზისის“ მშვიდობიანმა დარეგულირებამ ორი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში შექმნა სტრატეგიული შეიარაღების სფეროში თანასწორუფლებიანი პოლიტიკური კომპრომისის პრეცედენტი. ამან კი, თავის მხრივ, გაგრძელება ჰპოვა სსრკ-აშშ-ის შემდგომ ხელშეკრულებებში.

1963წ. 5 აგვისტოს აშშ-ის, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებმა (დ. რასკი, ა. გრომიკო, ლორდი დუგლას-ჰიუმი) ხელი მოაწერეს მოსკოვის

¹ **Ф. Бурлацкий.** Вожди и советники. *О Хрущеве, Андропове и не только о них.* М., 1990, გვ. 235-237.

² **Р. Кеннеди.** 13 дней..., გვ. 121-129.

³ **Ф. Бурлацкий.** Вожди и советники..., გვ. 240.

ხელშეკრულებას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალ-ქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.¹ ბირთვული განიარაღებისა და სტრატეგიული წონასწორობის შენარჩუნების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1968წ. 1 ივლისის (ძალაში შევიდა 1970წ. 5 მარტს) ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.² ამ ხელშეკრულებამ, რომლის პროექტი მოამზადა გაერო-ს განიარაღების კომიტეტმა (ე.წ. „თვრამეტის კომიტეტი“), შექმნა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის სახელშეკრულებო-კონვენციონალური სივრცე.

ამ ხელშეკრულების თანახმად, ბირთვული იარაღის არმქონე ქვეყნებს (გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრ-სახელმწიფოების გარდა ყველა ქვეყანას) აეკრძალა ბირთვული ბომბების წარმოება და სხვა ქვეყნებისაგან მისი მიღება. ამავე დროს, „ბირთვული კლუბის“ ხუთმა წევრმა სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, არ გადაეცა ბირთვული იარაღი და მისი დამამზადებელი ტექნოლოგიები სხვა ქვეყნებისათვის ან სამხედრო კავშირებისათვის.

ჩვენი აზრით, ნატო-სა და ვარშავის ბლოკის სტრატეგიულ-ბირთვული პარიტეტის თავისებურ ირიბ ურთიერთცნობას ადგილი ჰქონდა XXს. 60-70-იანი წლების მიჯნაზე და ამ ურთიერთცნობის კონცეპტუალური დემონსტრირება იყო 1968წ. „ბრეჟნევის დოქტრინა“ და 1970 წლის „ნიქსონის დოქტრინა“.

საბჭოთა ლიდერის ლ. ბრეჟნევის „დოქტრინა“ ავითარებდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების „შეზღუდული სუვერენიტეტის“ თეორიას. ის ამტკიცებდა, რომ კონკრეტული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პრინციპზე მაღლა დგას მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერნაციონალური ინტერესები და თუ ეს ინტერესები მოითხოვს, დასაშვებია (და აუცილებელიც) სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული ინტერვენცია სოციალისტური ბანაკის რომელსამე ქვეყანაში და, ამგვარად, მისი სუვერენიტეტის შეზღუდვა. როგორც ვხედავთ, „ბრეჟნევის დოქ-

¹ *Борьба СССР против ядерной опасности...*, გვ. 4.

² *Борьба СССР против ядерной опасности...*, გვ. 4.

ტრინა“ ირიბ სანქციას აძლევდა საბჭოთა სტრატეგიულ-ბირთვული ინფრასტრუქტურის განლაგებას კრემლის სატელიტ ნებისმიერ ქვეყანაში და მთელს პროსაბჭოთა ბლოკს თავისი, ასე ვთქვათ, ატომური გავლენის სივრცედ თვლიდა.

„ნიქსონის დოქტრინამ“ (აშშ-ის პრეზიდენტის რ. ნიქსონის 1970წ. 21 თებერვლის მიმართვა კონგრესისადმი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე) უარი თქვა ამერიკულ გლობალიზმზე, აშშ-ის გლობალურ პასუხისმგებლობაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. „დოქტრინის“ თანახმად, აშშ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებდა თავის რაკეტულ-ბირთვულ პოტენციალს, თუ ბირთვული შეტევის ობიექტი იქნებოდა მხოლოდ მისი მოკავშირე სახელმწიფო, თანაც არაბირთვული აგრესიის შემთხვევაში თავისდამცავი სამხედრო კონტინგენტი მხოლოდ უშუალოდ აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოს უნდა გამოეყვანა. მამასადაძმე, საბჭოთა კავშირის მსგავსად აშშ-ც თავისი ატომური გავლენის სფეროდ მიიჩნევდა მხოლოდ ნატო-სა და პროამერიკული რეგიონალური სამხედრო ბლოკების წევრ-სახელმწიფოებს.

სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტის ურთიერთცნობის ერთგვარ კულმინაციას წარმოადგენდა XXს. 70-იანი წლების სახელშეკრულებო სისტემა ბირთვული შეიარაღების მონიტორინგისა და რაოდენობრივი შემცირების შესახებ. 1972წ. 26 მაისს მოსკოვში ლ. ბრეჟნევი და რ. ნიქსონმა ხელი მოაწერეს სსრკ-აშშ-ის დროებით შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის (ინგლისური აბრევიატურით – SALT – Strategic Armaments Limitation Talks, რუსული აბრევიატურით – ОСВ – Ограничение стратегических Вооружений) სფეროში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.¹

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმავე დღეს დადებულ მეორე ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ.² ხელშეკრულება პარიტეტული წესით ზღუდავდა აშშ-სა და სსრკ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს (ასეთ სისტემებად ხელშეკრულება მიიჩნევდა ბალის-

¹ *Борьба СССР против ядерной опасности...*, გვ. 363-365.

² *Борьба СССР против ядерной опасности...*, გვ. 357.

ტიკური რაკეტების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემებს მათი ფრენის ტრაექტორიის ნებისმიერ წერტილში, შემდეგი შემადგენელი ელემენტებით: ანტირაკეტები, იგივე რაკეტა-ტარანები; ანტირაკეტების გამშვები დანადგარები და ბალისტიკური რაკეტების აღმომჩენი რადიოლოკაციური სადგურები), კრძალავდა მათ განლაგებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აწესებდა მათი ინფრასტრუქტურის დისლოკაციას მხოლოდ ერთ რაიონში,¹ თანაც 150 კმ რადიუსის ფარგლებში. V მუხლის თანახმად მხარეები ვალდებულიყვნენ კისრულობდნენ, არ შეექმნათ საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ან მათი კომპონენტები, ხოლო XV მუხლი მხარეებს აძლევდა ხელშეკრულებიდან ცალმხრივი გასვლის უფლებას (მეორე მხარისათვის 6 თვით ადრე შეტყობინების ვალდებულებით).

1979წ. 18 ივნისს ვენაში ლ. ბრეჟნევმა და აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ხელი მოაწერეს სრულ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (ე.წ. OCB-2 ან SALT-2). ხელშეკრულება (თანდართული ოქმითა და მემორანდუმით) განსაზღვრავდა რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების საბაზისო ზღვრულ რაოდენობრივ დონეებს, რასაკვირველია, პარიტეტულ საწყისებზე. ამავე დროს, ქმნიდა სტრატეგიული პოტენციალების კონტროლის ქმედით მექანიზმებს.² მაგრამ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია ჩაშალა საბჭოთა ჯარების ინტერვენციამ ავღანეთში (1979წ. დეკემბერი). სსრკ-ის ამ ექსპანსიონისტურმა ნაბიჯმა იმდენად დაძაბა საერთაშორისო ვითარება და სსრკ-აშშ-ის ურთიერთობა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა 1983წ. გამოაცხადა ე.წ. „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“ (მიუხედავად იმისა, რომ 1972წ. ხელშეკრულება კრძალავდა კოსმოსურ სივრცეში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების დამონტაჟებას), ხოლო დასავლეთ ევროპაში განალა-

¹ აშშ-სსრ კავშირის 1974წ. 3 ივლისის სპეციალური ოქმის თანახმად, ასეთ რაიონებად განისაზღვრა: აშშ-ისათვის – საკონტინენტ-თაშორისო ბალისტიკური რაკეტების გამშვები შახტური დანადგარების განლაგების ზონა, ხოლო სსრ კავშირისათვის – დედაქალაქის (ქ. მოსკოვის) რაიონი.

² *Борьба СССР против ядерной опасности...*, გვ. 375-410.

გა 600-მდე ფრთოსანი ბირთვულქობინიანი რაკეტა, ნატო-ს 1979 წლის ბრიუსელის სესიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზესახელმწიფოთა ურთიერთობებში კრიზისული ფაზის გადალახვა და მათი საგრძნობი გაუმჯობესება დაკავშირებულია 1985წ. ეწ „ელიტურ რევოლუციასთან“ და საბჭოთა კავშირის სათავეში მ. გორბაჩოვის გუნდის მოსვლასთან. 1987წ. დეკემბერში ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა ისტორიული ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები რადიუსის მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო 1991წ. ივლისში მ. გორბაჩოვა და ჯ. ბუშმა დადეს ხელშეკრულება შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

XXს. 80-იანი წლების საერთაშორიო ურთიერთობათა სისტემაში მიმდინარე პროცესების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბირთვულმა ფაქტორმა არსებითი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლასა და მთელი პროსაბჭოთა სივრცის დეზინტეგრაციაში. რ. რეიგანის ადმინისტრაციის „ძალისმიერი მშვიდობის“ პოლიტიკამ, სამხედრო ბიუჯეტის ასტრონომიულმა ზრდამ, რაც საბჭოთა კავშირს იძულებულს ხდიდა სულ უფრო მზარდი ეკონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფო შემოსავლების უდიდესი ნაწილი გადაექანა სტრატეგიული შეიარაღების ასიგნებათა სფეროში, სერიოზული წანამძვრები შექმნა ტოტალიტარული სოციალიზმის საბოლოო კრახისათვის (ცხადია, ამ პროცესში სრულიად გარკვეული ადგილი უკავია საბჭოთა იმპერიაში განვითარებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობას და მმართველი კლასის ინტელექტუალურ და იდეოლოგიურ ჩამორჩენილობას და სხვა „შიდა“ მოვლენებს). ყოველ შემთხვევაში, აშშ-მა მოხერხებულად და ეფექტურად გამოიყენა „ატომური დიპლომატია“ მსოფლიო პოლიტიკურ-სამართლებრივი სივრცის ტრანსფორმაციისა და ბიპოლარული მოდელის გლობალური წესრიგის ლიკვიდაციისათვის.

დღეს აქტიურად მიმდინარეობს აშშ-ის ჰეგემონიის ქვეშ მონოპოლარული გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირების პროცესი. თავისი არაერთგვაროვნებისა და შინაგანი სირთულის გა-

მო უაღრესად ძნელია იმის განჭვრეტა, თუ როგორ დამთავრდება ეს პროცესი,¹ პრაქტიკულად შეუძლებელია მისი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი პროგნოზირება. მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ის სტრატეგიაში მსოფლიო ლიდერის სტატუსის მოპოვებას ძირითადი ადგილი ეთმობა. გლობალური მართვის ტექნოლოგიებს შორის კი განსაკუთრებული ფუნქციონალური დატვირთვა ისევ ბირთვულ ფაქტორს აქვს.

კერძოდ, ჯ. ბუში-უმცროსის ადმინისტრაციას სურს კვლავ ააღორძინოს რეიგანისეული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“ (ე.წ. „ვარსკვლავეთის ომები“) და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები განლაგოს კოსმოსურ სივრცეში. მაგრამ ამის გაკეთებას წინ უძღოდა აშშ-ს გამოსვლა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების შეზღუდვის შესახებ 1972 წლის ხელშეკრულებიდან, რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, ამ ხელშეკრულების V მუხლით აკრძალული იყო ასეთი სისტემების საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური ბაზირება.

2002წ. 24 მაისს აშშ-სა (ჯ. ბუში-უმცროსი) და რუსეთის (ვ. პუტინი) პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს მოსკოვის ხელშეკრულებას სტრატეგიული პოტენციალების შეზღუდვის შესახებ.² მხარეებმა მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას 2012წ. 31 დეკემბრისათვის თავიანთი ბირთვული მუხტების 1700-2200 ერთეულამდე შემცირების შესახებ. ამ ზღვრული ღონის ფარგლებში ისინი თვითონ განსაზღვრავენ სტრატეგიული შეიარაღების შემადგენლობას და სტრუქტურას.

რუსეთი დათანხმდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ 1972წ. ხელშეკრულების დენონსაციას. მაშასადამე, 2002 წელი ერთგვარი ტეხილია ბირთვული ფაქტორის ისტორიაში: კარდინალურად შეიცვალა ბირთვული შეიარაღების კონტროლის პარადიგმა. ორი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში გარანტირებული ურთიერთგანადგურების, ე.ი. ურ-

¹ ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ატომური იარაღის მქონე ჩინეთის აღმავლობის ფაქტორი და საერთაშორისო ტერორიზმის ზრდაც საკმარისია.

² *Российская газета*, 25 мая 2002г.

თიერთშეკავების რეჟიმი შეიცვალა მინიმალური ბირთვული შეკავებით. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების კოსმოსური ბაზირებით აშშ ღებულობს პირველი მასირებული ბირთვული დარტყმის შესაძლებლობას, რუსეთის საპასუხო შეტევის შემთხვევაში ე.წ. „კოსმოსური ფარის“ მეშვეობით მისი ოპერატიული მოგერიების პერსპექტივით. ეს არის რუსეთის პირდაპირი სტრატეგიული კაპიტულაცია, რაც ობიექტურად უაღრესად პოზიტიური ფაქტორია საქართველოსათვის.

საგულისხმოა, რომ 2002წ. 24 მაისის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მიღებულ „პოლიტიკურ დეკლარაციაში“¹ აღინიშნა: „ჩვენ (რუსეთი და აშშ – დ.ჯ.) ვცნობთ საერთო ინტერესებს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში სტაბილურობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეწყობაში“.¹ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთმა დე იურე ცნო აშშ-ის ინტერესები საქართველოში, თანაც ბირთვული შეიარაღების სფეროში თავისი სტრატეგიული კაპიტულაციის ფონზე.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა „ატომური დიპლომატიის“ თვისობრივად ახალი გლობალური კონტექსტი, ბირთვული ფაქტორის განვითარების სპეციფიკური საერთაშორისო ტენდენცია – ატომური იარაღის გავრცელების არეალის გაფართოება. ინდოეთის (1998წ.), პაკისტანის (1998წ.), ისრაელის (2001წ.) და ჩრდილო კორეის (2006წ.) გამოსვლა ბირთვული გაუზრცელებლობის შესახებ 1968 წლის ხელშეკრულებიდან, მათი არალეგალური „შესვლა“ ე.წ. „ბირთვულ კლუბში“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეგიონალური და გლობალური დესტაბილიზაციის სერიოზული წყარო. ეს ახალი, მაგრამ დესტრუქციული საერთაშორისო ფენომენი იწვევს საერთაშორისო სისტემის რეალურ დეფორმაციას, ქმნის საკმაოდ ღრმა და დროში ხანგრძლივ კრიზისულ ფაზებს მსოფლიო პოლიტიკაში.

ჯერ ერთი, ირღვევა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობათა ტრადიციული სტრუქტურა, რად-

¹ გაზ.: «Российская газета», 25 мая 2002г.

განაც ამ სტრუქტურის ბირთვი იყო „ბირთვული სტატუსის“ მქონე სახელმწიფოთა ხუთეული, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიოს თავისებურ უმაღლეს ხელისუფლებას ცენტრალიზაციისა და გლობალურ გადაწყვეტილებათა მიღების რაღაც ხარისხით; მეორე, იქმნება რეგიონალური და სუბრეგიონალური დესტაბილიზაციის სერიოზული წყარო, რადგანაც უკლებლივ ყველა ამ სახელმწიფოს აქვს კონფლიქტური რეგიონალური პრობლემები (ინდოეთ-პაკისტანის ტრადიციული სასაზღვრო კონფლიქტი ჯამბუსა და ქაშმირის შტატების გამო, ისრაელ-პალესტინის რეგიონალური კრიზისი და საერთოდ ისრაელის ისტორიული წინააღმდეგობა არაბულ სამყაროსთან, სერიოზული და ასევე ტრადიციული კრიზისი კორეის ნახევარკუნძულზე და კორეის გაერთიანების პრობლემა).

ამ პრობლემების შინაგანი ანატომია იმდენად რთული და კრიტიკულია, რომ ყოველ წუთს არის მოსალოდნელი კრიზისების გადაზრდა რეალურ სამხედრო კონფრონტაციაში, თანაც ბირთვული იარაღის გამოყენებით. აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თავისებურების შესახებ: შესახელმწიფოებთან შედარებითი ჩამორჩენილობის გამო, ხსენებულ ქვეყნებს არა აქვთ ფართომასშტაბიანი და ყოვლისმომცველი ბირთვული ინფრასტრუქტურა. ამიტომ რეგიონალურ ატომურ კონფლიქტებს ახასიათებთ ტიპოლოგიური სპეციფიკა. ასეთ კონფლიქტებს, თუ ისინი გაჩაღდება, ექნებათ შეზღუდული ხასიათი და არ გამოიწვევენ მეომარი მხარეების გარანტირებულ ურთიერთგანადგურებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაცილებით ნაკლები იქნება შემაკავებელი ეფექტი, ვიდრე ეს იყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირის კონფრონტაციის დროს. ამასთან, აქ ცალკე გამოსაყოფია ე.წ. „ბირთვული ჩემოდნის“ საკითხი: რეგიონალური ბირთვული კონფლიქტის შემთხვევაში არ არის იმის გარანტია, თუ რამდენად შეუძლია კონფლიქტში მონაწილე ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ტექნიკურად უზრუნველყოს ბირთვული იარაღის მოულოდნელი, არასანქცირებული გამოყენების თავიდან აცილება.

მესამე, ბირთვული იარაღის გავრცელების არეალის გაფართოება ტიპოლოგიურად შეცვლის საერთაშორისო სისტემას. საერთოდ, საერთაშორისო სისტემას თითქმის ყოველთვის ჰქონდა

შინაგანი სტაბილურობის უზრუნველყოფის მექანიზმები. XIX ს. „ძალთა ბალანსის სისტემაში“ ძირითადი აქტორების როლს ასრულებდა ხუთი იმპერიული ზესახელმწიფო, XX ს. პირველ ნახევარში – საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, XXI ს. II ნახევრის ბიპოლარულ საერთაშორისო წესრიგში აშშ-სა და სსრკ-ის კოალიციების გარდა მონაწილეობდნენ სხვა აქტორებიც – ნეიტრალური სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონალური სამხედრო ბლოკები და ა.შ.

ბირთვული იარაღის არასანქცირებული გავრცელება ახდენს არსებითად ქაოტური საერთაშორისო წესრიგის კონსტრუირებას. ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს შესაძლებლობა უჩნდება, მისთვის არასასურველი რეგიონალური თუ საერთაშორისო აქციების დროს განაცხადოს, რომ ამ აქციების განხორციელების შემთხვევაში ის გამოიყენებს მასობრივი მოსპობის იარაღს და შანტაჟის წყალობით ჩაშალოს ისინი. მაშასადამე, დამკვიდრდება ერთეული, ცალმხრივი ვეტოს სისტემა, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტების, რეგიონალური ინიციატივების ჩაშლა და თვით მთელი სისტემის ბლოკირებაც-კი შესაძლებელი იქნება ბირთვული შანტაჟის საშუალებათა გამოყენებით.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი. სიტუაციას უკიდურესად ართულებს და ფაქტობრივად არაპროგნოზირებადს ხდის ირანის პოლიტიკური ელიტის ფუნდამენტალისტური და ექსტრემისტული ხასიათი. 2006 წ. 14 ნოემბერს პრეზიდენტმა აჰმადი ნეჯადიმ თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 2007 წ. მარტში ირანს აუცილებლად ექნება ატომური ბომბი.¹

„ირანის კრიზისი“ ნებისმიერ შემთხვევაში (შემდგომი განვითარების თვალსაზრისით) რეგიონალური დესტაბილიზაციის წყაროა და სერიოზულ რისკის ფაქტორს ქმნის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის. თუ ირანმა შექმნა ბირთვული იარაღი, ეს თავისთავად დიდი რეგიონალური კრიზისის მიზეზი

¹ *Ядерное досье Ирана*. WWW. irannuclear.ru

გახდება, რადგანაც ამ შემთხვევაში მშვიდი ძილის საშუალება არათუ საქართველოს, ისრაელს და რეგიონის სხვა პროდასავლურ ქვეყნებს, არამედ პროირანულ სირიას და ლიბანის პროშიტურ დაჯგუფება „ჰესბოლასაც“ არ ექნებათ. თუ ირანის ბერთოვული პროექტის შეჩერებას აშშ შეეცდება ირანის სტატეგიულ ობიექტებზე და პოლიტიკური ელიტის რეზიდენციებზე დისტანციური „წერტილოვანი“ დარტყმებით, მაშინ ის აუცილებლად გამოიყენებს საქართველოს სამხედრო აეროდრომებს, საზღვაო ნავსადგურებს და სხვა სტრატეგიულ კომუნიკაციებს, რის გამოც ეს ობიექტები ირანის მხრიდან საპასუხო დარტყმის „მოლოდინში“ იქნებიან. ხოლო თუ აშშ-ის ალიანსი ირანის ბერთოვული პროგრამის ბლოკირებისათვის უშუალოდ ომს დაიწყებს, მაშინ საქართველო ავტომატურ რეჟიმში გახდება ფრონტისპირა (ან შესაძლოა ომში ჩართული) სახელმწიფო.

ამდენად, ე.წ. ბერთოვული გავრცელების პრობლემა უახლესი ისტორიის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა. ცხადია, მისი ოპტიმალური გადაწყვეტა მოითხოვს ამ მოვლენის კომპლექსურ ანალიზს და, უწინარეს ყოვლისა, მისი მიზეზების ძიებას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხსენებული ფენომენის მიზეზობრივი ასპექტები მხოლოდ ბერთოვული იარაღის შემქმნელ სახელმწიფოთა ტოტალიტარულ და ექსტრემისტულ ბუნებაში როდი მდგომარეობს. ეს მომენტი, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ის არ არის ერთადერთი და მადეტერმინირებელი, როგორც ამას აღნიშნავს ოფიციალური დასავლეთი. რა ვუყოთ მაშინ ისრაელს, რომელიც არც ტოტალიტარულია და არც ექსტრემისტული, ან პაკისტანს, რომელსაც მართავს პროდასავლური სამხედრო რეჟიმი?

ჩვენი აზრით, ბერთოვული გავრცელების პრობლემის გენერირების მიზეზთა შორის უმთავრესია ის ახალი გლობალური კონტექსტი, რომელსაც ცივილიზაციათაშორის კონფლიქტს, ან ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირებას უწოდებენ. თუ „ცივი ომის“ დროს გლობალური წინააღმდეგობა იყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, დღეს ამ დაპირისპირების ძირითადი ხაზი ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გასწვრივ მიემართება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის კონფლიქტი განვი-

თარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ან განვითარებულ დასავლეთსა და „მესამე სამყაროს“ შორის, ან კიდევ დასავლურ ცივილიზაციურ სისტემასა და ტრადიციულ რელიგიურ-ფსიქოკრატიულ საზოგადოებებს შორის.

ამ მხრივ საინტერესოა ირანის ყოფილი პრეზიდენტის მოჰამედ ჰათამის სიტყვები, თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰათამი ირანის ყველაზე ზომიერი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერია. აი, რას წერს ის: „დასავლეთის პოლიტიკური ლოზუნგი ლაპარაკობს თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დაცვაზე. ჩვენი ომი დასავლეთთან ამ სფეროში არის სიკვდილსიცოცხლის საკითხი. და ყოველი კომპრომისი, ჩვენი მხრიდან ყოველი დათმობა ჩვენ არაფერს მოგვიტანს, გარდა ჩაგვრისა და ინდივიდუალობისა და დიდების დაკარგვისა...“.¹

კონფლიქტი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სტრუქტურულად არაერთგვაროვანია და შეიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ-იდეოლოგიურ, ეთიკურ და ა.შ. მახასიათებლებს. ბირთვული გავრცელების ფენომენი მისი, ასე ვთქვათ, სტრატეგიულ-ბირთვული შემადგენელია, რომლის კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენს ე.წ. ასიმეტრიული შეკავების დოქტრინა.

რაში მდგომარეობს ასიმეტრიული შეკავების დოქტრინა? ტრადიციული დაპირისპირება აშშ-სა და სსრ კავშირს შორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის სფეროში მიმდინარეობდა თანაბარი, ურთიერთდაბალანსებული რაოდენობრივი მაჩვენებლის დონეზე, ე.ი. იყო სიმეტრიული. დღეს ის ქვეყნები, რომლებიც არალეგიტიმურად აწარმოებენ ატომურ ბომბებს, საგრძნობლად ჩამორჩებიან აშშ-ს (სხვა განვითარებულ ქვეყნებს) ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო-ტექნიკური და სხვა პარამეტრებით. ამ ჩამორჩენილობის, განსაკუთრებით სამხედრო-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ნეიტრალიზაცია შედარებით ადვილია ბირთვული ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების მუქარით, როგორც ჯარების, ისევე სამოქალაქო ობიექტების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამა თუ იმ ტერორისტულ თუ ექსტრემისტულ რეჟიმს შეუძლია თავიდან აიცილოს

¹ Сейед Мохаммад Хатами. Страх перед бурей. М., 2001, გვ. 114-115.

მის წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, მოახდინოს მისი პრევენცია საპასუხო, თუნდაც ერთჯერადი ბირთვული დარტყმის მუქართ.

მაშასადამე, ასიმეტრიული შეკავების დოქტრინა გულისხმობს ბირთვული იარაღის ფლობით და მისი გამოყენების მუქართ სუსტი სახელმწიფოს მიერ ძლიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში თავისი სამხედრო-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის კომპენსაციას და ამით შესაძლო აგრესიის წინასწარ პრევენციას. ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: იქნებოდა თუ არა აშშ-ის სამხედრო ოპერაციები ერაყში (1991 და 2003 წლებში), ავღანეთში (2001 წელს) ან ნატო-ს სამხედრო აქცია იუგოსლავიაში (1999 წელს), ს. ჰუსეინს, „თალიბანის“ რეჟიმს ან ს. მილოშევიჩს ბირთვული იარაღი რომ ჰქონოდათ? ცხადია, ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ მათში არის გარკვეული შინაგანი ლოგიკა, ნაკარნახევი თვისობრივად ახალი ბირთვული პარადიგმით.

ეს პარადიგმა კი იმაში მდგომარეობს, რომ ასიმეტრიული შეკავების დროს გაცილებით დიდია ატომური იარაღის გამოყენების ალბათობა, რადგანაც არ არსებობს გარანტირებული ურთიერთგანადგურების რეჟიმი და ორივე მხარემ შეიძლება გადაწყვიტოს ამგვარი იარაღის პირველად გამოყენება; ესა თუ ის ექსტრემისტული რეჟიმი, რომელსაც გააჩნია ატომური ბომბი და ელოდება მასზე თავდასხმას, დგება დილემის წინაშე-გამოიყენოს პირველად ეს იარაღი ან დაკარგოს ის და ხელისუფლებაც. თავის მხრივ, რომელიმე შესახელმწიფო, ვთქვათ, აშშ, რომელიც სამხედრო ოპერაციას გეგმავს ექსტრემისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ცხადია, არ დაუშვებს მის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენებას, და ყველაფერს გააკეთებს, თვით ტაქტიკური ბირთვული ბომბების გამოყენებითაც, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ბირთვული ფაქტორის მადესტაბილიზებელი ზეგავლენის აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბირთვული გავრცელების პრობლემის მოხსნა, რათა მასობრივი განადგურების ეს იარაღი არ აწარმოონ „ბირთვული კლუბის“ არაწევრმა ქვეყნებმა, ტოტალიტარულმა რეჟიმებმა და მათთან დაახლოებულმა

ტერორისტულმა დაჯგუფებებმა. რასაკვირველია, ასევე აუცილებელია ბირთვული გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმის ნორმებისა და პროცედურების გამკაცრება.

ДАЗМИР ДЖОДЖУА

«АТОМНАЯ ДИПЛОМАТИЯ» И ЯДЕРНЫЙ ФАКТОР В МЕЖДУНАРОДНОЙ ПОЛИТИКЕ XX ВЕКА

В статье подвергается анализу фактор влияния т.н. «атомной дипломатии» на развитие всей системы международных отношений во второй половине XX столетия. Этот вопрос имеет не только глобальное измерение. Он затрагивает и конкретные национальные интересы Грузии, поскольку в случае военного блокирования ядерной программы Ирана, она может превратиться в прифронтовое (или же, возможно, вовлечённое в конфликт) государство. Ядерный фактор возник на фазе генезиса «Холодной войны» и был связан с глобальной стратегической ситуацией биполярной мировой системы. Но после крушения биполяризма и завершения «холодной войны» этот вопрос приобрёл качественно новое измерение: появились новые государства-члены «ядерного клуба»; возникла опасность появления атомного оружия в руках структур международного терроризма. Такая эволюция фактора способствует появлению новых очагов глобальной дестабилизации.

DAZMIR DJODJUA

**“NUCLEAR DIPLOMACY” AND THE NUCLEAR FACTOR
IN THE INTERNATIONAL POLICY
IN THE 20th CENTURY**

The paper analyzes the so-called factor of the influence of “Nuclear Diplomacy” on the development of the system of international relations in the second half of the 20th century. This issue, along with the global dimension, is in touch with the national interests of Georgia, since in case of the military prevention of the Iranian nuclear program Georgia will become the front-line (maybe even the member of the conflict) state. The nuclear factor originated during the genesis of the “Cold War” and was connected with the global strategic situation of the bipolar world. However, after the collapse of the bipolar world and the end of the “Cold War” this question assumed the new dimension: the new states became the members of the “Nuclear Club”; there is a threat that the international terrorists will be able to acquire the nuclear bomb. Such evolution of the nuclear factor contributes to the emergence of the new seats of the global destabilization.

ალექსანდრე ვურჯუშია

რუსეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები

რუსეთი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მსოფლიო პოლიტიკაში და მისი გეოპოლიტიკური პრიორიტეტები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონალური თანამშრომლობის პროცესს ევრაზიულ სივრცეში.

რუსეთი იწყებს თავის საგარეო პოლიტიკაში ახალი ელემენტების გამოყენებას. რუსეთის პოლიტიკას XXს. 90-იან წლებში ჰქონდა მოქმედებათა „შეკავების“ ხასიათი ნატოსა და ევროკავშირის მიმართ. ეს განპირობებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით. ახალი ათასწლეულის დასაწყისში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის, ასევე ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობებში შეიმჩნევა გარკვეულობისა და მიზანმიმართულობის ელემენტები.

მთავარი მიმართულება, რომელზეც აქცენტირებულია რუსეთის ყურადღება, საკუთარი საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისას არის ენერგეტიკა. დაძაბული ვითარება ერაყისა და ირანის გარშემო მნიშვნელოვანწილად უშლის ხელს რუსეთის გვერდის ავლით ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას. ეს ფაქტორები აქტიურად გამოიყენება რუსეთის მიერ ენერგორესურსებზე საკუთარი (მისაღები) ტარიფის დასამყარებლად. უკრაინისათვის გაზზე ფასის მომატების პარალელურად გაიზარდა ფასი ბელორუსიისათვისაც. ნაბიჯი „სწორია“. მოცემულ შემთხვევაში რთულია დაადანაშაულო რუსეთი, რომ მან გაზარდა მიწოდების ფასი უკრაინაში მის მიერ საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის გამო. რუსეთს ადვილად შეუძლია განაცხადოს, რომ ფასს კარნახობს ბაზარი და ამ შემთხვევაში მისთვის არ არსებობს არც „თავისიანი“ და არც „უცხო“.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად დასავლეთისათვის ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში რჩება კასპიის რეგიონი. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ჟურნალ „*ეკონომიკური პერსპექტივები*“-ის 2004წ. მაისის ნომერში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის იმჟამინდელი მოადგილე ეკონომიკის, ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში ალან ლარსენი სტატიაში „*ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გეოპოლიტიკური ასპექტები*“ აღნიშნავს: „კასპიის აუზი ფლობს უდიდეს პოტენციალს, რომელიც ქმნის შესაძლებელს ნავთობის მოპოვების გაზრდისა 1,6 მილიონი ბარელიდან დღეში (ბ/დ) 2001 წელს, 5,0 მილიონ ბარელამდე 2010. საკვანძო ამოცანები კასპიის ენერგეტიკის განვითარებაში ამჟამად შემდეგში მდგომარეობს: 1) ენერგეტიკული კორიდორის აღმოსავლეთი-დასავლეთის მეორე საყრდენის შექმნის დასრულება, სამხრეთ კავკასიაში ნავთობსადენის აშენებით; 2) საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება მთელს რეგიონში; 3) აღმოსავლეთ-დასავლეთის კორიდორში ყაზახური ნავთობის ჩართვა“.¹

რუსეთი ცდილობს მოახდინოს ენერგორესურსების მიწოდებისა და ტრანსპორტირების კონცენტრირება სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაზე, თავისი ტერიტორიის გავლით. 2001 წლისათვის რუსეთმა შეძლო განეხორციელებინა ყაზახური ნავთობის მიწოდების პროექტი ნავთობსადენ თენგიზი-ნოვოროსიისკის გავლით, რითაც შექმნა ბაქო-სუფსისა და ბაქო ჯეიჰანის პროექტების ერთგვარი ალტერნატივა. 2004 წლიდან შესამჩნევად გაიზარდა რუსეთისა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ენერგეტიკულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. იზრდება გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდება რუსეთიდან აზერბაიჯანში.

2006წ. გაიმართა მეათე გაფართოებული შეხვედრა აზერბაიჯანულ-რუსული სახელმწიფოთაშორისი კომისიისა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში. კომისიას თანათავმჯდომარეობდნენ აზერბაიჯანის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი აბას აბასოვი და რუსეთის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ვიქტორ ხრისტენკო. შეჯამდა განვლილი წლების თანამშრომ-

¹ **A. Larson.** Geopolitics of Oil and Natural Gas. – ელექტრონული ვერსია: <http://usinfo.state.gov/journals/ites/0504/ijer/larson.htm>.

ლობის შედეგები და დაისახა შემდგომი პერსპექტივები. ბუნებრივი აირის მიწოდების მოცულობამ 2004 წელს შეადგინა 4,93 მილიარდი კუბ. მეტრი, 2005 წელს – 4,54 მილიარდი კუბ. მეტრი. მოსალოდნელი მოცულობა მიწოდებისა 2006 წელს შეადგენს 4,5 მილიარდ კუბ. მეტრს. საერთო მიწოდებამ ელექტროენერჯისა პარალელურ რეჟიმში მუშაობისა აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგოსისტემებისა 2005 წელს შეადგინა: რუსეთის ეეს-იდან (ერთიანი ენერგეტიკული სისტემები – ა.წ.) აზერბაიჯანის ენერგოსისტემაში – 1002,6 მილიონი კილოვატ საათი, აზერბაიჯანული ენერგოსისტემიდან რუსეთის ეეს-ში – 275, მილიონი კილოვატ საათი¹.

დამატული სიტუაცია ჩრდილო კავკასიაში არ იძლეოდა საშუალებას ნავთობის ტრანსპორტირებისა ნავთობსადენ ბაქონოვროსიისკის გავლით. თუმცა, ჩეჩნეთში სიტუაციის დარეგულირებამ შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის ტერიტორიის გავლით. აზერბაიჯანულ მხარეს განზრახული აქვს უზრუნველყოს აზერბაიჯანული ნავთობის ტრანზიტი რუსეთის ფედერაციის გავლით არანაკლებ 3 მილიონი ტონის მოცულობით. გასულ წელს ტრანზიტმა შეადგინა 4,1 მლნ. ტონა, რაც 36,6% მეტია ვიდრე 2004 წელს².

თავის დროზე რუსეთმა უარი თქვა სატრანსპორტო კორიდორის: ევროპა – კავკასია – აზია (ტრასეკა) პროექტში მონაწილეობაზე. ევროკავშირის მიერ შემუშავებულ ამ პროექტს გლობალური მნიშვნელობა აქვს. ის შესაძლებელს გახდის ენერგორესურსების მიწოდების ნაკადის გაზრდას კასპიის ზღვის რეგიონიდან დასავლეთში. პროექტში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, ევროაზიური სარკინიგზო კორიდორის: ლინინგან (ჩინეთი) – ამსტერდამის (ჰოლანდია) შექმნა, რაც თავის მხრივ განდება ტრანსციმბირული მაგისტრალის ალტერნატივა.

¹ **И. Мамедли.** Россия и Азербайджан расширяют экономическое сотрудничество. – *Итоги десятого Заседания.* <http://www.kaspiy.az/rubrics.php?code=4042>

² **И. Мамедли.** Россия и Азербайджан расширяют экономическое сотрудничество...

რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ 2006წ. ივლისის თვეში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნავთობსა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვებზე მიერ 2006 წლის 31 დეკემბრამდე 50% ფასდაკლების მიღებაზე. ფასდაკლება მოქმედებდა გადაზიდვებზე კასპიის ზღვიდან შავი ზღვის მიმართულებით. ამით რუსეთი შეეცადა სამხრეთ კავკასიიდან საქართველოს გავლით რკინიგზის მეშვეობით ტრანსპორტირებადი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გზის ალტერნატიულობის შექმნას და კონკურენციის გაწევას. თუმცა, არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სამურ-ფეოდოსიის მონაკვეთი უფრო გრძელია, ვიდრე ბაქო-თბილისისა და ბაქო-ბათუმის.

რუსეთი აქტიურად ამუშავებს ახალ ენერგეტიკულ პროექტებს, ეძებს გასაღების ახალ ბაზარს. რუსეთი ამჟამად ახორციელებს ორ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ენერგო-პროექტს გაზის მიწოდებისა ევროპაში. ეს არის ჩრდილოეთ ევროპული გაზსადენი და გაზსადენი სერბეთში. სააგენტო როიტერზე დაყრდნობით ინტერნეტ გაზეთ „*Взгляд*“¹ მა 2006 წლის 27 ივლისს გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც გაზსადენი სერბეთში, საბოლოო ჯამში, რუსეთიდან შავი ზღვის გავლით თურქეთში მიმავალ გაზსადენ „*ცისფერ ნაკადთან*“ იქნება შეერთებული. სერბეთის გაზსადენი აშენდება სამხრეთით მდინარე სავადან და ღუნაიდან. მან უნდა გაიაროს დიმიტროვგრადიდან ნიშამდე, შემდეგ ხორვატიისა და ბოსნიამდე. მისი გამტარუნარიანობა იქნება 20 მილიარდ კუბომეტრს¹.

ამ პროექტის განხორციელება შექმნის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს „*გაზპრომის*“ გასვლას იტალიის შიდა ბაზარზე. მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს. გაზპრომი ხდება ერთ-ერთი მსხვილი კომპანია მსოფლიო ბაზარზე. იმავე ინტერნეტ-გაზეთ „*Взгляд*“¹-ის ინფორმაციით კომპანიის კაპიტალიზაციამ მიაღწია 300,7 მილიარდ დოლარს და შესაბამისად უჭირავს მესამე ადგილი მსოფლიოში. კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით კომპანიის კაპიტალიზაცია 10-

¹ Газпром построит в Сербии газопровод – <http://www.vz.ru/news/2006/7/27/43197.html>

15 წლის განმავლობაში მიაღწევს 1 ტრილიონ დოლარს¹.

ევროპის ბაზარზე გასვლას აპირებს კიდევ ერთი რუსული კომპანია – „ლუკოილი“. მას განზრახული აქვს შეცვალოს თავისი პროდუქციის რეალიზაციის სტრატეგია. კომპანიის შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. დღეისათვის აშშ-ში დაახლოებით 200 ავტოგასამართი სადგური მუშაობს კომპანიის ბრენდის ქვეშ. ხოლო ევროპაში 600. კომპანია აქტიურად მუშაობს ინვესტიციებზე აღმოსავლეთ ევროპაში. მის ინტერესებში ძირითადად მოექცა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, რათა ივაჭროს ცალობით და არა ნედლეულით, გავიდეს საბოლოო მყიდველამდე

რუსეთი სულ უფრო და უფრო აძლიერებს თავის პოზიციებს. ზოგიერთი პროგნოზით რუსეთი მიაღწევს 1990 წლის განვითარების შესაბამის მაჩვენებლებს 2007 წელს. რუსეთის სტრატეგია, ენერგეტიკულ სფეროში, ხელს შეუწყობს მასზე ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულების გაზრდას, რაც თავის მხრივ გაზრდის რუსეთის ეკონომიკურ ძლიერებასა და გავლენას ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე.

2006 წლის ივლისში პეტერბურგში ჩატარებული „დიდი რვიანის“ სამიტი შეფასდა როგორც რუსეთის ტრიუმფი. 1973 წელს შექმნილი ორგანიზაცია აერთიანებს მსოფლიოს უმსხვილეს სახელმწიფოებს. თუმცა, ახლო მომავალში მასში შესაძლოა ახალი წევრი სახელმწიფოები ვიხილოთ. უკვე აქტიურად მიდის საუბარი ფორმატზე რვას პლუს ხუთი. რუსეთის პოზიციის განსაზღვრა „დიდ რვიანთან“ ჩინეთისა და ინდოეთის შეერთებასთან დაკავშირებით სავსებით ადვილია. რა თქმა უნდა, ჩინეთისა და ინდოეთის გაწევრიანება ორგანიზაციაში, რომელთანაც რუსეთს ურთიერთმომგებიანი პარტნიორული ურთიერთობა აქვს, გაუადვილებს მას პოზიციებს. მისცემს მეტი ლავირების საშუალებას.

ჩვენს მიერ ზემოთნახსენები ალან ლარსენის შეფასებით: „რუსეთი უკვე არის ენერგეტიკული ზესახელმწიფო. რათა სრულად მოახდინოს თავისი პოტენციალის რეალიზება რუსეთმა უნ-

¹ *Капитализация Газпрома превысила 300 млрд. долларов.* <http://www.vz.ru/news/2006/5/6/32674.html>.

და გააძლიეროს კორპორატიული მართვა და სამეწარმეო საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, შექმნას უფრო სასიკეთო პირობები უცხოური ინვესტიციებისათვის, დართოს კონკურენცია სატრანსპორტო სისტემაში, გახსნას ნავთობისა და გაზის კომპანიები „გაზპრომი“ და „ტრანსნეფტი“ რეფორმისა და კონკურენციისათვის, გააუმჯობესოს თავისი ტექნოლოგიური შესაძლებლობები და აწიოს ენერგორესურსებზე შიდა ფასები მსოფლიო დონემდე“.¹

რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს აღმოსავლეთის ვექტორი. აზიის ქვეყნებთან პარტნიორულ ურთიერთობაზე ყურადღების აქცენტირების ნიშნები გამოჩნდა პრეზიდენტ ვ. პუტინის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე. საუკუნის დასაწყისში ინტეგრაციულმა პროცესებმა აზიის ქვეყნებში მიიღო ახალი, ძალზედ მნიშვნელოვანი ხასიათი. ამის გამოხატულებად იქცა *შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (შთო)*. ორგანიზაცია შეიქმნა 2001წ. 15 ივნისს შანხაიში. მასში შევიდნენ – ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით, დღეისათვის **შთო** ყველაზე მსხვილი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციაა.

მთავარ სფეროს ორგანიზაციის წევრთა თანამშრომლობის წარმოადგენს: სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ტერორიზმთან ბრძოლა და რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ორგანიზაციის მოღვაწეობისადმი ინტერესი იმითაც არის გამოწვეული, რომ მისი წევრები არიან გაეროს უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი – ჩინეთი და რუსეთი. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ უახლოეს პერიოდში ორგანიზაცია ითამაშებს უმნიშვნელოვანეს როლს მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაში.

გამომდინარე ორგანიზაციის აქტიურობის ხარისხიდან უკვე ხდება პროგნოზირება, რომ **შთო**-ს პრიორიტეტებში, ნატო-ს მსგავსად, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს კოლექტიური უს-

¹ A. Larson. Geopolitics of Oil and Natural Gas. – <http://usinfo.state.gov/journals/ites/0504/ijer/larson.htm>

აფრთხობის საკითხი. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, რიგი მოვლენებისა **შოთ**-ს ქვეყნებში, უზბეკეთში, ქალაქ ნალჩიკში, სხვა ზოგიერთ ქვეყანაში აჩვენებს, რომ ეს პრობლემა არის აქტუალური და უნდა იმყოფებოდეს ყურადღების სფეროში¹.

ნიშანდობლივია, რომ მულტიპოლარული მსოფლიოს ფორმირების საკითხის აქტიური განხილვა დაიწყო **შოთ**-ს შექმნის შემდეგ და 2002წ. ვ. პუტინის აზიური ტურნეს მიმდინარეობისას. შედგა შეხვედრები პეკინსა და დელიში. ეს შეხვედრები გახდა ახალ ურთიერთობათა დასაწყისი. რუსეთი აქტიურად თანამშრომლობს და ანხორციელებს ენერგეტიკულ პროექტებს როგორც ჩინეთთან, ასევე ინდოეთთან. ევგენი რევენკოს სტატიაში „*ძრავალპოლუსიანი მსოფლიოს ახალი დედი*“ აღნიშნულია, რომ დღის წესრიგში დგება ახალ პოლიტიკურ ღერძის – პეკინი-ნიუ-დელი-მოსკოვის შექმნის საკითხიც კი².

მიუხედავად ჩინეთსა და ინდოეთს შორის არსებული უთანხმოებებისა, ასეთი ღერძის შექმნა სავსებით რეალურია. საერთო ინტერესებმა შეიძლება იმპლავროს ამ ორ ქვეყანაში რუსეთის მეშვეობით. **შოთ**-ს დამკვირვებელთა რანგში შეუერთდნენ: ინდოეთი, ირანი, მონღოლეთი და პაკისტანი. ინდოეთისა და პაკისტანის გაწევრიანება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ერთმანეთის მიმართ არსებული წინააღმდეგობისა და პრეტენზიების დარეგულირებას.

2007წ. ივლისის დასაწყისში ასტანაში გაიმართა შანხაის თანამშრომლების ორგანიზაციის სამიტი. საინფორმაციო სააგენტო „ფერგანა. რუ“-ს ჟურნალისტის, არკადი დუბნოვის ინფორმაციით, სამიტის შემაჯამებელ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ **შოთ**-ს წევრები: „ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის აქტიური ფაზის დამთავრების გათვალისწინებით, აუცილებლად თვლიან, რათა კოალიციის შესაბამისი მონაწილენი გაერკვნენ დროებითი ინფრასტრუქტურის ობიექტთა გამოყენების და სამხედრო კონტინგენტთა **შოთ**-ს წევრ სახელმწიფოთა ტერიტორი-

¹ <http://www.terrorismu.net/events/comments/4861.shtml>

² **Е. Ревенко**. Новая ось многополярного мира – <http://www.vesti7.ru/archive/news?id=1645>.

ებზე ყოფნის საბოლოო ვადებთან“.¹ ამ განცხადებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს „ევრაზიული ბალკანები“-ს სივრცეში.

დღესღებობით, შთო-ს შიგნით პრაქტიკულად არ არსებობს უთანხმოება და მისი წევრები ერთიანნი არიან თავიანთ მიდგომაში ძირითად საკითხებთან. ახალ წევრთა შეყვანამ, მითუმეტეს ირანისა და პაკისტანისა, შესაძლოა მოახდინოს ორგანიზაციის დეზორიენტირება. პაკისტანი წარმოადგენს აშშ-ს პარტნიორს და რეგიონში მის დასაყრდენს.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია იქცა რეგიონში პოლიტიკურ ძალთა აქტიურობის კატალიზატორად. ეკონომიკური ზრდა და პარტნიორულ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავება შთო-ს ფორმატში გაზრდის ორგანიზაციის გავლენას. მიმდინარე პროცესები მოწმობს, რომ შთო მიიზიდავს სულ უფრო მეტ ახალ პარტნიორს. ამ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული ახალი პოლიტიკური ღერძის ბერლინი-მოსკოვი-პეკინი-დელის შექმნა. მაგრამ აღნიშნულ ღერძში და საერთოდ, სიტუაციაზე რეგიონში შესაძლოა შეიტანოს კორექტივები იაპონიამ, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ცდილობს მოვლენებში ჩარევას.

¹ А. Дубнов. Астана. Саммит ШОС напомнил США, что они в Центральной Азии временно. – <http://www.ferghana.ru/article.php?id=3856>.

АЛЕКСАНДР ЦУРЦУМИЯ

ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКИЕ ПРИОРИТЕТЫ РОССИИ

Россия играет значительную роль в мировой политике, и её геополитические приоритеты во многом определяют процесс региональных взаимоотношений на евразийском пространстве. Внешняя политика России во многом изменилась. Россия начинает использовать в своей внешней политике новые элементы. Политика России в 90-х годах XXв. имела характер «сдерживания» действий со стороны НАТО и ЕС. Это было во многом обусловлено политическим и экономическим кризисом. В начале нового столетия во внешней политике России, как в отношении постсоветского пространства, так и в отношениях с НАТО и ЕС, заметны элементы чёткости и целенаправленности. Для России важнейшим стратегическим направлением в сфере внешнеполитических взаимоотношений является восточный вектор. Признаки акцентирования внимания на партнёрские взаимоотношения со странами Азии проявились сразу же после прихода к власти президента В. Путина. Интеграционные процессы в странах Азии приобрели новый, весьма значительный характер. Проявлением этого стала Шанхайская организация сотрудничества (ШОС). ШОС явился катализатором активности политических сил в Азиатском регионе. Экономический рост и дальнейшее углубление партнёрских взаимоотношений в формате ШОС увеличит влияние организации. Происходящие процессы свидетельствуют о том, что ШОС будет притягивать к себе все новых партнёров. В таком случае, не исключена новая политическая ось – Берлин-Москва-Пекин-Дели. Но в данной оси и в основном в ситуацию в регионе может внести коррективы Япония, которая пока что старается не вмешиваться в события.

ALEXANDRE TSURTSUMIA

**FOREIGN POLICY PRIORITIES
OF RUSSIA**

Russia plays a significant role in the world politics, and its geopolitical priorities in many respects define the process of regional interrelations in the Eurasian space. The Russian foreign policy has changed in many respects. Russia is starting to use the new elements in the foreign policy. In 1990's Russia was trying to "restrain" the actions from NATO and EU. To a large extent it was caused by political and an economic crisis. From the beginning of the new century the elements of clearness and purposefulness began to appear in the Russian foreign policy, both concerning the post-Soviet space and in its attitude to NATO and EU. The Eastern vector is the most essential strategic direction in the sphere foreign interrelations for Russia. President Putin showed the attributes of accentuation of attention on the partnership with the Asian countries as soon as he came to the power. The process of integration in the Asian countries obtained a new, quite significant character. The Shanghai Cooperation Organization (**SCO**) became a clear evidence of that. **SCO** became the catalyst of the activity of political forces in the Asian region. The economic growth and the further deepening of partner relations inside **SCO** will increase the influence of the organization. Processes happening in the world testify that **SCO** may be able to draw the new partners. In that case a new political axis – Berlin–Moscow–Beijing–Delhi can be formed, although Japan, which today tries not to interfere in processes, can make corrections as in the forming of that axis, so on the situation in the region on a whole.

პ რ ი ტ ი კ ა , ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

თეიმურაზ პაპასძირი

მეტად საჭირო წიგნი მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიაზე

„დიდი სამეულის“ – საბჭოთა კავშირის ლიდერის იოსებ სტალინის, აშშ-ს პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილი ურთიერთობები ყოველთვის გამორჩეული ინტერესის საგანი იყო მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიური ისტორიის მკვლევართათვის. მიუხედავად ამისა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 60 წლის გასვლის შემდეგაც კი ჩნდება ახალი დოკუმენტები მათი მიმოწერიდან.

„დიდი სამეულის“ ლიდერების მიმოწერის შესწავლა ყველაზე ადრე საბჭოთა კავშირში მოხდა. 1957წ. ორ ტომად გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (ი. სტალინი) მიმოწერა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრებსა (უ. ჩერჩილი და კ. ეტლი) და აშშ-ს პრეზიდენტებთან (ფ. რუზველტი და ჰ. ტრუმენი) 1941-1945 წლებში.¹ იმავე წელს აღნიშნული კრებული ინგლისურ ენაზეც გამოიცა² და წლების

¹ *Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг.* В 2-х томах. Т. I. Переписка с У. Черчиллем и К. Эттли (июль 1941г. – ноябрь 1945г.); Т. II. Переписка с Ф. Рузвельтом и Г. Труменом (август 1941г. – декабрь 1945г.). М., 1957.

² *Correspondence between the Chairman of the Council of Ministers of the USSR and the Presidents of the USA and the Prime Ministers of Great Britain during the Great Patriotic War of 1941-1945.* Vol. 1. Correspondence with Winston S. Churchill and Clement R. Attlee (July 1941 – November 1945); Vol. 1. Correspondence with Franklin D. Roosevelt and Harry S. Truman (August 1941 – December 1945). Moscow: Progress Publishers, 1957.

განმავლობაში ის რჩებოდა (და დღესაც რჩება) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ, თუმცა ის, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის შესახებ გამოცემული ნებისმიერი საბჭოური თუ რუსული კრებული, გარკვეულწილად არასრულია.

საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, სტალინთან მიმოწერის შესწავლა პრაქტიკულად არ მომხდარა. უფრო მეტიც, დიდ ბრიტანეთში დღემდე არ გამოცემულა არც ერთი სახის კრებული, რომელშიც მოთავსებული იქნებოდა ჩერჩილის მიმოწერის ამსახველი დოკუმენტები.¹ იმის გათვალისწინებით, რომ ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა არც აშშ-ში იყო, შეიძლება ითქვას, რომ ათწლეულების განმავლობაში მკვლევრები პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებული იყვნენ საბჭოურ გამოცემაზე.

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა აშშ-ში მხოლოდ XXს. 70-იან წლებში დაიწყო, როდესაც გამოიცა ჩერჩილისა და რუზველტის მიმოწერის ამსახველი პირველი კრებული.² რამდენიმე წლის შემდეგ კი უ. კიმბოლმა, როგორც იქნა, გამოსცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრისა და აშშ-ს პრეზიდენტის სრული მიმოწერის ამსახველი სამტომეული, რომელსაც საკუთარი კომენტარებიც დაურთო.³ და აი, 2005წ. ამერიკელებმა შეავსეს კიდევ ერთი თეთრი ლაქა ამ მიმართულებით. ამერიკელმა მკვლევარმა სიუზან ბატლერმა გამოსცა წიგნი: „*ძვირფასო მისტერ სტალინ*. ფრანკლინ დ. რუზველტისა და იოსებ ბ.⁴ სტალი-

¹ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ბრიტანელებმა 2002წ. გამოაქვეყნეს ჩერჩილის წერილების ნაწილი (*Churchill and Stalin: Documents from the British Archives, 1940-1953*. FCO Historians, March 2002) და ვებგვერდზე განათავსეს ისინი (იხ. <http://collections.europarchive.org/tna/20080205132101/www.fco.gov.uk/servlet/Front%3Fpagename=OpenMarket/Xcelerate/ShowPage&c=Page&cid=1035899175998>), მაგრამ ჯერჯერობით მათი რიცხვი არ არის სრული.

² *Roosevelt and Churchill: Their Secret Wartime Correspondence*. Edited by **Francis L. Loewenheim, Harold D. Langley & Manfred Jonas**. New York, Saturday Review Press, 1975.

³ **W. F. Kimball**. *Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence*. In III Volumes. Ed. with commentary by **Warren F. Kimball**. Princeton, NJ, 1984.

⁴ ორიგინალში ინიციალად მოყვანილია ასო „ვ“, მაგრამ ვინაიდან ქართულში უნდა იყოს „ბესარიონი“, ჩვენ თავს უფლება მივეცით, შეგვეცვალა ინიციალი.

ნის სრული მიმოწერა“.¹

ბუნებრივია, აღნიშნულმა გამოცემამ იმთავითვე მიიქცია ჩვენი ყურადღება, მითუმეტეს, რომ ს. ბატლერი განცხადებით, „ეს მიმოწერა არასდროს არ გამოცემულა ზუსტი და სრული სახით“.² იქვე ავტორმა დააზუსტა, რომ საბჭოთა გამოცემას აკლია რუზველტის მნიშვნელოვანი წერილები, დანარჩენები კი ან შეცვლილი სახითაა გადმოცემული, ანაც პარაგრაფები აკლია.³ სამწუხაროდ, ავტორს არ მიუთითებია, რუზველტის კონკრეტულად რომელი წერილები აკლდა საბჭოთა გამოცემას ან იქნა პარაფრაზირებული თუ შემოკლებული.⁴ ვფიქრობთ, ეს ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა და მნიშვნელოვნად გაუადვილებდა მუშაობას სხვა მკვლევრებს, მაგრამ ვინაიდან ს. ბატლერმა თავი შეიკავა ამის გაკეთებისაგან, ჩვენ გადავწყვიტეთ თავად დაგვედგინა ის წერილები, რომლებიც ამ ხარვეზებს შეიცავდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოურ გამოცემას მართლაც აკლია რამდენიმე, კერძოდ, 4 წერილი, რომელიც არის მოყვანილი ბატლერის მიერ და რომელთა გამოტოვებაც, ჩვენი აზრით, ერთი და იმავე მიზეზით იყო განპირობებული. ასე, მაგალითად, საბჭოურ გამოცემას აკლია პირველივე წერილი, რომელიც რუზველტმა 1941წ. 26 ივლისს გაუგზავნა სტალინს⁵ და რომელიც ამ უკანასკნელს გადასცა ჰარი ჰოპკინსმა

¹ *My Dear Mr. Stalin. The Complete Correspondence of Franklin Roosevelt and Joseph V. Stalin. Edited, with Commentary, by Susan Butler. Foreword by Arthur Schlesinger, Jr.* Yale University Press, New Haven, CT, 2005.

² *My Dear Mr. Stalin*, გვ. I.

³ *My Dear Mr. Stalin*, გვ. I.

⁴ ს. ბატლერს აგრეთვე აღნიშნული აქვს, რომ მთელი რიგი წერილები საბჭოთა გამოცემაში მოყვანილია მათი მიღების (და არა რუზველტის მიერ გაგზავნის) თარიღის მიხედვით, რაც მას ასევე ნაკლად აქვს მიჩნეული. ჩვენი აზრით, ეს ნამდვილად არ არის დიდი პრობლემა (მით უმეტეს, რომ ამგვარ პრინციპს ის თავადაც იყენებს, როდესაც 1942წ. 5 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი მოთავსებულია 1942წ. 28 ოქტომბრის შეტყობინების შემდეგ. იხ.: *My Dear Mr. Stalin*, გვ. 91-92), ისევე როგორც ის, რომ ერთსა და იმავე დღეს გაგზავნილი წერილების თანმიმდევრობა საბჭოურ და ბატლერისეულ გამოცემებში ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

⁵ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 36.

ივლისის ბოლოს. აღნიშნულ გზავნილში რუხველტი სთხოვდა საბჭოეთის ლიდერს, ეცნობებინა თუ რა ტიპის დახმარება სჭირდებოდა საბჭოთა კავშირს უახლოესი ორი თვის განმავლობაში და ჰპირდებოდა, რომ ზამთრიდან აშშ დიდი რაოდენობით პროდუქციას მიაწვდიდა სსრ კავშირს.¹

საბჭოურ გამოცემაში არ არის შესული აგრეთვე რუხველტის მიერ 13 და 31 ოქტომბერს გაგზავნილი წერილები, რომლებიც ეხება ერთი და იმავე საკითხს: დახმარებას, რომლის გაწევასაც აპირებდა აშშ საბჭოთა კავშირისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ 13 ოქტომბრის წერილებში აშშ-ს პრეზიდენტი უბრალოდ ამცნობდა თავის კოლეგას უახლოეს დღეებში ტვირთის გამოგზავნის შესახებ,² 31 ოქტომბრის წერილი უკვე შეიცავდა ვრცელ სიას, თუ რა პროდუქცია იყო გამზადებული და ელოდებოდა გაგზავნას.³ ჩვენი აზრით, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ საბჭოურ გამოცემას აკლია ეს წერილები. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა პერიოდში ყველანაირად დამცრობილი იყო დასავლეთელ მოკავშირეთა როლი გერმანიის დამარცხებაში და ამიტომ საჭირო ხდებოდა ინფორმაციის დამალვა იმის შესახებ, თუ რა სახის და რაოდენობის დახმარება მიიღო მათგან სსრკ-მომის პერიოდში, კერძოდ კი, 1941წ., როდესაც ასეთ თანადგომას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

სავარაუდოდ, ანალოგიური მიზეზით აკლია საბჭოურ გამოცემას სტალინის მიერ რუხველტისათვის 1943წ. 24 მაისს გაგზავნილი მემორანდუმი, რომელშიც საბჭოთა ლიდერი სასწრაფოდ ითხოვდა ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოს, საავიაციო ბენზინისა და თვითმფრინავების მიწოდებას.⁴

ს. ბატლერის წიგნში მოყვანილია კიდევ ერთი წერილი, რომელიც არ ჩანს საბჭოურ გამოცემაში. საუბარია 1945წ. 7

¹ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 36.

² *My Dear Mr. Stalin*, გვ. 46. მათ გარდა იყო 25 ოქტომბრის წერილი (*My Dear Mr. Stalin*, გვ. 48), რომელიც მოსკოვში მიიღეს 1942წ. 16 მარტს (იხ.: *Correspondence...*, vol. 2, გვ. 18, დოკ. 16 და გვ. 274-275, შენიშვნა 11).

³ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 49-51.

⁴ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 132-133.

თებერვალს, „დიდი სამეულის“ ყირიმის კონფერენციის დროს რუზველტის მიერ სტალინისათვის გადაცემულ ბარათზე, რომელშიც ის ითხოვდა მოკავშირეთა ავიაციის მიერ დასაბომბი ობიექტების სიის დაზუსტებას.¹ ჩვენი აზრით, ეს წერილი საბჭოურ გამოცემაში არ მოხვდა რაიმე ტექნიკური მიზეზით, შესაძლოა, თუნდაც იმის გამო, რომ იალტაში კანცელარია გამართულად არ მუშაობდა.

ბატლერის წიგნში გვხვდება კიდევ რამდენიმე წერილი, რომელიც არ არის საბჭოურ გამოცემაში, თუმცა ამ შემთხვევებში ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც საბჭოთა ცენზორები იყვნენ ბრალში. ზოგიერთი მათგანის დაბეჭდვა, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე სტალინისადმი რუზველტის წერილთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ს ახალმა ელჩმა სსრკ-ში ადმირალმა სტენდლიმ რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიისას წარუდგინა საბჭოთა ლიდერს.² ბატლერს თვითონაც აქვს აღნიშნული, რომ ეს წერილი სტენდლიმ იქვე წაიკითხა და სტალინს ის უთარგმნეს, მაგრამ თავად ტექსტიდან ამკარაა, რომ აშშ-ს ელჩმა უბრალოდ ზეპირად უთხრა მას რუზველტის დანაბარები და წერილობით გზავნილი არ გადაუცია.³ ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში საბჭოური გამოცემის რედაქტორების დადანაშაულება ცენზურობაში ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა. სავარაუდოდ, ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე 1944წ. თებერვალ-მარტში, როდესაც რუზველტმა აშშ-ს ელჩ ა. ჰარიმანს ორჯერ დააბარა სტალინისათვის ინფორმაციის გადაცემა⁴ და, როგორც ჩანს, მან ეს ზეპირად გააკეთა.

საბჭოთა რედაქტორების დადანაშაულება არ შეიძლება კიდევ რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც ს. ბატლერს მოყვანილი აქვს წერილი, რომელიც არ გვხვდება საბჭოურ გამოცემაში. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამერიკელმა მკვლევარმა წიგნში შე-

¹ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 293, დოკ. 282.

² *My Dear Mr. Stalin*, გვ. 66.

³ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 66, დოკ. 24.

⁴ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 104, დოკ. 171; გვ. 216-217, დოკ. 190.

იტანა ორი ბარათი, რომელთა გაგზავნაც რუზველტმა გადაიფიქრა.¹ გარდა ამისა, ს. ბატლერმა კრებულში მოათავსა სტალინისა და რუზველტის მიერ იალტაში შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე მიღწეული შეთანხმების პროექტი, რომელიც მათ გადასცეს ჩერჩილს 1945წ. 10 თებერვალს,² თუმცა, ვინაიდან ფორმალურად ეს არ იყო რუზველტისა და სტალინის მიმოწერის ამსახველი დოკუმენტი, საბჭოური გამოცემის რედაქტორებს ნამდვილად ჰქონდათ საფუძველი, არ დაებეჭდათ ის კრებულში.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც: საბჭოურ გამოცემაში გვხვდება დოკუმენტი, რომელიც არ არის დაფიქსირებული ს. ბატლერის წიგნში. საუბარი ეხება რუზველტის მიერ სტალინისათვის 1945წ. 5 თებერვალს, ყირიმის კონფერენციის დროს გაგზავნილ მემორანდუმს, რომელშიც აშშ-ს პრეზიდენტს აინტერესებს სსრ კავშირის ლიდერის პოზიცია იაპონიასა და სსრკ-ს შორის ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ წყნარი ოკეანის გზით მომარაგების ხაზების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. აქვე ის ითხოვდა ამერიკული სამხედრო-საჰაერო შენაერთების განლაგებას შორეულ აღმოსავლეთში.³ ძნელი სათქმელია, რა მიზეზით არ მოხვდა ეს მემორანდუმი ს. ბატლერის წიგნში. არ არის გამორიცხული, აქ რაიმე ტექნიკურ პრობლემას ჰქონდა ადგილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. ბატლერმა განაცხადა, თითქოს რუზველტის წერილებს საბჭოურ გამოცემაში პარაგრაფები აკლია. ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ასეთი გზავნილები ვერ ვიპოვეთ. პირიქით, მოიძებნა სტალინის წერილი, რომელსაც სწორედ რომ ბატლერის გამოცემაში აკლია პირველი წინადადება.⁴ რაც შეეხება წერილებში არსებულ პარაფრაზირებას, ეს აბსოლუტური სიძარბოა და გამოწვეულია ერთი უბრალო მიზეზით:

¹ *My Dear Mr. Stalin*, გვ. 57, დოკ. 16; გვ. 77-78, დოკ. 37.

² *My Dear Mr. Stalin*, გვ. 295, დოკ. 285.

³ *Correspondence...*, vol. 2, გვ. 177, დოკ. 265.

⁴ შდრ. *My Dear Mr. Stalin*, გვ. 79, დოკ. 39 და *Correspondence...*, vol. 2, გვ. 26, დოკ. 32. უნდა ითქვას, რომ რაიმე პრინციპულ შეცდომას ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, რადგანაც იმ წინადადებაში სტალინმა აღნიშნა, რომ მიიღო რუზველტის წერილი.

ისინი ხელახლა არის თარგმნილი ინგლისურად. მართალია, აზრობრივი განსხვავება ამ ხელახლა თარგმნილ წერილებში, რომელთა რიცხვი ძალიან დიდია,¹ არ შეიმჩნევა,² მაგრამ ვინაიდან კრებული ინგლისურ ენაზეა გამოცემული, ეს მართლაც სერიოზულად ამცირებს მის მეცნიერულ ღირებულებას. შესაბამისად, ს. ბატლერის მიერ გამოცემულმა წიგნმა მართლაც დიდი სამსახური უნდა გაუწიოს მკვლევრებს, ვინაიდან რუზველტის მიერ სტალინისათვის გაგზავნილი წერილების ინგლისურ ენაზე ციტირება საბჭოური კრებულის მიხედვით უბრალოდ არ შეიძლება.³

დიდი ღირსებების გარდა, ს. ბატლერის წიგნს აქვს რამდენიმე ხარვეზიც. ასე, მაგალითად, რუზველტის ერთ-ერთი წერილი სტალინისადმი, რომელიც დათარიღებულია 1944წ. 27 ივნისით, წიგნში მოყვანილია ორჯერ, ერთხელ 222-ე ნომრით, მეორედ კი 225-ით.⁴ ბუნებრივია, ეს არის ტექნიკური ხარვეზი, ვინაიდან ვიტებსკის აღებას რუზველტი სტალინს ერთი დღის განმავლობაში ორჯერ არ მიულოცავდა. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ჩვენ ის გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩინია. საუბარი ეხება მინაწერს, რომელიც ავტორმა გაუკეთა წიგნს: „ეძღვნება 405,000 ამერიკელისა და 27,000,000 რუსის (ხაზგასმა ჩვენია – თ.პ.), რომლებიც დაიღუპნენ მეორე მსოფლიო ომში“.⁵ ჩვენი აზრით, 2005 წელს სერიოზული მკვლევარი

¹ ზოგიერთ წერილს პირდაპირ აწერია კიდევ, რომ ხელახლა არის თარგმნილი (იხ., მაგალითად: *Correspondence...*, vol. 2, გვ. 13, დოკ. 9; გვ. 17, დოკ. 15 და ა.შ.).

² სტილისტური განსხვავება ნამდვილად არსებობს და, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ წერილები არ არის დაწერილი ამერიკელის ან ინგლისელის მიერ.

³ რუსულ ენაზე გამოცემული დოკუმენტების კრებულისათვის, ბუნებრივია, ეს ვერ ჩაითვლება ხარვეზად. ასე რომ, მასზე დაყრდნობა კვლევისას ნამდვილად შეიძლება. პრინციპში, სტალინის მიერ რუზველტისათვის გაგზავნილი წერილების მოყვანაც შესაძლებელია საბჭოური გამოცემის მიხედვით, ვინაიდან აქ უკვე საუბარია ორ სხვადასხვა თარგმანზე, რომლებსაც არსებობის თანაბარი უფლება აქვთ აზრობრივი სისწორის შემთხვევაში.

⁴ შდრ. *My Dear Mr. Stalin*, გვ. 240, დოკ. 222 და გვ. 223, დოკ. 225.

⁵ “To the 405,000 Americans and the 27,000,000 Russians who died in World War II”. – იხ. *My Dear Mr. Stalin*, გვ. v.

ნამდვილად არ უნდა მოიხსენიებდეს საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობას „რუსებად“. სხვა თუ არაფერი, ეს არის უბრალოდ შეურაცხყოფა იმ მილიონობით საბჭოთა მოქალაქისა, რომელიც დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში და რომელიც არასდროს არ ყოფილა ეროვნებით რუსი.

მართალია, ზემოთ აღნიშნული მინაწერი ერთგვარად აფერმკრთალებს ს. ბატლერის მეცნიერულ იერ-სახეს, მაგრამ მთლიანობაში მის მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებული ნამდვილად დიდი შენაძენია ისტორიული მეცნიერებისათვის და ის მნიშვნელოვნად გაუადვილებს მუშაობას მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შემსწავლელ მკვლევრებს.

ТЕЙМУРАЗ ПАПАСКИРИ

НУЖНАЯ КНИГА О ДИПЛОМАТИИ ВТОРОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ

Статья является отзывом на первое американское издание переписки Франклина Рузвельта и Иосифа Сталина подготовленное американской исследовательницей Сьюзан Батлер. Подчеркивается огромное источниковедческое значение данного сборника для историков, изучающих дипломатическую историю Второй мировой войны, так как большинство писем, написанных Рузвельтом и адресованных Сталину ранее были напечатаны только в обратном переводе с русского на английский. Кроме того, в книге впервые увидели свет несколько писем Рузвельта и Сталина, которые касались вопроса оказания материальной помощи Советскому Союзу в 1941 и 1943 годах. С. Батлер также публикует несколько писем, адресованных Президентом Рузвельтом в разное время послам США в СССР – адмиралу Стэндли и А. Гарриману с просьбой о передаче Сталину той или иной информации. Вместе с достоинствами, в статье также отмечены некоторые изъяны книги: одно из писем Рузвельта напечатано дважды, а в посвящении все граждане Советского Союза погибшие во Второй мировой войне названы «русскими».

TEIMURAZ PAPASKIRI

A SIGNIFICANT COLLECTION ON THE WORLD WAR II DIPLOMACY

The paper represents the review of the first American edition of the correspondence between the US President Franklin D. Roosevelt and the Soviet leader Joseph Stalin, prepared by the American scholar Susan Butler. It emphasizes the great significance of this collection for the historians, because the most part of Roosevelt's letters to Stalin, which had been published previously, were retranslated from Russian. Besides that, several letters of Roosevelt and Stalin regarding the material aid to the Soviet Union in 1941 and 1943. S. Butler also has published Roosevelt's several letters addressed to Admiral Stanldey and A. Hurriman, the US ambassadors in the USSR in different times, containing the information for Stalin. Along with the virtues of the edition, the paper also stresses some its shortcomings: one of Roosevelt's letter is published twice, also in the dedication all the Soviet citizens who had died in the Second World War are mentioned as "Russians".

კ ვ ა ლ ი ნ ა თ ე ლ ი

მერი ბაბუღავა

**არჩილ ათანელიშვილი – ისტორიკოსი,
პედაგოგი, მთარგმნელი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი არჩილ ათანელიშვილი (1932-2007) ისტორიკოსთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე XX საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა. მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო, სწავლობდა თურქეთის ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს. არჩილ ათანელიშვილის სამეცნიერო წარმატებებს ხელს უწყობდა სათანადო საბაზისო განათლებაც. მას ისტორიისადმი სიყვარული მამამ, სწავლულმა ისტორიკოსმა გიორგი ათანელიშვილმა ჩაუნერგა. ამ უკანასკნელს ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა, მიძღვნილი კახეთის მოსახლეობის ბრძოლისადმი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ XIX საუკუნესა და 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

1959წ. თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, არჩილ ათანელიშვილმა სწავლა გააგრძელა მოსკოვის სამხედრო-დიპლომატიურ აკადემიაში, სადაც ცოდნა გაიღრმავა აღმოსავლურ და ევროპულ ენებში. ინტერესი სამეცნიერო კვლევისადმი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაუღვივდა. თავდაპირველად იგი თურქეთისა და გფრ-ის დიპლომატიური ურთიერთობებით დაინტერესდა. ოდესის ი. მენჩიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლისას პროფესორ კ. პეტრიაევის ხელმძღვანელობით ა. ათანელიშვილმა (1962-1966) მოამზადა საკვალიფიკაციო ნაშრომი „*აღმოსავლეთ-გერმანია – თურქეთის სავაჭრო პო-*

ლიტიკის ძირითადი მიმართულებანი“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1967 წელს.

1968 წლიდან არჩილ ათანელიშვილი უბრუნდება სამშობლოს და იწყებს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში. 70-იანი წლებიდან არჩილ ათანელიშვილი იკვლევს ისტორიოსოფიის, კერძოდ, დასავლურ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ისტორიის საკითხებზე არსებულ მასალებს. უძრავობის ხანასა და ლენინური იდეოლოგიის დიქტატის პირობებში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული საქართველოს თანამედროვე ისტორიის საკითხების განსხვავებული ინტერპრეტაცია.

წლების მანძილზე ა. ათანელიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს აწვდიდა დასავლეთის სამეცნიერო წრეების თვალთახედვას საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი პირველი ნაშრომი „საბჭოთა კავშირში ეროვნული პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში“¹ სტატიაში ავტორი ეხება სსრკ-ს ეროვნულ პოლიტიკას, საქართველოს რუსეთთან შეერთების შეფასების საკითხებს, ეროვნული ენის პრობლემას და სხვ. ფ. ბარგჰორნის, რ. ბაუერის, ა. ინკელესის და სხვათა ნაშრომებიდან ცალკეული პასაჟების ციტირებით არჩილ ათანელიშვილი ცდილობდა მკითხველისათვის ვრცელი მასალა მიეწოდებინა განსჯისათვის. მისი მიზანდასახულობანი და მცდელობები მხედველობიდან არ გამოჰპარავით რუს იდეოლოგებს.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1976წ. 4 თებერვალს მისი სადოქტორო დისერტაცია უარყოფითად შეფასდა. 1983წ. გამოიცა არჩილ ათანელიშვილის მონოგრაფია „საბჭოთა საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკის წინააღმდეგ“, რომელიც წარდგენილი იყო ისტორიის მეცნიერებათა

¹ ა. ათანელიშვილი. საბჭოთა კავშირში ეროვნული პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. – საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები. VII. თბ., 1973, გვ. 147-175.

დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის ერთ-ერთ გამონმაურებაში აღნიშნულია, რომ „საკითხის შესწავლისას ავტორმა ვერ გამოიჩინა სათანადო დამოუკიდებლობა და იგი გაჰყვა ბურჟუაზიული „თეორეტიკოსების“ კვალს, რომლებიც მუდმივად ცდილობენ საბჭოთა მეცნიერებს თავს მოახვიონ კამათი მათთვის სასურველი პოზიციებიდან“. დისერტანტის წინააღმდეგ ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მან სწორად ვერ გაიგო ვ. ლენინის დებულება სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ. სადოქტორო დისერტაცია საატესტაციო კომისიამ მხოლოდ 1987წ. „პერესტროიკის“ პერიოდში დაამტკიცა. დრომ დაადასტურა ლენინიზმის ეროვნული თეორიების სრული უსუსურობა, რომლებიც საბჭოთა იმპერიასთან ერთად დასამარდა.

XXს. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეოლოგიურ და სამართლებრივ მომზადებას. ქართული საისტორიო აზროვნება ეროვნული იდეოლოგიის სამსახურში ჩადგა. ახალი ეტაპი დაიწყო არჩილ ათანელიშვილის სამეცნიერო შემოქმედებაშიც. 1991წ. მან გამოსცა ნაშრომი „სოვეტოლოგები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ“.

სოვეტოლოგების ნააზრვის ანალიზის საფუძველზე ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს გაერთიანებას მკვლევარი მიიჩნევს როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სუვერენული უფლებების დარღვევას, ხოლო საბჭოთა რუსეთის ურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკებთან მეტროპოლიისა და კოლონიების ურთიერთობასთან აიგივებს. ა. ათანელიშვილი აკრიტიკებს მ. გორბაჩოვის „ეთნიკური ჯგუფების სიმყარის“ წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკური დეცენტრალიზაციის პოლიტიკას და შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისიდან გამოსავალს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ხედავს.¹

¹ ა. ათანელიშვილი. სოვეტოლოგები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. თბ., 1991, გვ. 98.

არჩილ ათანელიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაშრომს „სისხლიანი გაკვეთილები“¹, რომელიც შედგება სამი განყოფილებისაგან. ნაშრომის პირველ ნაწილში „საქართველო ევროპის დიდ სახელმწიფოთა გეგმებში 1918-1921 წლებში და უცხოელი ავტორები“ წარმოჩენილია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები საქართველოსადმი, ქართული სახელმწიფო აპარატის შექმნა და განვითარება, ქვეყნის როლი და ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე. ნაშრომის მეორე ნაწილში „სოვეტოლოგიები ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის შესახებ“ განხილულია მესამე რაიხის გეგმებს კავკასიისადმი და საქართველოს ადგილს ამ გეგმაში.

ეროვნული უმცირესობების საკითხი და საქართველოს ეროვნული პოლიტიკა დღემდე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. სწორედ ეს საკითხია განხილული ნაშრომის მესამე ნაწილში „უცხოელი ისტორიკოსები ეროვნულ უმცირესობათა შესახებ საქართველოში“. მართებულია ავტორის დებულება, რომ სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფმა „ეროვნულმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა 1977წ. კონსტიტუციის მიღებისას გამოამჟღავნეს, როცა აშკარად გამოვლინდა, უწინდელთან შედარებით, მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციული უფლებების შეზღუდვა... აქ სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადება, ერთიანი ერის, სინამდვილეში ერთიანი რუსი ერის შექმნის მცდელობა“.²

ნაშრომის ამ ნაწილს წითელ ზოლად გასდევს მტკიცება, რომ სსრკ-ს პოლიტიკა არარუსი ხალხებისადმი წარმოადგენდა ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის გაგრძელებას. საბჭოური იდეოლოგია მიზნად ისახავდა ეროვნული უმცირესობების სრულ ასიმილირებას რუს ხალხთან და ახალი ეთნიკური ერთობის „საბჭოთა ხალხის“ შექმნას. ავტორი სრულიად სამართლიანად აკ-

¹ ა. ათანელიშვილი. სისხლიანი გაკვეთილები. თბ., 2002.

² ა. ათანელიშვილი. უცხოელი ავტორები საქართველოს ისტორიის შესახებ 1918-1989 წლებში. – წგნ.: ა. ათანელიშვილი. სისხლიანი გაკვეთილები, გვ. 133.

რიტიკებს ცნობილ ამერიკელ ისტორიკოსს რონალდ გრიგორ სუნის, რომელიც ხელიდან არ უშვებს შემთხვევას ქართველ ერს ბრალი დასდოს შოვინიზმში¹.

არჩილ ათანელიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, ბუნებრივია, შევხვდებით არაერთ კონიუნქტურულ დებულებას, რომელთაც კონკრეტულ-ისტორიული გარემოებების გამო ვერ გაუძღეს დროის გამოცდას. მიუხედავად ამისა, მის ნაშრომებში უხვადაა მდიდარი და პირველხარისხოვანი დოკუმენტური მასალა საქართველოსა და ქართველ ხალხზე, რომლებიც მიმოფანტული იყო ინგლისურ, გერმანულ და თურქულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში. მან თავი მოუყარა ამ მონაცემებს და შექმნა ერთგვარი საფუძველი, რომ მკითხველს თავად შეეფასებინა თუ რამდენად სამართლიანი იყო საზღვარგარეთის მეცნიერთა კრიტიკული მოსაზრებები საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

არჩილ ათანელიშვილმა დაგვიტოვა დასრულებული ნაშრომი „*ისლამის ისტორია*“, რომელიც მის პირად არქივში ინახება. თუ გავითვალისწინებთ ქართულ ენაზე ასეთი ნაშრომების სიმწირეს, ცხადი გახდება, ამ ხელნაწერის გამოქვეყნების მნიშვნელობა.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე არჩილ ათანელიშვილი ცდილობდა ქართულენოვანი ისტორიული ლიტერატურა გაემდიდრებინა ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის თხზულებების თარგმანებით. მის პირად არქივში შემონახულია სქელტანიანი დასრულებული თარგმანები ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნებისა „*დიდი საჭადრაკო დაფა*“ და „*არჩევანი. მსოფლიო ბატონობა ან გლობალური ლიდერობა*“, ასევე ვერნერ მაზერის „*ადოლფ ჰიტლერი. მითები და სინამდვილე*“. ეს ხელნაწერებიც დღის სინათლეს ელოდებიან. გარდა ამისა, ბატონი არჩილი ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა ლიტერატურულ-მთარგნელობით საქმიანობას. კერძოდ, მას ეკუთვნის გერმანელი მწერლის ლიხელოტე ველსკოფ-ჰენრიხის ნაწარმოების – „*დიდი ბუ დათვის ძენი*“ მხატვრული თარგმანი, რომელიც 1979წ. გამომცემლობა „*ნაკადულმა*“ გამოსცა.

¹ ა. ათანელიშვილი. უცხოელი ავტორები..., გვ. 140-141.

არჩილ ათანელიშვილი წლების მანძილზე სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას ეწეოდა ქართველოლოგიის ისეთ დიდ კერაში, როგორც იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი). პარალელურად, ის ათეული წლების განმავლობაში თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა სტუდენტ ახალგაზრდობას, იყო საქართველოს სამხედრო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი (1992-1994). 1995 წლიდან უკანასკნელ დღეებამდე კი ნაყოფიერად იღწვოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (ამჟამად სოხუმის უნივერსიტეტი), იყო აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის პოლიტოლოგიის კათედრის გამგე (2002-2004). მისი ლექციები გამოირჩეოდა მასალის მრავალფეროვნებით, ეფუძნებოდა მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და უცხოურ ორიგინალურ ლიტერატურას.

არჩილ ათანელიშვილი არჩეული იყო რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსად, აქტიურად თანამშრომლობდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციასთან, იყო ამ ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის: „საისტორიო ძიებანი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გულისხმიერება, მტკიცე ხასიათი, პრინციპულობა და შეუვალობა, მეგობრობაში უღალატობა – აი, ის შტრიხები, რაც არჩილ ათანელიშვილს მრავალთაგან გამოარჩევდა. თავისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით არჩილ ათანელიშვილმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის ისტორიაში.

ნათელი დაადგეს მის სახელს.

МЕРИ ГАБЕДАВА

**АРЧИЛ АТАНЕЛИШВИЛИ – ИСТОРИК,
ПЕДАГОГ, ПЕРЕВОДЧИК**

Статья посвящается памяти видного грузинского учёного-историка, доктора исторических наук, заведующего кафедрой политологии Сухумского Филиала Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили Арчила Георгиевича Атанелишвили (1932-2007). В ней вкратце освещена многогранная плодотворная научно-педагогическая деятельность учёного.

MARY GABEDAVA

**ARCHIL ATANELISHVILI – HISTORIAN,
PEDAGOG, TRANSLATOR**

The paper is dedicated to the memory of Archil Atanelishvili (1932-2007), a known Georgian scholar, historian, Doctor of Historical Sciences, Chair of the Political Sciences in the Sokhumi Branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. It briefly sheds light upon his multifaceted and fruitful scientific and pedagogic activities.

ავტორები

1. **როინ მეტრეველი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
2. **კახაბერ ფიფია** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
3. **ნათია ფიფია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
4. **ლია ახალაძე** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
5. **ზურაბ პაპასქირი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
6. **ჯაბა სამუშია** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
7. **ლერი თავაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
8. **აკაკი ჩიქობავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი
9. **გივი როგავა** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
10. **კახა კვაშილავა** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
11. **ავთანდილ კილასონია** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
12. **აპოლონ თაბუაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

13. **ზაზა წურწუშია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
14. **გურამ კუტალაძე** – ისტორიის დოქტორი (ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტი)
15. **გიორგი ყუყუნაშვილი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
16. **ჯამბულ ანჩაბაძე** – ისტორიის დოქტორი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
17. **თეა კუბლაშვილი** – დოქტორანტი
18. **მერაბ კალანდაძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
19. **გიორგი გაფრინდაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
20. **მიხეილ ქართველიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი
21. **თენგიზ ანთელავა** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
22. **ფატი შეყლაშვილი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
23. **თეიმურაზ პაპასქირი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
24. **არკადი ძაძუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
25. **ნანი გელოვანი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
26. **მარინე ფუთურიძე** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

27. **ვახტანგ ჯაფარიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
28. **თემურ თოდუა** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
29. **ზვიად კვიციანი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
30. **დავით ჭითანავა** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
31. **ლაზბირ ჯოჯუა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
32. **ალექსანდრე წურწუშია** – პოლიტოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
33. **მერი გაბედავა** – ისტორიის დოქტორი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

Авторы

1. **Роин Метревели** – доктор исторических наук, профессор, академик АН Грузии, президент национального комитета историков Грузии, лауреат государственной премии Грузии
2. **Кахабер Пипия** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета
3. **Натия Пипия** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
4. **Лия Ахаладзе** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета
5. **Зураб Папаскири** – доктор исторических наук, профессор Сухумского государственного университета, председатель Абхазской организаций Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такашвили, лауреат государственной премии им. Гиоргия Шарвашидзе
6. **Джаба Самушия** – доктор истории, ассистент-профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
7. **Лери Тавадзе** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
8. **Акакий Чикобава** – магистр Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
9. **Гиви Рогава** – доктор исторических наук, доктор философии (Сухумский государственный университет)
10. **Каха Квашилава** – докторант Сухумского государственного университета
11. **Автандил Киласония** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета
12. **Аполлон Табуашвили** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
13. **Заза Цурцумия** – докторант Сухумского государственного университета
14. **Гурам Куталадзе** – доктор истории (Ахалцихский государственный институт)

15. **Гиорги Жужунашвили** – доктор истории, ассистент-профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
16. **Джамбул Анчабадзе** – доктор истории, (Сухумский государственный университет)
17. **Теа Кублашвили** – докторант
18. **Мераб Каландадзе** – доктор исторических наук, профессор (Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили)
19. **Гиорги Гаприндашвили** – магистрант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
20. **Михаил Картвелишвили** – студент Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
21. **Евстафий (Тенгиз) Антелава** – доктор исторических наук (Сухумский государственный университет)
22. **Пати Шеклашвили** – доктор истории, ассистент-профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
23. **Теймураз Папаскири** – доктор истории, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
24. **Аркадий Дзадзуа** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
25. **Нани Геловани** – доктор истории, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
26. **Марина Путуридзе** – доктор истории, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
27. **Вахтанг Джапаридзе** – доктор исторических наук, ассоциированный профессор Сухумского государственного университета
28. **Темур Тодуа** – доктор исторических наук, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
29. **Звиад Квициани** – доктор истории, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили

30. **Давид Читанава** – доктор истории, научный сотрудник Института истории и этнологии им. Иванэ Джавахишвили
31. **Дазмир Джоджуа** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета
32. **Александр Цурцумия** – доктор политологии, ассоциированный профессор Сухумского государственного университета
33. **Мери Габедава** – доктор истории (Сухумский государственный университет)

Authors

1. **Roin Metreveli** – Doctor of Historical Sciences, Professor, Member of the Georgian Academy of Sciences, President of Georgian Historians National Committee, Georgian State Prize Winner
2. **Kakhaber Pipia** – Associate Professor of Sokhumi State University
3. **Natia Phiphia** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
4. **Lia Akhaladze** – Associate Professor of Sokhumi State University
5. **Zurab Papaskiri** – Doctor of Historical Sciences, Professor of Sokhumi State University, Chairman of the Abkhazian Organization of Ekvtime Takaishvili Georgian Historical Society, Winner of Georgian State Prize by Giorgi Sharvashidze
6. **Jaba Samushia** – Ph.D. in History, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
7. **Leri Tavadze** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
8. **Akaki Chikobava** – MA in History of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
9. **Givi Rogava** – Doctor of Historical Sciences, Ph.D. in Philosophy, Lecturer of Sokhumi State University,
10. **Kakha Kvashilava** – Ph.D. Student of Sokhumi State University
11. **Avtandil Kilasonia** – Associate Professor of Sokhumi State University
12. **Apollon Tabuashvili** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
13. **Zaza Tsurtsunia** – Ph.D. Student of Sokhumi State University
14. **Guram Kutaladze** – Ph.D. in History (Akhaltsikhe State Institute)
15. **Giorgi Zhuzhunashvili** – Ph.D. in History, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

16. **Jambul Anchabadze** – Ph.D. in History, Lecturer of Sokhumi State University
17. **Téa Kublashvili** – Ph.D. Student
18. **Merab Kalandadze** – Doctor of Historical Sciences, Professor (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)
19. **Giorgi Gaprindashvili** – MA Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
20. **Mikheil Kartvelishvili** – MA Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
21. **Estate (Tengiz) Antelava** – Doctor of Historical Sciences (Sokhumi State University)
22. **Pati Sheklashvili** – Ph.D. in History, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
23. **Teimuraz Papaskiri** – Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
24. **Arkadi Dzadzua** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
25. **Nana Gelovani** – Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
26. **Marina Puturidze** – Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
27. **Vakhtang Japaridze** – Doctor of Historical Sciences, Associate Professor of Sokhumi State University
28. **Temur Todua** – Doctor of Historical Sciences, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
29. **Zviad Kvitsiani** – Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
30. **David Chitanava** – Ph.D. in History, Research Worker of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
31. **Dazmir Djodjua** – Associate Professor of Sokhumi State University
32. **Alexandre Tsurtsunia** – Associate Professor of Sokhumi State University
33. **Mary Gabedava** – Ph.D. in History, Lecturer of Sokhumi State University

ავტორებისათვის

„საისტორიო ძიებანში“ გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი მასალა უნდა იყოს აკრეფილი აკადნუსხურში (ზომა – 12, ინტერვალი – 1,5). სქოლიო უნდა იყოს ასევე აკადნუსხურში (ზომა – 10, ინტერვალი – 1,5). უცხო ენებზე აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი Times New Roman-ში, ძირითადი ტექსტის ან სქოლიოს შესაბამისი ზომებით. სტატიას თან უნდა ახლდეს რეზიუმე (ნახევარი გვერდიდან ერთ გვერდამდე) ქართულ ენაზე და რუსულ ენებზე. სქოლიოს დაკაბადონების წესების შესახებ იხ. „საისტორიო ძიებანში“ ციტირების წესი ვებ-გვერდზე: <http://saistoriodziebani.googlepages.com>. გამოყენებული ლიტერატურის სიის დართვა საჭირო არ არის.

რედაქციის მისამართი:

ქ. თბილისი, 0186, ჯიქიას ქ. 9,

ტელ.: 54-14-12

fax: 35-73-66

e-mail: saistoriodziebani@gmail.com

web-site: [http:// saistoriodziebani.googlepages.com](http://saistoriodziebani.googlepages.com)